**Treetment between Georgia and Russia, Claims of Armenia. Newspaper «Ertoba»**, 1920, June 17, #134, p. 3.

- **სომხეთის პრეტენზიები. გაზეთი „ერთობა“,** 18 ივნისი, 1920 წ., # 135, გვ. 1. - **199**
**Claims of Armenia. Newspaper «Ertoba»**, 1920, June 18, #135, p. 1.

- **სომხეთის პრეტენზიები ბათომის ოლქზე. გაზეთი „ერთობა“**, 19 ივნისი, 1920 წ., # 136, გვ. 3. - **200**
**Claims of Armenia about Batumi District. Newspaper «Ertoba»**, 1920, June 19, #136, p. 3.

- **საზავო ხელშეკრულება დადებული საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ადერბეიჯანის სოცია-ლისტური საბჭოთა რესპუბლიკის შორის. გაზეთი „ერთობა“**, 27 ივნისი, 1920 წ., # 143, გვ. 2. - **200**
**Treetment between the Democratic Republic of Georgia and Azerbaijan Soviet Socialist Republic. Newspaper «Ertoba»**, 1920, June 27, #143, p. 2.

- **ზავი საქართველოსა და აზერბეიჯანს შორის. გაზეთი „ერთობა“**, 27 ივნისი, 1920 წ., # 143, გვ. 1-2. - **204**
**Newspaper «Ertoba»**, 1920, June 27, #143, p. 1-2.

- **ზ. ჭ. სომხების რიცხვი ბათომის გუბერნიაში. გაზეთი „ერთობა“**, 27 ივნისი, 1920 წ., # 143, გვ. 3. - **205**
**Size of Armenian in Batumi District. Newspaper «Ertoba»**, 1920, June 27, #143, p. 3.

- **დამფუძნებელი კრება. 25 ივნისის სხდომა. გაზეთი „ერთობა“**, 27 ივნისი, 1920 წ., # 143, გვ. 2; 29 ივნისი, # 144, გვ. 3. - **205**
**The Constituent Assembly. Newspaper «Ertoba»**, 1920, June 27, #143, p. 2; June 29, #144, p. 3.

- **აკაკი ჩხენკელის საპასუხო სიტყვა. გაზეთი „ერთობა“**, 1 ივლისი, 1920 წ., # 146, გვ. 1-2. - **210**
**The speech of Akakai Chkhenkeli. Newspaper «Ertoba»**, 1920, July 1, #146, p. 1-2.

- **ახალი ამბები. ნეიტრალურ ზონის მცხოვრებთა შუამდგომლობა. გაზეთი „ერთობა“**, 20 ივლისი, 1920 წ., # 161, გვ. 3. - **212**
**News. The motion of onhabitants in Neutral Zone. Newspaper «Ertoba»**, 1920, July 20, #161, p. 3.

- **საქართველო - რუსეთის კომისია. გაზეთი „ერთობა**, 20 ივლისი, 1920 წ., # 161, გვ. 3. - **212**
**Newspaper «Ertoba»**, 1920, July 20, #161, p. 3.

- **საქართველოს დეპეშათა სააგენტოსაგან. გაზეთი „ერთობა**, 20 ივლისი, 1920 წ., # 161, გვ. 3. **- 213**
**From the Telegram Agency. Newspaper «Ertoba»**, 1920, July 20, #161, p. 3.

- **(ახალი ამბები). გაზეთი „ერთობა“**, 3 აგვისტო, 1920 წ., # 173 გვ. 3. **- 214**
**News. Newspaper «Ertoba»**, 1920, August 3, #173, p. 3.

- **ბორჩალოს საკითხი. გაზეთი „ნაციონალისტი“**, 12 ოქტომბერი, 1920 წ., # 11, გვ. 1. **- 214**
**The Question of Borchalo. Newspaper «Natsionalisti» («The Nationalist»)**, the 12th of October, 1920, #11, p. 1.

- **საქართველოს წინააღმდეგ მიმართული კამპანია ევროპის პრესაში. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“**, 23 დეკემბერი, 1920 წ., # 292 გვ. 2. **- 215**
**A campaign against Georgia in the European press. Newspaper «Sakartvelos Respublika» («The Georgian Republic»)**, 1920, December 23, #292, pp. 2.

- **საქართველოს დელეგაცია ერთა ლიგის ყრილობაზე. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“**, 23 დეკემბერი, 1920 წ., # 292 გვ. 2. **- 215**
**Georgian Delegation at the congress of League of Nations. Newspaper «Sakartvelos Respublika» («The Georgian Republic»)**, 1920, December 23, #292, pp. 2.

- **ე. გეგეჭკორი ლეონ ბურჟუასთან. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“**, 23 დეკემბერი, 1920 წ., # 292 გვ. 2. **- 216**
**E. Gegechori on the meeting with Leon Bourgeois. Newspaper «Sakartvelos Respublika» («The Georgian Republic»)**, 1920, December 23, #292, pp. 2.

- **ახალი ამბები. ჩხეიძისა[,] კ. კანდელაკისა და ფ. გოგიჩაიშვილის ჩამოსვლა. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“**, 24 დეკემბერი, 1920 წ., # 293, გვ. 2-3. **- 216**
**The News. The Arrival of Chkheidze, K. Kandelaki and P. Gogichaishvili. Newspaper «Sakartvelos Respublika» («The Georgian Republic»)**, the 24th of December, 1920, #293, pp. 2-3.

- **საუბარი კარლო ჩხეიძესთან. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“**, 25 დეკემბერი, 1920 წ., # 294, გვ. 2-3; 26 დეკემბერი, 1920 წ., # 295 გვ. 2-3; 28 დეკემბერი, 1920 წ., # 296, გვ. 2. **- 216**
**Talk with Karlo Chkheidze. Newspaper «Sakartvelos Respublika» («The Georgian Republic»)**, 1920, December 25, #294, pp. 2-3; December 26, #295, pp. 2-3; December 28, #296, pp. 2.

- **საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ბიუროსაგან საგარეო საქმ. მინისტრის ნოტა ბ-ნ შეინმანს. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“**, 28 დეკემბერი, 1920 წ., # 296, გვ. 1-2. **- 222**
**The Note of the Minister of Foreign Affairs from the Information Bureau of the Ministry of Foreign Affairs to Mr. Scheinman. Newspaper «Sakartvelos Respublika» («The Georgian Republic»)**, 1920, December 28, #296, pp. 1-2.

- **ერთა ლიგაში. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“**, 29 დეკემბერი, 1920 წ., # 297 გვ. 2. **- 223**
**At the League of Nations. Newspaper «Sakartvelos Respublika» («The Georgian Republic»)**, 1920, December 29, #297, pp. 2.

- **პიერ რენოდელი საქართველოს შესახებ. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“**, 29 დეკემბერი, 1920 წ., # 297 გვ. 2. **- 223**
**Pierre Renaude about Georgia. Newspaper Sakartvelos Respublika» («The Georgian Republic»)**, 1920, December 29, #297, p. 2.

- **ზაქათალის ოლქის საკითხი. გაზეთი „საქართველო“**, 30 ქრისტეშობისთვე (დეკემბერი), 1920 წ., # 179, გვ. 2. **- 224**
**The Question of Zakatala District. Newspaper «Sakartvelo» («Georgia»)**, Kristeshobistve (December) 30, 1920, #179, p. 2.

**1921 წელი**
**The year of 1921**

- **ერთა ლიგა საქართველოს შესახებ. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში. გაზეთი „სამუსულმანო საქართველო“**, 1 იანვარი, 1921 წ., # 494, გვ. 1. **- 226**
**The League of Nations about Georgia. At the Historical and Ethnographic Society of Georgia. Newspaper «Samusulmano Sakartvelo» («The Moslem Georgia»)**, the 1st of January, 1921, #494, p. 1.

- **საქართველო და ერთა ლიგა. გაზეთი „სამუსულმანო საქართველო“**, 7 იანვარი, 1921 წ., # 498, გვ. 2. **- 226**
**Georgia and the League of Nations. Newspaper «Samusulmano Sakartvelo» («The Moslem Georgia»)**, the 7th of January, 1921, #498, p. 2.

- **საქართველო აზერბაიჯანი. გაზეთი „სამუსულმანო საქართველო“**, 16 იანვარი, 1921 წ., # 503, გვ. 1-2**. - 226**
**Georgia andAzerbaijan. Newspaper «Samusulmano Sakartvelo» («The Moslem Georgia»)**, the 16th of January, 1921, #503, p. 1-2.

- **თ. ღლონტი. რა უნდათ სომხებს? (ფრაგმენტები). გაზეთი „სოციალისტ-ფედერალისტი“**, 1 აპრილი, 1921 წ., # 27, გვ. 2. - **227**
  **T. Glonti. What do the Armenians want? (Fragments). Newspaper «Sotsialist-Pederalisti» («The Socialist-Federalist»)**, the 1st of April, 1921, #27, p. 2.

- **ქრონიკა (ფრაგმენტი). საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადო-ებაში. გაზეთი „კომუნისტი“**, 17 აპრილი, 1921 წ., # 38, გვ. 3. - **229**
  **«Qronika» («The Chronicles») (a fragment). At the Historical and Ethnographic Society of Georgia. Newspaper «Komunisti» («The Communist»)**, the 17th of April, 1921, #38, p. 3.

- **შ.ნ. საზღვრების წაშლა. გაზეთი „სოციალ-ფედერალისტი“**, 4 მაისი, 1921 წ., # 52, გვ. 2. - **229**
  **Sh.N. Effacing the Boundaries Newspaper «Sotsial-Pederalisti» («The Social Federalist»)**, the 4th of May, 1921, #52, p. 2.

- **პირველი მაისის დღესასწაული თფილისში (ფრაგმენტი). ამხ. ნარიმანოვის სიტყვა. გაზეთი „კომუნისტი“**, 6 მაისი, 1921 წ., # 52, გვ. 1. - **230**
  **The First May Celebration in Tiflis (a fragment). A Speech by Comrade Narimanov. Newspaper «Komunisti» («The Communist»)**, the 6th of May, 1921, #52, p. 1.

- **პრესის მაგიერ. გაზეთი „კომუნისტი“**, 7 მაისი, 1921 წ., # 53, გვ. 1. - **230**
  **In Lieu of Press. Newspaper «Komunisti» («The Communist»)**, the 7th of May, 1921, #53, p. 1.

- **ქრონიკა (ფრაგმენტი). ამხ. ნარიმანოვის წასვლა. გაზეთი „კომუნისტი“**, 8 მაისი, 1921 წ., # 54, გვ. 3. - **231**
  **«Qronika» («The Chronicles») (a fragment). The Departure of Comrade Narimanov. Newspaper «Komunisti» («The Communist»)**, the 8th of May, 1921, #54, p. 3.

- **პრესის მაგიერ. გაზეთი „კომუნისტი“**, 10 მაისი, 1921 წ., # 55, გვ. 1. - **231**
  **In Lieu of Press. Newspaper «Komunisti» («The Communist»)**, the 10th of May, 1921, #55, p. 1.

- **პრესის მაგიერ. გაზეთი „კომუნისტი“**, 12 მაისი, 1921 წ., # 57, გვ. 1. - **232**
  **In Lieu of Press. Newspaper «Komunisti» («The Communist»)**, 1921, May 12, #57, p .1.

**ნაწილი III.**
**უცხოენოვანი საგაზეთო პუბლიკაციები (ორიგინალები და თარგმანები), 1919 წელი**
**Foreign Periodic Publications (originals and translations), 1919**

- **Действія правительства. Делегація правительства Грузинской республики. газета «Борьба»**, 10-го января, 1919 г., # 6 (262). стр. 3. - **234**
  **მთავრობის ქმედებები. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია. გაზეთი „ბორბა“ (Борьба)**, 10 იანვარი, 1919 წ., # 6 (262), გვ. 3.

- **Le martyre de l'Arménie (DE NOTRE ENVOT* SPÉCIAL). Constantinople, janvier. Journal "Le Petit Parisien"**, 1919, 11 janvier, pp. 3. - **234**
  **სომხეთის მარტვილობა (ჩვენი საგანგებო წარგზავნილისგან). კონსტანტინოპოლი, იანვარი. გაზეთი: "Le Petit Parisien" (ლე პეტიტ პარიზიან)**, 1919 წ., 11 იანვარი, გვ. 3.

- **La République du Caucase. Journal "Le Petit Parisien"**, 1919, 11 janvier, pp. 3. - **235**
  **კავკასიის რესპუბლიკა. გაზეთი „Lე Pეტიტ Pარისიენ" (Le Petit Parisien)**, 1919, 11 იანვარი გვ. 3.

- **Un peuple agonise. Journal "Le Petit Parisien"**, 1919, 11 janvier, pp. 3. - **236**
  **ხალხი სიკვდილის პირზეა. გაზეთი „Lე Pეტიტ Pარისიენ" (Le Petit Parisien)**, 1919, 11 იანვარი გვ. 3.

- **The Re-making of Nations. IX. – Armenia. (By a Special Correspondent.]. Journal "Sheffield Daily Telegraph"**, 1919, 21 January, pp. 4. - **237**
  **ერების წარმოშობა IX ს. – სომხეთი. [სპეციალური კორესპონდეტი]. ჟურნალი: „Sheffield Daily Telegraph "**, 1919 წლის 21 იანვარი, სამშაბათი, გვ. 4.

- **L'avis du gouvernement géorgien. Journal "Le Temps", 1919, 25 Janvier**, pp. 4. - **241**
  **ქართული მთავრობის განცხადება. გაზეთი „Le Temps" („ლე ტემპსი“)**, 1919, 25 იანვარი, გვ 4.

- **A REPRÉSENTATION ARMÉNIENNE. Source: "L'Humanité"**, 1919, 28 Janvier. p. 1. - **242**
  **სომხური წარმომადგენლობა. „L'Humanité" ("ჰუმანიტე“)**, 1919, 28 იანვარი, გვ. 1. -

- **LA CONFÉRENCE DE PRINKIP. "L'Humanité"**, 1919, 29 Janvier, pp. 2. - **242**
  **პრინკიპოს კონფერენცია. გაზეთი "L'Humanité" ("ჰუმანიტე“)**. 1919, 29 იანვარი, გვ. 2.

- **POUR L'INDEPENDANCE DE LA GEORGIE. "L'Humanité"**, 1919, 2 Febriev, p. 3. - **243**
  **საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. "L'Humanité" ("ჰუმანიტე")**, 1919, 2 თებერვალი, გვ. 3.

- **Les massacreurs d'Arméniens en conseil de guerre. Journal "Le Temps"**, 1919, 11 Febriev, pp. 2. - **245**
  **სომეხთა ხოცვა-ჟლეტის მომწყობნი სასამართლოზე. გაზეთი „Lე თემპს" („ლე ტემპსი")**, 1919, 11 თებერვალი, გვ 2.

- **Les crimes turcs. Journal "Le Temps"**, 1919, 19 Febriev, pp. 2. - **245**
  **თურქული დანაშაულებები. გაზეთი „Le Temps " („ლე ტემპსი")**, 1919, 19 თებერვალი, გვ. 2.

- **Le revendications arméniennes. Journal "Le Temps"**, 1919, 27 Fevrier, pp. 4. - **246**
  **სომეხთა მოთხოვნები. გაზეთი „Le Temps" („ლე ტემპსი")**, 1919, 27 თებერვალი, გვ 4.

- **La question de Trébizonde. Journal "Le Temps"**, 1919, 1 Mars, pp. 4. - **247**
  **ტრაპიზონის საკითხი. გაზეთი "Le Temps" („ლე ტემპსი")**, 1919, 1 მარტი, გვ. 4.

- **Léon FARAUT. Deux leaders de la révolution russe MM. Tctieidzé et Isérételli arrives - à Paris. Journal "Le Petit Parisien"**, 1919, 8 Mars, pp. 1. - **248**
  **ლეონ ფარო. რუსული რევოლუციის ორი ლიდერი, ბატონები ჩხეიძე და წერეთელი პარიზში ჩამოდიან. გაზეთი „Le Petit Parisien" (ლე პეტიტ პარიზიან),** 1919, 8 მარტი, გვ. 1.

- **Les délégués de Géorgie au groupe socialiste. Journal "Le Petit Parisien"**, 1919, 13 Mars, pp. 2. - **251**
  **საქართველოს დელეგატები სოციალისტურ ჯგუფში. გაზეთი "Le Petit Parisien" (ლე პეტიტ პარიზიან)**, 1919, 13 მარტი, გვ 2.

- **Мирная Конференцiя. (Тел. Груз. Т.А.). газета «Борьба»**, 13-го января, 1919 г., # 83 (339). стр. 3. - **252**
  **სამშვიდობო კონფერენცია (საქართველოს სატელეგრაფო სააგენტო). გაზეთი „ბორბა" (Борьба)**, 13 აპრილი, 1919 წ., # 83 (339), გვ. 3.

- **La République de Géorgie. Journal "Le Temps"**, 1919, 17 May, pp. 1-2. - **252**
  **საქართველოს რესპუბლიკა. გაზეთი „Le Temps" („ლე ტემპსი")** 1919, 17 მაისი, გვ. 1-2.

- **Pour la Géorgie libre. Journal: "Le Figaro"**, 3 Juillet, 1919, # 183. pp. 2. - **253**
  **თავისუფალი საქართველოსათვის. გაზეთი „Le Figaro" ("Figaro")**, 1919 წ., 3 ივლისი, # 183, გვ. 2.

- **К спору о границахъ (Сводка мн□нiй грузинской печати). Фрагмент. газета «Новый День»**, 11–го августа, 1919 г., # 16. стр. 2. - **254**
  **საზღვრებთან დავის გამო (ქართული გაზეთების შემაჯამებელი მოსაზრებები). გაზეთი „ნოვი დენ" („Новый День")**, 11 აგვისტო, 1919 წ., # 16, გვ. 2.

- **Представители государствъ, образовавшихся на территории бывшей российской империи. Предс□дателю мирной конференцiй (По докладу, присланному Азербайджанской делегацiй). газета «Борьба»**, 4–го сентября, 1919 г., # 199 (455). стр. 1. - **254**
  **სამშვიდობო კონფერენციის თავმჯდომარეს იმ სახელმწიფოთა წარმომადგენლები-საგან, რომლებიც წარმოიქმნენ ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე (აზერბაიჯანის დელეგაციის მიერ გამოგზავნილი მოხსენების მიხედვით). გაზეთი „ბორბა" (Борьба)**, 4 სექტემბერი, 1919 წ., # 199 (455), გვ. 1.

**პერიოდიკის საძიებელი**
**Periodics' Index - 257**

**პირთა საძიებელი**
**People Index - 259**

**გეოგრაფიული საძიებელი**
**Geographical Index - 267**

# ტომის შედგენილობისათვის

ალმანახის წინამდებარე ტომი იმ თემის გაგრძელებაა, რომელიც წარმოაჩენს საქართველოს საზღვრების პრობლემატიკას XX საუკუნის I ნახევარში და რაც მთავარია, ამ საკითხთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილისა და მის თანამედროვეთა მიერ შექმნილ მდიდარ სამეცნიერო მემკვიდრეობას.

ტომში მოცემული ნაშრომების ერთი ნაწილი საქართველოსა და მის გარშემო განვითარებული პოლიტიკური პროცესების რეტროსპექტივაა, შექმნილი ამ მოვლენათა მომსწრეთა და მონაწილეთა მიერ 1917-1921 წლებში ან მის ახლო ხანებში. ისინი ასახავენ XX საუკუნის დასაწყისში საქართველოსა და მის გარშემო არსებულ გეოპოლიტიკურ ვითარებას. ამ მიზნით შეირჩა ყველაზე თვალსაჩინო ნაშრომები (ს. კაკაბაძე, გ. გვაზავა, ზ. ავალიშვილი), რომლებიც მოკლედ აღნუსხავენ იმ პერიოდის სურათს. ზოგიერთ მათგანს მკითხველს ვთავაზობთ მთლიანად, ნაწილს კი – ფრაგმენტების სახით.

ალმანახის წინამდებარე ტომში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა იმდროინდელ (1917-1921 წლების) პრესაში დაბეჭდილ მასალებს. ეს ცნობები საკმაოდ ფართო და მრავალფეროვანია: საქართველოს ტერიტორიის საზღვრების დადგენა და ცალკეული პოლიტიკური პარტიების ან საზოგადო მოღვაწეთა თვალსაზრისი ამ თემაზე, საზღვრების დამდგენი კომისიების მუშაობა, ინფორმაცია პარიზის სამშვიდობო კონფერენციისა და საქართველოს დელეგატთა მგზავრობა-შეხვედრების თაობაზე, საზღვრების თემატიკაზე წაკითხული ლექციები, სასაზღვრო ზოლის დემოგრაფიული ვითარება და სხვ. ამით შევეცადეთ შეძლებისდაგვარად სრულყოფილად წარმოგვედგინა ის პუბლიკაციები, რომლებშიც ჩვენი ქვეყნის საზღვრების ისტორიული ცვლილებების გამაპირობებელი პროცესებია განხილული.

საქართველოს თანამედროვე ტერიტორიის ფორმირება XX საუკუნის დასაწყისის პოლიტიკურ პროცესებს უკავშირდება. სწორედ ამიტომ წინამდებარე ტომში მოცემულია არა მარტო ის საგაზეთო სტატიები, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული ივანე ჯავახიშვილის სახელთან, არამედ იმ პერიოდის სხვა საზოგადო მოღვაწეების ნაშრომებიც. ისინი ხომ იმ ვითარებას წარმოაჩენენ, რომელშიც მეცნიერს უწევდა მოღვაწეობა და თავისი პირუთვნელი პოზიციის გამოხატვა.

ალმანახის ამ ტომში ჩართულია როგორც ქართულ, ისე უცხო ენაზე (რუსული, ფრანგული, ინგლისური) გამოცემული საგაზეთო პუბლიკაციები. როგორც ცნობილია, 1919 წელს პარიზის კონფერენციამდე და მისი მსვლელობისას უცხოურ პრესაში იბეჭდებოდა ინფორმაცია სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისა და პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე ოფიციალურად მივლენილი დელეგატების შესახებ. ყველაზე მეტი სტატია იბეჭდებოდა სომხეთსა და სომეხ ხალხზე. არც ისე იშვიათი იყო მცდარი და გადაუმოწმებელი ცნობებიც. ამგვარი გადაუმოწმებელი ინფორმაცია ქართულ გაზეთებშიც იბეჭდებოდა, რასაც თვით ივ. ჯავახიშვილიც აღნიშნავდა.

პერიოდული გამოცემები დალაგებულია ქრონოლოგიურად, რაც შესაძლებლობას გვაძლევს, თვალი მივადევნოთ ქვეყანაში და მის ირგვლივ განვითარებულ პროცესებს ისე, როგორც ის რეალურ დროში მიმდინარეობდა.

1917-1921 წლების გამოცემები ჩვენი უახლესი წარსულის კვლევის შეუცვლელი წყაროა. მათში ასახულია ერის პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების უმთავრესი შტრიხები, აგრეთვე, სხვადასხვა სოციალური ფენისა თუ პარტიის წარმომადგენელთა დამოკიდებულება საზოგადოებისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხების მიმართ. იმდროინდელ გამოცემებში მრავლად მოიპოვება საქართველოს საზღვრების შესახებ ინფორმაცია, რომელიც ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ გასაბჭოების შემდეგ სრულიად მიაჩუმათა, თითქოს განსხვავებული მოსაზრებები არც არსებულიყოს. ცალკეული გამონაკლისის გარდა, ფაქტობრივად, თემა მთლიანად დაიხურა, შეუსწავლელი და გაუაზრებელი გახდა ქვეყნისთვის საკვანძო საკითხის მრავალი ასპექტი.

საზღვრებისა და ტერიტორიის საკითხი დღესაც მგრძნობიარე თემაა. ამასთან დაკავშირებით საკმარისია გავიხსენოთ ჟურნალი ,,შინაური საქმეები“, რომელიც 1912 წელს წერდა: „თფილისის საჯარო ბიბლიოთეკაში არქეოლოგებისა და ისტორიკოსების კრებაზე... დიმიტრი ბაქრაძემ საქართველოს საზღვრებზე დიდათ საინტერესო ლექცია წაიკითხა... ლექციაზე დიდძალი საზოგადოება მოგროვდა, უფრო სომხობა და რუსობა იყო. ქართველებიდანაც

იყო ორიოდე თვალსაჩინო მწიგნობარი მოსული... გაათავა მან თუ არა ლექციის წაკითხვა, იმ წამსვე ატყდა გამწარებული კამათი...“ ერთ-ერთი მსმენელი „გამობრძანდა დიმიტრი ბაქრაძის ოფიციალურ ოპონენტად, რომელსაც გულმოსულმა ღვ. დიმიტრი ჯანაშვილმა, ცოტას გაწყრა, კინაღამ ინგილოური მაგარი სილა გააკრა, რომ შუაში დროზე გამზავებელნი არ ჩავარდნილიყვნენ... და საზოგადოებაც დაიშალა... ეს ეპიზოდი დიდად საყურადღებოა. ეს ამბავი ამტკიცებს იმას, რომ ერის ტერიტორიის, მიწა-წყლის საზღვრები ისტორიაში ხშირად და ძალიან ხშირადაც ახლო ნათესავ ხალხებსაც გადაკიდებდა ხოლმე და მათ შორის საზარელ ომებს, დაუსრულებელ სისხლის ღვრას ასტეხდა“.

ჩვენც კარგად გვაქვს გააზრებული, რომ ალმანახის მოცემულ ტომში შესულმა ზოგიერთმა მასალამ შეიძლება გააცოცხლოს ჩვენს მეზობლებთან სასაზღვრო დავის პერიპეტიები და ვინმე გაანაწყენოს კიდევაც. ამ სათუთ საკითხს ყოველთვის ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ, მაგრამ არა – ისტორიის დამახინჯების ხარჯზე. ერთა შორის კეთილმეზობლური დამოკიდებულება და მშვიდობიანი თანაარსებობა არ ნიშნავს უარის თქმას ობიექტურ და შეულამაზებელ, ივანე ჯავახიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, უტყუარი, ჭეშმარიტი ისტორიის შექმნაზე.

ტომი სამი ნაწილისგან შედგება. პირველ ნაწილში თავმოყრილია ის ნაშრომები, რომლებშიც მოცემულია თანამედროვეთა თვალით დანახული საქართველოსა და მის გარშემო განვითარებული პოლიტიკური პროცესის რეტროსპექტივა (1917-1921 წლები). მეორე ნაწილი ეთმობა ამავე წლებში ქართულ პერიოდიკაში საქართველოს საზღვრების შესახებ გამოქვეყნებულ ცნობებს, ხოლო მესამე ნაწილში მოცემულია 1919 წელს გამოცემული უცხოენოვანი საგაზეთო პუბლიკაციების ორიგინალები და თარგმანები. ამ შინაარსის უცხოენოვანი საგაზეთო და, მითუმეტეს, საარქივო მასალების მოძიება სამომავლო ამოცანაა და თუ ვინმე ამ მიმართულებით მხარში ამოგვიდგება, დიდ სამსახურს გაუწევს აღნიშნული პრობლემატიკის სრულად წარმოჩენას.

ტომს თან ერთვის გეოგრაფიულ ობიექტთა და პირთა საძიებლები.

ჩვენ არ ვერევით და უცვლელად ვტოვებთ ავტორისეული ტექსტების სტილს. ჩვენ ასევე ვინარჩუნებთ ერთსა და იმავე სტატიაში ერთი და იგივე სიტყვის განსხვავებულ ფორმებსაც. ჩვენ მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში, თანამედროვე მართლწერის მიხედვით, ვსვამთ სასვენ ნიშნებსა და ვასწორებთ კორექტურულ შეცდომებს.

სარედაქციო კოლეგია მადლობას უხდის სსიპ თბილისის მე-100 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგ დარეჯან კირთაძეს და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტის დოქტორანტ მანანა კვეტენაძეს ალმანახის ამ ტომის მომზადებაში გაწეული შრომისათვის.

**დალი ნიკოლაიშვილი**
**ავთანდილ უჯმაჯურიძე**

# ნაწილი I

## თანამედროვეთა თვალით დანახული საქართველოსა და მის გარშემო განვითარებული პოლიტიკური პროცესის რეტროსპექტივა (1917-1921 წლები)

### სარგის კაკაბაძე
(1886-1967)



ქართველი ისტორიკოსი, პროფესორი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კავკასიის ისტორია-არქეოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, საქართველოს ისტორიის არქივის გამგე (1921-1926), სიძველეთა დაცვის კომიტეტის ხელმძღვანელი (1924-1934), პერიოდული გამოცემების: „საისტორიო მოამბისა" (1924-1925) და „საისტორიო კრებულის" (1928-1929) რედაქტორი.

1920 წელს მან გამოსცა ნაშრომი „საქართველოს მოკლე ისტორია ახალი საუკუნეების ეპოქა". როგორც წინასიტყვაობაში თვით ავტორი აღნიშნავს, წიგნის ძირითადი მიზანია დააკმაყოფილოს, ერთი მხრივ, ის ინტერესი, რომელიც არსებობდა იმდროინდელ საზოგადოებაში „ერის მიერ განვლილ დროთა სივრცის მიმოხილვისა", ხოლო მეორე მხრივ, – ის საჭიროება, რომელიც წარმოიქმნა ახალი გაეროვნებული სკოლისათვის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს შესაქმნელად. სწორედ ამ დასახულმა მიზანმა განსაზღვრა ის გარემოება, რომ ნაშრომში მოკლედ და ძირითად მომენტებზე აქცენტებითაა გადმოცემული ახალი საუკუნეების ეპოქა და საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური თუ ეკონომიკური პროცესები.

## საქართველოს მოკლე ისტორია. ახალი საუკუნეების ეპოქა[1]

*წყარო: გამოცემა საქართველოს ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირისა № 24. ტფილისი, 1920 წ. გვ. 212-225.*

**საბჭოთა მთავრობის დამყარება რუსეთში.** რუსეთის რევოლიუციამ თავისუფლება მიანიჭა რუსის ხალხის დიდი ხნით შებორკილ ძალებს, მაგრამ მან ვერ მოსპო მსოფლიო ომი და ვერ შეასუსტა ამ ომით გამოწვეული კრიზისი რუსეთის ეკონომიურ ცხოვრებაში. მალე რევოლიუციონურ მოძრაობამ რუსეთში მიიღო უკიდურესი მიმართულება. პირველობა თანდათან რჩებოდათ ბალშევიკებს, რომელნიც პირდებოდნენ ხალხს ომის შეწყვეტას, ზავის ჩამოგდებას რუსეთთან მეომარ სახელმწიფოებთან, კაპიტალიზმის დაცემას და სოციალიზმის განხორციელებას. ამ ლოზუნგების წყალობით ბალშევიზმი გავრცელდა ჯარში, რომელიც ხანგრძლივ ომისაგან თავმობეზრებული მზად იყო საომარი ფრონტი მიეტოვებინა და სამშობლო ქვეყანაში დაბრუნებულიყო. 1917 წლის ოქტომბრის დასასრულს ბალშევიკები პეტერბურგში აშკარად და ახალის ძალით გამოვიდნენ კერენსკის[2] დროებითი მთავრობის წინააღმდეგ და იმავე თვის 27-ს ჩაიგდეს კიდეც მთელი ძალა-უფლება ხელში. ბალშევიზმი თანდათან გავრცელდა და მალე ის მოედო რუსეთის უმეტეს ნაწილს. მართველობა გადავიდა ყველგან მუშათა, ჯარის-კაცთა და გლეხთა საბჭოების ხელში, ხოლო ცენტრალურ გამგებლობას კი ამიერიდგან აწარმოებდა

1 ვბეჭდავთ მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ გადადგმული ნაბიჯების ამსახველ მონაკვეთს [რედ].

2 კერენსკი ალექსანდრე – რუსეთის დროებითი მთავრობის თავმჯდომარე/ [რედ].

სახალხო კომისართა საბჭო, რომლის თავმჯდომარედ გახდა ვლ. ულიანოვი (ლენინი).

რუსეთი ამის შემდეგ დაეშვა ახალ სოციალურ ექსპერიმენტების გზაზედ, რამაც ფრიად არია ქვეყნის შინაური ცხოვრება, დასცა მისი კეთილ-დღეობა და სასტიკ სამოქალაქო ომის გაჩაღებით რუსის ხალხის მომავალი დიდს განსაცდელში ჩააგდო.

**ამიერ-კავკასიის კომისარიატი.** ბალშევიკების გამარჯვებამ პეტერბურგს და რუსეთში სამოქალაქო ომის გაჩაღებამ აიძულა ამიერ-კავკასია საკუთარი ძალით მოევლო საქმისათვის. ბალშევიკების პროპაგანდის გავლენით ოსმალეთის ფრონტზე მყოფი ½ მილიონიანი რუსის ჯარი ღელავდა, მასში თან-და-თან ფეხს იკიდებდა ფრონტის მიტოვების და სამშობლოში დაბრუნების აზრი. 20 ოქტომბერს 1917 წ. პირველად დაიძრა ოსმალეთის ფრონტიდგან მე-39 დივიზია და წამოვიდა უკან. ამავე დროს შინაური მდგომარეობაც, განსაკუთრებით სომეხ-თათართა გამწვავებულ ურთიერთობისა გამო აღმოსავლეთ და სამხრეთ ამიერ-კავკასიაში, დიდს ყურადღებას თხოულობდა. ასეთს გარემოებაში აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა ისეთ ორგანოს შექმნა, რომელიც დროებით მაინც შესძლებდა ამიერ-კავკასიის მართვა-გამგეობის ფუნქციების შესრულებას.

ამ აზრით 11 ნოემბერს 1917 წ. ტფილისში შედგა რევოლიუციონერ დაწესებულებათა წარმომადგენლების კრება, რომელშიდაც მონაწილეობას ღებულობდნენ მუშათა და გლეხთა საბჭოების ცენტრებისა, კავკასიის ჯარის ცენტრის, ტფილისის მუშათა და ჯარის-კაცთა დეპუტატების საბჭოს, პოლიტიკურ პარტიების და სხ. წარმომადგენლები და აგრეთვე ამ დროს უკვე მთლად გავლენა დაკარგული ამიერ-კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი. თათბირს დაესწრო სულ 400 კაცამდის. კრებაზედ გამოტანილ იქმნა დადგენილება ამიერკავკასიის დროებითი მთავრობის – კომისარიატის დაარსების შესახებ. კომისარიატს უნდა ეზრუნა ქვეყნის მართვა-გამგეობისათვის მთლიან რუსეთის ნაიდაგზე რუსეთის დამფუძნებელ კრების არჩევნების დამთავრებამდის, რის შემდეგ ადგილობრივი მართვა-გამგეობის საქმის მოწყობა რუსეთის დამფუძნებელი კრების წევრთ ან მათ მოადგილეთა კომპეტენციაში უნდა ყოფილიყო. კომისარიატის თავმჯდომარედ ამორჩეულ იქმნა ევ. გეგეჭკორი, შინაგან საქმეთა კომისრად დაინიშნა აკ. ჩხენკელი და იუსტიციისა და განათლებისა – შალ. ალექსი-მესხიშვილი. დანარ-ჩენი 8 კომისარი იყი სომეხთა, თათართა და რუსთაგან. მალე სამხედრო და საზღვაო საქმეების კომისრადაც დაინიშნა ვლად. გობეჩია, კიდევ ერთი წარმომადგენელი საქართველოს რევოლიუციონურ თაობისა. 1918 წ. მარტიდგან კიდევ შინაგან საქმეთა მართველობა ჩაბარდა ნოე რამიშვილს.

კომისარიატს უხდებოდა მუშაობა ფრიად ცუდს პირობებში. ფრონტზე მყოფი რუსი ჯარი იშლებოდა, შიგნით მყოფი რუსი ჯარის ნაწილები აგრეთვე ბალშევიზმისაკენ იხრებოდნენ. თვით ტფილისსაც ხშირად გაბალშევიკებულ რუსის ჯარის-კაცებისაგან საშიშროება მოელოდა. ამ საფრთხის თავიდგან ასაცილებლად 29 ნოემბერს 1917 წ. რევოლიუციონურმა წითელ გვარდიის რაზმმა ვალ. ჯუღელის მეთაურობით დაიჭირა ტფილისის არსენალი და ამით ფრთა შეაკვეცა ბალშევიკ ჯარისკაცების მძლავრებას. ეს იყო პირველი დიდი გამოსვლა წითელი გვარდიისა, რომელსაც მოყვა გვარდიის ორგანიზაციულად დარაზმვა და მისი მტკიცე შეიარაღებულ ძალად გადაქცევა.

ამ წითელ გვარდიიდგან შემდეგ წარმოიშვა საქართველოს რესპუბლიკის სახალხო გვარდია.

**ამიერ-კავკასიის ფაქტიური გამოყოფა რუსეთისაგან.** რუსეთის საბჭოთა მთავრობამ სახელმ-წიფო ძალა-უფლების თავის ხელში ჩაგდებისთანავე ჩამოაგდო დროებითი ზავი გერმანიასა და მისს მოკავშირეებთან და შემდეგ შეუდგა საზავო მოლაპარაკებას. ამისდა მიხედვით ოსმალეთმაც წინადადება მისცა ამიერ-კავკასიის კომისარიატს დროებით ზავის ჩამოგდებისა და შემდეგ მუდმივი ზავის შეკვრის შესახებ. დროებითი ზავი ფრონტზე გატარებულ იქმნა, საზავო მოლაპარაკების დაწყებაზე კი კომისარიატმა უარი განაცხადა. კომისარიატი იდგა მთლიან რუსეთის საფუძველზე და ამიტომ უცდიდა სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრების მოწვევას, რომელიც 1918 წ. 5 იანვრისთვის იყო დანიშნული პეტერბურგში. მაგრამ დამფუძნებელი კრება ბალშევიკებმა გარეკეს, რადგან თვით ისინი მასში უმცირესობას შეადგენდნენ და გარდა ამისა საყოველთაო არჩევნების პრინციპზე აგებული სახალხო წარმომადგენლობა იდეოლოგიური მოსაზრებით საბჭოთა მთავრობისათვის მიუღებელი იყო. რუსეთის დამფუძნებელ კრების შემდეგ ამიერკავკასია ფაქტიურად გათიშულ დარჩა რუსეთისაგან. ამიერ-კავკასიის კომისარიატი კიდეც ცდილობდა ოსმალეთთან ზავის საკითხში კავშირის გაბმას ყუბანისა, უკრაინისა და საზოგადოდ სამხრეთ რუსეთის ოლქების მთავრობებთან, მაგრამ ამ ცდისაგან არა გამოვიდა რა.

**რუსეთის ჯარი მიდის კავკასიის ფრონტიდგან.** მარტოდ დარჩენილი ამიერ-კავკასია იძულებული გახდა თავისი საკუთარი ძალით მოევლო გართულებულ მდგომარეობისათვის. ამასობაში ფრონტის დაშლამ კატასტროფიული ხასიათი მიიღო. რუსის ჯარი დაიძრა საომარი ხაზიდგან. სომეხთა ეროვნული სამხედრო ნაწილები ცდილობდნენ დაცლილ ადგილების შენარჩუნებას, მაგრამ ამაოდ. ჯარის უკან დახევას მოყვა ომის დროს რუსეთის მიერ დაკავებულ ოსმალეთის ტერიტორიაზე ძალმომრეობის გახშირება. სოფლების აოხრება, დახოცვა და აწიოკება მშვიდობიან მაჰმადიან მცხოვრებლებისა გახშირდა. თავის მხრივ მაჰმადიანებიც (ქურთები და თურქები) ცდილობდნენ წვრილ-წვრილ თავდასხმებით რუსი ჯარის შეწუხებას უკან სვლის დროს. ასეთ არევ-დარევით ისარგებლა ოსმალეთის სარდლობამ და ბრძანება გასცა საერთო შეტევაზე გადასვლის შესახებ. მალე ოსმალთ დაიჭირეს ერზინჯანი, ტრაპეზუნტი, ვანი, არზრუმი და შემდეგ გადმოვიდნენ ყოფილ რუს-ოსმალოს საზღვრის აქეთ.

**ამიერ-კავკასიის სეიმი.** ფრონტის დაშლა დღითი დღე ვითარდებოდა, როდესაც 10 თებერვალს 1918 წ. ტფილისში შეიკრიბა ამიერ-კავკასიის სეიმი, რომელიც შესდგა რუსეთის დამფუძნებელ კრების არჩევნებზე მიღებული შედეგების მიხედვით თითო დეპუტატის საარჩევნო ზომის ერთი სამად გადიდებით. სეიმის თავჯდომარედ ამორჩეული იქმნა ნიკოლოზ ჩხეიძე. სეიმს შეადგენდა: 115 დეპუტატი: 32 სოციალ-დემოკრატი, 30 თათართა პარტიის მუსავატის და მისი თანამგრძნობთა წარმომადგენელნი, 27 სომეხთა დაშნაკცუთუნის პარტიისა, 5 სოციალისტ-რევოლუციონერი, 1 ქართველი სოციალ-ფედერალისტი, 1 ქართველი ეროვნულ-დემოკრატი და სხ.

სეიმის მთავარი ყურადღება მიპყრობილი იყო გარეშე საფრთხისაკენ, რომელსაც წარმოადგენდნენ ოსმალნი. შიგნით სეიმმა გაატარა კანონი მემამულეთათვის, გარეშე განსაზღვრულ ნორმისა, მიწის იძულებით ჩამორთმევის შესახებ. პრივილეგიურ წოდებათა (საქართველოში თავად-აზნაურობის) გაუქმება კი უკვე დადასტურებული იყო ამიერ კავკასიის კომისარიატის დეკრეტით 1917 წლის ნოემბერში. 1918 წ. 18 აპრილიდან კიდევ სეიმის დადგენილებით შემოღებული იქმნა დროის ახალი სტილით აღრიცხვა.

**ტრაპეზუნტის კონფერენცია.** 16 თებერვლის სხდომაზე სეიმმა დაადგინა შეუდგეს საზავო მოლაპარაკებას ოსმალეთთან, რისთვისაც მალე გაგზავნილი იქმნა განსაკუთრებული საზავო დელეგაცია აკ. ჩხენკელის თავმჯდომარეობით. მოლაპარაკების ადვილად აღნიშნული იყო ქალ. ტრაპეზუნტი, რომელიც ამასობაში ოსმალთ კიდეც დაეჭირათ. ტრაპეზუნტის კონფერენციის მუშაობა გაიხსნა 1 მარტს. ოსმალეთი პირველად მოითხოვდა ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებას და ამას ასაბუთებდა საზავო ხელშეკრულების იურიდიულ ფორმაში ჩამოყალიბების საჭიროებით.

ამასობაში რუსეთის საბჭოთა მთავრობა ქალ. ბრესტ-ლიტოვსკში უკვე ზავით შეკვროდა გერმანიას და მის მოკავშირეთ ოსმალეთთან ერთად (18 თებერ. 1918 წ.). ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ძალით რუსეთი თანხმდებოდა ბათომისა და ყარსის ოლქის დაცლაზედ და ამ ოლქების მოსახლეობის თვითგამორკვევაზედ იმ პირობით, რომ ამ ოლქების ბედი უნდა გარდაეწყვიტა ოსმალეთს მეზობელ სახელმწიფოებთან შეთანხმებით. ეს მუხლი ცხადჰყოფდა ოსმალეთის სურვილს ამ ოლქების დაპყრობის შესახებ და მართლაც ოსმალეთმა მაშინვე მოითხოვა ბათომისა და ყარსის მისთვის გადაცემა. ტრაპეზუნტის კონფერენციაზედ ოსმალთა დელეგაცია თხოულობდა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ამ მუხლის მიღებას ამიერ-კავკასიის კომისარიატის მიერ. ასეთს პირობებში სეიმმა შეუძლებლად ჩასთვალა მოლაპარაკების გაგრძელება და 31 მარტს დაადგინა თავისი დელეგაციის უკან გამოწვევა.

**ბათომის აღება ოსმალთა მიერ.** ამ დროს ოსმალთა ჯარს უკვე დაეკავებინა მთელი ის ტერიტორია, რომელიც რუსეთს დაეპყრო ომის დროს, ეხლა გადმოსულიყო რუს-ოსმალოს ყოფილს საზღვარსაც და შემოდგომოდა ბათომის ციხე-სიმაგრეს. ბათომს იცავდა მზა-მზარეულად შეყრილი ქართველი ჯარისკაცები და აგრეთვე მოხალისეთა რაზმები. ბათომის დაკარგვის შიშმა დიდი საომარი აღფრთოვანება გამოიწვია საქართველოში. მაგრამ მარტო აღფრთოვანება არ კმაროდა დაშლილ ჯარის ხელახლავ შესაკავშირებლად და მტკიცე სამხედრო ორგანიზაციის შესაქმნელად. 1 აპრილს 1918 წ. ხანმოკლე და უმნიშვნელო ბრძოლის შემდეგ ოსმალთ აიღეს ბათომი და განაგრძეს შეტევა. მალე მათ დაიჭირეს ქალ. ოზურგეთიც, ხოლო რკინის-გზის გასწვრივ მისდგნენ მდ. ნოტანებს[1]. 8 აპრილს მდ. ნოტანების სამხრეთით ოსმალთა ჯარს დახვდა ქართველთა რაზმები და ჯავშნოსანი მატარებელი, რომელსაც უფროსობდა გოგუაძე. ოსმალნი სასტიკად დამარცხდნენ და მარტო მოკლულით, დაჭრილთა გარდა, დაკარგეს 600 კაცზე მეტი.

---

1 აქ და სხვაგან იგულისხმება ნატანები [რედ.].

ნოტანების გამარჯვებამ შეაჩერა ოსმალთა წინსვლა. ცოტა ხნის შემდეგ ამიერ-კავკასიის სეიმმაც გარდასწყვიტა საზავო მოლაპარაკების განახლება.

**ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება.** ბათომის დაკარგვის შემდეგ სეიმი დარწმუნდა, რომ ოსმალეთთან ზავის შეკვრა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა ქვეყნის შინაურ მდგომარეობის მოსავლელად. შინაური ვითარებაც ფრიად სერიოზული იყო. სწორედ იმ დროს, როდესაც ოსმალნი ბათომს შემოდგომოდნენ, ბალშევიკებს გორის მაზრის ოსეთში აჯანყება მოეწყოთ და ცოტა ხნის შემდეგ ასეთივე არეულობა მოხდა ოდიშის და ლეჩხუმის ჩამორჩენილ კუთხეებში. ამიერ-კავკასიის სამხრეთ ნაწილებშიაც სომეხთა და თათართა შორის ურთიერთობა ფრიად გამწვავებული იყო, რაც აშკარა შეტაკებებში პოულობდა თავის გამოხატულებას. ასეთს პირობებში უჯარო და ანარქიულ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანას ოსმალეთისთვის არავითარი წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო, მით უმეტეს რომ სეიმის ერთი დიდ პარტიათაგანი – თათრების "მუსავატი" – ორჭოფულ გზას ადგა და თუმცა სეიმის სხვა პარტიათა დადგენილებებს ომისა და ზავის საკითხში ხმას აძლევდა, მაგრამ წინდაწინვე უარს აცხადებდა აზერბაიჯანის მაჰმადიან მოსახლეობის სულიერ განწყობილების შესახებ პასუხისმგებლობაზედ. 9 აპრილს 1918 წ. სეიმმა, თანახმად ოსმალეთის მოთხოვნილებისა ტრაპეზუნტის კონფერენციაზე, გამოაცხადა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა. ევ. გეგეჭკორის კომისარიატი გადადგა და მის მაგივრად შესდგა ახალი მთავრობა აკ. ჩხენკელის თავმჯდომარეობით. ამ მთავრობაში ირიცხებოდა 12 მინისტრი, მათში 4 ქართველი იყო, რომელთაც ეჭირათ ყველაზედ უფრო საპასუხისმგებლო სამინისტროები (აკ. ჩხენკელი თავმჯდომარე და გარეშე საქმეთა მინისტრი, ნოე რამიშვილი – შინაგან საქმეთა, გრ. გიორგაძე – სამხედრო და ნოე ხომერიკი – მიწათმოქმედების მინისტრი). საზავო მოლაპარაკება ოსმალეთთან ისევ განახლდა, კონფერენცია გაიხსნა ქალ. ბათომში, სადაც წავიდა განსაკუთრებული დელეგაცია თვით აკ. ჩხენკელის თავმჯდომარეობით.

**ბათომის კონფერენცია.** ამიერ-კავკასია ამ დროს უკვე დამოუკიდებელ რესპუბლიკად იყო გამოცხადებული. გარდა ამისა დელეგაცია ბოლოს დათანხმდა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების მიღებას შესახებ ბათომის და ყარსის ოლქებისა. მაგრამ მოლაპარაკებიდან მაინც არაფერი გამოდიოდა.

ამისი მთავარი მიზეზი იყო ის გარემოება, რომ ამიერ-კავკასიის სამ მთავარ ერს (ქართველთა, თათართა და სომეხთა) შორის არ იყო ინტერესთა და კულტურულ-პოლიტიკურ სიმპატიების ერთიანობა. თათრები ოსმალების ბატონობის მოულოდნელ დამკვიდრებას ამიერ-კავკასიაში თანაგრძნობით უყურებდნენ, მაშინ როდესაც როგორც ქართველებისათვის, ისე სომხებისათვის ეს მიუღებელი იყო. ოსმალთ უკვე ეჭირათ ყარსი და მალე მათ დაიპყრეს გუმბრი – ალექსანდროპოლიც. ამასთანავე მათ ისარგებლეს ამიერ-კავკასიის ერთა შორის შეუთანხმლობით და მოითხოვეს ახალციხის და ახალქალაქის მაზრების მათთვის გადაცემა. მდგომარეობა თანდათან რთულდებოდა. ოსმალთა დელეგაციის მოქმედებიდგან პირდაპირ სჩანდა, რომ ოსმალეთს არ სურს მთლიან ამიერ-კავკასიასთან ზავის შეკვრა და ამჯობინებს ყოველ ერთთან კერძოობით მოლაპარაკებას.

ბათომის კონფერენციაზედ იმყოფებოდა აგრეთვე გერმანიის მთავრობის წარმომადგენელი გენ. ფონ-ლოსსოვი, რომელიც ოსმალთა გადაჭარბებულ მოთხოვნილებით კმაყოფილი არ იყო და ამიერ-კავკასიისა და ოსმალეთის დელეგაციას შორის შუამავლობასაც კისრულობდა.

ასეთს პირობებში საქართველოს სასიცოცხლო ინტერესები თხოულობდა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის გაუქმებას და დამოუკიდებელ პოლიტიკის წარმოებას.

26 მაისს 1918 წ. ამიერ-კავკასიის სეიმმა გამოაცხადა თავისი თავი გაუქმებულად და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკა დაშლილად.

საქართველოს ბედის ბატონად ხდებოდა ქართული ეროვნული საბჭო.

**ეროვნული საბჭო.** ეს საბჭო ამორჩეული იყო ქართულ ეროვნულ ყრილობაზე, რომელიც შესდგა ტფილისში 19-23 ნოემბერს 1917 წ. ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით. ამ ყრილობას ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ცხად ჰყო ასეთ არევ-დარევის დროს ერის სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხებში ყველა პოლიტიკურ პარტიათა და მიმართულებათა გაერთიანების შესაძლებლობა. ყრილობამ მიიღო დადგენილება საქართველოსთვის ფართო თვითმართველობის საჭიროებისა საკანონმდებლო უფლებით, შეიმუშავა აგრეთვე რეზოლიუციები ყველა მთავარ პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ ხასიათის საკითხების შესახებ და შემდეგ აირჩია ეროვნული საბჭო 67 კაცისაგან შემდგარი. ამ შემადგენლობას შემდეგ მიემატნენ ამიერ-კავკასიის სეიმის ქართველნი წევრნი.

**საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება.** ამიერ-კავკასიის სეიმის ადგილი ტფილისში დაიჭირა ქართულმა ეროვნულმა საბჭომ, რომელმაც 26 მაისს 1918 წ. ნაშუადღევის 5 საათზე და 10 წ. გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა განსაკუთრებულის აქტით, რომელშიდაც ეწერა:

„მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

„მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველი მხრით მტრისგან შევიწროებული საქართველო თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისგან დაეცვა.

„რუსეთის დიდი რევოლიუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შეჰქმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დასტოვა ამიერ-კავკასია.

„დარჩენ რა თვისი ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერ-კავკასიამ თვით იდვეს თავს საკუთარი საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერი ორგანოებიც შექმნეს; მაგრამ გარეშე ძალთა ზედგავლენით ამიერ კავკასიის ერთი შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერ-კავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

„ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელი განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.

„ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის, ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ, დღეს აცხადებს:

1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულ-უფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა. 2) დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკაა. 3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა. 4) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილ-მეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან. 5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა. 6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს. 7) დამფუძნებელი კრების შეკრებამდე მთელის საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე".

მე-XVIII საუკუნეში თეიმურაზ II-სა და ერეკლე II-ის დროს სპარსეთში ამტყდარ ანარქიისა გამო აღმ. საქართველო გახდა ფაქტიურად დამოუკიდებელი სპარსეთისაგან.

1918 წ. საქართველო, თავმინებებული რუსეთისაგან იქ ამტყდარ არევ-დარევის გამო, აცხადებს თავის დამოუკიდებლობას.

მე-XVIII საუკუნეში საქართველოს სამეფო ტახტი, მარტოდ დარჩენილი და მოკლებული შიგნით დასაყრდნობ ძალას, უძლური იყო სახელმწიფო ცხოვრების ახალ გზაზე მოსამართავად.

1918 წ. კი სახელმწიფო ცხოვრებას სათავეში მოექცა გათვითცნობიერებული და შეკავშირებული ხალხის მოწინავე ნაწილი და თავისი ძალის მოიმედე მტკიცედ დაადგა მოპოვებული თავისუფლების განმტკიცებისა და ახალი ცხოვრების მოწყობის გზას.

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მთავრობა ნოე რამიშვილის თავჯდომარეობით. დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე ეროვნულმა საბჭომ ამოარჩია რესპუბლიკის მთავრობა. მთავრობის თავმჯდომარედ და შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა ნოე რამიშვილი, გარეშე საქმეთა – აკ. ჩხენკელი, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობისა – გიორგი ჟურული, სამხედრო – გრ. გიორგაძე, განათლების – გიორგი ლასხიშვილი, მიწათ-მოქმედების და შრომისა – ნოე ხომერიკი, იუსტიციის – შ. ალექსი-მესხიშვილი და გზათა – ივ. ლორთქიფანიძე. მთავრობა პასუხისმგებელი იყო ეროვნული საბჭოს წინაშე, რომელიც ამ დროს შესდგებოდა 113 წევრისაგან, ამათგან 65 სოც-დემოკრატი იყო, 16 სოც-ფედერალისტი, ამდენივე ეროვნულ-დემოკრატი, 12 სოციალ-რევოლუციონერი და სხ.

ახალი მთავრობის მთავარ საზრუნავ საგანს შეადგენდა ზავის ჩამოგდება ოსმალეთთან, რომელიც საქართველოს უმწეო მდგომარეობისა გამო აგრესიულს და მუქარის გზას ადგა. იმავე

დღეს, რა დღესაც ცხადდებოდა საქართველოს დამოუკიდებლობა, ოსმალეთის დელეგაციამ ბათომში წამოაყენა ჯერ კიდევ ამიერ-კავკასიის მთავრობის სახელზე ულტიმატუმი ახალციხის და ახალქალაქის მაზრების გადაცემისა და აგრეთვე რკინის-გზებით თავისუფლად სარგებლობის შესახებ. ასეთს გაჭირვებულ მდგომარეობაში მთავრობა იძულებული გახდა მიემართნა ამ დროს ტფილისში მყოფ გერმანიის წარმომადგენლისათვის და ეთხოვა მისთვის გერმანელთა პიკეტების დაყენება საზღვრებზე ოსმალთა წინსვლის შესაჩერებლად. ამ გარემოებამ არივ-დარია ოსმალთა აგრესიული ზრახვების გეგმა. ამასობაში ბათომში ჩავიდა საქართველოს ახალი დელეგაცია ნოე რამიშვილის თავმჯდომარეობით რომელიც ბოლოს-და-ბოლოს იძულებული გახდა არსებითად დათანხმებულიყო ოსმალთა მიერ წამოყენებულ პირობებზედ.

ზავი ოსმალეთთან. 3 ივნისს 1918 წ. შეკრულ იქმნა ზავი ოსმალეთთან, რომლის მიხედვით ოსმალეთს გარდაეცა გარდა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ოლქებისა, ახალციხის და ახალქალაქის მაზრებიც აბასთუმანის და აწყურის გამოკლებით. ამასთანავე ოსმალებს და მათ მოკავშირეებს უფლება მიეცათ რკინის-გზებით სარგებლობისა სამხედრო საჭიროებათათვის.

ამ ხელშეკრულებას შეუდგა ოსმალეთის მიერ ზავის შეკვრა აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკებთან, რომელთაც აგრეთვე გამოეცხადებინათ თავისი დამოუკიდებლობა. მალე ოსმალთ დაიწყეს თავისი ჯარის გადაყვანა აზერბაიჯანში ბაქოზე გასალაშქრებლად იქ დამკვიდრებულ რუს ბალშევიკების წინააღმდეგ.

**გერმანელების ჯარის შემოსვლა საქართველოში.** საქართველოს ახალ რესპუბლიკას ჯერ კიდევ ვერ გაერკვია თავისი მდგომარეობა, ოსმალთ საფრთხეც თვალწინ იდგა და მისი საწინააღმდეგო ძალა კი რესპუბლიკას არ მოეპოვებოდა. ჯარი დაქსაქსულიყო და დაშლილიყო. ასეთს პირობებში საქართველოსთვის აუცილებელი იყო გარეშე დახმარების მოპოება. ამ დროს აღმოსავლეთ-ევროპის ფრონტზე ძლევამოსილი გერმანია შემოსული იყო უკრაინასა, ყირიმში და ამ გვარად მოახლოვებოდა საქართველოს. წინასწარ მოლაპარაკების შემდეგ გერმანიის ჯარი, დაახლოებით 17 ათასი კაცი შემოვიდა საქართველოში და დადგა როგორც ტფილისსა, ისე სხვა ადგილებში. ამ ჯარის უფროსი გენ. ფონ-კრესი იმავე დროს ფაქტიურად გერმანიის დიპლომატიური წარმომადგენლის როლსაც ასრულებდა. გერმანიამ იკისრა საქართველოს რესპუბლიკის საზღვრების დაცვა, რის გამოც შემოსვლისთანავე ამ ჯარის ერთი ნაწილი გაიგზავნა ბორჩალოს მაზრაში ოსმალების მიერ ამხედრებულ შეიარაღებულ ბრბოებთან საბრძოლველად. შემდეგ გერმანიამ აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობაც.

მთავრობის სათავეში დგება ნოე ჟორდანია. რესპუბლიკის შინაური მდგომარეობა ამ დროს მეტად გაურკვეველი იყო. ამასთანავე რუსის ბალშევიკები შემოჭრილიყვნენ აფხაზეთ-სამურზაყანოში და ზოგან ადგილობრივი შეუგნებელი ელემენტებიც თავისს მხარეზედ გადაებირებინათ. როგორც წინად ბათომზე ოსმალების გალაშქრების დროს, ისე ეხლაც ბალშევიკები ცდილობდნენ თავისი აგიტაციის გაღვივებას ყველაზე უფრო ჩამორჩენილ მხარეებში განუვითარებელ მასსის თავისს მხარეზე გადასაბირებლად საჭირო იყო მტკიცე და განსაკუთრებული უფლებებით აღჭურვილი მთავრობა. ამიტომ 24 ივნისს მთავრობას სათავეში ჩაუდგა თვით სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ბელადი ნოე ჟორდანია. ნოე რამიშვილი კი დარჩა შინაგან საქმეთა მინისტრად. მასვე დაევალა გარეშე საქმეთა მინისტრის თანამდებობის ასრულება.

აფხაზეთში შემოჭრილი ბალშევიკები დამარცხებულ იქმნენ, მაგრამ ამ დროს ოსმალთ ალ. შერვაშიძის მოწვევით გადმოსხეს მდ. კოდორზე თავისი რაზმი აფხაზეთის ასაჯანყებლად და შემდეგ იქ ფეხის მოსაკიდებლად. სოხუმის ჯარის უფროსმა გენ. მაზნიაშვილმა დაიჭირა სოხუმის დამცველი პოზიციები და ამით შეუშალა ხელი ოსმალთ მათი განზრახვის შესრულებაში. ამასობაში გერმანელებმაც მოსთხოვეს ოსმალთ გადმოსხმულ ჯარის გაყვანა და მართლაც მცირე შეტაკების შემდეგ ოსმალთ დასცალეს აფხაზეთის სანაპირო.

ამის შემდეგ საქართველოს მხედრობამ გენ. მაზნიაშვილის მეთაურობით განდევნა ბალშევიკები როგორც სოხუმის, ისე სოჭის ოლქიდგან და დაიჭირა ტუაფსეც.

ბალშევიკების საფრთხე ამის შემდეგაც არ მოსპობილა. ამავე 1918 წლის ივლისში ბალშევიკებმა თავი წამოყვეს დუშეთის მაზრაში, რომლის ჩამორჩენილობა მათი აგიტაციის საქმეს ფრიად აადვილებდა, და მოვიდნენ თითქმის მცხეთამდის. სახალხო გვარდიამ და ჯარმა ჩააქრო ეს აჯანყებაც.

ყველა ამ სამხედრო მოქმედებაში მთავარ მონაწილეობას ღებულობდა სახალხო გვარდია. ეს

იყო ამ დროს თითქმის ერთად-ერთი სამხედრო ძალა, რადგანაც რეგულიარულ ჯარის მოწყობის საქმე მხოლოდ ეხლა იწყებოდა.

1918 წლის ოქტომბერში უკვე საბოლოოდ გამოირკვა, რომ მსოფლიო ომში გამარჯვება დარჩათ ინგლისს, საფრანგეთს და მათ მოკავშირეებს. ჯერ ბოლგარეთმა, შემდეგ ოსმალეთმა და ავსტრო-ჰუნგრეთმა დაჰყარეს იარაღი, რის შემდეგ 11 ნოემბერს გერმანიის ახალი რესპუბლიკანურ მთავრობის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს დროებით ზავის პირობებს.

ოსმალებს უკვე დაეწყოთ დაცლა ახალციხის და ახალქალაქის მაზრებისა და ბორჩალოს მაზრის იმ ნაწილისა, რომელიც მათ ეჭირათ და გერმანელებიც მიდიოდნენ საქართველოდგან.

**ომი სომხეთთან.** ახლად შექმნილ მდგომარეობით მოინდომეს სარგებლობა სომხეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელმა წრეებმა, რომელთაც მოკავშირეთა გამარჯვება უნდოდათ გამოეყენებინათ სომხეთის გასაძლიერებლად ამიერ-კავკასიაში მეზობლების ხარჯზედ. ჯერ კიდევ ოქტომბერში სომხეთის მთავრობის მიერ მიცემულ განკარგულების მიხედვით სომხეთის ჯარის ნაწილები დაეცნენ ბორჩალოს მაზრაში საქართველოს სამხედრო რაზმს და დაიჭირეს წათერი და კორინჯი, ხოლო დეკემბრის დასაწყისში კი, როდესაც გერმანელების ჯარი ტფილისიდგან თითქმის მთლად გასული იყო, ერევნიდგან მოაწყვეს სომხების მიერ დასახლებულ სოფლების აჯანყება ბორჩალოს მაზრის სამხრეთ ნაწილში სანაინ-კობერის ხაზზედ. 9 დეკემბერს სადგ. სანაინთან ერევნის მთავრობის აგენტების მიერ აჯანყებულნი ადგილობრივი მკვიდრნი სომხეთის რესპუბლიკის ჯარისკაცებთან და აფიცრებთან ერთად, დაეცნენ ქართველთა რაზმს და გააფუჭეს რკინის-გზა. აჯანყებულნი სომხეთის ჯარის ნაწილების დახმარებით თანდათან აძლიერებდნენ თავისს სამხედრო მოქმედებას. მათ დახოცეს ან ტყვედ წაიყვანეს საქართველოს სადარაჯო რაზმები და შემდეგ რიგ-რიგობით ხელში ჩაიგდეს სამი ჯავშნოსანი მატარებელი. სომხეთის მთავრობამაც ამასობაში ნიღაბი მოიხსნა და წარუდგინა საქართველოს ულტიმატიური მოთხოვნილება ახალქალაქისა და ბორჩალოს[1] მაზრების დაცლის შესახებ მდ. ხრამამდის. მაშინ საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა გამოეცხადა მობილიზაცია (18 დეკემბ.)

ამასობაში სომხეთის ჯარი შემოჭრილიყო ჯავახეთში, ხოლო ბორჩალოში უახლოვდებოდა მდ. ხრამის ხაზს. ამავე დროს მდ. ხრამის ჩრდილოეთის სოფ. დაგეტ-ხაჩინში, წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით სომხეთის ჯარისთვის ტფილისისაკენ წასასვლელ გზის გასაადვილებლად, გამაგრდნენ აჯანყებულნი ადგილობრივი მცხოვრებნი.

სომხეთის რესპუბლიკის ვერაგულმა თავდასხმამ დიდი აღშფოთება გამოიწვია მთელს საქართველოში. ძლიერ ბევრი მიდიოდა ფრონტზე მოხალისედ. 19 დეკემბერს სოფ. ეკატერინეფელდთან სახალხო გვარდიამ დაამარცხა სომხეთის ჯარი. მეორე დღეს ჯავახეთშიდაც მტერი უკუგდებულ იქმნა. მალე საქართველოს მხედრობა – ჯარი და სახალხო გვარდია – გადავიდა საერთო შეტევაზე, 29 დეკემბერს აიღო შულავერი, შემდეგ სადახლო მარცხენა ფრთაზე და ბოლნისი მარჯვენაზედ.

ამასობაში ინგლისის და საფრანგეთის წარმომადგენლები ჩაერივნენ სომხეთ-საქართველოს შორის მომხდარ უთანხმოებაში და, თანახმად მათი მოთხოვნისა, 31 დეკემბერს ღამის 12 საათზე საომარი მოქმედება შეწყვეტილი იქმნა. შემუშავებულ პირობის მიხედვით, ჯავახეთი და ბორჩალოს მაზრის ჩრდილოეთი ნაწილი დარჩა საქართველოს მართველობაში, ლორე კი გამოცხადდა ნეიტრალურ მხარედ, რომლის მართველობა საქართველოს და სომხეთის შეთანხმებით უნდა წარმოებულიყო.

**ოსმალეთის აგენტები სამცხეში.** სომხეთთან ომის გათავების შემდეგ საქართველოს ახალი სიძნელე გაუჩნდა თებერვალში 1919 წ. ოსმალეთის აგენტებმა მოაწყვეს აჯანყება ახალციხის მაზრაში და აიძულეს საქართველოს ჯარი ეს მხარე დაეცალათ. საჭირო ძალის დაგროვების შემდეგ, საქართველოს მხედრობა გენ. კვინიტაძის უფროსობით გადავიდა შეტევაზე, 9 მარტს დაიჭირა ახალციხე და მალე გასწმინდა ოსმალთა აგენტებისა და მათი ბრბოებისაგან მთელი მაზრა.

**საქართველოს დამფუძნებელი კრება.** ამასობაში თანახმად პარლამენტის მიერ (პარლამენტად გამოცხადებული იყო ყოფილი ეროვნული საბჭო) მიღებულ კანონისა, უკვე მომხდარი იყო დამფუძნებელ კრების არჩევნები, საყოველთაო ხმის მიცემისა და პროპორციულ სისტემაზე

1 ბორჩალოს მაზრა შედგება უმთავრესად სამი ნაწილისაგან: თრიალეთი ანუ ახლანდელი წალკა, ტაშირი ანუ ლორე და ხუნანი (მაზრის ჩრდილოეთი ნაწილი) რომელიც შემდეგ იწოდებოდა ქართველების მიერ სომხითად, უმთავრესად იმიტომ რომ ადგილობრივ ქართველ მოსახლეობაში საკმაოდ გავრცელებული იყო ანტი-ხალკიდონური ანუ სომხურ ეკლესიის მოძღვრება. მე-XVII საუკუნეში კიდევ ხუნანში სპარსეთის მთავრობის მიერ დასახლებულ იქმნა თათართა ელი ბორჩალუ, რომლისგან შემდეგ მთელმა მხარემ მიიღო თავისი აწინდელი სახელი.

აგებული. 12 მარტს 1919 წ. – რუსეთის რევოლიუციის ორი წლის თავს – ტფილისში გაიხსნა დამფუძნებელი კრება, რომლის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ნიკ. ჩხეიძე, ამ დროს პარიზს მყოფი, სადაც ის გაგზავნილი იყო საზავო კონფერენციაზე წასულ საქართველოს დელეგაციის მეთაურად. თავმჯდომარის უფროსს ამხანაგად კი არჩეული იქმნა ალ. ლომთათიძე, ხოლო უმცროს ამხანაგებად ექვ. თაყაიშვილი და სვ. მდივანი. დამფუძნებელ კრებაში ირიცხებოდა 130 წევრი. სულ ამავე წლის აგვისტოში მომხდარ დამატებითი არჩევნების შედეგთან ერთად დამფუძნებელ კრების არჩევნებზე მიცემული აღმოჩნდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიის სიისთვის 465,136 ხმა, სოციალისტ-ფედერალის[ტ]ების პარტიისა – 41,003, ეროვნულ-დემოკრატებისა – 31,549, სოც-რევოლიუციონერებისა 22,821, დაშნაკცუტუნისა 15,936 და ეროვნულ პარტიის სიისთვის კიდევ 8,836 ხმა. ამისდა მიხედვით დამფუძნებელ კრებაში 1919 წლის აგვისტოდგან ირიცხებოდა 105 სოც-დემოკრატი, 9 სოც-ფედერალისტი, 7 ეროვნულ-დემოკრატი, 5 სოციალისტ-რევოლიუციონერი, 3 დაშნაკცუტუნის წევრი და 1 ეროვნულ პარტიისა. 1919 წლის განმავლობაში დამფუძნებელი კრების არჩევნები გატარებული იყო რესპუბლიკის ფაქტიურ მფლობელების მთელს ტერიტორიაზე გარდა სოხუმის ოლქისა ანუ, როგორც ეხლა იწოდებოდა, აფხაზეთისა.

**რუსების მოხალისეთა არმია საქართველოს წინააღმდეგ.** ამ დროს საქართველოსთვის დიდს საფრთხეს წარმოადგენდა რუსთა მოხალისეთა არმია, რომელიც 1918 წლის დასასრულიდგან თანდათან გაიზარდა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ევროპის შეთანხმების სახელმწიფოებმა მისი ბალშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად გამოყენება გარდასწყვიტეს და მას ამ მიზნით სამხედრო სურსათ-საგნებით დახმარების მიცემა დაუწყეს. მოხალისეთა არმიის ხელმძღვანელთ მიზნათ ჰქონდათ დასახული მთლიანი რუსეთის აღდგენა და ამიტომ საქართველოს თავისუფალ არსებობას ისინი ვერ შერიგებოდნენ. 6 თებერვალს მოხალისეთა არმიის ჯარის ნაწილები მოულოდნელად თავს დაეცნენ ქართველთა ჯარს სოჭას, დაიჭირეს ეს ქალაქი და შემდეგ გამოემართნენ აფხაზეთისაკენ, გამოიარეს გაგრა და მიადგნენ მდ. ბზიბს, სადაც სასწრაფოდ გაგზავნილმა ქართველების ჯარმა შეაჩერა უკვე აფხაზეთს შემოსული მოხალისეთა არმიის ჯარის ნაწილები. მოხალისეთა არმიამ ცოტა ხნის შემდეგ დაიჭირა დაღისტანიც და ემუქრებოდა აზერბეიჯანს. ამ გარემოებამ გამოიწვია საქართველოსა და აზერბეიჯანს შორის სამხედრო კავშირის შეკვრა (16 ივნისს 1919 წ.) საქართველოს ჯარმა მალე ისევ დაიბრუნა გაგრის რაიონი და იქ გამაგრდა. სოჭის ოლქი კი 1919 წელს ეჭირა მოხალისეთა არმიას. ტფილისში მყოფი ინგლისის სარდლობა ცდილობდა მოხალისეთა არმიის უფროსის გენ. დენიკინის აგრესობის შეჩერებას ამიერ-კავკასიის მიმართ და თუმცა ამით ბევრს ვერაფელს აღწევდა, მაგრამ ბოლოს თვით მოხალისეთა არმიის ხელმძღვანელთ არჩიეს საქართველოსთან და აზერბაიჯანთან მტკიცე ურთიერთობის დაჭერა და სპეციალურად ამ მიზნით გამოგზავნილ გენერლის საშუალებით შეეცადნენ მოლაპარაკების გამართვას.

**ბათომის ოლქის საკითხი.** საქართველოს ერთ-ერთ მთავარ საზრუნავ საგანს შეადგენდა ბათომის ოლქის მაჰმადიან ქართველობის შემოკავშირება. ეკონომიურად საქართველოს განვითარება ბათომს გარეშე შეუძლებელი იყო და ეროვნულადაც აღორძინების გზაზე დამდგარი ქვეყანა მიისწრაფოდა შინაგან გაერთიანებისაკენ. ბათომის ოლქში დროებით შემოღებული იყო ინგლისური მართველობა. 1919 წლის აგვისტოში ქალ. ბათომში მოხდა ოლქის მცხოვრებთა წარმომადგენლების კრება, რომელმაც ერთხმად გამოიტანა დადგენილება ბათომის ოლქის საქართველოსთან შეერთების შესახებ თვით-მართველობის დაფუძნებით. კრებამ ამოარჩია აგრეთვე მეჯლისი, რომელმაც მიანდო ოლქის ინტერესების დაცვა.

კრების დადგენილება ბათომის ოლქის საქართველოსთან გაერთიანების შესახებ ეცნობა სახელმწიფოთა საზავო კონფერენციას პარიზში.

დიდ-ბრიტანეთის უზენაეს კომისრად ამიერ-კავკასიაში ოლივერ უორდროპის დანიშვნა. ადგილობრივ ინგლისელ სარდლობასა და საქართველოს შორის მტკიცე ურთიერთობის დამყარებას ბევრი გაუგებრობა უშლიდა ხელს. საქართველოს მოწინააღმდეგე პირთა ცილის-წამებანი და ყალბი ინფორმაცია ადგილობრივ საზოგადოებრივ განწყობილებასა და კერძო ფაქტების შესახებ კიდევ უფრო ამრავლებდა ამ გვარ გაუგებრობათ. აგვისტოში ინგლისმა თავის უზენაეს კომისრად ამიერ-კავკასიაში დანიშნა ოლივერ უორდროპი, კარგი ნაცნობი და მეგობარი ქართველი ხალხისა. უორდროპი 30 აგვისტოს ჩამოვიდა ტფილისს, სადაც მას დიდის ამბით შეხვდნენ. უორდროპის ჩამოსვლას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამით საქართველოს იმედი მიეცა თავისი დამოუკიდებლობის აღიარებისა ინგლისის მიერ და მეორის მხრივ მოხალისეთა არმიის ძალადობისაგან თავის დაღწევა ინგლისის ახალი წარმომადგენლის საშუალებით ეხლა უფრო

ადვილი უნდა ყოფილიყო.

საქართველოს ფაქტიურ დამოუკიდებლობის აღიარება მოკავშირე დიდ სახელმწიფოთა მიერ. ბრძოლა რუსეთის საბჭოთა მთავრობასა და მოხალისეთა არმიას შორის 1919 წლის ბოლოს ბალშევიკების სასარგებლოდ მიდიოდა. ბალშევიკებმა უკუაქციეს შუაგულ რუსეთში შეჭრილი გენ. დენიკინის არმია, მალე საბოლოოდ დაამარცხეს ის და გაემართნენ სამხრეთისაკენ კიევ-როსტოვ-ცარიცინის მიმართულებით.

მოხალისეთა არმიის დამარცხებამ და ბალშევიკების ძლიერების ზრდამ ინგლისს და შეთანხმების სახელმწიფოებს დააჩქარებინათ ამიერ-კავკასიის, როგორც რუსეთის ყოფილ განაპირა ქვეყნის, ფარგლებში მყოფ რესპუბლიკების ბედის გარდაწყვეტა. 11 იანვრის 1920 წ. ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრმა ლორდ კერზონმა წინადადება შეიტანა მოკავშირე სახელმწიფოების უზენაეს საბჭოში პარიზს, რომ საქართველოს რესპუბლიკა ფაქტიურად აღიარებულ ყოფილიყო. კერ[ზ]ო[ნ]ის წინადადება ერთხმად მიღებული იქმნა სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლების მიერ.

საქართველოსთან ერთად აღიარებული იქმნა აგრეთვე აზერბაიჯანის რესპუბლიკაც, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ სომხეთიც სატახტო ქალაქით ერევანით.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებამ ყველგან რესპუბლიკის საზღვრებში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. საქართველო უახლოვდებოდა თავისი თავისუფლების საბოლოო განმტკიცებას და საერთაშორისო ოჯახში სწორუფლებიან წევრად შესვლას.

**შინაური მუშაობა.** პარალელურად იმ ბრძოლისა, რომელსაც აწარმოებდა საქართველო თავისი დამოუკიდებლობის მტრებთან და რთულ საგარეო საქმეთა მოვლასთან ერთად, შიგნით წარმოებდა დიდი აღმაშენებლობითი მუშაობა ახალი სახელმწიფოებრიობის შესაქმნელად და მის განსამტკიცებლად...




საქართველოს ეს რუკა თან ერთვის გამოცემას

# გიორგი გვაზავა
**(1869-1941)**



ქართველი იურისტი, მწერალი, პოლიტიკოსი, მთარგმნელი და პუბლიცისტი, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, საქართველოს დამფუძნებელი კრების, ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ფრაქციის ლიდერი.

გიორგი გვაზავა 1921 წლიდან ემიგრაციაშია, სადაც ფრანგულ ენაზე გამოსცემდა ჟურნალს „პრომეთეს" და საქართველოს გაერთიანებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთის კომიტეტის ორგანოს გაზეთს „საქართველოს".

სამშობლოში ყოფნის პერიოდში იგი აქვეყნდებდა სტატიებს საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ყოველდღიურ გაზეთ „საქართველოში".

# საქართველოს ავტონომია

*წყარო: გაზეთი „საქართველო", 1917 წ., 16 აპრილი, № 82, გვ. 2; 18 აპრილი, № 83. გვ. 2; 20 აპრილი, № 84. გვ. 2; 23 აპრილი, № 87, გვ. 2; 25 აპრილი, № 88. გვ. 2-3.*

თავისუფლება ჰმართავს ქვეყნიერებას.

ეხლა უფრო აშკარაა, უფრო უეჭვო, უფრო მკაფიო და ნათელი მისი ძლევა-მოსილება და შემოქმედება.

იგი ამოძრავებს პიროვნებას, იგი აღაფრთოვანებს ერს, იგი იჭრება ყოველგვარ საკაცობრიო განწყობილებაში და ყველგან ჰსცდილობს მიიღოს უფლებრივი განსახიერება.

უიმისოდ ზრდა და განვითარება შეუძლებელია.

ჩვენ აქ შევეხებით მხოლოდ ერთ მხარეს ამ დიადის საკითხისას: როგორი უფლებრივი განსახიერება უნდა მიიღოს თავისუფლებამ საქართველოში?

## I. ხელშეკრულება 1783 წ.

მეთვრამეტე საუკუნეში საქართველო იყო თავისუფალი სახელმწიფო. ქუჩუქ-ქაინარჯის ხელშეკრულებაში (1774 წ – იგი საერთაშორისოდ აღიარებულია, როგორც თავისუფალი და დამოუკიდებელი. ამ ხანებში რუსეთის იმპერიას ამიერ-კავკასიაში ერთი მტკაველი მიწა არა ჰქონდა. აქედან აშკარაა, საქართველოს და რუსეთის შორის მოსახერხებელი და შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ მოკავშირული ხელშეკრულება. აგრეც მოხდა. 1783 წლის ხელშეკრულებაში საქართველო გამოდის, როგორც მოკავშირე. რუსეთმა იკისრა ვალდებულობა დაეცვა საქართველოს საზღვრები და მხოლოდ საზღვრები; იგი ვალდებული იყო აგრეთვე დაებრუნებინა საქართველოსათვის ის ადგილები, რომლებიც საქართველოს ეკუთვნოდა, მაგრამ, ჟამთა ვითარების გამო, მომწყდარ იყო საქართველოდან. თავის მხრივ საქართველომ აღუთქვა თვისის ჯარით მიეშველებოდა რუსეთს, როცა საჭიროება ამას მოითხოვდა. ეგ არის უმთავრესი იურიდიული მომენტი ხელშეკრულობისა. საზღვრების დაცვა, ერთის მხრივ, ჯარის მიშველება – მეორეს მხრივ. ამისთანა ხელშეკრულება სრულებით არა ჰზღუდავს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას. თვით საერთაშორისო განწყობილება არ იყო სრულებით აღკრძალული, იგი უნდა მომხდარიყო მხოლოდ რუსეთის კონტროლის ქვეშ. აი მეექვსე მუხლი ხელშეკრულებისა:

„რუსეთი ვალდებულია: ერი ქართლ-კახეთისა აღიაროს თავის ახლო მოკავშირედ და მისი მტერი ჩასთვალოს თავის მტრად...

თავისუფლება საშინაო საქმეთა მართვა-გამგეობაში, სამართალი და ხარჯის აკრეფა სრულებით და ხელშეუხებლად ჰრჩება საქართველოს მეფეს..."

ასეთი იყო ხელშეკრულება. ამის შემდეგ, საქართველოს ეროვნულ მთავრობის ბრძანებით

განხმულ იყო დარიალის თერმოპილები[1] და საქართველოში შემოვიდა რუსეთის ჯარი... შემოვიდა და მერე უკან არ დაბრუნდა. საქართველოს თანდათან მოერტყა რკინის რკალები და 1801 წელს გამოცხადებულ იქმნა რუსეთის გუბერნიად.

ამნაირად, რუსეთმა დაიპყრო საქართველო ღალატით. ღალატი კი მოკლებულია ყოველ უფლებრივ საფუძველს. კაცობრიობის სინიდისი და უფლებრივი ცნობიერება ამით მძაფრად ილახება და აუცილებლად მოითხოვს შელახულ უფლების აღდგენას.

რუსეთმა დასდო ხელშეკრულება აგრეთვე სხვა და სხვა საქართველოს ნაწილებთან: იმერეთი, სამეგრელო, გურია, აბხაზეთი აგრეთვე ჩათრეული იყო ამისთანავე კეთილმეზობლურ განწყობილებაში, მაგრამ ყველას ერთნაირად ბოლო მოეღო. არ შევუდგები ამ ხელშეკრულებათა გარჩევას, ეს საჭიროც არ არის. საკმარისია მხოლოდ სახეში ვიქონიოთ, რომ რუსეთი ყველგან ვალდებული იყო არ ჩარეოდა შინაურ საქმეთა მართვა-გამგეობაში. არსებითად ყველა ეს ხელშეკრულება ერთი და იგივეა: ყოველი ჩვენი მხარე ჰცდილობდა დაეცვა თავისი თავისუფლება და მოეშორებინა გარეშე მტერი. ეს მფარველობა რუსეთმა აღუთქვა ყველას და ყველა ერთნაირად მოტყუებული იქმნა. არსებითად რუსეთმა მთელის საქართველოს წინაშე მიიღო ერთი და იგივე ვალდებულობა; დაცვა საზღვრებისა და შინაგან თავისუფლებისა.

ამ თავისუფლებაზეა ეხლაც ლაპარაკი.

დიდმა რუსეთის რევოლიუციამ დაამხო ცარიზმი და მა[ს]ზე დამყარებული ძალმომრეობა და უსამართლობა. მაშ, დაემხო ის ძალაც, რომელმაც უარჰყო საქართველოს ხელშეკრულება სახელმწიფოებრივი უფლებანი.

ეხლა ეს უფლებანი აღდგენილ უნდა იქმნან.

როგორ და რა ნაირად?

## II. სახელმწიფოს აგებულება.

აქ ჩვენ საქართველოს მარტო უფლებრივ სახეს კი არ უნდა გაუწიოთ ანგარიში, ჩვენ უნდა გავუწიოთ ანგარიში აგრეთვე მის ფაქტიურ მდგომარეობასაც. საქართველო ფაქტიურად რუსეთის ერთი ნაწილია, იმას უჭირავს კავკასიის ერთი განი და გარს ახვევია სხვა და სხვა ერი. თუ ჩვენ ჩვენს ძალას უფლებაზე ვამყარებთ, უნდა ისე მოვაწყოთ საქმე, უნდა ისე მოვხაზოთ სახელმწიფოს აგებულება, რომ ჩვენი უფლებაც აღდგენილ იქმნას და ამავე დროს არ შეილახოს სხვა ერთა და ტომთა უფლებრივი მისწრაფება. ჩვენ მხოლოდ მაშინ დავიმსახურებთ სხვა ქვეყნ[ებ]ის ყურადღებას და პატივისცემას, თუ გამოვიჩენთ სახელმწიფოებრივ აზრს და გამჭრიახობას.

ამიტომ თავისთავად იბადება კითხვა, რა აგებულობა უნდა ჰქონდეს თვითონ სახელმწიფოს, რომ მშვიდობიანად და ზომიერებით გადაწყდეს საქართველოს ბედი?

ნუ გამოვეკიდებით თეორიებს. დავსვათ კითხვა მდაბიურად და მდაბიურადვე გავითვალისწინოთ ეს დიდად მნიშვნელოვანი საგანი.

ყოველი პოლიტიკური და სოციალური საკითხი ჰტრიალებს ერთ დიად ღერძის გარშემო. ეს ღერძია – თავისუფლება, ანუ უკეთ – ადამიანის თავისუფლება. თვით სახელმწიფოს იმდენად აქვს ფასი, რამდენადაც იგი უზრუნველ ჰყოფს ადამიანის თავისუფლებას. მისი ღირებულობა მხოლოდ აქ არის, თუ სახელმწიფო ასცდა ამ დიად დანიშნულებას, იგი უნდა დაინგრეს, როგორც დაინგრა რუსეთის ძველი წეს-წყობილება. ამიტომ, კაცობრიობის განვითარების ეხლანდელ დროში, ეხლანდელ ხანაში სახელმწიფო აუცილებლი პირობაა ადამიანის თავისუფლების და განვითარებისა. თუ სახელმწიფო საჭიროა, თუ უიმისოდ შეუძლებელია ეხლანდელ ხანაში თავისუფლება და კულტურული განვითარება, აშკარაა, ჩვენ უნდა გამოვიღოთ ცოტაოდენი მსხვერპლი, გავსწიოთ ცოტაოდენი ხარჯი და ამრიგად მიეცეთ საშუალება არსებობისა თვითონ სახელმწიფოს; თვითონ სახელმწიფო თავისუფალი უნდა იყოს, თუ გვინდა, რომ ჩვენი თავისუფლებაც იყოს ვრცელი და შეუზღუდავი.

შვეიცარია, ჩრდილო ამერიკა, ავსტრალია, კანადა და სხვანი, – აი განათლებული ქვეყნები.

გადავხედოთ იმათ, ვნახოთ, თუ როგორ აქვსთ მოწყობილი სახელმწიფოს ცხოვრება. მართალია, ავსტრალიასა და კანადას აქვსთ ცოტაოდენი დამოკიდებულება ინგლისთან, მაგრამ ეს დამოკიდებულება იმდენად უმნიშვნელოა და მცირე, რომ ჩვენ შეგვიძლიან ვაღვიაროთ იგინი, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფონი.

ყველა ეს სახელმწიფონი წარმოადგენენ ფედერაციას. ფედერაცია ჰქვიან შეერთებას,

1 თერმოპილე – ვიწრო გასასვლელი საბერძნეთში, რომელსაც კეტავდნენ ბერძნები მტრის შემოსევისას [რედ.].

შეთანხმებას. ყოველ ამ სახელმწიფოში შეერთებულია და შეთანხმებული რომელიმე პატარ-პატარა სახელმწიფო. ამერიკაში შეერთებულია შტატები, შვეიცარიაში – კანტონები, კანადაში – პროვინციები, ავსტრალიაში – ისევ შტატები. ეს კანტონები თუ შტატები წარმოადგენენ პატარ-პატარა სახელმწიფოებს. თვითეულს მათგანს აქვს თავისი კონსტიტუცია, თავისი კანონმდებელი საკრებულო, თავისი მმართველობა და სამართალი, თავისი ხაზინა და ხარჯთ-აღრიცხვა... ერთის სიტყვით, ყველა მოწყობილია ისე, როგორც პატარა სახელმწიფო: თავის საშინაო საქმეებში თითეული მათგანი სრულებით თავისუფალია.

მაგრამ გარდა საშინაო საქმეებისა, არის ისეთი საქმეებიც, რომელნიც წარმაოდგენენ საერთო და საყოველთაო ინტერესებს. აი, ზემოხსენებული შეერთება და შეთანხმება მოხდა სწორედ ამ ნიადაგზე, ამ საერთო ინტერესების და საჭიროების დასაკმაყოფილებლად და საწარმოებლად.

ჩამოვთვალოთ დაახლოვებით ეს საერთო ინტერესები და საჭიროებანი, ესენი თითქმის ყოველგან ერთნი და იგივენი არიან:

თავდაპირველად უნდა მოვიხსენიოთ დაცვა მთელ სახელმწიფოს საზღვრებისა. რასაკვირველია, თუ სახელმწიფოს არ ეყოლება საკმაო ჯარი, არ ექმნება საკმაო თოფი, ზარბაზანი და სხვა სამხედრო იარაღი, თუ არ ექმნება ციხე-სიმაგრეები და სხ. აშკარაა, ასეთი სახელმწიფო დიდხანს ფეხზე ვერ დადგება და ადვილად შეიძლება დაიპყროს სხვა სახელმწიფომ. აქ ხიფათი მოელის ყველას, და ამიტომ ჯარი და მისი მოწყობილება საერთო და საყოველთაო ინტერესს შედგენს.

არც ერთი სახელმწიფო არ არის გამოთიშული კაცობრიობისაგან. სახელმწიფოები ბევრია ქვეყანაზე და იმათს შორის სხვა და სხვა გვარი ურთიერთობა მუდმივია და განუწყვეტელი. არის მისვლა-მოსვლა, ვაჭრობა და აღებ-მიცემობა. თითოეული ჩვენგანი შეიძლება წავიდეს საზღვარ-გარეთ, უცხოელები მოდიან ჩვენში და სხვა. ამ ურთიერთობის მოწესრიგება, მოლაპარაკება სხვა სახელმწიფოებთან, სხვა და სხვა პირობა და ხელშეკრულობა იმათთან, - ყოველივე ეს ინტერესია საერთო და საყოველთაო.

ამ საერთო საჭიროების გასაძღოლათ და დასაკმაყოფილებლათ სახელმწიფოს სჭირია ფული. შენახვა უნდა ჯარსა, ციხე-სიმაგრეებს აშენება, მოხელეებს-ჯამაგირი, შარაგზებს-გაყვანა და სხ. და სხ. სახელმწიფო ხარჯი ძალიან დიდია. ეს ხარჯი უნდა გამოიღოს მცხოვრებმა. ესეც ინტერესია, ან, უკედ, რომ ვსთქვა, ვალდებულება საერთო და საყოველთაო.

სამხედრო საქმესთან და ეკონომიურ ცხოვრებასთან მჭიდროდ დაკავშირებულია რკინის გზები, ტელეგრაფი და ტელეფონი. მე ვამბობ იმ რკინის გზებზე, რომლებსაც საერთო მნიშვნელობა აქვსთ, და არა მხოლოდ ადგილობრივზე; აგრედვე ტელეგრაფი და ხშირად ტელეფონიც გადადის სხვა და სხა ტერიტორიაზე და აერთებს სხვა და სხვა მხარეს. მათი ერთნაირად მოწყობა, ერთნაირი ტარიფი, ერთნაირი წესი და რიგი დიდად საჭიროა და ყველასათვის ხელსაყრელი.

აგრეთვე საერთო და საყოველთაო მნიშვნელობა აქვს ერთნაირ ფულს, ერთნაირ ზომისა და სასწორის შემოღებას. იგი აადვილებს ვაჭრობას და ეკონომიურ ურთიერთობას.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრედვე სამხედრო ფლოტს და სავაჭრო მეზღვაურობას. დანიშნულება როგორც ერთისა, ისე მეორისა არის დაცვა და განვითარება საეკონომიო ცხოვრებისა. აქაც ინტერესი საერთოა და საყოველთაო.

საზოგადოდ ის კანონმდებლობა, რომელიც შეეხება მთელს სახელმწიფოს და მის საერთა-შორისო ცხოვრების მოწესრიგებას, უნდა ეკუთვნოდეს აგრედვე მთელ სახელმწიფოს წარმო-მადგენლობას. ასეთია, მაგალითად, სისხლის სამართლის ზოგიერთი კანონები, საბანკო და სავექსელო წესდებანი, დაცვა ავტორის უფლებისა, სამრეწველო ნიშნებისა და სხვა. აქაც ინტე-რესი საერთოა და საყოველთაო.

ერთის სიტყვით, ყოველი საქმე და საკითხი, რომელიც შეეხება საერთო და საყოველთაო ინტერესს, ცალკე გამოყოფილია თითეულ შტატის ან კანტონის კომპეტენციისაგან. შტატს ან კანტონს არა აქვს უფლება შეეხოს იმათ, აწარმოვოს ისინი. თითეულ შტატს ან კანტონს, როგორც წინეთ მოგახსენეთ, სრული ნება აქვს მოაწყოს და მოაწესრიგოს ყოველი ადგილობრივი საქმე და საგანი, ყველაფერი, რაც თვითონ მას შეეხება და არა ჰსცილდება მის საზღერებს. ზეჩამოთვლილი საქმეები, კი შეეხება ყველას იქ ინტერესი საერთოა და საყოველთაო და ამიტომ მათი საწარმოებლად და გადასაწყვეტად საჭიროა არა ერთის შტატის ან კანტონის მთავრობა, არამედ ყველა შტატების ან ყველა კანტონების მთავრობა და წარმომადგენლობა.

ამ სახელმწიფოებსაც სწორედ აგეთი აგებულობა აქვთ. ისინი წარმოადგენენ თითქო ორ-სართულიან შენობას. პირველ სართულს შეადგენენ შტატები ან კანტონები, მეორე სართულს -ყველა შტატების ან კანტონების მთავრობა და წარმომადგენლობა. პირველ სართულში

საბოლაოდ ჰსწყდება ყოველი ადგილობრივი საქმე და საკითხი, მეორე სართულში – ყოველი საერთო და საყოველთაო ინტერესი.

ჩამოვთვალოთ კიდევ ეს საერთო ინტერესი:

1. საერთაშორისო წარმომადგენლობა.
2. ჯარი და სამხედრო ფლოტი.
3. გადასახადი და სადამოჟნო ბაჟი;
4. სისტემა ფულის, ზომისა და სასწორისა;
5. რკინის გზები, ტელეგრაფი და ტელეფონი;
6. სავაჭრო მეზღვაურობა;
7. სავაჭრო, საბანკო და სავექსელო კანონმდებლობა, და სხვანი.

ვამბობ-ღა და სხვანი მეთქი, იმიტომ, რომ დაწვრილებით ჩამოთვლა ყველა ამ საგნებისა საჭიროდ არ მიმაჩნია. ზოგიერთ სახელმწიფოში ეს საერთო საქმეები უფრო ბევრია და უფრო ვრცელი, ზოგიერთში უფრო შეზღუდულია.

ჩვენთვის საჭიროა მხოლოდ გავითვალისწინოთ თვითონ გეგმა ამ სახელმწიფოებრივ აგებულებისა. გეგმა მე კი მგონია, ეხლაც მკაფიოდ მოხაზულია: შენობა არის ორ-სართულიანი. ქვევით მოქცეულია პატარ-პატარა თავისუფალი სახელმწიფოები (კანტონები ანუ შტატები), ზევით-მათი საერთო მთავრობა და წარმომადგენლობა.

არ ვიცი, რუსეთი რა სახელმწიფოებრივ სახეს მიიღებს ბოლოს და ბოლოს. ეს დამოკიდებულია დამფუძნებელ კრების სურვილზე. მაგრამ რაც გინდა იყოს, მაინც საერთო თავისუფლებისთვის აუცილებლივათ საჭიროა ზემოყვანილ პრინციპის გატარება.

აქ ჩვენ ვუახლოვდებით საქართველოს საკითხს.

შეიძლება რუსეთში ფედერატიული წეს-წყობილება არ დამყარდეს. ამისათვის, როგორც ვთქვი, საჭიროა რუსეთის დანაწილება პატარპატარა თავისუფალ სახელმწიფოებად, შტატებად ან კანტონებად. შეიძლება ეგ რუსეთში ვერ მოხერხდეს. მაშინ? მაშინ ავტონომია მაინც აუცილებელია.

რა განსხვავებაა ავტონომიასა და შტატს შუა? ავტონომიასა და კანტონს შუა არსებითად განსხვავება იმათს შორის არაფერია. ყოველი შტატი ან კანტონი წარმოადგენს ავტონომიურ ერთეულს, ე.ი. თავის შინაურ საქმეებში იგი სრულებით თავისუფალია, განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ თვითმართველობა ყოველ შტატისა ან კანტონისა ყოველგან ერთნაირია, ერთ და იმავე შინაარსისა (კომპეტენციისა). შტატები ან კანტონები უფლებრივად თანასწორნი არიან. ეს კი არ ითქმის ავტონომიაზე. უფლებრივად ავტონომია ერთ-მეორესთან არ არის თანასწორი. ერთი ავტონომია შეიძლება იყოს ძალიან ვრცელი, მეორე-ძალიან შეზღუდული. ზოგი ავტონომიის უფლებრივი მდგომარეობა უახლოვდება თითქმის სრულებით თავისუფალ სახელმწიფოებს, ზოგი კი ისეა შეზღუდული, რომ თითქმის უბრალო ერობისაგან არ განირჩევა. პირველის მაგალითია ინგლისის კოლონიები (კანადა, ავსტრალია, სამხრეთ აფრიკა, ნიუ-ფაუნლენდი და სხვა) მეორის – ავსტრიის ზოგიერთი პროვინციები (ჩეხია, გალიცია და სხვ.).

არის მეორე განსხვავებაც. ფედერატიულ სახელმწიფოებში საერთო და საყოველთაო საქმეები გამოყოფილია თითეულ შტატების ან კანტონების უფლებისაგან და გადაცემულია საერთო გამგეობის და კანონმდებლობის ხელში. ავტონომიის შესახებ კი ეს საკითხი თითქო უკუღმა ჰსდგას: ადგილობრივი საქმეები აღნუსხულია და გამოყოფილი სახელმწიფო უფლებისაგან და გადაცემული აქვს ავტონომიას. ეს ყოველთვის აგრე არ არის, მაგრამ უფრო ხშირად აგრე ჰხდება.

აქედანა სჩანს, რომ ჩვენთვის უფრო ხელსაყრელია ავტონომიის მოთხოვნა, ვიდრე ფედერატიულად გარდაქმნა მთელის რუსეთისა. რუსეთი ფედერაციას არ წარმოადგენდა, მაგრამ ფინლიანდიამ მიიღო ავტონომია. მიიღო ესტლანდიამაც, დღეს თუ ხვალ მიიღებს უკრაინა... აბა რა ჭკუაა ქართველებისათვის არ მოითხოვონ ავტონომია და ელოდნენ იმ მომენტს, როცა რუსეთი გარდაიქმნება ფედერაციად?

ნუ გვავიწყდება, რომ რუსეთთან ჩვენა გვაქვს ხელშეკრულობა 1783 წლისა.

## III. კავკასიის ავტონომიის საკითხი.

ხშირად ამბობენ კავკასიის ავტონომიაზე. ჩვენ ანგარიში უნდა გაუწიოთ.

მთელის კავკასიის ავტონომია იქნება, თუ მხოლოდ ამიერ-კავკასიისა, ამას ჩვენთვის ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს. საქმე ის არის, რომ ამისთანა პოლიტიკურ აგებულებაში საქართველოს ავტონომიას ზევით დაედგმება კავკასიის ავტონომია. ჩვენ გავითვალისწინოთ, ხელსაყრელი იქნება ეგ ჩვენთვის, თუ მავნებელი?

კავკასია რომ თავისუფალი სახელმწიფო იყოს, მაშინ სადავო და გაუგებარი არა იქნებოდა-რა. მაშინ კავკასია წარმოადგენდა ფედერატიულ სახელმწიფოს და უფლებრივი შინაარსი ფედე-რატიულ მთავრობისა თავისთავად ცხადი იქნებოდა. მაშინ საქართველო, დაღესტანი, თათრების და სომხების პროვინციები შეადგენდნენ ცალკე შტატებს ან კანტონებს და კავკასია დაახლოვებით მიიღებდა ისეთსავე პოლიტიკურ აგებულებას, როგორიც აქვს, მაგალითად, შვეიცარიას. მას ექნებოდა დიდი მნიშვნელობა. მოვიგონოთ, რომ ათ-თერთმეტ საუკუნის განმავლობაში სამუსულმანოს დიადი ტალღა სცემდა საქართველოს და მოსვენებას არ აძლევდა. უფლებრივი გამაგრება საქართველოს საზღვრებისა ერთად-ერთი ღონეა მშვიდობიანობის და კულტურული წინმსვლელობისა, ეს უფლებრივი გამაგრება იქნებოდა-კავკასიის ფედერაცია.

მაგრამ, როგორც ვიცით, კავკასია არ არის სახელმწიფო, არის მხოლოდ ერთი ნაწილი რუსეთის იმპერიისა. მაშასადამე, სანამ რუსეთის ხელშია უმაღლესი მართვა-გამგეობა, კავკასიის ავტონომია, როგორც პოლიტიკურ ერთეულისა, საჭირო არ არის, ზიანი კი შეიძლება დიდი მოგვიტანოს.

საჭირო არ არის იმიტომ, რომ... იმას საქმეც არაფერი ექნება. საერთო და საყოველთაო სა-ქმეები, რომლებზედაც ზემო[თ] გვქონდა ლაპარაკი, იქნება რუსეთის პარლამენტის ხელში, ადგილობრივი საქმეები კი-ადგილობრივ ავტონომიების მართვა-გამგეობაში. მაშ რაღა უნდა გააკეთოს კავკასიის ავტონომიამ, მისმა მთავრობამ და კანონმდებლობამ? აშკარაა, ამ ცარიელ ადგილის ამოსავსებლად ან რუსეთის მთავრობას უნდა ჩამოეცალოს ზოგიერთი უფლებანი, ან ადგილობრივს ავტონომიებს. პირველი შეუძლებელია. საერთაშორისო განწყობილება, ჯარი და სამხედრო ფლოტი, ფულის მოჭრა, გადასახადი და სხვა-სულ ეს იმდენად საერთოა სახელმწიფოს ყოველ კუთხისთვის, იმდენად საყოველთაო, იმდენად ეხება მთელ სახელმწიფოს უაღრესს საჭიროებებსა, რომ ამ საქმეების გადმოტანა და გადაცემა კავკასიის ავტონომიაში შეუძლებლად მიმაჩნია.

თუ ეს შეუძლებელია, აშკარაა, ცარიელი ადგილი უნდა აივსოს სხვა წყაროდან-ადგილობრივ ავტონომიის შეზღუდვით და მისთა უფლებათა შემცირებით. ეს კი ყოვლად შეუძლებელია: მაშინ საქართველოს მხოლოდ ერობა შერჩება და არა პოლიტიკური ავტონომია.

აი, ამიტომ მთელი კავკასიის ერთ ავტონომიად მოწყობა ჯერჯერობით, ეხლანდელ პირობებში, საჭირო არ არის. იგი უსათუოდ შეზღუდავს საქართველოს ავტონომიის უფლებებს, სარგებლობას კი ვერაფერს მოიტანს. დაუმატეთ ამას ის გარემოებაც, რომელსაც წარმოადგენს საქართველო თავის ენით, კულტურით, პსიხოლოგიით, და ადვილად მივხვდებით, რომ მთელ კავკასიის ავტონომია უსათუოდ შეაფერხებს საქართველოს თავისუფალ განვითარებას.

მარა, საკითხს მაინც ნუ გავამწვავებთ. კაცობრიობის სალაროდან შეიძლება ისეთი გეგმაც გამოვიტანოთ, რომელიც ჩვენთვისაც მისაღები იქნება. ასეთია, მაგალითად, ინგლისის საავტო-ნომიო სისტემა. ავიღოთ ავსტრალია ან კანადა.

ორივე ეს ავტონომია თითქმის სრულებით თავისუფალი სახელმწიფოა. ინგლისი თავის მხრივ ჰნიშნავს იქ მხოლოდ გენერალ-გუბერნატორს, რომელიც ინგლისისთვის მხოლოდ მოხელეა, ავტონომიისათვის კი-კონსტიტუციური მეფე. ავსტრალია, კანადა, ახალი ზელანდია და ზოგიერთი სხვა ინგლისის სამფლობელო წარმოადგენს სწორედ ამისთანა თავისებურ „მონარქიას“. ამ „მონარქიათა“ სათავეში სდგას თავისებური მეფე-გენერალ-გუბერნატორი. თავისებურია იგი იმიტომ, რომ ეს გენერალ-გუბერნატორი არ არის მეფე, ვინაიდგან ინიშნება ინგლისის მიერ დროებით, როგორც უბრალო მოხელე, და პოლიტიკურად პასუხისმგებელია ინგლისის წინაშე; იგი არ არის რესპუბლიკის პრეზიდენტიც, ვინაიდგან იმას ხალხი ან ხალხის წარმომადგენლობა კი არ ირჩევს. მიუხედავად ამისა, გენერალ-გუბერნატორი, როგორც მეფე ან რესპუბლიკის პრეზიდენტი, სდგას მთავრობის სათავეში და განაგებს ქვეყნის საქმეებს სწორედ ისე, როგორც პრეზიდენტი დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ე. ი. საზოგადოებრივ აზრის თანახმად, ხალხის სურვილისამებრ. იმასა ჰყავს ხალხის წინაშე პასუხისმგებელი სამინისტრო და

გზას ვერ აუხვევს პარლამენტის სურვილს და გადაწყვეტილებას. იმას აქვს სანქციის უფლება: ამტკიცებს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონს. აქვს ნება აგრეთვე არ დაამტკიცოს ეს კანონი. ამ უფლებას ...[1] (ვეტო). ამ ვეტოს იურიდიულ აგებულობის გამოკვლევას აქ არ შევუდგები. ვიტყვი მხოლოდ, რომ ამაში უმთავრესად იხატება ავტონომიის დამოკიდებულება ინგლისისგან. გენერალ – გუბერნატორი ვალდებულია თვალყური ადევნოს ავტონომიის კანონმდებლობას და ვითომდა თავის დროზე შეატყობინოს ინგლისის მთავრობას, თუ რაიმე საწინაამღდეგო კანონი იქნება მიღებული. მარა ეს მხოლოდ სიტყვაა ან უბრალო ისტორიული ნაშთი. ჯერ თითქმის არ ყოფილა ისეთი მაგალითი, რომ ავტონომიას მიეღოს [და] ინგლისს შეეჩერებინოს რაიმე კანონი, ავტონომიის მიერ მიღებული.

შევუფარდოთ ეს წეს-წყობილება რუსეთის პირობებს და კერძოდ კავკასიას.

ვსთქვათ, რუსეთი ნიშნავს კავკასიაში გენერალ-გუნერნატორს ან მეფის ნაცვალს. ეს გასაოცარი არ იქნება. ჩვენ დიდი ხანია მიჩვეულნი ვართ ერთსაც და მეორესაც. ორივესაგან ღმერთმა დაგვიფაროს. მე ვამბობ ინგლისურ სისტემაზე და არა-რუსულზე. რუსული სისტემა, საბედნიეროდ, დაემხო და იმედია, დაემხო საუკუნოდაც.

ეს ახალი გენერალ-გუბერნატორი ან ნამესტნიკი უნდა იდგეს კავკასიის ავტონომიის სათავეში და განაგებდეს ქვეყანას საზოგადოებრივ აზრის თანახმად, ხალხის სურვილებისამებრ. მაშასადამე, კავკასიაში უნდა იყოს დემოკრატიული პარლამენტი და მის წინაშე პასუხის მგებელი სამინისტრო. გენერალ-გუბერნატორს, როგორც რუსეთის წარმომადგენელს, ექნება მაშინ მხოლოდ ვეტოს უფლება, სხვა არაფერი, უფლებრივი საზღვარი კავკასიის ავტონომიისა მაშინ იქნება ისე ვრცელი, როგორც არის კანადაში ან ავსტრალიაში. მაშინ კავკასიის ავტონომიის უფლებაში შევა ყველა საერთო სახელმწიფოებრივი საკითხი: მას უნდა ჰქონდეს თავისი სადამონჟო საზღვარი, თავისი საფინანსო პოლიტიკა, თავის ფული, თავისი ჯარი და მეზღვაურობა და ზოგჯერ ცოტაოდენი თავისუფლებაც საერთაშორისო განწყობილებაში. სულ ეს მართვა-გამგეობა იქნება ხალხის წარმომადგენლობის ხელში. გენერალ-გუბერნატორი მხოლოდ თვალყურს ადევნებს, რომ რაიმე კანონი, რუსეთის წინააღმდეგ მიმართული, არ იქმნას მიღებული; თუ მიღებულ იქნება – დაადვას თავისი ვეტო.

თუ ამნაირად და ამ გეგმაზე იქნება კავკასიის ავტონომია მოწყობილი, მაშინ ამის წინააღმდეგ არავინ იქნება, მაშინ კავკასიის ავტონომიასაც ბევრი საქმე ექნება და საქართველოსაც არ მოელის შევიწროება. საქართველო იქნება ერთი კანტონი ან შტატი ამ დიდის ავტონომიისა, იმ სრული სახელმწიფოებრივ უფლებებით, რომელიც ეკუთვნის საზოგადო[დ] კანტონს ანუ შტატს.

ვნახოთ, გაბედავს თუ არა რუსეთის პოლიტიკური აზრი დაადგეს ამ გზას. თუ ვერ გაჰბედავს, თუ კავკასია არ იქნება მოწყობილი ზე-აღნიშნულ უფლებრივის შინაარსით, ჩვენ, ქართველები, უნდა ვიყოთ წინააღმდეგნი კავკასიის ავტონომიისა: იგი უფლებრივად შეზღუდავს და შებოჭავს საქართველოს.

## IV. საქართველოს ავტონომია.

ამ მოსაზრებიდანა სჩანს, რომ ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიას უნდა ჰქონდეს ერთნაირი უფლებრივი მინიმუმი, რომლის შემცირება ყოვლად შეუძლებელია. ეს მინიმუმი შეიცავს ყველა საქმეთ, ყველა საკითხთ, გარდა იმ საქმეთა და საკითხთა, რომლებიც წარმოადგენენ საერო და საყოველთაო ინტერესს მთელ სახელმწიფოს მცხოვრებთთვის. ეს საქმენი და საკითხნი ზემოდ მქონდა აღნუსხული.

გავიმეოროთ კიდევ უმთავრესი იმათთგანი: საერთაშორისო წარმომადგენლობა, ჯარი და სამხედრო მეზღვაურობა, საერთო გადასახადი, საბაჟო კანონმდებლობა, უმთავრესი რკინის გზები, და არა-ადგილობრივი ტელეგრაფი და ტელეფონი; ფული, ზომა და სასწორ-საწყაო, და ზოგიერთი საერთო კანონმდებლობა (სისხლის სამართლისა და სხვა.). ეს აღნუსხვა შეიძლება კიდევ შეივსოს სხვა ზოგიერთ უფლებრივ დარგით, მხოლოდ ერთის პირობით: ინტერესი უნდა იყოს მთელი სახელმწიფოსთვის საერთო და საყოველთაო.

აქ გადის ხაზი, დიდი და გადაულახველი ზოლი, რომელიც ჰყოფს სახელმწიფოს უფლებათა არეს საავტონომიო უფლებათა არესაგან: ყველა დანარჩენი საქმენი და საკითხნი შედიან ავტონომიურ ერთეულის უფლებათა ფარგლებში.

ამიტომ დაწვრილებით ჩამოთვლა და აღნუსხვა ყველა ამ საქმეებისა და საკითხებისა არ

1 სიტყვები არ იკითხება. ალბათ უნდა ეწეროს „ჰქვია ვეტო“. [რედ.].

არის საჭირო, არც შესაძლებელია. აი უმთავრესი იმათთაგანი: მოწყობა საკანონმდებლო კრებულისა, ადმინისტრაციისა, სამართლისა, სახალხო განათლებისა: მოწყობა ადგილობრივი თვითმართველობისა, დაბა-ქალაქებისა; ხარჯთ-აღრიცხვა და კანტროლი შემოსავალ-გასავლისა; კანონმდებლობა შესახებ მიწის მფლობელობისა და მიწის შემუშავებისა, სახალხო მილიციისა და პოლიციისა; ვაჭრობის, მრეწველობის და სხვა და სხვანი. ერთი სიტყვით, თავის შინაურ საქმეთა მართვა-გამგეობაში საქართველო უნდა იყოს სრულებით თავისუფალი.

## V. ტერიტორია საქართველოსი

საქართველოს ტერიტორია ყველასათვის აშკარაა და ცხადი. იგი არამც თუ მოყვარემ, მტერმაც კი უნდა აღიაროს და იწამოს. იგი რეალობაა და არა ოცნება. თბილისის და ქუთაისის გუბერნია, ბათუმი და სუხუმის მხარე[1], საინგილო, არტაანის და ოლთისის ოლქები – აი, საქართველო, (არ ვეხები ოსმალეთის საქართველოს – ეს საერთაშორისო საკითხია).

ზოგიერთი კუთხე ამ ტერიტორიისა დასახლებულია უცხო ტომის ხალხით და ამიტომ ბორჩალოს მაზრა და ახალქალაქი, ამბობენ, შეიძლება ჩამოეჭრას საქართველოს ავტონომიასო. ეს ფაქტიურად მართალია. ბორჩალოს და ახალქალაქის მაზრებში, აგრეთვე არტაანისა და ოლთისის ოლქებში ქართველები ძალიან ნაკლებად მოიპოვებიან, მარა ტერიტორიის საკითხის გადასაწყვეტად რეალ მოსახლეობას არა აქვს უმთავრესი მნიშვნელობა. აქ გადასაწყვეტ[ი]ა ისტორიული თვალსაზრისი და არა ეხლანდელი მოსახლეობა. ისტორია არის წარსულ საუკუნეთა ხმა და ყვირილი იმის შესახებ, თუ სად უნდა თავდებოდეს საზღვარი ამა თუ იმ ერისა, იყო ბრძოლა, შეხლა-შემოხლა სხვა და სხვა ტალღებისა, მარა დიადი ზღვა ხალხთა შეტაკებისა თან და თან მშვიდდებოდა და დგებოდა თავის კალაპოტში. ამ წარსულმა გაავლო თავისი ხაზი და გონებისთვის შესანიშნავად აღნიშნა საზღვრები სხვა და სხვა ტერიტორიებისა. ჩვენ ყურს ვერ დავიცვამთ და ოცი, ოცდა-ათი საუკუნის ყვირილს ვერ მოვსპობთ და ვერ ჩავაფუჩეჩებთ. მოსახლეობას, როგორც ფაქტიურ ფლობას, დიდი მნიშვნელობა აქვს კერძო განწყობილებაში, და არა იქ, სადაც უფლების სუბიექტად გამოდის ერი, როგორც ისტორიული ერთეული. ჩვენ არ ვიცით, როდის მოკვდება იგი, ჩვენ ვიცით მხოლოდ რომ იგი მოდულს წარსულ საუკუნეთა ნაპირებში და მიჰდულს წინ. ამ ბრძოლის და დუღილის დროს იგი ხან გადადიოდა თავის საზღვრებს, ხან უკან იხევდა და ჩვენთვის აშკარაა ამ წინ და უკან ხევისა და მოძრაობის შუა ხაზი: იგი არის საზღვარი საქართველოს ტერიტორიისა.

იყო დრო, როცა საქართველოს საზღვარი მიდიოდა კასპიის ზღვამდე[2]; იყო დრო, არც ასე დაშორებული, როცა განჯის და ართვინის სახანოები ხარკს აძლევდნენ საქართველოს. ეს ის მომენტებია, როცა საქართველოს დუღილი გადადიოდა თავის საზღვრებს და მიდიოდა შორს.

იყო დრო, როცა თვით საქართველოს დედა-ქალაქი თბილისი ეჭირათ არაბებს, სპარსელებს... ეს ის მომენტებია ერის ცხოვრებაში, როცა ეროვნული ძალ-ღონე [კნი]ნდება, უკან იხევა და არამც თუ არა სცემს საზღვრების იქით, ვერც კი მიდის თავის ბუნებრივ საზღვრებამდე.

ამიტომ, როცა ჩვენ ვამბობთ ისტორიულ თვალსაზრისზე, ჩვენ სახეში გვაქვს მხოლოდ ის ბუნებრივი საზღვარი, რომელიც შემოავლო საქართველოს ისტორიამ და მისმა ულმობელმა კანონებმა. ჩვენ არ ვეპოტინებით კასპიის ნაპირებს, არ ვეპოტინებით არც განჯას, არც ერევანს და სრულებით ფიქრშიაც არა გვაქვს, რომ ოდესმე ან არაბეთი, ან სპარსეთი შემოგვედავოს თბილისის შესახებ.

აი, ჩვენი თვალსაზრისი.

ამითი სწყდება საკითხიც ბორჩალოს და ახალქალაქის მაზრის შესახებ. ორივე ეს მაზრა, როგორც არტაანის და ოლთისის ოლქი, უეჭველად შეადგენს საქართველოს ტერიტორიას, მის განუყრელ ნაწილს. აქ ჩვენი პოზიცია შეურყეველია სინდისის და საკაცობრიო სამართლის წინაშე.

შემცდარი იქნება ის, ვინც იფიქრებს, რომ ისტორია მხოლოდ ომია, მხოლოდ შეიარაღებული შეტაკება ერთა შორის. არა, ისტორიაში მოქმედობს ბევრი სხვა და სხვა ძალა, ზოგი – მალული, ზოგი – აშკარა. ამ ძალთა შორის განსაკუთრებითი ყურადღების ღირსია ერის ეკონომიური ცხოვრება. დაკვირვებით შესწავლა ამ ცხოვრებისა ამტკიცებს, რომ ეს განაპირა ქვეყნები

---

1 უნდა იყოს: „სოხუმის მხარე“ [რედ.].

2 ივ. ჯავახიშვილის მიერ შედგენილ 1923 წლის „საქართველოს ისტორიულ რუკაზე“ XII საუკუნის საქართველოს საზღვარი სწორედ კასპიის ზღვამდე აღწევს [რედ.].

ეკონომიურად ისე მჭიდროდ არიან შეკავშირებულნი საქართველოსთან[1], რომ მათი მოწყვეტა ყოვლად შეუძლებელია. აგრე იყო ყოველთვის, აგრეა ეხლაც. სწორედ ამით აიხსნება ის ისტორიული ფაქტი, რომ მშვიდობიანობის დროს, როცა საქართველო დგებოდა თავის ბუნებრივ კალაპოტში, ის განაპირა ქვეყნები ყოველთვის მის ნაწილს შეადგენდნენ. ბორჩალოს მაზრაში თითქმის ნახევარი მთელი ტერიტორიისა ეხლაც შეადგენს ქართველობის და ხაზინის საკუთრებას. ხაზინაში კი გადავიდა ის, რაც საქართველოს ეკუთვნოდა წინეთ და რაც მასვე უნდა ეკუთვნოდეს იმ წამიდან, რა რომ საქართველო მიიღებს იურიდიულ სახეს.

თავისი მნიშვნელობა აქვს აგრედვე სტრატეგიულს მოსაზრებას. ჩვენ ყველას გვენატრება მშვიდობიანობა და კეთილ-განწყობილება, მარა ვინ იცის კაცობრიობის მომავალი? თუ ეს განაპირა ქვეყნები წარმოადგენენ ბუნებრივ ზღუდეს საქართველოისთვის, ან ისეთ ადგილებს, რომლებსაც აქვთ დიდი მნიშვნელობა საქართველოს მშვიდობიანობის და თავისუფლების დასაცველად, ეჭვი არ არის, მათი დათმობა ყოვლად შეუძლებელია.

აი უმთავრესი მოს[ა]ზრებანი, რომლის ძალით საქართველოს ტერიტორიას ვერ ჩამოეჭრება ვერცერთი კუთხე.

## VI. თბილისი.

თბილისის შესახებ სერიოზული დავა და ლაპარაკი არასოდეს არ ყოფილა და უეჭველია, არ იქნება.

მართალია, პოლიტიკური ცენტრი სამწუხაროდ არა აქვსთ სომხებს. იმათთვის ყველგან ცენტ-რია: სტამბოლი, თბილისი, ბაქო, მოსკოვი, პეტროგრადი, კალკუტა და ნიუ-იორკი... სამწუხაროა სწორედ ეს სიმრავლე ცენტრებისა. თუ ცენტრი ბევრია, აშკარაა, ცენტრი არ ყოფილა სულ. ამიტომ, გასაკვირი არ არის, თუ ზოგიერთი სომხის პატრიოტი ეპოტინება თბილისს. ამ ხელის პოტინში ბევრი სიმწუხარეა, ბევრი სიმწვავე, რაც ჩვენში ბევრს თანაგრძნობას იწვევს. მაგრამ თანაგრძნობა და სამძიმარი ერთია, პოლიტიკური კითხვა კი სულ სხვა.

სომხები ჩვენში შემოხიზნული ხალხია. ვენაში ბევრია ებრალები, ვარშავაში ერთ მესამედს უდრის მათი რიცხვი, მაგრამ არავის მოუვა თავში ვენა ან ვარშავა გამოაცხადოს ებრაელების ქალაქად. სომხები გადმოიხვეწენ ჩვენში, როცა მათი სახელმწიფო დაინგრა, შემოეფარნენ საქართველოს და საქართველომაც მიიღო იგინი ძმურად და მეგობრულად. ეს არის მოკლედ მთელი ისტორია და ისტორიული უფლება სომხებისა თბილისზე.

ყველამ იცის, რომ თბილისი შუაგულია საქართველოსი და თავის დაარსებიდან იყო და არის ჩვენი ქვეყნის დედა-ქალაქი. მისი ყოველი კუთხე და მიდამოები მორწყულია ქართველის სისხლით.

დიდუბეში ჰბერს სული თამარის დროინდელი დიდებისა.

წმიდა დავითი და სიონი სავსეა იდუმალი შინაარსით, არა მარტო რელიგიურით.

მეტეხი იყო ფარი საქართველოს თავისუფლებისა.

კრწანისის ველზე ჰღაღადებს ძვლები ქართველი მეომრებისა.

რაღა დარჩა? სოლდაცკი ბაზარი და არმიანსკი ბაზარი? ბაზარი და აღებ მიცემობა ყველასათვის თავისუფალია.

თბილისი არ არის საქართველოს ქუდი რომ მოიხადო და საჩუქრად გადაუგდო ვისმე[ს]. თბილისი – თავია საქართველოსი, მისი დათმობა იქნება თავის მოჭრა, თავის მოჭრა კი სიკვდილია.

## VII. ორგანიზაცია

საქართველო უნდა წარმოადგენდეს დემოკრატიულ რესპუბლიკას.

თუმცა ეს მოთხოვნილება აშკარაა და ნათელი, მაინც იგი ითხოვს ცოტაოდენ განმარტებას იმისდა მიხედვით, თუ რა იქნება რუსეთში. თუ რუსეთი მოეწყობა ისე, როგორც ფედერატიული რესპუბლიკა, მაშინ საქართველო იქნება ერთი შტატი ან კანტონი, დაახლოვებით იმავე უფლებებით, როგორიც აქვს შტატებს ჩრდილო ამერიკაში, ან კანტონებს შვეიცარიაში.

1 ამ თეზისს კარგად ასურათებს ივანე ჯავახიშვილის ნაშრომები „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“ და „საქართველოს ეკონომიური ისტორია“. მოვიყვანთ ამ უკანასკნელიდან მხოლოდ ერთ ამონარიდს: „ბარელს მთა სჭირდებოდა და მთიელს კიდევ ბარი. უერთმანეთოდ მათ არსებობა არ შეეძლოთ. ამ ბუნებრივი პირობების წყალობით საქართველოს შუა ნაწილი, ბარი, ეკონომიურად ჩრდილოეთისა და სამხრეთის ნაწილების თემებთან ისევე, როგორც წინაუკმოც მთა ბართან უმჭიდროესად იყო დაკავშირებული.“ (ივ. ჯავახიშვილი, თხზ. 12 ტომად. ტ. 4. თბ., 1996. გვ. 337). [რედ.]

თუ რუსეთში ფედერაცია ვერ მოხერხდება, მაშინ საქართველოს უნდა აღედგინოს ავტონომია რუსეთთან ხელ-შეკრულების ძალით, ე.ი. თავის შინაგან საქმეთა მართვა გამგეობაში იგი უნდა იყოს თავისუფალი.

რაც გინდა მოხდეს, შტატი იქნება თუ ავტონომია, ერთ-ნაირად უნდა გავითვალისწინოთ საქართველოს მართვა გამგეობის ორგანიზაცია.

თავი და თავი მიზანია ყოველ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციისა, ვიმეორებ, არის თავისუფლების დაცვა. მეცნიერებამ გამოიკვლია და ცხოვრებამ დაამტკიცა, რომ თავისუფლების დასაცველად ერთი უმთავრესი საშვალებათგანი არის უფლებათა დანაწილება. სახელმწიფოებრივ უფლებაში სამი ელემენტია: აღმასრულებელი, კანონმდებელი და სამართალი. ეს სამი ელემენტი არ უნდა იყოს არეული, არ უნდა იყოს ერთი და იმავე ხელში; სამივე ელემენტი უნდა იყოს განკერძოვებული და დამოუკიდებელი ერთი მეორისაგან. ამიტომ ჩვენ უნდა მოკლედ აღვნიშნოთ, თუ როგორ უნდა იყოს მოწყობილი თითეული ეს ძალა.

### ა) საქართველოს ადმინისტრაცია

ვინ იქნება საქართველოს ავტონომიის სათავეში? ვინ იქნება მისი მმართველი და წარმომადგენელი?

ინგლისის ავტონომიურ კოლონიებში ასეთი პირია გენერალ-გუბერნატორი, რომელსაც ჰნიშნავს ინგლისი.

ამერიკაში (შტატებში) – გუბერნატორი, რომელსაც ირჩევს ხალხი ერთის, ორის, ან ოთხის წლის ვადით.

შვეიცარიის კანტონებში ასეთი პირი სულ არ არის. ჟენევაში, მაგალითად, ხალხი ირჩევს „სახელმწიფო საბჭოს", ორი წლის ვადით. ეს საბჭო შესდგება შვიდი წევრისაგან და იმას აბარია მთელი კანტონის გამგეობა.

თუ რუსეთში დამყარდება ფედერატიული წესწყობილება, მაშინ აღმასრულებელი ძალა მოწყობილ იქნება დაახლოვებით ისე, როგორც არის ჩრდილო ამერიკაში, ან შვეიცარიაში[,], ე.ი. ხალხის სურვილზე იქმნება დამოკიდებული აირჩიოს ერთი ან რამდენიმე წარმომადგენელი აღმასრულებელი უფლებისა. თუ ავტონომია იქმნება, მაშინ ცენტრალ მთავრობას შერჩება უფლება საქართველოში დანიშნოს თავისი წარმომადგენელი, რომელიც იმავე დროს იქმნება უმთავრესი გამგე ავტონომიისა. ამ შემთვევაში, რა საკვირველია, დიდად სასურველია, რომ ამისი უფლება იქმნას იმდენი და ისე განსაზღვრული, როგორც არის ინგლისურ ავტონომიებში. ასეთი გუბერნატორი ან ნამესტნიკი ვალდებული იქმნება განაგოს საქართველოს საქმეები საზოგადოებრივ აზრის თანახმად, ხალხის სურვილისამებრ. მან ყოველწლივ თავის დროზე უნდა მოიწვიოს და გახსნას საქართველოს საკანონმდებლო საკრებულო (პარლამენტი), იმას ჰყავს თავისი სამინისტრო, პასუხისმგებელი ამ საკრებულოს წინაშე; იგი ამტკიცებს მიღებულ კანონებს (სანკცია) და ნება აქვს ზოგჯერაც არ დაამტკიცოს ეს კანონი (ვეტო). ერთის სიტყვით, იგი მხოლოდ თვალყურს ადევნებს, რომ რაიმე რუსეთის საწინააღმდეგო კანონი არ იქნას მიღებული. რასაკვირველია, იგი უნდა იყოს საქართველოს მკვიდრთაგანი.

თუ საქართველოს ხელშეკრულობას სახეში მიიღებთ, თავისთავად ცხადია რომ თვითონ საქართველოს უნდა მიენიჭოს ამისთანა პირის არჩევის უფლება განსაზღვრულის ვადით; რუსეთს უნდა შერჩეს მხოლოდ უფლება მისი დამტკიცებისა. ეს იქნება პრეზიდენტი საქართველოს რესპუბლიკისა, წარმომადგენელი ავტონომიისა და მეთაური მისი აღმასრულებელი ძალისა. აგრე კითხვის გადაწყვეტა უფრო სასარგებლოა და იურიდიულად უფრო დასაბუთებული.

### ბ) საქართველოს პარლამენტი

ეს პარლამენტი უნდა წარმოადგენდეს მთელს საქართველოს. მე ამითი ის მინდა ვსთქვა, რომ ამ საკრებულოში უნდა იყოს წარმოდგენილი არამც თუ ყოველი მხარე საქართველოსი, არამედ ყოველი უმცირესობაც, პოლიტიკური იქნება იგი, თუ ეროვნული. მაშასადამე, არჩევითი უფლება იმგვარად უნდა იყოს მოწყობილი, რომ უმცირესობასაც ჰქონდეს შეძლება გაიყვანოს თავის წარმომადგენელი ამ საკრებულოში და ამ ნაირდ მიიღოს მონაწილეობა ქვეყნის კანონმდებლობაში. ამისთანა არჩევნებს ჰქვიან პროპორციული წარმომადგენლობა. პროპორციული არჩევნები კი ნამდვილი დემოკრატიული პრინციპია და მიღებულია ყველა განათლებულ და დემოკრატიულ

ქვეყნებში. ამ პრინციპზე აშენებული კანონმდებელი საკრებულო იქნება სწორი გამომხატველი მთელი საქართველოისა, როგორც ეროვნულად, ისე პოლიტიკურად.

ყოველი სრული წლოვანი მკვიდრი საქართველოისა, მიიღებს მონაწილეობას ამ არჩევნებში, დედა-კაციც და მამაკაციც თანასწორად. ეროვნებას და სარწმუნოებას ამ შემთხვევაში არა აქვს არავითარი მნიშვნელობა.

ამისთანა საკრებულო, რომლის შემადგენლობა იქნება ალბად 100-200 კაცამდე, უნდა გაიხსნას ქ. თბილისში ყოველ წლივ ერთჯერ მაინც. ამ საკრებულოს ხელში იქნება სრული ადგილობრივი კანონმდებლობა. მან უნდა მოაწყოს თავდაპირველად თავისი თავი, შეიმუშაოს თავისი კონსტიტუცია, მოაწყოს ადმინისტრაცია, სამართალი, სახალხო განათლება, მილიცია და პოლიცია, ადგილობრივი თვითმართველობა სოფლების და ქალაქებისა, მიწათ-მფლობელობისა, მეურნეობა, მრეწველობა, ვაჭრობა და სხვა და სხვანი. ერთის სიტყვით, მოაწესრიგოს მთელი ჩვენი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ცხოვრება და განწყობილება.

ეს არის კანონმდებლობა და ეს კანონმდებლობა ეკუთვნის საქართველოს პარლამენტს.

### გ) სამართალი

როგორ უნდა მოეწყოს სასამართლო საქართველოში?

ამ კითხვის გადა[წ]ყვეტაში სახეში მაქვს როგორც უცხო ქვეყნების მაგალითები, ისე ჩვენი ცხოვრებაც – ეხლანდელი ჩვენი სასამართლოები.

ა) მომრიგებელი მოსამართლე

მისი უფლება უნდა იყოს ცოტად გაფართოებული, მისი უბნის სივრცე ცოტათი შემცირებული. ამ მოსამართლეს ირჩევს ხალხი.

იმ საქმეებისთვის, რომელსც არჩევს მომრიგებელი-მოსამართლე, მეორე ინსტანცია იქნება ამ მოსამართლეთა პერიოდული კრება. ასეთ საქმეებისთვის კასსაცია უნდა მოისპოს სრულებით. ამ უკანასკნელ მოსაზრებას თავისი ღრმა საფუძველი აქვს, რომლის განვითარება ეხლა შორს წაგვიყვანს.

ბ) საოლქო სასამართლო

სამი ან ოთხი: თბილისში, ქუთაისში, ბათომში და შეიძლება აგრედვე სუხუმში.

ამ სასამართლოების განხილვაში შედიან იგივე საქმეები (სამოქალაქო და სისხლის სამართლისა), რაც ეხლა მიეკუთვნება „ოკრუჟნი სუდს“. ამ საქმეებისთვის მეორე ხარისხის სასამართლო იქნება პალატა, როგორც არის ეხლა.

აქ საკასსაციო ინსტანცია საჭირო არის. ამიტომ თბილისში უნდა მოეწყოს სენატი, რომელიც იქნება უმაღლესი სასამართლო დაწესებულება საქართველოში.

## VIII. დასკვნა

ერი – ცხოველი ორგანიზმია. იგი თავის თავად ჰქმნის თავის ნერვიულ სისტემას, თავის ტვინს და შესაფერ ორგანოებს, რაც კი საჭიროა საცხოვრებლად და თავის დასაცავად. ერის უბედურობა სწორედ იმაში გამოიხატება, როცა მისი ბუნებრივი ზრდა და განვითარება შეფერხებულია, როცა იგი ძალდატანებით მოკლებულია ყოველ ღონისძიებას თავისუფლად შექმნას ეს საჭირო და აუცილებელი ორგანოები.

ავტონომია არის სწორედ იმ თავისუფლების მოპოება, რომელიც აუცილებლად საჭიროა ეროვნულ ცხოვრების მოსაწყობად. პარლამენტი არის ის ტვინი ერისა, სადაც იკვანძება მისი ნერვიული სისტემა, მისი თვითშეგნება, მისი სურვილი და ნება. მართველობა კი არის ის ორგანო, რომელსაც ევალება ამ ნება-სურვილის სისრულეში მოყვანა. ამ ნაირად ერი ღებულობს იურიდიულ სახეს, იგი ჰხდება უფლებრივი პიროვნება. ამ მომენტიდან იმას ეძლევა ტეხნიკური საშუალება თვით მოუაროს თავისთავს, თვით გაუძღვეს თავის საქმეებს და მოაწესრიგოს თავის ცხოვრება.

მე სახეში არა მქონდა დაწვრილებითი აღწერა იმ წესწყობილებისა, რომელიც უნდა დამყარდეს საქა[რ]თველოში. ეს კითხვა დიდად ვრცელია და ერთი ან ორი ფელეტონით იგი არ ამოიწურება. მე მინდოდა მხოლოდ წარმომედგინა საერთო მოხაზულობა ავტონომიისა, საერთო გეგმა მის შინაურ წესწყობილების და საერთოდ მისი ადგილი რუსეთში.

მე მგონია, ეს მოკლე წერილიც საკმარისია ამ საერთო მოხაზულობის წარმოსადგენად. მე არ შევეხებივარ არც სამხედრო სამსახურს საქართველოში, არც მისს ხაზინას და ხარჯთაღრიცხვას

და ბევრს კიდევ სხვა მნიშვნელოვან მხარეს. მაგრამ მიუხედავად ამისა მკითხველისთვის, მე მგონია, მაინც აშკარაა ის მინიმუმი პოლიტიკური თავისუფლებისა, რომელიც აუცილებლად უნდა მიენიჭოს საქართველოს. ეს იქნება – საქართველოს ტერი[ტ]ორიაზე დამოუკიდებელი მართვა-გამგეობა მის შინაურ საქმეებში.

მაშინ მოეწყობა შრომაც და განათლებაც: მაშინ მოვხნავთ მიწას, გავჭრით მთებს, ამოვალაგებთ და გარდავქმნით მათ სიმდიდრეს, ავაყვავებთ ბაღებს, გავიყვანთ ხიდებს, ავახმაურებთ სხვა და სხვა ქარხნებს... და ვრცელი და განუზომელი შავი ზღვის პირი გახდება საამური გასაქანი ჩვენი შრომის და შემოქმედებისა.

### გიორგი გვაზავა
## საქართველოს ავტონომია[1]

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 1917 წ., 5 (17) მკათათვე (ივლისი), № 144, გვ. 2; 6 (18) მკათათვე (ივლისი), № 145, გვ. 2.*

ავტონომია არის სახელმწიფოებრივი წესწყობილება. იგი შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც არის შესაფერი ნიადაგი – ე.ი. ტერიტორია და ხალხი, საკმაოდ მომზადებული და განვითარებული სახელმწიფოებრივი ცხოვრებისათვის.

საქართველოს ტერიტორია ერთია და მთლიანი, მისი გეოგრაფიული მდებარეობა, განსაზღვრული ერთის მხრით გადაუვალ კავკასიის ქედით და მეორე მხრით – ვრცელი შავი ზღვის ნაპირით, დიდად ხელს უწყობს სახელმწიფოებრივ ცხოვრების დამყარებას. ტერიტორიის სივრცე უდრის 84,660 კვ. ვერსსა, მაშასადამე სიდიდით თითქმის იმოდენაა, როგორც ბულგარეთი (99,635 ოთხკ. კილომ. = 92, 103 ოთხკ. ვერსი), და ორჯერ უფრო დიდია, ვიდრე შვეიცარია (41,346 კვ. კილომ. – 36,417 კვ. ვერსი). ქვეყანა ბუნებით მდიდარია და მრავალფერი.

ამ ტერიტორიაზე მოსახლეობს ქართველი ერი, რომლის რიცხვი აღემატება ორ მილიონსა და შეადგენს არა ნაკლებ 80 % მთელი მოსახლეობისას.

| | | |
|---|---|---|
| **(ქუთაისის გუბერნიაში ქართველობაა:** | | **95.9 %** |
| | **ბათომის მხარეში** | **86,8 %** |
| | **სოხუმის ოლქში:** | **83,4 %** |
| **თბილისის გუბერნიაში:** | | |
| | **გორის მაზრაში** | **93 %** |
| | **თიანეთისაში** | **89,4 %** |
| | **დუშეთისაში** | **96,2 %** |
| | **სიღნაღისაში** | **84,4 %** |
| | **თელავისაში** | **90,3 %** |
| | **თბილისისაში** | **57 %** |
| | **ახალციხისაში** | **68 %** |

მხოლოდ ბორჩალოს და ახალქალაქის მაზრებში ქართველობა ნაკლებად არის, მარა საზოგადოდ მთელს თბილისის გუბერნიაში – ქართველობა შეადგენს არა ნაკლებ 6 %)[2].

ამ ტერიტორიაზე ცხოვრობს აგრეთვე უცხო ერის ელემენტიც, მარა მათი რაოდენობა საერთოდ 20 %. ამიტომ უნდა ვაღიაროთ, რომ ქართველი ერი წარმოადგენს მთლიანს ერთეულს მთლიან ტერიტორიაზე.

ქართველი ერი დიდი ხანია გამოვიდა ისტორიულ ასპარეზზე; იგი მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ეწეოდა თავისუფალ. სახელ. ცხოვრებას. მხოლოდ 1783 წლის ხელშეკრულობით საქართველომ მიიღო რუსეთის მფარველობა (პროტექტორატი), ამ ხელშეკრულობის ძალით

1 მოხსენება წაკითხული იყო საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის დამფუძნებელ ყრილობაზედ.
2 გაზეთში ქართველთა რაოდენობის %-ის ჯამი აქ შეცდომითაა მოცემული (რედ.)

საქართველოს უნდა დარჩენოდა საკუთარი კანონმდებლობა და მთავრობა, საკუთარი ხაზინა, ჯარი, სამართალი, ეკლესია.

1801 წელს რუსეთმა დაარღვია საქართველოსთან დადებული ხელშეკრულება და სრულიად გააუქმა ქართველი ერის სახელმწიფოებრივი უფლებანი. ამ მოსაზრებათა გამო, როგორც მატერიალურად, ისე უფლებრივად საქართველოს ავტონომია აუცილებელია და ყოველ დავის და ეჭვის გარეშე.

### საქართველოს უფლებანი

საჭიროა მხოლოდ გავითვალისწინოთ საქართველოს პოლიტიკური უფლებანი. ზოგსა ჰგონია, რომ 1783 წლის ხელშეკრულობას არა აქვს დიდი მნიშვნელობა. ეხლა ჩვენ განვიცდით რევოლუციას რუსეთში და მოწმენი ვართ საშინელი მსოფლიო ომისა. ამისთანა ხანაში, რასაკვირველია, უმთავრესი მნიშვნელობა აქვს მატერიალურ ძალას, ჯარსა და ზარბაზნებს, მარა რევოლუცია და ომი არ არის მუდმივი მოვლენა, ბოლოს და ბოლოს ერთიც და მეორეც უნდა შეწყდეს, უნდა ჩამოვარდეს ზავი, უნდა დამყარდეს ისევ უფლებრივი განწყობილება ერთა შორის. მაშინ ჩვენს ხელშეკრულებასაც მიეცემა შესაფერი მნიშვნელობა, მაშინ ისიც წარმოადგენს თავისებურ ძალას, რომელსაც ყველამ ანგარიში უნდა გაუწიოს.

იგი დადებულ იყო ორ თავისუფალი სახელმწიფოთა შორის და წარმოადგენს იურიდიულად ნამდვილს საერთაშორისო აქტს. საქართველომ მიიღო რუსეთის პროტექტორატი და დაჰპირდა თავის მხრივ თვისი საერთაშორისო განწყობილება მოექცია რუსეთის კანტროლის ქვეშ და ომიანობის დროს მიეშველებინა ჯარი რუსეთისათვის. ამნაირად შეზღუდული იყო მხოლოდ საერთაშორისო განწყობილების უფლება. ყველა დანარჩენი პოლიტიკური უფლებანი ჰრჩებოდა საქართველოს ხელში.

ასეთი უფლებრივი განწყობილება წარმოადგენს ვრცელს ავტონომიას. თუ ეს პოლიტიკური უფლებანი აღდგენილნი იქნებიან, მაშინ საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება შემდეგ სახეს მიიღებს.

### პოლიტიკური წესწყობილება საქართველოში

ფ[ე]ოდალიზმი გაჰქრა, მისი ადგილი დაიჭირა კაპიტალისტურმა წესწყობილებამ: დაინგრა სამეფო ტახტი, უფლება-მოსილება გადავიდა დემოკრატიაზე. ამ გარემოებათა გამო პოლიტიკურ წესწყობილებამ საქართველოში უნდა მიიღოს თანამედროვე დემოკრატიული სახე და ხასიათი.

ა) ეროვნული კრება

ხალხის უფლებამოსილობა გამოიხატება მის საკანონმდებლო წარმომადგენლობაში. ეს იქნება ეროვნული კრება. იგი უნდა იყოს ნამდვილი გამომხატველი ხალხის სურვილის და მისწრაფებებისა, მაშასადამე აქ უნდა იყოს წარმოდგენილი როგორც ყოველი კუთხე საქართველოისა, აგრეთვე ყოველი ჯგუფი და აზრთა მიმდინარეობა. აგრე საქმის მოსაწყობად საჭიროა არა მარტო საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭის ყრა, არამედ აგრეთვე პროპორციული არჩევნები წარმომადგენელებისა. რიცხვი იმათი შეიძლება იყოს 120-240 ამდე. ამისთანა ეროვნულ კრებას ექნება სრული კანონმდებლობის უფლება.

გამოსარკვევია სივრცე და სიფართე ამ უფლებისა. სწორედ აქ არის სადავო მიდამო.

რომ წარმოვიდგინოთ უფრო მკაფიოდ ის წესწყობილება, რომელიც იქნება საქართველოში ჯერ დავიწყოთ იმ უფლებათა აღნუსხვით, რომელნიც საქართველოს ეროვნულ კრებას მიეკუთვნება. მართალია, სრულად ამ საკითხის ამოწურვა შეუძლებელია, მარა უმთავრესი დარგი და სფერონი მაინც აღნიშნული უნდა იყოს.

აი უმთავრესი ამ უფლებათაგანი:

1. – ჯარის მოწყობა, მისი გაწურთვნა და განათლება, მისი ჩაცმა-დახურვა დაბინავება; აგრედვე რიგი და წესი სამხედრო სამსახურისა.

ყოველ სახელმწიფოებრივ ერთეულს სჭირია ჯარი ან მილიცია, ხელშეკრულების ძალით საქართველოს უნდა ჰყოლოდა მუდმივი თავისი ჯარი და ომის დროს მიეშველებინა იგი რუსეთის დასახმარებლად. გარდა ამისა, თითქმის ყველა ავტონომიურ სახელმწიფოს ჰყავს თავისი ჯარი.

მაშასადამე, მოთხოვნილებაში როგორც უფლებრივად, ისე ფაქტიურად მოულოდნელი არაფერია.

2. მოწყობა ფართო ადგილობრივი თვითმართველობისა სოფლებში და ქალაქებში. საქართველოს სხვა და სხვა პროვინციებს დიდი თავისებურობა ეტყობა; ამიტომ ამ ადგილებს უნდა მიეცეს ვრცელი თვითმართველობა და ამ საქმის მოწესრიგების უფლება უნდა ჰქონდეს ეროვნულ კრებას.

3. მოწყობა სამართლისა, ადმინისტრაციისა და ხალხის განათლებისა. სამართალი უნდა ეგუებოდეს ხალხის უფლებრივ შ[ე]გნებას, მის საზოგადოებრივ სინიდისსა, მაშასადამე იგი მოწყობილი უნდა იყოს ისე, როგორც ამას გადასჭრის ხალხის შეგნება და მისი კულტურული მდგომარეობა. ადმინისტრაცია კი არ უნდა იყოს ხალხისაგან განშორებული, პირიქით უნდა იყოს ხალხის მიერ ამორჩეული, აღჭურვილი მისი ნდობით და პატივისცემით; ამას უნდა თავისი კანონმდებლობა, აგრეთვე შეთანხმებული ხალხის სურვილთან – უფრო საყურადღებოა ხალხის განათლება, სკოლების, მუზეუმების და სხვა საკულტ[ურ]ო დაწესებულებათა გახსნა და განვითარება.

4. სამოქალაქო და სოციალური კანონმდებლობა. აქ იგულისხმება დაცვა მოქალაქეობრივი თავისუფლებისა, გადაწყვეტა და მოწესრიგება კერძო საკუთრების საკითხისა და დაცვა შრომის და შემოქმედებისა. ყველა ამ საკითხებს აქვს დიდი და საყოველთაო მნიშვნელობა; ამიტომ ამბობენ – სულ ეს საგნები არ უნდა შედიოდეს საავტონომიო უფლებაშიო ეს აზრი შემცდარია. ჯერ ერთი, ავტონომიის შინაარსი არამც თუ არ ეწინააღმდეგება ამისთანა საკანონმდებლო უფლებასა, პირიქით, ეხლანდელ დროში ავტონომია წარმოუდგენელია, თუ ეს უფლებები მას არ ექნება მინიჭებული. ავსტრალია, კანადა, ახალზელანდია და ბევრი სხვა ქვეყნები სწორედ იმიტომ დაწინაურდნენ და სახარბიელოდ მოაწყეს თავიანთი ცხოვრება, რომ ჰქონდათ ამისთანა უფლება და შეეძლოთ თავისუფლად გაეწია შრომა და ენერგია. მოქალაქეობრივი თავისუფლება ამ ქვეყნებში უზრუნველყოფილია, სოციალური კანონმდებლობა – გასაკვირველი. თითქმის აგეთივე მდგომარეობაშია ფინეთი; მიუხედავად იმ ბრძოლისა და ვაივაგლახისა, რომელიც განიცადა ამ ქვეყანამ რუსეთის ბიუროკრატიის ძალა-მომრეობისაგან, მაინც იგი წავიდა წინ და რუსეთის სხვა ქვეყნებთან შედარებით გაცილებით მაღლა სდგას ეკონომიურად და კულტურულად. ბოლოს, როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს აქვს ამისი უფლება 1783 წ, ხელშეკრულების ძალით. ამ ხელშეკრულების მეექვსე მუხლში პირდაპირ ნათქვამია, რომ კანონმდებლობა, მართვა-გამგეობა, ხარჯის აკრეფა და სამართალი უნდა დარჩენილიყო ხელუხლებელი რუსეთის მიერო. ამიტომ არ არის არავითარი საფუძველი იმის გასამართლებლად, თუ ეს კანონმდებლობა საქართველოს ავტონომიას ექმნება შეზრუდული.

აიღეთ, თუ გნებავთ, მუშათა საკითხი. რად უნდა იყოს ჩვენი მუშა ხალხის კეთილდღეობა დამოკიდებული რუსეთის კანომდებლობისაგან? განა ჩვენ, ჩვენს მუშა ხალხს თვითონ უკედ არ გაეგება, თუ რა არის მისთვის საჭირო? 8 საათის სამუშაო დღე იქნება შემოსაღები, თუ უფრო ნაკლები, ან საჭიროა ზოგიერთ შემთხვევაში სრულებით შრომის აღკრძალვა, ან ჯამაგირის მომატება; საჭირო იქნება ეგრედ წოდებული ქოლექტივური ტარიფი შრომისა, თუ სამედიატორო კამერის შემოღება და სხვა და სხვანი – სულ ეს, დამეთანხმებით, ისეთი კანონმდებლობაა, რომელიც უნდა იყოს ჩვენივე ხალხის ხელში, თუ არ გვინდა ჩვენივე ხალხის ბედი და კეთილდღეობა მსხვერპლად შევწიროთ ზოგიერთ მიუწვდენელ ოცნებებს.

ასეთივე მნიშვნელობა აქვს მიწათ მფლობელობას და მიწათ მოქმედობას. რამდენიმე გვაქვს საზოგადოდ თავისუფალი მიწა, რა სამეურნეო ხასიათის და ბუნებრივი ნოყიერებისა, ვის რა წესით და პირობებით, სად როგორ უნდა გამოვიყიდოთ და სად როგორ უნდა მოვიხმაროთ ეს მიწა-წყალი, სულ ეს ადგილობრივი საკითხია და ამათი გადაწყვეტა უნდა გადაეცეს ისევე ჩვენს ხალხს, ჩვენს გლეხობას და საზოგადოდ ყველას, ვინც მიწაზე მუშაობს. ამისთანა კითხვების გადაწყვეტა შორს ჩვენგან, რუსეთის პარლამენტში, სადაც საქართველოს წარმომადგენელი იქნება ხუთი ან ათი კაცი და თითქმის ათას სულს სხვა ხალხის და ეროვნებათა წარმომადგენელი, ყოვლად შეუძლებელია. ამისთანა კანონმდებლობა უფრო არევს და დარევს საუკუნოებით დამყარებულს ჩვენს საადგილ-მამულო განწყობილებას და შეიძლება ისეთი კანონებიც შემოიტანონ, რომელიც სულ არ შეეგუება ჩვენს ცხოვრებას და ჩვენი ხალხის სურვილს.

ამიტომ სრული კანომდებლობა შესახებ სამოქალაქო უფლებისა, სისხლის სამართლისა და სოციალური განწყობილებისა, უნდა ჰქონდეს მინიჭებული საქართველოს ავტონომიას.

5) საფინანსო პოლიტიკა. ეს შეეხება საზოგადოდ ხალხის ეკონომიურ ძალას, მის მიმართულებას და განვითარებას. ამ სფეროში შედის სხვა და სხვა გვარი გადასახადი, ბაჟი და აქციზი, სესხის

აღება, კრედიტის განვითარება, ბანკების მოწყობა და მფარველობა ვაჭრობის, მრეწველობის და მეურნეობისა. საქმე იმაშია, რომ ეხლანდელ დროში, ზღვაოსნობის, რკინის გზების და სხვა კულტურული წინმსვლელობის გამო, არც ერთი ქვეყანა არ არის გამოთიშული საურთიერთო განწყობილებისაგან. არის მსოფლიო ბრძოლა არსებობისათვის, ის ერი, რომელიც ყურადღებას არ აქცევს ამ მსოფლიო ეკონომიურ განწყობილებას და თავის დროზე არ მიიღებს საჭირო ღონისძიებას თავის ინტერესების დასაცველად, ის ერი დაღუპულია, იგი ადრე თუ გვიან გახდება ლუკმა სხვა ერებისა. ამიტომ აქ გვმართებს ძალიან სიფრთხილე, დიდი გამჭრიახობა და უფრო მეტი ენერგია. სხვისი წყალობით და ქველმოქმედებით ჩვენ ვერ ვიცხოვრებთ. ქველმოქმედება არ არსებობს საერთაშორისო განწყობილებაში. აქ ჩვენვე უნდა მოვუაროთ ჩვენს თავს. თუ ჩვენვე უნდა მოვუაროთ, აშკარაა, ჩვენ უნდა გვქონდეს ნება ამ თავის მოვლისა ე.ი. კანომდებლობისა. ამიტომ საქართველოს ეროვნულ საკრებულოს უნდა ჰქონდეს სრული უფლება: შემოიღოს სხვა და სხვა გადასახადი, ბაჟი, აქციზი, აიღოს სესხი, გახსნას საკრედიტო დაწესებულებანი, მოაწესრიგოს ვაჭრობა-მრეწველობა და მეურნეობა.

## ზურაბ ავალიშვილი

(1874-1944)



ქართველი ისტორიკოსი, იურისტი, ლიტერატურათმცოდნე, დიპლომატი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, პროფესორი, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტის ტექსტისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის ერთ-ერთი ავტორი.

ზურაბ ავალიშვილი იყო 1919 წელს პარიზის საზავო კონფერენციის მონაწილე, სპეციალური ნოტის ავტორი, რომელიც 1920 წელს საქართველომ წარუდგინა ანტანტის სახელმწიფოთა უზენაეს საბჭოს. 1921 წლიდან ემიგრაციაში წავიდა, მოღვაწეობდა საფრანგეთსა და გერმანიაში.

ზურაბ ავალიშვილის ნაშრომი „საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში: მოგონებანი, ნარკვევები" გამოიცა რამდენიმეჯერ. პირველად იგი გამოვიდა რუსულად „Независимость Грузіи въ международной политикъ 1918-1921 гг. Воспоминания, Очерки" 1924 წელს პარიზში. ნაშრომი მალევე ითარგმნა, 1925 და 1929 წლებში ტიფლისში გამოვიდა შალვა ელიავას წინასიტყვაობით ქართულ ენაზე. მოგვიანებით ნაშრომი გამოვიდა 1990 (მოამზადა გურამ მამულიამ) და 2011 წლებში (რედაქტორია ზ. მესხი)[1].

# საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში: მოგონებანი, ნარკვევები[2]

*წყარო: პარიზი, 1924. თარგმანი ნ. ლორთქიფანიძისა, შალვა ელიავას წინასიტყვაობით (ტფილისი: ზაკკნიგა, 1925).*

### 24. გადამწყვეტი დღეები
### ბათომი, 21 მაისი 1918 წ.

დილით, ნ. ჟორდანია, [ნ]. ნიკოლაძე და მე, რუქაზე ვათვალიერებთ ჩვენთვის საჭირო საზღვრებს. უკიდურეს შემთხვევაში, თანახმა ვართ „მივცეთ" ზაქათალის ოლქი. არავითარ საზღვრების სხვა შესწორებას აზერბაიჯანის სასარგებლოთ ჩვენ არ დაუშვებთ. ოსმალოები პირდაპირ გვახრჩობენ, მაგრამ ახალციხე და ხერთვისი საქართველოში უნდა დარჩეს.

დღისით თათბირი აქვთ თურქებსა და ქართველებს ურთიერთ საზღვრების გამო. ერთის მხრით [ნ]. ნიკოლაძე, [ნ]. ჟორდანია, [პ.] სურგულაძე და მე; მეორეს მხრით ხან-ხოისკი, ხასმამედოვი, საფიკურდსკი, პეპინოვი, უსუბეკოვი, ჯაფაროვი. სომხებმა უარი განაცხადეს ელისავეტპოლის გუბერნიაზე (ყარაბაღი), და მუსლიმანები... დათანხმდნენ ამიერკავკასიაში ცალკე სომხური კანტონის დაარსებაზე (დაახლოებით, ახლო წარსული დროის ერობის ოცნების სქემით „ალექსანდრეპოლის გუბერნია"). მზათ არიან ჩვენ წაგვგლიჯონ სიღნაღის, ტფილისის და ბორჩალოს მაზრების ნაწილები (როგორ მიიღებდნენ ამ ამბავს მცხეთის სამარეში მდებარე მეფეები!); მაგრამ აქ შეთანხმება შესაძლებელია: ისინი დაგვითმობენ. ახალციხის შესახებ პეპინოვი თვითგამორკვევის პრინციპს აყენებს (ფიქრობს, რომ ოსმალეთს შეუერთდება).

საერთოდ, ჩვენი მეგობარი მუსლიმანები გვარწმუნებენ, რომ „სამსახოვან" მთლიან ამიერკავკასიას ყოველგვარად დაიცავენ; მაგრამ რა ვქნათ, ამბობენ ისინი, თუ ოსმალები არ დაგვეთანხმნენ და ერთი განზრახული „კანტონთაგანი" არ იარსებებს! ამ შემთხვევაში მათ სურთ

1 წიგნი გამოიცა ინგლისურ ენაზეც (Avalishvili, Zurab, 1940. The Independence of Georgia in International Politics, 1918-1921. London: Headley Bros.).

2 ამ ნაშრომიდან მხოლოდ ის ადგილები შეირჩა, რომელის სწორედ ტერიტორიებისა და საზღვრების თემას ეხება. [რედ.] ნაშრომს თან ერთვის „საქართველოს ისტორიული რუკა", მასშტაბი 1:3,000,000 (1919 წელს გამოცემული ფრანგული რუკა იგულისხმება).

ამიერკავკასია შეინარჩუნონ ორსახოვნათ...

ჩვენ ვუპასუხეთ, რომ თუ ამიერკავკასიას ასეთი უბედურება დაატყდა ბათომში, მაშინ ჩვენ თავს თავისუფლათ ჩავთვლით და ყოველი მხარე მდგომარეობას ასწონ-დასწონის.

ნუთუ ნაადრევი არ იყო ტფილისში ამიერკავკასიის კონსტიტუციის შეთხზვის დაწყება!

შემდეგ ვისეირნეთ „ამიერკავკასიის" ავტომობილით; ჩემი თანამგზავრები – [ა]. ჩხენკელი და [ნ]. ჟორდანია – ერთი წელიწადია, რაც შეეჩვიენ რევოლუციის ხელისუფლების ამ ძვირფას ნიშანს. ჭოროხის ხეობის აღმა აჭარისწყლის შეერთებამდის. რამდენათ უფრო სასიამოვნოა ეს სანახაობა, ეს მედგარი ფესვგადგმული ხეები ზღვის ნაპირის „სუბტროპიულ" ნაჯახირევზე. [...]

გვიან ღამით, ვეხმარები გენერლებს [ი]. ოდიშელიძესა და [გ]. ყორღანოვს, ოსმალეთის ორ ოფიცერთან ერთად სპეციალურ სამხედრო შეთანხმების გადახედვაში. მეცოდება გენერლები.

22 მაისი. რადგან ამიერკავკასიას მოელის დაშლა, გადამწყვეტი თათბირია დანიშნული საქართველოს დამოუკიდებლათ გამოცხადების შესახებ. ძირითად დებულებათ მიღებულია ის, რასაც მე, როგორც „მრჩეველი" დიდი ხანია ვამტკიცებ, და რისი თანახმაც არიან [ა]. ჩხენკელი და სხვები. საქართველოს დამოუკიდებლობა და მიწა-წყლის მთლიანობა უზრუნველყოფილია გერმანიის მიერ. ამიერკავკასიის აღმოსავლეთს ეძლევა მოქმედების თავისუფლება, და ეწყობა ოსმალოების დახმარებით, სომხებმაც უნდა გამოაცხადონ თავიანთი დამოუკიდებლობა; ამ წუთში მათი უმთავრესი საზრუნავი საგანია გადაარჩინონ მცხოვრებლები ოსმალოების ჩვეულებრივ მოქცევისაგან. ისინი ცდილობენ მოიპოვონ გერმანიის დახმარება და მიზანსაც მიაღწევენ. შემდეგ, იმათაც და ჩვენც შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ უფრო სამართლიანათ გავიმიჯნოთ ოსმალეთთან. მაგრამ ეს, ისე, როგორც ამიერკავკასიაში ურთიერთგანწყობილების დამყარება, მომავლის კითხვაა.

დავწერე სანიმუშო პროექტი საქართველოს დამოუკიდებლად გამოცხადებისა – დადგა დრო საქმის ჩამოყალიბების და მოქმედებისა.

[ა]. ჩხენკელმა, [ნ]. ჟორდანიამ, [ნ]. ნიკოლაძემ და [პ]. სურგულაძემ მოიწონეს. [ნ]. ჟორდანიამ ეს პროექტი წაიღო ტფილისში, გამოთხოვების დროს ჩვენ განსაკუთრებულის გრძნობით ვართმევდით ერთმანეთს ხელს. მან ძლიერ სერიოზული პიესა უნდა დადგას. საშინელებაა მთელი ეს ტევრი ყოველგვარი ორგანიზაციებისა, საბჭოებისა და კიდევ უფრო მეტათ საშინელია უტეხი ტყე ცრუმორწმუნოებისა. მაგრამ მან, ეტყობა, უკვე მოამზადა უკანასკნელი აქტი: დარჩენია, მხოლოდ ააწევინოს ფარდა. [...]

24 მაისი. სწარმოებს გაცხარებული მუშაობა. მე და ვეზენდოკი ვკითხულობთ საბოლოო პროექტს. ბევრი მიხვდა, რომ სცენის უკან უხმო მუშაობაა და დეკლარაციები იცვლება. გვიან ღამით ვადგენ შემდეგ დეპეშას, რომელიც იგზავნება ღამით ა. ჩხენკელის ხელისმოწერით:

ტფილისი, გენერალ [გ]. კვინიტაძეს:

„გადაეცით საქართველოს ეროვნულ საბჭოს პრეზიდიუმს შემდეგი: საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების კიდევ დაგვიანება გამოიწვევს გამოუსწორებელ შედეგებს. გერმანელების შუამავლობის ცდა არ მოხერხდა. დაგვრჩენია ერთადერთი: ოსმალოების შემოსევას წინ დავუყენოთ დამოუკიდებელი საქართველო, რომელსაც მხარის დამჭერათ ეყოლება გერმანია. მის წარმომადგენლათ საქართველოს მთავრობასთან იქნება გრაფი შულენბერგი,[1] რომელიც საჭიროა დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე იქმნეს ცნობილი... გამზადებულია ხელმოსაწერათ რამოდენიმე დროებითი შეთანხმება გერმანიასთან... ვუცდი ამ აქტის შესახებ უსწრაფეს ცნობას." [...]

## 51. დიდი სომხეთის გეგმა

ამ, უთანხმოებათა შესახებ ჩვენ მიერ ლონდონში, პირველი ცნობების მიღებისთანავე, გამომჟღავნდა აგრეთვე დამოუკიდებელ სომხეთის პროგრამა, რომლის დაცვას სამშვიდობო კონფერენციაზე მთლიანი სომხეთის სახელით აპირებდა ბოღოს ნუბარ-ფაშა (მეთაური ე.წ. ეროვნული დელეგაციისა, რომელიც დანიშნა სომხეთის კათალიკოსმა და რომელიც ჯერ კიდევ ლონდონში, ბალკანეთის კონფერენციების დროს 1912-1913 წელს პირველად გამოვიდა ევროპაში სამოქმედოთ). ეს პროგრამა, რუქის დამატებით, დაწვრილებით იყო მოყვანილი თიმეს-ის ფურცლებზე (31 დეკემბერი. 1918 წ.).

ე.წ. რუსეთის სომხეთის საზღვრები აშკარა შეცდომებით (შემცირებით) იყო ნაჩვენები,

1 შულენბურგი – გერმანელი სამხედრო პირი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაში.

და უეჭველი ხდებოდა, რომ პროგრამის პატივცემულმა ავტორმა არ იცოდა, თუ რა ხდებოდა ამიერკავკასიაში.

სამაგიეროთ ოსმალეთის ფარგლებში მომავალი სომხეთის საზღვრები ფართოდ იყო მოხაზული: ბითლისის და ვანის გარდა, სომხეთს მიკუთვნებული ჰქონდა სივასი, მერსინა, ადანა, ალექსანდრეტა და დიარბექირი. შავი ზღვის ნაპირზე სომხეთი ისაკუთრებდა უმთავრეს ნაწილს, სამსუნსა და ბათომს და სხვა. რა თქმა უნდა, ეს იყო მაქსიმალური მოთხოვნილება. მაგრამ ანგარიში მაინც უნდა გაგვეწია ამ გეგმის ავტორის ოფიციალური მდგომარეობისათვის, და მისი განცხადებისათვის, რომ სომხეთს იმედი აქვს მიიღოს ინგლისისა და საფრანგეთის დახმარება (დროებითი) ანდა ამერიკის („მანდატი“); იგი გვარწმუნებდა კიდეც, რომ ახალი სომხეთი რამოდენიმე თვის შემდეგ რეალურ მოვლენათ იქცევა.

ასეთი სომხეთი აღარ იქნებოდა ამიერკავკასიის სომხეთი. ამიერკავკასიის გაერთიანების კითხვა ამ შემთხვევაში სულ სხვაგვარათ უნდა დაგვეყენებინა. მეზობლათ ისეთი სახელმწიფოს გამოჩენის შესაძლებლობა, რომელსაც ხელთ ექნებოდა სომხეთის მანდატი, საზრდოს აძლევდა ახალ პოლიტიკურ „სპეკულაციებს“. დასასრულ, თუ სომხების ეს პროგრამა შესრულდებოდა, აზერბაიჯანი 1918 წლის ოსმალეთით გატაცების შემდეგ აუცილებლად ისევ დაუბრუნდებოდა კავკასიის წრეს და სხვა „შესაძლებლობებთან“ ერთად ყველა ეს საკმაო მასალას იძლეოდა სხვადასხვა გამოცანებისა და მოფიქრებისათვის.

არ ვიცი, სწამდათ თუ არა ახალი სომხეთის პროგრამის ავტორებს, იმ პროგრამის განხორციელების შესაძლებლობა; ვფიქრობ, რომ ისინი – ისე, როგორც ბევრი სხვა – გადაჭარბებულათ აფასებდნენ, მშვიდობის დამამყარებელ სახელმწიფოების ძალას, გავლენას და მოხერხებას. სამწუხარო იქნება, ვეუბნებოდი ჩემს თავს, თუ ჩვენი სურვილი – განვამტკიცოთ კავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობა – ისეთივე ოცნება, ისეთივე ქიმერა შეიქმნა – ანდა ოცნებათ და ქიმერათ მოეჩვენათ მცოდნე და ფრთხილ პირებს – როგორათაც ეჩვენებოდათ ბევრს ნუბარის დეკლარაციაში გამოთქმული იდეა სომხეთის დამოუკიდებლობისა.

მაგრამ, ვიმეორებ: ამ გეგმასთან ძნელი იყო სომხეთზე ჩვეულებრივი წარმოდგენის შეთანხმება – სომხეთი ხომ უმთავრესად მიმართულია ამიერკავკასიისკენ: კილიკიაზე და „ექვს ვილაიეთზე“ ოცნებას წინ უდგა ერევნის, ან „არარატის“ სომხეთის ცოცხალი სინამდვილე: სომხეთის სახელმწიფო უკვე არსებობდა და შენდებოდა თვით სომხების შრომით. მოსალოდნელი იყო, რომ ამ სომხეთს შეემატებოდა საგრძნობი ტერიტორია ოსმალეთისა, მაგრამ, ჩემის რწმენით, არა ისეთის მოცულობის, რომ შერყეულიყო გეგმა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის საკავშირო ერთობისა, რაც ერთადერთი ფორმულაა კავკასიის კითხვის გადასაწყვეტათ, ფორმულა შეთანხმებული პოლიტიკის და ისტორიის უფრო ფართო პერსპექტივებთან.

დიდი სომხეთი, გასავალი ხმელთაშუა ზღვაში – აი ზმანება რომელსაც თითქოს აქეზებდა დიდი სახელმწიფოები, რომელსაც კურთხევას უგზავნიდა, როგორც მაშინ ეგონათ, ყოვლის შემძლებელი პრეზიდენტი ვილსონი; ამ წარმტაც ოცნებას შეუძლებელი იყო არ გადაებირა სომხეთის ერის ცოცხალი მისწრაფებანი კავკასიის ორიენტაციიდან; ყოველ შემთხვევაში მან შეასუსტა, მთელი 1919 წლისა და 1920 წლის უდიდესი ნაწილის განმავლობაში, ამ ორიენტაციის მიზნებისა და მისწრაფების ძალა. სომხებს ეგონათ, თუმცა ასეთი აზრი თავიდანვე შემცდარი და უსაფუძვლო იყო, რომ „ევროპა და ამერიკა“, კონფერენცია და საერთოდ ყველა, ვინც კი განაგებდა მსოფლიოს ბედს, განსაკუთრებულად მოეპყრობოდა მათ, და რომ მათი კითხვა არ შეიძლებოდა გარეული ყოფილიყო, მაგ., ქართულ კითხვაში და სხვა. ერთის სიტყვით, სხვადასხვა მიზეზისა და გარემოებების გამო, რომელნიც სავსებით ცხადჰყოფენ სომხეთის პოლიტიკას, იგი ბუნებრივათ მიიმართა იმ გზით, რომელიც უფრო და უფრო შორდებოდა ერთადერთს, თუმცაღა ეკლიანს, მაგრამ წარმატების მიმნიჭებელ გზას; ეს გზა იყო – გზა კავკასიის რესპუბლიკების შეკავშირებისა, რომელიც დაამთავრებდა 1918 წლის მაისის დასასრულიდან დაწყებულ ამ რესპუბლიკათა სახელმწიფოებრივ განმტკიცების პროცესს.

რა თქმა უნდა, ასეთი შეკავშირება შესაძლებელი იყო მხოლოდ გარკვეულ საერთაშორისო პირობებში.

## 56. პრინკიპო[1]

დღის საჭირბოროტო კითხვა, რომელიც ჩვენ გვეხებოდა და პარიზის კონფერენციის დაწყებისას იყო სწორეთ დასმული, უეჭველია, იყო პრინკიპო.

22 იანვარს 1919 წელს უმაღლესმა საბჭომ თანახმად პრეზიდენტ ვილსონის წინადადებისა, გადაწყვიტა კონსტანტინოპოლის ახლო მდებარე, ერთ-ერთ კუნძულზე, მოეწვია ცალკე კონფერენცია ყველა მთავრობისა და პარტიისა, რომელნიც აღმოცენდნენ რუსეთის ყოფილი სახელმწიფოს ფარგლებში ან აწარმოებდნენ სამოქალაქო ომს.

თუ მათ შორის შეთანხმება მოხდებოდა, მაშინ „გაერთიანებული" რუსეთის წარმომადგენლები შეხვდებოდნენ მოკავშირეთა წარმომადგენლებს. [...]

პრინკიპოს პროექტის გამო ჩვენ მივმართეთ კონფერენციას შემდეგი განცხადებით: რადგან პრინკიპოზე მოწვეულ რუსეთის პარტიებისა და ჯგუფების თათბირს მიზნათ აქვს დასახული, აღადგინოს დაკარგული ეროვნული მთლიანობა რუსეთის ხალხისა, და საქართველო არ შეადგენს მის ნაწილს და ცდილობს მიიღოს თავისი დამოუკიდებლობის საერთაშორისო ცნობა; ამიტომ საქართველოს არ აქვს საფუძველი მონაწილეობა მიიღოს აღნიშნულ თათბირში (28 იანვარი, 1919 წ.). [...]

ირკვეოდა, რომ ე.წ. „რუსეთის და მასთან დაკავშირებულ კითხვებს" გარჩევამდე ჯერ კიდევ ბევრი დრო არის. საჭირო იყო მოთმინებით აღჭურვა და ნელა, გულდასმით მუშაობა. ყველაფერი, რაც აუცილებელი იყო საქართველოს კითხვის გამოსარკვევათ, საქართველოს დამოუკიდებლობის ასახსნელათ და დასაცავათ გამოითქვა ნოტების მთელ რიგში, რომელშიაც საგანი განმარტებული იყო კონფერენციისთვის საინტერესო საფუძვლებთან დაკავშირებით. კონფერენციის ახლო და გარშემო დაიწყო ის განსაკუთრებული სიცოცხლე და ფაცი-ფუცი, რომელიც არ იყო მოკლებული პოლიტიკურ მნიშვნელობას, თუმცა კონფერენციის მონაწილეთ იმდენათ ის კი არ ეხებოდა, რაზედაც კონფერენცია მართლადაც მუშაობდა, არამედ ის, რასაც კონფერენცია შესაძლებელი იყო ხელს მოჰკიდებდა, სხვადასხვა გარემოების მიხედვით.

## 57. ჩხეიძე[2] და წერეთელი[3]

ასეთი მდგომარეობის გამო, საქართველოდან საქართველოს მთავრობის მიერ სპეციალურათ გამოგზავნილ დელეგაციის ჩამოსვლის კითხვას აღარ ჰქონდა პრაქტიკული მნიშვნელობა. მისი პარიზში ჩამოსვლა – იმ შემადგენლობით, რომელიც გამოვიდა ტფილისიდან, ე.ი. მრჩეველებით, სპეციალისტებით და სხვა – მაშინ იქნებოდა სასურველი და საჭირო, თუ კავკასიის კითხვები, რაიმე მოსაზრებით, გახდებოდა კონფერენციის მსჯელობის საგნათ, მაგრამ ეს არ იყო განზრახული. მეორეს მხრით, იმ დროის პირობების მიხედვით, ყოველივე მოულოდნელობას შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა, ამიტომ ფრიად სასურველი იყო რომ პარიზში ყოველი შემთხვევისთვის ყოფილიყვნენ საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლები, მთავრობის მიერ სპეციალურათ ამ საქმისათვის გამოგზავნილი რწმუნებულნი: მე და დ. ღამბაშიძე ვიყავით აქ მხოლოდ, როგორც „წინამორბედნი".

ასეთ წარმომადგენლებათ ჩამოვიდნენ, როგორც იქმნა, დიდის დაგვიანებით, სხვადასხვა კარანტინებში ჯდომის შემდეგ, [კ]. ჩხეიძე და [კ]. წერეთელი (1919 წლის თებერვლის სულ უკანასკნელ რიცხვებში).

მათი სახელები ჯერ კიდევ ბევრს ახსოვდა (მე ვლაპარაკობ არა სოციალისტ ფრანგებზე) მათ მიერ რუსეთის რევოლიუციის პირველ დროს პეტროგრადში დაჭერილ მდგომარეობის გამო. უმთავრესად ახსოვთ რომ ისინი იყვნენ ბოლშევიკების წინააღმდეგი. საფრანგეთის მთავრობის თვალში არსებითად მხოლოდ ამიტომ იყვნენ ისინი კეთილსაიმედონი, რომ მათ მჭიდრო კავშირი ჰქონდათ საქართველოს მთავრობასთან, რომელმაც „სახელი შეილახა გერმანელებთან და ოსმალოებთან". ამის ანგარიშს ვერ აძლევდნენ თავის თავს, რადგან ჯერ კიდევ ჯეროვნათ არ იყვნენ საქმეს გაცნობილი. ისინი იყვნენ 1917 წელს უანექსიო ზავის მომხრენი და სხვა; ისინი

---

1 პრინკიპო, ამჟამად ბიუკადა – პრინცის არქიპელაგის ყველაზე დიდი კუნძული მარმარილოს ზღვაში. ბიზანტიურ ეპოქაში საპატიო პირების გადასახლების ადგილი იყო. 1919 წელს აქ ჩატარდა კონფერენცია [რედ.].

2 იგულისხმება კარლო (ნიკოლოზ) ჩხეიძე [რედ.].

3 იგულისხმება კაკი (ირაკლი) წერეთელი [რედ.].

მხარს უჭერდნენ სტოკჰოლმის კონფერენციის მოწვევას – ეს უფრო საეჭვო რამეთ ეჩვენებოდა საფრანგეთის ოფიციალურ აზროვნებას; მაგრამ ასეთ წვრილმან რამეს ეხლა სერიოზულათ არავინ უკვირდებოდა. გამამხნევებლათ მოქმედებდა სწორეთ ბოლშევიკების მოწინააღმდეგე მებრძოლთა სახელი; დამამშვიდებლათ მოქმედებდა მათი სწორეთ თავდაჭერილი მინიმალისტ სოციალისტების რეპუტაცია.

მეორეს მხრით, ეს ცნობილი სახელები, რომელნიც დაკავშირებული იყვნენ რუსეთის პარტიების პოლიტიკურ უთანხმოებასთან, აბნევდა უცხოელებს. მათ იცნობდნენ, როგორც რუსეთის მოღვაწეებს, რომელნიც გამოდიოდნენ რუსეთის რევოლუციის უზარმაზარ, ყველასათვის თვალსაჩინო სცენაზე (რამდენი რეპუტაცია გამოჩნდა და გაჰქრა აქ!) და ადვილათ ვერ გაერკვიათ, თუ რათ გამოჩნდნენ ისინი ეხლა ქართველ მოღვაწეებთან. ზოგიერთ უცხოელს (ინგლისელებს, ფრანგებს), რომელიც ცდილობდა ჩაკვირდებოდა საქართველოს პოლიტიკურ დამოუკიდებლობის კითხვას, შეიძლებოდა, ეჭვიც კი შეპარვოდა ამ ლოზუნგის სიდინჯეში, როცა ხედავდა ასეთს უეცარ გარდაქმნას; დანარჩენებს, რუსებს, საშუალება ეძლეოდათ ეყვირათ ღალატსა და სკანდალზე. გაუგებრობა განსაკუთრებულათ ღრმავდებოდა იმითი რომ რუსეთის წრეები მათ მიაწერდნენ მეტად დიდ როლს საქართველოს სახელმწიფოს საქმეებში: ზოგიერთი პირდაპირ ამბობდა „ჩხეიძისა და წერეთლის მთავრობა ტფილისში“ და გულისხმობდნენ საქართველოს მთავრობას. სინამდვილეში კი, თუ დავასახელებთ, ბევრათ უფრო საფუძვლიანი იქნებოდა გველაპარაკა [ნ]. ჟორდანიას, [ნ]. რამიშვილის, [ე]. გეგეჭკორის მთავრობაზე. მაგრამ თავი და თავი იყო, რა თქმა უნდა, თვით საქართველო, რომლის ბაირაღის ქვეშ უნდა დამდგარიყვნენ მათი პირადი სურვილის წინააღმდეგ ეს მოღვაწეები.

როცა ევროპაში აგზავნიდნენ საქართველოს სოციალ-დემოკრატიის ამ სახელოვან წარმომადგენლებს, საქართველოს მთავრობას, უეჭველია, წარმოდგენილი ჰქონდა (დეკემბერი 1918 წ.) – და იგი არ იყო ერთადერთი – პარიზის კონფერენცია, როგორც უმაღლესი სამსჯავრო, რომელიც მოწვეულია დაამყაროს კეთილისმყოფელი და სამართლიანი მშვიდობა. არეოპაგში – ეუბნებოდნენ თავის თავს – პირველ ჭიანურს დაუკრავს პრეზიდენტი 14 მუხლით, მასთან ერთად „ინტერნაციონალი“, „საერთაშორისო პროლეტარიატი“, შეკავშირებული პროლეტარიატის წარმომადგენლები და სხვა. და როცა „ჩვენი კარლოსი“ (ჩხეიძე) და „ჩვენი აკაკი“ (წერეთელი) გამოვლენ ამ არეოპაგის წინ, ვინ გაუძლებს? ვის არ წამოუვა ცრემლები და არ ჩაეხვევა მათ? ვინ ეტყვით მათ უარს „საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობაზე“?

უსათუოდ, ასე ესმოდათ საქართველოს დემოკრატიის „ფართო ფენებში“ მათი არჩევანი. და ასეთი შეგნება, უეჭველია, მართალი იქნებოდა, რომ ბრიტანეთის იმპერიის ინტერესებს, მაგალითად, იცავდეს კონფერენციაზე კ. კაუცკი[1], და საფრანგეთს გერმანიასთან სამართლიანი ზავის შესაკრავათ მოეწვიათ შუამავლათ [კ]. ბრანტიგი[2]... და საქართველოს არსაიდან ემუქრებოდნენ თავდასხმით. ერთი სიტყვით, მე მინდა ვთქვა, რომ მიმდინარე ისტორიის ერთ-ერთი მამოძრავებელი მითით მოხიბლულმა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ გამოგზავნა პარიზში ჩხეიძე და წერეთელი. [...]

## თავი XXII
## რუსეთის აჩრდილი

### 58. საქართველოს დელეგაცია პარიზში

„საქართველოს რესპუბლიკის დელეგაცია“, როგორც ჩამოყალიბებული დაწესებულება, პარიზში მუშაობდა 1919 წლის მარტიდან 1920 წლის დამლევამდე. იგი იყო უმთავრესი წარმომადგენელი საქართველოისა საზღვარგარეთ და, გარდა პოლიტიკური კითხვებისა, აწარმოებდა აგრეთვე ზოგიერთ ეკონომიური ხასიათის საქმეებსაც; ფაქტიურად იგი ასრულებდა საკონსულო მოვალეობებს, საკმაოდ ბევრს მუშაობდა პროპაგანდასა და ინფორმაციის სფეროში – ერთის სიტყვით, იგი იყო ერთი იმ „ირეგულიალურ“' ეროვნულ-პოლიტიკურ დაწესებულებათაგანი, რომელნიც მაბეზარ მაკრატელათ ეხვეოდნენ კონფერენციის ხეს, ზოგი მათგანი იყო სრულიად უსიცოცხლო, ზოგი ნელ-ნელა დასჭკნა, ზოგი კი გახდა პოლიტიკური წარმომადგენლობის კანონიერ დაწესებულებათ.

1 კ. კაუცკი (1854-1938), ფილოსოფოსი, ჟურნალისტი, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი. [რედ].

2 კარლ ბრანტიგი – შვედი პოლიტიკოსი და შვედეთის პირველი პრემიერ-მინისტრი. [რედ].

მე არ ვაპირებ, თუნდაც მოკლეთ, გადმოქცეთ საქართველოს დელეგაციის ისტორია პარიზში. მე შევჩერდები მხოლოდ უფრო თვალსაჩინო მის ნაბიჯებზე, რომელიც გადადგმული იყო იმ დროის საერთაშორისო პოლიტიკის მერყეობასა და ცვალებადობასთან შეფარდებით.

1919-1920 წელს მთელი კავკასიის მდგომარეობა საერთაშორისო პოლიტიკაში, თუ სავსებით არა, უმთავრესათ მაინც დამოუკიდებელი იყო რუსეთის კითხვისაგან.

ე.ი. დამოუკიდებელი იყო იმისგან, თუ რა მდგომარეობაში იმყოფებოდა, რა შანსები ჰქონდა და როგორ შეიძლებოდა დამთავრებულიყო სამოქალაქო ომი რუსეთში და რა პოლიტიკას ადგა ამ კითხვაში დიდი სახელმწიფოები.

რაც შეეხება თვით საქართველოს, მისი შინაური სიმტკიცე თანდათან ხდებოდა ყველასათვის აშკარა. 1917 წლის მარტში დროებითმა პარლამენტმა ადგილი დაუთმო დამფუძნებელ კრებას. სამეურნეო კავშირი ევროპასთან იწყებდა განახლებას. მრავალრიცხოვან ნაკლოვანებათა და შეცდომათა მიუხედავათ, როგორც ეტყობოდა, საქართველოში შეიძლებოდა გვარიანათ ცხოვრება.

რადგან თვით სახელმწიფოში დამოუკიდებლობის რეჟიმი განმტკიცებული იყო, პარიზის დელეგაციის ფორმალურ ამოცანას შეადგენდა, აშკარაა, მოემზადებინა მისი საერთაშორისო ცნობა. [...]

პარიზის დელეგაცია 1919 წ. იძულებული იყო განეგრძო ის მუშაობა, რომლის საფეხურები იყო: ბათომი-ფოთი-ბერლინი-ლონდონი. შემთხვევით არ მომხდარა, რომ დელეგაციის თავმჯდომარემ, რომელსაც კონსტანტინოპოლში გარს ეხვია თვალსაჩინო სპეციალისტები და ბევრი დრო ჰქონდა, არ მიაქცია ყურადღება და პარიზის კონფერენციისათვის არ დაამზადა, საქართველოს მოთხოვნილებების და შეკითხვების თუნდაც მოკლე შინაარსი. შემთხვევით არ მიუნდვიათ ჩემთვის ეს საქმე: ასეთის მოქმედებით სწორეთ რომ უზრუნველი ხდებოდა მუშაობისთვის საჭირო თანმიმდევრობა.

მეორეს მხრით, საქართველოს სოციალ-დემოკრატიის გამოჩენილ წარმომადგენლებს [კ]. ჩხეიძესა და [კ]. წერეთელს, რომელნიც ჩამოვიდნენ პარიზში, არ შეეძლოთ არ შეეტანათ მუშაობაში თავისი პირადი, უფრო კი პარტიული ჰანგები; ეს გამომჟღავნდა უფრო იმის გარეშე, რაც კეთდებოდა და უნდა გაკეთებულიყო პირდაპირი ჩვენი ამოცანისთვის – საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვისათვის. აუცილებელ შედეგათ ამას მოჰყვა წინააღმდეგობა წერილობით ან სიტყვიერათ დასავლეთის მთავრობებთან ოფიციალურათ განცხადებულსა და იმავე თემაზე სოციალისტურ ორგანიზაციების წრეებში ნათქვამს შორის. ამ წინააღმდეგობაში, შეიძლება დიდი უბედურება არ ყოფილიყო იმდენათ მიკროსკოპული იყო იგი, „ევროპულის მაშტაბით“. მაგრამ ამ გაორებაში, რა თქმა უნდა, თავს იჩენდა ის ორგანული სენი, რომელიც კარგს რამეს არ უმზადებდა საქართველოს.

ეს დაიწყო ჩვენი ახლად ჩამოსული „ჩემპიონების“ მუშაობის პირველი დღეებიდანვე. მოძრაობის დასაწყისის ბუნებრივ სიმკვირცხლით მათ თავიდანვე ოდნავ გადალახეს მათთვის გამზადებული კალაპოტი. განცხადებებში, რომელიც მათ მისცეს საფრანგეთის სოციალისტებს, და რომელიც გამოქვეყნებული იყო, ნათქვამია, მაგალითად, რომ საქართველოში პარლამენტი და დამფუძნებელი კრება იმყოფებიან მუშათა დეპარტამენტების საბჭოს კონტროლის ქვეშ, და რომ მთელი ძალა უკანასკნელს ეკუთვნის. გამოთქმული იყო აგრეთვე დებულება რომ საქართველო არის „სოციალისტური“ რესპუბლიკა, რომ იგი დაუბრუნდება რუსეთის წიაღს, თუ იქ გაიმარჯვებს მენშევიზმის დოქტრინა და თან უმატებდნენ, „ჩვენ წინააღმდეგობას გაუწევთ რუსეთის საქმეებში უცხოეთის ჩარევას“ და სხვა.

ყველა ეს აზრი, რა თქმა უნდა, მშვენიერია. კერძოთ, „საბჭოსა“ და „პარლამენტის“ შეზავების იდეა, შესაძლებელია ზოგიერთ სხვა ადგილას; მაგრამ არა პარიზში კონფერენციის დროს და არა ოფიციალური დეპუტატების ბაგეზე. „ჩვენ წინააღმდეგობას გაუწევთ“ იძლეოდა სალი იუმორისთვის მასალას, მაგრამ იგი ეხებოდა რუსეთს და ევროპის ურთიერთგანწყობილებას, და რუსეთის სამოქალაქო ომს – ხოლო თანახმად საქართველოს მთავრობის ოფიციალური დოქტრინისა, საქართველოს ამ საქმეებში უნდა დაეცვა ნეიტრალიტეტი.

ამ ეპიზოდს მოკლეთ შევეხე უმთავრესათ იმ მიზნით, რომ მეჩვენებინა, თუ თავიდანვე როგორ აიძულებდა საქართველოს მთავრობის პარტიული პოზიცია წარმომადგენლებს ისეთი გამოსვლები და მანევრები ეწარმოებინათ, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ არა მარტო მთავრობისა და საქართველოს ინტერესებს, არამედ მათსავე ოფიციალურ საქმიანობას. ჩვენ კიდევ შევხვდებით ამ გაორების მაგალითებს, რომელნიც არსებულ პირობებში სრულიადაც არ ნიშნავდნენ ერთი და იმავე მიზნისკენ სხვადასხვა გზით სიარულს, არამედ ორივე გზაზე ბადებდნენ გაუგებრობას და

გვიმზადებდნენ სასოწარკვეთილებას.

1919 წელში ჩვენი მუშაობის უმთავრეს საგანს შეადგენდა, განყენებულათ რომ ვთქვათ, საქართველოს (და კავკასიის სხვა რესპუბლიკების) დამოუკიდებლობის დაცვა, რადგან დაწყებული იყო მთლიანი რუსეთის აღდგენა. ასეთის ბაირაღით დაიწყო მოქმედება [ა]. დენიკინმა, [ა]. კოლჩაკმა და ყველამ, ვინც იბრძოდა მოსკოვის წინააღმდეგ; ამ მოძრაობას სხვადასხვა მოსაზრებით და სხვადასხვაგვარათ თანაუგრძნობდნენ ევროპის უმთავრესი კაბინეტები და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა. პრაქტიკულათ ჩვენ უნდა დავხმარებოდით ტფილისის მთავრობის ცდას, როგორმე თავი დაეღწიათ რუსეთის ჯარების შესაძლებელ „შემთხვევით“ შემოსევისაგან.

### 59. ერთობლივი რუსეთი და განაპირები

საბჭოთა მთავრობის ოფიციალური მოძღვრება, ე.წ. განაპირა, უცხო ტომთა შესახებ, არსებითად შეიცავდა ხალხთა თავისუფალ თვითგამორკვევის (რუსეთიდან სრულ გამოყოფამდე) უფლებას; ამ დოქტრინას ერთგვარი მსგავსება აქვს სამხრეთისა და ჩრდილოეთის ომის დროს, სამხრეთის შტატების იდეოლოგის კალგუას[1] ცნობილ მოძღვრებასთან, რომლის ძალით ამერიკის შტატებს თავისუფლად შეეძლოთ ფედერაციის შემადგენლობიდან გამოსვლა.

რუსის თეთრების შეხედულება გამოითქვა დეკლარაციაში, რომლითაც რუსული პოლიტიკური კონფერენცია პარიზში გამოვიდა სწორეთ პრინკიპოს პროექტის ხანაში, ე.ი. 1919 წლის იანვარში. აქ სავსებით ნათლად იყო გამოცხადებული, რომ ახალმა რუსეთმა ნებაყოფლობით დაუბრუნა პოლონეთს მისი ტერიტორია, მაგრამ მორჩა და გათავდა! შემდეგში ველარ შეუთანხმდება სახელმწიფოებრივი მთლიანობის დარღვევას. იგივე საბუთი განმარტავდა, რომ „სახელმწიფოს ჩარჩოებში (ე.ი. მთლიანი რუსეთის სახელმწიფოს) ეროვნებათა პოლიტიკური მდგომარეობა განსაზღვრული იქნება მათი კულტურული დონითა და მათი ისტორიული ტრადიციებით“; აქ არ იყო ნაჩვენები, თუ ვინ იქნებოდა კულტურის ამწონ-დამწონი („მოსამართლე ვინღა იქნება?“) და რა ისტორიული ტრადიციებია ნაგულისხმები (რაინდულ-გერმანული წყობილება ბალტიის მხარეზე? გეტმანობა? საქართველოს სამეფო?). უეჭველი ხდებოდა მხოლოდ, რომ თვით ფინეთსაც კი არ სთვლიდნენ დამოუკიდებლად. დანარჩენი სახელმწიფოები, რომელიც ფაქტიურად დაარსდნენ ყოფილი იმპერიის საზღვრებში, არც იყო ნახსენები. ასეთი საბუთები უნებურათ უადვილებდნენ განაპირა ადგილებს საკუთარი სახელმწიფოებრივი არსებობისთვის ბრძოლას.

როგორი იყო ევროპის სახელმწიფოების განწყობილება ამ კითხვისადმი? ინგლისელებთან, ფრანგებთან მუსაიფში მუდამ წამოიჭრებოდა კითხვა ახლად აღმოცენებულ განაპირა სახელმ-წიფოთა რუსეთთან ფედერატიული შეერთების შესახებ, რაც იქნება საშუალო გადაწყვეტილება სრული ჩამოშორებისა და მთლიანი რუსეთის სახელმწიფოს შორის.

[...]

ყოველ ამ მოსაზრების შესახებ არსებობდა ეჭვი და საწინააღმდეგო საბუთი; ევროპისათვის ძლიერი რუსეთის მნიშვნელობა, თუნდაც საერთო ქაოსის დასამშვიდებლათ, ეჭვს გარეშე იდგა, მისდამი სასიკეთოთ განწყობილი ტრადიცია მეტათ სიცოცხლის უნარიანი გამოდგა; სახელმწიფოთა წრეში მის დაბრუნებას, მართლაც, ელოდნენ – და მაშასადამე ამ მხრით მიიწევდა ყველა. ამიტომ ეგონათ, რომ „ფედერაციის“ ფორმულა ყველას შეარიგებს.

ყველა ამ კითხვამ მწვავე მნიშვნელობა მიიღო იმ დროიდან, როცა ადმირალ კოლჩაკის[2] და შემდეგ გენერალ დენიკინის სამხედრო წარმატებამ ბევრს საშუალება მისცა ეწინასწარმეტყვე-ლებინა საბჭოთა ძალაუფლების დაცემა და ახალი მთავრობით მისი შეცვლა.

ამ დროს ახალ რესპუბლიკებს (ბალტიისა და ამიერკავკასიისას) საკმაოთ კარგათ იცნობდნენ სახელმწიფოები. პარიზის კონფერენციამ ნამდვილათ იცოდა, თუ რა სურდათ და რისი იმედი ჰქონდათ მათ. რუსეთზე უფრო ადრე და უფრო კარგათ ამ რესპუბლიკებში მოხერხდა ხალხურ წარმომადგენლობაზე აშენებული სახელმწიფოებრივი წესრიგის მოწყობა. ევროპის სახელმწიფოთა აგენტებს ადგილობრივ შეეძლოთ ენახათ, შეედარებინათ, შეეფარდებინათ და დარწმუნებულიყვნენ.

ამ ახალი და ნამდვილი ხალხური რესპუბლიკის უგარანტიოთ, ვალდებულებათა მიუღებლათ, როგორც სამარადისო ქონების, „გადაცემა“ აღდგენის პროცესში მყოფ რუსეთის მთავრობისათვის, – ასეთი ზომა იქნებოდა, რომელიც უეჭველათ გამოიწვევდა [დრტ]ვინვასა და უკმაყოფილებას.

---

1 იგულისხმება აშშ-ს ერთ-ერთი პოლიტიკური მოღვაწე, რომლის გვარი შეცდომითაა მითითებული.

2 ალექსანდრე კოლჩაკი (1874-1920) – რუსი გენერალი, ანტიბოლშევიკური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. [რედ].

**60. დიდი სახელმწიფოები და ერთობლივი რუსეთი**

არ დავიწყებ მსჯელობას, სამხედრო თვალსაზრისით, ვინ უფრო ახლოს იყო მიზანთან და ვინ მოქმედებდა მეტის პოლიტიკურის გონიერებით, კოლჩაკი (1919 წლის გაზაფხულზე), თუ დენიკინი (იმავე წლის შემოდგომაზე) – ამ მეთაურების პირად სახელებს ვხმარობ, რა თქმა უნდა, მთელი კრებულის აღსანიშნავათ: პარიზის კონფერენცის ხანაში „რუსეთის კითხვის" განვითარების უმაღლესი წერტილი და რუსეთის საქმეებში სახელმწიფოთა კოლექტიური პოლიტიკის უმთავრესი მაჩვენებელი იყო – გამოთქმა იმ პირობებისა, რომელთა საფუძველზე თანხმდებოდნენ სახელმწიფოები (ბრიტანეთის იმპერია, ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები, საფრანგეთი, იაპონია, იტალია) ეცნოთ, ე.წ. ადმირალ კოლჩაკის მთავრობა.

1919 წ. მაისის დამლევს უმაღლესი საბჭოს მიერ დამუშავებული პირობები, სხვათა შორის, წინათვე აღნიშნავდნენ რომ რუსეთსა და მის განაპირა ადგილებზე ახლად აღმოცენებულ სახელმწიფოებრივ ორგანიზმთა შორის „ურთიერთი განწყობილება განსაზღვრული იქნება" ხელშეკრულებათა წესით, ჯერ დიდი სახელმწიფოების და შემდეგ ერთა ლიგის დახმარებით.

თუმცა ამ საგნის შესახებ ტექსტები და განცხადებები ბუნდოვანი იყო.

მაგრამ ჩემის აზრით, ახალგაზრდა, განაპირა მთავრობებისთვის ეს იყო დიდი წარმატება და ნაბიჯის წინ გადადგმა: განაპირების კითხვა რუსეთის შინაური პოლიტიკისა და ნებისყოფის სფეროდან – საუკეთესო შემთხვევაში „რუსეთის სახელმწიფოს ხალხის" ნებისა და პოლიტიკის სფეროდან – ხდებოდა საერთაშორისო კითხვათ. დიდი სახელმწიფოები ხელს უწყობდნენ რუსეთის აღდგენას და თან ესმოდათ, რომ რუსეთის აღდგენის მეთაურთა სახელმწიფოებრივი განვითარება ვერ უზრუნველყოფს სიბრძნეს, სამართლიანობასა და მშვიდობის მოყვარეობას განაპირა ქვეყნების ამოცანის გადაწყვეტაში, და ურყევი შედეგების მისაღწევათ, სრულიათ ახალ გზაზე დააყენეს მთელი საქმე.

სწორედ ამ დროს ბრიტანეთის დელეგაციის ერთ-ერთმა ექსპერტმა მითხრა: „მე მგონია, საქართველო და სხვა ქვეყნები, რომლებიც ასეთსავე მდგომარეობაში არიან, კმაყოფილები იქნებიან ჩვენ მიერ დადებულ პირობებით". შევნიშნავ, რომ ეს სრული აუცილებლობით არ იყო გამოთქმული მოკავშირეთა სწორეთ რომ ჰქონდათ საერთაშორისო გარანტიით ახალი რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი ავტონომიის დამტკიცება. ასეთი იყო ინგლისელების განმარტება. ასეთივე შეხედულება ჰქონდათ ამერიკელებს. მთელი ამ კითხვის დაყენება ხომ, არსებითად, ეკუთვნოდა ინგლისსა და ამერიკას.

ამერიკის დელეგაციაში დამიდასტურეს, რომ კოლჩაკისადმი ნოტაში სახელმწიფოები შეჩერდნენ განაპირა ქვეყნების არა სრულ დამოუკიდებლობაზე, არამედ ავტონომიაზე, ხოლო ურთიერთობა ავტონომიებსა და რუსეთს შორის იქნება საერთაშორისო კონტროლის ქვეშ. ნათქვამს, თითქოს დასამშვიდებლათ, უმატებდნენ: „შეუძლებელია უარისყოფა, რომ ამ გადაწყვეტილებას აკლია თანმიმდევრობა და იგი პრინციპიალურათ საეჭვოა, მაგრამ რა ვქნათ! სახელმწიფოებმა ვერ გადაწყვიტეს რუსეთის დანაწილება".

ამაზე წინათ ჩვენ ვცდილობდით (ამაოთ), რომ კონფერენციასთან დაეარსებინათ „კავკასიის საქმეებისთვის", ბალტიის მაგალითისამებრ განსაკუთრებული კომისია. კოლჩაკის ხანამ ამ საქმეს ხელი შეუშალა – ყოველ შემთხვევაში, ასე მარწმუნებდნენ ამერიკის დელეგაციაში.

„ამგვარად, გადაწყვეტილია, რუსეთს უკანვე „მიეცეს განაპირები" – შევეკითხე ერთხელ ამერიკის ექსპერტს (რუსეთისა და პოლონეთის საქმეებში) პროფესორ ლორდს, „თქვენ რატომღა ფიქრობთ, რომ რუსეთის თვითნებობაზე იქნებით მიტოვებული? არა, თქვენ მარტო არ დაგტოვებენ: სახელმწიფოები და ერთა ლიგა მოაწესრიგებს თქვენსა და მის შორის ურთიერთ განწყობილებას".

ჩანს, ასეთი იყო ჩვენი კითხვისთვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან დელეგაციების ნამდვილი შეხედულება. ეს შეხედულება ბუნებრივათ იწვევდა მსჯელობას იმის შესახებ, თუ როგორ მოქცეულიყვნენ მომავალში, გაერთიანებულსა და გაძლიერებულ რუსეთს... რომ წინააღმდეგობა გაეწია გამონახულ გადაწყვეტილებისათვის.

აქვე დავუმატებ, რომ კოლჩაკის ხანამ დროებით შეაფერხა სომხეთზე (და კავკასიაზე) ამერიკის მიერ მანდატის მიღების კითხვაც.

განაპირა ქვეყნების მთავრობები უარყოფით შეხვდნენ ზემომოყვანილ გეგმას, რომელიც საერთოდ რაღაც ჩანასახს წარმოადგენდა.

საქართველოს დელეგაციამ, ისე როგორც სხვებმა, ჯერ კიდევ 1919 წლის მარტში წარუდგინა კონფერენციას მემორანდუმი, რომელშიაც ფორმალურად იყო დასაბუთებული შუამდგომლობა საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ და აღნიშნული იყო, თუ რა ტერიტორიას

მოითხოვდა იგი და სხვა. მემორანდუმს ხელს აწერდა საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე, რომელიც იმავე დროს იყო პარიზის დელეგაციის თავმჯდომარეთ. დამფუძნებელი კრება ზეიმით გაიხსნა ტფილისში 12 მარტს და პირველი თავისი აქტით ერთხმად დაამტკიცა საქართველოს დამოუკიდებლობის 1918 წლის 26 მაისის დეკლარაცია. ყველგან, მთელს საქართველოში დიდის აღტაცებით გადაიხადეს დამოუკიდებლობის პირველი წლისთავი, 26 მაისი; დამოუკიდებლობის შანსები, როგორც ჩანდა, დღითიდღე მრავლდებოდა და არა სუსტდებოდა. ამიტომ არ არის საკვირველი, რომ საქართველოს დელეგაციამ, როცა კონფერენციას აცნობა დამფუძნებელი კრების ზემოაღნიშნული აქტი, 1919 წლის 26 მაისის ნოტაში განაცხადა, რომ „თუ რუსეთის კითხვა გადაწყდება, საქართველოს რესპუბლიკის უფლებრივ არსებობას უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება“, და რომ თუ სახელმწიფოები რომელიმე მთავრობას მიანიჭებენ რუსეთის წარმომადგენლის უფლებას, საქართველო ფორმალურათ და განსაზღვრულის წესით უნდა იქნეს გამორიცხული ამ მომავალში რუსეთის სახელმწიფოს ტერიტორიიდან“.

როცა გამოქვეყნდა საბუთები დიდი სახელმწიფოების მიერ ადმირალ კოლჩაკის მთავრობის ცნობის კითხვის შესახებ, „ახლად აღმოცენებული“ სახელმწიფოების წარმომადგენლებმა შეიტანეს კოლექტიური განცხადება თავიანთი დამოუკიდებლობის დასაცავად. ეს 17 ივნისის 1919 წლის დეკლარაცია, რომელსაც ხელს აწერდნენ თოფჩიბაშევი[1] (აზერბაიჯანი), პოსკა[2] (ესტონეთი), ჩხეიძე (საქართველო), მეჰიეროვიცი[3] (ლიტვია), ჩერმოევი[4] (მთიელთა რესპუბლიკა), დელუტკევიჩი[5] (ბელორუსია) და სიდორენკო[6] (უკრაინა), უარყოფდა საერთო რუსეთის მთავრობის ავტორიტეტს ჩამოთვლილ რესპუბლიკების მიმართ და მოითხოვდა კონფერენციიდან მათი დამოუკიდებლობის ცნობას.

დასასრულ, კავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენლებმა აზერბაიჯანის, საქართველოს და მთიელთა რესპუბლიკების სახელით (სომხეთი ამ გამოსვლებში მონაწილეობას არ იღებდა) კონფერენციას მიმართეს 20 ივნისს ცალკე დეკლარაციით, სადაც აღნიშნავდნენ, რომ ისინი მხედველობაში ღებულობენ დიდი სახელმწიფოების მიერ „განაპირა“ კითხვის გადასაწყეტათ გამოქვეყნებულ წესრიგს და თან ადასტურებენ, რომ ისინი მტკიცედ დგანან დამოუკიდებლობის და რუსეთისაგან სრულ ჩამოშორების ერთხელვე დაჭერილ პოზიციაზე.

მაგრამ შედეგათ იმ უბედურებისა, რომელიც წილად ხვდა თეთრების მოძრაობას ჯერ კოლჩაკის და მერე დენიკინის წინამძღოლობით, 1919 წლის გაზაფხულის დამლევს ჩასახული პროგრამა, რუსეთისა და განაპირების კითხვის გადასაჭრელად, პროგრამა, ესოდენ მნიშვნელოვანი ახალი ევროპის „ანსამბლის“ გამოსარკვევათ, დარჩა განუხორციელებელი.

## თავი XXIII
## საქართველო და მოხალისეთა ლაშქარი

### 61. ცუდ მშვიდობიანობიდან კეთილ შეტაკებამდე

რარიგ საინტერესოც არ იყო პარიზის კონფერენციის აკადემიურ მწვერვალებიდან მომავალი შესაძლებლობების განჭვრეტა, მთელი 1919 წლის განმავლობაში ჩვენ მაინც გვქონდა სავსებით პრაქტიკული მწვავე საგონებელი – როგორ გადაგვერჩინა საქართველო და ამიერკავკასია მოხალისეთა ჯარების თავდასხმისაგან?

იმ ხანაში, რომელიც დაკავშირებული იყო დენიკინის სახელთან, ეს ლაშქარი სამართლიანად ითვლებოდა ერთ-ერთ უმთავრეს (1919 წლის შემოდგომაზე იგი უმთავრესი იარაღი იყო) ძალათ

---

1 ა. თოფჩიბაშევი (1863-1934) დაიბადა თბილისში. ჟურნალისტი და იურისტი, აზერბეიჯანელი სახელმწიფო მოღვაწე. აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე და აზერბეიჯანის სახელმწიფოს დელეგაციის მეთაური პარიზის კონფერენციაზე. [რედ.].

2 ივან პოსკა (1866-1920) ესტონელი სახელმწიფო მოღვაწე და ესტონეთის დელეგაციის მეთაური პარიზის კონფერენციაზე. [რედ.].

3 ზიგფრიდ მეიეროვიცი (1887-1925) ლატვიელი სახელმწიფო მოღვაწე, ლატვიის პირველი საგარეო საქმეთა მინისტრი და ლატვიის დელეგაციის მეთაური პარიზის კონფერენციაზე. [რედ.].

4 ტაპა ჩერმოევი (1852-1936), ერთ-ერთი გამორჩეული პოლიტიკური მოღვაწე ჩრდილოეთ კავკასიაში, მთიელთა რესპუბლიკის ხელმძღვანელი და მთიელთა რესპუბლიკის დელეგაციის მეთაური პარიზის კონფერენციაზე. [რედ.].

5 შეცდომაა. უნდა იყოს ანტონ ლუცკევიჩი (1884-1942). ბელორუსი პოლიტიკოსი, ისტორიკოსი, ლიტერატურათმცოდნე და პუბლიცისტი. ბელორუსიის დელეგაციის მეთაური პარიზის კონფერენციაზე. [რედ.].

6 გრიგორი სიდორენკო (1874-1924), ინჟინერი და დიპლომატი, უკრაინის დელეგაციის მეთაური პარიზის კონფერენციაზე. [რედ.].

ახალი მოსკოვის (საბჭოთა) სახელმწიფოსთან ბრძოლაში. ეს არმია მრავალმხრივ დამოკიდებული იყო მოკავშირეებისაგან, რომელნიც აწვდიდნენ მას ყოველგვარ დოვლათს, სახელმწიფოებთან ამ კავშირის გამო თითქმის შესაძლებელი იყო დამყარებულიყო ერთგვარი მოდუს ვივენდი „თეთრებსა“ და ამიერკავკასიის რესპუბლიკათაშორის, მითუმეტეს, რომ „თეთრები“ მიისწრაფოდნენ ჩრდილოეთისკენ, რესპუბლიკებს კი ფარავდა კავკასიის მთაგრეხილი, და ინგლისი, მოხალისეთა მეცენატი, იყო იმავე დროს რესპუბლიკათა ზედამხედველი, რომელსაც 1919 წლის პირველ ნახევარში ბაქოსა, ტფილისსა და ბათომში ჰყავდა თავისი ჯარის რაზმები. მაგრამ განსაზღვრული მოდუს ვივენდი არ დამყარებულა; მოხალისეთა ლაშქარი, თითქოს ემორჩილებაო თავისი არსებობის და დანიშნულების შინაგან კანონს – სტიქიურად მიისწრფოდა, რომ (პირდაპირი თავისი მიზნისათვის სრულიად უსარგებლოთ) როგორმე „მოკლე დარტყმით“ ძირს დაეცა საქართველო და აზერბაიჯანი, რომელთა დამოუკიდებლობას იგი, რა თქმა უნდა, არა სცნობდა.

მე, რა თქმა უნდა, არ ვაპირებ მოვიყვანო თვით უმთავრესი ფაქტები ამ დახლართული, გაგრძელებული და მრავალმხრივ უაზრო ჩხუბის ისტორიიდან. მხოლოდ ვიტყვი, რომ მოხალისეებს გაუწიეს საკმაოთ ენერგიული წინააღმდეგობა და გაფაციცებულმა ყურადღებამ, რომლითაც პარიზის კონფერენცია, პრესა და ევროპის საზოგადოებრივი აზრი შეხვდა ამ კონფლიქტს, რა თქმა უნდა, არ გააღრმავა რუსეთის გამაერთიანებლებისადმი სიმპატია. მაგრამ ეხლა, მგონი, ყველამ შეიცნო გენერალ დენიკინის შეცდომები საერთოდ კავკასიის პოლიტიკაში.

მაგრამ, თუ მოხალისეთა ლაშქარს ემჩნეოდა სურვილი უეცრად დაეჭირა საქართველო და აზერბაიჯანი იმ ანგარიშით, რომ ევროპა ქედს მოიხრის მომხდარი ფაქტის წინაშეო, საქართველოს მთავრობასაც მოსდიოდა შეცდომები, რომელთა თავიდან აცდენა არ იყო ძნელი.

აქ მე მხედველობაში მაქვს განსაკუთრებით სოჭის ოლქში შეჭრა და ტუაფსეს დაკავება (1918 წლის ზაფხული). რათ შვებოდნენ ამას? რომ „მოეგოთ“ ზედმეტი ტერიტორია? ამ გზას აუცილებლივ მოჰყვებოდა დავა არა მარტო მოხალისეთა ლაშქართან და საერთოდ მის მოიმედე რუსულ ჯგუფებთან, არამედ ყუბანის ავტონომისტებთან, რომელთა მეგობრობა ქართველებისათვის განსაკუთრებულად ძვირფასი იყო და მთიელებთან, რომელთაც აგრეთვე ჰქონდათ (სხვა კითხვაა, თუ რა შანსებით!) პრეტენზიები ამ მიწა-წყალზე. ერთის სიტყვით, არა თუ ტუაფსეში, სოჭაშიდაც ქართველებს არაფერი ჰქონდათ გასაკეთებელი. ადგილობრივი სხვადასხვა ორგანიზაციების რეზოლიუციები „საქართველოსთან დროებით შეერთების“ შესახებ ამ მხრივ მდგომარეობას არ სცვლიდა. კითხვა რჩებოდა წმინდა პოლიტიკური: სოჭის ოლქის შემოერთება საქართველოს უმატებდა კიდევ ერთ შეხლა-შემოხლის სიბრტყეს და ასეთი სიბრტყეებით კი, საქართველო ისედაც საკმაოთ მდიდარი იყო.

როცა თავხედობით მოექცნენ ისეთს ადგილს, სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ (ნ. რამიშვილის პრემიერობის დროს), შესაძლებელია, იფიქრეს, რომ დემოკრატიული რესპუბლიკის სახელისთვის უკვე უხერხულია სოჭის დატოვება. 1918 წლის სექტემბრის დამლევს ამ უსიამოვნო საქმის მოხალისეთა ლაშქართან (გენერალი [მ]. ალექსეევის[1] სიცოცხლეში) და ყუბანის მთავრობასთან (თავმჯდომარე – [ლ]. ბიჩი[2]) მოსაწესრიგებლად საქართველოდან ეკატერინოდარში გაემგზავრა ე. გეგეჭკორი გენერალ [გ]. მაზნიაშვილის თანხლებით: ისინი იძულებული შეიქნენ დაეცვათ სრულიად უსამართლო საქმე. („სოჭი დროებით უნდა დარჩეს საქართველოს ხელში“).

მაშინ კითხვა გადაუჭრელად დარჩა. უფრო გვიან, ინგლისელების დროს, საქმე შეტაკებამდის მივიდა. სხვადასხვა ხლაფორთის მერმე საქართველომ სოჭის ოლქში დაიკავა საზღვარი მდინარე მეხადირის პირათ, ე.ი. შეინარჩუნა გაგრის ოლქის მფლობელობა. გენერალი დენიკინი კი მოითხოვდა ამ ოლქის ქართველების მიერ დაცლას (მხოლოდ 1905 წელს იგი სოხუმის ოლქს ჩამოაშორეს და ყუბანის ოლქს შეუერთეს) ე.ი. აფხაზეთის იმ ნაკვეთის დაცლას, რომელიც ახლა საქართველოს ეჭირა. ინგლისის მთავრობამ გაიყვანა დემარკაციული ხაზი, რომელსაც არ უნდა გადასცილებოდა გენერალ დენიკინის ჯარი და მოითხოვდა (11 ივნისი, 1919 წ.), რომ ქართველებს დაეხიათ მდინარე ბზიფის იქეთა ნაპირზე. „ამ პირობის შეუსრულებლობა – სწერდა ამის გამო გენერალი [გ]. კორი[3] საქართველოს მთავრობას – გამოიწვევს საქართველოსადმი დიდი ბრიტანეთის კეთილგანწყობის შეწყვეტას, და აიძულებს მათი იმპერატორებითი უდიდებულესობის

---

1 ალექსეევი მიხეილ ვასილის ძე (1857-1918) – რუსი გენერალი, რუსეთის გენერალური შტაბის უფროსი, ჩამოაყალიბა მოხალისეთა არმია.

2 ლ. ბიჩი რუსი გენერალი, ე.წ. ყუბანის მთავრობის თავმჯდომარე.

3 გენერალი გ. კორი – დიდი ბრიტანეთის სამხედრო მოღვაწე, რომელიც ხელმძღვანელობდა დიდი ბრიტანეთის შენაერთებს კავკასიაში. [რედ.].

მთავრობას, უარი განაცხადოს გენერალ დენიკინის ხელის შეშლაზე, თუ იგი აღნიშნული ხაზის სამხრეთით წაიწევს! ამ მოწოდებაზე საქართველოს მთავრობამ უპასუხა, გაგრის ოლქის დროებითი ნეიტრალიზაციის გეგმით: მეხადირზე და ბზიფზე (ეს იყო სადავო სივრცე) უნდა დამდგარიყვნენ მოკავშირეთა გუშაგები, სანამ საზღვრების კითხვას არ გადასწყვეტდა კონფერენცია. (ისევ „კონფერენცია!").

საქართველოს დაცვისათვის უფრო ხელსაყრელი საზღვრის დაჭერას ამართლებდა უცილობელი საშიშროება, რომელსაც ამ დროს წარმოადგენდა მთელი ამიერკავკასიისათვის მოხალისეთა ლაშქარი: სწორედ იმ ხანათ მოხალისეებმა დაიჭირეს პეტროვსკი და დერბენდი, გათელეს მთიელთა რესპუბლიკა ჩრდილო კავკასიაში და დაიწყეს აზერბაიჯანის ტერიტორიის დაკავება. და თვით ის სივრცე, რომელიც ამ მიზნით უნდოდათ ქართველებს დაეჭირათ, არ აღემატებოდა საქართველოს ტერიტორიალურ, გონიერ მოთხოვნილებას.

სადემარკაციო ხაზის გავლებით ბრიტანეთის სარდლობა სცდილობდა დასასრული მიეცა მოხალისეების ამიერკავკასიაში შეჭრისათვის და მათი სურვილისათვის გვერდებიდან შემოეარათ ბუნებრივი საზღვარი – კავკასიის მთაგრეხილი. თუმცა მოკავშირეთა სამხედრო ხელისუფლებას დიდი მნიშვნელობა და განმავლობა ჰქონდა, მაგრამ თვით საქართველომ და აზერბაიჯანმაც მიიღეს, როგორც ჩანს, თავისი თავდაცვისათვის საკუთარი ზომები. კერძოთ, მ[ა]თ შეჰკრეს სამხედრო-თავდაცვითი კავშირი (16 ივნისი, 1919 წ.).

მოსალოდნელმა საშიშროებამ არაჩვეულებრივი აღელვება გამოიწვია მთელს საქართველოში: იგი თავს იჩენდა მეტად თავდაუჭერლად პრესაში, პარლამენტში წარმოთქმულ სიტყვებში, რეზოლიუციებში და სხვა.

ყველა ეს ფაქტი მე გავიხსენე იმის აღსანიშნავად, რომ საქართველოს დელეგაცია მოჰყვებოდა მთელი ხალხის მაჯისცემას და აკეთებდა, რაც კი რამ შეეძლო, რათა დაერწმუნებინა ევროპის მთავრობები, უფრო სისწორით რომ ვთქვათ, უმაღლესი საბჭო, რომ საჭიროა შეზღუდული იქმნეს მოხალისეთა მისწრაფება ამიერკავკასიის საზღვრებისაკენ.

კავკასიის სამი რესპუბლიკის 20 ივნისის 1919 წლის კოლექტიურ განცხადებაში განსაკუთრებულად არის ნათქვამი (მუხ. მე-6) იმ დაბრკოლებებზე, რომელსაც აყენებს სამხედრო მზაკვრობა და მუქარა გენერალ დენიკინის ლაშქრისა ამ რესპუბლიკათა შინაური საქმეების მოწესრიგებისა და ცხოვრების ნორმალურ პირობების დაბრუნებას.

როცა საქართველოს, აზერბაიჯანსა და მთიელთა რესპუბლიკების დელეგაციები პროტესტს უდგენდნენ უმაღლეს საბჭოს მოხალისეთა აგრესიულ მოქმედებისა და მუქარის შესახებ, ისინი თხოულობდნენ, „ბრძანება მიეცეს მოხალისეთა ლაშქარს, რომელსაც ინახავენ და ამხნევებენ მოკავშირეები არა კავკასიის ხალხებთან საბრძოლველად, დასცალონ წართმეული ტერიტორიები და პატივით მოეპყრან კავკასიის რესპუბლიკების უფლებებს".

ამავე მიზნით, უშუალოთ გადადგმულ ნაბიჯებიდან აქ მოიხსენიებენ მხოლოდ ამერიკის დელეგაციაში პრეზიდენტ ვილსონის ცნობილი მრჩევლის პოლკოვნიკ ხაუზის[1] ნახვას, რომელიც სწორედ ამ შუამდგომლობას (შეეჩერებინათ მოხალისეები) სრულის თანაგრძნობით შეხვდა.

**62. სადემარკაციო ხაზი**

დემარკაციული ხაზი, რომლის გადატეხა ეკრძალებოდა გენერალ დენიკინს მოკავშირეთა სარდლობის მიერ, იყო ყველაზე უფრო ხელშესახები ნიშანი, რომ ამ დროს კავკასიაში არსებობდა უმაღლესი საბჭოს სამხედრო-პოლიტიკური კონტროლი.

როგორც წინათაც იყო მოხსენებული, საქართველოს მთავრობამ მდინარე ბზიფის უკან არ დაახევინა თავის ჯარს, როგორც ეს უნდა მომხდარიყო ინგლისის, ე.ი. მოკავშირეთა სიტყვა-სიტყვით გაგებულ წინადადების თანახმად. მაგრამ არსებითად ეს იყო მცირე შელახვა გენერალ კორის მიერ ნაჩვენებ სადემარკაციო ხაზისა. რაც შეეხება მოხალისეებს, ისინი იდგნენ დერბენტში, ე.ი. ბევრად უფრო სამხრეთით, ვიდრე დემარკაციული ხაზი იყო გავლებული, რომელიც ებჯინებოდა კასპიის ზღვას პეტროვსკიდან 5 კილომეტრის დაშორებით. 1919 წლის ივლისის დამდეგს გენერალმა დენიკინმა აცნობა აზერბაიჯანის მთავრობას რომ, თუ უკანასკნელი არ დაიწყებს მის წინააღმდეგ საომარ მოქმედებას, მოხალისეთა ჯარები არ გადავლენ დაღესტნის საზღვრებს, ე.ი. მდინარე სამურს, მიუხედავათ ინგლისის სარდლობასთან აზერბაიჯანის ივნისის სადერმაკაციო ხაზის დარღვევის შესახებ მიწერ-მოწერისა, ახალი ხაზი – სამურზე ფორმალურათ

1 იგულისხმება ედუარდ მანდელ ჰაუსი (1858-1938). ამერიკელი დიპლომატი და და პოლიტიკოსი, აშშ პრეზიდენტის ვუდრო ვილსონის მრჩეველი. [რედ.].

იქმნა შემდეგ ცნობილი.

იმავე დროს, ე.ი. როცა გენერალი დენიკინი ატყობინებდა აზერბაიჯანის მთავრობას, რომ კასპიის სანაპიროებზე არ გადალახავს მდინარე სამურს, იგი აცხადებდა, რომ აზერბაიჯანს სთვლის რუსეთის ნაწილათ, მაგრამ მის დამოუკიდებლობას სცნობს მანამდის, სანამ ამ კითხვას არ განიხილავს... სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრება. რა თქმა უნდა, დენიკინის აზრი არ ეთანხმებოდა უმაღლესი საბჭოს განზრახვებს, როგორც ისინი გამოთქმული და წარდგენილი იყო კოლჩაკის მთავრობის ცნობის პირობებში, მაგრამ ცოტაოდენი წარმატება მაინც სჩანდა უშუალო მოქმედების უარისყოფაში.

უფრო გვიან, საბჭოთა ჯარების საწინააღმდეგო მოქმედების გაცხოველების შემდეგ, გენერალ დენიკინის განწყობილებას ამიერკავკასიის რესპუბლიკებისადმი რამდენადმე დაეტყო სიმშვიდე, რასაც აგრეთვე ხელს უწყობდა ბრიტანეთის მთავარი რწმუნებულის, ოლივერ უორდროპის ტფილისში ჩამოსვლა, და, საფიქრებელია, გენერალ [ნ]. ბარათოვის[1] მისია ბაქოსა და ტფილისში.

1919 წლის შუა რიცხვებში, პარიზის კონფერენციის გაცხარებული მუშაობის დროს – ჩვენ, როგორც ზევით არის აღწერილი, მივაღწიეთ ზოგიერთ შედეგებს – ჩვენ შეგვეძლო იმედი დაგვემყარებინა სახელმწიფოთა დახმარებაზე, თუ სრული დამოუკიდებლობის არა, მეტად ფართო ავტონომიის უზრუნველყოფაში.

რუსეთის გაერთიანება რომ განხორციელებულიყო იმ ძალებით, რომელნიც მხარს უჭერდნენ კოლჩაკსა და დენიკინს, მაშინ განაპირა ავტონომიების უზრუნველყოფა მოკავშირეთა დიდი სახელმწიფოების დახმარებით იქნებოდა უკანასკნელი საზღვარი შესაძლებელისა და მისაღწევისა. თუმცა რუსეთი ევროპისაგან ძლიერ იყო დამოკიდებული, მაგრამ როცა გაერთიანდებოდა და გაძლიერდებოდა, დაუშვებდა თუ არა იგი, სხვა სახელმწიფოთა კონტროლს ამ კითხვაში? [...]

რადგან გენერალ დენიკინის მიერ დაწყებულ საქმეს, აშკარაა, კერძოთ საქართველოს მხრით არავითარი საშიშროება არ მოელოდა, და რადგან საქართველოს 1919 წელში უცაბედათ დაკავების ცდა, შეიძლებოდა მოხალისეებისთვის არა სასიამოვნოდ დამთავრებულიყო (თუნდაც იმიტომ რომ ისინი დამოკიდებული იყვნენ ევროპის სახელმწიფოებისაგან, რომელთანაც ერთგვარი განწყობილება საქართველოს წარმომადგენლებსაც ჰქონდათ), მე ვფიქრობდი, რომ ამ ორ მხარეს (ე.ი. ამიერკავკასიის რესპუბლიკებსა და მოხალისეთა ლაშქარს) შეუძლია საერთოდ შესწყვიტოს ერთმანეთში შეტაკება და უთანხმოება. მე იმ აზრისაც კი ვიყავი, რომ საჭირო იყო გვესარგებლა დენიკინის დელეგაციის პარიზში ჩამოსვლით და მოგველაპარაკნა, წმინდა ფაქტიური მეზობლობის დამყარების შესახებ საქართველოსა და მისი ჩრდილოეთის მეზობელს შორის (ნეიტრალიტეტის პოზიციის შესაფერისად). მაგრამ საქართველოს დელეგაცია ამ აზრს არ იზიარებდა; იგი ფიქრობდა, რომ ასეთი ლაპარაკი „რეაქციონულ ძალების“ წარმომადგენლებთან არ შეეფერება საქართველოს დემოკრატიას. რამოდენიმე ხნით ადრე, როცა გამოქვეყნებული იყო კოლჩაკის მთავრობის ცნობის პირობები, დავაყენე კითხვა, წინდაწინვე გამოგვერკვია რუსული წრეებისა და ჩვენი ურთიერთი განწყობილება. „უკეთესია ეხლა, სანამ ადმირალ კოლჩაკის მთავრობა ჩანასახს წარმოადგენს, მოვაგვაროთ ეს საქმე, ვიდრე მაშინ, როცა ის გაძლიერდება. თუ კოლჩაკსა და დენიკინს კარგი მომავალი აქვთ, ჩვენ მხოლოდ მოვიგებთ, თუ ჩვენ ჩავიგდებთ ხელში ამ მოლაპარაკების ინიციატივას; თუ მათ მომავალი კარგს არაფერს უქადის, ჩვენ არაფერს წავაგებთ მდგომარეობის შესწავლის გამო: კონფერენცის თვალში ჩვენ მხოლოდ განვამტკიცებთ ჩვენს მდგომარეობას, რადგან ჩვენ ვიმოქმედებთ სწორეთ კონფერენციის მიერ გამოცხადებულ პრინციპების მიხედვით. ჩვენ დავეყრდნობით საქართველოს აშკარათ გამოთქმულის ნებისყოფას (საქართველოს დამფუძნებელი კრება) დამოუკიდებლობის შესახებ და ვეცდებით მეგობრულათ გაურკვიოთ ერთი-მეორეს მდგომარეობა და სხვა.

მაგრამ წერეთელი და სხვები ამაზე არ დათანხმდნენ. წერეთელი ფიქრობდა, რომ „ასეთის მოქმედებით, ჩვენ ასე ვთქვათ, ვიცნობდით კოლჩაკს, გავაძლიერებდით მას და ჩამოვშორდებოდით სრულიად რუსეთის დემოკრატიის დაფასებას კოლჩაკისას“.

აზრთა ამ სხვადასხვაობას მაშინ, საბედნიეროთ, პრაქტიკული მნიშვნელობა არ მიუღია. მაგრამ ამ ამბავმა მაჩვენა, რომ ჩვენს მეტად გამოცდილ სოციალ-დემოკრატებს სრულიად არ სურთ დინჯი ანგარიში გაუწიონ მათ, ვინც ნამდვილად ჰქმნის მდგომარეობას (1919 წელს ეს იყო დენიკინი და კოლჩაკი; 1920-საბჭოები; მენშევიკების რუსეთი არ იყო მოსალოდნელი!). [...]

1 ბარათოვი ნიკოლოზ (1865-1932) – კავალერიის გენერალი, მოხალისეთა ჯარის წარმომადგენელი ამიერკავკასიაში.

# თავი XXV
# სამი მეზობელი

## 65. საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი

საერთო გამოსვლებში – კავკასიის და სხვა „განაპირა“ დელეგაციების გამოსვლებში (ზემოთ $ 60) სომხეთი არ იღებდა მონაწილეობას. უშუალო საშიშროება ჩრდილოეთიდან ამ რესპუბლიკას ჯერ არ დატყდომია თავს; ერთად, განსაკუთრებით აზერბაიჯანთან, მოხალისეთა ლაშქრის წინააღმდეგ გამოსვლა არ შეეფარდებოდა მის გეგმებს. სულ მოკლე ანგარიშიანობით, მას შეეძლო იმედი ჰქონოდა რომ დახმარებას მიიღებს იმათგან, ვისგანაც მეზობლები ელოდნენ მხოლოდ დაქცევასა და არეულობას. გარდა ამისა სომხეთს იმედი ჰქონდა, დიდი სახელმწიფოების დახმარებით სწორეთ ეხლა შეესრულებინა ოსმალეთში მრავალ საუკუნეების ზრახვანი, და ასეთს წამს მეზობლების დავიდარაბაში ჩარევა იმავე დიდ სახელმწიფოების მეორე „პროტეჟესთან“ – გენ. დენიკინთან, ჩანს მას არ ხიბლავდა.

პირიქით, აზერბაიჯანს, თუ მეტად არა ისე მაინც ეშინოდა ჩრდილოეთის შემოსევისა, როგორც საქართველოს. ეს, რა თქმა უნდა, იწვევდა ამ ორი რესპუბლიკის პოლიტიკურ დაახლოებას, რაც საერთოდ ბუნებრივია, რაც აიხსნება მრავალი მიზეზით, ინტერესითა და მისწრაფებით, ხოლო 1919 წელს მით უფრო ადვილათ შესასრულებელი იყო ამ დაახლოების განხოციელება, რომ ოსმალოების დაცემისა და მათი აზერბაიჯანიდან წასვლის შემდეგ უკანასკნელი უბრუნდებოდა თავის კავკასიის წრეს.

16 ივნისს 1919 წელს ტფილისში დადებულ იქმნა ორ მეზობელ რესპუბლიკათა შორის საკავშირო ხელშეკრულება, რომლის ძალით ისინი ვალდებულებას ღებულობდნენ თავის თავზე (მუხ. 1) „ერთად წინ აღუდგენ მთელი თავისი შეიარაღებული ძალით და ყოველი მათ ხელში მყოფი საშუალებით ყოველგვარ თავდასხმას, რომელიც ემუქრება დამოუკიდებლობას ანდა ტერიტორიალურ მთლიანობას ხელშეკრულების დამდებ ერთ-ერთ ან ორივე რესპუბლიკისას! ხელშეკრულება დადებული იყო 3-ის წლით (მუხ. 5). მხარეები ვალდებულათ ხდიდნენ თავის თავს მორიგეობით ანდა არბიტრაჟის საშუალებით გადაეწყვიტათ მათ შორის საზღვრებზე შესაძლებელი აღძრული დავა (მუხ. 4). აქვე აღნიშნული იყო, რომ სომხეთს უფლება ეძლევა ორი კვირის განმავლობაში შეუერთდეს ამ ხელშეკრულებას (მუხ. 10).

როცა საქართველოსა და აზერბაიჯანის დელეგაციამ პარიზის კონფერენციას აცნობა ზევით გადმოცემული ხელშეკრულების ტექსტი, მან გამოსთქვა იმედი, რომ „ეს კონვენცია, რომელსაც დასახული აქვს წმინდა თავდაცვითი მიზნები, იმ ნაწილში, რომელიც შეეხება ომში შეერთებულ მოქმედებას, არავის დასჭირდება, და რომ ამიერკავკასია გარეშეთა ყოველივე თავდასხმისგან უზრუნველი იქნება, გენერალ დენიკინის ოპერაციებზე მოკავშირეთა სახელმწიფოების კონტროლის წყალობით“. ამასთანავე დელეგაცია კონფერენციის ყურადღებას აქცევდა შეთანხმების მეოთხე მუხლზე, რომლის საშუალებით შესაძლებელი ხდებოდა საჩქაროთ გამიჯვნა საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიებისა.

1918 წლის დასასრულის შეტაკებანი, რა თქმა უნდა, ხელს ვერ შეუწყობდნენ სომხეთისა და საქართველოს დაახლოებას, – რაც მეტად სასურველი და სრულიად ბუნებრივი იქნებოდა.

ფუჭსავატი იმედი, რომ პარიზის კონფერენცია „ყველაფერს გაარჩევს და ყველაფერს გადაწყვეტს“, და სხვათა შორის, თავს შეიწუხებს ამიერკავკასიის სახელმწიფოების საზღვრების დასადებათ – ეს იმედი ასუსტებდა ტფილისშიაც და ერევანშიაც; აგრეთვე ბაქოში სტიმულს, საკუთარი საშულებით ეცადნათ დაჩქარებით გადაეწყვიტათ საზღვრებისა და სხვა მიზეზების გამო ამტყდარი შფოთი; გარდა ამისა, სომხეთი შეიძლება ფიქრობდა (შეცდომა, იქნებ, სრულიად გულწრფელი იყო), რომ მისი მდგომარეობა განსაკუთრებულია; რომ მის მიმართ გამარჯვებულ სახელმწიფოებს ვალდებულება აქვთ ნაკისრები, სხვა მეზობლების მიმართ კი არ არსებობს ასეთი ვალდებულება; რომ მას, ამიტომ „მისცემენ“ ხელსაყრელ საზღვრებსა და სხვა.

უნდა დავსძინოთ, რომ 28 მაისს 1919 წ. (ერევანში რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველ წლისთავზე) განსაკუთრებული აქტით გამოცხადებული იქმნა ერთ მთლიანათ შეერთება სომხეთის ტერიტორიებისა, რომელნიც მდებარეობდნენ ოსმალეთისა და ამიერკავკასიის სომხეთში. ამნაირათ, სომხეთის რესპუბლიკა ფორმალურათაც გადადიოდა წმინდა კავკასიის პოლიტიკის სფეროდან ოსმალეთის კითხვის საფრთხეებითა და წყალქვეშა კლდეებით სავსე ზღვაში, სადაც, ცხადია ვერ შებედავდნენ ვერც აზერბაიჯანი და ვერც საქართველო.

აი, ეს მიზეზი ცაბრკოლებდა ამიერკავკასიის გამიჯვნას. თუ სომხეთი ოსმალეთის ტერიტორიაზე

იქნებოდა საგრძნობლათ გაფართოებული, სომხეთის მეზობლები ვერ პოულობდნენ საფუძველს იმავე დროს იგი გაფართოებულიყო აზ[ე]რბაიჯანისა და საქართველოს მიწა-წყლითაც. და ეს გაურკვევლობა, დიდი გახდება სომხეთი, თუ პატარა დარჩება, სამივე რესპუბლიკის საუბედუროთ იწვევდა გამიჯვნის შეფერხებას.

არსებითად, საქართველოსა და მის მეზობელთ შორის საზღვრების დადების კითხვა არ შეიძლებოდა ან მეტათ რთულ ანდა ნაკლებათ შესწავლილ კითხვათ ჩათვლილიყო. რა თქმა უნდა, არც კეთილი ზრახვებისა და მეტათ ლიბერალური განცხადებების ნაკლებობა ემჩნეოდა! მაგრამ საჭირო იყო სხვა რამ, სახელდობრ, დაჟინება, დიდი ჩაკირკიმატებული მუშაობა, მოთმინება, ერთის სიტყვით, დინჯი ნებისყოფა. იგი არ აღმოჩნდა. 1919 წელს არაფერი უშლიდა, პირიქით, ყველაფერი ხელს უწყობდა, მაგალითად, აზერბაიჯანისა და საქართველოს საზღვრების დადებას. მაგრამ არაფერი გაკეთებულა, სომხეთთან შეთანხმების მიღწევა უფრო ძნელი იყო. მაგრამ აქაც, უდრეკი ნებისყოფა, უეჭველია, მოახერხებდა გონიერისა და სამართლიანი საზღვრის გაყვანას, მხოლოდ, რა თქმა უნდა, საქართველოს უარი უნდა ეთქვა „სტრატეგიული საზღვრებით" უზრუნველყოფაზე, ხოლო სომხეთს უნდა უკუეგდო ისეთი არასერიოზული აზრები, როგორიცაა, მაგალითად, „რადგან სომხებმა ქართველებს დაუთმეს ბორჩალოს მაზრის მესამედი (ქართული), ქართველებმა თავისი ტერიტორიით უნდა დააკმაყოფილონ აზერბაიჯანი". ეროვნულ პრინციპზე ზედმეტათ დაყრდნობაც (საქართველოს ტერიტორიის მიმართ ეს ნიშნავდა: სადაც კი სომხები დაესახლენ, თუნდაც მეცხრამეტე საუკუნეში – იგი სომხეთისთვის უნდა გადაეცათ) თვით სომხებისთვისვე იყო ყველაზე უფრო საზიზღარი საშიშარი: ასეთის გზით კარგს ვერაფერს მიაღწევდნენ ოსმალეთში! მათი დებულების შეცდომა – რომ გამარჯვებული მოკავშირეები სომხეთზე განსაკუთრებულათ იზრუნებენ – ძლიერ მოკლე დროში აშკარა უნდა გამხდარიყო.

სომხების მეთაურები არ შეიძლება ზომიერ გზაზე არ დამდგარიყვნენ, რადგან მეტად დაინტერესებულნი იყვნენ, კეთილგანწყობილი მშვიდობიანობა ჰქონოდათ საქართველოსთან, ერთადერთ მეზობელთან, რომლის მიწა-წყალი არ გასვრილა „ამოჟლეტისა" და „ამოწყვეტის" სისხლით. ერთის სიტყვით, თუ არ ვცდები, აქაც შეიძლებოდა 1919 წელსვე მოგვარებულიყო გამიჯვნის საქმე, რომელიც მოსახერხებელი გახდებოდა. როგორც მაშინაც და წინათაც ბევრი ფიქრობდა იმ პირობით, რომ სომხეთისთვის დაეთმოთ ბორჩალოს მაზრის ყბადაღებული სამხრეთი ნაწილი, და სომხეთს თავის მხრით უარი განეცხადებინა იმდენადვე ყბადაღებულ ახალქალაქის მაზრაზე.

### 66. ბორჩალოს კითხვა ინტერნაციონალის სამსჯავროს წინაშე

მაგრამ სომხებს რომ ემჩნეოდათ უკიდურესი ჯიუტობა-დაუჯერებლობა, ამაში დავრწმუნდი პარიზში, როცა დავესწარი სოციალისტური საშუალებებით სომეხ-ქართველთა საზღვრების გამო დავის გადაწყვეტის ცდას.

1919 წლის მაისის დასაწყისში ინტერნაციონალის ბიურო (რომელიც შემდეგ მეორე ინტერნაციონალათ გახდა) არჩევდა მიქაელ ვარანდიანის საჩივარს, უფრო სწორათ რომ ვთქვათ, დაბეზღებას საქართველოს მთავრობაზე, რომელიც ვითომდა ავიწროვებს სომხებს. „იმპერიალისტობას" იჩენს, და აშკარათ არღვევს ამის წინ[ა]ზე ბერნის სოციალისტური კონფერენციის მიერ მიღებულ პრინციპებს. ამ საჩივრის გამო ბიურომ პასუხის საგებლათ მოიწვია ორივე მხარე, მოუსმინა ერთსა და მეორესაც, რის შემდეგ საქართველოს დელეგაციაში მოხდა თათბირი სომხებთან (10 მაისი), მაგრამ შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. აქ იყო [ა]. აგარონიანი[1], რომელიც დავტოვე კონსტანტინოპოლში, [ა].ოგანჯანიანი[2], რომელიც კიდევ უფო ადრე დავტოვე ბერლინში, ვარანდიანი და სხვა, სამივე თამამად შეიძლებოდა გამოქანდაკებული ყოფილიყო ასირ-ბაბილონის რომელიმე ბარელიეფზე.

მათი შეხედულება იყო მეტათ მარტივი: ისინი მხოლოდ განცვიფრებას გამოსთქვამდნენ, რომ ქართველები, სოციალ-დემოკრატები, საერთოდ ბედავენ მოითხოვონ ის ადგილები, სადაც ქართველები არც არიან და არც ოდესმე ყოფილან.

მეორე დღეს კამათი ხდებოდა „მოსამართლეთა" წინაშე: მოსამართლეებათ იყვნენ: ა.

---

1 ავეტის აგარონიანი (1866-1948) სომეხი ბელეტრისტი, პოლიტიკური მოღვაწე, სომხეთის პარლამენტის თავმჯდომარე. [რედ.].

2 ამაზასპ ოგანჯანიანი (1874-1947) სომეხთა პარტიის „დანაკცუტუნის" ერთ-ერთი ლიდერი, სომხეთის პრემიერ-მინისტრი. [რედ.].

გენდერსონი[1], რ. მაკდონალდი[2], კიდევ ერთი სახელოვანი სოციალისტი – ინგლისელი, კ. გიუსმანსი[3], რენოდელი[4], ჟ. ლონგე[5].

გაშმაგებულმა კამათმა დიდხანს გასტანა, სომხები თავისას იმეორებდნენ ქართველების ძალდატანებაზე, მათ მიერ გერმანელი ხიშტების დახმარებით სადავო პროვინციების დაპყრობაზე და სხვა. წერეთელი გაუმასპინძლდა გახსენებით, რომ სომხები ვერაგულათ დაეცენ საქართველოს დეკემბერში. ერთი სიტყვით, „კეთილმეზობლური“ ლაპარაკი გამოვიდა.

შემდეგ საქართველოს მხრით სომხებს მისცეს წინადადება, ეხლავე აერჩიათ საარბიტრაჟო კომისია, რომელიც საფუძვლათ მიიღებდა ბერნის გადაწყვეტილებას და ხელს მოკიდებდა პლებისცისტთან და სადაო ადგილებთან დაკავშირებულ ყველა კითხვასა და უთანხმოების გარჩევა-გადაწყვეტას. ამავე დროს ორივე დელეგაციას, საქართველოსას და სომხეთისას, ამ შეთანხმების შესახებ უნდა ეცნობებინა პარიზის კონფერენციისათვის.

როგორც ეტყობოდა ეს აზრი მოეწონა „მოსამართლეებს“. (ძლიერ გულგრილათ თავმჯდომარეობდა გენდერსონი და ოდნავის გაკვირვებით შეჰყურებდა უბრალო რამეზე „სამხრეთელ აპილპილების“ სურათებს). ფლამანდიელებისა და ვალონების ჩხუბებს შეჩვეულმა გიუსმანსმა საქართველოს წინადადების საფუძველზე ბოლოს შეიმუშავა შეთანხმების მუხლები და ცდილობდა დაეჯერებინა სომხები. ძნელი იყო რაიმე საწინააღმდეგო პასუხის გაცემა, და სომხებმა მოულოდნელათ დაიწყეს ლაპარაკი სომეხ-ქართველთა შეტაკების დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემის შესახებ და მოითხოვეს გიუსმანსის მიერ შემუშავებულ მუხლების გარდა, მიღება კიდევ უფრო ერთი მუხლისა, სახელდობრ, რომ პლებისციტის წინ სადავო ადგილებიდან გაყვანილი ყოფილიყო საქართველოს ჯარი და ადმინისტრაცია, ჩვენ და გიუსმანსი კი ვფიქრობდით, რომ ეს და სხვა ამგვარი კითხვა უნდა გადაწყვიტოს სწორეთ საარბიტრო კომისიამ.

მაგრამ სომხების ჯიუტობა (განსაკუთრებით ვარანდიანის) ისეთი გამოდგა, რომ გიუსმანსმა პირდაპირ უსაყვედურა მათ, შეთანხმება არ გსურთო.

ამგვარად, ამ ცდიდან არაფერი გამოვიდა. მაგრამ საყურადღებო სანახაობას წარმოადგენდა ინტერნაციონალიზმისა და სოციალიზმის ბაირაღს ამოფარებული ეროვნული ვნებათა ღელვის შეხლა-შემოხლა, რომელიც თავისთავად ჯანსაღი და, შეიძლება მარტივიც კი იყო.

---

1 არტურ გენდერსონი (1863-1935), ინგლისის ლეიბორისტული პარტიის ლიდერი. [რედ.].

2 ჯეიმს რამსეი მაკდონალდი (1866-1937), შოტლანდიელი პოლიტიკური მოღვაწე, დიდი ბრიტანეთის ლეიბრორისტული პარტიის ლიდერი და პრემიერ-მინისტრი. [რედ.].

3 კამილ ჰიუსმანსი (1871-1968), ბელგიელი სოციალისტი და შემდეგში ბელგიის პრემიერ-მინისტრი. [რედ.].

4 პიერ რენოდელი (1871-1935), ფრანგი რევოლუციონერი, მუშათა მოძრაობის ლიდერი საფრანგეთში. [რედ.]

5 ჟან ლონგე (1876-1938) ფრანგი სოციალისტი. [რედ.].

# ნაწილი II
## საქართველოს საზღვრების საკითხი 1917-1921 წწ. ქართულ პერიოდიკაში

## 1917 წელი

### სოხუმის ოლქის მცხოვრებთა შესახებ[1]
**(ნ. დურნოვოს[2] წერილი „პეტ. ვედომოსტებიდან“)**

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 1917 წ., 15 თებერვალი, № 35, გვ. 3.*

სოხუმის ოლქი 4 საბოქაულოდ იყოფა. მათში უმეტესად აფხაზები სცხოვრობენ, რომელნიც ქართველ მოდგმას ეკუთვნიან. მართალია აფხაზური ენა ძრიელ ირჩევა ქართული ენისაგან, მაგრამ ამ ენაზე არავითარი ლიტერატურა არ არსებობს, ამის გამო ძველიდგან აფხაზები ხმარობდენ ქართულ ანბანს და ქართველ სალოცავ წიგნებს. თუ ეს ასე არ ყოფილიყო აფხაზები ქრისტიანულ სარწმუნოებას ვერ შეინარჩუნებდნენ და ისე გაეთიშებოდნენ მას.

სამურზაყანოს საბოქაულო ქართველებითაა დასახლებული, აქედან სამურზაყანოელები, რომლებიც მეგრულ ენაზე ლაპარაკობენ – 35,923-ია; მეგრელები 9,202, ქართველები 173, სულ ქართველები 45,292, რუსები – 87 და სხვა ეროვნება – 72.

გუმისთის საბოქაულოში ცხოვრობენ: მეგრელები – 7,471, სამურზაყანოელები – 166, ქართველები – 772, სულ 8,409; აფხაზები – 955, რუსები – 2,037, აგრეთვე დროებით ჩამოსულები – 215, ბერძნები – 12,321, სომხები – 6,308, დანარჩენი ეროვნება 1,847.

თავის ეროვნებათა შედგინებით ეს საბოქაულო ბერძნულ-ქართულია.

გუდაუთის საბოქაულოში ქართველები, მეგრელები – 2,144, აფხაზები 23,513, რუსები – 2,731, ბერძნები 916, სომხები 3,444, დანარჩენი ეროვნება 144, ამ საბოქაულოს, რასაკვირველია, აფხაზური საბოქაულო უნდა ეწოდოს.

კოდორის საბოქაულოში მეგრელები 9,155 მდე, მათში სამურზაყანოელები და ქართველები 1,424, აფხაზები 23,275, რუსები 325, ბერძნები 574, სომხები 2,748 და სხვა ეროვნება 611. ეროვნებით ეს საბოქაულოც აფხაზებითაა დასახლებული.

მაშასადამე, სოხუმის ოლქში, ქართველები, მეგრელები და სამურზაყანოელები ყოფილა 47,767, ბერძნები 13,307, რუსები, დროებით, მცხოვრებლებით და ჯარით 6,585. სხვა რჯულის მცხოვრებნი, რასაკვირველია, მართლმადიდებელ ეპარხიას არ ეკუთვნიან.

მაშ, როგორ ეგონათ, რომელ ერს უნდა ეკუთვნოდეს მათი ეპისკოპოსი და თუ რუსის ეპისკოპოსია დანიშნული, უნდა იცოდეს, თუ არა მან ქართული ენა?

ჩემი აზრით საქართველოს ეკლესიაში სულ არ უნდა ჰქონდეს ადგილი რუსის ეპისკოპოზს და სოხუმის საკრებულო ეკლესია ქართველ სამღვდელოებას უნდა გადაეცეს, რადგან რუსებს სოხუმში ორი ეკლესია აქვთ, მათ შორის ერთი სამხედროა.

---

1 საინტერესოა, სტატიაში მოცემული მონაცემების შედარება ივ. ჯავახიშვილის ნაშრომთან [„საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“, 1919], სადაც იგი აღნიშნავს, რომ რუსე**თის** მთავრობის პოლიტიკის გამო, 1916 წლის აღწერის მიხედვით, სოხუმისა და სოჭის ოლქებში 141.000 მცხოვრებია და მათ შორის 71.000 ქართველი, 43.000 აბხაზი, 6.000 სომეხი და 21.000 სხვადასხვა ეროვნების [რედ.].

2 ნიკოლაი დურნოვო (1876-1937) – რუსი ლინგვისტი.

# ქრონიკა

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 1917 წ., 9 მაისი, № 99, გვ. 3.*

პ. ინგოროყვას[1] მოხსენება. ხუთშაბათს, 11 მაისს, ახალი კლუბის საზაფხულო დარბაზში გაიმართება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საჯარო სხდომა. პავლე ინგოროყვა წაიკითხავს მოხსენებას: „როგორ უნდა გადაიჭრას ეროვნული საკითხი კავკასიაში“. სხდომაზე დასწრება გარეშეებსაც შეუძლიათ. დასაწყისი სხდომისა დილის 11 საათზე.[2]

# ქრონიკა
## სხდომა

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 1917 წ., 11 მაისი, № 100, გვ. 3.*

მოვაგონებთ მკითხველებს, რომ დღეს, მაისის 11-ს, ახალი კლუბის საზაფხულო დარბაზში გაიმართება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საჯარო სხდომა. პავლე ინგოროყვა წაიკითხავს მოხსენებას: „როგორ უნდა გადაიჭრას ეროვნული საკითხი კავკასიაში“. სხდომაზე დასწრება გარეშეებსაც შეუძლია[თ]. დასაწყისი სხდომისა დილის 11 საათზე.

# ქრონიკა
## პ. ინგოროყვას ლექცია

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 1917 წ., 13 მაისი, № 101, გვ. 3.*

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს წინადადებით, მაისის 11-ს, პ. ინგოროყვამ თავისი ლექცია ისევ წაიკითხა ავტონომიურ საქართველოს ტერიტორიის შესახებ. ლექტორმა განსაზღვრულად აღნიშნა ისტორიული საზღვრები საქართველოსი და აგრეთვე დაწვრილებით შეეხო სომხეთისა და ადერბეიჯანის საზღვრებს. ლექციას დიდძალი ხალხი დაესწრო. აზრათ აქვთ სთხოვონ ლექტორს, რომ ეს ლექცია ქუთაისშიაც წაიკითხოს და აგრეთვე ისევ თბილისში რუსულად.

## ნ. დურნოვო
# კავკასიის ავტონომიები

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 1917 წ., 3 თიბათვე (ივნისი), № 118, გვ. 1-2.*

ამიერ კავკასიაში სცხოვრობს ორი კულტუროსანი, ქრისტეს სარწმუნეობის მაღიარებელი ერი – ქართველი და სომეხი. ამ ერებს სურთ ავტონომიის მოპოება.

საქართველოს საზღვრების დაწესება ძნელი არ არის. ქართველ ერს – ქართლელები, რომელნიც თბილისის გუბერნიაში მოსახლეობენ, იმერლები, რომელნიც ქუთაისის გუბერნიის შემდეგ მაზრებში მოსახლეობენ: – ქუთაისის მაზრაში, შორაპნის მაზრაში, რაჭის მაზრაში და ლეჩხუმის მაზრის სამხრეთ ნაწილში; სვანები, რომელნიც ლეჩხუმის მაზრის ჩრდილოეთ ნაწილში მოსახლეობენ, მეგრელები, რომელნიც ახალ-სენაკის, ზუგდიდის მაზრებში, სამურზაყანოს კუთხეში და სოხუმის ოლქში მოსახლეობენ, გურულები – ოზურგეთის მაზრის მოსახლენი,

---

1 პავლე ინგოროყვა (1893-1983) – ლიტერატურათმცოდნე, ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე [რედ.].

2 საქართველოს ტერიტორიისა და საზღვრების საკითხი ახალი გამოწვევების წინაშე დადგა I მსოფლიო ომის და მის შემდგომ პერიოდში. ამიტომ არც არის გასაკვირი, რომ ამ დარგის სპეციალისტები ქმნიან ნაშრომებს. უპირველსად კი პავლე ინგოროყვა და ივანე ჯავახიშვილი იგულისხმება. იმდროინდელი საზოგადოების მაღალი ინტერესებიდან გამომდინარე, მათ არაერთი წაიკილხეს ლექციაც. თუმცა ეს პრაქტიკა არც მანამდე იყო უცხო ქართველი მსმენელისათვის. ჯერ კიდე 1880-იან წლებში ამ საკითხზე ლექცია წაუკითხავს დიმიტრი ბაქრაძე. ამის შესახებ ცნობა შემორჩენილია ჟურნალ „შინაური საქმეების,“ 1912 წლის გამოცემებში: № 18-19, გვ. 8-10; № 21, გვ. 10-12 [რედ.].

აჭარლები, რომელნიც ბათომის ოლქში მოსახლეობენ, ინგილოები ზაქათალის ოლქში მცხოვრებნი და აფხაზები, რომელნიც უმთავრესად სოხუმის ოლქში მოსახლეობენ.

ამ ადგილებით განისაზღვრება ივერია-იმერეთის საკათალიკოსო ეკლესიაც. იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ ივერიის ეკლესია მსოფლიო კრებების შემდეგ ავტოკეფალური იყო, ხოლო 1811 წელს რუსის „მართველის" მიერ ლეჩაქ ახდილი შეიქმნა. ამის შემდეგ რუსის მთავრობა ჰგზავნიდა საქართველოში თავისს ექსარხოსებს. მთელი ამ ხნის განმავლობაში რუს ექსარხოსების ენერგიული შრომის წყალობით საქართველოში გაუქმებულ იქმნა ოცამდე კათედრა, დახურულ იქმნა ათამდე მონასტერი და 600-მდე ტაძარი. საეპისკოპოსო კათედრებს, მონასტრებს, ტაძრებს წაართვეს მრავალი მამული, ტყე, ბაღი, ტბა და სხვა. ყველა ამის ღირებულების საერთო ჯამი 140 მილიონ მანეთს უდრის.

უძვირფასესი საშესამოსლო გა[ძ]არცვულია. გელათის სახარების ერთი მოჭედილი ყდა, რომელიც მთელ დედამიწაზე ცნობილი იყო თავისი ძვირფასი თვლებით და რომელშიაც ინგლისელები 1846 წ. 60 ათას გირვანქა სტერლინგს იძლეოდენ, გაყიდულ იქმნა ქუთაისის გუბერნატორ გრაფ ლევაშოვის მიერ და ამ ჟამად ინახება გრაფ სტროგანოვის მუზეუმში.

მთელ რუსეთის იმპერიაში არც ერთი ერი არ იყო ისე სასტიკად დევნილი, როგორც ქართველი. ერთი მხრით მას ავიწროებდა რუსის სამღვდელოება და მეორე მხრივ კი რუსის ადმინისტრაცია. სულ სხვა მდგომარეობაში იმყოფებოდა სომხეთის ერი. მას ყოველმხრივ მფარველობას უჩენდენ, სომხებს ჰქონდათ სომხური სკოლები, სადაც სომხური ენა იყო გამეფებული. მათს კათალიკოსს რუსის სამღვდელოება პატივს ჰსცემდა; სომხებს აქეზებდნენ ქართველების წინააღმდეგ, ასი ათასს ოსმალეთიდან გამოქცეულ სომეხს ნება ეძლეოდა საქართველოს მიწა-წყალზე დასახლებულიყვნ[ე]ნ, ხოლო თვით ქართველებს სოხუმის ოლქიდან სდევნიდნენ. სომეხ-გრიგორიანელთა ეკლესიამ კი თავისი ქონება კარგად შეინარჩუნა. ამ ჟამად კი, სომხებიც რუსეთის სხვა ეროვნებათა მსგავსად ავტონომიას თხოულობენ.

ჩვენ უფლება არა გვაქვს სომხობა შევავიწროვოთ; დაე იგი გაიზარდოს და გამრავლდეს. მაგრამ სად არის მისი საზღვარი, რომელს ადგილებს ეპოტინება? ახლა ჩვენ არ ვუწყით, თუ დიდს სომხეთში, რამდენი სომეხი დარჩა. [1914] წლამდე იქ იყო 1.500 ათას სულამდე; ზოგი შიმშილით დაიხოცა, ზოგი რუსეთში გადასახლდა და აქედან სჩანს, რომ მაჰმადიანობასთან შედარებით დიდ სომხეთის სომხობა სულ უმცირესობას შეადგენს.

ამიერ-კავკასიაში, მხოლოდ ორ გუბერნიაში (განჯა-ერევნისა) სჭარბობს სომხობა 1910 წ. განჯის გუბერნიაში სომხობა. შეადგენდა სულ 35 პროც., ხოლო ერევნის გუბ. 53 პროც. პირველში იგინი შუშის მაზრაში შეადგენენ უმრავლესობას, სადაც 54 პროც. შეადგენენ, სხვა მაზრებში სომხობა უმცირესობას შეადგენენ – 20-დან – 46-მდე.

ერევნის გუბერნიაში სომხობა სჭარბობს ალექსანდროპოლის მაზრაში[1] – 83 პროც., ეჩმიაძინის მაზ. – 70 პროც. და ახალ-ბაიაზეთისაში 66 პროც. სხვა 4 მაზრაში 28-83 პროც. ჩვენ არა ვიგნებთ, რომ სომხობა თავის უფლებას განაცხადებს ბაქოს გუბერნიაში, სადაც იგი 6 პროც. შეადგენს და ყარსის ოლქში, სადაც იგი 25 პროც. ნაკლებია ბერძნებზედ. დარჩა კიდევ თბილისის გუბერნიის 3 სამხრეთი მაზრა, რომელსაც სომხის შოვინისტები ისაკუთრებენ.

ეს მაზრები შედიან საქართველოს ძველს სამცხეში: ახალქალაქის, რომელშიაც სომხობა 26 პროცენტი. შეადგენს, ახალციხისა – 9 პროც. და ბორჩალოსი – 22 პროც. მაგრამ უკანასკნელში მართლმადიდებელი ბერძენ-ქართველობა უფრო მეტია, ვიდრე სომეხ-გრიგორიანელები.

არ შეიძლება სომხეთის ავტონომიას არ თანაუგრძოთ; მაგრამ ნუ ავიწყდება სომხის ბურჟუაზიას, რომ კავკასიაში არის სხვა უფრო ტანჯული ერი, რომელიც მილიონებს არავის არ ართმევდა, ხალხს არ ავიწროვებდა, ხოლო სარწმუნოებისა და თავისუფლებისათვის სისხლსა ჰღვრიდა. დაე შეიქმნას თავისუფალი, თუნდაც დამოუკიდებელი სომხეთი, მაგრამ არას გზით არ დაუშვებთ, რომ მასში შევიდეს ან ქართველი სამცხე, ან ლაზისტანი, ან ყარსი ან ტრაპიზონი.

1 ალექსანდროპოლის მაზრა – ადმინისტრაციული ერთეული რუსეთის იმპერიაში. დაარსდა XIX საუკუნის შუა წლებში და მიეკუთვნებოდა საქართველო-იმერეთის გუბერნიას, მოგვიანებით – ტიფლისისა და შემდგომ ერევნის გუბერნიას, ცენტრი – ალექსანდროპოლი (ამჟამად გუმრი) [რედ.].

**ილია ჭყონია**

# საქართველოს სანაპიროები

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 1917 წ., 6 თიბათვე (ივნისი), № 120, გვ. 3-4; 8 თიბათვე (ივნისი), № 122, გვ. 3-4.*

საქართველოს დაძაბუნება იმ დროიდან დაიწყო, როცა მას მტრებმა სანაპიროები ჩამოათალეს: ჯერ ჭანეთი, მერე სამცხე, შემდეგში საათაბაგოთ და ოსმალეთის საქართველოთ წოდებული ადგილები და შემდეგ ჰერეთი, რომლის ერთი ნაწილი დღევანდელი ზაქათლის ოლქია.

ყველა ეს სანაპიროები საქართველოსთვის ის იყო, რაც კაცისათვის ზურგის ხერხემალია, თუ დაავადდა ეს უკანასკნელი – სუსტდება კაცის მთელი აგებულებაც. ასე მოუვიდა ჩვენს სამშობლოსაც იმ სანაპიროების ჩამოთვლით. თუ გვინდა კვლავ გავძლიერდეთ, როგორც ერი ისევ უნდა აღვადგინოთ მათთან ძმური ეროვნული ერთობა.

მოკლეთ გაგაცნობთ ამ სანაპიროებს. დავიწყებ აღმოსავლეთიდან.

## ზაქათალის ოლქი.

ეს მხარე ძველი ჰერეთის ნაწილია.

მდებარეობს ალაზანს გაღმა დაღესტნის მთების წყალგაღმა სადენის აქეთ. მას საზღვრავს: ჩრდილო აღმოსავლეთით დაღესტნის მთები, სამხრეთ დასავლეთით პატარა მდინარე ალაზანი და სიღნაღის მაზრა, სამხრეთ აღმოსავლეთით პატარა მდ. კარასუ (შავ წყალა) ნუხისა და განჯის მაზრები, განჯის გუბერნიისა, და ჩრდილოეთით – ქართუბან-ჩაი (ქართუბანის წყალი).

ჯერ კიდევ მე-XV საუკუნეში არა თუ მთელი დღევანდელი ზაქათალის ოლქი, არამედ დაღესტნის ნაწილი – დღევანდელი წახური, საქართველოს ეკუთვნოდა და დაყოფილი იყო სამ საერისთაოთ: ენისელი (ენისენი) (ეხლანდელი ალიაბადის ნაწილი), წუქეთა (წახური) და ჭიაური.

კოსტანტინე კახთ მეფეს, მამის მკვლელს, კიდევ ეპყრა კაკ-ენისელის ბატონობა და ეჯდა იქ მოურავი.

მთელი ოლქი სიმშვენიერით, ჰავით, მდინარეთა სიმრავლით, სრული მსგავსებაა მისი გაგრძელების – კახეთის გაღმა მხარისა. მიწა კი დღეს ზაქათალის ოლქში ბევრათ უფრო მოსავლიანია, ვიდრე სადმე სხვაგან ჩვენს ქვეყანაში. სივრცით ზაქათალის ოლქი უდრის დუშეთის მაზრას.

მცხოვრებთა რიცხვია ჩემი ცნობებით: ლეკები (მკვიდრნი) 46.250-ა, დაღესტნის ლეკები, რომელთაც კარგის თვალით ვერ უყურებენ მკვიდრნი ლეკები, რადგანაც პირველნი მათ მიწას ეცილებიან 10.000-ა, მუღალები და სხვა მაჰმადიანები 25.000-ა, ქართველები (ქრისტიანი და მაჰმადიანი) 17.000, სომხები 1.500, სხვა ხალხნი 50, სულ კი 100.000 სული.

ლაპარაკობენ უფრო თათრულ ენას, ლეკურს. ლაპარაკობენ მხოლოდ ჭარელების 22 სოფელში, კუმურში, სუვაგილში, ჯინიხში, ბელაქნის ერთს ნაწილში და შეიძლება კიდევ რამდენიმე პატარა სოფელში.

ქართულს ლაპარაკობს 22 ქართული სოფლებიდან 19, დანარჩენი სამი სოფელი ქართულს აღარ ლაპარაკობს. ქართული იცის: 1) მთელმა ლეკის დიდმა სოფელმა კოვახჭოლმა, ალაზნის პირით, 2) უმცირესობამ ბელაქნელებისამ, 3) სარიბაშმა და 4) წახურის (დაღისტნის ნაწილის) 12 სოფელმა. მიზეზი სარიბაშელთა და წახურელთაგან ქართულის ცოდნისა ის არის, რომ ამ სოფლის მცხოვრებნი ბავშვობიდანვე თითქმის ყველანი, თავწაყრით, მკალავობას ეწევიან საქართველოში.

ლეკურსა და ადგილობრივ თათრების ენაში ქართული სიტყვები ბევრია, როგორც მაგალითად ვაზი, შეშა და სხვ. ლეკებისაგან ქართული ენის ცოდნა გარდა ქართველების საერთო კულტურის გავლენისა უნდა მიეწეროს იმასაც, რომ დღემდის ქიზიყში წელიწადი არ გაივლის ისე, რომ ერთი-ორი ქართველი ბიჭი სოციალურ-პოლიტიკურ მიზეზების გამო არ გადავიდეს ლეკებში და არ “გალეკდეს”. გალეკება მდგომარეობს იმაში, რომ გადავარდნილი იღებს მაჰმადის რჯულს, ირთავს ლეკის ქალს და ცოლოურში სახლდება. ამისთანა გალეკებული ისე კვდება, რომ ლეკურს ან თათრულს, ძლივს ლაპარაკობს საყველ-პუროთ. ძალაუნებურათ ლეკები მათგან სწავლობენ ბევრ ქართულ სიტყვას, რომელთა ხმარება მათაც ისე ესახელებათ, როგორც ჩვენში ბევრს ჩვენებურს რუსული სიტყვები[ს] ქართულ საუბარში ჩარევა.

ტიპით ადგილობრივს ლეკს ვერ გაარჩევ ქართველისაგან, მაშინ, როდესაც ათას ლეკში გარეულს ერთს დაღესტნელს მაშინვე გაარჩევ სახით სხვა იქ მყოფთაგან.

საფიქრებელია, რომ ძველად მკვიდრი ქართველთაგანი, მცირედი ნაწილი მაინც, დარჩა ადგილობრივ და ფიზ[ი]კურათ გაითქვიფა ლეკებში. მაგალითად ს. დარდოხკაზში დღესაც მოსახლეობს ორი ოჯახი ჭავჭავაძეები, რომელთაც შეურჩენიათ წინანდელი ჭავჭავაძური სახე და გვარი. ახალ-ახალი გადმოვარდნილები ხომ, როგორც ვთქვით, ყოველ წლივ ემატება ლეკობას. კაბახჭოლში იქნება ათიოდე გალეკებული ქართველი, და წარმოიდგინეთ, რამდენია ქიზიყელი ქალიც ლეკებზე გათხოვილნი. ჭარელების ერთს სოფელში ვნახე ერთი ქიზიყელი ბიჭი 23 წლისა ს. ტიბაანიდან, რომელიც ორი წლის წინად გალეკებულიყო.

რომ გამ[ო[ვკითხე გამაჰმადიანების მიზეზი – მომიგო: ღმერთი ვნახე სიზმარში და მიბრძანა – მე ვარ ნამდვილი ღმერთი, მიდი ლეკებში და მიიღე ჩემი რჯულიო. მეც ავასრულე ბატონო, მისი ბრძანება, დაილოცა მისი სახელი. ნამდვილი მიზეზი კი ის ყოფილიყო, რომ სალდათობას დაჰმალვოდა.

მოხუცებულმა ლეკებმა – ცეტოვბეგმა, პორუჩიკმა, ლეკის ამალაში ნამსახურმა 70 წლისამ და სხვ. მითხრეს, რომ 1860 წლამდე ლეკები, როგორც ბეგები, ისე არა ბეგებიც კაციან-ქალიანათ ქართულად იცვამდენო. ჭარელი ქალები დღესაც ბევრი იცვამს ქართულ გულის პირიან კაბას, ხოლო ჩიხტა-კოპი, არ იციან, მათი თან[ხ]ურვა უფრო აფხაზურსა ჰგავს. ზოგი გალაჯოვები ბელაქანში, რომელნიც თავიანთ თავს ვაჩნაძეთა შთამომავლად სთვლიან და ქრისტიანი არიან, დღესაც საპატიო სტუმრების მიღების დროს ქართულად იცვამენ.

ვერსად საქართველოში ვერ ნახავთ იმდენ ეკლესიებს და მონასტრებს, რამდენ ნაშთებსაც ეკლესია-მონასტრებისას შეხვდებით ზაქათალის ოლქში. ცხრა მეათედი ამ ნაშთებისა მთებშია და მთების ძირა მაჰმადიან სოფლებში. ბევრი ყოფილა ამგვარივე ნაშთები ნუხის მაზრაში (განჯის გუბ.) და წახურში. ეტყობა ძველად ქართველებს განსაკუთრებული ყურადღება სარწმუნოებრივის კულტურის გავრცელებისათვის მიუქცევიათ ამ სანაპიროში, ისე როგორც სამცხეშიაც. სარწმუნოებრივი კულტურა შეუტანიათ მეზობლების ტერიტორიაზე და მით დაუცავთ სამშობლო არა მარტო ხმლით, არამედ სარწმუნოებითაც.

თუ რამდენად მტკიცედ ყოფილა გავრცელებული ერთ დროს ქრისტიანობა ლეკებში ამას მოწმობს დღესაც დაცული ჩვეულება წახურელ ლეკებისა, მეტადრე ქალთა, იფიცონ „მადლი დიდი კურმუხის საყდრისა". "დიდი საყდრის მადლმაო", რომ იტყვის წახურელი ლეკი და ჰკითხო, რომელ საყდარს ფიცულობო, მოგიგებს – კურმუხისასაო. კურმუხის საყდრის შემავალნი ყოფილან, როგორც ვიცი ისტორიით და ადგილის ხალხის გადმოცემით სხვათა შორის წახურიც.

საკვირველია, რომ იქვე კურმუხის ეკლესიის გვერდით მოსახლე მუღალებს და ლეკებს ეკლესიის სახელსაც ვერ ათქმევინებ. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ კურმუხის ეკლესიისა ბოლო დრომდის ნანგრევი-ღა იყო დარჩენილი. ამ ოცდაათიოდე წლის წინეთ თავის ხარჯით ხელახლა ააგო ყოვლად სამღვდელო ლეონიდმა, საქართველოს კათოლიკოსის მოსაყდრემ.

საზოგადოდ ეკლესიის ნანგრევებს პატივისცემით ეპყრობიან ლეკები და სხვა მაჰმადიანებიც ამ ოლქში. კაკის საბოქაულოში, ლეკის სოფელს ლიაქითში, მთის ფერდობზე, არის ერთი მონასტრის ნანგრევი, რომლის გალავანში იდგა ორი უზარმაზარი კაკლის ხე. ხუთიოდე წლის წინად ორივე ის ხე ტყის ზედამხედველმა მიჰყიდა მოსაჭრელად ნუხელ ვაჭარს, სამ თუმნად თითო ხე. ვაჭარმა რომ მუშები მიიყვანა მოსაჭრელად, სოფლის თავი კაცები ერთობ აღელდენ, შემოერტყნენ მათ, წაართვეს ნაჯახები, დაიჭირეს, მიიყვანეს პოლიციის ბოქაულთან ს. კაკში, თორმეტიოდე ვერსზე ლიაქითიდან.

ეს ღვთის გმობაა ბატონო, ის კაკლის ხეები წმინდა ადგილისაა, ეკლესიისა, თუ თქვენ ქრისტიანი ხართ – ბოქაული ქართველი იყო – დაიცავით ღვთის საკუთრებაო! ჩვენ მაჰმადიანები ვართ, მაგრამ იმ ადგილს ადათით დიდათ პატივს ვცემთ, რადგან ღმერთი ერთიაო! ბოქაულმა აუკრძალა იმ ხეების მოჭრა. ხოლო რადგან ისინი ერთობ ძვირფასი ყოფილიყო, ნუხელმა დახარჯა ზედმეტი, და მთავრობის შემწეობით მაინც მოახერხა მათი მოჭრა მთელი სოფლის სურვილის წინააღმდეგ...

ეკლესიის ნანგრევთ გარდა ზაქათალის ოლქში არის აგრეთვე დაცული ქალაქების ნაშთები – სიღნაღისა და ბაზარის, თუმცა აქვე უნდა ვთქვათ, რომ ნაშთები შენობებისა ოდნავ ამჩნევია მიწის ზედაპირს.

სიღნაღის ნაშთი მდებარეობს ს. კატეხიდან 5-6 ვერსზე, მთაში. დღეს მთელი ის ადგილი ტყით არის მოცული. ამჩნევია კარგათ ეკლესიისა და გალავნის კედლები, დანგრეულ შენობების ქვები,

არის თხილის ხეივნები და ვაზები, ხეებზე გასული.

ქალაქი ბაზარის ნაშთი მდებარეობს ს. ტალის მიწებზე ზაქათალიდან თორმეტ ვერსზე და ენისელიდან (ალიაბათთან) შვიდიოდე ვერსზე. ეს ის ბაზარია, სადაც კოსტანტინე მეფემ მამა მოჰკლა და თვალები დასთხარა ძმას წმ. ქეთევანის ქმარს. ეს ადგილი ახლა ეკუთვნის ს. ტალის მცხოვრებ ლეკებს კარახმეტოვებს და მუღალებს შაბან ბეგოვებს: ამ უკანასკნელმა ბოლო წლებში იჯარით მისცეს მიწები ათ კომლს ნუკრიანელებს, რომელნიც დასახლდნენ იქ, მაგრამ მალე დაიქსაქსნენ.

ძველი ეკლესია არსად ზაქათალის ოლქში არ არის ისე კარგათ და მთლად დაცული, როგორც აქ, ბაზარში. ეკლესია აგურით არის ნაშენი, აკლია მხოლოდ კანკელი და კარი. ეკლესიის ირგვლივ ბევრია ნანგრევების ქვები.

ძველი ჰერეთის და ქალაქის ფიფანის ნანგრევი ზაქათალის მოსაზღვრე ჭალის (ტალისფე) წყლის გაღმა, აღმოსავლეთით არის. ნანგრევი, სულ აღარ აჩნია მიწას, მაგრამ ცხადად შეამჩნევთ, რომ საკმაოა მცოდნე არქეოლოგის მცირე ცდა, და მიწის ქვეშ, არც იმდენად ღრმად, აღმოჩნდება ძველი ცხოვრების ნივთიერი ნაშთები.

ძველი ფიფინეთისა გადარჩენილი მხოლოდ მონასტრის სამი ეკლესიის ნაშთი, ფიფინეთის მთის ძირას, სოფ. ტალისფე მიწებზე.

მთელს ოლქში და აგრეთვე ნუხის მაზრაში განთქმულია სახელი ფერია ხანუმის, თამარ მეფისა, რომელსაც აწერენ ყველა ეკლესიების და სხვ. ნანგრევების აშენებას. ფერია ხანუმ რომ იგივე თამარ მეფეა, ეს ეჭვს გარეშე უნდა იყოს, რადგანაც ქრისტიანთ ეკლესია-მონასტრების აგება სხვა ქალს ვინმეს შეუძლებელია მიეწეროს, ძველი ჰერეთის მიწა-ადგილებზე.

ყველაფერი, რაც მოჰყავთ ოლქში – ხილი, ერბო, ფრინველულობა, საქონელი, სიმი[ნ]დი, ბრინჯი და ღვინო მთლად კახეთსა და თბილისში საღდება.

ყველაფერი, რაც სჭირდება ადამიანს, გარდა ზემოხსენებულისა, ზაქათალის ოლქი კახეთსა და თბილისში იძენს.

მხოლოდ ბოლო დროს ს. კაკში მოვაჭრე ნუხელებმა დაიწყეს ფარჩეულობის და სხვ. საქონლის შემოტანა ნუხიდან და ბაქოდან. ამ მოვლენას ხელი შეუწყო ომისაგან გამოწვეულ გარემოებამ და კაკის კოოპერატივმა.

არ უნდა დავივიწყოთ ერთი ფაქტორიც ჩვენი კულტურულ-ეკონომიურ გავლენისა ზაქათალის ოლქში, საკუთრივ ბელაქნელებზე: უხსოვარ დროიდან ქიზიყელები, განსაკუთრებით კი ბოდბის-ხეველები მუდამ წელს იჯარით იღებენ ბელაქნელ ლეკებისა და მუღალებისაგან რამდენიმე ათეულ დესეტინა მიწას, სთესენ და მოჰყავთ ზედ თამბაქო, რასაც უმეტესად ალაგობრივ ასაღებენ და დანარჩენ კი დაღესტნელებზე ჰყიდიან.

ყოველ ამ სოციალურ-ეკონომიურ გარემოებათა გამო ზაქათალის ოლქის ლეკები და მუღალები (ინგილოებზე შემდეგ გვექნება საუბარი) ქართველილებს და საქართველოს ისე უყურებენ, როგორც კეთილ მეზობლებს და მათ დამაპურებელ ქვეყანას.

მაგრამ ქართველებს და საქართველოს ჰყავს ერთი ვნებით აღგზნებული რაყიფი, რომელიც უძველეს დროიდან ეცილებოდა და ეცილება ჩვენს გავლენას ამ მხარეში.

ეს რაყიფი დაღესტანია.

დაღესტანს არა აქვს საკმაო მიწა, სახნავ-სათესათ გამოსადეგი. თავისი პური დაღესტანს მხოლოდ სამ თვეს ჰყოფნის. იგი ჩაჩნეთიდან და ზაქათალის ოლქიდან შეიზდული პურით, სიმინდით და ხილით საზრდოობს. გარდა ამისა სამხრეთ დაღესტანს აქაურ ვაჭრებისაგან მიაქვს ყოველგვარი საქონელი – ფართლეულობა, ჩაი-შაქარი, შუშეულობა და სხვა. ყველაფერი ეს ზაქათალის ოლქს არა აქვს დაღესტნისთვის სამყოფი, მეტადრე პური, ფარჩეულობა და სხვ. იგი დაღესტანსა და საქართველოს შუა ეწევა შუამავლობას და აწვდის დაღესტანს ყველა ამ საქონელას. სამაგიეროდ დაღესტანს შემოაქვს ოლქში საჩოხე შალები, ნაბდები, ყაბალახები, ხანჯლები, ხმლები, მათრახები და ჰგზავნის აქ ცხენებს გასაყიდათ. რადგანაც ჩაჩნების მიწის დიდი წილი რუსეთმა ჯერ კიდევ შამილის დროს ჩაიგდო ხელში და მას აქეთ ზედ დაასახლა რუსის ხალხი, უმიწო, უპურო დაღესტანი, მეტადრე სამხრეთი მისი ნაწილი, ზაქათალის ოლქის ნოყიერ მიწებზე ოცნებობს, როგორც თავის აღთქმის ქვეყანაზე ამ ოცნებას ფრთას ვერ აკვეცს ის გარემოება, რომ წელიწადში ცხრა თვე ყოველგვარი მიმოსვლა შეწყვეტილია ამ ორ ოლქს შუა, რადგანაც მათ ჰყოფს თვალუწვდენი მთავარი ქედი კავკასიის მთებისა, რომლის ფერდებზე ცხრა თვე დევს თოვლი. ყოველივე ამის შედეგია ის გარემოება, რომ ძველი მთავრობის დროს თუმცა აკრძალული იყო ზაქათალის ოლქში სხვა ოლქებიდან და მაზრებიდან მოსული ხალხის დასახლება, მაგრამ

დღეს 10.000 დაღესტნელი ლეკი მაინც მოკალათებულია ოლქის სხვა და სხვა სოფლებში, მეტადრე ბელაქანში, სადაც ბინადრობს 800 კომლი დაღესტნელი.

რუსეთის რევოლუციის ამბავი ზაქათალაში ოფიციალურად გაიგეს მხოლოდ მარტის ათს. ხოლო მარტის ხუთს დაღესტნიდან უკვე ჩამოვიდენ ოლქში ისეთნი პირნი, რომელნიც ურჩევდნენ გავლენიან ლეკებს – გამოეცალკევეთ თბილისის გუბერნიას და შეგვიერთდით ჩვენ, თქვენს სისხლსა და ხორცსაო. ჩვენ უთუოდ მოვიპოვებთ ავტონომიას, და მისი მადლი მაშინ თქვენზედაც გავრცელდებაო.

მათ მიეკედლენ მოლები, სოფლის ორფეხა წურბელები, არზების ჩხაპნიები და ყველა ის ვინც ჩვეულია უვექილობით სხვისი ვექილობის დაჩემებას...

## კაკ-ენისელი ანუ აწინდელი საინგილო

ეს მხარე, ზაქათალის ოლქის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილი, ერთი მხრივ მდებარე[ო]ბს ალაზანსა და ლეკთა სოფ. ელისუს შუა, მეორე მხრივ კი ზაქათალის ოლქის მუხახის ნაწილსა და ნუხის მაზრის შორის.

სიგრძე საინგილოსი იქნება 40 ვერ., სიგანე 20 ვერ. ხალხის კარმიდამოები მოქცეულია ვენახებსა (კაკის ნაწილში) და თვალუწვდენელ კაკლებსა და ხეხილებს შუა. მთებზე შეფენილ ტყეებში ახლაც ბუნაგობს ნადირი სხვა და სხვა ჯიშისა და მათ შორის ისეთი იშვიათიც, როგორც გარეული თხა და ირემი. აუარებელი წყაროები, მადნის წყლები, მადნები და მდინარეები.

უმთავრესი მდინარე – ქურმუხი, მომწყველი მთელი კაკის ნაწილისა, ერთი მხრივ უბედურებაა ამ მთელს კუთხესათვის, რადგან ყოველ წელს ერთხელ მაინც ანგრევს ნაპირებს და მიაქვს ნოყიერი მიწა.

კაკის ნაწილს უჭირავს ზეგანი, ენისელისას (ადიაბადისას) ბარი.

კაკი მდებარეობს მაღლობს ვაკეზე, ჩამოდის ერთი მხრით მდ. ჯურმუხი, მეორეთი მდ. კაბალა. იგია საცხოვრებელი მომრიგებელ შუამავლის, მილიციის კომისარის, იქვეა ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა, ნორმალური ორკლასიანი სკოლა და სასოფლო საავადმყოფო.

ენისელში (ალიაბადი) სცხოვრობს კომისარი, არის ორკლასიანი ნორმალი სკოლა, შესანიშნავია მით, რომ 35 წლის განმავლობაში სწავლა დაუმთავრებია მხოლოდ 7 მოწაფეს და ისიც ამ უკანასკ[ნ]ელი სამი წლის განმავლობაში.

ენისელს ჩამოუდის ორი ტოტი მუხახის წყლისა.

კაკ-ენისელის მხარეში ამჟამად არის სულ 22 ქართველი სოფელი (ინგილო მაჰმადიანები და ქრისტიანები).

მათ შორის კაკის ნაწილშია:

1) კაკი 450 კომლი, 2) სუსკენდი 30 კომ., 3) მეშაბაში 30 კ., 4) კარამეშა 60 კომ., 5) ალათემური 75 კომ., 6) ალიბეგლო 165 კ., 7) ინგილო ქეთუქლო 45 კ., 8) კორიღანი 101 კ., 9) შატოკარი 62 კ., 10) ბაბალო 9 კომ. სულ 987 კომლი.[1]

ენისელის (ალიაბადის) ნაწილშია:

1) მარსანი 56 კომლი, 2) ლალოფაშა 46 კ., 3) თასმალო 34 კ., 4) ძაგამი 112 კ., 5) ფადარი 9 კ., 6) მოსული 286 კომ., 7) კაპანაჩი 76 კომ., 8) ენგიანი 85 კ., 9) კანდახი 188 კ., 10) ვერხვიანი 352 კ., 11) ალიაბადი 846 კომ., 12) ითითალა 125 კომ. სულ 2269 კომლი.[2]

2) ორთავე ნაწილში სულ 3256 კომლია[3] სულ მცირედ ოჯახში რომ 5 სული ვიანგარიშოთ მივიღებთ 16,280 სულს.[4]

შენიშვნა. 1. ითითალა მდებარეობს ჭარის საზღვარში, დასახლებულია კი ენისელიდან გადასახლებულ ინგილოებით.

ჩამოთვლილ სოფლებიდან კაპანაკჩი, კანდახი და ვერხვიანი ქართულად აღარ ლაპარაკობენ, თუმცა, ვერხვიანში მაგალითად, ბევრმა იცის. მიზეზი ამისა ის არის, რომ ჩაგონებული აქვთ, ქართულად ლაპარაკს თუ არ დაიშლით გაგაქართველებენო. გაქართველება კი აქ ნიშნავს გაქრისტიანებას.

ინგილოთა სხვა სოფლებში თუ ჯერ ვერ გაუჭრია ამ ჩაგონებას, ამას უნდა ვუმადლოდეთ

---

1 ჯამი არის 1027 და არა 987 კომლი [რედ.].

2 ჯამი არის 2215 და არა 2269 კომლი [რედ.].

3 ჯამი არის 3242 და არა 3256 კომლი [რედ.].

4 ჯამი არის 16,210 და არა 16,218 კომლი [რედ.].

თუშებს და ფშავებს, რომლებიც ყოველ შემოდგომითა და ზამთრობით აქ მიდი-მოდიან სავაჭროთა: ჰყიდიან დიდძალ ყველს, მატყლს, ცხვარს, ძროხას, ჰყიდულობენ ცხენსა და ხილს. თუშ-ფშავნი ჩინებულს განწყობილებაში არიან მთელი ოლქის მცხოვრებლებთან, მეტადრე კი ინგილოებთან.

## მ. ჯანაშვილი
# საინგილო

*წყარო: გაზეთი „საქართველო", 1917 წ., 11 თიბათვე (ივნისი), №125, გვ. 4.*

ზაქათალის მაზრაში ინგილოთა რიცხვი დღეს არის მხოლოდ 14.000-მდე. წინად მეტი იყო, მაგრამ სრულიად გალეკდა ერთი ნაწილი, და დაივიწყა მამა-პაპური ენა. მათი წინაპრები ქრისტიანები იყვნენ. 1850 წლამდე ქრისტიანობდნენ ფარულად ლე[კ]ების შიშისა გამო, რომელნიც შაჰ-აბაზის დროიდან აქ ჩამოსახლდენ და გაძლავრდენ ჭარ-ბელაქანში. სწორედ იმავე დროიდან მაჰმადიანობამ დასცა ქრისტიანობა სახელოვან მესხეთშიაც. როგორც იქ, ისე აქ გაუქმდა უდიდებულესი საქრისტიანო ძეგლები, საოცრად აგებული საყდრები. მაგრამ მას აქეთ საინგილოში არ შეწყვეტილა ბრძოლა თვით-არსებობისთვის. ვერ შეაშინა ინგილოები ვერც უმეცარ მფლობელების მტარვებლობამ, ვერც „გაბატონებულ" ლეკების მუქარამ, დევნა-წამებამ. სჯულისა, ენისა და ეროვნებისთვის გმირულად ომობდნენ. უშიშრად თავს სდებდენ, თავის ქ[ა]რთველური წესებს, თავის სალოცავებს არ ივიწყებდენ, ასრე მოაღწიეს 1850 წლამდე. ამ წლის ოქტომბრის 5-ს თბილისში ჩამოვიდენ და საქრისტიანო საქართველოს შემოურთდენ უნათლავად, მაგრამ ქრისტიანად დარჩენილი ინგილოები: ივან-ბაბა ბულუღაშვილი, გიორგი ჯანაშვილი, ალექსანდრე მურადაშვილი, გაბრ. ასანაშვილი, კოტე ჭირღიტაშვილი, ბედირ მურადაშვილი, დურში ალმასაშვილი და სიმონ ხალილაშვილი; შემდეგ ამათვე ჩამოიყვანეს და აპრილის 7-ს 1851 წელს მონათლეს 37 ინგილო, მერე წაიყვანეს სამღვდელოება და მოაქციეს ინგილოთა უმრავლესობა, გახსნეს სამრევლოები კაკს, ალიბეგლოს, ყორაღანს, შოთავარს, მარსანს და სხ. მოლების ფანატიკოსობისა და სხვა და სხვა მიზეზების გამო მოქცეულების ნაწილი კვლავ გადადგა. დღეს ქრისტიან[ები] 5000 სულამდე და დანაშთენი კი მაჰმადის რჯულისა[ა]. რა განსხვავებაა მაჰმადიან და ქრისტიან ინგილოთა შორის განათლებისა და თვით-ცნობიერების მხრივ?

60 წლის წინად საინგილოში არ იყო არც ერთი მოანბანე. მას შემდეგ ქრისტიან ინგილოებმა ბეჯითად იწყეს სწავლა. ათიოდე ახალგაზრდა სწავლობდა დედოფლის წყაროს სკოლაში და თბილისის სემინარიაში. მათგან სწავლა დაამთავრა მხოლოდ დიმიტრი ჯანაშვილმა (1865 წელს); ინგილოთათვის იგი შეიქმნა წარმატების პირველ მახარობელად; მას მოჰყვა შემდეგი თაობა მასწავლებელ ინგილოებისა და ამათ კი დღევანდელი ახალთაობა, რომელიც თვის შორის მარტო უმაღლეს სწავლა მიღებულთ 20-მდე პირს ითვლის, ხოლო სტუდენტებისა და საშუალო სასწავლებლების დასრულებითურთ 60-ზედაც მეტს. ბევრი ხანი არ არის, რაც საინგილოდან ილია ჭყონია მწერდა: მე მიხარიან და შენ კი, ეჭვი არ არის, ამაყობ, რომ შენმა სამშობლომ განათლების მხრივ გაუსწროს. ხონს გარდა, საქართველოს დანარჩენ კუთხეებსაო. რამდენიც აქ, თქვენში, კახმა გამოზარდა ინჟინერი, ექიმი, აგრონომი და, საზოგადოდ, უმაღლეს სწავლა-მიღებული, იმდენი იქ, ჩვენში, დაბა ხონმაო. ეს გაზვიადებად არ უნდა ჩაითვალოს მგონია. მასწავლებელთა პირველმავე თაობამ, მღვდლებმა და სხ. ისწრაფეს თავიანთ შვილების გამოზრდისათვის. დღეს მოანბანე ქრისტიან ინგილოთა, საშუალო და უმაღლეს სწავლა-მიღებულთა რიცხვი სჭარბობს 200-სს, და ეს სულ რაღაც 50-40 წლის განმავლობაში, ისიც [5000]-მდე სულიდამ, უგზო-უკვლო და შორეულ მიგდებულ კუთხიდამ! 1896 წელს საინგილოში უფრო მეტი ქართული ჟურნალ-გაზეთობა მოდიოდა, ვიდრე გორში ქართლისთვის და თელავში კახეთისთვის.

ეს რომ ასეა ერთ მუჭა ქრისტიან ინგილოთა შორის, იმავე დროს მაჰმადიან-ინგილოები ისევ უმეცრების მორევში იხრჩობიან: იქ არსადაა არა თუ უმაღლეს სწავლა-მიღებული, არამედ უბრალო მოანბანეც. ქრისტიან ინგილოებში რომ სამშობლო ქვეყნის, ღვიძლ ეროვნების და წინსვლა-წარმატების სიყვარული უაღრესად განვითარებულია, მაჰმადიან ინგილოებში მარტო იმას დაეძებენ, რომ როგორმე გადაგვარდნენ და ქართველები ქართველებს აღარ დაემსგავსნენ. თვითონ სიბნელისა და უმეცრების წყვდიადი ვერ მოუწმენდიათ თვალთაგან, რომ დაინახონ, რაოდენად უკან ჩამორჩნენ თავიანთ ქრისტიან მოძმეებს, და ზოგნი სცდილობენ ქრისტიანთა გამაჰმადიანებას. აქ დღემდის ვერ გაურჩევიათ, რა არის ერი და სჯული: ყველა აქაურ მაჰმადიანს

თავისი თავი მოაქვს ერთ მაჰმადიან ნაციად. გამოდის, რომ ნაცია ყოფილა არა ჩამომავლობა, გვარ-ტომობა, არამედ იგეთი სარწმუნებრივი ჯგუფები, ვით ქრისტიანობა, ლიუტერანობა, გრიგორიანობა, მოსიანობა და სხ. აქაურ ჩვენ მოძმე მაჰმადიან ინგილოებს ავიწყდებათ, რომ სარწმუნოება ცვალებადია, ხოლო გვარ-ტომობა სისხლ-ხორცზე ჩამოყალიბებული სიმკვიდრე, ბუშმენს გააქრისტიანებ, მაგრამ ვერ გააქართველებ. მისი ტუჩები, მისი ჯაგარი, იერი, ფერი, ყველა გიკარნახებთ მის არა ქართველობას. ამას გარდა წმიდა ყურანში არსად სწერია ვისიმე ძალად გამაჰმადიანება. რად უნდა დიდ წინასწარმეტყველ მაჰმადს ისეთი შვილი, რომელიც მის ტახტის წინ წარსდგება არა დამშვიდებულის სვინიდისით, არა მხიარულად, არა სიყვარულით. სიტკბოება და სიყვარული ჰქმნის ჭეშმარიტ რწმენას. თქვენ გწამთ და იყავით მტკიცედ თქვენს სარწმუნოებაზე მაგრამ ვერ გაგვიგია, რად უქცევთ ზურგს ღვიძლს გვარტომს. თქვენს საკუთარ ქართველობას, აგერ აჭარა-კლარჯეთშიაც ქართველები მაჰმადიანობენ, მაგრამ მაჰმადიანობა იმათ არ უშლის, რომ იყვნენ კარგი ქართველები. მაჰმადი სწამს ყველას, ლეკს, თათარს, ოსმალოს, სპარს, ჩეჩენს, ჩერქეზს, ყირღიზს, ინდოელს, ბუხარელს, ავღანელს, ალბანელს და სხ., მაგრამ არც ერთი ამათგანი არ ივიწყებს თავის გვარ-ტომობას, თავის ენას, მამა-პაპათა გადმოცემებს. რაღა განსხვავებას შეადგენთ თქვენ, ჩვენი ღვიძლი მაჰმადიანი ინგილოები. ყველა გაგებულ კაცს და მით უმეტეს ქართველებს ეწვის გული, რომ ეგრე ჩამორჩენილი ხართ, უწიგნოთ, უცოდინრად იმყოფებით. მიჰბაძეთ თქვენს მოძმე ქრისტიან ინგილოებს, განათლდით სწავლით, გაიხარეთ ცოდნით, თვით-ცნობიერებით, თუ არა-და დარჩებით ღატაკად და გაითქვიფებით უმრავლესობის მორევში. ჩვენ თქვენი ქრისტიანობა კი არ გვინდა, არამედ თქვენი განათლება, თქვენი ცნობიერება. მაშ შეგვიყვარეთ, როგორც გვიყვარხართ.

## ამიერ კავკასიის გადამიჯვნის გამო

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 1917 წ., 21 თიბათვე (ივნისი), № 133, გვ. 1.*

ამ დღეებში გაზეთებში დაიბეჭდა ორი ცნობა, ერთი შესახებ ბ-ნის ჯამალიანცის წინადადებისა კავკასიის ადმინისტრატიულ ერთეულებათ ახალ დაყოფვისათვის, და მეორე კი – გრ. რცხილაძის წინადადებისამებრ მხოლოთ ზოგიერთი საზღვრების შესწორებისა ამიერ კავკასიის აღმოსავლეთს ნაწილში. ორთავეს წინადადება გამოწვეულია ერობის შემოღების პროექტით.

მეორე წინადადების გამო გაზეთები გვაუწყებენ, რომ დაა[ა]რსეს კომისია, რომელშიაც დანიშნეს მაჰმადიანთა მხრივ სულთანოვი[1] და ვექილოვი[2], ხოლო სომხების მხრივ კი კომისიისათვის ორ წევრს აირჩევს სომეხთა „საერთაშორისო პარტია“.

ჩვენზე, ქართველებზე კი, კრინტიც არ არის დაძრული, თითქოს მთვარეზე ვცხოვრობდეთ და არა დედამიწაზე და ისიც ბედუკუღმართს საქართველოში, რომლის ფარგლებში შედის ნაწილი აღმოსავლეთ ამიერ კავკასიისა.

ამიტომაც ყველაფერი, რაც ეხება ამ უკანასკნელს ეხება ქართველებს და საქართველოსაც. ეს კარგათ უნდა იცოდეს კავკასიის ყველა ერებმა, ამ ერის მესვეურებმა და იმათ, ვისთვისაც დროთა გარემოებას მიუნდვია კავკასიის უმაღლეს გამგეობის საჭესთან დგომა.

გუბერნიების გადამიჯვნა, ან საზღვრების შესწორება არ არის შინაური საქმე რომელიმე ერისა, ის არსებითათ ეხება ყველა იმ ერებს, რომელთა შორის უნდა გავლებულ იქმნას ახალი საზღვრები და რომელთაც უნდა ჩამოეჭრას ან მიეზომოს რომელიმე ნაჭერი ამა თუ იმ ტერიტორიისა.

გაკვირვებულნი ვართ ამიერ კავკასიის დრ. კომიტეტით ასეთს დიდ პრინციპიალურს საკითხში, როგორიც არის გუბერნიების გადამიჯვნა, რატომ მოქმედებს ასე შინაურულათ, დაინტერესებულ ერთაგან არჩეულ წარმომადგენლების მიერ საქმის წინასწარ განუხილველათ.

მით უფრო გასაკვირველია ეს მისი მოქმედება, რომ გუბერნიების გადამიჯვნა ამიერ-კავ[კ]ასიაში არ არის დღეს აღძრული საკითხი. იგი აღძრეს მხოლოდ და მხოლოდ ერთი ერის წარმომადგენლებმა შარშან, ძველი რეჟიმის დროს, როცა იხილავდენ ჩვენში ერობის შემოღების საქმეს, მაგრამ უარყოფილ იქმნა დიდი უმრავლესობისაგან (89 წინააღმდეგ 21-სა).

ეხლაც უარყოფილ იქმნება ეს ამიერ-კავკასიის ერთა შორისი საკითხი, თუ მისს გადაწყვეტის დროს დაეკითხებიან დაინტერესებულ ერთაგან ამორჩეულ კაცებს, და არა ამიერ-კავკასიის

---

1 სულთანოვი ხოსრო ბეკ (1879-1947) – პანთურქიზმის მიმდევარი, ამიერკავკასიის სეიმის წევრი.

2 ვექილოვი – ინჟინერი, აზერბაიჯანის მთავრობის წარმომადგენელი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

დროებით კომიტეტის წევრთა პირადი შეხედულებით მოწვეულ ადამიანებს.

ერის საქმე რომ ერს არ ეკითხებოდეს და ისიც რევოლუციის დროს, ეს მარტო ჩვენში ყოფილა შესაძლებელი...

ჩვენ გვჯერა, რომ ამიერ-კავკასიის დროებითი კომიტეტის წევრებს სურთ მიუდგომლად გადასწყვიტონ ყველა აქაურ[ი] [სა]ერთაშორისო საქმეები. ჩვენ გვინდა დავიჯეროთ, რომ ჩვენი განუყრელი მეზობლები სომხები და მუსულმანებიც მოწადინებულნი არიან, რომ ყოველი საერთო ჩვენი საქმეები გადასწყდეს ჩვენს შორის სამართლიანად, ერთმანეთის ეროვნულ ინტერესებისადმი პატივისცემის ნიადაგზე.

ამიტომაც მოვითხოვთ ამიერ კავკასიის დრ. კომიტეტისაგან, თუ გუბერნიების გადამიჯვნა აუცილებლად საჭიროა დღესვე, და არ შეიძლება გადაიდვას იმ დრომდე, სანამ თვით აქაური ერნი შეთანხმდებოდნენ საავტონომიო საზღვრებზე, იმ შემთხვევაში საკითხის გადას[ა]ჭრელად დაუყონებლივ მოიწვიოს ქართველი ერის წარმომადგენლებიც, რომელთაც აირჩევს საგუბერნიო კომისარიატების წინა ადგილობრივი სათანადო დაწესებულებები.

## სომხური პრესა
### „ჰაისტანი“ და საქართველოს ისტორიული საზღვრები.

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 1917 წ., 8 მკათათვე (ივლისი), № 147, გვ. 1-2.*

სომხურ გაზეთ „ჰაიასტანში“, ოსმალოს სომეხთა ორგანოში, წერილია მოთავსებული შესახებ გრიგოლ ვეშაპელის სტატიისა, რომელიც გაზეთ „რესპუბლიკის“ პირველ ნომერში იყო დაბეჭდილი.

„ჰაისტანი“ სწერს:

ჩვენ, რომელნიც ოსმალოს სომხების საკითხის გადაჭრას ვუცდით, არასოდეს არ გვიფიქრია, რომ ეროვნული პოლიტიკური იდეალები ჩვენი მეზობლების წინააღმდეგი იქნებოდენ ასეთივე ჩვენი ერის იდეალების...

იმ უთანხმოებას, რომელნიც იყვნენ ჩვენ შორის მიწის, საგლეხო, საერთო სახელმწიფოებრივ საკითხის შესახებ თუ ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ, არასოდეს არ შეეძლოთ ყოფილიყვნენ იმის მიზეზები, რომ ქართველთა ეროვნულ-პოლიტიკური იდეალები ემუქრებიან ოსმალოს სომხების ეროვნულ-პოლიტიკურ იდეალებს.

სომეხთა საკითხი უმთავრესად კი ოსმალოს სომეხთა საკითხი არსებითად საერთაშორისოა და არამც და არამც არ შეიძლება მარტო რუსეთის საკითხი იყოს და ამიტომაც მას არ შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს ქართულ საკითხს და დაემუქროს მას.

რაც შეეხება ისტორიულ საზღვრების განმარტებას, ეს საკითხი ჩვენის აზრით სამშვიდობო კონგრესზე გადაიჭრება, ისტორიული ფაქტების მიხედვითო. ისტორიას სიმართლის მეტი არაფერი არ უყვარს. ისტორია არაფერს არ დაამახინჯებს. ჩვენ, რომელნიც ვოცნებობთ ოსმალეთის სომხების განთავისუფლებას, ვეთანხმებით ბ-ნ ვეშაპელს იმაში, რომ ეროვნული იდეალებ[ი] ორი პაწია ერის ერთი მეორეს ვერ დაშორდებიან და არც შეუძლიათ ერთი მეორეს ეწინააღმდეგებოდენ.

გაუმარჯოს თავისუფალ განთავისუფლებულ ერებს“.

### პავლე ინგოროყვა
## საქართველოს ტერიტორია[1]

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 1917 წ., 12 (24) მკათათვე (ივლისი). № 150, გვ. 2-3; 3 (26) მკათათვე. 1917 წ., № 151.. გვ. 3-4.*

საქართველოს პოლიტიკური საზღვრები ხშირად იცვლებოდა წარსულში, მაგრამ საქართველო ყოველთვის ერთსა და იმავე ტერიტორიას ერქვა. ეს არის ის რვა პროვინცია, რომელზედაც ქართველი ერი მოსახლეობს მრავალ საუკუნეთა ისტორიის მანძილზე: ქართლი, კახეთი, სამცხე-

1 მოხსენება წაკითხული საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის დამფუძნებელ ყრილობაზედ.

საათაბაგო (ანუ მესხეთი – ჭანეთით), იმერეთი, გურია, სამეგრელო, სვანეთი და აფხაზეთი. ამ ტერიტორიის საზღვრები შემდეგია:

ჩრდილოეთით – კავკასიონი გაგრის თავიდან გიშის თავამდე საზღვარი მისდევს ჯერ ბზიფის სანაპირო გაგრის მთაგრეხილს, რომელიც ბუნებრივ ზღუდედ ამართულა აფხაზეთსა და ყოფილ ჯიქეთს შუა, აქედან მიჰყვება კავკასიონის მთავარ ქედს ვიდრე ხევამდე. ხევიდან საზღვარი გადადის კავკასიონის პირიქითელ შტოზე, შემოჰხაზავს ხევს, ხევსურეთს, თუშეთს და თუშეთიდან ხელახლა მიჰყვება მთავარს წყალთა გამყოფს ქედსა ვიდრე გიშის-თავამდე საინგილოს ბოლოში.

აღმოსავლეთი საზღვარია გიშისწყალი და ხაზი მტკვარ-ალაზნის შესართავამდე.

სამხრეთით – ჯერ მტკვარი ალაზნის შესართავიდან ქციის შესართავამდე, შემდეგ სისტემა მთებისა: ხუნანის ქედი, მტკვარ-არაქსის წყალთა გამყოფი ქედი, აბოცისა და ჩილდირის პლატოს სამხრეთი კვერნაქი, ირაჯლუს (მესხეთი) ქედი, აქედან – უკვე ოსმალეთის საქართველოში – საქართველოს ყელის შტო, რომელიც გასჭრის ჭოროხის ხეობას საქართველოს ყელთან (გურჯი ბოღაზთან), ლაზისტანის ქედი და აქედან ჩამოსული შტო, რომელიც მიადგება შავ-ზღვას რკინის – პალოსთან. რიზეს სამხრეთით.

დასავლეთი საზღვარია – შავი ზღვა რკინის პალოდან გაგრის კარებამდე.

ამ ტერიტორიას დღევანდელის ადმინისტრატიულის დანაწილებით შეიცავს – ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიები, ბათომის მხარე, სოხუმისა, ზაქათალის, არტაანის და ოლთისის ოლქები და ჩამონაჭრები მიწერილი არაქართულ ადმინისტრატიულ ერთეულებზე: ჩრდილოეთი კუთხე აფხაზეთისა – მიწერილი სოჭის ოლქზე (გაგრის უბანი), მტკვრის განაპირა ნაწილი კახეთისა – მიწერილი განჯაზე (ჯერან-ჩუღურის და ქვემო-ყარაიაზის ველები), და ქართლის სამხრეთი სანაპიროები მიწერილნი ერევანსა და ყარსზე (ბამბაკი და აბოცი); ამათ გარდა ქისტეთის რამდენიმე სოფელი მიწერილია ჩვენს ხევსურეთზე (სახანოს და ტოგოს საზოგადოებანი), ხოლო ხევის განაპირა ნაწილი დარიელადან ჩიმამდე მიწერილია თერგის მხარეზე (სოფ. ლარსი და მისი რაიონი), და აგრეთვე საინგილოს განაპირა კუთხე გიშის წყალამდე მიწერილია – ნუხის მაზრაზე (საზოგადოებანი: ღანუხი, ჯუნუთი, ბილაჯიქი, ოხუთი, კახმუხი); – ეს რუსეთის საქართველო. ოსმალეთის საქართველოს ტერიტორიას შეიცავს ცოტა მეტ-ნაკლებობით კისკიმის, თორთუმისა და ისპირის ყოფილი კაზები და ლაზისტანის ყოფილი სანჯახი.

ასეთია საქართველოს საზღვრები. მთელს ამ ტერიტორიაზე, სულ ბოლო დრომდე, მეცხრამეტე საუკუნის კარებამდე ერთიანი ქართული მოსახლეობა იყო. წარსულ საუკუნეში კი (და ნაწილად წინადაც) ზოგ ოლქებში უცხო ელემენტები გაძლიერდა. უნდა შევნიშნოთ რომ ყველა ასეთი ოლქები მდებარეობს საქართველოს განაპირებზე. რაც შეეხება საქართველოს მთავარ მიწა-წყალს, ცენტროს, აქ ეროვნული ერთფეროვნება დღემდე წმინდად არის დაცული. აქ არ არის არცერთი ოლქი, სადაც ქართველობა აბსოლუტურ უმრავლესობას არ წარმოადგენდეს.

ეს განაპირა კუთხეები სადაც დღეს უცხო ელემენტები სჭარბობენ ქართველობას – შემდეგნია: სამცხე-საათაბაგოს სამხრეთ-აღმოსავლეთი სექტორი, და განსაკუთრებით ერთი მისი ოლქი ჯავახეთი, სადაც უმრავლესობას სომხობა შეადგენს. სამხრეთი ქართლის ოლქები – ბორჩალო და ლორი – სადაც უმრავლესობა სომხები და თათრები (თურქები) არიან. კახეთის აღმოსავლეთი ილქი – საინგილო, სადაც უმრავლესობას შეადგენენ ლეკის ტომები – ჭარელები და წახურელები.

დღეს, როდესაც კავკასიის ერების ტერიტორიული გამიჯვნის საკითხი დაისვა, ეს განა-პირა ოლქები სადაოდ იქნენ გამოცხადებულნი. გვეუბნებიან: ეს მხარეები უნდა ჩამოეჭრას საქართველოსო და საბუთად მოჰყავთ დღევანდელი მოსახლეობა ამ ოლქებისა.

რეალური მოსახლეობის პრინციპი თავისთავად ყოვლად სამართლიანია, რასაკვირველია, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ კი ეს სამართლიანობა დარღვეული არ ყოფილა მოსახლეობის ეხლანდელი სახის შექმნის დროს. საქართველოს შესახებ კი ეს არ ითქმის. თუ ქართველი ერის მიწა-წყლის ზოგი ძირეული, ქართული ოლქი დღეს რეალურად ქართული აღარ არის, ეს ბუნებრივი ისტორიული პროცესის ნაყოფი კი არ არის, არამედ შედეგია ძალმომრეობა-უსამართლობისა და გამოწვეულია მითი, რომ აქ ხელოვნურად გაძლიერებულ იქმნა უცხო ელემენტები. ამ მხრივ წარსული საუკუნე, საუკუნე რუსთა მფლობელობის დამკვიდრებისა ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებით საზიანო იყო საქართველოს მთლიანობისათვის. რუსების პოლიტიკა ჩვენში აშკარად იყო მიმართული იქითკენ, რომ საქართველოს ტერიტორია ყველაზე ერთფეროვანი ეროვნულად ეთნოგრაფიულად აეჭრელებინათ და ამით გამოეწვიათ ჩვენი დასუსტება. სწორედ რუსეთის ამ პოლიტიკის წყალობით მოხდა მასსიური ემიგრაცია მაჰმადიანი ქართველებისა სამცხე-საათაბაგოს ოლქებიდან და მათ ნაოხარზე გადმოსახლებული იქმნენ უცხოელები. ამავე გზით, კოლონიზაციის საშუალებით

დაიპყრეს უცხოელებმა სხვა ძირეული ქართული ოლქებიც. საქართველოს განაპირა პროვინციების გადარჯულება ერთნაირი ძალმომრეობა იყო და დღევანდელის რეალური მოსახლეობის მიხედვით გადაჭრა ამ ოლქთა საკითხისა – ახალი უსამართლობა იქნებოდა, ძალმომრეობის დაკანონება. ქართველობა რასაკვირველია ვერ შეურიგდება ამ ძალადობას და ეს მეტის უფლებით ვიდრე მაგ. ირლანდიელები ულსტერის დაკარგვას, ან ჩეხები ბოჰემიის ჩამოშორებას; ქართველობა ვერ იტყვის უარს თავის სამშობლოს მიწა-წყალზე, რომელიც მორწყულია მისი ოფლითა და სისხლით, რომელთანაც შეკავშირებულია წარსულითა და ისტორიულის ტრადიციებით, რომელთანაც გადაბმულია იგი თანამედროვე რეალურის ინტერესებითაც. ჩამოჭრა საქართველოსაგან ამ საუკეთესო, უმდიდრესი პროვინციებისა იმიტომ მხოლოდ, რომ აქ ჩვენი უუფლებობის ხანაში ხელოვნურად შეჰქმნეს სხვა ერების უმრავლესობა, ეს იქნებოდა პირწავარდნილი გაძარცვა ქართველი ერისა და მისი უფლებების აბუჩად აგდება.

ამნაირად, წამოყენება რეალური მოსახლეობის პრინციპისა საქართველოს განაპირა ოლქთა შესახებ ყოვლად შეუფერებელია და უსამართლო... მაგრამ უნდა ითქვას ისიც, რომ თუ უფრო ფართედ დავაყენებთ საკითხს და ავიღებთ არა ცალკე კუთხეებისა, არამედ მრთელი საქართველოს მოსახლეობას, და შეუდარებთ მრთელი სომხეთ-ადერბეჯანის მოსახლეობასთან, მაშინ რეალური მოსახლეობა არსებითად ჩვენს სასარგებლოდ ლაპარაკობს. მომხსენებელმა წარმოადგინა საქართველოს და მისი მეზობელი ქვეყნების მოსახლეობის სურათი, დამყარებული პირველწყაროების დეტალურ შესწავლაზე და დაარღვია ის ყალბი სტატისტიკური ანგარიშები, ჩვენს ლიტერატურაში რომ არის გავრცელებული. მომხსენებელმა დაამტკიცა ციფრებით, რომ ეს შეხედულება, რომ საქართველო ძალზე აჭრელებული იყვეს ეთნოგრაფიულად არ შეეფერება სინამდვილეს, პირიქით იშვიათია მეორე დამოკიდებული ერი, რომელსაც ასეთი ეროვნულად ერთფეროვანი ტერიტორია ჰქონდეს. ამ მხრივ შედარება არ შეიძლება საქართველოს ეთნოგრაფიული მთლიანობისა ადერბეჯანის და მით უფრო სომხეთის მოსახლეობასთან, სადაც უცხოელები მრთელი მოსახლეობის 45 პროცენტს შეადგენს.

მიუხედავად ამისა ადერბეიჯანსა და სომხეთს საზღვრების გადამიჯვნით ბევრი არაფერი დააკლდებათ. მიზეზი ის არის, რომ საქართველოში უცხოელები მოსახლეობენ პერიფერიებში, ადერბეიჯანში და სომხეთში კი ცენტრში. თუ მივიღებთ ეხლა გადამიჯვნის იმ პროექტსა, რომელსაც იძლევიან ჩვენი რეალური მოსახლეობის პრინციპის მომხრენი, გამოვა რომ – სომხეთი, მაგალითად, ეთნოგრაფიულად ძალზე აჭრელებული, ტერიტორიულად არაფერს დაჰკარგავს, ხოლო საქართველო კი, გაცილებით უფრო მთლიანი ეთნოგრაფიულად დაჰკარგავს ძირეულ ქართულ ოლქებს და ეს იმიტომ მხოლოდ, რომ ეთნოგრაფიულად აჭრელებული ოლქები სომხეთისა – ცენტ[რშ]ი მდებარეობენ და არა განაპირებზე, როგორც საქართველოში. ეს გარემოება ნათლად გვიჩვენებს, თუ რა სიდუხჭირეს წარმოადგენს რეალური მოსახლეობის პრინციპის იმნაირი გაგება, როგორსაც ამას ჩვენში ვხედავთ. როცა თვითეული მხარის რეალურ მოსახლეობაზე ვმსჯელობთ, მხედველობაში უნდა გვქონდეს ცალკე კუთხეები კი არა, არამედ მთელი მხარე, უნდა გამოვდიოდეთ ქვეყნის მრთელი ეთნოგრაფიული შემადგენლობიდან. თუ ამ ერთადერთი სწორის თვალთახედვით მიუდგებით საკითხსა, და მრთელ საქართველოს მოსახლეობას შეუდარებთ მრთელი სომხეთის ან ადერბეიჯანის მოსახლეობას, ეს შედარება, როგორც აღნიშნული იყო, ქართველების სასარგებლოდ ილაპარაკებს. ამასთანავე დარწმუნებული უნდა ვიყოთ იმაშიაც, რომ თუ კი ადერბეიჯანში არ დაიჩაგრება 30-35 % უცხოელებისა, და სომხეთში 45 %, მით უმეტეს საქართველოში მოსახლე 25 % უცხოელების ეროვნული უფლებები არანაკლების სავსებით იქნებიან დაცულნი.

არის კიდევ სხვა პირობები, რაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის სასარგებლოდ ლაპარაკობს და მათ შორის ყველაზე წინ ეკონომიური ვითარება საქართველოსი. საქართველო წარმოადგენს ერთს ორგანულს ეკონომიურ მთლიანს. საქართველო არის არა ოცი ან ოცდაორი მაზრა, ორით მეტი ან ნაკლები, არამედ ერთი მთლიანი ბუნებრივი ფიზიკურ-გეოგრაფიული სამეურნეო-ეკონომიური ერთეული. საქართველო მიაგავს ციხეს, რომელსაც ყველა მხრით კედლები აკრავს. ჩრდილოეთიდან მას არტყია კავკასიონის ქედი, სამხრეთით სომხეთის პლატოდან გამოჰყოფს მთების მრთელი ბარიერი, დასავლეთით მას ზღუდავს ზღვა და მხოლოდ აღმოსავლეთ-სამხრეთის მხრიდან ეკვრის იგი ადერბეიჯანის ველსა, მაგრამ აქედანაც მას მტკვარზე მიბჯენილი ჰერეთის უდაბური ველი გამოჰყოფს. საქართველოს ამ გეოგრაფიულ მთლიანობას სავსებით შეესაბამება ეკონომიური მისი მთლიანობა. ამ ზღუდეებში მოთავსებული მხარე-კუნძული წარმოადგენს ერთ ქვეყანას, ერთნაირის ბუნებით, ერთნაირის ეკონომიური

პირობებით. თვითეული მისი მხარეები ისეთი მჭიდრო და განუკვეთელის ეკონომიური კავშირით არიან გადაჯაჭვულნი ერთი-მეორესთან, რომ არც ერთ მათგანს არ შეუძლია დამოუკიდებელი ეკონომიური ცხოვრება მთლიან საქართველოს გარეშე. მომხსენებელმა გადაუშალა საზოგადოებას ტენდენცია საქართველოს უფრო მჭიდრო გაერთიანებისა ეკონომიურ ნიადაგზე თავის ბუნებრივ საზღვრებში.

საქართველოს სანაპიროების საკითხი ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე საჭირბოროტო საკითხია თანამედროვე მომენტში. ქართველებისა და ჩვენი მეზობელი ერების პოლიტიკური თვითმმართველობის საკითხი დღემდე თეორეტიული მსჯელობის საგანი იყო მხოლოდ, დღესაც კი იგი მორიგ პრაქტიკულ კითხვად გადაიქცა და არც ისე შორს დროში უნდა მოხდეს მისი ასე თუ ისე გადაჭრა. დღეს ჩვენ კავკასიის ერების ტერიტორიული გამიჯვნის წინ ვდგევართ და ჩვენი სანაპიროების საკითხი უეჭველია მთელის სიმწვავით დაისმება. საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას დღეს ხიფათი მოელის. ეს მით უფრო, რომ ქართული დასები ამ მხრივ ახირებულ ორიგინალობას იჩენენ. თუ ირლანდიელებსა, მაგალითად, ვერც კი წარმოუდგენიათ თავისი სამ-შობლოს პოლიტიკური თვითმართველობა ისე, რომ მასში ულსტერი არ შედიოდეს ჩვენში ხელ-აღებით სთმობენ საქართველოს მეოთხედს.

საქართველოს პოლიტიკური თვითმმართველობის საკითხში სიმძიმის ცენტრი დღეს ჩვენთვის ტერიტორიის საკითხი უნდა იყოს და არა საკითხი კომპეტენციისა, როგორც ეს ბევრსა ჰგონია. კომპეტენციის გაფართოება ყოველთვის შეიძლება მომავალში, ხოლო დაკარგული ტერიტორიის დაბრუნება ფუჭი ოცნება იქნება. დარწმუნებული უნდა ვიყვეთ, რომ თუ საქართველოს სანაპიროებზე გამოცხადდა სხვა ერის სუვერენობა, აქ საგანგებოდ გაძლიერებული იქნება მათი კოლონიზაცია, ასე რომ ეს ოლქები საბოლოოდ დაკარგულებად უნდა ჩაითვალოს. ეს კი დიდი და აუნაზღაურებელი დანაკლისი იქნებოდა ჩვენი სამშობლოსათვის. უნდა გვახსოვდეს, რომ აღნიშნულ ოლქებთან ჩვენ გვაერთებს არა მხოლოდ წარსული და ისტორიული ტრადიციები, არამედ თანამედროვე რეალური საჭიროებანი. დიდი საარსო ინტერესები გვაკავშირებს ჩვენ საქართველოს სანაპირო პროვინციებთან. ბორჩალო, ლორი და საინგილო ყველაზე მდიდარი ოლქებია ჩვენი ქვეყნისა. ამ კუთხეთა ჩამოშორება დიდად შეამცირებდა ჩვენს მატერიალურს კულტურის ფონდსა. ამავე დროს სწორედ ამ ოლქებში შენახულა ყველაზე მეტი თავისუფალი მიწები. საქართველოში, განსაკუთრებით ლიხის იმიერ, დღეს მიწის დიდი სივიწროეა, თავისუფალი ფონდი მიწებისა თითქმის აღარ არის; ერთადერთი გასაქანი ქართველობას დღეს სანაპიროებისაკენ დარჩენია და ამნაირად ამ მხრითაც სანაპიროების ჩამოშორება მეტად დიდი და აუნაზღაურებელი დანაკლისი იქნებოდა ჩვენი ერისათვის.

თუ ბორჩალოსა და საინგილოს ჩამოჭრით ჩვენ დავკარგავთ ტერიტორიას, ჯავახეთისა და საზოგადოდ მესხეთის სადაო სექტორის ჩამოშორებით, ჩვენ დავკარგავთ ტერიტორიასთან ერთად ერს, დავკარგავთ ჩვენი რასსის ყველაზე ნიჭიერ შტოს – მესხებს. ბედის უკუღმართობით მესხეთი დღეს დენაციონალიზაციის გზას ადგა. მრავალსაუკუნოვანი ეროვნული დევნის წყალობით მესხეთში ქართული ენა და მასთან ქართული შეგნება თანდათან სუსტდება და დავიწყებას ეძლევა. რაც უფრო დრო გადის მესხეთის ასეთი გადარჯულების პროცესი მეტის სიჩქარით სწარმოებს. მეცხრამეტე საუკუნის კარებამდე და მეცხრამეტე საუკუნეშიაც თითქმის მთელი მესხეთი ქართულს ლაპარაკობდა, დღეს კი მესხების დიდ ნაწილს დედაენა დავიწყებული აქვს. განსაკუთრებით უნუგეშო მდგომარეობაშია ამ მხრივ მესხეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი, რომელიც სადაოდ არის გამოცხადებული. უახლოესი და უდიდესი საგანი ჩვენი ეროვნული პოლიტიკისა – ეს არის უცილობლად – რენაციონალიზაცია მესხებისა. უამისოდ ვერც კი წარმოგვიდგენია ქართველობის მომავალი. მაგრამ თუ მესხეთის ოლქები სხვის ხელში გადავა მაშინ რასაკვირველია როგორც მესხეთი, ისე მესხებიც ჩვენთვის საბოლოოდ დაკარგულებად უნდა ჩაითვალნენ. არავითარი ეჭვი არ არის, რომ ამ მხარის ახალ ბატო-პატრონთა ყოველივე ცდა იქითკენ იქნება მიმართული, რომ არ მოხდეს დაახლოვება ძმებთან და ყოველნაირად ხელს შეუწყობენ მესხების საბოლოო გადარჯულებას, რაც უიმისოდაც სწრაფად ხდება.

მესხეთის ოლქებთან სხვა მხრივაც არის გადაჯაჭვული ჩვენი რეალური საჭიროებანი. საქართველოს ისტორიული უბედურება, როგორც ერთი ნიჭიერი მწერალი სამართლიანად მიუთითებდა, ის გარემოება იყო, რომ ჩვენს ქვეყანას გარშემო ნახევრად ველური მეზობლები ერტყა... დღეს მცირე აზიის გზით ევროპელობა გვიახლოვდება. როგორათაც არ უნდა დამთავრდეს მიმდინარე ომები – ერთი რამ ცხადია, ახლო მომავალში მცირე აზია გახდება ასპარეზი ევრო-პიელების დიდი კულტურული მუშაობისა. ამ მხრივ სამცხე-საათაბაგოს პროვინციები – მესხეთი,

ჭანეთი შემაერთებელი გზა და ხიდი არის საქართველოსი მცირე აზიასთან.

აი ეს და სხვა ასეთი საარსო საჭიროებანი გვაერთებენ ჩვენ საქართველოს სანაპირო ოლქებთან. ქართველობა, თუ კი მას დარჩენია თავისი რეალური ინტერესების შეგნება, არსებით არ უნდა დასთანხმდეს ამ ოლქების ჩამოშორებას, თუნდაც ამისათვის მას უარის-თქმაც [მოუხდეს] იმ შეკვეცილ პოლიტიკურ ავტონომიაზე, რომელსაც გვპირდებიან ამ ოლქების საფასურად. ქართველობაში საზოგადოდ შეინიშნება ერთნაირი ავადმყოფობა, რომელსაც სიტყვების ფეტიშიზმი უნდა დაერქვას და საშიშია ასეთი სიტყვა-ფეტიშად არ აქციონ ავტონომია. ავტონომია, როგორც ყოველი პოლიტიკური წყობილების ფორმა დადები ღირებულებას წარმოადგენს იმდენად, რამდენადაც იგი ხელს შეუწყობს ჩვენი ეროვნული ენერგიის დაგროვებას. მაგრამ თუ კი იგი პირიქით შეიქმნება ჩვენი ერის კულტურული ზრდა-განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორი, მაშინ ასეთი თვითმართველობა უკუგდებული უნდა იქნას... ჩვენ მხარი უნდა დაუჭიროთ საქართველოს პოლიტიკურ თვითმართველობასა და ავტონომიას მხოლოდ იმ საზღვრებში, რომელიც აუცილებლად საჭიროა ჩვენი ქვეყნის მომავლისთვის. უამისოდ კი ბევრად ხელსაყრელი იქნება მოვერიდოთ ტერიტორიულ გამიჯვნას. ამით ჩვენ დავიტოვებთ თავისუფალ კონკურენციის უფლებას. ქართველმა მშრომელმა ხალხმა ბევრით წინ გაუსწრო მეზობლებს კულტურით. მომზადებით და კულტურული ბრძოლის ასპარეზზე მას მეტოქეობას ვერ გაუწევენ. ამ გზით ქართველობას შეუძლიან ისევე დაიბრუნოს მომავალში სანაპირო ოლქები, როგორათაც წარსული უუფლებობის ხანაში დაჰკარგა ისინი. ხელის აღება კი ჯერ-ჯერობით საქართველოს მთელს მეოთხედზე – და ამით საბოლოოდ გადაწყვეტა მისი ბედისა შეკვეცილი თვითმართველობის გულისთვის, რომელსაც ჩვენ საუკეთესო შემთხვევაში მივიღებთ დღეს-დღეობით, დიდი შემცდარი პოლიტიკური ნაბიჯი იქნება, და ემსგავსება იმ ბიბლიური გმირის საქციელს, რომელმაც ოსპის შეჭამანდში გასცვალა მემკვიდრეობის უფლება.

## გ.გ.[1]

# კავკასიის ადმინისტრაციული გადამიჯვნა

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 1917 წ., 26 მარიამობისთვე (აგვისტო), № 188, გვ. 1.*

საშინაო საქმეთა სამინისტროდან ამიერ-კავკასიის კომიტეტმა მიიღო დამზადებული პროექტი კავკასიის გუბერნიათა გადამიჯვნისა. ეს პროექტი პეტროგრადის საგანგებო კომისიის წევრთა უმრავლესობას მოუწონებია, რომელნიც დამფუძნებელ კრების კანონის შემადგენელ თათბირში მონაწილეობდნენ ქართულ, სომხურ-თათრულ პარტიების სახელით.

პროექტის ავტორი დაშნაკცუტიუნის პარტია ყოფილა...

ამ პროექტით, სამინისტროს რომ მოუწონებია, ამიერ-კავკასიაში იქნება სამი ეროვნული ერთეული: ქართულ-სომხური და თათრული. კერძოდ სომხებისათვის ელისავეტოპოლ, ერევან თბილისის გუბერნიებს და ყარსის ოლქს სჭრიან და ახალ გუბერნიას აარსებენ: ალექსანდროპოლისას და განძაკისას. არას ვამბობთ იმაზე ჩვენ[,] თუ როგორ ეხება ასეთი გადამიჯვნა თათარ-თურქთა ეროვნულ, პოლიტიკურ და პოლიტიკურ და ეკონომიურ ინტერესებს, – ეს მათ უკეთ იციან – ჩვენ კი მოვალენი ვართ მივაქციოთ ქართველი ერის ყურადღება იმ გარემოებას, რომ ბუნებრივად, გეოგრაფიულად, ეკონომიურად, კულტურულად და ისტორიულად მთლიანი საქართველოს ტანის დაჭრისა და დასახიჩრების საფრთხე არასოდეს არ ყოფილა ისე ახლო, როგორც დღეს: სარევოლუციო საშინაო სამინისტროს და ევანგუ ლოვების თანამშრომლობით შედგენილი პროექტი რომ განხორციელდეს, საქართველო დაჰკარგავს თითქმის მთელ ახალქალაქის მაზრას და ბორჩალოს მაზრის ნაწილს.

საქართველოს ნაციონალისტური ინტერესების დამცველნი არას გზით არ შეურიგდებიან ასეთ ოპერაციებს და ამის ხელის შეწყობა მხოლოდ ისეთ „მოყვრებს“ შეუძლიათ, რომელთაც კავკასიაში ახალი მაკედონიის შექმნა არ აშინებთ“.

გუშინწინ სასახლეში პოლიტიკურ პარტიათა საგანგებო თათბირი იყო ამ საგანზე... გადასწყდა ეს საკითხი ამიერ-კავკასიის სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტთა საოლქო ყრილობაზე გაირჩეს საბოლოოდ...

ახალქალაქისა და ბორჩალოს მცხოვრებნი, რომელთაც შეუგნიათ საქართველოში ყოფნის

1 „გ.გ.“ – გიორგი გვაზავას ერთ-ერთი ფსევდონიმი [რედ.].

აუცილებლობა, როგორც ეკონომიურად, ისე პოლიტიკურად, მთელ ქართველობასთან ერთად მოვალენი არიან ხმა ამოიღონ და განაცხადონ, რომ ახალქალაქისა და ბორჩალოს ბედი თბილისთან, და არა ალექსანდროპოლთან ან ელისავეტპოლთან არის შეკავშირებული საუკუნოებით.

### გიორგი გვაზავა

## სომხეთი და საქართველო

### (ადმინისტრაციული გადამიჯვნის გამო)

*წყარო: გაზეთი „საქართველო", 1917 წ., 1 ენკენისთვე (სექტემბერი), № 192, გვ. 1-2; 2 ენკენისთვე (სექტემბერი), № 193, გვ. 1-2.*

### I

გასაგებია პოლონეთის სულის კვეთება, გასაგებია, როცა იგი ებრძვის გერმანიას, ემუქრება ავსტრიას და ეჭვის თვალით უყურებს რუსეთს. პოლონეთის ეროვნული ტ[ა]ნი გაგლეჯილია სამ ნაწილად და დანაწილებული ამ სამ სახელმწიფოთა შორის.

მაგრამ ყოვლად გაუგებარია, როცა ზოგიერთი სომხები ებრძვიან საქართველოს, ემუქრებიან საქართველოს ან ეჭვის თვალით უყურებენ მის პოლიტიკურ არსებობის აღდგენას. სომხების ეროვნული ორგანიზმი არა მარტო დაყოფილია სამ ნაწილად, იგი დაფლეთილია ნაკუწ ნაკუწად და გაბნეული ქვეყნის პირად. ეს დიდად სამწუხარო და სავალალო მოვლენაა, ეს დიდი უბედურებაა, რომელმაც არ შეიძლება არ გამოიწვიოს ადამიანის გულში სრულებით წრფელი თანაგრძნობა. მაგრამ, განა საქართველოს მიუძღვის რაიმე ბრალი ამ უბედურების შექმნაში? განა როდისმე ყოფილა რაიმე შეტაკება ქართველთა და სომეხთა შორის? განა როდისმე მომხდარა ისეთი გაუგებრობა, რომ საქართველოს ძმურად და მეგობრულად ხელი არ გაეწვდინოს სომხებისთვის, რამდენადაც ეს შესაძლებელი ან მოსახერხებელი იყო?

ჩვენ კი არ წავსულვართ სომხეთში, ჩვენ კი არ მიგვიღია მონაწილეობა მისი ეროვნული ორგანიზმის დაფლეთაში, ჩვენ კი არ დაგვიჭერია ძალმომრეობით სომხეთის ტერიტორია, – პირიქით, დარბეული და აწიოკებული სომხები წამოვიდნენ ჩვენსკენ, ჩვენ გამოვუღეთ კარი, მივიღეთ, შემოვიხიზნეთ, დავაბინავეთ საქართველოში. მერე იწყება ძმური და უფლებრივად თანასწორი ცხოვრება. ამას ამტკიცებს ჩვენი ვაჭრობა და ამქრობა, ჩვენი გლეხობაც, სადაც სომხები და ქართველები შერეულად ცხოვრობენ, მაგრამ, არასოდეს არ მომხდარა იმათ შორის რაიმე შუღლი და უთანხმოება, აღმოცენებული ეროვნულ სხვადასხვაობის ნიადაგზე.

მიუხედავად ამისა, დიდი ხანია, იჩინა თავი ერთგვარ აზრთა მიმდინარეობამ. აქ მესვეურობს ერთი ნაწილი სომხის ინტელიგენციისა. უნდა ისიც დაუმატოთ, რომ ის ნაწილი სრულებით მოწყვეტილია საქართველოს სომხებისაგან, იგი – შორეულია, შორიდან გადმოხვეწილი, იმას არა გაეგება-რა იმ ძმური განწყობილებისა, რომელიც დიდი ხანია, რაც დამყარდა საქართველოში სომეხთა და ქართველთა შორის; იმას მოაქვს განყენებული პრინციპები და ამ სხვა და სხვა ეროვნული ლოზუნგების გადასროლით სწამლავენ ამ ურთიერთობას. მე სახეში მყავს პარტია „დაშნაკცუტუნი". მან ისევ ააფრიალა ის დროშა, რომელიც პირველად გაშალა ცნობილმა მინისტრმა დელიანოვმა.

### II

მოვიგონოთ ეს გუშინდელი ამბავი.

როგორც ვიცით, 1783 წლის ხელშეკრულობის ძალით რუსეთს ნება არა ჰქონდა შემოეტანა საქართველოში საყოველთაო სახედრო ბეგარა. 1885 წლებში, როცა ამის შემოღებაზე ლაპარაკი იყო პეტროგრადში და სხვათა შორის გამოითქვა შიში იმის შესახებ, თუ როგორ დახვდებოდნენ ქართველები ამისთანა „რეფორმას", მაშინ ცნობილმა დელიანოვმა[1] მიიღო თავისთავზე საჭირო ნიადაგის მომზადება. „რა საქართველო, რის საქართველო? – ამბობდა იგი: – საქართველო არ არსებობს, არის მხოლოდ რუსეთის გუბერნიებიო", და ამ აზრის დასამტკიცებლად აფრინა

1 დელაინოვი ივანე დავითის ძე (1818-1897) – სომხური წარმომავლობის რუსი მოხელე, რუსეთის სახალხო განათლების მინისტრი.

საქართველოში თავისი ხელქვეითი პროფესორი პატკანოვი.[1]

პატკანოვი ჩამოვიდა თბილისში, წაიკითხა ლექცია საქართველოს ისტორიის შესახებ; იგი ამტკიცებდა, რომ საქართველოს ისტორია მხოლოდ თარგმანია სომხური ზღაპრების; რასაკვირველია, მან დაამტკიცა და არხეინად დაბრუნდა პეტროგრადში.

კარგი, ისტორია არ არის, მაგრამ საუბედუროდ არის საერთაშორისო ტრაქტატი 1783 წლისა. რაღა ეშველება ამას? როგორ უნდა ამოიშალოს იგი არა მარტო ისტორიიდან, არამედ თვით ძირითადი კანონებიდან ?! აი ეს იყო ხათაბალა. დელიანოვმა აქაც სიყალბე გამოიჩინა: აფრინა საქართველოში თავისი ხელქვეითი, ვიღაც ეზოვი, სამინისტროს პატარა მოხელე. ეს ვაჟბატონი ამტკიცებდა, რომ ირაკლი მეფე ქვეშევრდომი იყო სპარსეთისა და ამიტომ უფლება არ ჰქონდა დაედვა რაიმე ხელშეკრულებაო. ამ ნაირად ამ ვაჟ-ბატონს ბრიყვად გამოჰყავდა, როგორც ეკატერინე მე-II, აგრედვე ყველა იმ დროის საპოლიტიკო მოღვაწეები. როგორც ვიცით, საქართველოს შემოერთების შესახებ იყო პროტესტი საფრანგეთისა, ინგლისისა და 1855 წელს, პარიჟის კონგრესზე ლაპარაკიც იყო აღძრული საქართველოს [ოკუპ]აციის შესახებ. ერთის სიტყვით, ბ. ეზოვმა დაუმტკიცა რუსეთს და ევროპას, რომ საქართველოს ,,ქაღალდის ნაფლეთი'' მართლა ნაფლეთი, რომ იმას მნიშვნელობა არა აქვს, დაამტკიცა ეს და საუკუნოდ ჩაძვრა ისევ სამინისტროს სარდაფებში.

ძალიან კარგი. ისტორია არ არის, ხელშეკრულობაც არ არის... მაგრამ რაღა ვუყოთ საქართველოს მეორე სახარებას – „ვეფხის-ტყაოსანს"? ეს ხომ გენიოსური ნაწარმოებია, ეს ხომ სარკეა და საბუთი წარსული დიდებისა? აქ კი გამოვიდა პროფესორი მარრი, პატკანოვის მოწაფე და მემკვიდრე მისი კათედრისა. მან განაცხადა, რომ „ვეფხისტყაოსანი" თარგმანია სპარსულიდანო. რასაკვირველია, იმანაც დაამტკიცა ეს... უკაცრავად, სამართლიანობა მოითხოვს აღვიაროთ, რომ ბ. მარრმა ბოლოს უკან წაიღო თავისი განცხადება, ბოლოს, როცა დელანოვი და პატკანოვი განშორდნენ ამ წუთისოფელს, როცა თვითონ მარრი საკმაოდ გამაგრდა თავის კათედრაზე და სიმართლის თქმა არ იყო ისე სახიფათო, როგორც წინედ.

ამნაირად ერთი ნაწილი სომხის ინტელლიგენციისა შეეცადა დაენგრია ეს სამი ბურჯი საქართველოს ეროვნულ მთლიანობისა: ისტორია, ხელშეკრულება და ,,ვეფხის ტყაოსანი''. დარჩა კიდევ ხალხი და ტერიტორია. აქ-კი ეს მიმართულება შეხვდა რუსეთის პოლიტიკას და ორივე ძალა, ხელი-ხელ გადაბმული, შეეცადა ამ ერის და ტერიტორიის დაშლას და დარ[ღ]ვევას. თქვენ იცით შედეგები ამ პოლიტიკისა.

## III

გამოჩნდა პარტია „დაშნაკცუთუნი". ,,სოფელი ვნახე უძაღლო, შიგ გავიარე უჯოხოო". ამ პარტიამაც თვალები დააცეცა, დაინახა უპატრონო საქართველო და განიზრახა შიგ უჯოხოდ სეირნობა. მთელი აღმოსავლეთი საქართველო კინაღამ სომხეთის კოლონიად გამოაცხადეს.

მგონი 1906 წელში შვეიცარიაში მოხდა კონგრესი დაშნაცაკანებისა. იქ დაადგინეს მოიწვიონ დამფუძნებელი კრება მომავალ თავისუფალ სომხეთისა-სადა გონიათ?- ქ. თბილისში! ეგრე გამოდიოდა, თითქო ქალაქი თბილისი ცენტრია მომავალ სომხეთისა. რაღა საკვირველია, თბილისის სომხებმა მაშინადვე იგრძნეს ეს პოლიტიკური სიდუხჭირე პარტიისა და ეს დადგენილება თბილისში არც კი გამოუქვეყნებიათ.

ამ ხუთი-ექვსი წლის წინედ სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოებამ გამოსცა ბაქოში ეთნოგრაფიული რუქა სომხების მოსახლეობისა ამიერ-კავკასიაში. მთელი ამიერ-კავკასიაში შეღებილია წითელი ფერადით; მართალია ამ ფერში არის ცოტაოდენი ნიუანსები, მაგრამ მაინც იგი ერთიანად წითელია. გამოდის თითქო მთელი ამიერ კავკასია სომხებს უჭირავსთ... ამისთანა მაგალითები შეიძლება ბლომად მოგიყვანოთ, მარა რა საჭიროა მაგალითები, როცა თვითონ პოლიტიკური პროგრამა „დაშნაკცუთუნისა" არც კი ჰმალავს თავის განზრახვას და სულისკვეთებას.

ეს პროგრამა იყოფება ორ ნაწილად. პირველი ნაწილის სათაურია: „Для турецкой арменій", მეორესი – „Для Закавказья". დაუპირდაპირეთ ეს ორი სათაური ერთმანეთს და აშკარად დაინახავთ, რომ პარტია ისეთივე თვალ-საზრისით და უფლება მოსილობით შეჰყურებს ამიერ-კავკასიას, როგორც ოსმალეთის სომხეთს. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ამიერ-კავკასია არ ეკუთვნის

1 პატკანოვი ქერომე პეტროსის ძე (1833-1889) – სომეხი აღმოსავლეთმცოდნე, სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი.

საქართველოს, ამიტომ ჩვენ ჩვენს ქერქში ვართ და სხვის მიწა-წყალს არ ვებღაუჭებით. „დაშნაკცუთუნი“ კი თავის ქერქში არ ეტევა და ებღაუჭება მთელ ამიერ-კავკასიას. ლოგიკურად ორიდან ერთი რამ უნდა იყოს: ან უნდა იყო პარტია ინტერნაციონალური – და მაშინ შეგიძლია დაებღაუჭო არა მარტო ამიერ-კავკასიას, არამედ მთელს ქვეყნიერებას; ანდა, თუ ეროვნულ ნიადაგზე დგეხარ, არ უნდა დაივიწყო უფლება და ინტერესები ყოველ სხვა ერისა. ,,დაშნაკცუთუნი'' ამ უბრალო ჭეშმარიტებას სრულებით გაურბის. იგი განსაკუთრებით ეროვნულია და ამავე დროს არც-კი მოიპოება ისეთი კუთხე, რომელსაც რომ იგი არ ებღაუჭებოდეს. იგი ცდილობს თავის ერის აყვავებას, ეს სრულებით კანონიერია, მარა ამ მისწრაფებაში იგი ისე მიალაჯუნებს ფეხებს, რომ ვერც-კი ამჩნევს თუ როგორ სთელავს სხვა ერების უფლებებს და ინტერესებს. იგი შეჰყურებს ცას, შეჰხარის ოცნებით შემთხზარ ვარსკლავს, და თუ აგრე განაგრძო სიარული, ეჭვი არ არის, გადაიჩეხება პირველსავე ხრამში.

## IV

საჭირო შეგნება და პატივისცემა ეროვნულ უფლებისა. საქართველოს აქვს თავისი უფლება, ჩამოსხმული და ჩამოყალ[ი]ბებული 1783 წლის ხელ-შეკრულებაში, მისი ტერიტორია განსაზღვრულია რეალურად და მისი სახელმწიფოებრიობა ემბლემატიურად გამოხატული მის სახელმწიფო ღერბში. ყველა იცნობს რუსეთის ღერბსა; ამ ღერბის მარჯვენა კუთხე უჭირავს ,,ღერბს საქართველოის სამეფოისას''. ეს არის მხოლოდ ემბლემა საქართველოს სახელმწიფოებრივ უფლებასა და ვისაც უნდა ამ იურიდიულ ქარაღმის ახსნა და წაკითხვა, იგი უნდა მოუბრუნდეს ისევ ხელშეკრულებას 1783 წლისას. აი, ამიტომ, ვინაიდან საქართველოს პოლიტიკური უფლება საუკუნოდ განმტკიცებულია ხელშეკრულებით, ძირითადი კანონით და სახელმწიფოებრივის ემბლემით, ეხლა ყოვლად შეუძებელია ვინმემ რომ ანგარიში არ გაუწიოს საქართველოს ეროვნულ უფლებებსა.

ამიტომ საქართველოს ტერიტორიაც დაურღვეველია, იმას ვერ ჩამოეჭრება ვერც ერთი კუთხე. უფლებრივად საქართველო იმავე მდგომარეობაშია, როგორც ეს თუ ის კანტონი შვეიცარიის კონფედერაციისა. განა შეიძლება რომელიმე კანტონს ჩამოეჭრას რაიმე კუთხე და მიეზომოს მეორე კანტონს? ამისთანა მოქმედება უსათუოთ აამღვრევდა საზოგადიებრივ სინიდისს და გამოიწვევდა დიდს ალიაქოთს მთელს შვეიცარიაში და შეიძლება მის გარეც.

ეხლა ვნახოთ, რაღას ჩადის პარტია „დაშნაკცუთუნი“? იმას მოუმზადებია რაღაც პროექტი ამიერ-კავკასიის გადამიჯვნისა, გაუტარებია იგი პეტროგრადის სამინისტროში და ეხლა ეს კანონ-პროექი მიღებულია თბილისში განსახილველად და შესასწორებლად. ამ კანონ-პროექტით „დაშნაკცუთუნი“ ებღაუჭება ბორჩალოს ერთ ნაწილს და მთელს ახალქალაქის მაზრას; ეს კიდევ ცოტაა: იგი იჭრება გორის მაზრაშიაც და იქიდანაც ჰლამობს გამოჰგლიჯოს ერთი-ორი სოფელი.

რა არის ეს? რა სახელი უნდა ვუწოდოთ ამისთანა მოქმედებას? აშკარაა, პარტიისთვის არ არსებობს არავითარი უფლებრივი პრინციპი და მორალური მიდი სახე თითქმის ჰოტენტოტურია: „რაც ჩემია-ჩემია, და რაც შენია – ისიც ჩემიაო“. რა დაუშავა საქართველომ ამ პარტიას? რად უნდა ცდილობდეს იგი საქართველოს ტერიტორიის დაფრეწას და განაწილებას?

ამბობენ, ამ კუთხეში სომხები უმეტესობას წარმოადგენენო. რა ვუყოთ მერე? სომხები უმეტესობას წარმოადგენენ მხოლოდ ამ კუთხეში და არა საქართველოში. საქართველოში სომხების რიცხვი არ აღემატება 12-15 პროც. მთელი მოსახლეობისას, მაშასადამე ვალდებულნი არიან სინდისით და კანონით თანასწორად და თანაბრად გაიზიარონ საქართველოს ბედი. საქართველოში ყველა თავისუფალია, ყველა თანასწორი, ყველა – მოქალაქეა, აღჭურვილი ერთნაირი უფლებებით, მარა არავის აქვს ნება, ვინც გინდა იყოს იგი – ქართველი, სომეხი, თათარი თუ ებრაელი – არავის აქვს ნება უღალატოს საქართველოს, დაარღვიოს მისი სახელმწიფოებრივი უფლებანი, დაჰფრიწოს და დააქუცმაცოს მისი ტერიტორია.

ნუ-თუ ეს არ გაეგება „დაშნაკცუტუნს“? პარტია, რომელიც თვითონ იბრძვის უფლების მოსაპოვებლად, ფრთხილად და პატივისცემით უნდა ეპყრობოდეს სხვის მოპოვებულ უფლებებსა, ეს ანაბანაა კეთილ-განწყობილებისა და მეტად სამწუხაროა, თუ ეს ჯერ კიდევ ვერ შეუგნია პოლიტიკურ პარტიას.

# სომხეთის ტერიტორია „დაშნაკცუტიუნ“-ის პროექტით

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 1917 წ., 25 (7) ღვინობისთვე (ოქტომბერი), № 235, გვ. 3.*

„დაშნაკცუტიუნ“-ის პროექტით სომეხთა უმრავლესობით დასახლებულ ადგილებისაგან უნდა შედგეს ერთი მთლიანი საერობო გუბერნია, რომელშიაც შევა: 1) ერევნის გუბერნია, 2) განჯის გუბერნიის სამხრეთ დასავლეთის ნაწილი, სახელდობრ: ყაზახისა და განჯის მაზრების ნაწილები, ჯევანშირისა და შუშის დასავლეთის ნაწილები, ჯებრალის მაზრის ჩრდილოეთის ნაწილი და ზანგეზურის მაზრა რამდენიმე თათრულ სასოფლო საზოგადოებათა გამოკლებით, რომლებიც ძველი გუბერნიის თათრულ ნაწილს შეუერთდება, 3) თბილისის გუბერნიის ახალ ქალაქის მაზრა, რომელსაც შეუერთდება წალკის ის სოფლები, სადაც უმრავლესობას სომხობა შეადგენს და გორის მაზრის 2 სოფელი, კ[ი]ზილ-კილისა და მოლითი, 4 ბორჩალოს მაზრიდან – ლორისა და ალავერდის საპოლიციო ნაწილები ბორჩალოს ის ნაწილი, რომელიც სომეხთა უმრავლესობითაა დასახლებული, 5) ყარსის ოლქის ყარსისა და აღზევნის მაზრები.

ოლთისისა და არდაგანის ოლქების, ახალციხის მაზრის და წალკის ბერძნული ნაწილის საკითხი მხოლოდ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა უნდა გადასწყვიტონ.

# ბორჩალოს პროტესტი
## გადამიჯვნის შესახებ
## (დეპეშა)

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 1917 წ., 29 (11) ღვინობისთვე (ოქტომბერი), № 239, გვ. 3.*

საქართველოს ერთ უძველეს კუთხეს ბორჩალოს მაზრის ხრამის რაიონის სოფელ გომარეთის ქართველებმა, ბერძნებმა და თათრებმა თბილისიდან ჩამოსულ ამავე სოფლის მცხოვრებთაგან შეიტყო, რომ ამიერ-კავკასიის მმართველობაში აღუძრავთ საკითხი იმის შესახებ, რომ ბორჩალოს მაზრის მიწაწყალი შეუერთონ ჩვენთვის სრულიად უცხო და უცნობ მხარეს – ალექსანდოპოლის რაიონს, რომელსაც ჩვენ გვაშორებს 6 თვის განმავლობაში თოვლით დაფარულ და მიუვალ ბეზობდარის მთა. ჩვენი რაიონი მრავალ საუკუნის განმავლობაში შეადგენდა და დღესაც შეადგენს საქართველოს ნაწილს, თბილისი განაგებდა მას, ჩვენი ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრება ამ ქალაქთან არის დაკავშირებული და გვსურს ასევე იყოს მომავალში, ამიტომ ჩვენ, როგორც ერის ნაწილი, მოვითხოვთ, ჩვენი ვრცელი რაიონის არ მოაშორონ თავის მრავალ ათასწლოვან ბუდეს და ჩვენვე მოგვანდონ გადავწყვიტოთ საკუთარი ბედი, ქართველ საზოგადოებას კი მოვუწოდებთ, დაიცვან ჩვენი სამართლიანი, საერთო საქმე.

19 სოფლის რწმუნებულნი: ზაქრაძე, თედიაშვილი, მურდიყნელი, სამადაშვილი, ვაშაძე, ედიშერაშვილი, ჭალიძე, საღვიევი, გურჯიევი, ფურცელაძე, ბერუშვილი, თეთრაძე, ოკრაძე, ნამორაძე, გოცირიძე, იარანდავ ალიევი.

# ჯავახელთა პროტესტი ახალ გადამიჯვნის გამო

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 1917 წ., 2 (15) გიორგობისთვე (ნოემბერი), № 242, გვ. 3.*

ბ.გ. გვაზავამ მიიღო რამდენიმე განაჩენი სასოფლო ყრილობისა ჯავახეთიდან (ახალქალაქის მაზრა). როგორც მოსალოდნელი იყო, ჯავახელები ძალიან აუშფოთებია იმ ლაპარაკს და მითქმა-მოთქმას, რომელიც შეეხება ახალქალაქის მაზრის გამოყოფვას საქართველოს ტერიტორიიდან. სოფლები: კოთელია, ხოსპია, სალამო, ვარგავი, ხიზაბავრა, სპასკაია, ბოგდანოვკა, ორლოვკა, ეფრემოვკა, ტროიცკაია, გოგაშენი, აპია და სხვანი პროტესტს აცხადებენ გამოყოფის წინააღმდეგ, ამტკიცებენ, რომ ჯავახეთი ისტორიულად, ეროვნულად, ეკონომიურად და გეოგრაფიულად შეადგენს საქართველოს ნაწილს, გადაწნულია ყოველნაირ თავის ინტერესებით ქ. თბილისთან და მისი გამოყოფა თბილისის გუბერნიიდან ყოვლად შეუძლებელიაო. ზემო ნახსენები სოფლები სთხოვენ გვაზავას მიიღოს ყოველი ზომა და დაიცვას მათი ინტერესები.

# ბორჩალოელთა პროტესტი გადამიჯვნის შესახებ

წყარო: გაზეთი „საქართველო“, 1917 წ., 10 (23) გიორგობისთვე (ნოემბერი), № 249, გვ. 3.

ე. გეგეჭკორის, ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტისა და აგრეთვე ჩვენი რედაქციის სახელზე ტელეგრაფით თბილისში მოვიდა ბორჩალოელთა ხუთმეტი სოფლის შემდეგი პროტესტი გადამიჯვნის წინააღმდეგ:

„ბორჩალოს მაზრის ქვეშის და დუმანისის ოლქში მცხოვრებ ქართველებს, სომხებს და მაჰმადიანებს მეხივით დაგვატყდა ცნობა იმის შესახებ, ვითომც აღეძრათ საკითხი ბორჩალოს მაზრის ალექსანდროპოლის გუბერნიასთან შესაერთებლად. არც მცხოვრებთ და არც ისტორიას არ ახსოვს, რომ ბორჩალოს მაზრას ბეზაბდა[ლ]ის ქედის იქით მდებარე მხარე ჰმართავდეს. ეს მხარე ნახევარ წელიწადზე მეტი თოვლიან ბეზაბდა[ლ]ის მაღალი ქედით სრულიად მოწყვეტილია ბორჩალოს მაზრას, რომელიც მთელი თავისი არსებით ეკონომიურად და კულტურულად თბილისთან არის შეერთებული[1]. თბილისივე ჰმართავდა ბორჩალოს მაზრას რამდენიმე ათასი წელი და ეხლა, რომ მას ჩამოგვაშოროთ, ეს იქნებოდა ჩვენი განიავაბეა. გთხოვთ სამუდამოდ უარჰყოთ ეს აზრი და დღევანდელ თბილისის გუბერნიის მიწა-წყალზე დაგვტოვოთ.

ქვეშისა და დუმანისის რაიონის 15 სოფლის წარმომადგენლები და მცხოვრებნი:

იაგორ სელიმაშვილი, ყარა-იბრაჰიმ-ოღლი,
გიორგი ფეტვიაშვილი, არშაკ მიქელიანც და
არშაკ მუსელიანც, გეორკ კოჩარიანც,
ალექს ოსკანიანც, თევდორე მამულაშვილი,
ბეგლარ ენგიბორიანც, ვასილ პეტრიაშვილი,
დიმიტრი ჭარაშვილი, გიორგი ფურცელაძე.

**შ. ა-შვილი[2]**

# ჯავახელთა პროტესტი ახალ გადამიჯვნის შესახებ

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 1917 წ., 25 (8) გიორგობისთვე (ნოემბერი), № 260, გვ. 3.*

მეხი ისე არ დაგვეცემოდა ხოლმე თავზედ ჯავახეთის მთა-მინდვრებზე, როგორც ამბავი მის ადმინისტრატიულ გადამიჯვნის შესახებ. გვახსოვს ის შავ ბნელი დრო ძველი რეჟიმისა, როდესაც „ვორონცოვ-დაშკოვის[3] კულუარებში“ შეთხზული იყო პროექტი ახალქალაქის მაზრის ალექსანდროპოლთან შეერთებისა. მაგრამ ისიც გვახსოვს, როგორ აღსდგნენ ჯავახელები და ერთხმად, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, დაიძახეს: „შორს ხელები! არა, არ გვინდა“ ჩვენ უთბილისოდ ვერ გავძლებთო!“ ვერც დღეს შეურიგდება ჯავახეთი ახალ გადამიჯვნის [ა]მბავს და აი რატომ:

მთელი ახალქალაქის მაზრა, ანუ ჯავახეთი, წარმოადგენს აუზს ერთ მდინარის თაფარავნის წყლის, ანუ ჯავახეთის მტკვრისას [4]. ეს მდინარე დაწყებული აღმოსავლეთიდან, ბორჩალოს მაზრის საზღვარზე, სჭრის მაზრას თითქმის ნახევრად და სოფ. ხერთვისთან ერთვის საქართველოს უდიდეს მდინარეს მტკვარს, რომელიც ჩამოდის არტაანიდან და მიმდინარეობს ახალციხისკენ. თაფარავნის წყალი თავის ჩრდილოეთ და სამხრეთ ტოტებით აერთიანებს მაზრის სხვა და სხვა კუთხეებს. ასე რომ ეს მდინარე თავის არტერიებით მშვენიერ სავალ გზას წარმოადგენს.

---

1 ამ გარემოების შესახებ წერდა ივ. ჯავახიშვილიც „საქართველოს საზღვრებში“ [1919]. აქ მას მოჰყავს სამაზრო კომისიის 1913 წლის დადგენილება და ტფილისის საგუბერნიო განსაკუთრებული საბჭოს 1914 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც საბჭო მხარს უჭერს ზემოთ ხსენებულ დადგენილებას, სადაც ნათქვამია, რომ „ბორჩალოს მაზრის ტფილისის გუბერნიითგან გამოყოფა სასურველი არ არის“ ამასთან აქვეა აღნიშნული, რომ „ეს მაზრა აღმოსაელეთით და სამხრეთით მთებით არის მორთული და გუმბრისაკენ მიმართული ორი საურმო (ბეზობდალისა და გულიბულახის) გზატკეცილი ზამთარში ნამქერების გამო გაუვალი ხდება, დანარჩენი გარდასავლები კი ამ მთებზე ზამთარში სრულებით შეკრულია ხოლმე, რომ ეკონომიურად მთელი ეს მხარე ტფილისთან არის დაკავშირებული, იქ ჰყიდის თავის მოსავალს და იქვე ყიდულობს თავისთვის რაც რამე დასჭირდება“ [ჯავახიშვილი, 1919. გვ. 34] [რედ.].

2 ფსევდონიმი ვერ დავადგინეთ. [რედ].

3 ვორონცოვ-დაშკოვი ილარიონ (1837-1916) – რუსი გენერალ ადიუდანტი. 1905-1915 წ. კავკასიის მეფისნაცვალი.

4 ამ სახელებით იყო ცნობილი ძველად მდ. ფარავანი [რედ.].

სამხრეთით აყუდებულან აჰ-ჭალა, უჩ-თაფალარ, აჰ ბაბას მთები, რომელნიც წარმოადგენენ ბუნებრივ საზღვარს, ზღუდეს, ახალქალაქის და ალექსანდროპოლ-ყარსის შუა, მაშინ, როდესაც დასავლეთის მხრით მაზრა გაშლილია და მტკვარი თავის ხეობით მჭიდროდ და განუყოფლად აკავშირებს მთელს თაფარავან-წყლის ბასეინს ახალციხის მაზრასთან, ე.ი. მესხეთთან და მესხეთს კი ქართლთან (გორის მაზ.). აქედან დასკვნა: ახალქალაქის მაზრა ბუნებრივ-გეოგრაფიულად და გეოლოგიურ-ჰიდროგრაფიულად მჭიდროდ გადაბმულია დანარჩენ თბილისის გუბერნიის მაზრებთან და არაფერი საერთო არა აქვს ალექსანდროპოლის მაზრასთან.

გეოგრაფიული თვისებები მაზრისა თავის თავად სწყვეტენ მის ეკონომიურ ცხოვრებას და საზოგადოდ ვაჭრობა-აღებ-მიცემობას. ჯავახელი გლეხი, ან ვაჭარი, ვინც უნდა იყოს იგი ეროვნებით სომეხი თუ ქართველი, არასოდეს არ წაიღებს თავის საქონელს ალექსანდროპოლში და თავის საჭირო ნივთებსაც არასოდეს არ იყიდის იქ, არამედ იგი ყოველთვის თბილისისკენ იყურება, საიდანაც ვაჭარს მოზდის სხვა და სხვა საქონელი და სადაც გლეხს მიაქვს გასასყიდად პური, ან ქერი, და ყიდულობს სხვა და სხვა პირველ საჭიროების ნივთებს. ცხადია, რომ ეკონომიური ცხოვრება მაზრისა მთლად გადაბმულია თბილისის გუბერნიის ეკონომიურ ცხოვრებასთან და ალექსანდროპოლთან შეერთება იქმნება, რომელიც შესამჩნევლად შეასუსტებს მაზრის ისედაც დაცემულს ეკონომიურს ცხოვრებას. მეორე დასკვნა: ახალქალაქის მაზრა მჭიდრო, განუყოფელ ეკონომიურის კავშირით გადაბმულია დანარჩენ საქართველ[ო]სთან და მას უთბილისოდ ეკონომიური ცხოვრება არ ძალუძს.

ადმინისტრაციულ-პოლიტიკურად და კულტურულადაც მაზრა ისევე მჭიდროდ არის დაკავშირებული თბილისთან, როგორც ეკონომიურად. სასამართლო, ადმინისტრაციული მართვა-გამგეობა, კულტურა, სწავლა-განათლება ერთი სიტყვით, ყველაფერი თბილისიდან მოსდის ახალქალაქს, რაც გასაკვირალი არ არის, რადგან ბუნებრივია და თვით მაზრის მიწის აგებულობა თავის თავად აკავშირებს მას დანარჩენ თბილისის გუბერნიის მაზრებთან.

ისტორიულის თვალსაზრისის განხილვა არც კია საჭირო, რადგან ამ მხრივ არავითარი ეჭვი არავის ებადება. მაზრა არასოდეს არ ყოფილა სომხეთის ბატონობის ქვეშ, – ჯერ მცხეთა და მერე თბილისი მის სრულ ბატონ-პატრონად იყვნენ. და რომ ჯავახეთი ნამდვილი საქართველოა, გაპოხიერებული ჩვენის წინაპართა ძვლებით და სისხლით, ამას მოწმობენ ჯერ კიდევ დაცულნი 30 ძველი ეკლესია-მონასტრები, მათ შორის დიდებული საეპისკოპოსო ქუმურდოს ტაძარი, 13 ციხე-სიმაგრე და 5 სხვა და სხვა გამოუკვლეველი ნანგრევი; მაგრამ ვინ უწყის, იქნებ ამაზე მეტი ნაშთიც იყოს?

დასკვნა: ჯავახეთი იყო, არის და უნდა სამუდამოდ საქართველოში დარჩეს.

დარჩა ერთი მხარე ჩვენის განხილვისა – ეთნოგრაფიული, ერთად-ერთი საფუძველი, რომელ-ზედაც ამყარებენ თავის იმედებს გადამიჯვნის მომხრენი. მართალია, ახალქალაქის მაზრის მცხოვრებთა უმეტესობას სომხობა წარმოადგენს, მათი რიცხვი სხვა დანარჩენ ეროვნებათა რიცხვს აღემატება, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ჯერ ერთი ის, რომ სომხები არ არიან მაზრის მკვიდრნი, მეორეც – მათი მოსახლეობა ჯავახეთში არ არის მჭიდრო, ეთნიურად მთლიანად შეერთებული მათ მოძმე ალექსანდროპოლის მაზრის სომხობასთან, რადგან ამ ორ ეთნიურ ჯგუფთა შორის სხვა ეროვნების წარმომადგენლები სცხოვრობენ, სახელდობრ, დუხობორები და ყარაფაფახნი.

ერევნის გუბერნიის, ალექსანდროპოლის მაზრის, მესამე საბოქაულოს, ყიზილ-ყოჩის სოფლის საზოგადოების ჩრდილოეთ სოფლიდან ახალქალაქის უსამხრეთეს სომხის სოფლამდე უახლოესი მანძილი 22 ვერსია (ალექ. მაზრის სოფ. დარა-კეიდან – ახალქ. მაზრ. სოფ. სათხემდის), შემდეგ 24 და 25 ვერსი. მათ შორის, მთელ ამ მანძილზე რუს-სექტანტების[1] მიწები მდებარეობენ სოფელ სპასკაია, გორელოვკა, ორლოიკა, ეფრემოვკა და სხვ.

შემდეგ ალექსანდროპოლის მაზრის მეზობლად ყარსის ოლქი საზღვრავს სამხრეთით ჯავახეთს. ყარსის ოლქის, აღა-ბაბის საბოქაულოს, თაფა-კეის სოფლის ოლქის დუზ-კენტის, სულთან-აბადის და ხოზ კენტის სოფლის საზოგადოებაში მოსახლეობენ ყარ ფაფახები (ძველი ქართული აბოცი). ასე რომ ახალქალაქის სომხები საგრძნობლად მოწყვეტილნი არიან ალექსანდროპოლის სომხებისაგან ტერიტორიალურად და ეთნიურად, ამიტომ ეთნოგრაფიულ სიმთელეს მოკლებულნი არიან.

1 იგულისხმება დუხობორები – პროტესტანტული სექტა, რომელიც ჩამოყალიბდა XVIII საუკუნეში რუსეთის იმპერია-ში. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისა და სახელმწიფოს მიერ დევნილი დუხობორები საქართველოში დასახლებას იწყებენ XIX საუკუნის შუა წლებში, ნიკოლოზ I-ის პერიოდში. მათი განსახლების ძირითადი არეალი იყო თანამედროვე ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ტერიტორია, სადაც შექმნეს კოლონიები. ასე გაჩნდა საქართველოს რუკაზე სოფლები: ბოგდანოვკა (ამჟამად ნინოწმინდა), გორელოვკა, ეფრემოვკა, ორლოვკა (იგივე ტერპენიე, ყოფილი ბუღდაშენი), როდი-ონოვკა (ყოფილი ფარავანი, თავფარავანი), სპასოვკა, ტამბოვკა, ტროიცკოე [რედ.].

დუხაბორების და ყარაფაფახების კი რა მოგახსენოთ. ყოველ შემთხვევაში ეგენი არ იქმნებიან რაღაც გადამიჯვნის მომხრენი.

ასე რო გადამიჯვნას ჯავახეთში არავითარი რეალური ნიადაგი არ მოეპოვება, ამიტომაც ჯავახელები სამართლიანად პროტესტს ვაცხადებთ მის განხორციელების წინააღმდეგ.

თვით ახალქალაქის სომხობისთვინაც უფრო სჯობს იმავე თბილისის გუბერნიაში დარჩნენ, ვიდრე ალექსანდროპოლის მაზრასთან იყვნენ მიწერილნი. და თუ საქართველომ მომავალში მიიღო ავტონომია, დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ არავითარ ეროვნულ ჩაგვრას ალაგი არ ექნება, ამას თვით ისტორიაც მშვენიერად ჰმოწმობს და ახალქალაქის მაზრაში სომხებს ექნებათ კულტურულ-ეროვნული თვით-მართველობა.

### ირაკლი ამირეჯიბი
## ერობა და გადამიჯვნის საკითხი

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 1917 წ., 29 გიორგობისთვე (ნოემბერი), № 263, გვ. 1-2.*

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში გადმობეჭდილი იყო გაზ. ,,კავკაზსკოვ სლოვო" – დან წერილი გ. ხატისოვისა შესახებ იმ კომისიისა, რომელიც შესდგებოდა ხუთ-ხუთი წარმომადგენლისაგან – ქართველებისა, თათრებისა და სომხებისა და თითო რუს წარმომადგენელისაგან ესდეკებისა და ესერებისაგან. ხსენებულ კომისიას უნდა გაერკვია საკითხი საადმინისტრაციო გადამიჯვნა უნდა მომხდარიყო წინასწარ. უკანასკნელ დღეებში ზემოხსენებულმა კომისიამ მიიღო რეზოლუცია, რომ ერობა შემოღებულ იქმნას არასადავო ოლქებსა და მაზრებში, ხოლო სადავო მაზრებში არ იყოს ამ ჟამად ერობა შემოღებული, არამედ ერთი თვის შემდეგ, როცა შეაგროვებენ მასალებს სადავო ოლქების შესახებ და გადაჭრაც ამ საკითხისა მიენდოს არა კომისიას, არამედ ეროვნულ საბჭოებს, რომელნიც მორიგებით გაათავენ საქმეს.

ასეთი გადაწყვეტილება კომისიისა არ მოსწონებია ერთ ჯგუფს და გ. ხატისოვიც თავის სიმართლეს ასაბუთებს შემდეგით: კომისიაში ქართველებს ნაციონალ-დემოკრატი გრ. ვეშაპელი კი არ უნდა გამოეგზავნითო, არამეს უნდა სოც.-დემოკრატები გამოეგზავნათ, რათა მათ შუამავლის როლი ეთამაშნა[თ]ო.

უნდა მოვახსენოთ ბ-ნ გ. ხატისოვს, რომ გრ. ვეშაპელის რეზოლუცია, რომელიც კომისიაში იყო წამოყენებული და მიღებული, შემუშავდა ქართულ ეროვნულ ყრილობის საერობო სექციაში, ყრილობამ იგი დაამტკიცა და ქართველ წარმომადგენელს, ნაც-დემ. იქნებოდა იგი თუ სოც.-დემ., უნდა დაეცვა ასეთი შეხედულება.

შევეხოთ ეხლა საკითხის სხვა მხარეს. გადამიჯვნის სადავო საკითხებში ქართველებიც ურევიან, მათთვისაც არის საგულისხმო ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრების საკითხი. მაგრამ გულის ხმა სომხის ერთ ჯგუფსაც აქვს. დღეს ასეთი საკითხები ჯგუფებმა კი არ უნა გადასწყვიტონ, არამედ მთელმა ხალხმა და ბორჩალოელთა და ახალქალაქელთა აზრიც მხედველობაში უნდა იყვეს მიღებული. რევოლიუციამდე ამ საკითხზედ დაობდნენ სომხების მხრივ დაშნაკე[ლ]ე[ბ]ი და ქართველების მხრივ განაციონალ-დემოკრატები": ორნივე ეროვნული პარტიები. მხოლოდ რევოლუციის დროს დაშნაკცაკანს ხატისოვს ისე ჰგონია, რომ სომხების მხრივ ისევ დაშნაკელები დარჩებიან, მხოლოდ ქართველების მხრიდან მოპირდაპირე კი აღარ ეყოლებათ ამ საკითხში, არამედ შუამავლები. მაგრამ ჩვენ გვიკვირს რაღათ არის შუაკაცი საჭირო თუ მოპირდაპირე არ ეყოლებათ? და თუ მაინც არ დაუშლიათ დაშნაკელებს და ქართველობას სთხოვენ სოც.-დემოკრატები გამოგზავნეთო, მაშინ თითონაც უნდა სომეხი სოც.-დემოკრატები გამოეგზავნათ და უფლება ექნებოდათ ნაც.-დემოკრ. ჩამოშორებისა. გვგონია ესერებიც დაუჭერდნენ ასეთ გარემოებაში მხარს და აღარც ესერებს დაემდურებოდნენ.

თუ წინად პირობები ხელს არ გვიწყობდა რომ ასეთ საკითხებზედ გამოეთქვა აზრი ორივე ერის მთელ შემადგენლობას ანუ დემოკრატიას და ასეთ საკითხებში საასპარეზოდ გამოდიოდენ ეროვნული ჯგუფები, ეხლა ხომ ზემოხსენებული დაბრკოლებანი აღარ არიან? რათ გვინდა ან ჩვენ, ან დაშნაკელებს რომ გზა აუხვიოთ დემოკრატიას. ჩვენ თუ ჯგუფურად გამოვდიოდით, პირობები იყო თქო ისეთი, მოგახსენეთ; და გ. ხატისოვის ამხანაგი იაგჯიანი (დაშნაკელი) დღესაც აცხადებს, რომ ხსენებულ მოსაზრებას მცხოვრებლები, ანუ დემოკრატია, შეუგნებლები არიან, არ ესმით თავიანთი ინტერესი და უნდა უაპეკუნოთო. ასეთი აზრი არ შეშვენის დემოკრატს, არამც თუ ,,სოციალისტს" დაშნაკცაკანს.

სწორედ ეს შენიშნეს ესერებმა და როგორც სოციალისტებმა არ დაუჭირეს მხარი გ. ხატისოვს. ჩვენ ღრმადა გვწამს, რომ ქართულიც, სომხურიც და თათრული ეროვნული საბჭოები დემოკრატიულნი არიან და როგორც უზენაესი მოვლენანი ერებების ცხოვრებაში, მათი საქმეა გადაჭრა ყოველ სადავო საკითხებისა, რომელიც კი აღიძვრება ერთა შორის.

ვისაც ძალიან შესტკივა გული დემოკრატიაზედ და მისთვის ზრუნავს ,,თავ წაკლული'' იმან უნდა ისიც იცოდეს რომ დემოკრატიის უფლების აყრა მის კუთვნილ საქმეში ობსკურანტობაა. ყველა ზემოხსენებული ჩვენთვის ცხად ჰყოფს, რომ ოპეკუნებს დემოკრატია კი არ საჭიროებს, არამედ მისი სახელით მოლაპარაკე უპასუხისმგებლო წარმომადგენლები ბ-ნი იაგჯიანი და ბ-ნი გ. ხატისოვი ეს თავისებური ,,სოციალისტები''?!

## ზავი ოსმალეთთან
### ხელშეკრულების ტექსტი

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 1917 წ., 12 (25) ქრისტეშობისთვე (დეკემბერი), № 270, გვ. 2.*

1917 წლის ქრისტეშობისთვის 5-ს, 15 საათზე ხელი მოაწერეს საზავო ხელშეკრულებას, რომლის ტექსტსაც გადმოგცემთ:

1) ხელშეკრულება კავკასიის ფრონტზე მომქმედ ოსმალთა და რუს ლაშქართა შორის. ზავის ჩამოსაგდებად ხსენებულ ლაშქართა შორის შეიკრა ხელშეკრულება სამხედრო მოქმედების შეწყვეტით: (ეს ხელშეკრულება ორივ მხრისათვის სავალდებულოა 1917 წ. ქრისტეშობისთვის 5-დან ძველ სტილით (1333 წ. ქრისტეშობისთვის 18-დან ოსმალთა წელთ-აღრიცხვით) ზავის ჩამოგდებამდე. ხელშეკრულების დარღვევა გამოიწვევს 14 დღე-ღამით წინ გაფრთხილებით სამხედრო მოქმედების დაწყებას.

2) ფრონტზე ხელშეკრულების ძალით სწყდება ყოველივე მტრული მოქმედება. სწყდება მფრინავთა თარეში, როგორც ფრონტზე, ისე სამიჯნო ხაზიდან 10 ვერსის მანძილზე.

3) სამიჯნო ხაზი ირკვევა საგანგებო აქტით და სქემით. კავკასიის მე-7 და პირველ კავალერიის ცალ-ცალკე კორპუსთა შესაფერი სამიჯნო ხაზები უნდა გამოირკვეს შეთანხმებით. ამისათვის აირჩევა საგანგებო კომისიები, კომისიები ინიშნება ხსენებულ კორპუსთაგან და მათ პირისპირ მდგომ ოსმალთა ძალებიდან (შავ ზღვიდან მოყოლებული მირვან ჩარჩალონამდე); ადგილების შუშხუნებით და პროჟექტორებით გაშუქება ნებადართულია.

4) ორივ მხარე მოვალეა შესწყვიტოს ჯარების გადაჯგუფება, თუ გადაყვან-გადმოყვანას, მით უმეტეს, თუ ამ გადაყვან-გადმოყვანი[თ] მესოპოტამია-სირიის ფრონტის გასაძლიერებლად არის მიმართული. ჯარის გადაყვან-გადმოყვანის შესახებ 1917 წ. ქრისტ. 15, 18 საათამდე (1333 წ. ქრისტეშობისთვის 15 ნაშუადღევის 6 საათამდე) გამოცემული ბრძანებანი ძალაში რჩებიან.

5) ორივ მხრის ჯარს აქვს ადგილობრივ ჯარების გადაყვან-გადმოყვანის უფლება იმ ტერიტორიის ფარგლებში, რომლებიც ორივ მხარისთვის სამიჯნო ხაზებით არის შემოზღუდული.

6) ორივ მხარე მოვალეა, რომ ხელშეკრულების ვადამდე ბრძოლის დაწყობად არავითარ სამზადისში არ იყოს. ნება დართულია სათანადოთ მოვლა საინჟენერო შენობების. სასწავლო სროლა თოფებისა და ზარბაზნების სროლა შეიძლება მოწინავე თხრილების მთავარ ხაზიდან ხუთ ვერსის მანძილზე. როდესაც სასწავლო სროლას განიზრახავენ, ორივე მხარე მოვალეა წინასწარ შეატყობინონ ერთი ერთმანეთს.

7) ორივე მხარე მოვალეა თავისი მოდარაჯენი, და აგრეთვე მზვერავთა რაზმები სამიჯნო ხაზებს არ გამოაცდინონ.

8) სამიზნო ხაზით შემოზღუდულ ნეიტრალ ზონაში გამოსვლა აკრძალულია, როგორც სამხედრო მოსამსახურე მოხელეთათვის, ისე ადგილობრივ მცხოვრებთათვის შერეულ კომისიის სხდომების დროს ნეიტრალურ ზონაში გამოსული მამაკაცები სამხედრო ტყვეებად ითვლებიან. ორივ მხრის შეთანხმებით შესაძლოა ნება მიეცეთ ჯარის კაცებს, რომ ნეიტრალ ზონაში გამოვიდნენ წყლისა და სათბობის საჭიროებისათვის.

9) ყოველივე გაუგებრობის განხილვა შეუძლიანთ ორივ მხრის რწმუნებულებას. თუ მოლაპარაკება აუცილებელი შეიქმნა, პარლამენტიორები ერძის ან რიფაიეს შარაგზაზე უნდა გამოგზავნონ.

10) თუ ნეიტრალ ალაგის მცხოვრებლებმა რაიმე დანაშაული ჩაიდინეს დამნაშავეთ ეპყრობიან

ისე, როგორც ამას ორივე მხარე გადასწყვეტს. ორივე მხარე მოვალეა, დამნაშავე ერთ მხრის მოთხოვნილებისთანავე გამოაჩინოს.

11) ოსმალეთის სარდლობა მოვალეა ზომები მიიღოს, რათა ქურთებს ამ ხელშეკრულების ყველა პირობანი აასრულებინოს. თუ ქურთებმა არ მოიშალეს მტრული მოქმედება სამიჯნო ხაზების ფარგლებში, რუსის ჯარებს უფლება აქვთ, ისე მოეპყრან ქურთებს, როგორც ყაჩაღებს.

12) ორივე მხარეს უფლება აქვს ამ ხელშეკრულების მუხლები შეავსოს ანდა შესცვალოს, რისთვისაც მოწვეულ იქმნება ორივ მხრის რწმუნებულთა კომისია. ხოლოდ რუსეთის რესპუბლიკამ და ცენტრალ სახელმწიფოებმა მიიღეს საერთო დროებითი ზავი მაშინ მათ ხელშეკრულების ყველა პუნქტები სავალდებულო იქნება კავკასიის ფრონტისათვის.

13) შავ ზღვაზე მებრძოლ სახელმწიფოთა ფლოტების შორის დროებითი ზავი ჩამოვარდება. დროებით ზავის დაწვრილებით პირობებს შეიმუშავებენ ორივე მხრის კომისიები. სამხედრო გემებს და მფრინავებს არ შეუძლიანთ 10 ვერსით მიუახლოვდნენ მოწინააღმდეგის ნაპირს.

14) ეს ხელშეკრულება დაიწერა რუსულსა და ოსმალურს ენაზე და ორივე მხარემ თავ-თავის ენაზე თითო ეგზემპლიარი დაიტოვა. ხელშეკრულებაზე ხელს აწერენ ორივე მხრის რწმუნებულნი.

*1917 წ. ქრისტეშობისთვის 5-15 საათი. ქალაქი ერძინჯანი.*

## ბორჩალოელთა პროტესტი გადამიჯვნის გამო
### სოფ. ალავერდის განაჩენი

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 1917 წ., 16 (29) ქრისტეშობისთვე (დეკემბერი), № 274, გვ. 3.*

1917 წელს, გიორგობისთვის 16-ს, ჩვენ ამისა ქვემორე ხელის მომწერნი, თბილისის გუბერნიის, ბორჩალოს მაზრის, ალავერდის სოფლის საზოგადოების (სოფ. ალავერდის, შამბლუგის, ბიანდიკის და ახტალის[1]) მცხოვრებლებმა შევიტყეთ გაზეთებში, რომ განზრახული ყოფილა ჩვენი სოფლის საზოგადოების ადმინისტრაციულად მომავალ ალექსანდროპოლის გუბერნიაზე მიწერა. ჩვენი ალექსანდროპოლის გუბერნიასთან შეერთება ყოვლად შეუძლებელი და მიუღებელია. ამისთვის დიდს პროტესტს ვაცხადებთ ჩვენს ასეთს გამოყოფაზე, ვინაიდან ჩვენ 150 წელია, რაც თბილისთან ვართ შეერთებულნი. თბილისთან ჩვენ როგორც გეოგრაფიის ისე კულტურის მხრივ ჩვენ მჭიდროთ ვართ შეკავშირებული. ალექსანდროპოლთან საერთო არცა გვქონდა რა და არც გვექნება, ამიტომ ვსთხოვთ გამმიჯვნელ კომისიას, რომ სახეში იქონიოს ჩვენი პროტესტი და მასთან ერთად ეს დადგენილება ადგილობრივ გაზეთებში გამოაცხადონ. დადგენილებას ყველა ერთხმად ვღებულობთ, ამისთვის ყველა ერთად ხელს აწერს განაჩენს 65 კაცი.

## გადამიჯვნის წინააღმდეგ

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 1917 წ., 23 (5) ქრისტეშობისთვე (დეკემბერი), № 280, გვ. 3.*

1917 წელს ქრისტეშობისთვის 18-ს სოფელ აშაგა სარალის კომისრის მოწვევით შევიკრიბენით სარალის საზოგადოების მცხოვრებნი, ვიქონიეთ მსჯელობა თბილისიდან მიღებულ იმ ცნობების შესახებ, რომლებიც შეეხებიან ბორჩალოს მაზრის ტერიტორიის ერთი ნაწილის და კერძოდ ჩვენს რვა სოფლისაგან შემდგარ სარალის რაიონის მომავალ ალექსანდროპოლის გუბერნიაში მოქცევას. ვიღებთ რა მხედველობაში, რომ არამ თუ ჩვენ რაიონის, არამედ მთელ ბორჩალოს მაზრის მცხოვრებნი ძველის ძველადვე შეკავშირებულნი იყვნენ და არიან თბილისთან როგორც გეოგრაფიულად, ისე ეკონომიურად, ჩვენ მტრების მიერ განზრახულ პროექტის განხორციელებას, ჩვენი ალექსანდროპოლის გუბერნიაში მოქცევა დაჰღუპავს ჩვენს მცხოვრებლებს, ამიტომ მთელის ჩვენის არსებობით ვეწინააღმდეგებით ასეთ პროექტს და ერთხმად დავადგინეთ, ერთა თვითგამორკვევის ლოზუნგის თანახმად – მოვითხოვოთ თბილისის გუბერნიის ტერიტორიაში დარჩენა.

1 ზემოთ ჩამოთვლილი სოფლები: ალავერდი (ამჟამად ქალაქი), ახტალა (ამჟამად ქალაქი), ბიანდიკი, შამლუღი ამჟამად სომხეთშია. ივ. ჯავახიშვილის ხელდასხმით შედგენილ, მათ შორის პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე წარდგენილ ყველა რუკაზე მთელი ეს ტერიტორია საქართველოს ფარგლებშია მოქცეული [რედ.].

განაჩენს ამოწმებს სარალის სოფლის საზოგადოების აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე სახაზინო ბეჭდის დასმით.

განაჩენს ხელს აწერს 635 კაცი.

## ბორჩალოელი რუსები და გადამიჯვნა

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 1917 წ., 23 (5) ქრისტეშობისთვე (დეკემბერი), № 280, გვ. 3.*

ლორის რუსების ყველა რვა სოფლის წარმომადგენელთა ყრილობამ შეადგინა ლორის რუს მოქალაქეთა კავშირი. ყრილობამ გადასწყვიტა, რომ განაჩენებით დაამტკიცონ მათი ურყევი სურვილი თბილისის გუბერნიაში დარჩენის შესახებ, რუსულ შემადგენლობის სოფლის საზოგადოების ერობის მოწყობით.

## გადამიჯვნის წინააღმდეგ
### ბორჩალოს მაზრიდან
### სოფ. სონის[1] მცხოვრებთა განაჩენი

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 1917 წ., 24 (6) ქრისტეშობისთვე (დეკემბერი), № 281, გვ. 3.*

1917 წელს ქრისტეშობისთვის 16-ს ჩვენ ამისა ქვემორე ხელის მომწერნი ბორჩალოს მაზრის სოფელ სონის მცხოვრებნი 135 სული ორივ სქესისა ჩვენი კომისარის თანადასწრებით შევიკრიბეთ ერთად და ვიქონიეთ მსჯელობა იმ გავრცელებულ ხმების შესახებ, რომ მთავრობას განუზრახავს ბორჩალოს მაზრის ტერიტორიის ერთი ნაწილი, რომელშიაც ჩვენი სოფელიც შედის – ალექსანდროპოლის ტერიტორიას შეუერთოს. ვინაიდგან ჩვენ სოფლის მცხოვრებნი, ქონებრივად, მეურნეობის მხრივ, გეოგრაფიულად და ეკონომიურად თბილისთან არის შეკავშირებული – დავადგინეთ: ეთხოვოს ადგილობრივ მთავრობას, რათა ჩვენ ძველებურად ჩვენ თბილისის გუბერნიის ტერიტორიაში დაგვტოვოს, რადგან ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში ვერ შევურიგდებით ალექსანდროპოლის გუბერნიაში მოქცევას.

განაჩენის სინამდვილეს ბორჩალოს რაიონის კომისარი ამოწმებს.

განაჩენს ხელს აწერს 70 კაცი.

### აგრონომი გ. ოქროპირიძე
## ჯავახეთის გადამიჯვნა

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 1917 წ., 27 ქრისტეშობისთვე (დეკემბერი), № 272, გვ. 2.*

სულ ახლო მომავალში მოსალოდნელია ამიერ-კავკასიის გუბერნიათა საზღვრების გადამიჯვნა. დღეს, ეტყობა, ადგილი და გავლენა მოიპოვეს ამ პროექტის მომხრეებმა და იქნებ მიაღწიონ კიდეც დიდი ხნის გულის წადილს. თბილისის გუბერნიიდან, სხვათა შორის, ახალქალაქის მაზრაც აქვთ ამოღებული ნიშანში, მაგრამ აქ მათ ინტერესებს უპირდაპირდება ქართველი ერის ინტერესები და ძნელი წარმოსადგენია, როგორ დათავდება საქმე. როგორც ძალთა განწყობილების, ისე სამართლის მიხედვით.

ერთად ერთი საბუთი, რომელსაც პროექტის მომხრენი აყენებენ იმის სასარგებლოდ, რომ ახალქალაქის მაზრა გამოეყოს თბილისის გუბერნიას და შეუერთდეს ალექსანდროპოლს გახლავთ სომეხთა უმრავლესობა ამ მაზრაში. ვნახოთ რამდენად საფუძვლიანი და საყურადღებოა მათი მოტივი.

დავანებოთ თავი იმას, თუ რამდენად ერთია ასეთი კითხვის გადაწყვეტის დროს ადგილობრივი, ისტორიულად მკვიდრი ერის და სულ ახლო წარსულში რაიმე უბედურობის გამო სამშობლოდან ლტოლვილ და აქ შემოხიზნულ ერის ინტერესები. განვიხილოთ თვით მოსახლეთა რაოდენობა,

---
1 ამ სტატიაშუ უნდა იყოს სიონი [რედ.].

რაც აგრე რიგ აიმედებს სომხის შოვინისტებსა. ნიკოლოზის[1] დროის სტატისტიკასაც კი რომ დავენდოთ, მაინც არ გვექნება უფლება ასე უდიერად მოვეპყროთ ახალქალაქის მაზრასა. როგორ შეგვიძლიან ანგარიში გაუწიოთ სომეხთა ნაციონალისტურ პროექტებს, თუ კი მათ ზურგს არ უმაგრებს სულ უკანასკნელი 80 პროცენტიანი მოსახლეობა? ახალქალაქის მაზრაში კი ძველი სტატისტიკითაც მათი რიცხვი სამოც პროცენტს უდრის დაახლოვებით, ხოლო რამდენად ნამდვილ ცნობებს გვაძლევს ეს სტატისტიკა, სჩანს თუნდაც შემდეგიდგან:

ცნობილია, რომ სომეხთა რიცხვში ამ სტატისტიკით ითვლებოდნენ, სხვათა შორის, ცამეტ ათასამდე ეგრედ წოდებული ,,სომეხ-კათოლიკენიც". მაგრამ ვინ არიან ეს სომეხ-კათოლიკენი? თურმე ნუ იტყვით, ეს სიტყვები – „სომეხ-კათოლიკე" – ოფიციალური სახელი ერთ-ერთ სარწმუ-ნოებისა ბნელითა ჰფარავს ამ სარწმუნოების მაღიარებელთა ეროვნულ ვითარებას და ყოველ შემთხვევაში სამ მეოთხედს მაინც მათგანს პირუთვნელად ქართველებს თავზე ახვევს სომხობას. განა ვის მოუვა თავში აზრად უწოდოს სომეხი ხიზაბავრელებსა, ვარგელებსა, ტურცხელებსა (ზოგიერთის გამოკლებით) და მრავალთ ამისთანას, თუ არა ძველ, უმეტეს შემთხვევაში, ტენდენციურ, სტატისტიკას? რა ეჭვს აქვს ალაგი იქ, საცა ქართული ენას, ზნეც, ჩვეულებაც და ტიპიც საუცხოვოდ არის დაცული? მხოლოდ ზოგიერთი ,,სომეხ-კათოლიკე" ქართველებს ს.ს. კართიკამში, ბავრაში, ხულგუმოში და სხვაგან დაუკარგიათ მშობლიური ენა და შეუცვლიათ იგი, მაგრამ სომხურათ-კი არა, თათრულათ. ამათ გვარებზე-და ეტყობა ქართველობა (ჭყავანიანი, ოქროიანი, პრანჭიევი და სხვა) და, როგორც სჩანს, მიხვედრილან კიდეც თავიანთ ეროვნულ ვითარებას, რომ ამ ბოლო დროს ისინიც სხვა ,,ფრანგებთან" ერთად ეძიებენ ,,სომხის-კათოლიკობის" თავიდგან მოშორებასა, რის შესახებაც თურმე საზოგადო განაჩენიც-კი დაუდგენიათ.

ასევე უდიერად ექცევოდა სტატისტიკა ქართველ მაჰმადიანებს. ქართველთა რიცხვში მათგანი ერთი მეოთხედიც არ ჰხვდებოდა და ნება უნებლიეთ თათრებად იხსენიებოდნენ. საყურადღებოა აგრეთვე ქართველი ებრაელობაც, რომელთაც ქ. ახალქალაქში მთელი უბანი უჭირავთ და საუცხოვოდ აქვთ დაცული ქართული ტიპი, ენა და ზნე-ჩვეულება. ყველა ამას თუ მივიღებთ მხედველობაში, ქართველთა რიცხვი ახალქალაქის მაზრაში ოცდა ხუთ პროცენტამდის ავა და შესაფერისად დაიწევს სომეხთა რიცხვი პროცენტობით ამასთანავე არ უნდა დავივიწყოთ, რომ ახალქალაქის მაზრის სხვა ერებიც, მაგალითად: თათრები, რუსები (დუხობრები და მოლაკნები) და ბერძნები, ზოგიერთი სომხებიც კი საზღვრების კითხვაში ემხრობიან ქართველების ორიენტაციას, თუნდაც იმ მოსაზრებით, რომ ახალქალაქის მაზრისათვის უფრო სამხროა თბილისი, ვიდრე ალექსანდროპოლი.

მაგრამ განა მხოლოდ რიცხვში არის საქმე? ვინ არ იცის, რომ ჯავახეთი (ახალქალაქის მაზრა) საქართველოს ერთ-ერთი კუთხეა და მის ერთად-ერთ პატრონად მიჩნეული იყო და იქნება ქართველი ერი? რა ვუყოთ, რომ ამ ერს ეწვია უბედურობა, რის გამოც ჯავახეთში მოსულთა რიცხვი აღემატება ადგილობრივ მცხოვრებთა რიცხვს ისე, როგორც ქელეხში სტუმართა რიცხვი აღემატება ხოლმე მასპინძელთა რიცხვს. მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო აღწერამ დაგვანახვა, რომ მთელი ახალქალაქის მაზრის სომხობა 1828-32 წლებში გადმოსახლებულა ერზრუმის ვილაეთიდან და არდაგნის მხრიდანა. და მაშ განა სტუმარზე მეტი მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ამ ხნით მცხოვრებ ერს ჯავახეთის ისტორიისათვის? რასაკვირველია, რომ არა. აქაურ სომხებს ეხლაც ისევ ერზერუმისაკენ უჭირავთ თვალი, რომ გაჭირვებაში ხშირად ანდაზებს იტყვიან ხოლმე: „ერზერუმში სჯობდაო". რასაკვირველია, რომ ესეთ მოკლე ხანში ჯერ მათ ჯავახეთისადმი სამშობლოისებური გრძნობა არ გაჰღვიძებიათ და არც რაიმე კვალი დაუჩნევიათ აქაურობისათვის. ასე გასინჯეთ, აქნობამდის ერთი რიგიანი რამე შენობაც კი არ გაუკეთებიათ. იგივე სოფლები იმავე სახელებით, იგივე გზები და ქუჩები, რაც ქართველებს მიუტოვებიათ შიშიანობის დროსა. მხოლოდ სახლები თუ აღარ არის ისეთი, მათ მაგივრათო ეხლა უბრალო მიწური ქოხებია, რაც აუცილებლივ ამ მოსულ ერის არქიტექტურულ გემოვნებას თუ შეეფერება. ერთის სიტყვით, მთლად ჯავახეთის ზედაპირი და ყველაფერი, რასაც კი საუკუნოებრივი ხასიათი აქვს, ან თვალი გადაევლება ყველაფერი ქართველი ერის ქმნილებაა. მთელ ახალქალაქის მაზრაში დღესაც თვალს იპყრობს თუნდაც ნახევრად დანგრეული, მაგრამ ჯავახეთის სულ ახლო დროის დიდებულ წარსულზე დიდებულად მეტყველი გუმურდოს ეკლესია და მრავალი ამისთანა სხვა. განა შეიძლება, რომ ამგვარ კულტურულ ნაშთებით აღბეჭდილი, ქართველების სისხლით არა ერთხელ გაპოხიერებული საქართველოს კუთხე, სადაც იმ ჩვენ ღირს წინაპართა შთამომავლობა

1 იგულისხმება რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ II [რედ.].

არც თუ ეგრე მცირეა, ასე უბრალოდ ავილოთ და მოვაშოროთ სამუდამოდ თავის დედა ქალაქ თბილისს? რას გზით!

ამასთანავე არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჯავახეთი წარმოადგენს საცხოვრებელ ალაგს არა მარტო ჯავახეთელ ქართველებისათვის. თუშური ცხვარი ისევე საჭიროობს ზაფხულობით ჯავახეთის მთებს, როგორც ზამთრობით ბარსა. ეს მისი თვისებაა. ჯიში შექმნილია საქართველოს მთლიან სხეულის შესაფერისად. მეცხვარეობა კი ჩვენი თუშებისათვის მილლიონების წყაროა.

ბოლოს და ბოლოს, ჯავახეთი [ხ]ომ ბურთი არ არის, ხან ერთს გადაუგდოთ ხან მეორეს. ჯავახეთი ერთერთი კუთხეა საქართველოსი თავის ისტორიული ერით, წარსულით, აწმყოთი და მომავლითა. ამის შესახებ კითხვის გადაწყვეტის დროს დიდი სიფრთხილე ჰმართებთ უფლება მოსილებს, რათა ნასწრაფი და მოუფიქრებელი საქციელით საყვედური არ დაიმსახურონ ისტორიისაგან.

### რ. ინგილო[1]

## საქართველოს ტერიტორიის საკითხი და საინგილო

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 1917 წ., 29 ქრისტეშობისთვე (დეკემბერი), № 282, გვ. 2.*

რუსეთის რევოლუციის მიმდინარეობიდან ცხადათა სჩანს, რომ საქართველო ადრე თუ გვიან იძულებული გახდება დაადგეს თავდაცვის გზას და გამონახოს საშუალებანი, რომლის მეოხებით ჩვენი ერი შესძლებს აწარმოვოს საკუთარი კანონმდებლობითი პოლიტიკა. მიუხედავად იმისა, რომ 1783 წლის ხელშეკრულობის ძალით საქართველოს რევოლუციის პირველ ხანებშივე შეეძლო განეხორციელებინა პოლიტიკური სუვერენობა, რომელსაც მოწინავე სახელმწიფონი, ეჭვი არ არის, სცნობდნენ კანონიერად: – ჩვენი ხალხი მრავალ შინაურ მიზეზთა გამო სულ უკანასკნელ დრომდე მოქმედებდა როგორც ორგანული ნაწილი რუსეთის მპყრობელობისა და არ ადგენდა ნაციონალურ მოთხოვნილებებს, რომელიც იმ თავიდანვე წამოაყენა ფინლანდიამ, უკრაინამ, ესტ[2]-ლიტვამ, ყაზახებმა და სხვებმა.

ბოლშევიკების აჯანყებამ და მისგან გამოწვეულმა სახელმწიფოს დანგრევამ იმგვარი პირობები შეჰქმნა რუსეთში მოსახლე ერებისათვის, რომ მათი პოლიტიკური მოთხოვნილება წამოყენდა პირდაპირ დღიურ საკითხად. ამ შემთხვევაში უაზრო იქნებოდა რომელიმე ერს კიდევ ეწარმოებინა საერთო პოლიტიკა და არ გამოსულიყო საკუთარ ეროვნულ პოლიტიკისა და მისწრაფებათა მატარებლად.

საქართველოს პირველ ეროვნულმა ყრილობამ ბრძნულად გაითვალისწინა რუსეთის სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრების პერსპექტივები და შეურყეველი გარდაწყვეტილებით აღიარა ეროვნულ თვითკანონმდებლობის შემოღება ტერიტორიალურ პრინციპზე. ამ დიდ ისტორიული მოვლენების განხორციელება არც ისე ადვილია, როგორც ზოგიერთს მიაჩნია: საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ საქართველოს ტერიტორიის ერთი ნაწილი დღეს ოსმალეთის ხელშია, ხოლო ზოგიერთ განაპირა კუთხეებში ჟამთა მსვლელობისა და დუხჭირ გარემოებათა გამო დღეს უცხო ელემენტი მოსახლეობს და ამისდა მიხედვით საქართველოს მმართველობა იძულებული გახდება პოლიტიკურ დიპლომატიური მოლაპარაკება იქონიოს ამა თუ იმ მეზობელ ერთან კუთვნილებისამებრ. მაგრამ, თავის თავად ცხადია, ეს მოლაპარაკება იმას არა ნიშნავს, რომ ქართველობამ დასთმოს ის ადგილები, რომელიც უხსოვარ დროიდან შეადგენს საქართველოს სახელმწიფოს ნაწილს, კომპრომისული შეთანხმება ჯერ კიდევ იმას არა ჰგულისხმობს, რომ ჩვენი ხალხი უარს იტყვის საქართველოს ისტორიულ და ბუნებრივ საკუთრებაზე, პირიქით ქართველობა ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაჰყაბულდება მის ტერიტორიის ნაწილის ჩამოჭრას, რადგანაც ეს იქნებოდა მომასწავებელი საქართველოს პოლიტიკური დაქვეითებისა და ფიზიკური უძლურებისა.

საინგილო არის საქართველოს ერთი სწორედ იმ კუთხეთაგანი, რომელიც გამოცხადებულია „სადავოთ“. რევოლუციის დროს ხშირად გვსმენია ლაპარაკი ამა თუ იმ კუთხის ორიენტაციის შესახებ. იმ მრავალ დამოუკიდებელ ერთეულების შედგენაში პროვინციებს აერთიანებდნენ უმთავრესად ორი პრინციპის მიხედვით: კულტურულ-ისტორიულისა და ეგრედ წოდებული რეალ მოსახლეობის. რამდენადაც კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისი ტერიტორიულ საკითხის

---

1 რ. ინგილო ფსევდონიმია, რაფიელ ივანიცკი (1886-1966), ქართველი იურისტი, პუბლიცისტი, სასულიერო პირი. [რედ].

2 იგულისხმება „ესტონეთი“ [რედ.].

გადაწყვეტაში მისაღებია, იმდენად მეორე შეხედულება სრულიად უვარგისია: ამ უკანასკნელმა პოპულიარობა მოიპოვა მეტადრე ეხლანდელ დროს, და ზოგიერთ პოლიტიკურ მიმართულებას იგი მიაჩნია პანაცეად ყოველ სოციალ-პოლიტიკურ საკითხის გადაწყვეტაში. რეალი მოსახლეობა თავისთავად იგულისხმებს აგრეთვე რეფერენდუმსაც, ვინაიდან უკანასკნელის დაცვა ყოველი სხვა თვალსაზრისით შეუძლებელია. არც სახელმწიფო უფლების მეცნიერებამ იცის ამგვარი გადაჭრა უფლებრივ-ტერიტორიალურ საკითხისა. რეალ მოსახლეობის დაცვა ზოგიერთების აზრით წარმოადგენს დემოკრატობის და სამართლიანობის უაღრეს გამოსახვას, ხოლო ავიწყდებათ, რომ თვით ეს შემდგომი მოსახლეობა დამყარებულია დიდ უსამართლობაზე, რადგანაც ისტორიული ფაქტები ჩვენი ცხოვრებისა ამოწმებს, რომ საქართველოს ის პროვინციები, სადაც ამ ჟამად უცხო ელემენტები სჭარბობს, შეადგენენ ჩვენი სამშობლოს განუყოფელ ნაწილს და დასახლებული იყო ქართველებით. უცხო ხალხის დასახლება გადმოსახლება გარდა ამისა სრულებით არ ამტკიცებს იმას, რომ მათ მიერ დაჭერილი ტერიტორია შეადგენს მათსავე კუთვნილებას სახელმწიფოებრივი თვალთახედვით: დღეს თითქმის აღარ მოიძებნება სახელმწიფო ერთ განკერძოებულ ერისაგან შემდგარი, – არსებულ ეკონომიურ და პოლიტიკურ პირობებს არ შეეფერება კარჩაკეტილობა, აღებ-მიცემობის ბუნება და საზოგადოდ კაპიტალისტური წარმოების წესები ინგრევს „ჩინეთის კედლებს“ და ერთ სახელმწიფოდან მეორეში ისვრის ხალხის ტალღას. მიუხედავად ამისა, განსაზღვრულ ტერიტორიაზე მკვიდრთ არ ერთმევა მათი სუვერენული უფლებანი: სახელმწიფოს ძალა-უფლება მათვე ხელში რჩება. ვარშავის მცხოვრებთა მომეტებულ ნაწილს შეადგენდენ ურიები, მაგრამ არავის დაჰბადებია ეჭვი იმაში, რომ ეს ქალაქი არის წმინდა პოლონური; თბილისში ქართველობა უმცირესობას შეადგენს, მაგრამ დღეს ხატისოვიც კი დაჯერებულია იმაში, რომ იგი საქართველოს დედა ქალაქია. მაშასადამე, საქართველოს განაპირა კუთხეების და კერძოდ საინგილოს საკითხის გამოსარკვევად რეალ მოსახლეობის ტრაფარეტი არ ივარგებს. ჩვენ წინააღმდეგნი ვართ აგრეთვე რეფერენდუმის მოწყობისა ამ პროვინციაში, როგორც ეს ვინმე შირვანსკის განუზრახავს (იხ. Возрождение №207), რადგანაც საინგილოში ამ ჟამად უმრავლესობას შეადგენს შემოხიზნული ლეკობა, რომელთა სიმპატია, ეჭვს გარეშეა, მთისკენ იხრება.

ზაქათალის ოლქს ასე ადვილად ვერ დასთმობს საქართველო: გარდა იმისა, რომ ეს მეტად მდიდარი მხარე ჩვენი ქვეყნის ბეღლად უნდა ჩაითვალოს, საინგილო ისტორიულადაც საქართველოს განუყოფელს ნაწილს შეადგენს. მოგეხსენებათ, რომ საინგილო ძველი ჰერეთის ნაწილია და მთელი ეს კუთხ[ე] უწინ ქართველობას ეჭირა. ისტორიკოსების დამოწმებით აქ ქრისტიანობა წმ. ნინოზე უწინ უქადაგნია ეპისკოპოზ ელისეს; მან შემოიარა მთელი ჰერეთი და ნუნის მახლობლად ააგო დიდებული ტაძარი, გიშის მონასტრად წოდებული, რომელიც დღეს სომეხთა ხელშია. ამგვარი ისტორიული ნაშთებით სავსეა საინგილო. ყოველ მომარჯვებულ ხეობაში და მთის გორაკზე შეხვდებით ციხე-კოშკებს და ეკლესიებს, ქართველ მეფეთა მიერ აგებულს. საინგილოს განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდნენ საქართველოს მმართველნი, რადგანაც ამ კუთხის გამაგრებით და ძლიერებით ქიზიყი და კახეთი უზრუნველყოფილი იყვნენ ლეკთა შემოსევისაგან.

საინგილოს მზე ჩაესვენა მაშინ, როდესაც საქართველოს ამაოხრებელმა შაჰ აბაზმა[1] 1587 წელს ეს მხარე ჩამოაცილა საქართველოს. ამავე შაჰმა 1615-1616 წლებში ლეკების შემწეობით აატიალა მთელი კახეთი, მცხოვრებთა დიდი ნაწილი გაჟლიტა, ბევრიც სპარსეთს გადაასახლა. ქართველობის დაცარიელებულ სახლ-კარში მოიკალათეს იმ ლეკებმა, რომელთა შთამომავალნი დღეს იხრებიან მთიულთა კავშირისაკენ და საინგილოს სახელით პოლიტიკურ განაჩენებს ადგენენ. ამის შემდეგ საინგილოში იწყება ნელი, მაგრამ სისტემატიური პროცესი ქართველობის შემცირებისა, ხოლო უცხო ტომთა და განსაკუთრებით ლეკთა ასე ვსთქვათ გიპერტროფია. ლეკების დასახლება ადვილად არ დაუჯდა საინგილოს. ნახევრად ველური ხალხი ნამდვილ მტრის ბანაკად მოევლინა ქართველობას: 1706 წელს ლეკობამ მთლად დაარბია საინგილო და იმ წლიდან დაწყებული ვიდრე მეცხრამეტე საუკუნის ნახევრამდე საინგილო განიცდიდა მათ ტერორს. ისტორიული უკულმართობის გამო საინგილოში დღეს 20,000-მდეღაა ქართველთა რიცხვი, მათ შორის 75 პროცენტი მაჰმადიანია.

რევოლუციამდე საკითხს საქართველოს ტერიტორიის შესახებ უფრო აკადემიური ხასიათი ჰქონდა, მაგრამ დღეს ეს საკითხი მთელი სიმწვავით წამოყენებულია და დაუყოვნებლივ მოითხოვს გადაჭრას. ქართველი საზოგადოება ოდნავ თუ იცნობდა ინგილოთა ყოფა-ცხოვრებას, ეს მხარე ჭეშმარიტად მივიწყებული იყო; მხოლოდ ჩვენი დაუდევრობის და სიზარმაცის ბრალია, რომ ინგილო მაჰმადიანი თავისი უმეცრებით და ფანატიკოსების ზეგავლენით აცხადებს, რომ იგი თათარია! მხოლოდ

1 იგულისხმება ირანის შაჰი აბას I (1587-1629). (რედ.).

ჩვენი ბრალია, რომ ინგილოთა შორის ეროვნება და სარწმუნოება დღეს სინონიმებად გადაქცეულა, – რომ მასსა ვერ გამორკვეულა ელემენტარულ ცნებაში. დიდი მუყაითობა გვჭირია, რომ ეს კუთხე გადაგვარებას ავაცდინოთ; ამ წმინდა საქმეში დახმარება უნდა ვსთხოვოთ ჩვენს ძმებ აჭარლებს, რომელნიც ცხადზე-უცხადესად დაუმტკიცებენ ინგილო-მაჰმადიანებს, რომ შეიძლება ერთსა და იმავე დროს იყო მართლმორწმუნე მაჰმადიანი და პატრიოტი – ქართველიც!

„საქართველოს პოლიტიკური თვითმმართველობის საკითხში სიმძიმის ცენტრი დღეს ჩვენ-თვის ტერიტორიის საკითხი უნდა იყოს და არა საკითხი კომპეტენციისა, როგორც ეს ბევრსა ჰგონია. კომპენტენციის გაფართოება თავისუფლად ყოველთვის შეიძლება მომავალში, ხოლო დაკარგული ტერიტორიის დაბრუნება ფუჭი ოცნება იქნება“.. ასე ამბობდა პავლე ინგოროყვა თავის მოხსენებაში მიმდინარე წელს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის კონფერენციაზე. სრული ჭეშმარიტებაა! ისეთი პატარა ერისათვის, როგორიცაა ქართველობა, არამც თუ მთელს მაზრასა და ოლქს, თვით მცირე ქალაქსაც კი აქვს მნიშვნელობა, ამიტომ ტერიტორიის საკითხში ჩვენ გვმართებს იმგვარი პოლიტიკის დაჭერა, რომ მეზობელ ერებმა იგრძნონ თავიდანვე, რომ საქართველო თავის კუთვნილებას არავითარ შემთხვევაში არ დასთმობს.

მართლაც, ძნელი წარმოსადგენია, რომ ჩვენს პოლიტიკურ წრეებში აღძრული ყოფილიყოს საკითხი კომპრომისზე ტერიტორიის შესახებ, ეს ხომ პოლიტიკური უსუსურობა იქნებოდა და მასთანვე ღალატი ჩვენი ხალხისა! ეროვნულ ენერგიის დაგროვებას ყოველნაირად ხელს უნდა ვუწყობდეთ, ჩვენი ერის სოციალურ და კულტურულ ზრდა-განვითარებას გასაქანი უნდა მივცეთ, რომ ვიწრო კედლებში არ ამოიხრჩოს ერის პოტენციური ძალა, მაგრამ ეს უნდა ხდებოდეს ეროვნულ-ტერიტორიალურ ჩარჩოებში, ხოლო მისი გამოთვლა და გარანდვა უნდა შეადგენდეს დღეს მთელი ქართველი ერის ზრუნვას.

## ოსმალეთის საზავო პირობები

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 1917 წ., 30 (21) ქრისტეშობისთვე (დეკემბერი), № 283, გვ. 2.*

ოსმალეთის საზავო დელეგაციამ წარუდგინა რუსეთის დელეგაციას ზავის პირობების პროექ-ტი, რომლის მთავარი დებულება შემდეგ მუხლებს ემყარება.

საზღვრის ხაზები, რომელიც გაჰყოფს რუსეთს ოსმალეთისაგან, დარჩება ისევ ის, რაც ომამდე იყო. ომის დროს გაფუჭებული ადგილები აღდგენილ უნდა იქმნას თანახმად 1880 წ. გადამიჯვნის კომისიის დადგენილებისა. ოსმალეთი და რუსეთი ოცი წლის განმავლობაში ვალდებულნი არიან შეჰკრან სავაჭრო პირობები, დაარსონ საკონსულო კონვენცია და სხვა. ამ ხნის განმავლობაში ორივე ხელშეკრული მხარეები ვალდებულნი არიან უზრუნველ ჰყონ თავიანთი ქვეშევრდომნი ყოველივე პირობების გაუმჯობესებით, როგორც, მაგალითად, ოსმალეთშია გაუმჯობესებული ქვეშევრდომთა პირობები გერმანეთ-ოსმალეთის კომერციული ხელშეკრულობის ძალით, რომელიც დადებულია 1917 წლის ღვინობისთვეში. თვითეული მხარე ვალდებულია აუნაზღაუროს კერძო პირებს ის დანაკლისი, რომელიც მათ მიაყენეს უმოძრავო ქონების სეკვესტრით.

ხელშეკრულობის დამდები მხარეები, ვალდებულნი არიან სცნონ სრული დამოუკიდებლობა სპარსეთისა, ტერიტორიის შენარჩუნებით და თავისუფალ განვითარების უფლებით. უნდა გაუქმებულ იქმნას ყველა ის ინტერნაციონალური ხელშეკრულობანი, რომლის ძალითაც სპარსე-თის ესა თუ ის ნაწილი ამა თუ იმ სახელმწიფოს გავლენის ქვეშ მოჰყვებოდა. ორივე სახელმწიფოს გაჰყავთ თავიანთი ჯარი სპარსეთიდან.

რუსის სავაჭრო გემებს ნება მიეცემათ დარდანელით და ბოსფორით იარონ უშიშრად ამ ომის განმავლობაში. შეთანხმებით განსაზღვრულ ადგილებში ნეიტრალ სახელმწიფოებთა გემებსაც მიეცემათ ნება ვაჭრობისა. რუსეთი თავისი მხრით ხსნის ოსმალეთის კომერციულ გემებისათვის კერჩის სრუტეს და აზოვის ზღვას.

რუსეთი ვალდებულია მოხსნას საზღვრიდან მთელი თავისი ჯარი და ყველა სამოქალაქო დაწესებულებანი რვა კვირის განმავლობაში ხელშეკრულობის დადების დღიდან, რუსეთი ერთს დივიზიას დაიტოვებს საზღვარის დასაცავად 150 კილომეტრის მანძილზე, დაშლილ ჯარს და თავისუფალ ჯარის-კაცებს რუსეთის შიდა გუბერნიებში გააგზავნის. რუსეთი ვალდებულია დაშალოს სომხის მოხალისე ჯარი, შედგენილი ლტოლვილებისაგან და რუსეთის სომხებისაგან, რომელიც იმყოფება ოსმალეთის დაკავებულ მიწებზე და რუსეთის ტერიტორიაზე და სავსებით

გააუქმოს ეს ჯარი.

რუსეთს არა აქვს უფლება მოახდინოს ჯარების კონცენტრაცია ერთს დივიზიაზე მეტი, თუნდაც საზღვრის დასაცავად ომის სრულ გათავებამდე. ოსმალეთი კი, როგორც სახელმწიფო, რომელიც კვლავ განაგრძობს ომს სხვა მოწინააღმდეგებთან სტოვებს თავის ლაშქარს სამხედრო წესებში. უნდა მოხდეს რუსეთის ფლოტის დემობილიზაცია შავ ზღვაზე. რუსეთი ვალდებულია შავი ზღვა განსწმინდოს ნაღმებისაგან. ასეთ ვალდებულებას იღებს თავის თავზე ოსმალეთი ნაღმების შესახებ შავ ზღვაზე.

# 1918 წელი

## ქრონიკა
### პავლე ინგოროყვას მოხსენება

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 1918 წ., 4 თებერვალი, № 28, გვ. 2.*

ამ დღეებში გაიმართება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომა, რომელზედაც პავლე ინგოროყვა წაიკითხავს მოხსენებას ტერიტორი[ულ]ლი საკითხების შესახებ. მომხსენებელი გააშუქებს საქართველოს და კავკასიის სხვა ქვეყნების ეროვნულ-ტერიტორიული გამიჯვნის კითხვას. მოხსენების დრო და ადგილი ცალკე გამოცხადდება.

## ახალი ამბები
### პ. ინგოროყვას მოხსენება

წყარო: გაზეთი „ერთობა“, 1918 წ., 7 თებერვალი, № 30, გვ. 2.

დღეს საღამოს 6 ს., საქართველოს ეროვნულ საბჭოს დარბაზში (ფრეილინის ქუჩა, № 11) დანიშნულია საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომა. პავლე ინგოროყვა წაიკითხავს მოხსენებას ტერიტორიალურ გამიჯვნის შესახებ. საზოგადოების საბჭო სთხოვს ქართულ პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლებს დაესწრონ მოხსენებას. სხდომაზე დასწრება გარეშე პირებსაც შეუძლიათ.

## საზოგადოებანი და კრებები
### პავლე ინგოროყვას მოხსენება.

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 1918 წ., 7 თებერვალი, № 30, გვ. 3.*

დღეს საქართველოს ეროვნულ საბჭოს დარბაზში (ფრეილინის ქუჩა, № 11) გაიმართება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომა, რომელზედაც პავლე ინგოროყვა წაიკითხავს მოხსენებას – ტერიტორიული საკითხების შესახებ. მოხსენების პროგრამა: 1. საქართველო-სომხეთის ეროვნულ-ტერიტორიული გამიჯვნის საკითხი. 2. საქართველო-ადერბაიჯანის საზღვარი: ყაზახისა და ქვემო ყარაიას ველის საკითხი. საზოგადოების საბჭო სთხოვს ქართული პოლიტიკური დასების წარმომადგენლებს დაესწრონ მოხსენებას. მოხსენებაზე დასწრება გარეშეებსაც შეუძლიათ. დასაწყისი სხდომისა საღამოს ექვს საათზე.

## კრებები და მიტინგები

*წყარო: გაზეთი „ერთობა“, 1918 წ., 11 თებერვალი, № 34, გვ. 2.*

დღეს, საღამოს 8 საათ., სამეურნეო ბანკის დარბაზში (სასახლის ქუჩა) გაიმართება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივი კრება. პ. ინგოროყვა წაიკითხავს მოხსენებას ამიერ-კავკასიის ქვეყნების ეროვნულ-ტერიტორიალურ გამიჯვნის შესახებ. საზოგადოების საბჭო სთხოვს პარტიათა წარმომადგენლებს დაესწრონ მოხსენებას. კრებაზე დასწრება გარეშე პირებსაც შეუძლიათ.

# ქრონიკა
## „პრომეთე“

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 1918 წ., 27 თებერვალი, № 44, გვ. 2.*

გამოვიდა ჟურნალ პრომეთეს 2. შემდეგის შინაარსით: [...] 8. პავლე ინგოროყვა. „კავკასიის“ ქვეყნების ტერიტ. გამიჯვნის გამო. [...]

# საზაო მოლაპარაკება

*წყარო: გაზეთი „ერთობა“, 1918 წ., 10 მარტი, № 56. გვ. 2.*

გუშინ, 9 მარტს ტრაპიზონიდან შემდეგი დეპეშა მოუვიდა ამიერ-კავკასიის მთავრობას: საზავო მოლაპარაკების დროს გამოირკვა, რომ ოსმალეთის დელეგაცია ეყრდნობა ბრესტლიტოვსკში დადებულ ხელშეკრულობას და მას სცნობს ამიერ-კავკასიისთვის სავალდებულოდ.

# ტერიტორიალური გადამიჯვნა

*წყარო: გაზეთი „ერთობა“, 1918 წ., 12 მაისი, № 94, გვ. 1.*

არის შედარებით ბედნიერი ქვეყნები, სადაც ერთი მოდგმის ხალხი, ერთი მთლიანი ერი ბინადრობს. ასეთია, მაგალითად, საფრანგეთის რესპუბლიკა.

მაგრამ სახელმწიფოს უმრავლესობაში მცხოვრებთა შემადგენლობა ჭრელია, მრავალი ეროვნება ცხოვრობს სხვადასხვა ენით და ზნე-ჩვეულებით, სხვადასხვა კულტურით და ეკონომიურ განვითარებით. ასეთია რუსეთი, რომელსაც ამიერ-კავკასია უკვე გამოეყო და ცალკე რესპუბლიკა დაარსა.

თვით ამიერ კავკასიაში მრავალი ერი ცხოვრობს და ამ ერების შეთანხმება, მათში კეთილ განწყობილების დამყარება აუცილებელია. ამისთვის თითეულ ერს უნდა მიეცეს საშუალება თავისუფალ განვითარებისათვის, რაც შესაძლებელია შესაფერ საზოგადოებრივ ორგანიზაციის შექმნით. ყოველი ორგანიზაცია, ყოველი სახელმწიფოებრივი ერთეული განსაზღვრულ მიდამოზე შეიძლება არსებობდეს. უტერიტორიოთ ვერც ერთი სახელმწიფო ვერ იარსებებს, და რადგან უკვე აღიარებულია ამიერ-კავკასიის ფედერატიული რესპუბლიკა, ცხადია, ახლავე უნდა განისაზღვროს ამ ფედერაციების მიდამო, უნდა შემოიხაზოს საჭირო ტერიტორია.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, ამიერ-კავკასიაში მრავალი ერი ბინადრობს. ყველა ერისთვის სახელმწიფო ერთეულის გამოჭრა ძალიან შორს წაგვიყვანდა, ისედაც ჭრელს ურთიერთობას კიდევ უფრო ააჭრელებდა და ეკონომიურ განვითარებას შებოჭავდა. მართლაც როგორ შეიძლება სახელმწიფო შექმნას ისეთმა ერმა, რომლის რიცხვი მხოლოდ რამდენიმე ათი ათასით განისაზღვრება. ასეთ სახელმწიფოს მარტო მთავრობის შესანახათ არ ეყოფოდა თავისი ბიუჯეტი. ამიტომ ჯერ-ჯერობით განზრახულია ამიერ-კავკასიის ტერიტორიიდან გამოიჭრას სამი სახელმწიფოებრივი ერთეული, შედგეს სამი რესპუბლიკა – საქართველო, სომხეთი და ადერბეიჯანი, დანარჩენ ერებს უნდა მიეცეს ფართო თვითმართველობა.

როგორ უნდა გამოიჭრას ამ სამი ერის ტერიტორია?

არსებობს ორი პრინციპი: ისტორიული და რეალურ მოსახლეობის.

ისტორიული პრინციპის განხორციელება დღეს შეუძლებელია. ისტორიულათ საქართველოს გაცილებით უფრო დიდი იყო, ვინემ დღეს არის, მაგრამ ამ პრინციპის განსახორციელებლათ არც ძალა შეგვწევს და არც სურვილი გვაქვს რამდენათაც ჩვენ დემოკრატები ვართ და არა იმპერიალისტები.

რეალურ მოსახლეობის მიხედვით ამა თუ იმ ერის ტერიტორიათ უნდა ჩაითვალოს ის ადგილი, სადაც აღნიშნული ერი ბინადრობს. საუბედუროთ მჭიდროთ დასახლებული, ერთი მთლიანი ტერიტორია არც ერთს ერს ამიერ-კავკასიაში არ მოეპოვება. არის მხოლოდ ზოგიერთი გუბერნიები, რომელიც სადავო არ არის. ასეთია, მაგალითად, საქართველოსთვის ქუთაისის გუბერნია და თფილისის გუბერნიის ზოგი მაზრები. რაც შეეხება იმ ადგილებს, სადაც ერები

არეულათ ცხოვრობენ, იქ უნდა ვიხელმძღვანელოთ უმრავლესობის პრინციპით. სადაც შეიძლება და მდებარეობა ხელს უწყობს, ძველი ადმინისტრატიული ერთეულები უნდა დაიჭრას და ახალი შესდგეს. ასეთს ადგილებში საჭიროა შეთანხმება, საქმის მორიგებით გათავება.

გაბატონებული კლასები და ჯგუფები არავითარ უსამართლოების ჩადენას არ მოერიდებიან გადამიჯვნის დროს. დემოკრატია ფხიზლათ უნდა იყოს და უსამართლობის ჩადენის ნება არავის არ უნდა მისცეს, რადგან ტერიტორიების სამართლიანათ და გონივრულათ განწილებაზე ჰკიდია ჩვენი მომავალი ეკონომიური და კულტურული განვითარების საქმე, ადგილობრივ ერების თანამშრომლობა და კეთილი მეზობლური განწყობილება.

## რ. ინგილო

# საქართველოს ტერიტორია

*წყარო: გაზეთი „საქართველო", 1918 წ., 13 მაისი, № 90, გვ. 1.*

კონსტიტუციის შედგენით და წესწყობილების დამყარებით კავკასიის ერთა სახელმწიფოებრივი მოთხოვნილება და პოლიტიკური მისწრაფება ვერ დაკმაყოფილდება. საჭიროა უწინარეს ყოვლისა შესრულდეს აქტი, რომელიც ჩამოაყალიბებს ეროვნულ ერთეულებს, განსაზღვრულ ტერიტორიებზე შეჰქმნის სრულიად დამოუკიდებელ სახელმწიფოებს, რომელთა ნებაყოფლობაზე დამოკიდებული უნდა იყოს ეროვნულ სახელმწიფოთა კავშირის იურიდიული შინაარსი.

რამდენადაც ამიერკავკასიის სახელმწიფოს საერთაშორისო უფლებამოსილობისათვის აუცილებელი იყო სუვერენობის ნოტიფიკაცია, იმდენადვე მისი შინაური უზრუნველყოფისათვის სასურველია ეროვნულ სახელმწიფოთა იმგვარი ორგანიზაცია, რომელიც შესაძლოდ გაჰხდის სოლიდარულ მოქმედებას საყოველთაო სასარგებლოდ.

დასაფარავი არ არის ის გარემოება, რომ ამიერკავკასიის ერები გამსჭვალულნი არიან უმეტესად იმ იდეით, რომ მოაწყონ საკუთარი ნაციონალური სახელმწიფო და ამის შემდგომ გამონახონ საშუალებანი სხვა ამგვარადვე შედგენილ სახელმწიფოებთან დამოკიდებულებისათვის.

რა სახითაც უნდა იყოს კავკასიის სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა, რა ტიპის სახელმწიფოც უნდა დაარსდეს ჩვენს ქვეყანაში – უნიტარული, ფედერალური, კონფედერალური, თუ სავსებით დამოუკიდებელი სახელმწიფონი, – ცხადია, ის, რომ ამ მოვლენას წინ დაერთვის კავკასიის ეროვნულ-ტერიტორიული გადამიჯვნა, და ამ პროცესის სათანადო შესრულებაზედ არის უცილობლად დამოკიდებული საერთაშორისო კავშირის ახალი წევრის წარმატება.

პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ საკითხთა შორის პირველ რიგში სდგას საკითხი ამიერკავკასიის ეროვნულ-ტერიტორიული გადამიჯვნის შესახებ. პრინციპიალურად ამ პროცესის შესრულება სიძნელეს არ წარმოადგენს, რადგანაც ამა თუ იმ ერისა თუ სახელმწიფო[ს] მიწა-წყალი ცნობილია და ამ ჟამად უნდა მხოლოდ შემოიხაზოს სახელმწიფოებრივად ის, რაც რუსეთის ქვეშევრდომობის დროს გაფანტული იყო, როგორც საერთოდ ადმინისტრაციული ერთეულები. მაგალითად, ბევრს გადახლართულ „გორდიის კვანძად" მიაჩნია ჩვენი სამშობლოს ტერიტორიის საკითხი. ეთნოგრაფიული ფერადობა ზოგიერთი საქართველოს განაპირა კუთხეებისა, ძალით დაჩემება და ხელოვნურად მოწყობილი ჩასახლება მრავალ ადგილას ბევრისათვის საკმაო საბუთს შეადგენს ეგრედ წოდებული შემდგომ მობინადრობის, რეალ მოსახლეობის თვალსაზრისზე დგომისათვის. სულ უკანასკნელ დღემდე სოციალისტ-ფედერალისტების პარტია რეალ მოსახლეობის პრინციპზე ამყარებდა კავკასიის ერთა და კერძოდ საქართველოს ტერიტორიულ გადამიჯვნას, რომლის განსახორციელებლად საუკეთესო საშუალებით ასახელებდა რეფერენდუმს. არას ვიტყვით სოციალ-დემოკრატებზე, რომელთაც საქართველოს ისტორიული და სახელმწიფოებრივი პრინციპების რეალიზაცია იმპერიალისტურ ზრახვად ეჩვენებათ. საქართველოს სახელმწიფოებრივი საზღვრების გახსენება მათის აზრით არის გაბატონებული კლასების ინტრიგა. „ერთობა" მოუწოდებს დემოკრატიას „ფხიზლად იყოს და უსამართლობის ჩადენის ნება არავის მისცეს", რადგანაც, ოფიციოზის აზრით, იმ ადგილებში, სადაც ერები არეულად ცხოვრობენ, უნდა ვიხელმძღვანელოთ უმრავლესობის პრინციპით („ერთობა" 94)[1]. მაგრამ თვით „ერთობა"-ც აღნიშნავს, რომ „სახელმწიფოთა უმრავლესობაში მცხოვრებთა შემადგენლობა

1 იხ. ამავე გამოცემაში (გაზეთი „ერთობა", 1919 წ., 12 მაისი, №94, გვ. 1, სტატია: „ტერიტორიალური გადამიჯვნა").

ჭრელია, მრავალი ეროვნება ცხოვრობს სხვა და სხვა ენით და ზნე-ჩვეულებით, სხვა და სხვა „კულტურითა და ეკონომიურ განვითარებით“. სრული ჭეშმარიტებაა, რომ ძლიერ მცირეა ისეთი ქვეყნები, სადაც ერთი მთლიანი ერი ბინადრობს; სოციალ-ეკონომიური პირობების მეოხებით ძველი „ჩინური კედლები“ ყველგან მინგრეულია და ხალხის ტალღა დაუბრკოლებლად გადადის ერთი სახელმწიფოდან მეორეში.

ასეთია ეკონომიურ ცხოვრების, აღებ-მიცემობის გარდუვალი კანონები, რომლის წინააღმდეგ ვერავითარი აკრძალვითი ზომები ვერ იმოქმედებს. მაგრამ რომელიმე სახელმწიფო ან ეროვნული ერთეული ჰკარგავს საკუთარ სახეს, იმისდა მიხედვით, თუ რა პროცენტს შეადგენს თვის ტერიტორიაზე შემოხიზნულებთან შედარებით? ეცლება მას უზენაესი სახელმწიფოებრივი უფლება-მოსილობა მხოლოდ იმიტომ, რომ მოსულ ელემენტის რიცხვი აღემატება აბორიგენებს? აქ ორი აზრი ყოვლად შეუძლებელია: სუვერენობა სახელმწიფოს მკვიდრ ერის ხელში რჩება ყოველს შემთხვევაში და ვერავითარი პროცენტობითი შედარება ცვლილებას ვერ მოახდენს განსაზღვრულ სახელმწიფოს ცხოვრებაში.

პოლონეთის ბევრ ადგილას მცხოვრებთა უმეტესობას შეადგენენ ებრაელები, მაგრამ, არა გვგონია, თვით ებრაელებმაც მიიკუთვნონ ის ადგილები, და ან ვინმეს ეჭვი შეეპაროს პოლონეთის სახელმწიფოებრივ უფლებაში ურიებისაგან დასახლებულ პროვინციებისადმი. საქართველოს დედა-ქალაქ თბილისში, მოგეხსენებათ, ქართველობა უმცირესობას შეადგენს, მაგრამ მიუხედავათ ამისა თბილისის შესახებ დავა შეუძლებელია.

საქართველოს ზოგიერთ განაპირა მხარეებში დუხჭირ დროთა ვითარებისა და მრავალ უსა-მართლოების გამო ქართველობის რიცხვი შესამჩნევად შეთხელდა, მაგრამ იმ დრომდე, ვიდრე რუსეთი ოფიციალურად გააუქმებდა ტერმინს „საქართველოს“ და ჩვენს ქვეყანას დაჰყოფდა გუბერნიებად, ოლქებად და მაზრებად, ხსენებული კუთხეები საქართველოს სამეფოს განუყოფელ ნაწილს შეადგენდნენ და იქ ჩასახლებული ხალხი, რასაკვირველია, ჰგრძნობდა, რომ სცხოვრობს საქართველოს სამფლობელოში. თვითმ[პ]ყრობელმა რუსეთმა საქართველოს სხეული დაჩეხა თვის სურვილებისამებრ და არსებულ ადმინისტრატიულ დაყოფათა შექმნით სავსებით მოსპო საქართველოს ხსენება გეოგრაფიულ რუქიდან. ამრიგად, სამცხე-საათაბაგოს ნაცვლად ჩვენ მივიღეთ Ахалцихскій и Ахалкалакскій уѣзды, საინგილო და ჰერეთის ნაწილი მოგვივლინეს Закаталскимъ округомъ.

საუბედუროდ, თვით ქართველ ხალხში ნამეტანად შესუსტდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი შეგნება. დამოუკიდებლობის დაკარგვასთან ერთად ქართველობაში თითქმის მოისპო მისწრაფება თვითმყოფობისადმი. რუსეთის ბატონობის ჟამს ქართველი ერი იჟღინთებოდა კოსმოპოლიტური იდეებით, ითვისებდა მეტად მხნედ საერთო ინტერნაციონალურ და ინტერპოლიტიკურ იდეალებს და საკუთარ სამშობლოს ბედზე კი, სამარცხვინოდ და ჩვენდა სავალალოდ, არა ზრუნავდა. ამით აიხსნება უმეტესად, რომ საქართველოს სახელმწიფო საზღვრების შესახებ თვით ქართველობაში ჰსუფევს უთანხმოება და შეურიგებლობა.

საქართველოს ტერიტორიის მოწყობაზე და სახელმწიფოებრივ გამოყოფაზე ჩვენ ლაპარაკი მოგვიხდება მეზობელ ერებთან. ცხადია, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველი ხალხის ერთსულოვან აზრსა და შეხედულებას ამ საგანზე. ყოველი მოლაპარაკება ჰგულისხმობს დათმობასა და კომპრომისს, ამიტომ პირდაპირ ტაქტიკური მოსაზრება უნდა ავალებდეს ეროვნულ მოღვაწეს მეტის დარბაისლობით, პერსპექტივების აწონ-დაწონით და მიზანშეწონილებით მოჰკიდოს ხელი სახელმწიფოს ტერიტორიის საკითხს, რომლის გადაწყვეტაში დაინტერესებ[უ]ლი არის მთელი ხალხი. ჩვენ კი გამოვდივართ და საჯაროდ ვყვირით, რომ საქართველოს ისტორიული და სახელმწიფოებრივი საზღვრების დაცვა იმპერიალისტების სულის-კვეთებას შეადგენს და ქართ-ველს დემოკრატიას ამ განზრახვების შესრულება მიზნად არ დაუსახავსო!?

პატარა საქართველოს საუკეთესო კუთხეები მუხანათუ[რ]ად გამოსტაცეს და სხვათა ტომნი იქ „რეალად“ ჩაასახლეს. სახელმწიფო მოღვაწის წმიდა მოვალეობაა, სადაც ჯერ არს აღნიშნოს საქმის ნამდვილი ვითარება და ეცადოს ამ ადგილების საქართველოს საზღვრებში მოთავსებისათვის.

მხოლოდ ცნებათა არევ-დარევით აიხსნება, რომ საკუთარი ტერიტორიის დაცვა აღინიშნოს, როგორც იმპერიალისტური მიდრეკილება.

# ზავის გარშემო
## ბრესტის ხელშეკრულება

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 1918 წ., 22 მაისი, № 97. გვ. 2.*

ბრესტის ხელშეკრულობა ნამდვილად ისეთი არ ყოფილა როგორც ქვეყნიერებას ემცნო ბოლშევიკების მიერ. თურმე ხელშეკრულების იმ მუხლებში, სადაც ტერიტორიის დათმობაზეა ლაპარაკი, ასეთს ადგილებს წააწყდებით: „იხილეთ რუქა“. ეს [„]რუქები“-კი ბოლშევიკების დელეგატების გარდა სხვას არავის არ უნახია, ასე რომ დღეიდან არავინ იცის, რუსეთის ტერიტორიის რომელი ნაწილი დაუთმეს მათ გერმანელებსა.

ასევე შეხვდებით ადგილს: „იხ. საგანგებოდ დათმობილი კონვენცია“. არც ეს დამატებაა გამოქვეყნებული და არც იციან რა შინაარსისაა თვით კონვენცია.

მოსკოვის გაზეთებში მრავალ მხრით გაისმის საყვედური, რომ ბრესტის ხელშეკრულობის სტენოგრაფიული ანგარიში სრულად ჯერ არავის უნახავს.




**ბრესტის ზავის შედეგად (1918 წ. 3 მარტი) რუსეთის მფარველობაში შევიდა: ბათუმი, ყარსისა და არდაგანის ოქლები**

# დამოუკიდებელი საქართველო აღდგა, გაუმარჯოს საქართველოს!

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 1918 წ., 26 მაისი, № 101. გვ. 1.*

დღეიდან საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრება აღდგენილია.

გაუმარჯოს საქართველოს, გაუმარჯოს ქართველს ერს!

საქართველოს ყოველი ნაწილი, ქართველი ერის ყოველი საზოგადოებრივი წრე, ჯგუფი ქედს მოიხრის საქართველოს აღდგენილ[ი] თავისუფლების წინაშე.

ქართველი ხალხი – სოფლის მეურნე, ქალაქის მუშა, ხელოსანი, თუ ვაჭარ-მრეწველნი ერთსულოვნად უნდა შემოკრბენ საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების აღმშენებლობისათვის. ყოველი კლასის, ყოველი ჯფუფის და თვითეული ქართველი მამულიშვილის მხნე და თავგანწირული მოქმედება საჭიროა საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების მტკიცე ნიადაგზე დასამყარებლად.

მთელი ერის საქმიანი ამოძრავებაა საჭირო, რომ ჩვენმა სამშობლომ დროზე დაახწიოს თავი დღევანდელ ეკონომიურ ჩამოქვეითებას, ფინანსიურ გასაჭირს, ანარქიას და უწესრიგობას.

ხალხის ამოქმედება მეურნეობის აღსადგენად და ასაყვავებლად, მრეწველობისა და აღებ-მიცემობის გასაცხოველებლად, ხალხის ქონებრივს და კულტურულ კეთილდღეობას დასამყარებლად მოითხოვს ეროვნული ცხოვრების მშვიდობიან პირობებს.

დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა დაუყონებლივ შეუდგება ოსმალეთთან და მის მოკავშირეებთან და აგრეთვე ყველა მეზობელ ერებთან მშვიდობიანი განწყობილების დამყარებას. საქართველოს არ დაუწყია ომი და არც უწარმოებია ის. ომი დაწყებული იყო იმ რუსეთის მთავრობის მიერ, რომელმაც უხეში ძალით გააუქმა საქართველოს სახელწმიფოებრივობა, ომი გამოუცხადდა დაუკითხავად ქართველი ერის და წინააღმდეგ მისი სურვილისა. ეს ომი განაგრძო ამიერკავკასიის რესპუბლიკამ, რომლის ფარგლებიდან დღეს გამოდის საქართველო. [...]

საქართველოს სახელმწიფოებრივობის აღდგენა და საქართველოს ეროვნული დროშის გაშლა აღადგენს ერში საუკუნის მონობის დროს მიყუჩებულ მამულიშვილურ გრძნობებს, სამშობლოსთვის თავდადებას და თავგანწირულებას. ქართველი მხედრობა ღირსეულად განაგრძობს სახელოვან წინაპართა გზას და მტკიცედ დაიცავს საქართველოს მიწა-წყალს, მის თავისუფლებას და ეროვნულ მთავრობას, რომელიც ამ საიმედო ძალაზე დაყრდნობილი შეუდგება ჩვენი დაუძლურებული ეროვნული ცხოვრების აშენებას და აღდგენას.

საქართველოს მამულიშვილნო! საშინელს მსოფლიო ქარტეხილს, შინაურ და გარეშე ბრძოლაში საქართველოს თავისუფლება იშვა. შემოკრბით ყველანი მის დასაცავად, ასაყვავებლად.

გაუმარჯოს განთავისუფლებულს საქართველოს, გაუმარჯოს ქართველ ერს!

# საზავო დელეგაცია

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 1918 წ., 31 მაისი, № 105, გვ. 2.*

რადგანაც ოსმალეთის ულტიმატუმის მოთხოვნილებები საქართველოს რესპუბლიკასაც ეხება მთავრობამ დაადგინა ბათუმში საზავო დელეგაცია გაგზავნოს მინისტრ-პრეზიდენტის ნოე რამიშვილის მეთაურობით. მას როგორც დელეგაციის [მ]რჩევლები გაჰყვებიან გენ. ბ. ოდიშელიძე ადიუტანტებით, გ. გვაზავა და გ. რცხილაძე. დელეგაციას თან გაჰყვება საჭირო მოსამსახურეთა შტატი.

# ზავის გარშემო

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 1918 წ., 5 თიბათვე (ივნისი), № 109, გვ. 2.*

საქართველო-ოსმალეთის ზავი

საქართველოს და ოსმალეთს შორის ზავი შეიკრა. წინასწარ ხელშეკრულობას ხელი მოაწერეს ბათომში 3 ივნისს ღამის 11 ს. საქართველოს და ოსმალეთის წარმომადგენლებმა.

***

გუშინ განსაკუთრებული მატარებლით ჩამოვიდა თფი[ლი]სში ბათომიდან საზავო დელეგაციის წევრი გ. რცხილაძე, რომელიც მოხსენებას გააკეთებს ეროვნულ საბჭოს წინაშე საზავო მოლაპარაკების შესახებ.

***

ჩვენგან მიღებულ ცნობების მიხედვით, ოსმალეთის მიერ ზავის შე[კვ]რაზე თანხმობა მიეწერება გერმანეთის ზედგავლენას. ოსმალეთის ეხლანდელ მართველ წრეებში მტკიცედ ფეხდადგმული იყო აზრი საზოგადოდ ამიერკავკასიის შემოერთების და საზღვრის კავკასიონის ქედამდის მიბჯენის შესახებ. აღსანიშნავია ამასთანავე როლი თფილისში მყოფ გერმანეთის წარმომადგენლობის უფროსის გრაფ შულენბურგისა, რომელმაც თავისი ინიციატივის უნარით და მოქმედებით შეაჩერა პოლიტიკურ მდგომარეობის ოსმალეთის მიერ კიდევ გართულება.

***

მიღებულ კერძო ცნობებით, ოსმალეთს დაეთმო ტერიტორია ახალქალაქის და ახალციხის მაზრებში და აგრეთვე ოსმალებს ნება მიეცათ ჯარის გატარების რკინის გზით და საზოგადოდ რკინის გზებით სტრატეგიულად სარგებლობისა ამ ომის დროს გერმანიასთან წინასწარ შეთანხმებით.

***

სარწმუნო წყაროებიდან მიღებულ ცნობებით ა.ი. ჩხენკელი კონსტანცათი ბერლინში გამგზავრებულა. ბერლინში 3 ივნისს უნდა ჩასულიყო საღამოთი.

***

ბათომიდან ჩამოვიდა თბილისს პ. სურგულაძე.

**ბრ**

1 ივნისს ბათომში სომეხთა დელეგაციამ ხელი მოაწერა ზავის ხელშეკრულობას ოსმალეთთან. რატიფიკაცია უნდა მოხდეს ოსმალეთში. სომხების დელეგაციამ დაუთმო ოსმალეთს ტერიტორია ულტიმატუმის საზღვრებში. ოსმალებმა თავის მხრივ ცოტაოდნად დაუთმეს სომხებს, სახელდობრ ოთხასი ოთხკუთხი ვერსი ერევ. გუბ. სამხრეთ ნაწილში და 900 ოთხ-კუთხი ვერსი ერევ. და ეჩმიაძ. მაზრებში. მუხლი, რომელიც სომხების შინაურ საქმეებში ჩარევას შეეხებოდა, გამოშვებულ იქმნა. სომეხ გამოქცეულთ ნება ეძლევათ უკან დაბრუნებისა, გარდა ყარსისა და ბათომის ოლქებისა, სადაც დაბრუნება შეიძლება მხოლოდ ცალკე შეთანხმების შეკვრის შემდეგ. საომარი მოქმედება შესწყდა.

საზღვრები სომხების ტერიტორიისა: ჩობანკარადან სოფ. არფესკენ, შემდეგ მდ. კასაყი ეჩმიაძინზე, ალაგეზის მთა ახალქალაქის საზღვრისკენ. ერევანი, ეჩმიაძინი რჩებიან სომხების ტერიტორიაზე.

**აზერბაიჯანი**

ზავი შეკრულია აგრეთვე აზერბეიჯანსა და ოსმალეთს შორის. ხელშეკრულობის თანახმად ოსმალეთს უფლება აქვს შეიარაღებული ძალით ჩაერიოს წეს-რიგის დამყარების საქმეში აზერბაიჯანის ტერიტორიაზე.

# საქართველოს საზღვრები
## ადერბეიჯანსა და სომხეთთან

*წყარო: გაზეთი „სახალხო საქმე“, 1918 წ., 6 ივნისი, № 250 გვ. 1-2.*

ტფილისი, 4 ივნისი. „ანდონსანი“. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ შეიტყო, რომ ადერბეიჯანისა და სომხეთის წარმომადგენლები ოტომანის მთავრობასთან აწარმოებენ მოლაპარაკებებს, ამ ქვეყნების საზღვრების გასამიჯნავადა და შესასწორებლად. ამის გამო მთავრობამ დაადგინა განუცხადოს აღნიშნულ ქვეყნების ეროვნულ საბჭოებს, რომ საქართველოსა, ადერბეიჯანსა და სომხებს შორის საზღვრების გამიჯვნა და შესწორება ამ ქვეყნების მთავრობათა კომპეტენციას შეადგენს და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას შეუძლია ამ საკითხის გამო პირდაპირი მოლაპარაკება აწარმოოს ადერბეიჯანისა და სომხეთის წარმომადგენლებთან ტფილისში ისე, რომ ოსმალეთი სრულებით არ ჩაერიოს ამ საქმეში. თუ ამ საკითხის შესახებ რაიმე ხელშეკრულება აღმოჩნდება ოტომანის მთავრობისა, ადერბეიჯანსა და სომხეთთან ან რომელიმე მათგან, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ვერავითარ შემთხვევაში ვერ სცნობს ასეთ ხელშეკრულებას თავისთვის მისაღებად და სავალდებულოდ.

# ახალი ამბები
## საზღვრების გასწორება

*წყარო: გაზეთი „ერთობა“, 1918 წ., 6 ივნისი, № 115, გვ. 1.*

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ გაიგო, რომ ადერბეიჯანისა და სომხეთის მთავრობები აწარმოებენ მოლაპარაკებას ოსმალეთის მთავრობასთან ამ სახელმწიფოთა შორის საზღვრების დაწესებისა და შესწორების შესახებ. ამის გამო მთავრობამ დაადგინა მიუთითოს ადერბაიჯანისა და სომხეთის ეროვნულ საბჭოებს, რომ საქართველოს, სომხეთსა და ადერბეიჯანს შუა საზღვრების დაწესება და შესწორება შეადგენს ამ სახელმწიფოთა კომპეტენციას და რომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას შეუძლია ამ სახელმწიფოებთან აწარმოვოს მოლაპარაკება ამ საკითხის შესახებ თფილისში ოსმალეთის ჩაურევლათ. თუ ამ საკითხის შესახებ აღმოჩნდა რაიმე ხელშეკრულება ერთის მხრით ოსმალეთის იმპერიისა და მეორეს მხრით ადერბეიჯანსა და სიმხეთის, ან ერთი რომელიმე მათგანის შორის, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ასეთ ხელშეკრულობას არას შემთხვევაში ვერ სცნობს თავისთვის მისაღებათ და სავალდებულოთ.

# ზავის ჩამოგდება

*წყარო: გაზეთი „ერთობა“, 1918 წ., 6 ივნისი, № 115, გვ. 1.*

ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულობა უკვე ხელმოწერილია. განხორციელდა ჩვენი ხალხის ოცნ[ე]ბა: საშინელი სისხლის ღვრა შესწყდა.

როგორია ზავის პირობები? გვეძლევა თუ არა საშუალება თავისუფალ განვითარებისათვის, უზრუნველყოფილია თუ არა რამდენიმეთ მაინც ჩვენი მომავალი?

საუბედუროთ ოსმალეთთან შეკრული ზავი გაცილებით უფრო საზარალო გამოდგა, ვინემ ჩვენ ამას მოველოდით: ჩვენს ნორჩ რესპუბლიკას ჩამოაშორეს ჩვენი ძველი კულტურის აკვანი – ჯავახეთი და მესხეთი[1], დავკარგეთ ჩვენი ქვეყნის კარი ახალციხე. ყოველთვის აქედან მოდიოდა ჩვენს ქვეყანაში მტერი, ამ ადგილებში იღვრებოდა სისხლი ჩვენ მამა-პაპათა, რომელთაც კარგათ ესმოდათ მათი სტრატეგიული მნიშვნელობა. ახალციხე-ახალქალაქის დაკარგვით ჩვენი ქვეყანა ემსგავსება უკარო სახლს, რომელშიაც ყველას თავისუფლათ შეუძლია შესვლა.

---

1 ჯავახეთი მესხეთის ნაწილია, ამიტომ მათი ცალ-ცალკე მოხსენიება არამართებულია, რასაც ხშირად აქვს ადგილი. აქ მესხეთის ქვეშ სამცხე იგულისხმება. სამცხე-ჯავახეთის ნაცვლად ხშირად უმართებულოდ წერენ მესხეთ-ჯავახეთს. [რედ.].

მეტათ სამძიმოა ზავის პირობის მეორე მუხლიც: ოსმალეთს უფლება ეძლევა საერთაშორისო ომის დასრულებამდის თავისი ჯარები გაატაროს ჩვენის რკინის გზით, უფლება ეძლევა საჭიროების დროს ეს ჯარები ამა თუ იმ სადგურზე დაასვენოს. და გადასვლის დროს ოსმალეთის ჯარს შეუძლია საჭირო სურსათი და ფურაჟი ჩვენში შეიძინოს. ოსმალეთს უფლება არ აქვს ჩვენს შინაურს საქმეებში ჩაერიოს, მაგრამ თუ ჩვენმა ჯარმა საკუთარ ძალით ვერ შესძლო რკინის გზაზე წესიერების აღდგენა, მას ნება ეძლევა თითონ აღადგინოს წეს-რიგი. ასეთია მთავარი მუხლები.

ამავე დროს ჩვენი საზღვრები გაუსწორებელი რჩება ადერბაიჯანის მხრით, რასაც ეჭვი არ არის სათანადოთ გამოიყენებენ სომეხი და მუსულმანი ნაციონალისტები.

ოსმალეთთან ზავი შეკრეს აგრეთვე ამიერკავკასიის მუსულმანებმა და სომხებმა. მიღებულ ცნობების თანახმად, ოსმალეთს უცვნია ადერბაიჯანი და სომხეთის დამოუკიდებლობა.

ამ რიგათ ამიერ-კავკასია და კერძოთ საქართველო გამოვიდა საერთაშორისო ომის ცეცხლიდან და ზავი შეიკრა. დაღლილი მოქალაქე დღესასწაულობს, ის წინდაწინვე ეძლევა განცხრომას მშვიდობიან ცხოვრების მოლოდინში.

საუბედუროთ, ზეიმი უსაფუძვლოა, ხანმოკლეა სიხარული და განცხრომა.

დებულება: ვისაც ზავი სურს, ემზადოს ომისთვის – არასოდეს არ ყოფილა ისე საფუძვლიანი, როგორც დღეს არის. ზავმა, შეიძლება ითქვას, ბევრი ახალი მტერი შეგვძინა. რუსი იმპერიალისტები, ამიერ-კავკასიის ველური ტომები, ადერბაიჯანის და სომხეთის ნაციონალისტები – ერთმანეთს ეჯიბრებიან ჩვენი ქვეყნის ამოგდების საქმეში. თუ ოსმალეთმა მართლა გაატარა ჩვენი რკინის გზით ჯარი – ჩვენ ჯიბრში ჩაგვიდგება ძლიერი ინგლისი, რომელიც იმას მაინც მოახერხებს, თუ საკუთარი ჯარები ვერ გადმოსხა, რომელიმე მეზობელი მოგვისიოს და აგვიკლოს. ამას ჩაიდენს, რასაკვირველია, არა ბოროტებით, არამედ ოსმალეთ-გერმანიის გავლენის შესასუსტებლათ. გადამეტებული არ იქნება ვთქვათ, რომ ზავის შეკვრით ჩვენ ახალ ომის შესაძლებლობაში გადავ-დივართ.

გარდა ამისა თვით ოსმალეთი არ არის სანდო. თუ კი მას გარემოება შეუწყობს ხელს, ზავის დარღვევას, რასაკვირველია, არ ითაკილებს. ფორმალურათ ერთი თვის ვადაა დადებული ზავის რატიფიკაციისათვის, ამ ერთი თვის განმავლობაში სტამბოლში შეუძლიათ ზავის პირობები დაამტკიცონ ან არ დაამტკიცონ. გარდა ამისა ჯარების გადაყვანის დროს ის ყოველთვის იშოვის საბაბს, რომ პირობების დარღვევა ჩვენ დაგვაბრალოს და თავის მხრით წამოგვიყენოს ახალი პირობები. ყველაფერი ეს დამოკიდებული იქნება ერთის მხრით იმაზე, თუ როგორ წავა ოსმალეთის საქმე მეომარ სახელმწიფოებთან, გაიმარჯვებს ის, თუ დამარცხდება, და მეორე მხრით იმაზე, თუ რა ძალა გ[ვ]ეყოლება ჩვენ და შევძლებთ თუ არა ანარქიის მოსპობას. თუ ოსმალეთის მდგომარეობა ოდნავ მაინც გამოკეთდა და ჩვენ ძალა არ მოგვემატა, ეჭვი არ არის, ის ზავის პირობებს დაარღვევს და კვლავ გააჩაღებს ჩვენთან საომარ მოქმედებას, რომ საბოლოვოთ დაგვიპყროს.

ასეთია ახალი ზავი.

აქედან მხოლოდ ერთი გამოსავალი გზა აქვს საქართველოს დემოკრატიას: მან უნდა მჭიდროთ შეკრას თავისი რაზმები და ანარქია ალაგმოს და ამავე დროს ხელი შეუწყოს მთავრობას ჯარის შედგენაში.

ჯარი და წეს-რიგის დაცვა – აი რა მოგვცემს ნამდვილ ზავს და გვიხსნის ჩვენ ოსმალეთის ბატონობისაგან. სხვა გზა არა გვაქვს.

## მძიმე პირობები

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 1918 წ., 6 თიბათვე (ივნისი), № 110, გვ. 1.*

ჩვენმა დელეგაციამ უკვე მოაწერა ხელი საზავო ხელშეკრულობას ბათომში. საქართველოსა და ოსმალეთს შორის ამის შემდგომ ომი სწყდება და იწყება მშვიდობიანი ურთიერთობა თანახმად ზავის პირობებისა.

საზავო პირობები მეტად სამძიმოა საქართველოსთვის. ოსმალეთს ეთმობა მთელი ახალქალაქის მაზრა და ახალციხის მაზრა, გარდა მცირე ნაწილისა. ყველა ჩვენი რკინის გზები ოსმალეთმა უნდა გამოიყენოს ამ ომის დროს თავის სამხედრო საჭიროებისათვის.

მას ჯარების გადაყვანის უფლება ენიჭება ჩვენს გზებზე, მათთვის სურსათის შეძენისა და სხ. საქართველომ უნდა იყოლიოს მხოლოდ იმდენი ჯარი, რამდენიც ეს მშვიდობიანობის დროს არის

საჭირო. საქართველოს აღმოსავლეთის საზღვრები ამ საზავო პირობებით არ არის გამორკვეული. ეს საზღვრები ჩვენ უნდა შევიმუშავოთ ჩვენ მეზობელ ადერბაიჯანთან შეთანხმებით.

ბათომის უბედურებას კიდევ უარესი საშინელება დაემატა. საქართველო დღეს შუაზედ არის გაჩეხილი. ერთი ნახევარი უკვე სხვის ხელშია გადასული და მეორე ნახევარიც, არ არის უზრუნველყოფილი და დაცული.

ოსმალეთმა სავსებით გამოიყენა ჩვენი უძლურება. ქართველი ერის დაქსაქსვა და დანაწილება, მისი მეთაურების პოლიტიკური სიბეცე, საერთო დარღვევა და ანარქია მისთვის ფრიად ხელსაყრელი გამოდგა და არ არის გასაკვირველი, რომ იმანაც ამით სავსებით ისარგებლა.

ქართველ ერს არ შეიძლება ორნაირი აზრი ჰქონდეს ოსმალეთთან დადებულ საზავო პირობების შესახებ. ის აუტანელია საქართველოს ეროვნული განვითარებისათვის. საქართველოს ახალი საზღვრები კუბოს ჰგავს და ამ კუბოში ცოცხლად უპირებენ ჩამწყვდევას ქართველ ერს.

ჩვენ არ ვიცით როგორს დადგენილებას გამოიტანს ამ საზავო პირობების შესახებ საქართველოს ეროვნული საბჭო. ჩვენ არ ვიცით აგრეთვე როგორ შეხედავს ამ ზავს გერმანია რომელთანაც მტკიცე პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობის დასამყარებლად ჩვენ უკვე გადავდგით სათანადო ნაბიჯები.

რაც მოგვივიდა, ეს ჩვენ სავსებით დავიმსახურეთ. ეს საუკეთესო ჯილდოა იმ სამსახურისათვის, რომელსაც უწევდა ჩვენი ერის ხელმძღვანელი წრეები თავის ერს, თავის სამშობლოს. მაგრამ ჩვენ იმედს არ ვკარგ[ა]ვთ. საქართველო ამ განსაცდელსაც გადიტანს. გამონაცადი საშინელება კი მას უნდა ეკმაროს მწარე გაკვეთილად. ამ ეროვნულმა უბედურობამ უნდა დაჰბადოს ქართველ ერში ეროვნულ თავდაცვისა და არსებობისათვის ბრძოლის საღი ინსტიქტები, რომელნიც შეძლებას მისცემენ შევიწროებულს ქვეყანას და განაწილებულს ერს ყველა თავისი ძალები შემოიკრიბოს დარჩენილის შესანარჩუნებლად და დაკარგულის აღსადგენად.

## საზავო ხელშეკრულობა ოსმალეთთან

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 1918 წ., 9 თიბათვე (ივნისი), № 113, გვ. 3; გაზეთი „ერთობა“, 1918 წ., 9 ივნისი, № 118. გვ. 2.*

ოტომანთა საიმპერატორო მთავრობა ერთის მხრით და მეორე მხრით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა, რომელმაც თავისი თავის დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ურთიერთშორის მორიგებით ადგენენ მეგობრულს და კეთილმეზობლურს დამო[კ]იდებ[უ]ლობას პოლიტიკურ, იურიდიულ, ეკონომიურ და ინტელექტუალურს სფეროში რწმუნებულებად ჰნიშნავენ შემდეგს პირებს: ოტომანთა იმპერია (სახელი და გვარი), საქართველოს რესპუბლიკა (სახელი და გვარი).

ეს პირები წინასწარ გაეცნენ ორთავე მხ[ა]რის ვალდებულობას, სცნეს იგი კეთილ და საიმედო ხელშეკრულობის ფორმად და შესთანხმდენ შემდეგს საფუძვლებზე:

მუხლი პირველი. ოტომანთა საიმპერატორო მთავრობისა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შუა მყარდება მტკიცე ზავი და მუდმივი მეგობრობა.

მუხლი მეორე. მოსაზღვრე ხაზი, რომელიც ქვემოდ იქნება მოყვანილი, გამოჰყოფს ოტომანთა იმპერიას საქართველოს რესპუბლიკიდან, სომხეთის რესპუბლიკიდან და ადერბეიჯანის რესპუბლიკიდან.

საზღვარი იწყება იმ ადგილიდან, სადაც მდინარე ჩოლოქი ერთვის შავ ზღვას და უერთდება ძველს საზღვარს, რომელიც გავლებული იყო 1877 წ. ოტომანთა იმპერიისა და რუსეთის შუა, შავნაბათამდე, აქედან მწვერვალებს გაჰყვება და აღწევს ხალხამისა და მეფისის მთებს. რაც შეეხება 1856 წლის საზღვარს, აქ ხაზი სამხრეთით უხვევს, ფირსაგათის მთას გადაევლება და აბასთუმანის სამხრეთით ორს კილომეტრზე, ჩრდილო-აღმოსავლეთით იზნიქება და კარხულის მთის მწვერვალს ებჯინება. აქედან ხუთი კილომეტრის მანძილზე ჯერ ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ მიემართება, შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთით, კურყელის მიდამოებს აღწევს, გადადის მდინარე მტკვარზე, აწყურის სამხრეთით ორს კილომეტრზე, გაივლის კაიბამის მთის, ორთათავის, კარაკაიას მწვერვალებით, აღწევს ტბის ყურეს, მოლითის მონასტრის სამხრეთით, ამ ტბას ისე გადასჭრის, რომ ტბის ნაწილი, რომელიც მოქცეულია სამხრეთით მოლითის მონასტრიდან, მეორე ნაპირის გასწვრივ, მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი ნაწილი ტბისა ოტომანთა ტერრიტორიას შეეძინება. შემდეგ საზღვარი მიდის თავკათელის მთამდე, ეშვება სამხრეთით და

ებჯინება დევეკირანის[1] მწვერვალთა გრეხილს.

საზღვრის უკანასკნელი შესწორება მოხდება ადგილობრივ, ორთავე მხრის წევრთაგან შემდგარ კომისიის მიერ.

მუხლი მესამე. ის ოქმები, რომელნიც დადგენილი იქმნებიან საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა, სომხეთისა და ადერბეიჯანის რესპუბლიკათა შორის, საზღვრების გავლების შესახებ ოტომანთა საიმპერიო მთავრობას გარდაეცემა, როგორც ამ ხელშეკრულობის ნაწილი.

მუხლი მეოთხე. ორივე მხარე ურთიერთს მტკიცე პირობას აძლევენ ენერგიულად ებრძოლონ ყოველგვარ შეიარაღებულ ბანდების გამოჩენას, ეცდებიან თავთავიანთს ტერიტორიაზე არ მისცენ ნება ასეთ ბრბოს თავშესაფარი იქონიოს.

მუხ. მეხუთე. საქართველოს რესპუბლიკა თავის ნავთ სადგურებში დაუყონებლივ დააბრუნებს რუსეთის სამხედრო გემებს, რომელნიც მის ხელთ არიან, რათა იქ ჰყავდეს დაჭერილი და იარაღ აყრილი, ვიდრე საყოველთაო ზავი შეიკვრებოდეს. ასევე მოეპყრობა ყველა დანარჩენ გემებს, რომელნიც მომავალში მას ეკუთვნება.

ოტომანის იმპერიისა და მის მოკავშირეთა მტრის გემებსაც უნდა აეყაროს იარაღი იმდენად, რამდენადაც საქართველოს სუვერენიტეტობის სფეროში ექნებათ საქმე და მის განკარგულებაში იქნებიან.

მუხლი მეექვსე. საქართველოში მცხოვრებ მაჰმადიანთა სარწმუნოება და ჩვეულებანი შეწყნარებულ უნდა იქმნეს. სახელი მათი იმპერატორობითი უდიდებულესობისა სულთნისა უნდა ხსენებულ იქმნეს მაჰმადიანთა საზოგადო ლოცვების დროს. ესენი იმ პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლებებით ისარგებლებენ, როგორც სხვა სარწმუნოების ყველა მოქალაქენი. მათ შეუძლიანთ თავიანთ ენაზე მიაღებინონ სწავლა-განათლება, თავიანთ რელიგიის თანახმად აღზარდონ შვილები. რომ უზრუნველ იქმნეს რელიგიური კულტები და საქველმოქმედო დაწესებულებანი, მაჰმადიანებს უფლება ეძლევათ შეადგინონ მაჰმადიანური საზოგადოება, როგორც იურიდიული პიროვნება, რომ შეეძლოთ მეჩეთების აგება, ჰოსპიტლებისა, სასწავლებლებისა, რელიგიურ და საქველმოქმედო დაწესებულებათა დაარსება. მათვე უფლება ეძლევათ ამათ შესანახავად მოჰკრიფონ ფული, შეიძინონ უძრავი ქონება, რომელთაც საგანგებო მმართველებს მიუჩენენ.

მუხლი მეშვიდე. რადგანაც არავითარი ხელშეკრულობა, კონვენცია, შეთანხმება, დებულებანი თუ სხვა რაიმე საერთაშორისო დოკუმენტები არ მოიპოვება ოსმალეთის იმპერიის და საქართველოს რესპუბლიკის შუა, ორთავე მხარე შესთანხმდენ შეჰკრან საკონსულო კონვენცია, კომერციული ხელშეკრულობა თუ სხვა რამ აქტი, რომელთაც ისინი აუცილებლად ჩასთვლიან რათა იურიდიული დამოკიდებულება მოწესრიგებულ იქმნეს. საკონსულო კონვენცია შეივსება ორის წლით, ამ ხელშეკრულობის რატიფიკაციის შემდეგ.

ამ გარდამავალ ხანის განმავლობაში მთავარი კონსულები და ვიცე კონსულები ისარგებლებენ ერის კეთილ დღეობისათვის საზოგადო საერთაშორისო უფლებებით, ურთიერთობის საფუძვლებზე.

კომერციულ ხელშეკრულობის დასადებად საერთაშორისო უფლების საფუძველზე მოლაპარაკება დაიწყება მაშინ, როცა ოსმალეთისა და მოწინააღმდეგე მხარეთა შორის საყოველთაო ზავი დაიდება. მანამდე კი, ყოველ შემთხვევაში, 1919 წ. 31 დეკემბრამდე, დროებითი პირობები, რომელიც ამ ხელშეკრულობის დამატებად ჩაეკერება, ძალაში იქნება ორთავე მხარისთვის. იგი გამოქვეყნებული იქნება 30 ივლისს, 1919 წ. და ძალაში იქნება 6 თვის განმავლობაში.

ხმელეთით დამოკიდებულება დაიწყობა ამ ხელშეკრულობის ორთავე მხრის რატიფიკაციის უმალ.

მუხლი მერვე. ორივე მხარე ვალად იღებს ერთმანეთს ყოველგზით შეუმსუბუქონ რკინის გზაზე ტრანსპორტების გატანა-გამოტანა. უნდა დადგენილ იქმნეს რაც შეიძლება მცირე ტარიფი. კერძოდ, რაც შეეხება მასალის გადატანას, შენობათა, რკინის გზათა, სხვა და სხვა ექსპლოატაციათა მოსაგვარებლად დადგენილ იქნება საგანგებოდ შემცირებული ტარიფი. რკინის გზაზე მატარებლების გასვლა-გამოსვლა ორთავე მხრით მოხდება ამ საგნის გამო შემუშავებულ საერთაშორისო პრინციპების თანახმად.

ორივე მხარე დაუყოვნებლივ მოლაპარაკებას გაჰმართავენ მთავარ დებულებათა დეტალებზე. მთელი მატარებლების შემადგენლობა ყოფილ ამიერ კავკასიის რკინის გზაზე პროპორციულად გაიყოფება ოთხს სახელმწიფოთა შორის, მათ ტერიტორიის მიხედვით.

1 ხელშეკრულების რუსულ ვარიანტში მითითებულია: «Довскиран» [რედ.].

მუხ. მეცხრე. ვიდრე საქართველო საერთაშორისო ფოსტა-ტელეგრაფის კავშირში შევიდოდეს დამოკიდებულება ოტომანის იმპერიისა და საქართველოს რესპუბლიკის შუა დაწყებულ იქმნება და ხელშეკრულობის რატიფიკაციის შემდეგ, თითქმის იმ სახით, როგორსაც მოითხოვს ფოსტა-ტელეგრაფის საერთაშორისო დადგენილება.

მუხ. მეათე. ერთი ტერიტორიის მცხოვრებნი, რომელთაც საკუთრება და უძრავი ქონება აქვთ სამზღვარის იქით, კვლავ ისარგებლებს ამ ქონებით, შეუძლიან მისი ექსპლუატაცია ანუ იჯარით გაცემა, პირადად მოვლა, ან და რწმუნებულ კაცის ხელში გადაცემა და სხვა.

არავის შეუძლიან უფლება წაართვან კერძო საკუთრებაზე, საზოგადოებრივი თვალსაზრისით იგი სასარგებლოა და ხელს აალებინებს მხოლოდ ნებაყოფლობით, ისიც შესაფერ სასყიდლის მიღებით.

არავითარი დაბრკოლება არ უნდა დახვდეთ ამ მცხოვრებთ და მათს წარმომადგენლებს საზღვრიდან გადასვლის დროს, როცა წარუდგენენ მოწმობის ფურცელს. ამ ფურცელს მეორე მხარე განიხილავს და ნებასა რთავს საზღვარზე გასვლის.

შესუბუქება და საგანგებო შეღავათი მიეცემათ საზღვარზე გასასვლელად და ვაჭრობის საწარმოებლად მოს[ა]ზღვრე მხარეებში.

დაწვრილებითი პირობები ამ დებულებისა ამ ხელშეკრულობის მეორე დამატებაში იქნება მოთავსებული.

მუხ. მეთერთმეტე. ოსმალეთსა და მის მოკავშირეთა მიერ ბრესტში დადებულ საზოგადო და დამატებითი ხელშეკრულობის დებულებანი ორთამხარისთვის იმდენადაა სავალდებულო, რამდენადაც ამ ხელშეკრულობას არ ეწინააღმდეგება.

მუხ. მეთორმეტე. ტერიტორია, რომელიც მოწინააღმდეგეთა ჯარების მიერაა დაჭერილი, ხელშეკრულობის ძალით უნდა გაიწმინდოს.

მუხ. მეცამეტე. ეს ხელშეკრულობა და რატიფიკაცია უნდა გაიცვალ-გამოიცვალოს სტამბოლში ერთი თვის განმავლობაში, თუ შეიძლება ადრეც. იგი ძალაში შევა ამ ხელშეკრულობის ერთურთის ხელში გადაცემის შემდეგ.

ამის დასამტკიცებლად რწმუნებულებმა ხელი მოაწერეს და ზავის მეგობრობის ხელშეკრულობას და თავთავიანთი ბეჭედი დაასვეს.

## საზავო ხელშეკრულება[1]

*წყარო: გაზეთი „სახალხო საქმე", 1918 წ., 9 ივნისი, № 253, გვ. 1-2.*

ოტომანის საიმპერიო მთავრობა ერთის მხრით და მეორეს მხრით მთავრობა საქართველოს რესპუბლიკისა, რომელმაც თავისი თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა, ერთმანეთში შეთანხმდნენ და გადასწყვიტეს მეგობრული დამოკიდებულება და კეთილი მეზობლობა დააწესონ ამ ორ ქვეყანას შორის პოლიტიკურ, იურიდიულ, ეკონომიურ და ინტელექტუალურ სფერ[ო]ში და ამ მიზნით თავის რწმუნებულებად დანიშნეს შემდეგი პირები:

ოტომანის იმპერია ...

(რწმუნებულის სახელი და გვარი)

საქართველოს რესპუბლიკა ...

(რწმუნებულის სახელი და გვარი)

ამ პირებმა გაიცნეს ორივე მხარის რწმუნება-უფლებები და ჰპოვეს-რა უკანასკნელი სათანადოდ და მისაღებად შეთანხმდნენ შემდეგ დებულებებში:

1.

ოტომანის საიმპერიო და საქართველოს სარესპუბლიკო მთავრობებს შორის მყარდება მტკიცე ზავი და მუდმივი მეგობრობა.

2.

ოტომანის იმპერიას შემდეგი მოსაზღვრე ხაზი ჰყოფს საქართველოს რესპუბლიკისაგან, სომხეთის რესპუბლიკისა და ადერბეიჯანის რესპუბლიკისაგან;

---

1 გაზეთ „საქართველოში" (1918 წ., 9 თიბათვე (ივნისი), № 113, გვ. 3) იგივე სტატიაა დაბეჭდილი, თუმცა თარგმანის სხვადასხვაობის გამო, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ გაზეთ „სახალხო საქმის" სტატიის აქ ჩართვაც [რედ.].

საზღვარი იწყება იმ ადგილას, სადაც ჩოლოქი შავ ზღვას ერთვის, და შავნაბათის მთამდე მიიხაზება იმ საზღვრით, რომელიც 1877 წლამდე იყო ოტომანის იმპერიასა და რუსეთს შორის; შემდეგ საზღვარი მიჰყვება მწვერვალთა ხაზს და ხალხამისა და მეფისკარის მთებამდე 1856 წლის საზღვარით მიდის; აქედან ის მოუხვევს სამხრეთით, სჭრის ფირსაგატის მთის მწვერვალს, აბასთუმნის სამხრეთით ორი კილომეტრით სცილდება და შემდეგ ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით აღწევს ჯარხულის მთის მწვერვალს; შემდეგ ხუთი კილომეტრით აუხვევს ჩრდილო-აღმოსავლეთით, მოუხვევს სამხრეთ-აღმოსავლეთით და კურყელს აღწევს; შემდეგ საზღვარი მტკვარზე გადის აწყურის სამხრეთით ორი კილომეტრის სიშორეზე და ქაიაბაშის, ორთათავის და ყარაყაის მწვერვალებით აღწევს ტაბისკურის ტბას, მოლითის მონასტრის სამხრეთით; საზღვარი სჭრის ტბას ისე, რომ ოტომანის ტერიტორიაში შედის ის ნაწილი ტბისა, რომელიც მოლითის მონასტრის სამხრეთიდან გაყვანილ პირდაპირი ხაზის სამხრეთით მდებარეობს: ეს პირდაპირი ხაზი თავდება ტბის მეორე (აღმოსავლეთ) ნაპირას, ტბის ჩრდილო კუთხის 1 1/2 კილომეტრის მოშორებით სამხრეთ-აღმოსავლეთით. აქედან საზღვარი მიდის თავკვეთილ მთამდე, ეშვება სამხრეთით დავკირონის მთაგრეხილის მწვერვალებზე[.]

სასაზღვრო ხაზები ადგილობრივ იქნება გაყვანილი კომისიის მიერ, რომელშიაც ორივე მხარის წარმომადგენლები შევლენ.

3.

იმ ხელშეკრულების ოქმები, რომელიც დადებული იქნება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და სომხეთისა და ადერბეიჯანის რესპუბლიკათა მთავრობებს შორის საზღვრების გამიჯვნის შესახებ, უნდა ეცნობოს ოტომანის საიმპერიო მთავრობას და ეს ოქმები წინამდებარე ხელშეკრულების ნაწილს შეადგენს.

4.

მოლაპარაკე მხარეები ვალდებული არიან ენერგიული წინაღმდეგობა გაუწიონ მათი ტერი-ტორიების საზღვრებში ბანდების შექმნასა და შეიარაღებას და იარაღი უნდა აჰყარონ და გარეკონ ის ბანდები, რომელნიც იქ დაიმალებიან.

5.

საქართველოს რესპუბლიკა დაუყონებლივ დააბრუნებს თავის ნავთსადგურებში რუსეთის სამხედრო გემებს, რომელნიც მისგან არიან დამოკიდებული და მის ძალა-უფლების ქვეშ არიან, რათა ისინი იქ დაიტოვოს და დაუყონებლივ აჰყაროს იარაღი საყოველთაო ზავის შეკვრამდე; ასევე უნდა მოიქცეს ის იმ გემების შესახებ, რომელიც აღნიშნულ ნავთსადგურებშია და რომელიც მას მომავალში ექნება.

ოტომანის იმპერიის და მის მოკავშირეთა მოწინააღმდეგ სახელმწიფოების სამხედრო გემებს ზემოთქმულად მოეპყრობიან იმდენად, რამდენადაც ისინი საქართველოს სუვერენიტეტის ფარ-გლებში იქნებიან და მის ძალაუფლებას ემორჩილებიან.

6.

საქართველოში მცხოვრებ მუსულმანების სარწმუნოებასა და ზნე ჩვეულებებს პატივისცემით უნდა მოეპყრან. მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის სულთანის სახელი უნდა იხსენიებოდეს მუსულმანთა საზოგადო სამლოცველოებში. ისინი ისარგებლებენ მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებებით, როგორც სხვა მოქალაქენი, რომელნიც სხვა სარწმუნოებას იზიარებენ; მათ შეუძლიანთ სწავლა-განათლება დედა ენაზე აწარმოონ და თავისი სარწმუნოებაც ისწავლონ. სარწმუნოებრივი კულტის და ქველმოქმედების უზრუნველყოფისათვის მათ შეუძლიანთ სამუსულ-მანო საზოგადოებები დააარსონ: ამათ ექნებათ იურიდიული სახე და შეეძლებათ ააგონ მიზგითები, ჰოსპიტალები, სკოლები, დაა[ა]რსონ სარწმუნოებისა და ქველმოქმედების დაწესებულებები და შეიძინონ მათ შესანახად მოძრავი და უძრავი ქონება, რომელთაც საგანგებო მართველები განაგებენ.

7.

რადგან ოტომანის იმპერიისა და საქართველოს რესპუბლიკის შორის არ არის დადებული ხელშეკრულებები, კონვენციები, არავითარი შეთანხმება, აქტები და სხვა საერთაშორისო ხასიათის

დოკუმენტები, ამის გამო ორივ მხარე თანახმა არიან შეჰკრან საკონსულო კონვენცია, საკომერციო ხელშეკრულება და სხვა აქტები, რომელთაც საჭიროდ დაინახავენ იურიდიული ურთიერთობის მოსაწესრიგებლად. საკონსულო კონვენცია შეკრული იქნება ორი დღის განმავლობაში დღიდან წინამდებარე ხელშეკრულების რატიფიკაციის გაცვლა-გამოცვლისა.

ამ გარდამავალ დროის განმავლობაში კი გენერალური კონსულები და ვიცე-კონსულები მათი პრივილეგიებისა და თანამდებობის შესაფერის პირობებში იქნებიან ჩაყენებული, საერთაშორისო უფლების ნიადაგზე, ურთიერთ დამოკიდებულობის საფუძველზე.

მოლაპარაკება საკომერციო ხელშეკრულების შესაკვრელად საერთაშორისო უფლების ნიადაგზე დაიწყება მაშინ, როდესაც საერთო მშვიდობიანობა ჩამოვარდება ოსმალეთსა და მასთან მეომარე სახელმწიფოებს შორის. ამ დრომდე კი, ყოველ შემთხვევაში 1919 წლის 31[დეკემბრა]მდე[1], ორივე მხარე იხელმძღვანელებს ამ ხელშეკრულებასთან დართულ დებულებათა პირველი მუხლით; მისი დენონსაცია შეიძლება მოხდეს 1919 წ. 30 ივლისიდან და 6 თვის შემდეგ შევა ძალაში.

ხმელეთით მიმოსვლა და კავშირი დაიწყება წინამდებარე ხელშეკრულების რატიფიკაციის გაცვლა-გამოცვლის შემდეგ.

8.

მოლაპარაკე მხარეები ვალდებული არიან ყოველნაირად შეუმსუბუქონ ერთმანერთს რკ. გზის ტრანსპორტი და ამისთვის შემოიღონ ფას-დაკლებული ტარიფი. კერძოდ რაც შეეხება შენობების აგებისათვის, ექსპლოატაციისა და რკ. გზის საჭირო მასალების გადატანას; აქ ფას-დაკლებული ტარიფი უნდა იქმნას შემოღებული. რკინის გზის ხაზების მოძრავ შემადგენლობის გაცვლა-გამოცვლა მოხდება თანახმად ამისათვის დაწესებულ საერთაშორისო პრინციპებისა.

მოლაპრაკე მხარეები დაუყონებლივ უნდა შეუდგნენ მოლაპარაკებას წინა დებულებათ დეტალების შესამუშავებლად. მთელი მოძრავი შემადგენლობა ამიერკავკასიის რკინის გზების, რომელიც რუსეთის სახელმწიფოს ეკუთვნოდა, უნდა განაწილდეს ოთხ მოლაპრაკე მხარეს შორის რკინის გზის ხაზების პროპორციის მიხედვით.

9.

ვიდრე საქართველო საერთაშორისო საფოსტა-ტელეგრაფო კავშირში შევიდოდეს, ოტომანის იმპერიასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის საფოსტა-ტელეგრაფო ურთიერთობა აღდგენილი იქნება ამ ხელშეკრულობის რატიფიკაციის შემდეგ – თანახმად საერთაშორისო საფოსტო-სატელეგრაფო კავშირის კონვენციებისა, შეთანხმებათა რეგლამენტებისა.

10.

მოლაპარაკე მხარეების მცხოვრებლებსა და თემებს, რომელთაც აქვთ საზღვარს-იქით მდებარე უძრავი ქონების საკუთრების ან სარგებლობის უფლება, შეუძლიანთ ამიერიდანაც ისარგებლონ ამ ქონებით, ან იჯარით გასცენ, ან გაყიდონ ის რწმუნებულთა შემწეობით.

არ შეიძლება ვისმე წაართვან მისი უფლება საკუთრებისა გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც უძრავი ქონების ჩამორთმევას მოითხოვს საზოგადო სარგებლიანობა; ხოლო ეს უთუოდ სასყიდლით უნდა მოხდეს.

არავითარი დაბრკოლება არ უნდა გადაეღობოს წინ მცხოვრებლებსა და თემების წარმომადგენლებს საზღვარზე გადასვლის დროს, როდესაც ისინი საგზაო მოწმობას წარმოადგენენ. ამ მოწმობას ისინი მიიღებენ ადგილობრივი (მათი ბინადრობის) მთავრობისაგან და შემოწმებული იქნება მეორე საზღვარ-იქითა ქვეყნის მთავრობის მიერ.

სპეციალური შეღავათი უნდა მიეცეს აგრეთვე მათ, ვინც სავაჭრო მიზნით საზღვარს იქით მოისურვებს გადასვლას მოსაზღვრე მიდამოებში.

წინა დებულებათა დეტალები მოწესრიგებული უნდა იყოს თანახმამად წინამდებარე ხელშეკრულების მეორე დამატებისა.

11.

მოლაპარაკე მხარეებისათვის სავალდებულოა ბრესტ-ლიტოვსკში ოტომანის იმპერიასა და მის მოკავშირეებს შორის დადებულ საერთო და დამატებითი საზავო ხელშეკრულებათა დებულებები, რამდენადაც ისინი წინამდებარე ხელშეკრულებას არ ეწინააღმდეგებიან.

1 გაზეთ ,,საქართველოს" 1918 წლის 9 ივნისის ნომერში(გვ.3) აღნიშნულია: ,,31 დეკემბრამდე" [რედ.].

12.

წინამდებარე ხელშეკრულებაში დადებულ საზღვარს იქით ტერიტორია, ჯარის მიერ დაკავებული, გაწმენდილი უნდა იყოს ამ ჯარიდან ხელშეკრულების მოწერის შემდეგ.

13.

წინამდებარე ხელშეკრულებისა და მისი რატიფიკაციების გაცვლა გამოცვლა მოხდება სტამბოლში ერთი თვის განმავლობაში ან, თუ შესაძლებელია, უფრო ადრე. ხელშეკ[რ]ულება ძალაში შევა დღიდან მისი გაცვლა-გამოცვლისა.

ამის დასადასტურებლად რწმუნებულებმა ხელი მოაწერეს წინამდებარე ხელშეკრულებას ზავისა და მეგობრობის და თავისი ბეჭედი დააკრეს.

დამზადებულია ორ ცალად ბათომში.

(რიცხვი) ...

## რ. ინგილო
# საზღვრების გამიჯვნა და საინგილო

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 1918 წ., 12 თიბათვე (ივნისი), № 115, გვ. 2-3.*

ტერიტორია სახელმწიფოს ერთი განუშორებელი ატრიბუტთაგანია. სახელმწიფოს კეთილდღეობა უპირველესად ყოვლისა დამოკიდებულია ტერიტორიის უზრუნველყოფაზე. ყოველივე სახელმწიფო გარკვეულად შემოფარგლული უნდა იყოს საზღვრებით, რომლის შიგნით იგი სრულიად დამოუკიდებლად ანხორციელებს სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტისაგან გამომდინარე ძალაუფლებას.

როგორც „მეომარი ერთეული“ ჩვენი სახელმწიფო აცხადებს თავისთვის ომს გათავებულად და საზავო პრელიმინარული, წინასწარი ხელშეკრულება უკვე დასდო იმ სახელმწიფოსთან, რომელთანაც საქართველოს უკანასკნელ დროს მოუხდა პირისპირ შეჯახება, როგორც საერთაშორისო უფლებამოსილ დამოუკიდებელ ორგანოს. ჩვენგან დამოუკიდებელმა მიზეზებმა, შესაძლებელია, საქართველოს ტერიტორიას არ ააცდინონ სხვა სახელმწიფოების შეტაკება მის საზღვრებში, როგორც წილად ჰხვდა ბელგეთს, მიუხედავად მისი „მუდმივი ნეიტრალობისა“, მაგრამ, ცხადია ყოველს შემთხვევაში ის, რომ საქართველოს სახელმწიფო ამ ჟამად იურიდიულადაც და ფაქტიურადაც მსოფლიო ომის გარეშე დგას.

ტერიტორიის საკითხი საქართველოსათვის ყველაზე მნიშვნელოვანია: ჩვენი სამშობლო ისედაც მეტად მცირეა, ხოლო ახლა ოსმალეთთან დადებული ხელშეკრულებით უფრო შემცირდა მისი მიწა წყალი. გარდა ამ საზღვრებისა, რომელიც ერთვის სახონთქრეს და რომლის გამიჯვნა საქართველოსათვის მეტის-მეტად საზარალოდ გადაწყდა, საქართველოს სახელმწიფოს მთავრობა იძულებული შეიქმნება სულ მოკლე ხანში სახელმწიფო საზღვრების შეკეთება შესწორებაზე იზრუნოს უმთავრესად აღმოსავლეთით, – იქ სადაც ჩვენი ადგილ-მამული ერთვის ადერბეიჯანის სამფლობელოს.

საზღვრებისა და ტერიტორიის გადამიჯვნის საკითხში ჩვენში მომქმედ პოლიტიკურ მიმართულებებში და ლიტერატურაშიაც სხვადასხვა შეხედულება არსებობს, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, არსებობდა. მათი განხილვა არ შეადგენს ჩემი წერილის საგანს. ავღნიშნავ მხოლოდ, მკაფიოდ გამოთქმული იყო ორი ერთიმეორის მოპირდაპირე აზრი: სოციალისტური პარტიები საქართველოს ტერიტორიის საკითხს წყვეტდნენ ეგრედ წოდებული რეალმოსახლეობის პრინციპით; მათი რწმენით, ასეთი გადაჭრა საზღვრების გადამიჯვნის საკითხისა უაღრესად დემოკრატიული და სამართლიანია. მისი მოწინააღმდეგე შეხედულება, საზღვრებისა და ტერიტორიის საკითხის გადაწყვეტაში ხელმძღვანელობს ისტორიული, პოლიტიკური, ეკონომიური და სტრატეგიული მოსაზრებით. შეიძლება, პირველი საზომი უფრო „სამართლიანი“ იყოს, მაგრამ მისი განხორციელება მოითხოვს სწორედ საყოველთაოდ სამართლიანობის დამყარებას; ჯერ ხნობით კი, სახელმწიფოთა ურთიერთობა აგებულია ისეთ სისტემაზე, რომელიც მოითხოვს შეიარაღებულ რეგულიარულ ძალის შენახვას და ციხე-სიმაგრეების აგებას, ჩვენ მოვალენი ვართ შესაფერი ზომები მივიღოთ და უკიდურეს ღონისძიებასაც კი მივმართოთ, რათა ჩვენს სახელმწიფოსა

და ერს მივცეთ საშუალება დაუბრკოლებლივი განვითარებისა და წინსვლისთვის. ეს მიზანი მიხწეული იქნება, დადების უკეთუ აღმოსავლეთით საზღვრების დადების დროს ქართ. გამოიჩენს სიმტკიცესა და შეუდრეკელ ნების-ყოფას, უკეთუ ერის სასიცოცხლო ინტერესები სათანადოდ აამოქმედებენ პასუხისმგებელ დაწესებულებებს და საქართველოს განაპირა კუთხეების ბედის გარდაწყვეტაში მხედველობაში არ იქნება მიღებული ყოვლად უმწეო და აბსურდული ვიწრო ეთნოგრაფიული თვალსაზრისი. უცხო ტომთა შემდგომი ჩასახლება ჩვენს მიწა-წყალზე არავის აძლევს ნებას პრეტენზიები იქონიოს საქართველოს ტერიტორიაზე, რადგანაც ამ შემთხვევაში უცხო ხალხს კი არ მიაქვს გარედ ტერიტორია, არამედ ტერიტორიაზე დაბინავება შემოსულ ხალხს თავათ აკუთვნებს იმ სახელმწიფოს, რომლის სტუმართმოყვარეობით სარგებლობს იგი. მაშასადამე, სახელმწიფოებრივი შეგნება საკითხისა ცხად ჰყოფს რეალ მოსახლეობის დაცვის უსაფუძვლობას არსებულს პოლიტიკურსა და საერთაშორისო ვითარებაში. ქართველ ერს განგე-ბამ დააკისრა სახელმწიფოს სუვერენიტეტის შეურყევლობის დაცვა და იგი ულირსი გახდება ამ დიადი მოვალეობისას, თუ ჯეროვანად არ გამოიყენებს ყველა ამ შემთხვევისათვის საჭირო საშუალებებს საქართველოს პოლიტიკურსა და სტრატეგიული სიძლიერისათვის.

ერთი იმ კუთხეთაგანი, რომელიც „სადავოდ“ არის აღიარებული – საინგილოა, რუსეთის სახელმწიფოში ზაქათალის ოლქად წოდებული. ამ პროვინციაზე არაერთხელ მიგვიქცევია ქართველი საზოგადოების ყურადღება ჩვენს გაზეთში და დაგვიმტკიცებია, რომ ისტორიულადაც და ბუნებრივადაც ძველი ჰერეთის ნაწილი ისე მჭიდროდ არის შეგუებული საქართველოსთან, რომ წარმოუდგენელია მათი განცალკევება. მაგრამ მრავალ მიზეზთა გამო საქართველო ამ ჟამად იძულებულია დასთმოს თავისი განუყრელი ნაწილები, როგორც, მაგალითად, ოსმალეთთან გადასული ხელშეკრულების ძალით მესხეთ[-]ჯავახეთი. რა ბედი ეწევა საინგილოს? საქართვე-ლოს სახელმწიფოს საზღვრებში დარჩება, თუ შეუერთდება რომელიმე მომიჯნავე სახელმწიფოს – ადერბეიჯანს, ამ მთიულეთს?[1]

არსებობენ გარდუვალი დაბრკოლებანი ეროვნულ-სახელმწიფოებრივ იდეალების მისაღწევად, ხშირად მილიტარული სისუსტისა და შინაურ სოციალურ-პოლიტიკურ მოუწყობლობის გამო ერი იძულებული ხდება დაუთმოს მძლავრ მოწინააღმდეგეს სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილიც და სხვა არსებითი მხარენი სახელმწიფოებრივ უფლება მოსილებისა. ასეთ მძიმე პირობებში იმყოფება დღეს დღეისობით ჩვენი ქვეყანა, ამიტომ იძულებული ვიყავით დავთანხმებულიყავით იმ ხელშეკრულებაზე, რომლის უვარგისობა და უეჭველი მავნებლობა საქართველოსათვის ყველასათვის აშკარაა და რომელსაც სხვა პირობებში ქართველობა არ მიიღებდა, მაგრამ დათმობასაც საზღვარი აქვს. რაკი დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ, თავის თავად ცხადია, გათვალისწინებული უნდა გვქონოდა მოსალოდნელი სირთულე სახელმწიფოს აპარატის ხელთაღებისა; ქართველი ხალხი ცრუ იმედებს არ ეძლეოდა და ირგვლივ მხოლოდ მოკეთენი არ ეგულებოდა. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით თავიდანვე, რომ საკონფლიქტო მიზეზი ბლომად მოიპოვება და ნათლად გამოჩნდება პირველს დღეებშივე, როდესაც აღიძრება საკითხი საზღვრების გადამიჯვნის შესახებ. ამ მოვლენას ვუახლოვდებით.

რა პოზიციას დაადგება საქართველოს სახელმწიფო გადამიჯვნის საკითხში? არა გვგონია მოიძებნებოდეს დღეს ისეთი ქართველი, რომელმაც არსებულ პირობებში დაიცვას რეალი მოსახლეობის პრინციპი. გამოცდილებამ დაგვანახა, რომ თეორიულად შეთვისებული და პროგრამიდან უანალიზოდ გადმოტანილი „დემოკრატიზმი“ არც თუ ისე სახეიროა სახელმწი-ფოს სიმტკიცისათვის, მით უმეტეს, როდესაც დემოკრატიზმის განხორციელებას ლამობენ სახელმწიფოში, გარემოცულ იმპერიალისტური აზროვნებით გაჟღენთილ ხალხით. მთავარი მოსაზრება, რომლითაც ქართველი ერი უნდა ხელმძღვანელობდეს, არის საქართველოს სახელმწიფოს ინტერესი, მისი მდგომარეობის მყუდროება. ყოველივე სხვა შეხედულება დამღუპველი იქნება ჩვენი სახელმწიფოსათვის!

საინგილოს დათმობაზე შეუძლებელია ლაპარაკიც. მხოლოდ შეუგნებლობით და უვიცობით აიხსნება ის გარემოება, რომ ამ კუთხის შესახებ ქართველ საზოგადოებაში დღესაც ისმის სხვა და სხვა აზრი. ძნელია მოკლე პოლიტიკურ წერილში ოდნავადაც შევეხოთ საინგილოს მნიშვნელობას საქართველოსათვის. ამ საკითხს ცალკე გამოკვლევა სჭირდება და ეს სპეციალისტებს დაევალე-

1 ამიერკავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე აზერბაიჯანმა ჯარი შეიყვანა ზაქათალის ოლქ-ში. იმის გამო, რომ აქ გამუსულმანებული ქართველები ცხოვრობდნენ, ეს ტერიტორია აზერბაიჯანს თავისად მიაჩნდა. 1998 წლის ერთ-ერთ გამოცემაში [Азербайджанская Демократическая Республика (1918 - 1920), Баку, 1998, стр. 76] ვკითხულობთ, რომ ზაქათალა, აზერბაიჯანელთა სამკვიდრო, უძველესი მიწა-წყალი («являлся исконно азербайджанской землей») მშვიდო-ბიანი გზით შეუერთდა აზერბაიჯანსო [რედ.].

ბათ. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ გარდა ისტორიულ-პოლიტიკურ მომენტისა, საინგილო ეკონომიურადაც შედუღებულია დანარჩენ საქართველოსთან. ეს ყოველის მხრივ დოვლათიანი და ბარაქიანი ქვეყანა უდიდეს დახმარებას აღმოუჩენს ჩვენს ვაჭრობა-მრეწველობას და ეკონომიურად ააყვავებს საქართველოს, საინგილოს დაუშრეტელი სიმდიდრე კარგად იციან სხვებმაც, და ამით აიხსნება, რომ ამ ქვეყანას ხარბი თვალით უცქერიან ყოველის მხრიდან.

ეგრედ წოდებულ რეალ მოსახლეობის პრინციპის დამცველნი მოითხოვდნენ ამა თუ იმ პროვინციის სახელმწიფოსთან შეერთების საკითხში სახეში მიღებულიყოს მცხოვრებთა სურვილი, რაც გამოიხატება საყოველთაო ხმის მიცემით, ე.ი., რეფერენდუმი[თ,] მაგრამ დედა მიწის ზურგზე არ მოიპოვება სახელმწიფო ამ უცნაური საშუალებით შექმნილი, არც თვით სახელმწიფო უფლების მეცნიერება სთვლის რაციონალურად ამ მეთოდით სახელმწიფოების მოწყობას. საინგილოში შემოხიზნულთა და შემდგომ დასახლებულთა რიცხვი გაცილებით აღემატება მკვიდრ მცხოვრებლებს და რადგანაც ოლქის უმრავლესობას შეადგენენ შემოხიზნული ლეკები, ცხადია, რომ ისინი მოისურვებენ ერთმორწმუნე ხალხთან შეკავშირებას მთიულეთი იქმნება ის თუ ადერბეიჯანი. ბევრი ადგილი შეგვრჩება-კი საქართველოში საზოგადოთ, თუ რეფერენდუმი მოვახდინეთ სხვა და სხვა კუთხეში?

თუ საინგილოს საკითხი თანამედროვე ეთნოგრაფიული მოსახლეობის მიხედვით გადასწყდა, ამ მხარეს სამუდამოდ უნდა გამოვეთხოვოთ, რადგანაც საკმარისია სულ მოკლე ხანმა გაიაროს, რომ უფროს ძმათა მზრუნველობას მოკლებული ინგილონი მთლად გადაგვარდნენ. მაგრამ, საფიქრებელია, რომ მეზობელ ერებთან მოლაპარაკებას ვიქონიებთ ტერიტორიის გადაცემა-გადმოცემის შესახებ კი არა, არამედ განსაკუთრებით საზღვრების შესწორებაზე. ადერბეიჯანისა, მთიულეთისა თუ სომხეთისათვის დასათმობი ერთი მტკაველი მიწაც არ მოგვეძებნება ჩვენს ტერიტორიაზე! ყოველის მხრივ შეკვეცილი საქართველო ვერ იარსებებს სახელმწიფოებრივად. კუბოს მსგავს საზღვრებში ვერ მოვათავსებთ ქართველ ერს, რომ შეძლება არა ჰქონდეს სახსრების განძრევისა. საინგილოში ჩვენს სახელმწიფო საზღვრებს მომეტებულად სტრატეგიული მნიშვნელობა ექნება, ამიტომ იგი ჩრდილოეთით უნდა მიადგეს ისეთს ბუნებრივ სიმაგრეს, როგორიც არის უღელტეხილი, აღმოსავლეთით კი საზღვრად დაედება არსებული ადმინისტრაცული მიჯნა – „ყანნი-ყობ“-ი („სისხლის ღელე“)[1], რომელიც უტყვი მოწმეა საქართველოს ლაშქრის თავდადებულ ბრძოლისა მამულის სადიდებლად და შემდგომ მის დასწვრივ სამხრეთ-დასავლეთის მიმართულება... ეროვნულ საბჭოს წინაშე ამ ჟამად ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი არის საზღვრების გადამიჯვნა, საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიული ჩამოყალიბება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ საკითხის გარდაწყვეტის დროს ქართველი ერის წარმომადგენელნი ყოველივე ღონისძიებას მიჰმართავენ და მომიჯნავე სახელმწიფოებთან ისეთს ხელშეკრულებას დასდებენ, რომელიც საქართველოს სახელმწიფოს მიანიჭებს საშუალებას დაუბრკოლებლივ განავითაროს ერის თანდაყოლილი თვისებანი და შესაფერისად გამოიყენოს მისი სახელმწიფოებრივი ცოდნა და გამოცდილება.

## ქრონიკა[2]
### საქართველოს საზღვრების დაკავება

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 1918 წ., 13 თიბათვე (ივნისი), № 116, გვ. 2.*

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ გერმანიის სამხედრო საელჩოს უფროსს აცნობა, რომ მან განკარგულება გასცა ამიერ-კავკასიის რკინის გზის ლიანდაგზე ბაქოს მიმართულებით სად. ფოილომდე მტკვრის ხიდამდე და განჯის ლიანდაგზე გვირაბის შუა ადგილამდე სად. კარაკლისის და შიგალის შუა მთელი ტერიტორია დაკავებულ იქმნას, თუმცა ყოფილ საქართველოს სამეფოს სახელმწიფო საზღვრები აღმოსავლეთის მხრით, რუსეთსა და საქართველოს შორის დადებულ 1783 წლის ტრაქტატის ძალით ამ პუნქტების იქით იყო.

1 „ყანნი-ყობ“ თურქული სიტყვაა და ქართულად ნიშნავს „სისხლის ღელეს“. როგორც ი. სიხარულიძე [სიხარულიძე ი. შავშეთ-იმერხევი. ბათუმი, 1988. გვ. 16; 48] აღნიშნავს, სიტყვა „ყანნი“ დიალექტიზმია და სალიტერატურო ენაში გამოითქმება როგორც „კანლლი“ [რედ].

2 ფრაგმენტი [რედ.]

# ისევ გადამიჯვნაზე

*წყარო: გაზეთი „ერთობა“, 1918 წ., 15 ივნისი, № 121, გვ. 1.*

საზღვრების გადამიჯვნას ჯერ კიდევ ამიერ-კავკასიის სეიმის არჩევამდე შეუდგენ მაშინ ამ მიზნისთვის არჩეული იყო შერეული კომისია სამი უმთავრესი ერების წარმომადგენლებისაგან: ქართველების, მუსულმანების და სომხებისაგან.

ამიერ-კავკასიაში მრავალი ერი და ტომი მოსახლეობს; მაგრამ ცოტათ თუ ბევრათ მოზრდილი ერი, რომელსაც დღეს დღეობით სახელმწიფოებრივი ცხოვრება შეუძლია, ეს სამი ერია – სომხობა, ქართველობა და მუსულმანობა. სხვებს, როგორც არის, მაგალ., ამიერკავკასიის რუსობა, არ აქვს განსაზღვრული, ერთობლივი ტერიტორია.

სამ აღნიშნულ ერთაგან ყველაზე კარგ პირობებში ამ მხრით ქართველობაა, რომელსაც მჭიდროთ აქვს დაჭერილი ქუთაისის გუბერნია და თითქმის მთელი თფილისის გუბერნია. უფრო ცუდ პირობებში იმყოფებიან მუსულმანობა ან სომხობა, რომელნიც ერთმანეთში არიან არეული. რამდენიმეთ ამ ბედში ქართველობაც არის. ის არ წარმოადგენს ერთ მთელს ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში, ან ძველი მესხეთ-ჯავახეთში და ბორჩალოს მაზრაში და ზაქათალის ოლქში.

ამიერ-კავკასიის მთლიანობის დარღვევის შემდეგ დავა საზღვრებზე სომხებსა და მუსულმანებს შორის ჩვენ აღარ შეგვეხება. მაგრამ ჩვენსა და სომხებს შორის ეს დავა უეჭველათ ატყდება. რომელი პრინციპით უნდა ვიხელმძღვანელოთ ამ დავის გადაჭრის დროს?

არსებობს ორი მთავარი პრინციპი: რეალურ მოსახლეობის და ისტორიული. სანამ ამიერკავკასია ერთს მთლიანს და დამოუკიდებელს რესპუბლიკას შეადგენდა ჩვენ რეალურ პრინციპს ვადექით. სხვაგვარათ არც შეიძლებოდა. რეალური მოსახლეობის პრინციპით ხელმძღვანელობა ნიშნავს ქვეყნის ისეთს ერთეულებათ დანაწილებას, რომელიც იმდენ ყურადღებას არ აქცევს არც ეკონომიურს და არც სტრატეგიულს მხარეებს. მართლაც მთლიან ამიერ-კავკასიას ხომ ერთი ეკონომიური პოლიტიკა ექნებოდა და ერთი საერთო საზღვარი. ამიტომ ამ სახელმწიფოში მოსაზღვრე სამს ერთ[ი] გადამიჯვნა უნდა მოეხდინა ეროვნულ-კულტურული ინტერესების მიხედვით და, ვინც სად მოსახლეობდა, ეს იქნებოდა მისი ტერიტორია[1].

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის დაშლამ საქმე სულ სხვაგვარად შეატრიალა და ამ შეცვლილ გარემოების მიხედვით ჩვენც იძულებული [გავხდი]თ მარტო რეალურ მოსახლეობის პრინციპს დავეყდნოთ. დღეს ჩვენც ცალკე სახელმწიფოს წარმოვადგენთ. საქართველოს რესპუბლიკა თუმცა პატარაა, მაგრამ მაინც სახელმწიფოა, რომელიც დაინტერესებულია თავისი საზღვრები დაიცვას და შექმნას ისეთი ფინანსიური ეკონომიური მდგომარეობა, რომ ერს ცხოვრება შეეძლოს. ამისთვის საქართველოს რესპუბლიკა ვალდებულია გაითვალისწინოს ჩვენი ქვეყნის მომავალი ბედი, არ უნდა დაივიწყოს ომის შესაძლებლობა. უნდა ითქვას, რომ გეოგრაფიულ პირობების მიხედვით ჩვენმა წინაპრებმა ამ მხრით უკვე შექმნეს ერთგვარი სტრატეგიული რკალი, რომელშიაც საქართველო მოაქციეს. ისტორიიდან ვიცით, რომ ყოფილა ეპოქები, როცა საქართველოს ძალა-უფლება ვრცელდებოდა მთელს იმ ტერიტორიაზე, რომელიც შავსა და კასპიის ზღვებს შორის იყო გადაჭიმული. ჩვენს ასე შორს, რასაკვირველია, არ მივდივართ. მაგრამ ერთგვარი ისტორიული მინიმუმი მაინც უნდა დავიცოთ, რამდენათ ამას სახელმწიფოებრივი ინტერესი მოითხოვს. ასეთი მინიმუმია თფილისის გუბერნია და საინგილო ან ზაქათალა; აღნიშნული მოხაზულობა აუცილებლათ საჭირო იყო და არის აგრეთვე ჩვენი ეკონომიური წარმატებისათვის. თუმცა

1 პოლიტიკური პარტიების ნაწილი მიიჩნევდა, რომ საზღვრების გამიჯვნისას უნდა ეხელმძღვანელათ მოცემულ ტერიტორიაზე რეალური მოსახლეობის ეროვნული და რელიგიური შემადგენლობით. ამ მოსაზრების მომხრენი იყვნენ აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკების მთავრობებიც. ტერიტორიების ასეთი პრინციპით გადამიჯვნა არასამართლიანი იყო თავის ისტორიულ მიწა-წყალზე ჩამოყალიბებული საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკისათვის. ზაქათალის ოლქი, ბორჩალოს, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები – საქართველოს ის ტერიტორიები იყო, სადაც სხვადასხვა ეთნოსისა და რელიგიის წარმომადგენლები ცხოვრობდნენ და ამ ტერიტორიებზე უსაფუძვლო ტერიტორიულ პრეტენზიებს აცხადებდნენ მეზობელი ქვეყნები. ამის თაობაზე ივ. ჯავახიშვილიც წერდა. იგი იმასაც აღნიშნავდა, რომ მეზობელი ქვეყნების დამოკიდებულება ეთნოგრაფიული პრინციპისადმი არაერთგვაროვანი იყო. მაგალითად, სომეხი „პოლიტიკოსები ყოველთვის და ყოველგან სომხეთის რესპუბლიკის სამზღვრების შემოხაზვის დროს ეთნოგრაფიულს პრინციპებს არ ემყარებიან? იმიტომ, რომ ყველაზე მეტად ეს პრინციპი თვით სომეხთათვის არის საზარალო“ [ჯავახიშვილი, 1919, გვ. 50]. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით საქართველოს სახელმწიფო საზღვარი უნდა გატარდეს შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით: საერთაშორისო სამართალთან შესატყვისობა, რუსეთთან 1783 წელს დადებული ხელშეკრულების დაცვა, ეროვნებათა თვითგამორკვევის უფლებით უზრუნველყოფა, ქართველი ერის პოლიტიკური უფლებების შეულახაობა და სამართლიანობის აღდგენა [რედ.].

უმთავრესი ყურადღება ჩვენ უნდა მივაქციოთ სტრატეგიულ მდგომარეობას. ჩვენ რომ მარტო რეალურ მოსახლეობის პრინციპი მივიღოთ, მაშინ ერთობ ახლოს დარჩება ჩვენი დედაქალაქი თფილისი გარეშე სახელმწიფოს საზღვრიდან და მისი დაცვის საქმე მუდამ საფრთხეში იქნება. ჩვენ რომ საქმე გვქონდეს მარტო სომხეთის და ადერბეიჯანის რესპუბლიკებთან, რასაკვირველია, დიდ შიშს კიდევ არ ექნებოდა ადგილი, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ოსმალეთის ულტიმატუმის მიღებით სომხეთი, როგორც სახელმწიფო, არარად იქცა, სამაგიეროდ გაძლიერდა ოსმალეთი და შემდგომ ადერბეიჯანი, რომლიც ოსმალეთს შუერთდება. ამის ცხადი ნიშნები უკვე არის: განჯაში და ზაქათალაში დღეს ოსმალეთის დროშა ფრიალებს. ასეთს პირობებში რეალურ მოსახლეობის პრინციპით ხელმძღვანელობა ერთავათ ოსმალეთის ხელში ჩაგვყრიდა. ჯავახეთმა უკვე იგემა ოსმალეთის რეჟიმი და დღეს ჯავახელი ქართველები ბორჯომ-ბაკურიანის ტყეებში არიან შეფარებული. ასეთივე იქნება ჩვენი ბედი ოსმალეთის სიახლოვის გამო. და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენი მეზობელი – სომხები და მუსულმანები აღნიშნულ გარემოებას სათანადო ანგარიშს გაუწევენ და მორიგება საზღვრების შესახებ ადვილათ მოხდება.

ჩვენს ტერიტორიაზე მოსახლე დემოკრატია – ქართველი იქნება ის თუ სომეხი ან თათარი დაინტერესებული უნდა იყოს საქართველოს ისტორიულ საზღვრების აღდგენით, რადგან ეს იქნება საერთო დემოკრატიულ საქმის წარმატება. თუ მართალია ის, რომ სხვა ერებს ძველათაც ავიწროებდენ ჩვენი წინაპრები, მით მეტი გარანტია ექმენათ ამ ერებს იმ შემთხვევაში, თუ კი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დაზღვეული იქნება ოსმალეთის შემოსევისაგან.

## მთავრობის წრეებში[1]
### საქართველოს სომხეთის საზღვრები.

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 1918 წ., 16 თიბათვე (ივნისი), № 118, გვ. 2.*

საქართველოს ეროვნულ საბჭოს სომეხთა ეროვნულ საბჭოსაგან მიუვიდა ცნობა საქართ. და სომხეთის საზღვრების შესახებ სადაც ნათქვამია, რომ ხსენებულ საზღვართა შესახებ მოლაპარაკების დაწყება შეიძლება მხოლოდ ურთიერთ შორისი შეთანხმებით რეალ მოსახლეობის საფუძველზედ.

ბორჩალოს მაზრის გამიჯვნა კი შესაძლებელია მხოლოდ ეთნიური პრინციპის მიხედვით.

### რაე.[2]
## მორიგი პროვოკაცია

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 1918 წ., 16 თიბათვე (ივნისი), № 118. გვ. 2.*

უკანასკნელ დროს სომხურ გაზეთებში იწყობენ მორიგი პროვოკატორული ჭორების გავრცელებას და ჩვენი მესვეურნი ისევე, როგორც წინად რუსის მთავრობა – ასეთ ჭორებს ასაღებენ, როგორც სინამდვილედ და „ზომებსაც იღებენ“ სათანადოს.

ავიღოთ ჯერ ის, ვითომ „ორასმა თავადმა და აზნაურმა მიმართა გერმანიის წარმომადგენელს – ჩვენი მიწები იყიდეთ, ან და გვიშუამდგომლეთ მთავრობასთან – მიწის დეკრეტი გააუქმონო“ – ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ ეს მტკნარი სიცრუეა, განგებ შეთხზული, რომ კიდევ არევ-დარევა შეიტანონ ჩვენს ხალხში და მთავრობა, იმის მაგიერ, რომ სასტიკად სჯიდეს ასეთს პროვოკაციას და იძიებდეს სინამდვილეს, თითქმის ოფიციალურად ბრალსა სდებს ასეთს მოქმედებაში ეროვნულ-დემოკრატებს.

ჩვენ მოვითხოვთ, სასტიკად იყოს დასჯილი ასეთი ჭორების შემთხზველი და გამავრცელებელი სხვადასხვა ბიურო და გაზეთი, რადგან ასეთ ცილისწამებას არასასურველი შედეგები მოსდევს საქართველოს მთლიანობისათვის. და თუ ოდნავი სიმართლე მაინც აღმოჩნდა ასეთს ურცხვ ჭორში და ვინმემ კერძოდ მართლაც მიმართა გერმანიის წარმომადგენელს ჩვენს შინაურ საქმეებში ჩამოსარევად – არა ნაკლების სისასტიკით უნდა დაისაჯოს ამის ჩამდენი. ისე კი ჭორების აყოლა

---
1 ფრაგმენტი [რედ.]
2 „რაე“-ს ფსევდონიმით წერდა რევაზ გაბაშვილი [რედ.].

და გავრცელება არ ეკადრება არც პატიოსან გაზეთს და არც მტკიცე მთავრობას. ჩვენ მოველით სასტიკ და დაუყოვნებლივ პასუხს და არა ცილისმწამებელთა გესლიან მუქარას და დედაბრულ ჩივილს. საბუთები და მტკიცე შედეგები და არა ეჭვები და ფუჭი მუქარა.

მეორე ჭორი, რომლის მაგვარი ამ ომისა და რევოლიუციის დროს მრავლად წაგვიკითხავს სომხურ გაზეთებში – არის ინგლისელების მძლავრი ჯარების მოსვლა ყაზვინში, ენზელში და ეხლა უკვე ბაქოში. ეს დიდი ხნის უნაყოფო და ღვარძლიანი ოცნებაა სომხებისა და ამ ოცნებით დაღუპეს სომხეთის მთელი ერი – ახლა როგორც იგავის გმირები – არც თვითონ შეირგეს თავისუფლება და არც ჩვენ უნდათ რომ შევირგოთ – ხალხში ავრცელებენ ასეთ ხმებს და ჩვენი ოფიციოზი „ერთობაც“ დაუმოწმებლად ავრცელებს ასეთ ჭორს, რომელსაც შედეგად შეიძლება მოჰყვეს თავის წამოყოფა ყოველგვარ ხულიგანებისა და ჩვენ მოძულე ერებისა. უკვე დასისინებს ღვარძლიანი ეჭვი და თავის საწადელს აღწევენ მოღალატეები, მაგრამ მთავრობამ სასტიკად უნდა ალაგმოს ასეთი გამოსვლები და დაუსჯელად არ დასტოვოს ცილის მწამებელნი.

ამ მხრივ ჩვენ ვუერთდებით „ერთობის“ მოთხოვნას – განიდევნონ ჩვენი ტერიტორიიდან ყველა მოღალატე და მქირდავი პირი და ორგანიზაცია, რომელნიც ხელს უწყობენ არა მარტო გესლიან ჭორებს, არამედ ანარქიასაც და მოვითხოვთ არც ერთი ჭორი ამ შავბნელ დროს არ დარჩეს გაუბათილებელი სასტიკი გამოძიებით და სათანადო დასჯით – ვინაიდან დღევანდელ მომეტში ჭორს, და, გაზეთის ჭორს ნამეტნავად, მეტი ზიანი მოაქვს, ვიდრე სხვა რამ დანაშაულს.

# ქრონიკა[1]

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 1918 წ., 23 მკათათვე (ივლისი), № 145, გვ. 2.*

ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების თანახმად ბათუმის, ართვინისა და ყარსში მომხდარმა რეფერენდუმმა შემდეგი შედეგი გამოიღო: ოსმალეთთან შეერთებას ხმა მისცა 83,000 კაცმა, შეერთების წინააღმდეგ – 2,000.

# საზღვრების დაცვისათვის

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 1918 წ., 24 მკათათვე (ივლისი), № 146, გვ. 1.*

საქართველოს სახელმწიფო საზღვრების დაცვა მთავრობის უპირველეს მოვალეობას შეადგენს. თუმცა ჩვენი სამშობლო ჯერ ხნობით მტკიცედ არ არის შემოფარგლული, მაგრამ დაახლოებით ცნობილია საქართველოს ტერიტორია და, მაშასადამე, დიდს სიძნელეს არ წარმოადგენს იმისი გაგება, თუ სად თავდება რესპუბლიკის საზღვრები და იწყება უცხო სახელმწიფოთა მფლობელობა. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე ჩვენმა დაუზოგველმა მტრებმა ჩვენი ტერიტორიის მრავალს ადგილს და უფრო კი განაპირა კუთხეებში შეუგნებელ და ბოლშევიზმით გაჟღენთილ ხალხს აშკარა აჯანყებისაკენ მოუწოდეს. ამ ფაქტმა რესპუბლიკის მთავრობა მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩააყენა, მით უფრო, რომ ამავე დროს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი ყოფა-ცხოვრება სხვა მხრივაც გართულებული იყო. მთავრობა მცირე ყოყმანის შემდგომ იძულებული გახდა გადაჭრილ ზომებისათვის მიემართა და ცეცხლითა და მახვილით მოესპო უწესობა და აჯანყება იქ, სადაც სიტყვა და შეგონება უშედეგოდ რჩებოდა. უნდა კმაყოფილებით აღინიშნოს, რომ საქართველოს მთავრობის უკიდურესმა და, შეიძლება ითქვას, უსასტიკესმა ზომებმა სახელმწიფოს შედარებითი მყუდროება შესძინეს, აწიოკებულ და გაძვალტყავებულ მშვიდობიან მცხოვრებლებს კი მიეცათ შეძლება დაჰბრუნებოდნენ სახლ-კარს და განეგრძოთ ჩვეულებრივი მუშაობა.

როგორც მოსალოდნელი იყო, სუვერენულ საქართველოს მოწინააღმდეგეთა ბანაკში მთავრობის ღონისძიებას ცხარე კრიტიკით შეხვდნენ. ცნობილია საზოგადოდ, რომ თბილისში დაბინავებულ უცხო ტომის სოციალისტურ და არა-სოციალისტურ წრეებში მთავრობის ყოველი ნაბიჯი საქართველოს სახელმწიფოებრივობის დასამკვიდრებლად უნდობლობას იწვევს. უმეტესად აღელვებს ამ ადამიანებს რესპუბლიკის მმართველობის რუს ბოლშევიკების

1 ფრაგმენტი [რედ.]

წინააღმდეგ ბრძოლა და საზღვრების მტკიცე დაცვა. განსაკუთრებული ყურადღებით და გაფაციცებით ევროპიან საქართველოს მტრები საქართველოს ლაშქრის მოქმედებას შავი ზღვის სანაპიროებზე სოხუმის ზემოდ, ანუ, როგორც კადეტების ორგანო „ნაროდნაია სვობოდა" ამბობს: ,,ნამდვილ რუსულ ტერიტორიაზე". ზედმეტად მიგვაჩნია კამათი სხვა და სხვა Профанъ-ებთან ჩვენი ქვეყნის საზღვრების შესახებ. მხოლოდ ერთს კი განვაცხადებთ მათ საყურადღებოდ, რომ საქართველოს საკანონმდებლო დაწესებულებაში და მმართველთა წრეებში სრულიად სხვა შეხედულება აქვთ ჩვენი სახელმწიფოს საზღვრებზე. რამდენადაც საზღვრების გამიჯვნა შორდება ეთნოგრაფიულ პრინციპს და ემყარება სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების სწორად შეფასებას, იქ „ნაროდნაია სვობოდას" და მის ამყოლ-დამყოლთ ელანდებათ იმპერიალისტური განზრახვები და ძალით შეჭრა ,,წმინდა რუსულ ტერიტორიაზე". ჩვენის ღრმა რწმენით მთავრობა ნამდვილ ეროვნულ და სახელმწიფოებრივ შეგნებით მოქმედობს, როდესაც შავი ზღვის სანაპიროებზე გახულიგანებულ და ავაზაკურ ბრბოებს ჰფანტავს შეიარაღებული ძალით და მშვიდობას ამყარებს ბოლშევიკებისაგან და შინაურ მტრებისაგან შეწუხებულ აფხაზეთში, ე. ი, საქართველოს ტერიტორიაზე. მხოლოდ მცნებათა არევ-დარევით აიხსნება ის, რომ კადეტებს ბუნებრივად მიაჩნიათ რუსეთის მიერ განმეორებითი ოკუპაცია განდგომილ კუთხეებისა, ხოლო იმპერიალისტობათ ასახელებენ უკანონობისაგან თავდახწეულ სახელმწიფოს ზრუნვას საკუთარი საზღვრების დასაცავად. კადეტების და ძმათა მათთა რჩევით რომ ვსარგებლობდეთ, საქართველოს ტერიტორია არამც თუ უნდა შეიკვეცოს, თვით მოისპოს ჩვენს მიწა-წყალზე და „მოღალატე" საქართველო, ახალი აღთქმის უძღები შვილისამებრ, უნდა დაუბრუნდეს ძველს ,,მფარველს".

ქართველი ხალხი კი სხვა გვარადა სჯის და ანდობს მთავრობას და ჯარს მტკიცედ და შეურყევლად დაიცვან საქართველოს საზღვრები ყოველის მხრივ და განსაკუთრებით იქიდან, საიდანაც „ძველი მფარველი" ყაჩაღური დუნდგოების სახით გვევლინება.

### ა. მაჩაბელი
## კორესპოდენცია
### ალაზნის გაღმა მხარე და ზაქათლის ოლქი.

*წყარო: გაზეთი „საქართველო", 1918 წ., 21 მარიამობისთვე (აგვისტო), № 165, გვ. 4;1918 წ., 22მარიამობისთვე (აგვისტო), № 166, გვ. 4; 23 მარიამობისთვე (აგვისტო), № 167, გვ. 4.*

1918 წ. 27 მკათათვეს, სასურსათო სამინისტროს დავალებით გავემგზვრე ზაქათალის ოლქისკენ. ამ ოლქში უნდა გამომერკვია რაოდენობა ჭირნახულისა და სხვა სანოვაგისა და სურსათისა, რომელიც უნდა შეგვეძინა იმ საქონელზე გაცვლით, რაც ზაქათლის ოლქისათვის საჭირო იქნებოდა, მაგ., საცვლები, შაქარი, ფარჩა, რკინა, ავეჯი და სხვა. საღამოზე 27 მკათათვეს, უკვე წნორის წყალზე ვიყავი, საიდანც მაშინვე ცხენის ურმით გავუდექ გზას ლაგოდეხისკენ, რადგან სხვა ჩასაჯდომი ეტლი ვერ ვიშოვეთ. მგზავრები თორმეტამდის ვიყავით, ვაჭარი, აფიცრები, რუსი სტუმრები, ახალ მოშენე ქართველები...

ლაგოდეხამდის მთელი ღამე მოვუნდით მგზავრობას. ალაზნის ხიდს გასცდებოდით თუ არა, მაშინვე ჭიაურის ჭალა იწყება. ეს მშვენიერი უზარმაზარი ტყიანი ჭალაა, გაჭრილი საუცხოო ქვიშის გზით. ჭალა ადგილ-ადგილ გაკაფულია და საუცხოო მოსავალია სიმინდის, რომელსაც ოთხი-ხუთი არშინის სიმაღლე აქვს და სამი, ოთხი და მეტი ტარო დასხმული, ვერც გურია, და ვერც სამეგრელო ვერ შეედრება სიმინდის უკეთესობით. მთელ ამ ადგილზე მოსახლეობდნენ რუსი „პერესელენცები", რომელთა ჩამოსახლებას სულ ოცდა-ათიოდე წლის ისტორია აქვს, და აქ მათ „ხახოლებს" უწოდებენ. გზაში აუარებელი დაფქვილი ჭირნახულით დატვირთული ურმები ქიზიყელებისა გვხვდებოდა. მთელი ქიზიყი ამ ჭიაურში ფქვავს თავისას და გასაყიდ სარჩოს. სასიამოვნო სანახავი იყო ამ ბნელაში მგზავრობის დროს ელექტრონით განათებული ახმაურებული მუშაობით წისქვილები, გარშემოკრებილ მესაფქვავების ურმებით და საქონლით. აქვე ჩოლოყაშვილისეული საუცხოვო ხეხილის ბაღი, და მშვენიერი სასახლე, წისქვილიც ჩოლოყაშვილისა ყოფილა, ახლა კი დეკრეტის ძალით, ყოველივე ეს სახალხო, სახელმწიფოა. დიდ გონიერ შრომას პატრონისას, და აქაურ ბედნიერ და უხვ ბუნებას ყოველივე სიკეთით დაუჯილდოვებია ეს მიდამო. ამ უზარმაზარ ჭალაში აუარებელი შინაური და გარეული პირუტყვი იკვებება და სიმსუქნით კანში აღარ ეტევა. სად ღორის ჯოგი დგას და სად ხარ-კამეჩ-ძროხის

ნახირია, გასუქებული, გაკეთებული, რომელთაც ქართული გაძვალტყავებული საქონელი სწორედ რომ ომს გამოუცხადებდა ამ ბურჟუა საქონელს.

გათენებისას, საათის ხუთზე უკვე ლაგოდეხში ვიყავით. დილით ვიპოვე საადგილ-მამულო მიმღები კომისია დუშიკო ფალავანდიშვილის თავმჯდომარეობით და მასთან ჩამოვხტი. ლაგოდეხი არც დაბაა, არც ქალაქი, ამას ეძახიან „უროჩიშჩეს" რუსულად, მცხოვრებნი მეტი წილი ქართველები არიან, შემდეგ სომხები, რუსები და სხვა. მცხოვრებნი უმეტესად მეთამბაქოებას მისდევენ. ცხოვრება მეტად იაფი ყოფილა ომამდის. მაგალითად, იქ ბოსტნეულობა ისეთი უხვი ყოფილა, რომ თითქმის მუქთად იშოვებოდა. დღეს კი ლაგოდეხი შიმშილს განიცდის. კვირა დღეს იყო ბაზრობა. ეს ოდესმე ყოველივე სიკეთით სავსე ბაზარი, დღეს ცარიელი ვნახე. და თუ ცოტა რამ მოიპოვებოდა, ისიც დაახლოვებით იმავე ფასებში, როგორც ტფილისში და საქართველოს სხვა კუთხეებში. ბაზ[ა]რს თავს დასტრიალებდა ოსმალოს ასკერი, მაღალ-მაღალი, კარგად ჩაცმული, ვინტოვკით, რევოლვერით და მოკლე, ბოლო-მოგლეჯილი ხმლით...

ამავე დროს გამოვეცხადე იქაურ ეროვნულ საბჭოს წევრს და ლაგოდეხის კომისარ ლ. სირაძეს, რომელსაც ავუხსენი ჩემი მისვლის მიზეზი, მან დახმარება აღმითქვა და მოიწვია ეროვნულ საბჭოს წევრები კლუბში, სადაც მოთავსებულია სამკითხველოც, სცენაც, ბუფეტიც. ეროვნულ საბჭოს წევრნიც დაუზარებლად მობრძანდნენ.

იმსჯელეს ჩემს ზაქათლის ოლქში გამგზავრების შესახებ და გამოირკვა ჩემთვის, რომ ზაქათლის ოლქი ადერბეიჯანის რესპუბლიკას ეკუთვნის და ზაქათალის ოლქის და ალაზნის გაღმა მხრის შუა მომდინარე მაწიმის წყალი (მაზიმ ჩაი) სამზღვრებათ დაუდვიათ ადერბეიჯანის მოხელეებს და თავისი კაცები ჩაუყენებით მცველად. „პოსტი მაწიმის წყლის გამოღმა[“] ერთ ბაღის შენობაში მოთავსებულია, ჩვენი ჯარიც გადმოღმა მხარეს იცავს. როგორც ჩვენი ყარაულები, ისე ოსმალ-ადერბეიჯანის მეგობრულად ცხოვრობენ. ვიდრე ამ საყარაულოებს გააჩენდნენ, იქ დიდი ცარცვა და საქონლის ტაციობა ყოფილა. თუმცა კი ეხლაც არის შემთხვევები მაწიმის წყლის გაღმა ზაქათალის ოლქში მგზავრების ცარცვისა. მოვემზადე მეორე დილისთვის ზაქათალის ოლქისაკენ გასამგზავრებლად.

ეროვნულმა საბჭომ ყოველნაირი დახმარება გამიწია, [ფირმანებით] აღმჭურვა რომ მგზავრობა გაამდვილებიყო. რადგან, როგორც გამოირკვა მგზავრობა მაინც სახიფათო იყო. რაიონის კომისარი ეჭვში იყო, ვაი თუ ხიფათი რამე შეგემთხვესო, აგერ უკრაინელების წარმომადგენლები თუმცა კარგა მიიღეს, მაგრამ მერე გზაში ამოხოცეს ყაჩაღებმა ექვს-ექვსი კაცი. მე ვსთხოვე მოწმობა ამისი, თუ არ შეიძლება მგზავრობა მეთქი. მე კი გულით მინდოდა წასვლა, რადგან ვიცოდი, რომ იქაური ცნობილი მართველები და მოხელეები თითქმის ყველა ჩემი ნაამხანაგები არიან, იმედი მქონდა, რომ შემინახავდენ. ჩავსხედით ეტლში, გამომყვა ორი ქართველი მცველი. მაწიმის წყლამდე ითხი ვერსია, იქ ჩაგვიბარეს ოსმალოს აფიცრებმა, გაგვატანეს თან ორი მცველი და გავედით მაწიმის წყლის დიდრიყეს, თვით მდინარე ორ თვალ წისქვილს ეყოფა, რიყე კი დიდი აქვს. ეს გზა ჩემთვის უცხო არ იყო, ასე მეგონა გუშინ გამივლია მეთქი. გზაზე მშვენიერი ბეტონის ხიდები სულ დანგრეულა, ყურს აღარავინ უგდებს. კაკლის ხეების ჩარდახში მიდიხარ, საგანგებოდ დარგულში, მოურწყაობით ზოგი გამხმარა, მშვენიერი მდიდარი ბუნება, ხილი ყველანაირი, აუარებელი საქონელი, ზოგან ყანები ვერ მოუმკიათ, მოსავალი უხვია. მცხოვრები ლეკები რომლებიც ერთის შეხედულობით ქიზიყელებს მოგაგონებთ, ჩაუცმელები არიან, ტანისამოსი სულ შემოსცვეთიათ. ზოგს ლოგინის პირები გაუძვრიათ და ის შეუკერიათ და ჩაუცვამთ. აგერ იქ მშვენიერ ეზოში, ჩრდილს ქვეშ მარჯანივზე[1] აბრეშუმს ახვევენ, იქ ჯეჯიმს ქსოვენ. გზა მშვიდი და მხიარული გვქონდა. ორ საათ-ნახევარში უკვე ბელაქანში ვიყავით ბაშირბეგ გალაჯოვის ეზოში, აქ ამ სუფთა მწვანით მორთულ ქვითკირის გალავანით შემოვლილ და გარშემო უზარმაზარ ლეღვიან, ხილიან და ბრ[ოწ]ეულიანში, სადაც მრავალი ყვავილნარი ყვავის ორი თეთრი სახლი დგას, ცალ-ცალკე. ყველაზე მდიდარი ხალხი მთელ ზაქათლის ოლქში ეს ოჯახებია, რუსის სამსახურში დაწინაურებულები, ახლაც ადირბეჯანელების თვალში წინ არიან, ესენი აქამდის თავიანთ თავს ვაჩნაძეებათ სთვლიდენ და ქრისტიანობდნენ, ახლა კი ყველანი ძალით გაუმაჰმადიანებიათ, გარდა ბაშირბეგ გალაჯოვის მოხუცი დედის, რომელიც განათლებული ქალი ბრძანდება რუსულ გიმნაზიაში, და კარგი მოსაუბრეა, ეს ადამიანი და არის ჩემის თანამგზავრის გიორგი გალაჯოვისა, რომელიც ქრისტიანად გადარჩენია მაჰმადიანებს, აქ ბელაქანში გაუყიდნია მამული და ლაგოდეხში დასახლებულა. ბაშირ-ბეგს (ქრისტიანობაში მიხეილს) ვაცნობე ჩემი მისვლის მიზეზი. მან ამიხსნა, რომ ადირბეჯანის რესპუბლიკის

1 შეცდომითაა დაბეჭდილი. [რედ].

მთავრობის განკარგულებით, არავითარი სურსათის გატანა არ შეიძლება საზღვარ-გარეთაო, რაც შეეხება ხილს, რომელიც აუარებელი ულპება ხალხს, და რომელიც თბილისში გაგვქონდაო ამის გულისთვის კაცები გავგზავნეთ განჯაში მთავრობასთან საშუამდგომლოდ, რომ ხილის გატანის ნება მაინც დაგვრთონო, თორემ ეს აუარებელი სიმდიდრე გვილპებაო, თუმცა იმედი არა გვაქვს ამისიც, რადგან ერთხელაც შემოგვითვალეს, რომ ხუთი მილიონიც რომ იყოს ზარალი გიზღავთო. მალე ავტომობილებს მოვიტანთ, ბაქოს [წ]ავიღებთ და ის იქნება თქვენი ბაზარი. შემდეგ რკინის გზას გავიყვანთ ბაქომდეო. ეს ამბავი მოსვლია მინემ ამ ბაშირ-ბეგს ადერბეიჯანის მთავრობა სასურსათო სამინისტროს საქმეთა გამგედ დანიშნავდა. ახალგაზრდა ბაშირ-ბეგს სწავლა დამთავრებული აქვს პეტროგრადის უნივერსიტეტში. ბელაქნელი ლეკები კი სწუხან რომ ყოველივე გასასყიდი სარჩო ელუპებათ უგზოობით. თუმცა შარბათს აკეთებენ ხილისას, მაგრამ ეს არაფერიაო.

მომცა წერილობითი მოწმობა და გამიშვა, კერძო ლაპარაკში შემდეგი გამოირკვა:

– რათ არიან ოსმალოს ასკერები აქ, შევეკითხე.

– ეგენი ჩვენ მოვიწვიეთ წესიერების დასამყარებლად, ზაქათალის ოლქში ისე როგორც თქვენ ქართველებმა მოიწვიეთ გერმანელები.

– მაშ თქვენ, ეხლა ადერბეიჯანში ხართ მოქცეული?

– არა, ჩვენ რა საქმე გვაქვს შექელებთან (ნუხელ თათრებთან) ჩვენ პირდაპირ ოსმალეთის ფადიშახთან ვიყრით თავს, რომელმაც უნდა გვიპატრონოს.

– მერე რა გაქვთ საერთო ოსმალეთთან?

– სჯული, რომელ მესჯულეებს თავი უნდა მოეყაროთ ერთი ტახტის გარშემო ეგრე ინდოეთამდის.

– თქვენ ლეკ[ე]ბი ჭარ-ბელაქნელები უწინაც საქართველოს ნაწილს შეადგენდით, ქართველი ერის შტო ხართ და ქართველებთან უნდა დარჩეთ.

თუ ქართველები ჩვენები არიან და ჩვენ ვუყვარვართ, როგორც ყოველთვის გვეუბნებიან ჩვენი ნაცნობები, მაშ ქართველ თავადებს რათა ხოცვენ და სდევნიან იმის გულისთვის, რომ ვითომ ისინი ჩვენსას მოდიოდნენ და ჩვენ გვაფარებდნენ თავს და ვითომ ჩვენი მეომრები მიჰყავდათ საქართველოში? ხომ მგზავსი არა ყოფილა-რა? მარტო შარი იყო.

– ჭარ-ბელაქანი და საინგილო საქართველოს განუკვეთელი ნაწილია, და ამ მხარეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ვერ დასთმობს, თქვენ ალაზნამდის აცხადებ[თ] პრეტენზიებს, და საქართველო ასეთ ღია კარებს ვერ შეეგუება..

– მაშ ომი მოგვიხდება?

– შეიძლება ესეც მოხდეს...მაგრამ სტამბოლის კონფერენციაზე გადაწყდება ეს საქმე.

– მერე თვითგამორკვევის პრინციპი?

– სახელმწიფო ყურად ღებულობს საზღვრების მდგომარეობას, სტრატეგიულ პუნქტებს.

თქვენში მოსული ასკერები თავხედურად იქცევიან ლაგოდეხში.

– გთხოვთ რომ ეროვნულ საბჭოს გადასცეთ, ლაგოდ[ე]ხში, რომ არც ერთ ასკერს ნება არ მისცენ ლაგოდეხში შესვლისა, ნამეტნავად ბაზრობას, რადგან აქ ჩვენშიაც, თავი მოგვაბეზრეს თავიანთ საძაგელ ქცევით.

– თუ მოგვცემთ პურს, ქერს, ბრინჯს, ჩვენ მოგცემთ ფართალს, რკინას, ტყავს და სხვა მრავალს.

– არა არ შეგვიძლია ზაქათლის ოლქი, ჭარ-ბელაქანი მდიდარია ხილით, არ მისდევს ხვნა-თესვას, და პურს კახეთიდან ეზიდებოდნენ, წელს მართალია, დიდი მოსავალი იყო, მაგრამ უთესლობის გამო ბევრი არ იყო დათესილი და რაც ხალხს მორჩება, თუ მორჩა, იმასაც ჩვენი მთავრობა წაიღებს. ხილს კი მოგართმევთ, თხილს, კაკალს მრავალს.

– ხილი ჩვენშიაც მრავალია, არ გვინდა, არ შამოუშვებთ არც თამბაქოს მოგცემთ, სჯობიან ისევ ერთნი ვიყვნეთ.

– რათ მინდა ოსმალო, რათ მინდა შექ[ე]ლი, ჩვენი ბაზარი თბილისია, აქედანაც რომ რკინის გზა გააკეთონ ბაქოსკენ, ჩვენ მაინც წნორიდგან წავალთ ქალაქში, იქიდან ბაქოში, ჩვენ თბილისი გვიზიდავსო, – ჩაერია ერთი ლეკი ლაპარაკში, საერთოდ ხალხი ჩვენსკენ, საქართველოსკენ არის და მთავრობის აგენტები ადერბაიჯანისკენ – ტელეგრაფი გაწყვეტილია, ფოსტა ვაინაჩრობით დადის. ლაგოდ[ე]ხში ლეკები ჩვეულებრივ დაიარებიან, ზოგი დატუსაღებულების სანახავად, ზოგი ქართველებთან სამეზობლოდ, ზოგი ისე უსაქმობით. ქართველებს და ლეკებს, მეტადრე ყაბახჩოელებს მეგობრობა აქვთ (ქიზიყელებთან), როგორც კაიკაცობაში ისე ავაზაკობაში. ქართული კარგად იციან. საღამოზე ლაგოდეხში მოვედით. გული დამწყდა რომ აქეთაც ფრთებს

აკვეცენ ისედაც პატარა საქართველოს. აქ ლეკებში აგენტები რომ მოსულან ოსმალოებისაგან, უთქვამთ ხალხისათვის რომ რომელი მართლ-მორწმუნე მუსულმანი არა სცემს თაყვანს ფადიშაჰის ტახტს, და მის გარშემო არ შემოკრბება, ის სილას არტყამს მაჰმადს და მის ისლამს შეაგინებსო, ასე ფანატიკოსს ხალხში, რჯულის საშუალებით შეაქვთ დამღუპველი ფანატიკური შეგნება.

ზაქათალის ოლქში და მის ახლომდებარე ნუხის და არეშის მაზრის მიდამოებში ზღაპრული ჭირნახულის პურის, ქერის და ბრინჯის მოსავალია. მარტო ნუხის მაზრიდან აყრილი სომხების მოსავალი მთელ მაზრას გამოჰკვებავს. ამ მიტოვებულ ყანებს ჰკრებს ადერბეიჯანის მთავრობა, და ამ ბაშირ-ბეგის განკარგულებაშია.

ნუხის და არეშის მაზრაში სომხების შემდეგი სოფლებია დაცლილი: საბათტუ, კარაბაში, სოგუთტულაშბულაგ, გოქბულაქ და სხვა.

მიუხედავად ყოველი დაბრკოლებისა, რომ გზები შეკრულია, მაინც ბუნებრივ მსვლელობას კაცი მხარს ვერ აუქცევს და მე დარწმუნებული ვარ, რომ ზაქათლ[ი]ს ოლქთან დიდი აღებ-მიცემობა იქნება, თუ საქმე დადგა კარგ ნიადაგზე და აღზდგება ჯერ შეუწყვეტელი ურთიერთობა ლეკებსა და ქართველებს შორის.

ალაზნის გაღმა მხარი შესანიშნავია როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიურად კოლონიზაციის ინტერესების მიხედვით, აქ სულ ახლო წარსულში ქართველმა უმიწაწყალო ელემენტმა იწყო გადასახლება მემამულეთა მამულებში მოიჯარადრეობის სახით, აქვთ ნაყიდობაც. გადმოსახლებულნი არიან მომეტებულ ნაწილად ქუთაისის გუბერნიიდგან და მცირედი ოსებისაგან. სახელმწიფო ადგილებს კი ქიზიყელები ეტანებოდნენ, აქ გაშენდა ახალშენები. ზოგს დაარქვეს: ცოდნა, შრომა და სხვა, აქ იყო კიდევ ცოტა ადრე დასახლებული რუსობა, რომელნიც თითქმის ქართველობდნენ. მაგრამ ქართველების კოლონიზაციას წინ აღუდგა რუსის მთავრობა, ქართველებს ნ[ე]ბა აღარ მისცა დასახლებისა, ამ თავის საკუთარ მიწა-წყალზე, სადაც სულ უწინ პირწმინდათ ქართველი მოსახლეობა ყოფილა, რასაც ვახუშტი ამტკიცებს, თავის გეოგრაფიით და მოიხსენიებს, რომ ალაზნის მარცხენა ნაპირზე ქართველი მოსახლეობა და მარჯვენა ნაპირზე, ესე იგი ეხლანდელ ალაზნის ველზე და ქიზიყში გაუვალი ტყეები და ჭალები ყოფილა. რუსის მთავრობამ დაიპყრო სოფელი ცოდნა და იქ რუსობა დაასახლა, გრეთვე კიდევ სხვ ადგილებზეც ფუზე არ მოაკიდვინა ქართველობას და აჰყარა. ამ ადგილებში, ალაზნის ხიდს გახვალთ თუ არა შეხვდებით შემდეგ ახალშენებს:

1. ივანოვკა – რუსობა ნახევრობით აყრილან და იქ ქართველები, იმერეთიდგან დასახლებულან.
2. ვორონ[ც]ოვკა – რუს[ე]ბი გარდა ოთხი კომლისა, წასულან, ქართველები დასახლებულან.
3. დაშკოვკა – რუსები სულ წასულან, ოსები დასახლებულან და საეჭვოთ შეიარაღებულნი არიან და ბოლშევიკობენ მგზავსათ ქართლელ ოსებისა, ამათში ქართველებიც მოსახლეობენ.
4. ილარიონოვკა – დასახლებულან ოსები და ქართველები.
5. გრაფოვკა – მალაკნები სცხოვრობენ.
6. ელიზავეტოვკა – რუსები წასულან, ქართველები დასახლებულან და სახლდებიან ეხლაც.
7. რომანოვკა სახლდებინ ქართველები.
8. ალექსანდროვკა – ოსობა და ქართველობა სახლდება.
9. მიხაილოვკა – სულ რუსები არიან. ესენი დიდი ხანია აქ მოსახლეობენ.
10. სლაბოდკა, ლაგოდეხი, ძველი რუსები და ქართველები სცხოვრობენ. რუსები სჭარბობენ

ყველა ჩმოთვლილ სოფლებში ქიზიყიდგან და შორეულ საქართველოდგან მოსული ხალხი სახლდება[,] მაგალითად, ხიზაბარველები 31 კომლი, სულ სამასი სული, რომლებიც თავის ურემ-საქონლით მოვიდნენ ჩემს იქ ყოფნაში, თუმცა ჯერ შესაფერი, ესე იგი მათი მოსაწონი ადგილი ვერ შეხვდათ და კიდევ ეძებდნენ. მათთვის აღნიშნული სამოსახლო ადგილი, მთავრობისგან, უკვე მათ მოსვლამდის იმერლებს დაეჭირათ. ადგილობრივი ლაგოდეხის უმიწა-წყლო ქართველები ელიზავეტოვკაში სახლდებიან. აღსანიშნავია ადგილობრივ მცხოვრებ ქართველების აღფრთოვანება და სიხარული ქართველ ახალმოშენეთა მ[ი]მართ. ესენი ყველას უცხადებენ ამ სიამოვნებას. მიზეზი ის არის რომ ქართველი ელემენტი ამ ლეკის პირში, ძლიერდება. იმედი აქვთ რომ მხნე და მებრძოლ ხალხის აქ ჩასახლებით შერჩებათ ეს მშვენიერი კუთხე საქართველოს და არც მისცემს მეზობელ ლეკებს ნებას თავის პრეტენზიები რომლებიც (ლეკები) ალაზნამდის აცხადებენ, ლეკების სასარგებლოთ დაათავონ, და ალაგმავს ყოველგვარ მტაცებლობას, ხან ლეკები სტაცებდნენ ქართველებს საქონელს და ხან ქართველები მათ, საპასუხოთ, ახლა კი ქართველი ჯარის კაცების

ჩაყენებით, რომელსაც უმფროსობს მხნე პოლკოვნიკი ნ. ნადირაშვილი და ქიზიყელი ვაჟკაცები, რომლებიც თავის სურვილით შეიარაღებულან და დარაჯობენ, ლეკები აულაგმავთ. დასასრულ სოფელ ცოდნასთან, მაწიმის წყალზე ეხლა სამზღვარია გავლებული ზაქათლის ოლქსა და ალაზნის გაღმა მხარეს შუა. აქ ოსმალოს კაცებიც და ქართველების ჯარი აყენია[.] ერთმანერთში მიდი მოდიან. ამავე სოფელ ცოდნაში მიმღები სამიწო კომისია მუშაობს ლაგოდეხის ქართველ ნაციონალურ საბჭოსთან ერთათ, აძლევს შვიდ-შვიდ დესეტინას მშვენიერ ნაფუზრებს სამოსახლო ადგილებიანათ. აქვე თხუტმეტი კომლის ინტილეგენტისთვის ადგილი მოზომილი და ცდილობენ მოიწვიონ დასასახლებლად ექიმი, ფერშალი, მასწავლებელი, აგრონომი, ინჟინერი, ტეხნიკი და სხვა ამ გვარნი, ვისაც შრომის უნარი, და ახალ მოშენეთა კეთილად დასახლების სურვილი აქვს.

აქ რუსების მიტოვებული სახლ კარია მრავლად. სულ აკლებული უკარ უფანჯროთ, მამული, ჰავა, წყალი, ტყე, რიყე-გზა, ყველა ეს ისეთის სიუხვის-მომცემია.

იმედების რამ მეორე არ მეგულება საქართველოში, ამ მხარეზე მომეტებულად მეთამბაქოებას მისდევენ და აქაურმა ბუნებამ გამოიმუშავა ადგილობრივი თამბაქოს ჯიში, სხვა და სხვა სამსუნისა, ტრაპიზონისა და სხვათა ჯიშებიდგან, და კარგი სახელი აქვს თამბაქოს ქარხნებში. ამ ჟამათ დიდძალი თამბაქო წევს აქა, რომელსაც უვლის მეთამბაქოთა ამხანაგობა და არ ჰყიდის ჯერ ჯერობით. ფასი დაუწესებიათ. 200-230-250 მანეთი ფუთზე, აქ ხვნა თესვას ჭირნახულისას ძალიან ცოტანი მისდევდნენ, პური მოსდიოდათ რუსეთიდგან და ლეკებიდგან, აგრეთვე ქიზიყიდგან. ამის გამო ეხლა მეთამბაქოები დიდათ გაჭირვებულნი არიან უპურობით და უფულობით. თამბაქოს გაყიდვა ზაქათლის ოლქისკენ აკრძალულია, მის საპასუხოთ, რომ თვით ზაქათალის ოლქიდგან არაფრის გამოტანა არ შეიძლება ადერბეიჯანის მთავრობის განკარგულებით, რადგან ზაქათალის ოლქს თავისად სთვლის. როგორც ლეკები, ისე ქართველები ამ ორი მეზობელი ქვეყნისა, ძალიან უკმაყოფილები არიან ამ ურთი-ერთობის.

ქართველ კოლონიზაციას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს რომ ისინი ერთი და ერთი რიგიანათ მოეწყვნენ და გაიმართონ.

ამ ალაზნის გაღმა მხარში მეტათ დიდი მოსავალია. მცხოვრებლებ[ს] აკლიათ ჩასაცმელ დასახური, ჩაი, შაქარი, ბრინჯი, ერბო, ყველი, კვერცხი, რომელიც აღარ შემოდის ალარსაიდგან. ამიტომ დიდი სახეირო იქნებოდა რომ ჩვენს მთავრობას გაეხსნა აქ ლაგოდეხში დიდი საქონლის საწყობი და გადაეცვალა ჭირნახულზე, რის გამო თვით დაღისტნიდგანაც და ზაქათალის ოლქიდანაც შემოიტანებოდა საჭირო სანოვაგე, აქ მრავალი შენობებია აქ მდგომი პოლკის ახლა დაცარიელებული. ეს საქონლის საწყობი ყოველნაირი სავაჭროსი, დიდათ შეუმსუბუქებდა ახალ მოშენე ქართველებს დასახლების ჯაფას და ახლავე დააყენებდა სასურველ მეურნეობაზე, ალაზნის გაღმა მხარი დაკავშირებულია თბილისი-კახეთის რკინის გზით, სადგურ წნორის-წყლით მაგრამ ეს სადგური დაშორებულია ამ ქვეყანას და ამ ჟამად მისვლა მოსვლა და საპალნის ზიდვა მეტად ძვირად ჯდება. ლაგოდეხის ეროვნული საბჭო მეტად მხნეთ იქცევა აქაურების სასიკეთოთ, თუმცა პრაქტიკული მუშაობის სიმცირეა: ეს ქვეყანა საჭიროებს ბევრს პრაქტიკულ მოღვაწეებს, და დიდ მეთვალყურეობას მთავრობის მიერ, რადგან განსაკუთრებული ხასითის და მდგომარეობის კუთხეა, როგორც პოლიტიკურად ისე კულტურულად.

**ზ. ედილი**

## მივიწყებული ქვეყანა
### (ეროვნულ საბჭოს საყურადღებოდ)

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 1918 წ., 23 მარიამობისთვე (აგვისტო), № 167, გვ. 3-4.*

საინგილო – ეს ის ქვეყანაა რომელიც ღვთისაგან და კაცისაგანაც მივიწყებულია და განმარტოებული. არა მგონია, რომ მთელს საქართველოში საინგილოზედ უფრო მივიწყებული და უცნობი ქართველი საზოგადოებისათვის კიდევ იყოს სხვა რომელიმე კუთხე საქართველოსი. ჯერ ისევ მშვიდობინობის დროს არავინ იცხელებდა მისთვის თავს და არავინ ქართველ საზოგადოებიდან უბრალო ცნობის მოყვარულობით მაინც დაინტერესებული ერთის გავლით მაინც არ შეიხედავდა ხოლმე ამ სწორედ რომ მივიწყებულ ქვეყანაში. იმ დროს როცა მთელი საქართველოს ყურადღება აფხაზეთისკენ არის მიპყრობილი და გამარჯვებულ-აღფრთოვანებული

ჩვენი ჯარი გასცილდა რა აფხაზეთის საზღვრებს ყუბანის ოლქისაკენ გზას იკაფავს, საინგილო, რომელიც ზურგზე გვაკრავს და დღე-მუდამ შველასა გვთხოვს მივიწყებული გვყავს და არავითარს ყურადღებას არ ვაქცევთ მის ჭრილობებსა და ტკივილებს. მთელი საინგილოს ქართველობა წარსულ წლიდან მოკიდებული დღევანდლამდე გმინავს, გაჭირვება-უბედურებაშია, საუკეთესო მისი შვილნი, რომელთაც მათთვის გული შესტკივოდათ ჩამოაცალეს და განდევნეს სამშობლოდან თათრების ბნელმა ძალებმა და ჩვენ კი მიუხედავად ორი წლის მუდარებისა, მთლად დუმილით და კიდევ დუმილით ვუპასუხებთ ამ ქვეყნის ბედს.

ესეთი გულგრილობა, ასეთი უყურადღებობა მგონი საინგილოს მნიშვნელობის უცოდინარობით აიხსნება და ამიტომ მინდა ორიოდე სიტყვით შევეხო მას. საინგილო ერთი უმდიდრესი, უტურფესი და უკეკლუცესი კუთხეა არამც თუ მთელს საქართველოში, არამედ მთელს კავკასიაშიაც. არა ერთხელ გადმომივლია და გადამივლია მთელი საქართველო დაწყებული საინგილოდან აფხაზეთის ბოლომდის, მაგრამ საინგილოს სიმდიდრეს და ბუნების სიკეკლუცეს ვერავითარი კუთხე საქართველოსი ვერ შეედრება, ვერ შეედრება თვით ზღვის კეკლუცი სანაპიროები აფხაზეთისაც-კი. და მერე რა მდიდარია ბუნებით ეს ქვეყანა, ყოველივე დარგს მეურნეობისას აქა ნახავთ შემუშავებულს–გაუმჯობესებულ[ს]. მესაქონლეობა, მეხილეობა, მეაბრეშუმეობა რომლის წყალობით ზაქათალში ორი და ნუხაში 70 აბრეშუმის ქარხანა მუშაობდა, ბრინჯის მოსავლიანობა, მევენახეობა, მეთუთუნეობა და მეცხვარეობა თითქმის ზედმიწევნით არის განვითარებული ამ მდიდარს კუთხეში და ეს მდიდარი ქვეყანა კი მიტოვებულ და უპატრონოდ დარჩენილია. საინგილო ის ქვეყანაა, რომლის უხვ და დიდძალს მოსავალს შეუძლიან თბილისი თუ სრულიად არ გამოჰკვებოს, წლითი-წლობამდის. სანახევროდ მაინც შეუმსუბუქოს ტვირთი. აი დღესაც, როცა თბილისში 100-150 მანეთებს ვაძლევთ ხორბალში, საინგილოში საუცხოვო ხორბალი, რომელსაც ადგილობრივ ეძახიან სარი-ბუღდას, იყიდება 30-35 მანეთად და ჩვენს კი ერთი გირვანქაც ვერ მოგვიტანია იქიდან, რადგანაც იქ ამ ჟამად ოსმალეთი არის გაბატონებული.

ასეთი საინგილოს მნიშვნელობა მეურნეობის მხრივ, მაგრამ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს საინგილოს სტრატეგიულად. საინგილო რომ ხელიდან გაუშვათ, მაშინ ქიზიყი სულ ღია დარჩება და მუდამ შიშის ქვეშ იქნება. მოგეხსენებათ, ძველად ქართველ მეფეების დროს, რა გაჭირვება ადგა ამ კუთხიდგან არამც თუ ქართლ-კახეთს, არამედ იმერეთსაც [კ]ი. აქ ირაზმებოდნენ ხოლმე მთელი ურდონი დაღესტნიდან გადმოსული ლეკებისა (აქ საუკეთესო გზებია დაღესტნიდან გადმოსავალი), რომელნიც შემდეგ ნაცარტუტას ადენდნენ ხოლმე მთელს საქართველოს. ერეკლე მეორემ მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე მათთან ბრძოლას შეალია და საინგილოს ტერიტორიის ხელში ჩაგდება მის სანუკვარს საგანს შეადგენდა და ჩამომავლობას ანდერძით დაუტოვა მისი უსათუოდ საქართველოსთვის შემოერთება, რათა მის ტერიტორიის დაპყრობით ერთხელ და სამუდამოდ გზა მოეჭრა ლეკების ურდოების ჩამოსვლა-შემოსევებისათვის. ესევე იქნება დღესაც, თუ საინგილოს ტერიტორია ჩვენ არ შემოვიერთეთ, ესევე ხელ-ახლა ატყდებიან ლეკები და მოსვენებას არ მოგვცემენ და ყოველთვის შიშში და განსაცდელში იქნება კახეთი.

გარდა ამისა, ნუ თუ მოვალენი არა ვართ, საინგილოში მყოფ ქრთველების ინტერესები დავიცვათ[?] თუ ერეკლე მეფე ახერხებდა ამას და მთელი ცალკე სამოურაოც კი ჰქონდა მას საინგილოში, რომელსაც ალიაბათის სამოურაო ერქვა და მედგრად იცავდა იქაურ ქართველების ინტერესებს, ნუ თუ დღეს გაერთიანებულმა საქართველომ არ უნდა დაიცვას მათი ინტერესი? მართალია, საინგილოში ქართველობა სხვა ეროვნებასთან შედარებით უმცირესობას შეადგენს, მაგრამ ამ უმცირესობასაც უნდა თუ არა დამცველი და პატრონი. ამიტომ საჭიროა, რომ ეროვნულმა საბჭომ ეხლავე დანიშნოს თავისი წარმომადგენელი საინგილოში ქართველების ინტერესების დასაცველად, ისევე როგორც ადერბეიჯანმა დანიშნა თავისი წარმომადგენელი თბილისში თათრების ინტერესების დასაცავად. საჭიროა ეს ეხლავე მოხდეს ვიდრე საინგილოს ბედი საბოლოოდ არ გადაწყვეტილა. ეს წარმომადგენელი გარდა იმისა, რომ უტყუარს ცნობებს მოგვაწვდენს საინგილოს შესახებ, თვით ადგილობრივ ლეკებსა და თათრებს პატივისცემა ექნებათ მისი და ისე უდიერად აღარ მოექცევიან აქაურს ქართველებს.

მაგრამ თვით ლეკები რას იტყვიან საქართველოთან შემოერთების შესახებ? ამის შესახებ ერთი ფრიად მძლავრი არგუმენტი გვაქვს, თუ ასე შეიძლება ითქვას, და ეს არგუმენტი კი გახლავთ ეკონომიური დამოკიდებულობა საინგილოს ლეკებისა საქართველოსთან და განსაკუთრებით კი თბილისთან. მთელ თავის მოსავალის ბაზრად, ხილია ეს, ჭირნახული, მატყლი, თამბაქო თუ სხვა რამ, მათ თბილისი აქვთ გამხდარი და მათ სხვა გზა არა აქვთ. თბილისია თითქმის ერთადერთი ბაზარი, სადაც ისინი თავის ნაწარმოებს ასაღებენ, რადგან სხვა ცენტრებში, როგორც ბაქოა და

სხვა, მათზედ შორის არიან. აი ეხლა, როდესაც ოსმალეთის ასკერები აქეთკენ აღარაფერს უშვებენ, ლეკები გმინავენ და არ იციან რა ჰქმნან. ხილი ულპებათ, უფუჭდებათ, საზამთრო უტიალდებათ და მთელი სოფლები, რომელნიც მეხილეობითა და ბოსტნეულობით სცხოვრობდა სიღარიბეში ჩავარდებიან და ამოვარდნის გზას დაადგებიან. ამ ხილიდგანვე ჰქონდა დიდი შემოსავალი კახეთის რკინის გზას. მთელ კხეთის რკინის გზაზედ წნორის წყლის სადგური ერთად-ერთი სადგური იყო, რომელსც დიდი შემოსავალი მოჰქონდა და ეხლა ეს შემოსავალი მოისპო.

აი ეს ეკონომიური დამოკიდებულება აიძულებს ლეკებს, რომელნიც უმრავლესობას შეადგენს საინგილოში, საქართველოს სასარგებლოდ ამოიღოს ხმა. გარდა ამისა საინგილოს ლეკები ქართველებთან უფრო ჰგუობენ ცხოვრებას, ვიდრე თათარ-მუღაელებთან. შარშან თათრებმა ზაქათლის ახლოს მოჰკლეს ორი ქართველი, ლეკები აღელდნენ და შეუთვალეს თუ კიდევ მოგიკლავთ ვინმე ქართველი, კედელს ავაშენებთ, აღარავის აღარ გამოგიშვებთ აქეთკენო. ბუნებრივია ასეთი სიძულვილი ლეკების მუღაელებისადმი, რომელთაც განზრახული აქვს საინგილოს ლეკებისა და სხვა წვრილმან მუსულმან ეროვნებების შთანთქმა.

აი გაკვრით ის მოსაზრებანი, რომელნიც გვაფიქრებინებს, რომ საინგილოს ლეკების ინტერესები მოითხოვენ საქრთველოსთან უფრო ყოფნას, ვიდრე ადერბეიჯანთან, საითკენაც მათ მუღაელები ეწევიან. თუ საქართველო ისე დააყენებს საკითხს, რომ საინგილო შემოიერთოს ავტონომიურდ ისევე, როგორც აფხაზეთი შემოიერთა, მე მგონი საქმე ჩვენ სასარგებლოდ დამთავრდება, ლეკებს არაფერი ამისი საწინააღმდეგო აღარ ექნებათ და ამით ერთხელ და სამუდამოდ გაკეთდება საშვილიშვილო საქმე.

## სხვა და სხვა ამბები[1]

*წყარო: გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ., 8 ენკენისთვე (სექტემბერი), № 37, გვ. 3.*

ტფილისში დაბრუნებულ საქართველოს საზავო დელეგაციის წევრმა პ. ინგოროყვამ გადმოგვცა, რომ სტამბოლში დარჩენილ გ. გვაზავას და გ. რცხილაძეს მოლაპარაკება აქვთ ოსმალეთის მთავრობასთანაო.

## ახალი ამბები[2]
### გამომცემლობა.

*წყარო: გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ., 11 ენკენისთვე (სექტემბერი), № 39, გვ. 6.*

მივიღეთ ჩვენი დელეგაციის მიერ სტამბოლში შედგენილი წიგნი „საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ! სტამბოლის კონფერენციისათვის სამახსოვრო ცნობად. წიგნში მოთავსებული ზოგიერთი საყურადღებო ცნობები დაიბეჭდება ჩვენს გაზეთში.

„ს.რ.“

## სომხეთის მდგომარეობა.

წყარო: გაზეთი „შრომა“, 1918 წ., 11 სექტემბერი, № 26, გვ. 2.

ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან ჰქონდა ბაასი სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენელს ბ. ა. ჯამალიანს, რომელიც რამოდენიმე დღეა რაც დაბრუნდა ერევნიდან თბილისში.

ეს ბაასი, რომელიც შეეხებოდა თანამედროვე, მწვავე პოლიტიკურ საკითხთა მთელ რიგს, მოგვყავს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე დაწვრილებით, რადგანაც ბ. ა. ჯამალიანის სიტყვები თავის შინაარსის მხრით დიდათ საყურადღებოდ მიგვაჩნია.

1 ფრაგმენტი [რედ.]

2 ფრაგმენტი [რედ.]

**ქალ. ერევანი და ოსმალეთის პრეტენზია.**

იმ ხმების შესახებ, ვითომც ოსმალეთის მთავრობამ არარატის რესპუბლიკას მოთხოვნილება წარუდგინა, რომლითაც სომხეთის მთავრობას ატყობინებდნენ ოსმალეთის ჯარის მიერ ქ. ერივანის დროებით დაკავების საჭიროებას, ბ. ა. ჯამალიანმა განაცხადა: ეს ხმები სრულიად უსაფუძვლოა, რადგანაც ოსმალეთს ამ საგნის შესახებ სრულიად არავითარი მოთხოვნილება არ წამოუყენებია ჩვენთვის. როგორი წყაროებით სარგებლობდენ ან საიდან გაიგეს საზოგადოთ ზოგიერთმა თბილისის გაზეთებმა ეს ჩვენ არ ვიცით. პირქით უნდა ვსთქვათ, რომ ამ უკანასკნელ დროს ჩვენ და ოსმალეთის მთავრობის შორის ზოგიერთ კითხვებში შეთანხმება მოხდა ურთი-ერთ შორის დამოკიდებულება უფრო ირკვევა და უმჯობესდება.

[...]

**საქართველო და სომხეთი**

საქართველოს და სომხეთის შორის მე არა მაქვს წარმოდგენილი სხვა გვარი ხანგრძლივი ურთიერთობა, თუ არა კეთილ-მეგობრული და ძმური. თუ ეხლა დამოკიდებულებამ ცოტათი გამწვავებული ხასიათი მიიღო, ეს მხოლოდ დროებით მოვლენათ უნდა ჩაითვალოს. უმთავრეს სადაო საკითხად ჩვენ მიგვაჩნია ბორჩალოს საკითხი, უკეთ რომ გამოვსთქვათ ჩვენი აზრი, ვიტყვი, რომ ბორჩალოს ის ნაწილები, სადაც ბინადრობენ მხოლოდ სომხები, ჩვენ ღრმა რწმუნებით, სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიას უნდა ეკუთვნოდენ.

ამიტომ ვფიქრობთ, ბორჩალოს ეს ნაწილები დროებით დაიკავა ქართველმა ჯარმა, რადგანაც რამოდენიმე თვის წინეთ, როდესაც ოსმალეთი ემუქრებოდა საქართველოს და თბილისსაც კი, ეს შეიძლება, იყო გამოწვეული სტრატეგიული მოსაზრებით. ამ ჟამად ამ უკანასკნელ მოსაზრებას უკვე აღარა აქვს თავის რაისონ დ'ეტრე[1] რადგანაც, საბედნიეროდ ამ მხრით საქართველოს არავითარი საფრთხე აღარ მოელის.

ჩვენ, სამწუხაროდ, იძულებული გავხდით პროტესტი გაგვეცხადებია საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ ბორჩალოში სომხებს ჯარის-კაცებათ იწვევენ. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ბორჩალოს საკითხის გადაწყვეტის შემდეგ, ჩვენ შორის კეთილ-განწყობილების დამყარებას ვერაფერი ხელს ვერ შეუშლის. თუ კი წინეთ, როდესაც ტირანია მძვინვარებდა, ქართველები და სომხები ერთად იბრძოდნენ საერთო საკეთილდღეოდ, ეხლა დემოკრატიის ბატონობის დროს, თავისუფლების დროშის ქვეშ, ჩვენი ერთსულოვანი, შეთანხმებული მოქმედება ბუნებრივი, აუცილებელი და საღ-გონიერი მოთხოვნილებაა.

**ლტოლვილთა საკითხი**

ჩვენ ძალიან კარგათ ვიცით, რომ დღეს საქართველოს თავის საკუთარი საქმეებიც ბევრი აქვს, რომ საქართველო როგორც ფინანსიური ისე სურსათის მხრით თვით განიცდის გაჭირვებას, ამიტომ ჩვენ მოვალეთ ვრაცხთ ჩვენ თავს, რაც შეიძლება მალე გადაწყდეს სომეხ ლტოლვილთა საკითხი საქართველოში. ხალილ-ფაშამ უკვე მოგვცა თავის თანხმობა, რათა სომხების ლტოლვილებს სამშობლოში დაბრუნების ნება მიეცეს.

თუ ჩვენი ლტოლვილები საქართველოში დიდ გაჭივრებაში არიან, ჩვენ ვხსნით ამას იმით კი არა, რომ საქართველოს მთავრობა მტრულად უყურებდეს მათ, არამედ მით, რომ საქართველო, როგორც უკვ[ე] ზემოთ აღვნიშნე, თვით არის შევიწროებული სურსათის, ფინანსიური და საერთოდ პოლიტიკური მდგომარეობის მხრით.

[...]

---

1 რაისონ დ'ეტრე (ფრ.) - არსებობის აზრი, არსებობის გონიერი საფუძველი. [რედ].

# სოჭის ოლქი და საქართველო

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 1918 წ., 28 ენკენისთვე (სექტემბერი), № 180, გვ. 2.*

ენკენისთვის 24-ს საქართველოს მთავრობას სოჭიდან შემდეგი დეპეშა მოუვიდა:

„სოჭის მუშათა დეპუტატების საბჭომ განიხილა პოლიტიკური მდგომარეობა და დაადგინა:

1. ყოველი ჩვენი ღონით ვეცადნეთ ერთიან რუსეთის დემოკრატიული სახელმწიფოს შესაქმნელად ფედერატიულ საფუძველზე.
2. რადგანაც საქართველოს რესპუბლიკა ერთად-ერთი ნაწილია ყოფილ რუსეთის სახელმწიფოსი, სადაც დემოკრატიული იდეები დაცულია ძირითადი კანონებით, მაშინ, როდესაც ყუბანში გამეფებული რეალი ძალა რეაქციისა და რევოლუციის ყველა მონაპოვართა გაუქმებას სცდილობს, სოჭის მუშათა დეპუტატების საბჭო მომხრეა სოჭის ოლქი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შეუერთდეს დროებით და სთხოვოს საქართველოს მთავრობას შესაფერი ფორმა მისცეს თავის წარმომადგენლების საშუალებით ამ დროებით შემოერთებას საგანგებო აქტით.
3. სოჭის მუშათა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე ს. რ. მუზიკანსკი.
4. მდივანი: ვ. ლევჩენკო.
5. თავმჯდომარის მაგიერ პოპოვი.

# სამხრეთის დარიალი

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 1918 წ., 8 ღვინობისთვე (ოქტომბერი), № 196. გვ. 1.*

კარგა ხანია ხმები დადის, ვითომ ოსმალეთი ბამბაკსა და ლორეს, სომხეთს უთმობდეს, გაზეთი „ჰორიზონი“ იუწყება: ოსმალეთის წარმომადგენელმა უკვე შეატყობინა სომხეთის მთავრობას, რომ მას შეუძლიან აღნიშნული პროვინციები ჩაიბაროს. ეს ამბავი გულს დაუთუთქავს ყველა ქართველს, ვისაც ესმის განუზომელი მნიშვნელობა ამ ადგილების საქართველოსთვის.

ივნისში ვიღაცის ავმა ხელმა შეაჩერა ამ საკითხის გადაწყვეტა. მაშინ რომ თათარ-ოსმალთა ჯარები დავირეკეთ ხრამიდან და შაგალი-ჯელალი-ოღლის მივადექით, დატვირთული ოსმალები უკვე გზას გაუდგნენ და სცლიდნენ ბამბაკს, მაგრამ სწორედ ამ დროს ჩაერია იდუმლი ხელი და შეაჩერა ჩვენი ჯარები. დაე პირუთვნელმა ისტორიამ გამოარკვიოს ეს ამბავი და ყველას თავისი ხვედრი მიაკუთვნოს, მაგრამ ეხლა სრულიდ გაუგებარია ჩვენი უცილობელი პროვინციების გადაცემა ჩვენდა დაუკითხავად.

ბამბაკი და აბოცი ჩვენი სამხრეთის დარიალია. ამ რაიონში იხლართება სამხრეთიდან საქართველოში მომავალი გზები: 1) აღსტაფა-დელიჟანი, 2) ერევანი-ყარაქ[ი]ლისი-ჯელალ-ოღლი, 3) გუმბრი-ჯელალ-ოღლი და 4) გუმბრი-ვორონცოვკა. ვისაც ხელში აქვს ეს კვანძი გზე-ბისა, საქართველოს ბედი და კარებიც იმისია[1]. ხიფათის დროს მას ეძლევა უდიდესი უპირატესობა თავისუფალ მანევრებისა და თავის ძალების სწრაფი გადაჯგუფებისა. თვითონ თითქმის მიუვალია, მკერდი უგზო მთების ფარით აქვს აფარებული, ხოლო მის მოპირდაპირეს გული გახსნილი აქვს და იგი შეიძლება ერთის დაკვრით იქმნეს განგმირული. როცა საქართველოს მაგრა ედგა ფეხი ყაზახ-ბამბაკზე, თვისი სამხრეთი ნახევარი და დედა-ქალაქიც მტკ[ი]ცედ ჰქონდა შენახული, ხოლო როცა ეს კარები ღია რჩებოდა, საქართველოს ბედი სწყდებოდა კრწანისსა, სამშვილდესა და ხრამის ნაპირებზე, ესე იგი თბილისის გვერდით.

როგორ მოხდა ეხლა, რომ სამხრეთის დარიალს, ქართლ-კახეთისა და თბილისის გასაღებს სომხეთს აძლევენ? რათა სდუმს ამ საქმეში ჩვენი მთავრობა, რომელსაც მთელი თავისი ენერგია ენაზე დაუგროვებია?’

ეს ესმის თუ არა მას, რომ იმ გასაღებს, რომელსაც სომხეთი ფარულად იდებს ჯიბეში, საქართველოსთვის საბედისწერო მნიშვნელობა აქვს?

და თუ არ ესმის – რატომ არ დაეკითხა ჩვენს სამხედრო სამინისტროს, რომელსაც უნდა

---

1 ამის თაობაზე ივ. ჯავახიშვილი წერდა, რომ ქვემო ქართლის მნიშვნელობა საქართველოს მტრებსაც ჰქონდა გაცნობიერებული და რომ „მისი დაპყრობა აღმოსავლეთ საქართველოსა და ტფილისში შემყვანელ კარების ხელში ჩაგდებას უდრიდა“ [ჯავახიშვილი, 1919, გვ. 24]. ამასთან იგი დასძენს, რომ ეს ტერიტორია არა მარტო სამხედრო, არამედ მდებარეობით, გზებით, ეკონომიკურად მჭიდროდ იყო დაკავშირებული დანარჩენ საქართველოსთან [რედ.].

ეკუთვნოდეს ამ საქმეში უკანასკნელი სიტყვა?

ჩვენ ველით მთავრობის განმარტებას და ჯერ კიდევ იმედი არ დაგვიკარგავს, რომ ის შესძლებს საქართველოს სამხრეთი კარების გასაღების დაცვას და შენარჩუნებას.

## ამბერი [1]
# საქართველოს ისტორიული საზღვარი შავი ზღვის მხრით

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 1918 წ., 15 ღვინობისთვე (ოქტომბერი), № 194 გვ. 2-3; 18 ღვინობისთვე (ოქტომბერი), № 196, გვ, 3.*

საქართველოს რესპუბლიკის ჯარმა აიღო საუკეთესო ნაწილი შავი ზღვის სანაპიროებისა, განდევნა იმ ადგილებიდან რუსის ბოლშევიკები და ცოტა ხნით ქალ[აქი] ტუაპსეც რესპუბლიკას დაუმორჩილა. ამას დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ჩვენის ქვეყნისათვის. დაპყრობილი მხარე გაუადვილებდა ცხოვრებას საქართველოს ზოგიერთი ნაწილის იმ მცხოვრებლებს, რომელნიც განიცდიან მიწის მეტის მეტ სივიწროვეს, ხოლო ტუაპსეს ნავთსადგური და ჩრდილოეთისაკენ მიმავალი რკინის გზა საქართველოს რესპუბლიკას მისცემდა საშუალებას ჰქონოდა ვაჭრული ურთიერთობა პურით მდიდარ ჩრდილო კავკასიასთან. ბ. ნ. თავდგირიძე[2] სამართლიანად ბრძანებს, რომ „ტუაპსე ჩვენი სანაპიროების და საზღვრების გასამაგრებლად ისეთივე აუცილებელია, როგორც დარიალის ხეობა: თუ ტუაპსე ჩვენს განკარგულებაში არ იქმნა, ზღვის სანაპიროების დაცვას და შენარჩუნებას ჩვენ ვერ შევსძლებთ“ („საქარ[თველო]“ № 183).

თქმა არ უნდა, მტრებისთვის არ იქნებოდა სასიამოვნო საქართველოს გამარჯვება და გაძლიერება და კიდევაც განაცხადეს უკმაყოფილება. ისინი საქართველოს ლაშქრის მოქმედებას ყველგან და განსაკუთრებით კი შავი ზღვის სანაპიროებზე „განსაკუთრებულის ყურადღებით ეპყრობიან და გაფაციცებით“ თვალყურს ადევნებენ. რუსული პრესსა და აგრეთვე მოხალისეთა ლაშქრის სარდალი ალექსეევი, რომელიც ამ ახლო ხანში ტუაფსეში შემოვიდა სოხუმის ზემო ზღვის ნაპირებს სთვლის „ნამდვილ რუსულ ტერიტორიად“.

მართლაც რუსებს ბევრი შრომა მიუძღვით იმისთვის, რომ ეს მხარე გაეხადათ „რუსულ ტერიტორიად“. ამისთვის სამოციან წლებში[3] რუსეთის მთავრობამ საარაკო ბოროტება ჩაიდინა, აქედან ძალით აჰყარა და ოსმალეთში გადაასახლა ადგილობრივი მკვიდრნი და მათ მაგივრად დაასახლა რუსები და სხვა ერების წარმომადგენელნი, რასაკვირველია, გარდა ქართველებისა. ამისთვის დაარსეს ცალკე გუბერნია. ამავე მიზნის მისაღწევად აფხაზეთ-სამურზაყანო ეკლესიურად შეუერთეს ამ გუბერნიას, მაგრამ, როდესაც დარწმუნდნენ, რომ სამურზაყანოში მკვიდრ ქართველების გადარუსება ძალიან ძნელია და ხელს უშლის აფხაზეთის გადაგვარებასაც, გადაწყვიტეს სამურზაყანო გამოეყოთ აფხაზეთიდან და მიეწერათ სამეგრელოს ეპარქიისათვის, ხოლო აფხაზეთის და შავი ზღვის სანაპირო გუბერნიის მაშინდელ სასინოდო კანტორისაგან დამოუკიდებელ ეპარქიად გარდაქმნის პროექტი წამოაყენეს. ამ პროექტის სისრულეში მოყვანას ხელი შეუშალა „პეტროგრადის უწყებებში“ მოთავსებულმა წერილებმა.

მაგრამ ყველაზე უცნაური ის არის, რომ ტუღაპსის აღების მესამე დღეს ჩვენი რესპუბლიკის პოლიტიკურ წარმომადგენელს ანჯაფარიძეს საჯაროდ განუცხადებია, საქართველოს ჯარმა ტუღაპსე დაიჭირა არა იმისათვის, რომ შეიერთოს იგი, არამედ მხოლოდ წესრიგის დასამყარებლად (გაზ. „ბორბა“ № 148). გაზ. „სახ[ალხო] საქმე“-მაც (№ 297) გამოაცხადა, რომ ქალ[აქ] ტუღაპსეს ქართველ ჯარის მიერ დაკავებას ის მიზანი აქვს, რომ გაუადვილოს მგზავრობა იმ პირებს, რომელნიც კავკასიას სტოვებენ და არა ქალაქის ანექსია. ძნელი წარმოსადგენია, რომ ჩვენს ჯარს მხოლოდ ამ მიზნით ეხელმძღვანელა, როდესაც ის ტვირთულობდა მძიმე მოვალეობას – დაეხსნა ეს მხარე მტრების ხელიდან. ჩვენის აზრით, გაზეთში მოყვანილ სიტყვებში გამოისმის იმ აზრის აღიარება, რომ თუ არა ამნაირი მიზანი საქართველოს რესპუბლიკა არ დაარღვევდა რუსეთის უფლებებს. ამით ჩვენ ვბოდიშობთ იმათთან, ვინც შავი ზღვის სანაპიროებს და თვით მთლად საქართველოსაც თავის ტერიტორიად სთვლის.

რა მისცა რუსეთს უფლება უწოდოს შავი ზღვის სანაპიროებს „ნამდვილი რუსული ტერიტო-

---

1 ამბერი – ამბროსი ხელაიას ფსევდონიმი [რედ.].

2 ნიკო თავდგირიძე – ქართველი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. ქ. სოხუმის ქალაქის თავი. [რედ].

3 ავტორს მხედველობაში აქვს 1860-იანი წლები [რედ.]

რია“, თუ არა ომის წესით მისი დაპყრობამ? თუ რუსეთს ჰქონდა უფლება ამ წესით დაპატრონებოდა სხვა ხალხის ტერიტორიას, რისთვის საქართველოს არ უნდა ჰქონდეს უფლება იმავე წესით დაიბრუნოს უკანონოთ და ძალ-მომრეობით წართმეული ტერიტორია?

ამიტომაც საჭიროა წამოვაყენოთ კითხვა თუ სად იყო საქართველოს საზღვარი შავი ზღვის მხრით. ისტორიულ უფლებების შეუგნებლად და გაუთვალისწინებლად კი ეკონომიური, სტრატეგიული, ზნეობრივ-პოლიტიკური და სხვა მოსაზრებანი არ გაამართლებენ ჩვენს მოქმედე-ბას. ამისათვის შეძლებისდაგვარად შევეცდებით ისტორიული საზღვრის გამოკვლევას ტუღაპსეს მხარეზე.

***

ჩვენს ისტორიაში საქართველოს საზღვრები ძალიან ბუნდოვნად არის ნაჩვენები. ისტორიკოსი დ. ბაქრაძის თქმით, „არც ქართ[ლის] ცხოვრება, არც ვახუშტი არ უჩვენებენ ცხოველად საქართვე-ლოს საზღვრებს“. ამისათვის, რომ ცხოველად წარმოვიდგინოთ საქართველოს საზღვრების მოხაზულობა სხვადასხვა ისტორიულ ხანაში, რომ გავიგოთ სინამდვილით ქართ[ველთ] ცხოვრების ბუნდობნად გამოთქმული აზრი ამის სესახებ, – საჭიროა დავიხმაროთ სხვა გარეშე წყაროები და გამოკვლევანიც.

დიმ. ბაქრაძე საქართველოს საზღვრების შესახებ ამბობს: „ნამდვილ მის გეოგრაფიულ საზღვრებად ჩვენი ისტორიის დასაწყისში უნდა აღვიაროთ ის საზღვრები, რომელთა შორის იმ დროს ყოფილა მოთავსებული ქართული ტომი, ესე იგი: ზემო და შუა მტკვარი თავის ღელე-მინდვრე-ბით, ჩრდილოეთით არაგვი, სამხრეთით ხრამი ანუ ქცია, დებედა და ახსტაფა, დასავლეთით რიონი, ვიდრე ბიჭვინტამდე. ამ სივრცეზე ყოფილა გავრცელებული ქართული ენის გვარი, რომელსაც შეადგენდნენ: აწინდელი ქართული, სვანური და ჭანური ანუ ლაზური მეგრელითურთ“ (იქვე). მაგრამ იქვე ცოტა ქვემოთ ბაქრაძე თვითვე არღვევს ამ თავის მოსაზრებას, როდესაც ამბობს, რომ ჭანურ ენას სჭერია მთელი აღმოსავლეთი პირი შავი ზღვისა ყუბანის მდინარიდამ ტრაპეზონის თერმამდე და თვით ტრაპიზონიცა“ (ქ. ცხ. I, 17 და 42), ანუ მთელი ის სივრცე, სადაც შემდეგ ჩვენ დრომდე სახლობდნენ ანუ სახლობენ – ჩერქეზნი, აფხაზნი და ჭანნი, რომელნიც ქართლის ცხოვრების აზრით ირიცხებიან მეგრელებად (ვახუშტის ისტორია იქვე).

ეს უკანასკნელი მოსაზრება, რასაკვირველია, სრულად მართლდება უძველეს დროების შესახებ ქართული ისტორიული წყაროების მოწმობითაც, მაგრამ ამ უძველეს დროებზე სიტყვის ჩამოგდება ახლა შორს წაგვიყვანდა. ჩვენ ამ ხელად გვინდა მივაქციოთ მკითხველის ყურადღება მეფე დავით აღმაშენებლის ანდერძზე, რომელიც გაკვრით გვეუბნება, რომ მის მეფობის დროს საქართველოს საზღვარს აფხაზეთის მხრით შეადგენდა ქალაქი ნიკოპსია („საქარ[თველოს] სამოთხე“ გვ. 513). მაგრამ ჩვენს ისტორიულ ლიტერატურაში არ არის ნათლად გამორკვეული სად მდებარეობდა ეს დავით აღმაშენებლის ანდერძში მოხსენიებული ნიკოპსია. ჩვენი ისტორიკოსები ნიკოპსიათ სთვლიან ანაკოფიას – აწინდელ პსხირცხას და ამისთვის, მათის აზრით, დავით მეფის დროს საქართველოს სამეფოს საზღვარი მიაღწევდა მხოლოდ ამ ადგილამდის. პატივცემული მ. ჯანაშვილი ბრძანებს: „ცხომიდან ანაკოფიამდე (ნიკოპსიამდე) ორის საათის სავალია. ანაკოფია მდებარეობს მდინარე პსირტაზე. აქ იყო ძველის ძველი ქალაქი. დავით აღმაშენებელი მას სთვლის თავის სამეფოს დასავლეთ მიჯნად“ (ვახუშტის გეოგრაფია, ჯანაშვილის რედაქტორობით გამოცემული, გვ. 308, შენ[იშვნა] 511). ამავე აზრისანი არიან: ბროსე, დიუბუა, შოპენი, პატ. დოსითეოსი და სხვანი. მაგრამ აქამდის მკვლევართა შორის დამკვიდრებული აზრი ნიკოპსიის მდებარეობაზე შემცდარათ უნდა ჩაითვალოს და ჩემის აზრით, იმ ჭეშმარიტებას, რომ ანაკოფია და ნიკოპსია (ნიკოპსი) ერთი და იგივე ქალაქის სახელი არ არის, ქართ[ლის] ცხოვრებაც გვიჩვენებს, თუ მის ბუნდოვან მოწმობას რიგიანად ჩავუკვირდებით.

ჩვენ ვიცით, რომ სოხუმი აფშილეთის ქალაქი იყო (ქარ[თლის] ცხ[ოვრება], 1174), აფშილები კი იყვნენ მეგრელები ანუ უწინდელი ეგრისელები (ზემოსხ[ენებული] ვახუშტის გეოგრაფია გვ. 255 და 310, შენ[იშვნა] 488 და 573 და ი. შოპენი Новыя заметки... გვ. 282). ლეონ მეორე, აფხაზეთის მეფემ (+ 806), ეგრისს გამოუცვალა სახელი, უწოდა აფხაზეთი და დაჰყო რვა საერისთავოდ. პირველი საერისთავო შესდგებოდა აფხაზეთისა და ჯიქეთისაგან, რომელთა მოსახლეობა აღწევდა „ვიდრე ზღვამდე და ხაზართა მდინარემდე“, ხოლო მეორე ერისთავი „დასვა ცხომს და მისცა ეგრისის იქითი ანაკოფია ალანითურთ“ (ქარ[თლის] ცხ[ოვრება] 1178). როდესაც მე-14 საუკუნეში მეფე გიორგი ბრწყინვალემ თავის სამეფოში დანიშნა დიდებულნი ერისთავებად, „მისცა ცხომის საერისთაო ბედიელს, ვითარცა პირველი ცხომისა იყო“ (იბიდ. 449). ამას ადასტურებს თვით სოხუმის ცხუმად

სახელწოდება და ის გარემოებაც, რომ სოხუმის ახლო მდებარე მდ. კელასურის შესართავი ბენივაზის (1480 წ.) და ფრედრუჩეს (1497 წ.) რუქებით სახელწოდებულია Forto Mengrello (იხ. Зап. Имп. О. Об на истории и др. ტ. 9 – რუქა) და ისიც, რომ აქ, ბროსეს თქმით, ახლაც მოსჩანს ნანგრევები წმ. გიორგის ციხისა, რომელიც აუშენებია ერთ-ერთ სამეგრელოს მთავართაგანს (იბიდ. 414) და ხალკოხონდილას მოწმობით, მეთხუთმეტე საუკუნეში სოხუმი ეკუთვნოდა მამია და შამადავლე დადიანებს (Brosef Addifions ... 106).

ვიცით ისიც, რომ აფხაზეთი ერთ მეფობის დროს ყოველთვის შეადგენდა საქართველოს განუყოფელ ნაწილს, ხოლო აფხაზები სახლობდნენ ანაკოფიის (პსხირცხის) იქით შავი ზღვის სანაპირო ადგილებში.

ამის შემდეგ ცხადი უნდა იყოს, რომ დავით მეფის დროს არ შეიძლებოდა, რომ ანაკოფია ყოფილიყო სახელმწიფოს საზღვარი და თვით დავით აღმაშენებელი ვერ ჩასთვლიდა მას „თავის სამეფოს დასავლეთ მიჯნად“. ამას ცხადჰყოფს ქართ[ლის] ცხოვრების ის ადგილები, სადაც მოხსენიებულია, რომ დავით მეფეს ჰქონდა „ჩვეულება, რამე თუ განგებულებითა გარდავიდეს აფხაზეთად“ (ქართ[ლის] ცხოვრება მარიამ დედოფლისა, გვ. 303), და რომ ის „ჩავიდა აფხაზეთს, ბიჭვინტამდე“ (ქარ[თლის] ცხოვ[ება], ბროსეს გამოცემა, 1, 248). ანაკოფია საქართველოს საზღვარი რომ ყოფილიყო, მეფე დავით აღმაშენებელს, რასაკვირველია, არ ექნებოდა არამც თუ ჩვეულება, არამედ შეძლებაც გადასულიყო აფხაზეთში საქმეების მოსაწესრიგებლად ბიჭვინტამდე, რადგან ბიჭვინტა მდებარეობდა ანაკოფიის იქით სამოცი ვერსის მანძილზე. ცხადია, ნიკოპსია (ნიკოპი - ნიკოპსისი) და ანაკოფია სხვა და სხვა ქალაქების სახელები იყო ძველად და მათ ერთმანეთში არევა არ შეიძლება. ქართ[ლის] ცხოვრება ამას ნათლად გვაგრძნობინებს. თუ ჩაუკვირდებით მის ცნობებს ამის შესახებ, ჩვენ შევნიშნავთ, რომ ის მკაფიოდ არჩევს ანაკოფიას ნიკოპსიიდან და, როდესაც უნდა აღნიშნოს საქართველოს სამზღვარი ჯიქეთის მხრიდან, ამნაირი სამზღვრად ყოველთვის იხსენიებს მხოლოდ ნიკოპსიას.

თამარ მეფის დროს ვარდან დადიანი, მსახურთ უხუცესი, იყო „პატრონი ორბეთისა, კაენისა და ლიხთ იქით ნიკოპსიამდე უცილობლად ქონებისა“ (იქვე. 293). ნუქარდინის წინააღმდეგ გალაშქრების დროს, თამარ მეფის ბრძანებით, მოუწოდეს „სპატა იმერთა და ამერთა, ნიკოპსიით ვიდრე დარუბანდამდის (იბიდ. 320). ხვარასნისაკენ გალაშქრების წინ მეფე თამარს მოახსენეს, რომ მან უბრძანოს საქართველოს სპათა, „რათა ნიკოპსიით დარუბანდამდის აღიჭურენ და მზად იყვნენ საომრად“ (იბიდ. 390).

ამას ჩვენ ვხედავთ არა მარტო საქართველოს ძლიერების დროს, არამედ შემდეგაც. რუსუდანის მეფობის დროს საქართველოს სივრცე განისაზღვრება „ნიკოპსიით დარუბანდამდე“ (იბიდ. 349). აგეთივე იყო საქართველოს საზღვრები მე-XIII-XIV საუკუნოებშიც (იბიდ. 393, 425 და 451). რუსუდან დედოფლის და ზოგიერთ სხვათა მეფედ კურთხევის აღწერას ქართ[ლის] ცხოვრება იწყებს ამ სიტყვებით: შემოკრბენ ყოველნი დიდებულნი: ქათალიკოზნი და ეპისკოპოსნი ნიკოპსიით დარუბანდამდე“ (იბიდ. 349 და 451), ხოლო ჩვენ ვიცით, რომ აფხაზეთ-იმერეთის კათალიკოსის კათედრა მე-XVII საუკუნის ნახევრამდე მუდამ ბიჭვინტაში იყო და, თუ საქართველოს სამეფოს სამძღვრად მივიღებთ ანაკოფიას, მაშინ ბიჭვინტაში მჯდომი კათალიკოსი საქართველოს გარეშე იქნებოდა, რაც მისაღები არ არის.

ყველა ამას ისიც უნდას დავურთოთ, რომ ბაგრატ მესამე კურაპალატის დროს საქართველოს საზღვრები ნაჩვენებია სიტყვებით: „ჯიქეთიდან ვიდრე გურგენამდე“ (იბიდ. 212). რაც სავსებით უდრის ქართ[ლის] ცხოვრების „ნიკოპსიითგან დარუბანდამდის“, რადგანაც ნიკოპსია იყო სამზღვარი ჯიქთა და აფხაზთა შორის. ანაკოფია კი, როგორც დანამდვილებით ვიცით, არასდროს არ ყოფილა საზღვარი აფხაზთა და ჯიქთა შორის და ამ უკანასკნელთა მოსახლეობა მე-XVII საუკუნის შემდეგაც არ გამოსცილებია მდ. კაპუეტის წყალს (ბზიბს). თვით ჯიქნიც ხანდისხან სჩანან ქართველ მეფეთა ქვეშევრდომებად. მათ ჩვენ ვხედავთ საქართველოს ლაშქარში რუსუდან დედოფლის (იბიდ. 357) და ბაგრატის დროსაც მე-XV საუკუნეში (იბიდ. 476). ვახუშტის თქმით, საქართველოს ლაშქრის მემარჯვენეს შეადგენდნენ „მიმსვლელ-მცემელნი სრულიად ლიხთ იქითი აფხაზ-ჯიქითურთ“ (Darcr. peopr. de la Q., 34)

ყველა ამას უნდა დავუმატო ბრუნის მოსაზრებაც. მისი თქმით, ის ჭეშმარიტება, რომ ნიკოპსია ქართულ წყაროებისა არ იყო ანაკოფია მტკიცდება იმით, რომ ნიკოპსია ეკუთვნოდა მზიხის სამწყსოს (ეპარქიას), ხოლო ანაკოფია მდებარეობდა სოხუმის და ბიჭვინტას შორის და ეკუთვნოდა აფხაზეთის საკათალიკოსოს (Путешествие И. Шитоергера по Европе, Азии и Африке с 1294 п 1117 г. см Зфп. Имр. Нобор униз. ტ. 1, გვ. 129 შენ[იშვნა] ბრუნისა).

თუ ამნაირად მტკიცდება, რომ ნიკოპსია არ არის ანაკოფია, თუ ქართ[ლის] ცხოვრება ამას გვაგრძნობინებს იმით, რომ საზღვრების ჩვენების დროს ერთხელაც არ ასახელებს ამ უკანასკნელ ქალაქს და თუ ნიკოპსიას ისტორია გვიჩვენებს ჯიქ-აფხაზთა შორის მდებარე ქალაქად, ხოლო ჯიქთა მოსახლეობას არასდროს არ მიუღწევია ანაკოფიამდის, მაშინ ჩვენ თავის თავად გვებადება კითხვა სად მდებარეობდა ქალაქი ნიკოპსია-ნიკოპსი?

იმის შემდეგ, რაც ზემოთ იყო გამორკვეული, ცხადი უნდა იყვეს, რომ ქალაქი ნიკოფსია უნდა ვეძიოთ არამც თუ ანაკოფსიის, არამედ ბიჭვინტის ჩრდილოეთით.

ქართული ისტორიული წყაროები, როგორც დავინახეთ, დაჟინებით გვეუბნებიან, რომ საქართველოს საზღვარი იყო არა ანაკოფია, არამედ ნიკოფსია და ცხადია ამ წყაროებმა უსათუოდ კარგად იცოდნენ, თუ სად მდებარეობდა ეს უკანასკნელი ქალაქი. მაგრამ მას შემდეგ, რაც საქართველოს მთლიანობა დაირღვა, ნიკოფსია აღარ ითვლებოდა საქართველოს საზღვრად, და მისი სახელი ამ მიზეზისა გამო თანდათან დავიწყებას მიეცა და ქართულ ისტორიულ წყაროებშიც ამის შემგეგ არ გვხვდება. შემდეგ კი საქმე იქამდის მივიდა, რომ სრულიად დავიწყებულ იქმნა მისი ადგილმდებარეობა, თუმცა გრძნობდნენ, რომ ნიკოპსიათ არ უნდა იქმნეს მიღებული ანაკოფია.

მე-XVIII საუკუნის პირველ-ნახევარში ბატონიშვილი ვახუშტი დარწმუნებული იყო, რომ ერთმანეთში უნდა ვარჩევდეთ ანაკოფიას და ნიკოპსიას, რომ უკანასკნელი უნდა ყოფილიყო პირველის ჩრდილოეთით. მაგრამ, რადგან დანამდვილებით არ იცოდა მისი მდებარეობა, ფიქრობდა, რომ ნიკოპსია არის ბიჭვინტის სახელი. „ამას ვჰგონებ, შენიშნავს ის ბიჭვინტის აღწერის დროს ნიკოპსიად, და ეკლესიასაც ამას ზედა აღშენებულსა მისთვის, ვინაიდან ნიკოპსიას დაფლულ არს სვიმონ კანანელი“ (Geogr. p. 406-407), მაგრამ მოყვანილი საბუთი არ ვარგა იმის დასამტკიცებლად, რომ ნიკოპსია ყოფილიყოს მეტი სახელი ბიჭვინტისა.[1])

ამ საკითხს ნათელს ჰფენს იმპერატორი კონსტანტინე ძოწით-მოსილი (905-959). ის ამბობს, რომ „ტამატარხიდან 18-20 მილის მანძილზე არის მდინარე უკრუხი, რომელიც ჰყოფს ზიხიას ტამარტახიდან.[2] ზიხიას უკავია 300 მილის მანძილი უკრუხიდან მდ. ნიკოპსიამდე, რომელზედაც არის იმავე სახელის ქალაქი ზიხიიდან ე.ი. მდ. ნიკოპსიდან ქალაქ სოტირიოპოლამდის სამასი მილის მანძილზე მდებარეობს აბაზგია“ (იმპ. კონსტანტინე. „О Θемахъ и народахъ“, მოსკოვი, 1899 წ. გვ. 154). მაშასადამე, უკრუხიდან სოტირიოპოლამდის ყოფილა 600 მილი, ხოლო ნიკოფსი ყოფილა შუა მანძილზე. მდინარე უკრუხი, პროფ. ბრუნის და ლასკინის აზრით, არის მდინარე კუბანი ანუ ერთი მისი შტოებთაგანი (Путешествіе Шильтбергера. Зап. Им. Н. унив. ტ. 1, გვ. 58-59, შენ. ბრუნისა და „О Θемахъ и Народахъ“), 153, ლასკინის შენიშვნა), ზიგები არიან ჯიქები (О Θемахъ, იქვე), ხოლო სოტირიოპოლი არის მეტი სახელი ბიჭვინტისა. თუმცა ზოგიერთნი (მინერტი) ამბობენ, რომ სოტირიოპოლი იყო სევასტოპოლი (სოხუმი). მაგრამ, მილლერის აზრით, ეს უსაფუძვლოა, ვინაიდან კოდინი პირდაპირ გვეუბნება, რომ Pythia, აწინდელი ბიჭვინთა იწოდებოდა სოტირიოპოლად. ეს სახელი შეიძლება დარქმეოდეს ბერძენთა ლაზიკაში მოქმედ ჯარების მთავარ-სარდლის სოტირიკისაგან, რომელმაც აღადგინა სპარსთაგან დანგრეული ბიჭვინთა და რომელიც მოკლულ იქმნა მისიმიანებისაგან 556 წ. (Путешествіе Шильтбергера, შენიშვნა ბრუნისა, გვ. 58-5“). ამ მოსაზრების სიმართლეს ადასტურებს ისიც, რომ მე-XIV საუკუნეშიაც ტრაპიზონის ბერძნები ბიჭვინტას იცნობდენ სოტირიოპოლის სახელითაც (Учен. Зап. Имп. ак. наукъ, ტ. III. სტატია ვუნივირა ვალვის ბარბოლიაზე, გვ. 741). მაშასადამე ნოკოპსი ჩვენ უნდა ვეძიოთ ბიჭვინტისგან ჩრდილოეთ შავი ზღვის ნაპირებზე 300 მილის მისგან მოშორებით.

ძველი უსახელოდ წოდებულის (ვოვიუუს) რუქით ნიკოპსი მდებარეობდა მდინარე პრახატისის ახლო და აღსანიშნავია, რომ ამ ადგილის ნავთსადგურს ბერძნები უძახოდნენ ძველი ლაზიკას თაგ Lazikú, იხ. топографич. карта Востч. берега Чер. моря по перепису Безименнаго и по компасозымъ картам). ბრიენის და მიუღერის თქმით, მდ. პსახატირი არის შაბხუგის ხეობაში, ხოლო ქალაქი ნიკოპსისი მდებარეობდა ნეგოპსუხის ხეობაში, სადაც ეხლაც მოსჩანან მისი ნანგრევები 20 ვერსის მანძილზე ტუღაპსოდან ჩრდილოეთით (Зап. Имп. Нав. Унив. ტ. I, 58-60 და ტ. IX, 179-180 და 419-420). იმის დასამტკიცებლად, რომ მე-XIV და მე-XV საუკუნეებში საქართველოს ძველი სამზღვარი იყო აფხაზებ და ჯიქებ-შორის, ბრუნი უჩვენებს იმ გარემოებას, რომ იმ დროის იტალიელთა რუქებში იქ, სადაც იყო ნიკოპსი, არიან ნაჩვენები ძიცჰია და შანნა (Зап. Од. Общ. исторіи и древностей ტ. IX, 178-179), თუმცა იმ დროს ნიკოპსის თავისი მნიშვნელობა უკვე დაკარგული ჰქონდა და რუქებზე

1 სვიმონ კანანელის საფლავი არის „ნიკოპს ქალაქსა, შორის აფხაზეთისა და ჯიქეთისა“ [ქარ. ცხოვ. 1,47; საქართ. სამოთხე 36 და სხვა].

2 რუსების **ტმუტარაკანი**. იგივე ტმუტორაკანი – იყო კიევის რუსეთის ერთ-ერთი სამთავროს ცენტრი ტამანის ნახევარკუნძულზე [რედ.].

არ არის მოხსენიებული (იბიდ. 420, ბრუნის სტატია: «Восточній берегъ Чер. моря по древ. перепламъ и по компасовымъ картамъ»).

ამას ადასტურებს ოსმალელი ტურისტი ევლია ეფენდიც, რომელმან მე-XVII საუკუნის პირველ ნახევარში იმოგზაურა და აღწერა შავი ზღვის სანაპირო ადგილები. ის ნათლად გვეუბნება, რომ უკანასკნელი მოსახლეობა აფხაზეთისა იყო ვოდოშის (ტუღაპსის) კონცხის ახლო და აქაური აფხაზთა სოფელს ანუ თემას მაშინ სახელად ერქვა ქიუტასი. ამის იქით კი იწყებოდა ჯიქების სოფლები, რომლებთა პირველ თემას ევლია ეფენდი სახელდებს **შანი**. ქიუტასებს შანებისაგან ყოფდა ერთი მთა და ერთი დღის სავალი მანძილი (путешествіе тур. туриста Эвлія эфенди вдоль по востю берегу Чор. моря, ix. Имп. од. Общ. Ист. и древ. ტ. IX, 178-179), ახლანდელის რუქით, იმ მდინარეს, რომელიც ამ ხეობაში ჩამოდის, ჰქვია **ნეგიუბი**, ხოლო იქ დაარსებულ რუსების სოფელს „**ნეგუბსკაია**“. როგორც ამ სახელებში, ისე ჩერქეზების ნეგობსუხოში ისმის ძველი სახელწოდება მდინარისა და მასზე არსებულის ქალაქის **ნიკოპსისა**. ეს ადგილი მართალია შუა ადგილია ყუბანის (უკრუხი) და ბიჭვინთის (სოტირიოპოლის) შორის, რაც სავსებით ეთანხმება იმპერ. კონსტანტინე ძოწითმოსილის მოწმობას.

ამ საფუძვლეთა ძალით ჩვენ უნდა მივიღოთ, რომ ძველი ნიკოპსია მდებარეობდა ტუღაპსის ჩრდილოეთით ოცი ვერსის მანძილზე იმ ადგილს, სადაც არის მდინარე ნეგუბი (უწინდელი ნეგობსუხო ანუ ძველი ნიკოპსი) და რომ აქ იყო ნამდვილი საზღვარი საქართველოს გაერთიანებულის სამეფოსი.

ამ შეხედულობას ჩვენი ისტორიკოსთა შორის, თუმცა მან არ იცოდა ადგილ-მდებარეობა ძველის ნიკოპსიისა, იზიარებდა განსვენებული თ. ჟორდანია ერთ თავის გამოკვლევაში მას მოჰყავს ჩვენი მატიანის სიტყვები, სადაც სწერია, რომ მეცამეტე საუკ. პირველ ნახევარში „შეკრბეს ყოველნი წარჩინებულნი, იმერნი და ამერნი, კათალოკოზნი ორნივე და ეპისკოპოსნი, ნიკოპსიით დარუბამდე და სიტყვა „ნიკოპსიას“ აძლევს ამნაირ განმარტებას: „საზღვარი აფხაზეთისა და ხაზარეთის ქვეყნისა («Абхазскіе каталикосы», Ставропол, 1896 გ. 11). მაშასადამე მას სწამდა, რომ ნიკოპსი მდებარეობდა იქ, სადაც თავდებოდა აფხაზთა მოსახლეობა. ხსოვნას ამ ნიკოპსიაზე, როგორც საქართველოს სამეფოს ნაწილისა, მე-XIX საუკუნის დასაწყისიამდისაც მოუღწევია. 1808 წელს სამეგრელოს მთავრინა ნინო გიორგის ასული იმპერატორს სწერს სხვათა შორის შემდეგს: „თუმცალა ჟამმან ცვლილებისამან და მეზობლისა უთანხმოებამან განხადა მფლობელობისაგან სამთავროისა ჩვენისა აფხაზეთი, გარნა უწინარეს იყო მკვიდრი ტახტი ნიკოპსისა“ (Акты арх. Ком. ტ. I, 200-201). ეს უნდა იყო[ს] გამოძახილი იმ დროის სინამდვილისა, როდესაც ნიკოპსი, მდებარე აფხაზეთ-ჯიქეთ შორის, იყო რეზიდენცია საერისთაოსი და აფხაზეთის სამთავროსთან ერთად შედიოდა საქართველოს სამეფოში.

ამის შესახებ სიტყვის გაგრძელება ამხელად მეტი უნდა იყოს, რადგან საკითხი გამორკვეულად მიმაჩნია. მხოლოდ შესაძლებელია, ამასთან დაკავშირებით აღიძრას კითხვა იმის შესახებ თუ რა შეხედულობის უნდა ვიყოთ აფხაზთა რეალურ მოსახლეობაზე მეჩვიდმეტე საუკუნემდის, მაგრამ ამაზე სიტყვის ჩამოგდება სხვადასხვა მოსაზრებათა გამო, ჩემის აზრით, ჯერჯერობით მოუხერხებელია.

თუ ახლანდელი ძალთა განწყობილება არ მოგვცემს საშუალებას ხმლით დაპყრობილი შავი ზღვის სანაპირო ადგილები შევინარჩუნოთ, – თუ ჩვენი შეუგნებლობა და მტერთა ძალმომრეობა წაგვართმევს იმ ადგილებს, რომლებიც ჩვენ[მა] მამაც[მა] მხედრებმა მორწყეს უკვე სისხლით, – თუ ისტორიულ უფლებებით ახლა ვერ ვისარგებლებთ, მაშინ ამ მოკლე წერილს ის მიზანი მაინც შერჩეს, რომ მან გააღვიძოს ჩვენს ხალხში ისტორიულ უფლებათა შეგნება და მისცეს მას იმისი ცნობა მაინც რომ საქართველოს ძლიერების დროს ჩვენი საზღვარი ტუღაპსესაც იქით სცილდებოდა. დასასრულ, თუ ამ მოკლე შენიშვნამ გამოიწვია ჩვენი ისტორიკოსების უფრო დასაბუთებული წერილი დასმულ საკითხის შესახებ, ესეც საკმარისი იქნება, რომ გამართლებულ იქმნას ჩემი კადნიერება.

## რ. ინგილო
# კიდევ ტერიტორიისათვის

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 1918 წ., 31 ღვინობისთვე (ოქტომბერი), № 207, გვ. 1.*

ბორჩალოს მაზრაში შექმნილ მდგომარეობიდან ნათლადა სჩანს, რომ ყველაზე უდიდეს და უმნიშვნელეს საკითხად საქართველოსათვის ამ ჟამად უნდა იყოს საკითხი ტერიტორიისა, ანუ, უკედ რომ ვსთქვათ, სახელმწიფო საზღვრების შემოხაზვისა.

ამ რამდენიმე თვის წინედაც, როდესაც ტერიტორიის საკითხი მოკლებული იყო დღევანდელს სიმწვავეს, მაგრამ გადასაჭრელად მაინც იდგა, ჩვენ მრავალჯერ აღგვინიშნავს, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის განმტკიცება აუცილებლად მოითხოვს საზღვრების გამიჯვნას, ყოველს შემთხვევაში ეს პროცესი უნდა დაჩქარდეს იქ, სადაც ჩვენი სახელმწიფო საზღვარი დავას იწვევს მომიჯნავე სახელმწიფოსაგან.

არსებითად ყოველი ომის მიზანს შეადგენს ტერიტორიის გაფართოება: გამარჯვებულს ემატება, ხოლო დამარცხებული ხშირად ჰკარგავს ტერიტორიას, თანახმად თქმულებისა: ვაე ვიცტის![1]

სახელმწიფოს მართებულობის უპირველესი დანიშნულებაც ტერიტორიის მთლიანობისა და ხელუხლებლობის დაცვაში გამოიხატება.

ერის მზრუნველი მესვეურნი აქედან იწყებენ სახელმწიფოს აღშენებას, რადგანაც უწყიან, რომ სხვა სახელმწიფოებრივი საკითხების გადაწყევტა მათ ხელშია და, მაშასადამე, შესაძლებელი ნაკლის გამოსწორება სიძნელეს არ შეიცავს, მაგრამ სახელმწიფოს ტერიტორიის დაკარგვა ისეთი დანაკლისია, რომლის ანაზღაურება მხოლოდ იშვიათ საერთაშორისო და პოლიტიკურ კომბინაციებს თუ შეუძლია.

თანდაყოლილი ცოდვა საქართველოს სახელმწიფო-პოლიტიკურ მეთაურებისა სწორედ იმაშია, რომ ისინი იმთავითვე გვერდს უხვევდნენ ტერიტორიის ჩამოყალიბებას და საზღვრების ამოხაზვას იმ იმედით, რომ მათის აზრით, ამის მოწესრიგება ვინმე – მესამის – კომპეტენციას შეადგენს!

ეხლა-კი აშკარავდება, რა დიდი ზიანი მივაყენეთ ჩვენს სახელმწიფოს გამოურკვევლობით და გაუგებარი დათმობით.

სანაინთან შემოპარულმა მტერმა საღათას ძილს განაშორა ქართველი ერი, სომხების უდიერმა საქციელმა უკიდურესად ალაშფოთა თვით ყოვლის მომთმენი და დამთმობი სოციალისტური ნაწილი ქართველობისა! სამხრეთ სანაპიროზე დაჭექილმა ზარბაზანმა აგრძნობინა სტუმართმოყვარე საქართველოს, რომ ჩვენი ქ[ვ]ეყნის შარა-გზაზე გამვლელ-გამომვლელთა შორის მოიძებნება ისეთი უმადური და გულ-შავი ხალხიც, რომელთა თავისუფალი შემოსვლა საქართველოს ალაყაფის კარებში საფრთხეს უმზადებს სახელმწიფოს მყუდროებას და არსებობას.

საჭირო გახდა ფიქრი და დაუცხრომელი მუშაობა სახელმწიფოს მთლიანობისათვის, მისი სუვერენიტეტის უზრუნველყოფისათვის.

საქართველოს პოლიტიკის დღის წესრიგში ტერიტორიის საკითხი დგას. პარლამენტი და მისი მთავრობა არ დაიყოვნებენ ავტორიტეტულისა და ყველასათვის გასაგებ გარდაწყვეტილების გამოტანას, რომ მტერმაცა და მოყვარემაც ერთხელ და სამუდამოდ შეიტყონ მთელი ქართველი ხალხის შეურყეველი აზრი და ნებისყოფა.

საფიქრებელია, რომ დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობა იმ დასკვნამდე მიიყვანს საქართველოს მთავრობას და საკანონმდებლო დაწესებულებას, რომ კატეგორიული დადგენილებითა და შესაფერი ზომებით დაუბოლოვებელ პრეტენზიების მქონე მეზობლებს მიუჩინოს საზღვარი, რომლის გადმოლახვა შეიძლება მხოლოდ საქართველოს მხედრობის დაძლევით.

ბორჩალოს მაზრიდან სომეხთა ურდოების განდევნით საქართველოს საზღვრების საკითხი დამთავრებულად არ ჩაითვლება. ჩვენ ვიცით, რომ ზოგიერთ სხვა ადგილებშიაც ჩვენს მიწა-წყალზე ჩვენივე დაუდევრობისა და უმოქმედობის წყალობით დროებით უცხონი ხელმწიფობენ! დოვლათიანი და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მთელი ალაზნის გაღმა მხარე – ზაქათლის[2] ოლქი – მოწყვეტილია საქართველოს.

უცნაურად გადასწყდა საინგილოს ბედი: ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის დანაწილების

---

1 vae victis ლათინური გამონათქვამია, რაც ნიშნავს „ვაი დამარცხებულებს!“ [რედ.].

2 ავტორი „ზაქათალის“ ნაცვლად იყენებს „ზაქათლის“ [რედ.].

შემდგომ ეს კუთხე დარჩა, რომის უფლების ტერმინი რომ ვიხმაროთ – ჰერედიტას ჯაცცუს-ად. იმ დროს საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკას ისეთი მიმართულება ჰქონდა, რომ ზაქათლის ოლქის შემოერთებას ბევრი ქართველიც იმპერიალისტურ აქტად ჩასთვლიდა. მაშინ საქართველოში სახელმწიფო საკითხები და განსაკუთრებით ტერიტორიული შემოფარგვლა პრინციპულად სწყდებოდა ხოლმე სამერმისოდ. ამიტომაც მოხდა, რომ უფრო რეალური პოლიტიკის მიმდევარმა ადერბეიჯანმა მიიკუთვნა საქართველოსაგან მიტოვებული ოლქი და ჩვენი უმოქმედობით წაქეზებულმა ბოლოს ალაზნის გადმოღმა ნაწილზედაც შეგვედავა.

ზაქათლის ოლქზე და კერძოდ საინგილოზე ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ბევრი დაწერილა.

უხსოვარ დროის საქართველოს პროვინციის მნიშვნელობა და საჭიროება ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიური განვითარებისათვის ქართველი საზოგადოებისათვის სავსებით გამორკვეულია. აღმოსავლეთ საქართველოში გამაგრება და დამკვიდრება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ ხელთ გვიპყრია ისეთი პუნქტები, როგორიც არის სამხრეთით ბამბაკ-ლორისი, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით ზაქათლის ოლქი ნუხის მაზრის ადმინისტრაციულ მიჯნამდე.

მდგომარეობა ერთობ სერიოზული და პასუხსაგებია. ქართველი ერი მზად უნდა იყვეს ყოველივე მოულოდნელობისათვის. სომხობის შეიარაღებული თავდასხმის ლიკვიდაცია ჯერ კიდევ არა ჰნიშნავს საფრთხის სავსებით მოშორებას. რკალივით გარშემოცულ მტრებით საქართველოს სიფხიზლე ჰმართებს, რომ სანაინის განმეორებამ ღირსეული პასუხი მიიღო.

ბამბაკის და ლორისის საკითხმა აამოძრავა ქართველი საზოგადოება და აგრძნობინა თბილისისა და მთელი აღმოსავლეთ საქართველოისადმი მიმართული საფრთხე. მაგრამ ქართველობამ უნდა საბოლოოდ შეიგნოს, რომ შეუდარებლად დიდი საფრთხე ჩვენ მოგველის იმ შემთხვევაში, თუ ზაქათლის გასაღები სხვის ხელში იქნება.

## საქართველოს და სომხეთის დამოკიდებულების გარშემო

*წყარო: გაზეთი „შრომა“, 1918 წ., 1 ნოემბერი, № 66. გვ. 2.*

თბ[ი]ლისი, 30 ოქტ. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სახელზე გორიდან შემდეგი დეპეშა მოვიდა:

„ჩვენ, გორელი სომხები, ღრმა გაკვირვებას გამოვსთქვამთ იმის გამო, რომ სომხეთის მთავრობამ საქართველოსთან საზღვრების საკითხის გადაჭრა იარაღის საშუალებით განიზრახა. და ამ მოვლენას, მაშინ როცა ევროპის ხალხი ყველა სადაო საკითხების გადაჭრას მშვიდობიანი გზით ცდილობს, დემოკრატიისთვის დამღუპველათ ვსთვლით და გთხოვთ ძმათა შორის სისხლის ღვრას ხელი შეუშალოთ. „დეპეშაზე ხელი მოაწერა 170 კაცმა.

### რ. ინგილო

## კონფერენცია და ტერიტორიის საკითხი

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 1918 ., 9 გიორგობისთვე (ნოემბერი), № 213, გვ. 1-2.*

საგარეო საქმეთა მინისტრის წინადადებით 10 გიორგობისთვეს დედაქალაქში მოწვეულია კავკასიის ხალხთა და სახელმწიფოთა წარმომადგენლების კონფერენცია, რომელმაც საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ვარაუდით უნდა განიხილოს ოთხი თეზისი ახლად აღმოცენებულ მეზობელ სახელმწიფოთა შორის ნორმალურ ურთიერთობის დამყარებისათვის.

ჩვენ არ ვიცით, რა პასუხი მიიღო საგარეო საქმეთა მინისტრმა მოპატიჟებაზე, არც ის ვიცით, აღნიშნულ დროზე დანამდვილებით შესდგება, თუ არა კონფერენცია, მაგრამ იმის მიხედვით, თუ რა იწერება ამ საკითხის თაობაზე თბილისისა და სხვა ქალაქების გაზეთებში, ცხადათა სჩანს, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის წინადადება დიდ-მნიშვნელოვანი პოლიტიკური აქტია და ეხება ისეთ საკითხებს, რომელთა ამ ხნობამდე გამოურკვევლობამ არევ-დარევა და უთანხმოება დაჰბადა მომიჯნავე რესპუბლიკათა შორის.

კონფერენციის საკითხს პირველ ყოვლისა გამოეხმაურა არარატის რესპუბლიკის პრესა, რომელიც რაღაც უცნაურ მოსაზრებით თბილისში იბეჭდება, და არა სომხეთის სატახტო ქალაქ-

ერევანში. დაშნაკელების ლეიბ-ორგანო „აშხატოვორ“-ი ჩვეულებრივ თავხედურ კილოთი ალაპარაკდა და იმის ნაცვლად, რომ საკითხს არსებითად შეჰხებოდა, ფორმალურ ხრიკებს ძებნა დაუწყო და ჩვენს მთავრობას უსაყვედურა გაბატონებისა და ხელმძღვანელობის განზრახვების განხორციელება... რატომ იწვევთ უსათუოდ თქვენ კონფერენციას და რა მოსაზრებით წინდაწინვე ადგენთ კონფერენციის წეს-რიგს? ამით თქვენ, განაგრძობს გაზეთი, ხელფეხს უბორკავთ მომავალ კონფერენციის მონაწილეთ და მათ თქვენს ნების-ყოფას ახვევთ... დაახლოებით ამასვე იმეორებენ დანარჩენი სომხური გაზეთებიც განურჩევლად იმისა, თუ რა ენაზე იწერებიან – სომხურსა, თუ რუსულზე.

რამდენადაც ღვარძლიანად მტრულად აყაყანდა სომხეთის პრესა, იმდენად თავაზიანად და, საფიქრებელია, გულწრფელად მოეპყრო კონფერენციის მოწვევას თათრული პრესა! ადერბაიჯანის მთავრობის ოფიციალური ორგანო „აზერბეიჯან“-ი შემდეგ სტრიქონებს უძღვნის კონფერენციას: „ჩვენ ვესალმებით საქართველოს მთავრობის წინადადებას, რათა მოწვეულ იქმნას ამიერ-კავკასიის სახელმწიფოთა წარმომადგენლების კონფერენცია და სულითა და გულით ხელს შეუწყობთ ამ საკითხების მშვიდობიან გზით გადაჭრას. კმარა სისხლის ღვრა და უაზრო ნაციონალური შუღლი. ერთა შორის მტრობით შეწუხებულნი და ბევრი სიცოცხლისა და სამკვიდრებელის დამკარგავნი ჩვენი ხალხი მიისწრაფიან საუკუნო მეზობლებთან მშვიდობიან თანასაცხოვრებლად და ამ მიმართულებაში თავმოყრილი უნდა იყოს ამიერ კავაკსიის ხალხთა პოლიტიკური ხელმძღვანელების ყოველივე ძალა და ენერგია“.

„აზერბეიჯან“-ი ეხება განსაკუთრებით საზღვრების გამიჯვნის საკითხს და ჩვენცა ვფიქრობთ, რომ კონფერენციისათვის დასმულ საკითხთა შორის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სწორედ ტერიტორიისა და საზღვრების მოხაზვის საკითხს. კონფერენციის წესრიგის მეორე თეზისი ამბობს: „ყველა სადავო საკითხის გადაჭრა, საზღვრების გამო დავის გამოუკლებლივ, გადაწყდება დაინტერესებულ სახელმწიფოთა შეთანხმებით, ხოლო უკეთუ ასეთი შეთანხმება არ მოხდა, არბიტრაჟის საშუალებით,“

ეხლა, როდესაც ოსმალეთის ჯარმა მიატოვა ამიერ-კავკასიის საზღვრები და მის მიერ დაცლილ ადგილებს მრავალი პრეტენდენტი აღმოუჩნდა, მართლაც აუცილებლად საჭიროა, რომ საბოლოოდ ჩამოყალიბდეს ყოველივე სახელმწიფოებრივად მოწყობილი პოლიტიკური ერთეული და მას იურიდიულადა და ფაქტიურად მიეკუთვნოს საკუთარი ტერიტორია.

მაგრამ რა საზომით შესაძლებელია ხელმძღვანელობა სახელმწიფოთა შორის საზღვრების დადების დროს? გამოსძებნიან რესპუბლიკების წარმომადგენელნი ყველასათვის მისაღებ პრინციპს ტერიტორიის საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტისათვის? და თუ საერთო პრინციპი ვერ შეიმუშავეს, გამოინახება მოდუს ვივენდი[1] დაუსრულებელ უსიამოვნებისა და კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად?

დღეს უკვე საკმაოდ პოპულიარულია ერთა თვითგამორკვევის პრინციპი, რაზედაც ამყარებენ სახელმწიფოებრიობის შესაძლებლობას. ამ პრინციპის სწორად შეთვისებამ და ცხოვრებაში გატარებამ ბოლო უნდა მოუღოს ძალმომრეობაზე აგებულ სახელმწიფოებს. იწყება ახალი ხანა ეროვნულ სახელმწიფოთა აღშენებისა ისტორიულად დამკვიდრებულ ტერიტორიაზე, – იმ მიწა-წყალზე, სადაც ვითარდებოდა ერის სახელმწიფო ცხოვრება და კულტურა, მწიგნობრობა და ადათები, სამხედრო ძალა და პოლიტიკური ფორმები და რომელიც მამა-პაპობამ უანდერძა შთამომავლობას მოსავლელადა და საპატრონოდ.

ხალხოსნურ პრინციპმა, როგორც არის ერებისათვის ჭეშმარიტ თვითგამორკვევის მინიჭება და ამ საფუძველზე სახელმწიფო ერთეულების აღშენება, საქართველოს მეზობლების „განმარტებით“ მეტად ვულგარული მიმართულება მიიღო; ჩვენ არას ვიტყვით სომხების ოფიციალურ, თუ არა ოფიციალურ შეხედულებაზე: მათი ინტერპრეტაციით თუ ვიხელმძღვანელეთ, თვითგამორკვევის უფლების მიცემა ჩვენ მოგვიხდება, „ერთობის“ თქმისა არ იყოს, სოლოლაკისთვისაც-კი. და, ცხადია, რომ კვირის კონფერენციის მუშაობა სასურველად ვერ დამთავრდება, თუ სომხეთის სახელმწიფოს წარმომადგენლებმა აქაც იგივე განიმეორეს, რასაც სიტყვითა, თუ წერით აცხადებს სომხობა აქ – საქართველოში და უფრო მოურიდებლად სომხეთში.

აზერბაიჯანის ოფიციალური აზრი ერთა თვითგამორკვევის შესახებ უკანასკნელ დრომდე მხოლოდ პრაქტიკულ ღონის-ძიებათა მიღებაში გამოიხატებოდა. იმ დროს, როდესაც ჩვენი მთავრობა ტერიტორიის საკითხის გადაჭრას ანდობდა მომავალ საერთაშორისო სამსჯავროებს და საქართველოს ტერიტორიას პრინციპულად, თეორიულად ჰფარგლავდა, ადერბეიჯანის რესპუბლიკა ცალმხრივ ნებით იხაზავდა საზღვრებს და იერთებდა საქართველოს ასეთს უდავო კუთხებსაც კი როგორიც არის ზაქათლის[2] ოლქი. პრაქტიკულად ნამოქმედარის გამაგრებას ადერბაიჯანის მთავრობა ცდილობს „თეორიული“ დასაბუთებით. „ადერბაიჯანიდან“ მოყვანილ

1 modus vivendi ლათინური გამონათქვამია და ნიშნავს „ცხოვრების ნირს“, „ცხოვრების გზას“ [რედ.].

2 ეს ავტორიც იყენებს ტოპონიმს – „ზაქათლის“ [რედ.].

წერილში, სხვათა შორის ის აზრია გატარებული, რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ტერიტორიალურად მოხაზვა უნდა გამომდინარეობდეს ერთა თვითგამორკვევის იდეიდან, ესე იგი, სახელმწიფონი შენდება ნაციონალურსა და ფაქტიურ მოსახლეობის ნიადაგზე. ერთა თვითგამორკვევის მაღიარებელნი, არა გვგონია, საქართველოს მოქალაქეთა შორის ნაკლებად მოიძებნებოდეს, ვიდრე სომხეთში, ან ადერბეიჯანში, მაგრამ ქართველ ხალხს ის არ ავიწყდება, რომ აშენებს და განამტკიცებს სახელმწიფოს და არა ხუხულას! სრულიად მოკლებული უნდა იყოს ადამიანი სახელმწიფოებრივ შეგნებასა და პოლიტიკურ შორსმჭვრეტელობის უნარს, რომ თვითგამორკვევის უდიდეს პრინციპს განუსაზღვრელი ხასიათი მისცეს და მხედველობიდან განდევნოს სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესი. ქართველ ერს ერთს წუთსაც არ ავიწყდება, რომ აღორძინებული საქართველოს სახელმწიფო გარემოცულია იმგვარი კულტურისა და მისწრაფებების ხალხისაგან, რომელიც რთულ სახელმწიფოებრივსა და ეროვნულ პრობლემების გარდაწყვეტაში ხშირად ჰოტენტონური მოსაზრებით ხელმძღვანელობს და იკუთვნებს მას, რაც იოლად დევს პატრონის დაუდევრობის გამო.

„აზერბეიჯანი“ საქართველოს მართებლობას უსაყვედურებს, რომ იგი იპყრობს, ან პრეტენზიებს აცხადებს ადერბაიჯანის მიწა-წყალზე. გაზეთს შეუტყვია, რომ საქართველოში ტერიტორიულ საკითხს განყენებულად არა სწყვეტენ, არამედ უფარდებენ მას სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვან პოლიტიკურ, სტრატეგიულ, ეკონომიურსა და ისტორიულს თვალსაზრისს. ეს მოსაზრებანი კი ადერბეიჯანის სიტყვად და დაუსაბუთებელ არგუმენტად მიაჩნია.

ქართველი ხალხის შეურყეველი რწმენით, მთლიანი და ნამდვილ სახელმწიფოებრივად მოწყობილი საქართველო იარსებებს იმ შემთხვევაში მხოლოდ, როდესაც დაცულ იქნება მისი სასიცოცხლო ინტერესები, უწინარეს ყოვლისა, ტერიტორიულად, ეს მცნება არ უარჰყოფს ერთა თვითგამორკვევის აღიარებას, პირიქით, იგი მას ამტკიცებს და ანვითარებს და ადერბეიჯანის ხელმძღვანელებმა უნდა უწყოდნენ, რომ არსად კავკასიაში ისეთი სიწმინდით და რეალურად არ იქნება ერთა უფლება დაცული, როგორც საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში!

ოფიციალური გაზეთის კილო ჩვენ გვაიმედებს, რომ საზღვრების საკითხში საქართველოს მთავრობა გამოჰნახავს ადერბეიჯანის რესპუბლიკის რწმუნებულებთან საერთო ენას და „გორდიის კვანძად“ ქმნილ ტერიტორიის შემოფარგვლას ერთხელ და სამუდამოდ გადავჭრით.

არ ვიცით, რა ტაქტიკას დაადგებიან წარმომადგენელნი იმ სახელმწიფოისა, რომელიც ჰლამობდა იარაღით გაეფართოებინა სახელმწიფოს საზღვარი საქართველოს ხარჯზე. თუმცა კაჩაზნუნის მთავრობა დასთანხმდა ბოლოს მახვილის დაშვებას, მაგრამ უცნობია, რა მოსაზრებით: მშვიდობიანური განწყობილებით, თუ უფრო რეალური გარემოების ზეგავლენით. სომხის ზინვორებმა[1] იარაღი დაჰყარეს, მაგრამ სომხის სიტყვა და კალამი დღესაც ამხედრებულია საქართველოს წინააღმდეგ და შუღლის თესვას დაუსჯელად განაგრძობს. ვნახოთ, რა ჰანგებზე ალაპარაკდება არარატის დიპლომატია კავკასიის ერთა კონფერენციაზე?!

საქართველოს აზრი მტკიცე და უკანასკნელია: ქართველ ხალხს დაპყრობითი პოლიტიკა აროდეს უწარმოებია.

საქართველოს ტერიტორია მრავალ საუკუნეთა წყებამ ჩამოაყალიბა და მიუკუთვნა ქართველობას. ფაქტიური მოსახლეობა უკანასკნელ უკუღმართ ეპოქისა ცვლილებას ვერ შეიტანს საქართველოს საზოგადოებრივ აზროვნებაში და არც ნებას მისცემს ვინმე მესამე თავისებურად გაგებულ „ეთნიური პრინციპის“ განაღდებისას.

ამაო იქნება სამშვიდობო კონფერენციაზე მოსვლა, უკეთუ მოპატიჟებულნი აგრესსიულ განზრახვებს თავის საზღვრებზე არ დასტოებენ და იმ ენით დაგვიწყებენ საუბარს, რაც ზოგიერთ უცხო გაზეთებს ჰსჩვევიათ.

საქართველომ ვალი მოიხადა, საგარეო საქმეთა მინისტრის წინადადება გამოწვეულია მხოლოდ იმ მიზნით, რომ კეთილმეზობლური დამოკიდებულება დაამყაროს კავკასიის რესპუბლიკათა შორის.

კონფერენციის ნაყოფიერება იმაზეღაა დამოკიდებული, რამდენად შესისხლხორცებული აქვთ ეს მთავარი აზრი მომიჯნავე სახელმწიფოებს და იმ რწმუნებულებს, ვინც სახელმწიფოთა სახელით ამეტყველდება ამ უდიდეს მნიშვნელობის კრებაზე.

1 ჯარისკაცი სომხეთში [რედ.].

# ბორჩალო-ლორე-ახალქალაქის საკითხი

წყარო: გაზეთი „საქართველო“, 1918 წ., 8 ქრისტეშობისთვე (დეკემბერი), № 235. გვ. 2.

საქართველოს დიპლომატიურმა წარმომადგენელმა სომხეთის მთავრობასთან სიმონ მდივანმა განსაკუთრებული ნოტით მიმართა სომხეთის საგარეო მინისტრს, და აცნობებს რომ იგი აღჭურვილია სრულის უფლებით დასდოს ხელშეკრულება სომხებთან საქართველოსა და სომხეთის საზღვრების შესახებ. მოლაპარაკებას საფუძვლად უნდა დაედვას ბორჩალოს, ლორეს და ახალქალაქის საქართველოს ტერიტორიის განუყოფელ ნაწილად აღიარება და აცნობებს რა ბ-ნი მდივანი ამას სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, ეკითხება მას ეთანხმება სომხეთის მთავრობა საქართველოს ამ მოთხოვნილებას თუ არა, და თუ არ ეთანხმება, რა მოსაზრებით.

# უკანასკნელი ცნობები

*წყარო: გაზეთი„სახალხო საქმე“, 1918 წ., 11 დეკემბერი, № 405. გვ. 2.*

**ახალციხეში.**

ახალციხიდან ჰაიდარ აბაშიძე შემდეგს იწერება: ქართველ მუსულმანების სულიერი განწყობილება ძლიერ კარგია. დ[ა]დებითად იხსენიებენ საქართველოს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ ხალხში ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოთ ყველფრის გაკეთება შეიძლება, თუ ეშმაკები არ შეუჩნდნენ კიდევ.

**სანაინში.**

სადგურ სანაინის უფროსი გზათა სამინისტროს დეპეშით შემდეგს ატყობინებს: მტერი (სომხები) სადგურ სანაინს და მის კლდეებს ყუმბარებს უშენს ოსმალთა მატარებლების დამსხვრევის მიზნით კლდეებიდან დიდი ქვები გორდება და გზას ანადგურებს. ამიტომ გთხოვთ გასცეთ განკარგულება, რათა გამოიგზავნოს ორი ორთქმავალი და კომანდა მატარებლის გამოსაყვანად.

**მესხეთ-ჯავახეთი.**

მთავრობის თავმჯდომარის სახელზე შემდეგი დეპეშა მოვიდა „ძველი საქართველოს ცენტრიდან თქვენ და მთელ საქართველოს მოგილოცავთ მესხეთის და ჯავახეთის სისხლის დაუღვრელად შემოერთებას რაც მოხდა საქართველოს მთავრობის სიბრძნისა და კაცთმოყვარეობით. მთელ გზზე ახალციხემდე მცხოვრებნი აღფრთოვანებით ესალმებოდა ჯარს. გისურვებთ სიცოცხლეს და გამარჯვებას მრავალ ჟამიერ. გენ. მაყაშვილი“.

# პროვოკატორული გამოსვლა

*წყარო: გაზეთი „სახალხო საქმე“, 1918 წ., 17 დეკემბერი, № 409. გვ. 1-2.*

მკითხველებს, უეჭველია, ახსოვთ ის დეპეშები, რომლებიც ოდესის გაზეთებში იყო დაბეჭდილი სომხებისა და ქართველების შეტაკების შესახებ ამ დეპეშების მიხედვით, ქართველებსა და სომხებს შორის გაცხარებული ბრძოლა სწარმოებდა თურმე, სომხებს ტფილისის მიდამოები აეღოთ და დამარცხებულ ქართველებს ის ღა დარჩენიათ მორჩილებით ქედი მოიხარონ. მაშინ ამ დეპეშებს არავინ სერიოზულ ყურადღება არ მიაქცია და პრესამ კი ისინი პირდაპირ პროვოკატორულ დეპეშებად ჩასთვალა, მაგრამ დღეს ამ საიდუმლო[ე]ბას ფარდა ეხდება და ჩვენი მოწმენი ვხდებით ისეთი ფაქტებისა, რომელთა ცოტა ნაჩქარევ წინამორბედად უნდა ჩაითვალოს ზემოხსენებული დეპეშები. რომ ცხადი და ნათელი გაჰხდეს ყველაფერი ის, რაც ჩვენს გარშემო ჰხდება, არ უნდა დავივიწყოთ, რომ მოახლოვდა დღე სამშვიდობო კონფერენციის მოწვევისა. სომხები ამ კონფერენციისთვის ემზადებიან. ემზადებიან, თავისებურად, ვერაგულად, მეზობელ ერთა ხარჯით, მეზობელ ერთა გაუბედურებით, მაგრამ მაინც ემზადებიან. კონფერენციის წინ

სომხებსა ჰსურთ მოკავშირეთა შორის განამტკიცონ ის აზრი, რომ მათი ერთად-ერთი მეგობრები მთელ ამიერ კავკასიაში მხოლოდ სომხები არიან; მათ ჰსურთ აჩვენონ მოკავშირე სახელმწიფოებს, რომ სომხები დღევანდელნი არიან ამიერ-კავკასიაში, როგორც მოკავშირეთა თანამგრძნობნი. მაგრამ სომხებს მარტო ეს არა ჰსურთ; მათ ჰსურთ ცეცხლის ალში გაახვიონ ამიერ-კავკასია, შექმნან კონფლიქტები, ბრძოლა, ომი, სისხლისღვრა, ანარქია, რომ ამნაირის გზით მოკავშირე სახელმწიფოებს მისცენ საბაბი ჩვენს შინაურ საქმეებში ჩარევისა. სომხებს იმედი აქვთ, რომ ამნაირი ჩარევით საქართველოს დამოუკიდებლობას ბოლო მოეღება და თვით სომხეთი ამით მოგებული თუ არა, წაგებული მაინც არ დარჩება. ჩვენ არავითარი კონკრეტიული მასალა ხელთ არა გვაქვს, მაგრამ იმ საშინელი ჭორებისა და ინსინუაციების მიხედვით, რომლებსაც სომხები რუსეთში ავრცელებენ, ერთად-ერთი დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ: სომხების მთელი გულისყური დღეს იქითკენ არის მიმართულ[ი] რომ ევროპის საზოგადოებრივი და პოლიტიკური წრეები აამხედრონ საქართველოს წინააღმდეგ.
[...]

## (უკანასკნელი ცნობები) ახალქალაქის საზღვრებზე.

*წყარო: გაზეთი „სახალხო საქმე“, 20 დეკემბერი, 1918 წ., № 412 გვ. 1.*

დეკემბრის 16, დაახლოვებით საღამოს 5 საათზე სომხები ორ ესკადრონამდე უცბად თავს დაესხენ ჩვენს სავ[ე]ლე დარაჯებს ახალქალაქის საზღვარზე. მცირე სროლის შემდეგ თავდასხმა მოგერებულ იქმნა. მალე სომხების შემოტევა განახლდა, მაგრამ მისულმა ჩვენმა რაზმმა ხელ-ახლა უკუ აგდო.

სომხებმა მიიღეს ახალი ძალები და განაახლეს შემოტევა საღამოს 8 საათზე და შეავიწროვეს ჩვენი ნაწილები სოფელ ტროიცკოესთან, ჩვენმა ნაწილებმა კონტრ-იერიშით მტერი განდევნეს სოფელ ტროიცკოედან და დადევნების შემდეგ ისინი საზღვარს იქით უკუაგდო. ტყვეთ წამოყვანილია 8 სომეხი, ბრძოლის ველზე მტერმა დასტოვა 15 მოკლული და 40 დაჭრილი. ჩვენი ზარალი უმნიშვნელოა.

### სანაინის მიმართულებით.
**სანაინის მიმართულებით, ღამის განმავლობაში იშვიათად იყო სროლა.**
### სომეხთან ომის გამო.

მთავრობის თავმჯდომარის სახელზე მიღებულია შემდეგი დეპეშა: „მთელი ქუთაისი იმედიან აღტაცებით შეეგება მთავრობის ბრძანებას მობილიზაციის მოხდენის შესახებ, გაიმართა დიდი მანიფესტაციები: მთელი ხალხი მზათ არის იარაღით დაიცვას საყვარელი სამარადისოთ, დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველო. მრავალ ათასიან რიცხოვანი მიტინგი გესალმებათ თქვენ. გაუმარჯვოს ქართველ ერს, მის სახელოვან ლაშქარსა და რევოლიუციონურ ჩვენ მთავრობას, მიტინგის თავმჯდომარე.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის სახელზე მი[ღ]ებულია ბორჯომიდან შემდეგი დეპეშა: „ვიწრო ნაციონალისტურ შოვინისტურმა მიმართულებამ შეიტანა სომეხ-ქართველთა ურთი-ერთობაში მტრული განწყობილება, რომელიც დღით-დღე ვითარდება და გვიქადის სისხლის ღვრას. თუ ეს ანტოგონიზმი განვითარდა და რეალური შედეგები მიჰყვა ეს დაღუპვისაკენ წაიყვანს როგორც ქართველ, ისე სომხის დემოკრატიას. ჩვენ, ბორჯომში მცხ[ო]ვრები სომეხთა საზოგადოება, როგორც თავისუფალ სა[ქ]ართველოს ქვეშევრდომებს მეტად გვაღელვებს აღნიშნული მდგომარეობა, რადგანაც ის მოვლენა, რომელიც მავნებელია საქართველოს რესპუბლიკისთვის, მავნებლია და შემაძრწმუნებული აგრეთვე სომეხთათვის. ამიტომ ზემოთხსენებული სომეხთა საზოგადოება გმობს რა იმ პოლიტიკას, რომელსაც აწარმოებენ სომხის და ქართველთა შურის ძიებით გაჟღენთილი ნაციონალისტები, გთხოვთ თქვენ, ნოე ნიკოლოზის ძევ მიიღოთ ყოველივე ზომები სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლათ, და სომეხ-ქართველთა შორის სადავო საკითხების გადასაჭრელად კონფერენციის და არბიტრაჟის საშუალებით. რეზოლუცია გამოტანილ იქნა 16 დეკემბერს სომეხთა საზოგადოების ყრილობაზე.“ ყრილობის თავმჯდომარე ვ. დავთიანცი.

### სამხედრო შტაბის ცნობა სადახლოდან.

დეკემბრის 13, დაახლოვებით 5 საათზე სომხების ნაწილებმა სადახლოსთან ისარგებლეს ღრუბლიანი ამინდი[თ], ჩამოეშვენ მთებიდან და შემოუტიეს ჩვენს ნაწილებს. მაგრამ ისინი მალე დიდად დაზარალებულნი მოგერებულ იქნენ. მალე მტერმა ისევ გაანახლა შემოტევა, მაგრამ ჩვენი ნაწილების კონტრ-შეტევით იძულებული შეიქმნა გაქცეულიყო, რის შემდეგ ბრძოლის ველზე დატოვეს 3 ოფიცერი და რამოდენიმე ათეული ჯარისკაცი. ტყვედ წამოყვანილია 2 ოფიცერი (ერთი მათგანი რუსია) და 37 შეიარაღებული ჯარისკაცი.

### ახალქალაქის მაზრაში.

ახალქალაქის მაზრაში მდგომარეობა უცვლელია. გამოირკვა, რ[ო]მ ყველგან ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებენ სომეხთა რეგულიარული ნაწილები.

### ტყვედ წაყვანილთა დახვრეტა.

პირველ დღეებში ტყვედ წაყვანილი 5 ქართველი ჯარისკაცი სომხებს დაუხვრეტიათ.

## განცხადება

*წყარო: გაზეთი „სახალხო საქმე“, 21 დეკემბერი, 1918 წ., № 413, გვ. 1;*
*გაზეთი „სახალხო საქმე“, 22 დეკემბერი, 1918 წ., № 414, გვ. 3.*

კვირას, დეკემბრის 22-ს, შუადღის 12 საათზე, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიულ კლუბში, (სემ[ი]ნარიის ყოფილი შენობა) პროფ. ივანე ჯავახიშვილი წაიკითხავს საჯარო ლექციას შემდეგ თემაზე: „საქართველოს სამხრეთის საზღვრები და ბრძოლა მათ გამო ქართველ-სომეხთა შორის“. შესასვლელი ფასი 1 მან. 3 მანეთამდე[.]

## უკანასკნელი ცნობები

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 22 დეკემბერი, 1918 წ., № 246, გვ. 1.*

საქართველოს მთავრობამ სომხეთის მთავრობისაგან ომის გამოცხადების ნოტა მიიღო.

საქართველო-სომხეთ[ს] შორის დიპლომატიური ურთიერთობა შესწყდა.

საქართველოს ჯარების მთავარსარდლად ბორჩალოს ასპარეზზე სამხედრო მინისტრის ამხანა[გ]ი გენ. გედევანიშვილი დაინიშნა.

საქართველო-სომხეთის საზღვრები დაიკეტა.

# ქრონიკა
## პროფესორ ივ. ჯავახიშვილის ლექცია

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 22 დეკემბერი, 1918 წ., № 246, გვ. 2.*

კვირას, დეკემბრის 22 დღის 12 საათზე სოციალ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის მთავარ კლუბში (ლორის-მელიქოვის № 1) პროფ. ივ. ჯავახიშვლი წაიკითხავს საჯარო ლექციას შემდეგ თემაზე: „საქართველოს სომხეთის[1] საზღვრები და ბრძოლა მათ გამო ქართველ-სომეხთა შორის“. შესასვლელი ფასი სამი მანეთი; მოწაფეთათვის ერთი მანეთი. შემოსავალი სოც.-ფედერ. მებრძოლ რაზმის სასარგებლოდ გადაიდება.

# ახალი ამბავი

*წყარო: გაზეთი „სახალხო საქმე“, 24 დეკემბერი, 1918 წ., № 415, გვ. 3.*

პროფ. ივ. ჯავახიშვილმა სოც.-ფედერალისტთა კლუბში კვირას, დეკემბრის 22 წაიკითხა ლექცია: „საქართველოს სამხრეთის საზღვრები და ბრძოლა მათ გამო ქართველ-სომეხთა შორის“. ლექცია ფრიად შინაარსიანი იყო და აუარებელი ხალხი დაესწრო. დაწვრილებით ხვალ.

# სომხური პრესა

*წყარო: გაზეთი „სახალხო საქმე“, 24 დეკემბერი, 1918 წ., № 415 გვ. 1.*

„მშაკი“ (№ 262, 21 დეკ.) შემდეგს სტრიქონებს უძღვნის სომეხ-საქართველოს ომს:

„უნდა სიმართლე ითქვას რომ ამ შეტაკებაში ზარალობს არა მარტო ქართველი ერი, არამედ ორი გზის და ოთხ გზის უფრო ზიანდება სომხის ერი. ახლო მომავალში სომხის ერი იძულებული გახდება განმარტოებით იცხოვრის როგორც ამიერ-კავკასიაში, ისე ოსმალეთში[.] უეჭველია ეს განმარტოება, ეს იზოლიუცია დიდად დააბრკოლებს ჩვენ კულტურასა და პოლიტიკურ განვითარებას ახლო მომავალში.“

მერე „მშაკი“ იმედს გამოსთქვამს, რომ „სომხის ნამდვილი დემოკრატია“ ბოლოს და ბოლოს გამოჰგლეჯს ხელიდან უფლებას იმ რეაქციონურს ძალებს, რომელნიც დღემდის მესვეურობენ სომხის საზოგადოებას, რომელთაც მათი ავანტიურისტული და აგრესიული პოლიტიკის წყალობით უფსკრულის პირს მიიყვანეს სომხის ერი, რომელთაც თავს დაატეხეს მას (სომ. ერს) დიდი ისტორიული უბედურება“.

ომი თუ ზავი? ამ საკითხზე არავის ჩვენში ორი პასუხი არა აქვს. მაშასადამე სომხის სინამდვილეში რაც ნამდვილი, გულწრფელი და მშვიდობიანობის მოყვარეს ელემენტები მოიპოვება, რომელთაც კარგად აქვს შეგნებული ამ ომის საშინელი შედეგები სომხის ერისათვის, უნდა შეერთდნენ რომ ხელიდან გამოჰგლიჯონ ომის მოტრფიალეთ ყოველნაირი საშუალება ამ ომის გაგრძელებისათვის.

ზავი, სასწრაფოდ ზავი და არა ომი!

# ახალი ამბავი
## თელავის სომხობა.

*წყარო: გაზეთი „შრომა“, 1918 წ., 25 დეკემბერი, № 108. გვ. 2.*

თელავიდან საქართველოს რესპუბლიკის თავმჯდომარეს სახელზე მიღებულია შემდეგი დეპეშა: თელავის სომხების მრავალრიცხოვანი კრება, 21 დეკ. საქართველოს და სომხეთს შორის შექმნილ მდგომარეობის შესახებ მსჯელობის შემდეგ, პროტესტს აცხადებს სომხეთის მთავრობის

---

1 ჩვენი აზრით, აქ მითითებული უნდა იყოს: „საქართველოს სამხრეთის საზღვრები“ და არა „საქართველოს სომხეთის საზღვრები“ [რედ.].

ავანტიურისტულ მოქმედებაზე, რომლის შედეგია ორ მოძმე ერის შუა სისხლის ღვრა. თელავის სომხობა სალამს უძღვნის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ჰპირდება ყოველ გვარ დახმარებას დემოკრატიულ რესპუბლიკის დაცვაში. ამასთანავე გთხოვთ მიიღოთ ყოველგვარი ზომები მოძმეთა ერების სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლად.

თავმჯდომარე ხითაროვი.

## პროფ. ივ. ჯავახიშვილის ლექცია[1]

*წყაროები: გაზეთი „სახალხო საქმე“, 25 დეკემბერი, 1918 წ., № 416, გვ. 2-3.*
*გაზეთი „ხალხის მეგობარი“ (ქუთაისი), 27 დეკემბერი 1918, № 339, გვ. 4.*

კვირას, დეკემბრის 22-ს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევ. პარტიის კლუბში დილის 12 ს. პროფ. ივ. ჯავახიშვილმა წაიკითხა ლექცია: „საქართველოს სამხრეთის საზღვრები და ბრძოლა მათ გამო ქართველ-სომეხთა შორის“.

მოგვყავს ლექციის მოკლე ანგარიში.[2]

ჩვენში ერთი ილიუზიაა[3], ძალიან გავრცელებული, დაიწყო პატივცემულმა პროფესორმა.[4] ამბობენ, რომ სომეხ ქართველთა შორის თავის დღეში არ დაღვრილა სისხლი, თავის დღეში არ ჰქონიათ ომი და სხვა. მაგრამ ისტორიას უფრო კარგი მეხსიერება აქვს, ვიდრე ჩვენ. ისტორიამ იცის, რომ ქართველ – სომხებს სულ ცოტა სამჯერ მაინც ჰქონიათ ბრძოლა სწორედ იმ ადგილებისათვის, რისთვისაც დღეს არის ომი. ყოველთვის საქართველოს და სომხეთის აღორძინება, მოღონიერება რომ დაწყებულა – მაშინვე დაწყებულა დავა ამ ადგილებისათვის.

სომხები ყოველთვის მოიწევდნენ ჩრდილოეთისაკენ. როდესაც სომხეთი მარცხდებოდა, მისი მცხოვრებნი შემოდიოდნენ ჩვენს ქვეყანაში და უმთავრესად რასაკვირველია, სახლდებოდნენ მოსაზღვრე ადგილებში, მაგრამ ისინი შემოდიოდნენ[5] სახელმწიფოში, რომელსაც ემორჩილებოდნენ და რომლის სტუმართმოყვარეობით სარგებლობდნენ.

დაახლოვებით მეათე საუკუნის დამლევიდან ეს კუთხეები საბოლოოდ საქართველოს მიეკუთვნა. მხოლოდ ერთი მომენტი იყო, როცა სომხეთს ეჭირა იგი და მას შემდეგ არც ერთხელ არ მოშორებია საქართველოს. იგი იყო მოწინავე პოზიცია, რომელსაც მტერი ეკვე-თებოდა ხოლმე და ამიტომ ჩვენი წინაპარნი ძალიან დიდ მნიშვნელობას აწერდნენ მას.

ბორჩალოს ეხლანდელი მაზრა იწოდებოდა „მოწინავე დროშად“, რადგან შემოსეულ მტერს პირველად იგი უნდა დახვედროდა. ხოლო ჯავახეთი იწოდებოდა „წინმბრძოლთა დროშად“. ლორის ციხე ითვლებოდა საქართველოს სამხედრო მინისტრის, ამირსპასალარის ბინად.

სტრატეგიული მნიშვნელობა ლორისა და ჯავახეთისა – კარგად ესმოდათ რუსებს და დიდ ყურადღებას აქცევდნენ. სომხები ამტკიცებენ, რომ ჯავახეთი და ბორჩალო უდავო მათი კუთვნილებაა. ეს არ არის მართალი, როგორც წარსულის გახსენებით დაინახავდით. პირიქით, მაშინაც კი, როცა სომხეთი იყო – ეს ტერიტორია არასოდეს არ ყოფილა უდავო. ხოლო როდესაც, დაახლოვებით მე XI საუკუნეში სომხეთი მოისპო – ეს ადგილები სადაო აღარასოდეს ყოფილა – იგი საქართველოს ეკუთვნოდა და თუ მტერი იპყრობდა, იპყრობდა როგორც ჩვენს ტერიტორიას.

გეოგრაფიულადაც ეს მხარეები საქართველოს ეკვრის. ყველა გზები ჩვენსკენ მოდის და მდინარეებიც აქეთ მოისწრაფვიან[6] და მტკვარს ერ[თვიან]. ვაჭრობაც ყოველთვის აქეთკენ ვითარდებოდა, საქართველოსთან და მაშინაც კი, როდესაც იგი მტრისაგან დაპყრობილი იყო – აღებ მიცემობ[ა]ს ყოველთვის საქართველ[ო]სთან აწარმოებდა.

სომხებს კიდევ მოჰყავთ სხვა საბუთები სხვათაშორის, გეოლოგიური საბუთებიც. პირველად მესმის, რომ გეოლოგი[ა]ს პოლიტიკური საკითხის გადასაწყვეტად იხმარიებენ. მაგრამ გეოლოგია რომ საბუთად მივიჩნიოთ, ვაი თუ სომხებმა ძალიან ბევრი ადგილი დაჰკარგონ ისეთი, რაზედაც ისინი ყოველთვის პრეტენზიებს აცხადებდნენ.

---

1 გაზეთ „ხალხის მეგობარში“ სტატიის სათაურია: „სომხეთის საზღვრები. თფილისში [პრ.] ჯავახიშვილმა ლექცია წაიკითხა რომლის შინაარსი ასეთია“ [რედ.].

2 გაზეთ „ხალხის მეგობარში“ პირველი ორი აბზაცი არ არის მოცემული [რედ.].

3 გაზეთ „ხალხის მეგობარში“ დაბეჭდილია: „ილიუზია“ [რედ.].

4 „დაიწყო პატივცემულმა პროფესორმა“ – ეს ფრაზა არ არის ჟურნალში „ხალხის მეგობარი“ [რედ.].

5 „მოსაზღვრე ადგილებში, მაგრამ ისინი შემოდიოდნენ“ – ეს ფრაზა არ არის ჟურნალში „ხალხის მეგობარი“ [რედ.].

6 გაზეთ „ხალხის მეგობარში“ არასწორადაა დაბეჭდილი: „ქეთ მოისწვიან რაფიან და მტკვარს ერთ ვაჭრობაც“ [რედ.].

რაც შეეხება ეთნოგრაფიულ პრინციპს ესეც აქ გამოუსადეგარია. სომხები ჩამოსახლდნენ ჩვენს ტერიტორიაზე, იმ ადგილებში, რომელიც ქართველმა მაჰმადიანებმა დასტოვეს, ან სადაც ხალხი მტრისაგან განადგურდა. ისინი შემოვიდენ საქართველოში და არა რომელსამე კერძო ადგილზე. სომხების პრინციპი რომ მივიღოთ, ეს იმას ჰნიშნავს, რომ ბელგიელებმა, რომელნიც ამ ომის გამო საფრანგეთში გადასახლდნენ გამოაცხადონ – საფრანგეთი ჩვენიაო.

ჩვენთვის კი ამ მხარეებს უდიდესი ეკონომიკური, სტრატეგიული და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ჩვენი მეცხვარეები იქ აძოვებენ ცხვარს და ამ ადგილების გაწირვა იქნება გაწირვა ჩვენი მეურნეობის ერთ მნიშვნელოვან დარიგისა.

ჯავახეთი და ბორჩალო, სთქვა დასასრულ პატივცემულმა ლექტორმა – კარია საქართველოსი და მისი დაკარგვა – სახელმწიფოს კარების გაღებას უდრის. „მეწინავე დროშის" და „წინ მებრძოლთა დროშის" კუთხეებს საქართველო დაიცავს, თუ მას დამოუკიდებელი არსებობა ჰსურს. და იმედია, ქართველი ერი ხიშტების ჯაგრად შემოერტყმება სამშობლოს მიწა-წყლის, როგორც ის მთები, რომელნიც სხვა და სხვა მხრიდან ჰსაზღვრავენ ჩვენს ქვეყანას.

დარბაზი მთლად სავსე იყო მსმენელებით, რომელნიც მრავალჯერ ტაშით აწყვეტინებდნენ ლექტორს. ტფილისის კომიტეტი და ჩვენი პარტიის სამხედრო საბჭო ულრმეს მადლობას უძღვნის პატივცემულ პროფესორს ამ ლექციის წაკითხვისთვის რომლის შემოსავალი გადადებულია სამხედრო საჭიროებისათვის.[1]

# სომხური პრესა

***წყარო: გაზეთი „სახალხო საქმე", 27 დეკემბერი, 1918 წ., № 418, გვ. 1.***

## ომსა და ზავზე.

„მშაკი" (№ 264, დეკემბრის 24) კვლავ განაგრძობს სამშვიდობო აგიტაციას. სისხლის ღვრა უნდა შეჩერდეს და დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნას ამიერ-კავკასიის კონფერენცია, რომელზედაც შეთანხმების გზით უნდა გადასწყდეს ყველა სადავო საკითხები და განაგრძობს:

„ეს შეთანხმება შესაძლებელია მიღწეულ იქნეს კონფერენციის საშუალებით, არა თუ შესაძლებელია, (მებრძოლი მხარეები) ვალდებულნი არიან მიაღწიონ ამ შეთანხმებას. ყოველი წუთის დაგვიანება ამ მხრით დანაშაულია კავკასიის ერთა წინაშე, სასწრაფოდ უნდა მოწვეულ იქნეს ამიერკავკასიის კონფერენცია. ეს მომენტის კათეგორიული მოთხოვნილებაა: კონფერენცია და მშვიდობიანად გადაჭრა ყველა სადავო საკითხებისა ერთმანეთთან შეთანხმებით: ყველა სხვა გზა, რა გამოსავალიც არ უნდა ექნეს მათ, დამღუპველია. უნდა უჩქაროთ, სანამ გვიან არ არის!"

# ამიერ კავკასიის კონფერენცია.

„მშაკი" მე-264 №-ში მოითხოვს სომხეთ-საქართველოს ომის შეწყვეტას და ამიერ კავკასიის კონფერენციის მოწვევას სადავო საკითხების გადასაჭრელად.

შემდეგ მე-265 №-ში (დეკემბრის 25-სა) იგი აღნიშნავს თუ რა საკითხები უნდა განიხილოს ამ კონფერენციამ.

„პირველი საკითხი სამი რესპუბლიკის საზღვრების საკითხია. აი განხეთქილების ვაშლი, აი საკითხი რომლის წყალობითაც ჩვენ ომის საშინელებას განვიცდით, აი საკითხი, რომლის გადაჭრა სასწრაფოა. მხოლოდ საჭიროა მას დემოკრატიის ინტერესების თვალსაზრისით მიუდგეთ და არ უნდა გაგვიტაცოს ტერიტორიულმა კრეტინიზმა (სიც!) და ერთი ფეხის დადგმა ადგილისათვის ჩვენი ერების ცხოვრების ამ საშინელ დღეებში, არ უნდა დავანგრიოთ მათი მეურნეობა და სისხლით არ უნდა შევღებოთ მათი მიწა-წყალი... ამნაირად პირველ რიგში, კონფერენციამ, სრულიად თავისუფალმა გარეშე გავლენათაგან, საურთიერთო შეთანხმებით საბოლოოდ უნდა გადასწყვიტოს საქართველოსა, სომხეთისა და ადერბეიჯანის საზღვრების საკითხი. სადავო ადგილების მოსახლეობის დატოვება ეხლანდელ გაურკვეველ მდგომარეობაში თუ გინდ დროებითაც, ეს ნიშნავს კარი გაუღოთ ახალ-ახალ უბედურებათ". [...]

---

1 ეს ბოლო აბზაცი არ არის ჟურნალში „ხალხის მეგობარი" [რედ.].

# ახალი ამბავი
## სიღნაღის სომხობა.

*წყარო: გაზეთი „შრომა“, 1918 წ., 31 დეკემბერი, № 113. გვ. 3.*

სიღნაღის სომხობამ მიტინგზე, რომელიც შესდგა 26 დეკემბერს, მოისმინა რა მთელი რიგი უნდდაშნაკელების მთავრობას, რომელმაც იარაღი აიღო მოძმე ქართველ ხალხზე, რომელთანაც ჩვენ ძმურათ გვიცხოვრია საუკუნოების განმავლობაში. ვხედავთ რა დღევანდელ ომში ბრძოლას საქართველოს რევოლიუციონურ დემოკრატიისას რეაქციონურ დაშნაკციუტუნის წინააღმდეგ, უცხადებთ საქართველოს მთავრობას ჩვენ სრულ ნდობას. მზათ ვართ ყველაფერში აღმოუჩინოთ მას შესაფერი დახმარება და მოუწოდებთ სომხის დემოკრატიას არ გაყვეს დაშნაკციუტუნის ავანტიურას, ანაკისტების[1] წარმომადგენელი მ. ბარხურდარიანი. სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენელი გ. გოიაიევი.

# საერთაშორისო კონფერენციისთვის

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 1918 წ., 31 ქრისტეშობისთვე [დეკემბერი], № 253, გვ. 2.*

მთავრობამ შეადგინა კიდეც საზავო დელეგაცია, რომელიც ამ დღეებში ინგლისური ხომალდით პარიზისკენ აპირობს გამგზავრებას. გაზეთებში ცნობა იყო, რომ საერთაშორისო კონგრესი საფრანგეთის დედაქალაქში უნდა შესდგეს მომავალ გაზაფხულსა ან ზაფხულში. ასეა თუ ისე ყოველს შემთხვევაში ჩვენს დიპლომატებს დრო და მოცალება ექნებათ რომ დაახლოებით გაეცნონ ევროპას, როგორც ის არის დიდი ომის შემდეგ.

არ გვგონია, რომ ამ მოგზაურობას პარტიე დე პლაისირ[2] ის ხასიათი ექმნეს ბ. ჩხეიძისა და ბ. წერეთლისთვის. პირიქით, საფიქრებელია, რომ ეს უფრო მძიმე პატრიოტული ვალდებულების შესრულება იქნება ვიდრე სიამოვნება. დღეს მეტის მეტად გაძნელებულია დასავლეთ ევროპაში მოგზაურობა. თითქმის საბა სულხანისებური დაბრკოლებების დაძლევა მოუხდებათ ჩვენს დესპანებს. თან უნდა წაიღონ ყველა საჭირო საბუთები, საგზალი, ფული, რადგან შემდეგ შეუძლებელი იქნება ცნობების მიღება და მოწოდება. ევროპამ თითქო რა[მ]დენიმე საუკუნით უკან დაიხია. მოშლილია და განადგურებული საერთაშორისო კავშირები, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის ტეხნიკამ შექმნა: საფოსტო, სატელეგრაფო, სარკინისგზო და სანაოსნო. დაირღვა არა მარტო ეგრეთ წოდებული მეორე ინტერნაციონალი, რომელსაც ეროვნული ზღუდეები უნდა მოესპო და ახალი კოსმოპოლიტური ტიპი შეექმნა, არამედ – თვით უბრალო კულტურული ურთიერთობა ევროპიელ ერებს შორის.

ეს ალბათ იმით აიხსნება რომ დიდმა ომმა შეარყია საფუძველი ევროპიული კულტურისა. ალაგ-ალაგ გაჩაღებულია სოციალური რევოლუცია, ალაგ-ალაგ ეროვნული ომი. წარმოება და მეურნეობა განადგურებულია, აღებმიცემობა ფრთაშეკვეცილი, მაწარმოებელი შრომა მოდუნებული. ხალხი გაბოროტებულია ცხოვრების გაძვირებისა, სურსათის უქონლობისა, ეპიდემიური სნეულების მიერ. ჯარები ნაწილ-ნაწილ ბრუნდებიან ბრძოლის ველიდან. მაგრამ არც გამარჯვებულები, არც დამარცხებულები არ უნდა გრძნობდნენ სიხარულს. თითქო დამარცხებულია მთელი ევროპა, ყველაფერს სამგლოვიარო თალხის ფერი ლეჩაქი აქვს გადაფარებული. უცხოეთიდან ახლად ჩამოსულები ამბობენ, რომ საქართველოში მეტი მოძრაობა და სიცოცხლის დუღილია ვიდრე სადმე ევროპაში და დღევანდელი თბილისი უფრო კულტურული ქალაქის შთაბეჭდილებას ახდენს, ვიდრე დღევანდელი ვენა ან ბერლინი.

ევროპაში დღეს ხდება ცვლილება, რომლის მსგავსი კაცობრიობას შეიძლება არც კი განეცადოს ხალხთა გადასახლებისა და ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგ. ჩვენ არ შეგვიძლია ამ ცვლილების გაზომვა და დაფასება, რადგან ძლიერ ახლო ვდგევართ მასთან: ამას მხოლოდ მომავალი თაობა თუ შესძლებს. ჩვენი აზროვნება ტრადიციულ ფორმებშია მოქცეული და ჩვენ არ გაგვაჩნია მცნებები ახალ მოვლენების გამოსახატად. ის რასაც ჩვენ რუსულ ან გერმანულ ბოლშევიზმს ვუწოდებთ, ნამდვილად სრულიად მოულოდნელი და განუმეორებელი კულტურული

---

1 შეცდომაა. უნდა იყოს ანარქისტების. [რედ].

2 პარტიე დე პლაისირ (ფრანგ.) – დროის გატარება, სიამოვნების წვეულება [რედ.].

სახეა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ტრადიციულ მეცნიერულ სოციალიზმთან. და დღევანდელი მოსკოველი ან ბერლინელი სოციალისტი მინისტრები ისე ჰგვანან მარქს[ს]ა და მის პირველ მოწაფეებს, როგორც საშუალო საუკუნის პაპები ან საეკლესიო მამები ქრისტესა და მის პირველ მოციქულებს ჰგვანდნენ.

მართლაც რუსეთისა და გერმანიის მაგალითმა კიდეც დაგვანახა, რომ სოციალისტების გაბატონება სრულიათაც არ ნიშნავს სოციალიზმის დამყარებას ამ ცნების პირვანდელი მნიშვნელობით. კაპიტალის ავტორი უეჭველია დიდათ განცვიფრებული იქნებოდა, თავისი სამშობლო რომ ენახა „სოციალისტური გადატრიალების მეორე დღეს“. თანამედროვე გერმანია როგორღაც არ უნდა ჰხატავდეს არც ბებელის მიერ დახატულ პოეტურ სურათს, ხდება რაღაც სრულიად შეუსაბამო და გაუგებარი. ცხადია მხოლოდ რომ კაპიტალიზმი ნადგურდება გერმანიაში. მაგრამ რა წესწყობილება მყარდება მის ადგილზე?

[...]

მოკავშირეები ფაქტიურად ომს აწარმოებენ ბოლშევიკური რუსეთის წინააღმდეგ. ეს არის ომი კრედიტორისა, ჭირვეული მოვალის წინააღმდეგ. მაგრამ ეს არის აგრეთვე რეაქციული და რევოლუციური ძალების შეჯახება. ამიტომ დიდი წინასწარმეტყველური ნიჭი არ არის საჭიროების საგრძნობლად, თუ ვინ უნდა გაიმარჯვოს ამ დიდს ბრძოლაში.

[...]

ცხადია, რომ გადაჭარბებული იმედები არ უნდა დავამყაროთ ევროპაში მიმავალ დესპანებზე. არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ საქართველოს ბედი დასავლეთ ევროპაში „იჭედება“ და ყველაფერი რაც ჩვენს საზღვრებსა და წესწყობილებას შეეხება დიდი სახელმწიფოების კონგრესზე გადასწყდება. ეს წარმოდგენა ძლიერ გავრცელებულია და როგორც ავღნიშნეთ, იმით აიხსნება, რომ ჯერ არ გამოვსულვართ ტრადიციული ციებისაგან. ჩვენ, ვიცით რომ წინათ იყო ექვსი დიდი სახელმწიფოს კონცერტი. ეს კონცერტი არსებითად საერთაშორისო უფლების სუბიექტიც იყო და აღმასრულებელი ძალაც. დანარჩენი სახელმწიფოები მხოლოდ პაიკები იყვნენ ამ დიდი პოლიტიკური სინდიკატის ხელში. პატარა ერების ბედი მართლაც ამ სინდიკატის [... ტექსტი არ იკითხება] მიხედვით იბეჭდებოდა და გვგონია, რომ ეს მუდამ ასე იქნება.

ნამდვილად კი დღესაც ეს ასე აღარ არის. დღეს ევროპაში არაფერი იჭედება. პირიქით ყველაფერი იშლება. ექვსი სახელმწიფო კონცერტს სამი მონაწილე – რუსეთი, გერმანია და ავსტრია-უნგრეთი გამოეცალა. ფაქტიურად აღარც იტალია ასრულებს დიდი სახელმწიფოს როლს.

[...]

ასეთ პირობებში დიდათ საეჭვოა რომ ახლო მომავალში მოწვეულ იქმნას ნამდვილი საერთაშორისო კონფერე[ნ]ცია და მან რეალურ რეზულტატებს მიაღწიოს. ჯერ კიდევ ბრძოლა გრძელდება არა მარტო საქართველოსა და სომხეთის საზღვარზე, არამედ სხვაგანაც დედამიწის ზურგზე, ხოლო როცა იმპერიალისტური და რევოლუციური ომები მართლაც დამთავრდება, მაშინ შეიძლება საჭირო აღარ იქმნეს ტრადიციული ევროპული კონფერენცია. დღეს ჩვენმა რესპუბლიკამ, რასაკვირველია, ანგარიში უნდა გაუწიოს და შეძლებისამებრ გამოიყენოს კიდევ საგარეო ძალები. მაგრამ ამასთან ერთად არ უნდა დავივიწყოთ, რომ მთავარი ფაქტი, რომელიც ჩვენს ბედისწერას სა...[ტექსტი არ იკითხება], არის არა საერთაშორისო ნებისყოფა, არამედ ჩვენი საკუთარი ეროვნული ენერგიაა.

# 1919 წელი

## უკანასკნელი ცნობები

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 1 იანვარი, 1919 წ., № 1, გვ. 1.*

საზავო კონფერენციაზე ნეიტრალ სახელმწიფოებს არ დაუშვებენ. იგინი მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ხალხთა ლიგის საკითხის გარჩევისას საზავო ხელშეკრულობის შემდეგ.

## მ. ჯანაშვილი
## მსოფლიო კონფერენციისთვის

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 1 იანვარი, 1919 წ., № 1, გვ. 2.*

მე რომ ვამხილებდი გრენს, აბაზას და სხვა და სხვა მოსყიდულ არამოსყიდულ სწავლულებს რომ ვამტკიცებდი, ესა და ეს კაცები არა სათანადოთ აშუქებენ-თქო საქართველო-სომხეთის წარსულს, შეცდომაში შეჰყავთ ორივე ერის საზოგადოება მათ მიწა-წყლის და მთელის კულტურის შესახებ, აზვიადებენ, როდესაც ამბობენ, მტკვარი, ჭოროხი და ალაზანი ვითომ ყოფილიყვნენ სომხეთის მდინარეები, ხოლო დარიალი სომხეთში შესასვლელი კარები, ვიმეორებ, ამას რომ ვააშკარავებდი და მიდგომილებით მწერლებს ვამხილებდი, ხოლო თვით საზოგადოებასაც ვაფრთიხლებდი, რა ვნება შეეძლო მიეყენებინა ერთისა და მეორე ერისთვის ამისთანა ცალმხრივ მწერლობას, მაშინ ყველანი სდუმდნენ, ან-და ჩემ წინააღმდეგვე ილაშქრებდნენ, ზოგი კიდეც მლანძღავდა, როგორ გაბედეო, რომ ჩვენს საჩინო მეცნიერებს ეკამათებიო, ამხილებო, ზოგნი-კი ჩემს შეკითხვაზე: „რატომ ხმას არ იღებთ?“ მეუბნებოდნენ: „ჩვენ სპეციალისტები არა ვართო.“ სწორეთ ამისთანების საგულისხმოდ ჩემს ერთ-ერთ საპოლემიკო წერილში ჩავურთე ფრაზა: „ქართლის კამეჩებმაც-კი იციან, რომ მტკვარი საქართველოს მდინარეა და არა სომხეთისა, როგორც სწერენ აბაზა და მისნი მიმყოლნი მეთქი. მე დარწმუნებული ვარ, თუ ფხიზლად ყოფილიყო ქართველი საზოგადოება, თუ დროით ქართველ სახელოვან მეცნიერებს საჯაროთ დაემტკიცებინათ უმართლობა ზემორე ხსენებულ მწერლების ნაშრომისა, ძალიან შესაძლებელია, რომ დღეს უფრო მომზადებული შეხვედროდით სომხეთ-საქართველოს ომს და თვით ომსაც სხვა ხასიათი მ[ი]ელო.

ხსენებულ დარგის „მეცნიერებმა“ სომხებს გაუთქვიფეს თავში ცრუ აზრები მათ ცხრაასის წლის წინ მოსპობილ სამეფოს სიფართოვისა, ვითომ მათ უაღმატებულეს კულტურის გავლენისა ქართულ კულტურაზე, ჩვენებურ მწერლების სიჩუმემ, მეორეს მხრივ, უფრორე დაარწმუნა მეზობელი ხალხი მათ შესახებ ნაამბობის ვითომ სიმართლეში, და აგერ ახლა გამოდიან და მოითხოვენ „თავისას“, „ქართლის გარეშე მდებარე მიწებს“, ჯერ ისევ ჩემი კარგი მეგობარი ა. ა. ქალ[1]., აწ უკვე განსვენებული, დარწმუნებით მეუბნებოდა თუ ოდესმე თავისუფლება გვეღირსა სომხებსა და ქართველებს, მტკვარი იქნებაო სომხეთ-საქართველოს განუყოფელ მიჯნად. ორიოდე დღის წინად ერთი სომეხი მიმტკიცებდა, რომ ლორე, ალავერდი და მიდამო უნდა დაეთმოსო სომხეთს. ჩემს შეკითხვაზე: კაცო, ეგ ალავერდის მადანი ხომ ერეკლემ აღმოაჩინა და გამართა, მანდ რაღა ხელი აქვს-თქო სომხეთს, მან ხმა აღარ ამოიღო. მქონდა საუბარი სომხის სხვა მეცნიერთანაც, რომელიც, იმოწმებდა რა ცნობილ პროფესორს, ამტკიცებდა, კლარჯეთში ქართველები რომ მივიდნენ მერვე საუკუნეში, იქ დახვდათ აყვავებული მონასტრული ცხოვრება. ჩემი განმარტება, რომ მეექვსე საუკუნეში საქართველოში დაწესდა ცამეტი მონასტერი ასურეთით მოსულ მამებისაგან და შიო მღვიმელის მოწაფე მიქელი რომ წავიდა კლარჯეთში, იქ ოპიზის მონასტერი უკვე არსებობდა-თქო, ჭკუაში არ დაუჯდა და ისევ იმეორებდა ხსენებულ პროფესორის ნაწერებიდამ გაზეპირებულ სიტყვებს.

ყველა ამას მე ვიგონებ და ვწერ არა ვისიმე საკამათოდ, არამედ იმისთვის, რომ ახლა მაინც, როდესაც ჩვენისავე დაუდევრობით მიწებს გვე[და]ვებიან, ვიცოდეთ, რა საბუთები იქნებიან წამოყენებულნი მომავალ მსოფლიო კონფერენციაზე და ჩვენც დავემზადოთ ჩვენის საბუთებით.

ვფიქრობ, ძალიან კარგი იქნება, ეს საბუთები მთავრობამ ეხლავე შეიმუშაოს პროფეს.

1 ვერ დავადგინეთ, თუ ვინ იგულისხმება. [რედ].

ჯავახიშვილის მოთავეობით, და არა თუ მარტო ეს ისტორიული საბუთები, არამედ ყოველი დანაშთენებიც და აქვე, საქართველოშივე, გამორკვეულ დირექტივებით გავისტუმროთ ევროპას ჩვენი დელეგატები. თუ მართალი ყოფილა თქმულობა: „შვიდჯერ გაზომე და ერთხელ გამოსჭერ“, ესეთი გაზომა საჭიროა სწორეთ დღეს.

# ქრონიკა

*წყარო: სამხედრო ჟურნალი „რესპუბლიკის ჯარი“, 1919 წ., № 6, გვ. 16.*

ისიდორე რამიშვილი.

ლონდონიდან მთავრობას და ადგილობრივ ინგლისელებს მოუვიდათ დეპეშა ჩვენი დელეგატის ზ. ავალიშვილისა: ინგლისი ფაქტიურად აღიარებს საქართველოს დამოუკიდებლობას, ფორმალურად მერე დაადასტურებენ ხოლო რუსეთის გაერთიანება საქართველოს სრულიად არ შეეხებაო. ჰკითხულობს აგრეთვე – როდის წამოვა ჩვენი დელეგაციაო.

***

უარი ეთქვა ადერბაიჯანის მთავრობას იმ საბუთების გადაცემაზე, რომელნიც ზაქათალის ოლქს შეეხებიან.

# ქრონიკა

*წყარო: სამხედრო ჟურნალი „რესპუბლიკის ჯარი“, 1919 წ., № 7, გვ. 15.*

9 იანვრის ღამით, როგორც მოხსენებული გვქონდა, თფილისიდან გაემგზავრა ჩვენი დელეგაცია.

სადგურზე დელეგაცია გააცილა დიდძალმა საზოგადოებამ. სადგურის ბაქანზე ჩამწკრივებული იყო ჯარის ნაწილი ორკესტრით. ჯარისკაცებს სიტყვით მიმართა დელეგაციის თავმჯდომარე[მ] კარლო ჩხეიძემ.

კ. ჩხეიძემ თავის სიტყვაში განმარტა, თუ რისთვის მიდის დელეგაცია დასავლეთ ევროპაში, რა მიზანი აქვს ამ წასვლას.

ჩვენ მივდივართ, რომ ვაუწყოთ დასავლეთ ევროპას საქართველოს დამოუკიდებლათ არსებობა, ვაუწყოთ ქვეყანას, რომ საქართველოს დემოკრატიას ძალა შესწევს საკუთარის ძალღონით უპატრონოს თავს, რომ ეს დემოკრატია არავის თავს არ დააჩაგრვინებს და სხ., მაგრამ, თუ თვით საქართველოში არ იწარმოებს ისეთივე მწყობრი მუშაობა, როგორიც დღემდე სწარმოებდა, უკეთუ ძველებურათ თავგამოდებით არ იქნა დაცული საქართველოს დამოუკიდებლობა, როგორც გარეშე, ისე შინაურ მტრებისაგან, ჩვენი დელეგაციის მუშაობა ფუჭად ჩაივლის, არავინ ყურადღებას არ მოგვაქცევსო.

# სომხეთ-საქართველოს კონფერენცია დროებითი ზავის შესახებ.[1]

*წყარო: სამხედრო ჟურნალი „რესპუბლიკის ჯარი“, 1919 წ., № 7, გვ. 14.*

10 იანვრიდან თფილისში დაიწყო სომხეთ-საქართველოს კონფერენციის მუშაობა, რომელიც ეხებოდა 1918 წლის 31 დეკემბრის 12 საათზე შეკრულ დროებით ზავს. კონფერენციას მოუნდა ოთხი სხდომა. კონფერენციას დაესწრო ინგლისის და საფრანგეთის წარმომადგენელი – სტიუარტი[2], დურუა და სხ.

---

1 თითქმის ანალოგიური შინაარსის სტატია („სომხეთ-საქართველოს კონფერენცია“) დაიბეჭდა გაზეთებში: „საქართველოს რესპუბლიკა“ (1919 წ., 16 იანვარი, გვ. 2); „ერთობა“, 1919 წ., 26 იანვარი, № 20, გვ. 2 [რედ.].

2 ა. ჩაჩხიანის მიხედვით [ბრძოლა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის 1918 – 1919 წლებში (სომხეთ-საქართველოს ომი), თბ., 2006] სამშვიდობო კონფერენციის თავმჯდომარე იყო ბრიტანელი ოფიცერი, ბაქოში დისლოცირებული 39-ე ქვეითი ბრიგადის მე-2 სამთო-მსროლელი ბატალიონის მეთაური, პოლკოვნიკი რობერტ ნეილ სტიუარტი (ლობერტ □ეილ შტეწარტ) [რედ.].

სომხეთის დელეგაციამ მოითხოვა, რომ საქართველოს ჯარებმა უნდა დაიხიონ იმ ხაზამდე, სადაც ისინი იდგენ დროებითი ზავზე ხელის მოწერის დროს, საქართველოს დელეგაციამ განაცხადა, რომ საქართველოს ჯარები უნდა დარჩენ იმ პოზიციებზე, რომელზეც ისინი იდგენ 31 დეკემბერს 12 საათზე, სამხედრო მოქმედების შეწყვეტის დროს. კამათის შემდეგ შეთანხმების სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ეთანხმებიან საქართველოს დელეგაციის თვალსაზრისს. ამგვარათვე გადასწყდა საკითხი. ამის წინააღმდეგ სომხებმა წერილობითი პროტესტი განაცხადეს.

მეორე საკითხი შეეხებოდა ნეიტრალურ ზონაში ადმინისტრაციის მოწყობას. სომხებმა წინადადება შეიტანეს: მოეწყოს ადმინისტრაცია სამი პირისაგან: ერთი უნდა იყოს საქართველოს მთავრობის, მეორე – სომხეთის და მესამე ადგილობრივ მცხოვრებლებიდან არჩეული, და მთელი კოლეგია შეთანხმების სახელმწიფოთა კონტროლს უნდა ექვემდებარებოდესო. საქართველოს დელეგაციის წინადადება იყო: თითო წარმომადგენელი სომხეთისა და საქართველოსი და მათ შორის გამოწვეულ სადავო საკითხებს უნდა სწყვეტდეს შეთანხმების სახელმწიფოთა წარმომადგენელნი. კონფერენციამ ეს საკითხიც ასე გადასწყვიტა.

მესამე საკითხი ეხებოდა რკინიგზის ნეიტრალურ ზონაზე. სომხებმა მოითხოვეს აქ შერეული კომისიის დანიშვნა. საქართველოს დელეგაციამ მოითხოვა, რომ რკინის გზა გადაეცეს რესპუბლიკის გზათა მინისტრს. შეთანხმების სახელმწიფოთა წარმომადგენლების დასტურით კონფერენციამ ეს წინადადება მიიღო. სომხებმა ამის შესახებ პროტესტი განაცხადეს. კონფერენციის თავმჯდომარემ, ინგლისელმა პოლკოვნიკმა სტიუარტმა სთხოვა საქართველოს დელეგაციას, რომ ყველა დადგენილება მალე განხორციელდეს. სომხები მოითხოვდენ ახალქალაქის მაზრის ადმინისტრაციის საკითხის დასმას, მაგრამ საქართველოს დელეგაციამ პროტესტი განაცხადა და სთქვა, რომ ეს შინაურ საქმეებში ჩარევა არის. შეთანხმების სახელმწიფოთა წარმომადგენლები ამაზე დათანხმდენ. საკითხი სავსებით მოიხსნა.

სამხედრო ტყვეების შესახებ სომხებმა მოითხოვეს საქართველოში ომის დროს დაჭერილ სომხების განთავისუფლება. საქართველოს დელეგაციამ განაცხდა, რომ ეს საქართველოს შინაურ საქმეში ჩარევას მოასწავებსო. შეთანხმების სახელმწიფოთა წარმომადგენლები ამაზე დასთანხმდენ და საკითხი სრულიად მოიხსნა.

გარნიზონის რიცხვის განსაზღვრაზე შეთანხმება მოხდა. ამ საკითხის გარჩევის დროს საქართველოს წარმომადგენლებმა პოლ[კ]ოვნიკ სტიუარტს ჰკითხეს: გ[ა]რანტიას იძლევით, რომ სომხეთი კიდევ არ დაგვესხმის თავსო? პოლკ. სტიუარმა უპასუხა: შეთანხმების სახელმწიფოთა მხედრობა ამ მოთხოვნილ გარანტიას იძლევა, რადგან სომხეთის მხრივ ხელახალი თავდასხმა ომის მიზეზი იქნება არა სომხეთსა და საქართველოს შორის, არამედ სომხეთსა და შეთანხმების სახელმწიფოთა შორის.

## ჩვენი დელეგაციის გამგზავრება

*წყარო: გაზეთი „ერთობა“, 10 იანვარი 1919 წ., № 6, გვ. 2; 11 იანვარი, № 7. გვ. 2.*

9 იანვარს ღამით საქართველოს დელეგაცია ბათუმით ლონდონს გაემგზავრა.

9 იანვარს ღამით, როგორც მოხსენებული გვქონდა, თფილისიდან ევროპაში გაემგზავრა ჩვენი დელეგაცია[1].

სადგურზე დელეგაცია გააცილა დიდძალმა საზოგადოებამ. სადგურის ბაქანზე ჩამწკრივებული იყო ჯარის ნაწილი ორკესტრით. ჯარისკაცებს სიტყვით მიმართა დელეგაციის თავჯდომარემ კარლო ჩხეიძემ.

კ. ჩხეიძემ თავის სიტყვაში განმარტა, თუ რისთვის მიდის დელეგაცია დასავლეთ ევროპაში, რა მიზანი აქვს ამ წასვლას.

ჩვენ მივდივართ, რომ ვაუწყოთ დასავლეთ ევროპას საქართველოს დამოუკიდებელი არსებობა, ვაუწყოთ ქვეყანას, რომ საქართველოს დემოკრატიას ძალა შესწევს საკუთარის ძალღონით უპატრონოს თავს, რომ ეს დემოკრატია არავის თავს არ დააჩაგვრინებს და სხ. მაგრამ თუ თვით საქართველოში არ იწარმოებს ისეთივე მწყობრი მუშაობა, როგორც დღემდე სწარმოებდა, უკეთუ ძველებურათ თავგამოდებით არ იქნა დაცული საქართველოს დამოუკიდებლობა, როგორც გარეშე,

1 სტატიის პირველი წინადადება განსხვავებულადაა მოცემული გაზეთის მითითებულ ნომერში [რედ.].

ისე შინაურ მტრებისაგან, ჩვენი დელეგაციის მუშაობა ფუჭად ჩაივლის, არავინ ყურადღებას არ მოგვაქცევსო.

თქვენ, საქართველოს ჯარი და სახალხო გვარდია, უდექით მკერდით საქართველოს მტრებს, იცავდით ჩვენს დემოკრატიულ რესპუბლიკას და თუ თქვენი მუშაობა შემდეგშიაც ისეთივე იქნება, დელეგაციის მუშაობაც ნაყოფიერი დარჩება, საქართველოს დემოკრატიაც გამარჯვებული გამოვაო.

ორკესტრმა დაუკრა ქართული ჰიმნი, ჯარისკაცებმა და დამსწრე საზოგადოებამ „გაუმარჯოს" ძახილით გააცილა დელეგაციაც. შუაღამის სწორედ 11 ს. 30 წ. მატარებელი დაიძრა და ჩვენი დელეგაცია დასავლეთ ევროპისაკენ გააქანა.

# ახალი ამბები

*წყარო: გაზეთი „ერთობა", 14 იანვარი, 1919 წ., № 9, გვ. 2.*

**ბათომი, 11 იანვარი... ჩამოვიდა პარიზში მიმავალი ჩვენი დელეგაცია.**

# ბათომი.

*წყარო: გაზეთი „საქართველო", 14 იანვარი, 1919 წ., № 9, გვ. 2.*

ჩამოვიდა პარიზში კონფერენციაზე მიმავალი ჩვენი დელეგაცია. ჩამოვიდა აგრეთვე რამოდენიმე ჩვენი ინტელიგენტი და მუსულმანთა განმათავისუფლებელ კომიტეტის წევრები. მათი ჩამოსვლით აქაური საზოგადოებრივი ცხოვრება ცოტა გამოცოცხლდა. ქართველობა ნაკლებ მოდის. გიმნაზიების და საზოგადოდ სასწავლებლების უქონლობა ხელს უშლის მათ დაბრუნებას. იმავე მიზეზით ზოგი ჩამოსული უკან ბრუნდება, ეროვნული საბჭო ეხლავე შეუდგა ამ საკითხის მოგვარებას. საჭიროა განათლების სამინისტრომ სასწრაფო დახმარება აღმოუჩინოს, თავი მოიყარა მრავალმა რუსეთიდგან ჩამოსულმა ტყვედ ნამყოფმა და ლტოლვილმა სომხებმა. ინგლისელები დახმარებას უწევენ მათ: აძლევენ სამუშაოს, ბინას, საკვ[ე]ბს და ხუთს მანეთს ხელფასს. საოლქო საბჭოს მიერ შექმნილი მილიცია ძალიან სუსტობს. ინგლისელები უკმაყოფილონი არიან. თუ ამ მოკლე ხანში მილიცია არ გამოკეთდა, თვითონ აპირებენ მის გაწვრთანს და თავიანთ მილიციაში არევას.

### ი. ხანანაშვილი

# საქართველო და საერთაშორისო კონფერენცია

*წყარო: გაზეთი „საქართველო", 15 იანვარი, 1919 წ., № 10, გვ. 3.*

1919 წელი მეტად საინტერესო და საგულისხმო ცვლილებებს უქადის საერთაშორისო ცხოვრებას. იყო მომენტები, როდესაც მეტად ძნელი იყო გათვალისწინება იმის, თუ როგორ ჩამოყალიბდებოდა მომავალი საერთაშორისო ურთიერთობა. მაგრამ როგორი სიტუაციაც არ უნდა შეიქმნას, ერთი მოვლენის დაფარვა და გადაუჭრელად დატოვება ყოვლად შეუძლებელი გახდება: ეს არის ეროვნული მოძრაობის უმაღლესად გაძლიერება. ჩვენ ვხედავთ, რომ კარზე მომდგარ საერთაშორისო საზავო კონფერენციაზე ფართო მასშტაბით დაისმება ეს საკითხი და მაღალი სამსჯავრო, თუ ის მართლაც პირუთვნელ და საკაცობრიო საქმისათვის იკრიბება, შესაფერ განაჩენს გამოიტანს ამ სტიქიურ მოძრაობაზეც.

ცხადია, კონფერენციაზე არა ნაკლებ გადამწყვეტი მნიშვნელობის ბრძოლები გაიმართება ერთა შორის, ვინემ იყო ვერდენთან, მარნაზე ან კარპატებში და ამიტომ ყოველი სიცოცხლის ღირსი ერი და სახელმწიფო თავითფეხამდე შეიარაღებული წარსდგება საერთაშორისო ტრიბუნალის წინაშე და გადაუშლის მას თავის წარსულს, აწმყო მდგომარეობას და აჩვენებს მას თავის ეროვნულ უნარსა და ინტერესებს. საქართველოს დელეგაცია გაემგზავრა კიდეც და ჩვენ არ ვიცით თუმცა, რით წავიდა, რა წაიღო თან, მტკიცე გარდაწყვეტილება ქართველი

ერისა თუ მერყევი სოციალისტური პოლიტიკა, მაგრამ ის კი ვიცით, რომ ჩვენს დელეგატებს დიდ ბრძოლას გაუმართავენ ჩვენი ყოფილი ბატონები, ჩვენი მეზობლები და ყველა ის სახელმწიფოები, რომელნიც ასე თუ ისე დაინტერესებულნი არიან ჩვენი ქვეყნით. ჯერ არ ვიცით რომელი რუსეთი წარსდგება ამ ტრიბუნალის წინაშე, მაგრამ ცხადია, უპირველესად რუსეთი გაგვიმართავს ბრძოლას და ჩვენს იძულებული ვიქნებით ეს ბრძოლა მივიღოთ. ეს იქნება ღენერალური ბრძოლა. ცხადია, რუსეთი გადაჭრით მოითხოვს ჩვენი სუვერენობის გაუქმებას, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მას დაუპირდაპირდება ქართველი ერის თავგანწირული ნებისყოფა სუვერენობის შენარჩუნებისაკენ მიმართული და ამ ნებისყოფას გაუწევს ანგარიშს საერთაშორისო სამსჯავრო, რომელიც იძულებული იქნება დააკანონოს არსებული ფაქტი.

მაგრამ აქედან დაიწყება დიდი ბრძოლა ტერიტორიული საზღვრებისათვის და აქ დაგვეტაკე-ბიან ჩრდილოეთით იგივე რუსეთი, სამხრეთით ოსმალეთი და სომხეთი და აღმოსავლეთით აზერბაიჯანი. ამ შემთხვევაში შეიძლება უფრო ადვილად და უმტკივნეულოდ დასრულდეს დავა რუსეთთანაც და ადერბაიჯანთანაც, ხოლო ოსმალეთი და სომხეთი უეჭველად დიდ პრეტენზიებს წამოაყენებენ პირველი – შავი ზღვის სამხრეთ ნაწილებისათვის აჭარა-ლაზისტანითურთ, ხოლო მეორე – ბორჩალოსა და მესხეთ-ჯავახეთისათვის. რით დასრულდება ეს შეტაკება, ძნელია მისი გათვალისწინება, მაგრამ თუ ევროპა მართლაც დ ა ი ნ ტ ე რ ე ს ე ბ უ ლ ი ა აღმოსავლეთის აღორძინებით, მან მხედველობაში უნდა იქონიოს ის როლი ამ მიზნის მიღწევაში, რომელიც შეუძლია შეასრულოს საქართველომ. ამიტომ საქართველოს ძლიერების კითხვა პირდაპირ დაუკავშირდება აღმოსავლეთის გაკულტუროსნების კითხვას და ამ შემთხვევაში ისტორიულ, ეროვნულ და სტრატეგიულ სახელმწიფოებრივ მოსაზრებათა გარდა საქართველოს სასარგებლოდ ილაპარაკებს საკაცობრიო მიზნები და აჭარაც, ლაზისტანიც და მთელი სამაჰმადიანო საქართველოც თავის ნამდვილ საბუდარს დაუბრუნდება.

ჩვენს დელეგაციას ამ ბრძოლაში მოუნდება დიდი შრომისა და ენერგიის დახარჯვა და რაც მეტს სიმტკიცეს, შეუპოვრობასა და ეროვნულ ინტერესების შეგნებას გამოიჩენს ის, მით უფრო ადრე გადასწყდება საქართველოს ბედი. ევროპა მეტად უკუღმართ ინფორმაციით იკვებებოდა სომხეთისა და საქართველოს შესახებ და ამ უკუღმართობის გამოსწორებისთვის საქართველოს წარმომადგენლებს უთუოდ მზად ექნებათ ყველა საჭირო მასალები და ფაქტები. მაგრამ მხედველობაში მისაღებია ის დანიშნულებაც, რომელსაც საქართველოს დააკისრებენ ევროპის სახელმწიფოები, თუ, რასაკვირევლია, საქართველომ დაუმტკიცა მათ, რომ საქართველოს სახელმ-წიფოებრივობის გარეშე, შეუძლებელია ეს ხიდი, გადებული აღმოსავლეთისა და დასავლეთის შორის სანდო იყოს. ყოველ შემთხვევაში ვინ იცის, რომ კიდევ არ გახდება საჭირო დიდი, გადამწყვეტი ეროვნული ბრძოლა სომხეთსა და საქართველოს შორის, რათა კულტუროსანმა კა-ცობრიობამ გაიგოს, თუ სად არის წყარო და ნიშან-წყალი სიცოცხლისა და იმედიანობისა.

და თუ ეს არა, მაშინ საქართველოს სტრატეგიული და ისტორიული საზღვრები უზრუნველ-ყოფილ უნდა იქმნეს.

რაც შეეხება დანარჩენ სახელმწიფოებს, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს ინტერესები არასოდეს არ დაუპირდაპირდება არც ინგლისის, არც ამერიკის, არც საფრანგეთისა, გერმანიის და არც სხვა რომელიმე ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს. აქ საქმის გართულება მოულოდნელია.

ყოველ შემთხვევაში ჩვენ მაინც ფხიზლად უნდა ვადევნოთ თვალყური იმ მოსალოდნელ პოლიტიკურ ცვლილებებს, რომელიც შესაძლებელია მოხდეს საერთაშორისო კონფერენციის გახსნამდე.

## საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის შესახებ.

*წყარო: გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 17 იანვარი, 1919 წ., № 12, გვ. 2.*

იანვრის 15 ინგლისის მისიამ შემდეგი ცნობა გადასცა საქართველოს რესპუბლიკის საგა-რეო საქმეთა მინისტრს: ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრისაგან მიღებულია დეპეშა, რომ საქართველოს რესპუბლიკის დელეგატები მიღებულ იქმნებიან ევროპაში. პარიზში მათი მი-ღება-დაბინავება დამოკიდებულია საფრანგეთის მთავრობისაგან. დელეგაციის სამშვიდობო კონგრესზე დაშვებას გადასწყვეტენ მოკავშირენი. ინგლისი თავის მხრით თანაგრძნობით ეპყრო-ბა საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკის არსებობას და დახმარებას აღმოუჩენს, რომ მო-კავშირეებმაც იცნან მისი დამოუკიდებლობა.

## საქართველოს საზავო დელეგაცია ბათუმში

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 18 იანვარი, 1919 წ., № 13, გვ. 2.*

11 იანვარს ბათუმის ქართული ეროვნულ საბჭოს და სამაჰმადიანო საქარ. განმათავისუფლებელმა კომიტეტმა ადგილობრივ საკრებულო დარბაზში ვახშამი გაუმართა ინგლისის წარმომადგენელთ და პარიზში მიმავალ საქართველოს დელეგაციას. სიტყვები წარმოსთქვეს: დელეგაციის თავმჯდომარემ ნ. ჩხეიძემ, ნ. ნიკოლაძემ, მამედ-ბეგ აბაშიძემ, ზია-ბეგ აბაშიძემ, ქალაქის თავმა რ. ჯავახიშვილმა, გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოს“ რედაქტორმა თასიმ-ბეგ ხიმშიაშვილმა, პოლკ. გედევანიშვილმა, გენ. ერისთავმა და ექიმმა ღამბაშიძემ. ინგლისელებიდან პოლკ. ლევესინმა და აგრეთვე ბელევმა. ორთავემ ის აზრი გამოსთქვეს, რომ საზავო კონფერენციაზე მიმავალ საქარ. დემოკ. რესპუბ. დელეგაციას ყოველ თავის კანონიერ ეროვნულ მოთხოვნილებაში დიდი ბრიტანიის დელეგაცია მხარს დაუჭერსო.

## უკანასკნელი ცნობები

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 18 იანვარი, 1919 წ., № 13, გვ. 2.*

კონფერენციაზე საქართველოს საზღვრებიც დამტკიცდა.

## საქართველო-სომხეთის კონფერენციის დადგენილება საქართველოს საზღვრებისთვის

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 18 იანვარი, 1919 წ., № 13, გვ. 2.*

საქართველოს რესპუბლიკის ჯარების მთავარსარდლის ღენ.-მაიორ გედევანიშვილის, სასომხეთის რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს წარმომადგენლის ღენ.-მაიორ ყორგანოვის, საქართველოს ლაშქრის პოლკოვნიკის ჯაფარიძის მიერ შემდგარ კომისიამ თანახმად სამხრეთ-საქართველოს შორის მომხდარ კონფლიქტის გამოსარკვევად შემდგარ კონფერენციის თავმჯ. ინგლისის ლაშქრის პოლკ. სტიუ[ა]რტის საბოლოო გადაწყვეტილებისა – დაადგინა, რომ ბორჩალოს მაზრაში სადაო ზონის საზღვარი ჩრდილოეთი უნდა გახდეს იმ პუნქტების შემაერთებელ ხაზად, რომელიც ეჭირა საქართველოს ლაშქრის ნაწილებს 31 ქრისტეშობისთვეს ახ. სტ. 1918 წ. 24 საათზე, ბორჩალოს მაზრის სადავო ზონისა ჩრდილოეთ საზღვრად სოფლების საზოგადოებათა მიერ მიწის დამუშავებით გამოწვეულ ადგილის მიმართულების შეცვლამდის, ჩაითვალოს: ლელლი-დაღის მთა, პირდაპირი ხაზი უღელ-ტეხილზე ს. არლახჩაიმდის, პირდაპირი ხაზი 798 სიმაღლემდის; შემდეგ კულულაშის სიმაღლემდის (855,5) სიმაღ. 676, სოფ. საათი, სიმაღლე 739, სოფ. ჯანდარი, სიმაღ. 735, სიმაღ. 694, სოფ. ახკერპი, პირდაპირი ხაზი სოფ. ოფრეთი სიმაღ. 492, ხოჯორნის ახლოს სოფ. ბარდაზორის ეკლესიის ნანგრევები, - სოფ. სადახლო, სადგ. სადახლო, სადახლოს ჩრდილოეთით მთის წვერი 1554, - შემდეგ 2660 სიმაღლემდის. (მთა ტანა დაღი). შემდეგ წყაროს წარწერამდის, რომელიც ხაჩაყალას მთის პალუთლი-ბაში წარწერის ჩრდილოეთით არის.

სოფლები ირღანჩაი, საათი, ჯანდარი, ახკერპი, ოფრე[თ]ი, ხოჯორნი[,] ბარდაზორი, სადახლო – რჩებიან ჩრდილოეთით ნაჩვენებ ხაზში.

ამავე კომისიის წინადადებით დაადგინეს შემდეგი გარნიზონი საქართველოს და სომხეთის ლაშქრების ნაწილებისა ბორჩალოს მაზრის სამხრეთ და ჩრდილოეთ ნაწილებში:

ა) ქართული გარნიზონი ბორჩალოს მაზრის ჩრდილოეთ ნაწილში:

1. სანაპირო რაზმის ერთეულები საერთო შემადგენლობით არ აღემატება 200 კაცს და უჭირავს საგუშაგოები ახალქალაქის მაზრის საზღვრიდან სოფ. ოფრეთამდე.

2. სადგ. აშაგა-სერალთან ბატალიონი სამი გუნდისაგან შემდგარი საერთო რიცხვით არა უმეტეს 360 ჯ.-კაცისა, მათ რიცხვშია უმწყობრო ჯ.-კაცები, ტყვიისმფრქვე[ვ]ელის მცირე გუნდი 4 ტყვიისმფრქვეველით არა უმეტეს 50 კაცისა; ორი ზარბაზანი შესაფერისი მომსახურეებით.

ბათალიონს შეუძლია წარგზავნოს ზერგები სოფ. ოფრეთში და სადახლოში თითო ზერგში არა უმეტეს 60 კაცისა.

3. რაზმი მოდარაჯე ერთეულის საერთო რიცხვით არა უმეტეს 50 კაცის წყაროს წარწერიდან, რომელიც იმყოფება კლდის ხაჩაკალას წარწერის ჩრდილოეთით მდ. ხრამის მტკვრის შესართავამდის.

ბ) სომხეთის გარნიზონები ბორჩალოს მაზრის სამხრეთ ნაწილში:

1. გუნდი არა უმეტეს 125 კაცისა, მათ რიცხვშია უმწყობროებიც, სადგ. კალაგერანისა და ს. ლიხის რაიონში.

2. ჯალალ-ოღლის, გერგერის, და ნიკოლაევკას რაიონში. ბათალიონი სამი გუნდის შემადგენლობით საერთო რიცხვით არა უმეტეს 360 კაცისა მათ რიცხვშია უმწყობრონიც. ტყვიამფრქვეველი მცირე გუნდი 4 ტყვია-მფრქვეველით და არა უმეტეს 50 კაცისა ორი ზარბაზანი შესაფერ მოსამსახურე პირებით.

3. გუნდი არა უმეტეს 125 ჯარისკაცისა მათ რიცხვში უმწყობრონიც საუფლისწულო ქონების და ნოვოპოკროვკის რაიონში.

გ) საერთოდ საქართველოს გარნიზონმა ჩრდილოეთ ნაწილში და სომხეთისამ სამხრეთ ნაწილში არ უნდა გადაამეტოს 660 ყოველ ნაწილში ზარბაზნის მოსამსახურე პირების საჭირო შემადგენლობით.

დ) ორივე მხარეს უფლება აქვთ ქვეითა ნაწილები შესაფერისი რიც[ხ]ვის ცხენოსანი ჯა[რ]ისკაცები[თ] შესცვალონ.

## საზავო კონფერენციაზე.

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 19 იანვარი, 1919 წ., № 14, გვ. 3.*

პარიზში მთავარმა სამხედრო საბჭომ დაადგინა, რომ 5 დიდი სახელმწიფოს საზავო კონფერენციაზე ეყოლება ხუთ-ხუთი წარმომადგენელი. ბრაზილიას ეყოლება 3 წარმომადგენლი. ბელგიას, სერბიას, პოლონეთს, ჩეხო-სლოვაკებს, რუმინიას და ჩინეთს ორ-ორი წარმომადგენელი: პორტუგალიას და იმ სახელმწიფოებს, რომელთაც კავშირი შესწყვიტეს გერმანიასთან, თითო-თითო. ყოველ სახელმწიფოს შეუძლია აგრეთვე იყოლიოს მრავალი დელეგატი, მაგრამ ხმის მიცემის ნება არ ექნებათ.

## უკანასკნელი ცნობები
## ინგლისი საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ.

*წყარო: გაზეთი „ერთობა“, 17 იანვარი, 1919 წ., № 12, გვ. 2.*

15 იანვარს ინგლისის მისიამ შეატყობინა საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს, რომ მისიამ დეპეშა მიიღო ინგლისის საგარეო საქ. სამინისტროდან, რომ საქართ. რესპუბლიკის დელეგატებს შეუშვებენ ევროპაშო; რომ მათი მიღება და დაბინავება პარიზში დამოკიდებული იქნება საფრანგეთის მთავრობაზე; რომ კითხვას საერთაშორისო კონგრესზე მათი დაშვების შესახებ გადასწყვეტენ მოკავშირენი და რომ ინგლისი თავის მხრივ სიმპატიით უყურებს დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის დაარსებას და მხარს დაუჭერს იმას, რომ ის ცნობილ იქნეს სახელმწიფოების მიერ.

# საქართველოს პარლამენტი
# 17 ია[ნ]ვრის სხდომა.

*წყარო: გაზეთი „ერთობა“, 19 იანვარი, 1919 წ., № 14, გვ. 2.*

თავმჯდომარეობს ექვ. თაყაიშვილი.

მდივანი კითხულობს დღის წესრიგს, რომელსაც პარლამენტი უცვლელად ღებულობს. სიტყვა ეძლევა საგარეო საქმეთა მინისტრს.

ევ. გეგეჭკორი. მოქალაქენო! მე ავიღე სიტყვა მხოლოდ იმიტომ, რომ გაცნობოთ იმ ტელეგრამის შინაარსი, რომელიც მივიღე კონსტანტინეპოლის ინგლისელების შტაბიდან, რომელიც გადმოცემულია ლონდონიდან. მინისტრი კითხულობს შემდეგ დეპეშას: „საქართველოს გარეშე საქმეთა მინისტრს 5179[1] თარიღით გამოგზავნილ და ჩვენ მიერ 24 დეკემბერს მიღებულ დეპეშის საპასუხოთ გაცნობებთ, რომ თანახმად თხოვნისა, საქართველოს დელეგაციას მიეცემა ყოველნაირი დახმარება კონსტანტინოპოლით საფრანგეთში და ინგლისში გამგზავრებისა. ბრიტანეთის მთავრობას ამავე დროს საჭიროდ მიაჩნია აშკარად გაგებულ იქნას, რომ დელეგაციის მიღება საზრუნავი საგანი გახდება საფრანგეთის მთავრობისა და ისიც, რომ ამ ჟამად არაფერი არ ითქმის იმის შესახებ, თუ რა ადგილი მიენიჭება მას საზავო კონფერენციაზე, რადგანაც უკვე გადაწყვეტილია, რომ მხოლოდ კონფერენციას აქვს უფლება გადასწყვიტოს, რომელი და რა ხარისხით ახლად დაარსებულნი სახელმწიფონი იქნებიან ცნობილნი. ბრიტანეთის მთავრობა თანაგრძნობით უცქერის საქართველოს ნორჩ რესპუბლიკის დაარსებას, მზად არის ენერგიულად დაუჭიროს მხარი კონფერენციის მიერ მის ცნობას და იზრუნოს იმაზე, რომ საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლობა მოსმენილ იქნას“. (ტაში)

თავმჯდომარე. იქნება პარლამენტმა ისურვოს, რომ პრეზიდიუმ[მ]ა მადლობა გადაუხადოს ბრიტანეთის მისიას, პარლამენტი ავალებს პრეზიდიუმს, რათა იგი წარსდგეს ბრიტანიის მისიის წინაშე და მადლობა გამოუცხადოს მას. ეს სხდომა რამდენიმე წუთით შესწყდა, პრეზიდიუმი გაემართა მთავრობის თავმჯდომარის კაბინეტში, სადაც იმყოფებოდნენ ბრიტანეთის წარმომადგენლები.

კრების განახლებისას თავმჯდომარე აუწყებს, რომ ბრიტანეთის წარმომადგენლებმა მადლობა მოახსენეს პარლამენტს და დასძინეს, რომ მათ იმედი აქვთ, რომ მისწრაფებანი საქართველოსი შესრულებული და დამტკიცებული იქნება. (ტაში).

[...]

# საქართველოს დელეგაცია

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 21 იანვარი, 1919 წ., № 15, გვ. 2.*

18 იანვარს ბათომიდან ინგლისელების გემით კონსტანტინოპოლის გზით მარსელში და იქიდან პარიზს გაემგზავრა საქართველოს დელეგაცია ნიკოლოზ ჩხეიძის მეთაურობით. საქართველოს დელეგაციასთან ერთად ამავე გემით გაემგზავრა სომხეთის, ადერბეიჯანის და ჩრდილო კავკასიის დელეგაციები.

# უკანასკნელი ცნობები

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 21 იანვარი, 1919 წ., № 15, გვ. 2.*

18 იანვარს ბათუმიდან ინგლისელთა გემით კონსტანტინოპოლის გზით მარსელში და იქიდან პარიზს გაემგზავრა საქ. საზავო დელეგაცია ნ. ჩხეიძის თავმჯდომარეობით. ქართველს დელეგაციასთან ერთად ევროპაში გაემგზავრნენ ადერბეიჯანის, სომხეთის და ჩრდილო კავკასიის დელეგაციები.

---

1 თარიღი არამართებულადაა მითითებული [რედ.].

# საქართველოს დელეგაციის გამგზავრება საზავო კონფერენციაზე. (პროვინციის ცხოვრება)

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 21 იანვარი, 1919 წ., № 15, გვ. 3.*

საზავო კონფერენციაზე მიმავალი საქართველოს დელეგაცია გაემგზავრა 17 იანვარს.

# დღეს

*წყარო: გაზეთი „ერთობა“, 21 იანვარი, 1919 წ., № 15, გვ. 2.*

პარიზისკენ სტამბოლით მიმავალი საქართველოს საზავო დელეგაცია ინგლისის გემით ბათუმიდან უკვე გავიდა.

# დღეს

*წყარო: გაზეთი „ერთობა“, 24 იანვარი, 1919 წ., № 18, გვ. 2.*

ფრანგული პრესის ცნობით პარიზში მომავალმა საქართველოს საზავო დელეგაციამ უკვე გაიარა დარდანელი. დელეგაციის წევრები ავალიშვილი და გვარჯალაძე ლონდონიდან პარიზისკენ გაემგზავრნენ.

# ქრონიკა

*წყარო: სამხედრო ჟურნალი „რესპუბლიკის ჯარი“, 1919 წ., № 8, გვ. 16.*

ინგლისის მისიამ აცნობა საგარეო საქმეთა სამინისტროს რომ მან შემდეგი ცნობა მიიღო ინგლისის მთავრობისაგან.: „ინგლისი სიმპატიით უყურებს დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკის დაარსებას და მხარს უჭერს, რომ ის ცნობილ იქნას სახელმწიფოების მიერ“.

***

პარიზისკენ სტამბოლით მიმავალი საქართველოს საზავო დელეგაცია ინგლისის გემით ბათუმიდან უკვე გავიდა.

# ქრონიკა

*წყარო: სამხედრო ჟურნალი „რესპუბლიკის ჯარი“, 1919 წ., № 9, გვ. 16.*

საპასუხო წერილში, რომელიც ჩვენმა საგარეო სამინისტრომ გაუგზავნა ინგლისის სარ დლობას სტამბოლში დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაუგზავნა ინგლისის სარდლობას სტამბოლში დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროზე გადასაცემად[,] აღნიშნულია ის სიხარული, რომელიც ხალხში გამოიწვია ინგლისის სიმპატიამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისადმი.

# პარიზის კონფერენცია

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 26 იანვარი, 1919 წ., № 20, გვ. 2.*

როგორც მოსალოდნელი იყო, პარიზის საერთაშორისო კონფერენციამ წინასწარი თათბირის ხასიათი მიიღო, პირველ სხდომებზე პუანკარემ და კლემანსომ სადღესასწაულო სიტყვები წარმოთქვეს, ხოლო უახლოეს სხდომებზე ხალხთა ლიგის შესახებ უნდა იმსჯელონ. ასეთ მუშაობას

უეჭველია უფრო ზნეობრივი და კულტურული მნიშვნელობა აქვს, ვიდრე იურიდიულ-ნორმატიული.

როგორც გადაწყვეტილი იყო, კონფერენციაში მხოლოდ ეგრედ წოდებული გამარჯვებული სახელმწიფოები და მათი მოკავშირეები იღებენ მონაწილეობას. ინგლისისა, საფრანგეთისა, იტალიისა, შეერთებული შტატების და იაპონიის წარმომადგენლები ყველა სხდომებს უნდა დაესწრონ, ხოლო დანარჩენ სახელმწიფოების წარმომადგენლებს იმ საკითხების გარჩევის დროს მოიწვევენ, რომელნიც უშუალოდ მათ შეეხება. მოპირდაპირე დამარცხებულ მხარეს არავითარი წილი არ ექნება კონფერენციის მუშაობაში: არც გერმანიისა, არც ავსტრია-ჰუნგრეთისა, და არც ოსმალეთის ოფიციალური წარმომადგენლობა მოწვეული არ არის საფრანგეთის დედა ქალაქში.

ორი გარემოებით აიხსნება პარიზის კონფერენციის ცალმხრივი შემადგენლობა. ცენტრალური ევროპა დაშლისა და გარდაქმნის პროცესში იმყოფება. ჯერ კიდევ სრულად გამორკვეული არ არის, რა წესწყობილება დამყარდება რევოლუციურ გერმანიაში და რამდენი სახელმწიფო აღმოცენდება იმ ტერიტორიაზე, რომელსაც წინათ ავსტრია-ჰუნგრეთი და ოსმალეთი ერქვა. ცენტრალურ ევროპაში არ არსებობს გარკვეული კონტრაგენტი, რომელთანაც შეთანხმების სახელმწიფოებს სავალდებულო საერთაშორისო ხელშეკრულობის დადება შეეძლოს. მეორე მხრივ, როგორც სჩანს, თვით გამარჯვებულ სახელმწიფოებს შორის ჯერ კიდევ სრული თანხმობა მიღწეული არ არის: შეერთებულ შტატებსა და ინგლისს შორის არსებობს წინააღმდეგობა კრედიტორისა და მევალისა, ამას გარდა უეჭველია, რომ რუსეთის საკითხში ვილსონი სავსებით არ იზიარებს ლლოიდ ჯორჯისა და ბალფურის პოლიტიკას.

შეთანხმების სახელმწიფოებმა ბოლშევიკური რუსეთი საერთაშორისო უფლების გარეშე დააყენეს. ფაქტიურად ომი სწარმოებდა ინგლის-საფრანგეთისა და საბჭოების რესპუბლიკის შორის. ამიტომ პარიზის კონფერენციისთვის არც რუსეთის წარმომადგენლობა იყო მოწვეული. მაგრამ როგორც გუშინდელი დეპეშიდან სჩანს, მოკავშირეებს აზრი შეუცვლიათ ამ საგანზე. ცხადია, რომ ეს ცვლილება შეერთებული შტატების პრეზიდენტის გავლენას გამოუწვევია. ფრანგული პრესის ცნობაში აღნიშნულია, რომ ვილსონის წინადადების მიხედვით მოკავშირე სახელმწიფოებს შემდეგი გადაწყვეტილება მიუღიათ: მოკავშირეების წარმომადგენლებს რუსეთში მიზნად არ აქვთ შინაურ საქმეებში ჩარევა; ისინი შეუზღუდავათ სცნობენ რევოლუციას და არავითარ შემთხვევაში კონტრ. რევოლიუციონერებს არ დაეხმარებიან. რადგან ევროპაში შეუძლებელია ზავის ჩამოგდება, სანამ რუსეთი არ დამშვიდდება, მოკავშირეები დახმარებას გაუწევენ რუსეთს იმ ფორმით, რომელიც მისაღები იქნება.

ეს გადაწყვეტილება უეჭველად ერთგვარი დათმობაა რუსული ბოლშევიზმის წინააღმდეგ. მაგრამ დიდათ საეჭვოა, რომ თვით ბოლშევიკურ რუსეთში დასავლეთ ევროპის მშვიდობიანმა ტონმა შეთანხმების სურვილი გააძლიეროს. როგორც წინათაც აღვნიშნეთ, თანამედროვე იმპერიალისტურ ინგლის-საფრანგეთი და რევოლუციური რუსეთი ორს, ერთი მეორეს საწინააღმდეგო ქვეყნებს წარმოადგენენ; მათი მორიგება შეუძლებელია, კონფერენციის რეზოლუციებით; მხოლოდ ბრძოლას შეუძლია მათი ბედის გადაწყვეტა: ან ბოლშევიზმი უნდა მოიდრიკოს ან იმპერიალიზმი.

ასეთი პერსპექტივის წინაშე, პარიზის დღევანდელი კონფერენცია უფრო მსოფლიო ომის ანტრაქტს ჰგავს, ვიდრე მის დასასრულს.

# დადგენილებანი.

## საქართველოს და სომხეთის მთავრობის რწმუნებულთა კონფერენციისა, რომელშიც მონაწილეობდენ მოკავშირეთა სარდლობის წარმომადგენელნი, და რომელსაც თავმჯდომარეობდა ბრიტანეთის ლაშქრის პოლკოვნიკი სტიუარტი, – 9-17 იანვარს 1919 წელს.

*წყარო: გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 26 იანვარი, 1919 წ., № 20, გვ. 2-3.*

მოკავშირეთა სარდლობის რწმუნებით აღჭურვილი წარმომადგენელი და კონფერენციის თავმჯდომარე ბრიტანეთის ლაშქრის პოლკოვნიკი რ.ნ. სტიუარტი.

საფრანგეთის წარმომადგენელი – საფრანგეთის ლაშქრის კაპიტანი ნ. გასფელდი.

საქართველოს მთავრობის წარმომადგენელნი: ე.პ. გეგეჭკორი, ნ.ვ. რამიშვილი, გ.დ. ჟურული, გენერალი გედევანოვი, კ.ბ. საბახტარიშვილი, კ.პ. კანდელაკი, ა.ვ. მდივანი, პოლკოვნიკი ჯაფარიძე.

სომხეთის მთავრობის წარმომადგენელნი: მ. არუტიუნიანი, სტ. მამიკონიანი, გენერალი კორღანოვი, მ. ხაჩატრიანი, გრ. ტერ-ხაჩატრიანი, არ. ხონდკარიანი.

1. ბორჩალოს მაზრის საზღვარი ნეიტრალურ ზონაში.

ა) ბორჩალოს მაზრაში ნეიტრალურ ზონისა ჩრდილოეთ საზღვარი უნდა იქნეს ხაზი, რომელიც აერთებს იმ პუნქტებს, რომელნიც საქართველოს ლაშქრის ნაწილებს ეჭირათ 24 საათზე, 31 დეკემბერს (ახ. სტ.) 1918 წ.

ბორჩალოს მაზრის ნეიტრალურ ზონაში ჩრდილოეთ საზღვრათ, სანამ მისი მიმართულება გამოიცვლებოდეს ადგილობრივათ სოფლის საზოგადოებების მიერ მიწათდამუშავების მიხედვით, ჩაითვალოს:

ლეღლი-დაღლის მთა, სწორი ხაზი ს. ირგანჩაის უღელტეხილზე, სწორი ხაზი სიმაღლეზე 798, შემდეგ სიმაღლე კულუტაშზე (??55,5), სიმაღლ. 676, სოფელი საატი, სიმაღლ. ???,0, სიმაღლ. 739, 1. ქანდარი, სიმაღლე 735???? 694, სოფ. ახ-კერპი, სწორი ხაზი სოფ. ბრიტზე – სიმაღ. 492, ხოდქორნისთან ეკლესიის ნანგრევები – სოფ. ბარდაზორი – ს. სადახლო, სად. სადახლო,– წვეტი ციფრიდან 1554, რომელიც სადახლოს ჩრდილოეთითაა – შემდეგ სიმაღლემდე 2660 (მთა ტალადაგი) შემდეგ წარწერამდე – წყარო, რაც ჩრდილოეთითაა წარწერიდან კლდე ხაჩა კალა – მთა პალუტელ მაში.

ბ) ნეიტრალურ ზონის სამხრეთის საზღვრად ბორჩალოს მაზრაში ითვლება ოსმალთა ყოფილი ხაზი დისიხ-ჯელალ-ოღლი, რომელიც განსაზღვრულ იქმნა 1918 წ. დეკემბრის 25-ს შეთანხმებით, ხელ მოწერილ იქმა გენერალ როკფორდის, პოლკოვნიკ შარდინის და საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის ნ. ჟორდანიას მიერ, – რომელ დადგენილებასაც ხელს წერს სომხეთის რესპუბლიკის წარმომადგენელი არუტიუნიანცი 1918 წ. დეკემბრის 29-ს სოფ. კარაკლისში.

## მთავრობაში
## საზღვრების დაცვისათვის.

*წყარო: გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 26 იანვარი, 1919 წ., № 20, გვ. 3.*

დაუყონებლივ მიღებულ იქმნეს სამხედრო უწყების მიერ ენერგიული ზომები რესპუბლიკის საზღვრების დაცვისა და გამაგრებისა.

## საქართველოს დამოუკიდებლობის გარშემო
### დიდი ბრიტანეთის სარდლობას კონსტანტინეპოლში.

*წყარო: გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 29 იანვარი, 1919 წ., № 22, გვ. 2.*

პასუხათ საქართველოს მთავრობისადმი თქვენგან გადმოცემულ დეპეშათა 9-1 – I9-1 4342 გთხოვთ დავვალოთ და გადასცეთ დიდი ბრიტანეთის გარეშე საქმეთა მინისტრს შემდეგი:

„ქართველი ხალხი და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა უღრმეს სიამოვნებით და პატივისცემით შეხვდა თქვენდგან გამოგზავნილ ცნობას იმის შესახებ, რომ: დიდი ბრიტანეთის მთავრობა თანაგრძნობით ეპყრობა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის საკითხს და მზათაა მხარი დაუჭიროს მას საერთაშორისო კონფერენციაზე[“]. ამ ცნობამ აღფრთოვანებითი გრძნობა გამოიწვია ქართველი ხალხის გულში და დაუბადა იმედი ახალგაზრდა საქართველოს რესპუბლიკისა და დიდი ბრიტანეთის ხალხთა შორის საუკეთესო დამოკიდებულების განმტკიცების შესახებ.

გარეშე საქმეთა მინისტრი ევ. გეგეჭკორი.

# საქართველოს მთავრობის დეპეშა დიდი ბრიტანეთის მთავრობას

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 29 იანვარი, 1919 წ., № 21, გვ. 2.*

საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. გეგეჭკორმა დიდი ბრიტანიის სარდლობას კონსტანტინეპოლში შემდეგი დეპეშა გაუგზავნა:

დიდი ბრიტანეთის სარდლობას კონსტანტინოპოლში "საპასუხოთ თქვენი ტელეგრამისა 9-1-19-1-4342[,] რომელიც მიიღო საქართველოს მთავრობამ გთხოვთ პატივი დამდოთ და დიდი ბრიტანეთის საგარეო მინისტრს გადასცეთ შემდეგი:

"ქართველი ხალხი და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ღრმა კმაყოფილების და მადლობის გრძნობით იღებს თქვენ ცნობას იმის შესახებ, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობა სიმპატიით ეპყრობა დამოუკიდებელ საქართველოს აღდგენას და რომ მზათ არის დაიცვას მისი უფლებანი საერთაშორისო კონფერენციაზე.

ეს ცნობა იწვევს ქართველი ხალხის გულში აღგზნებულ მადლობის გრძნობას და ნერგავს რწმენას, რომ დიდი ბრიტანეთის ერისა და საქართველოს რესპუბლიკას შორის დამყარდება საუკეთესო განწყობილება["].

# საქართველოს საკითხი ინგლისსა და საფრანგეთში (დავით ღამბაშიძის კერძო წერილიდან).

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 30 იანვარი, 1919 წ., № 22, გვ. 2.*

ზოგიერთი ცნობები ბ-ნ ღამბაშიძის კერძო წერილიდან უკვე მოთავსებულია გაზეთ „საქართველოში“ და „ბორბაში“, მაგრამ ქართველ საზოგადოებისათვის საინტერესო იქნება მთელი წერილის გაცნობა.

.... ერთი სამწუხარო შეცდომათაგანი, რომელიც საქართველომ ჩაიდინა, და რომელიც მე ძლიერ მაწუხებს, ის არის, რომ მან კავშირი არ დაიკავა შეთანხმების სახელმწიფოებთან, რომ მათის დახმარებით განმტკიცებულიყო ჩვენი დამოუკიდებლობა.

თუმცა ბევრმა იცოდა, რომ მე ლონდონში ვიმყოფებოდი, მაგრამ მაინც არავინ არ გაისარჯა, რომ აღვეჭურვეთ სათანადო მანდატით, რომელიც საჭირო იყო, რომ მემოქმედა საქართველოს დამოუკიდებლობის მოკავშირეთა მიერ ცნობისათვის.

18 თვეა რაც საქართველოს საკითხის პროპაგანდას ვეწევი მით, რომ ვათავსებ წერილებს გაზეთებში და ვმართავ საჯარო ლექციებს და შემიძლია დარწმუნებით ვსთქვა, რომ ჩვენი ისედაც მძიმე მდგომარეობა, გაცილებით უარესი იქნებოდა, რომ ეს მუშაობა არ ყოფილიყო.

სომხებმა ყველა საშუალება იხმარეს, რომ დაერწმუნებინათ საზოგადოებრივი აზრი აქ და საფრანგეთში, რომ ჩვენი „ღალატი“ არ ყოფილიყო, „გმირი“ სომხები, არამც თუ შეაჩერებდნენ გერმანელების ლტოლვას აღმოსავლეთისკენ, არამედ თავიანთ კანონებით გაანადგურებდნენ ოსმალებსაც და დაიპყრობდნენ მთელს მცირე აზიას.

სამწუხაროდ თქვენ მანდ მხოლოდ გული მოგდიოდათ, და ალბად ფიქრობდით, რომ ეგეც საკმარისია.

ნუ დაივიწყებთ, რომ აქაური სომხების ახალშენი რამდენიმე ათასი კაცისაგან შესდგება და ძალიან დიდი ფულია მათს განკარგულებაში და თავის პროპაგანდას 40 წელი მაინც არის, რაც ეწევიან.

შემდეგ, მხედველობაში უნდა მიიღოთ, რომ ძალიან მრავალრიცხოვანი რუსული ახალშენი აქაც და საფრანგეთშიც ყველა საშუალებით სცდ[ი]ლობს, ყოველივე ჩირქი მოგვცხოს. მე მიხდებოდა საოცარი ბრძოლა მათ[თ]ან და ამ ბრძოლაში სრულებით განმარტოებული ვიყავი, სრულებით მოწყვეტილი სამშობლოს.

წარსული წლის დეკემბერში დავაარსე ინგლისურ-ქართული საზოგადოება ლორდ Bчусс-ის თავმჯდომარეობით; ამ საზოგადოებამ საკმაოთ თვალსაჩინო ყურადღება და სიმპატია მოიპოვა მრავალ გამოჩენილ ინგლისელთა შორის.

ამასთანავე დავაარსე ქართული ცნობათა ბი[უ]რო, რომ სწორი [და] უტყუარი ინფორმაცია მიგვეცა ჩვენი ქვეყნის შესახებ ინგლისისა და ამერიკის პრესისათვის.

მაისში ვიყავი პარიზში და დავაარსე საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი ნ. ჯაფარიძის თავმჯდომარეობით.

ამ კომიტეტს ძალიან დიდ დახმარებას უწევს საფრანგეთის მინისტრი ბ-ნი ალბერტ ტომა.

ვიდრე ამ ბარათს მიიღებდეთ, მე იმედი მაქვს სატელეგრაფო ურთიერთობ[ა]ც მოვაწყო თქვენთან.

საზავო კონფერენცია ამ დღეებში გაიხსნება და აპრილამდის გასტანს.

ამ დღეებში აქ უნდა ჩამოვიდეს ზურაბ ავალიშვილი მეუღლით და პარიზში, მოგვიხდება წასვლა, რომ ჩვენი საკითხები წარვადგინოთ საზავო კონფერენციაზედ. მაქვს იმედი, რომ საქართველოს დელეგაციაც დროულად ჩამოვა, რადგან ჩვენი საკითხი გადასწყდება პარიზში სწორეთ ერთ თვეში.

ლაპარაკი რაიმე ფედერაციის შესახებ რუსეთ[თ]ან, რომელიც მხოლოდ სთელავდა ჩვენ ქვეყანას, ყოვლად შეუძლებელია.

საქართველო უნდა დარჩეს დამოუკიდებელი თავის ეთნოგრაფიულ და ისტორიულ საზღვრებში და მტკიცე კავშირი გააბას ინგლისთან და საფრანგე[თ]თან.

წარსული დეკემბრიდან არავითარი ცნობა და არც გაზეთი საქართველოდან არ მ[ი]მიღია.

ამ ჟამად ვსარგებლობ შემთხვევით და ამ წერილს ვატან ბატ. ედმონდ შარლნერს, რომელიც გაზეთ „ტიმეს“-ის სპეციალურ კორესპონდენტათ მოემგზავრება თბილისში[.] სამწუხაროდ ამას უგვიანდება და ამიტომ წერილის გათავება მიხდება.

მე სრული იმედი მაქვს, რომ ჩვენები, ჯეროვანად მოაწყობენ ამ ბარათის მომტანს ჩვენს დედა ქალაქში და მისცემენ საშუალებას ჯეროვანად გაეცნოს საქართველოს“.

## უკანასკნელი ცნობები

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 12 თებერვალი, 1919 წ., № 33, გვ. 2.*

საქართველოს საზავო დელეგაცია ამ ჟამად სტამბოლში იმყოფება. შეთანხმების სახელმწიფოები წინააღმდეგობას უწევენ მათს გამგზავრებას პარიზში.

## საქართველოს დელეგაცია სტამბოლში

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 12 თებერვალი, 1919 წ., № 33, გვ. 2.*

საქართველოს საზავო დელეგაცია ამ ჟამად სტამბოლში იმყოფება. ჩვენი მთავრობის მიერ მიღებულია შესაფერისი ზომები, რომ დელეგატებმა განაგრძონ გზა პარიზისკენ, მაგრამ ამ ცდას ბევრი დაბრკოლება ელობება წინ. სტამბოლის გაზეთები თურმე სასტიკ აგიტაციას ეწევიან საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ. შეთანხმების სახელმწიფოებიც როგორც სჩანს, უხერხულად სცნობენ ჩვენი დელეგაციის დაშვებას საერთაშორისო კონფერენციაზე, რადგან მისი სოციალისტური შემადგენლობა საშიშრად მიაჩნიათ.

## სტამბოლში

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 13 თებერვალი, 1919 წ., № 34, გვ. 2.*

გუშინწინ სტამბოლიდან ჩამოსულმა პირმა შემდეგი საყურადღებო ცნობები გადასცა ჩვენს თანამშრომელს:

**ინგლისელები სტამბოლში**

სტამბოლი თავისი ძალაუფლებით – ინგლისელების ხელშია.

სტამბოლიდან სამ თებერვალს გამოველი. წამოსვლისას, ადერბეიჯანის მთავრობის მიერ

მოცემული ჩემი პასპორტი არ მიიღეს და იძულებული ვიყავი რუსთა საელჩოსათვის მიმემართნა. საელჩომ რუსეთის ქვეშევრდომობის მოწმობა მომცა და ამით სტამბოლიდან გასვლის ნებაც მომეცა.

**სომხები**

სტამბოლში ადერბეიჯანელებთან ქართველებიც იდევნებიან; ამ კატეგორიაში არ შედიან სომხები. საკმაოა მათ თავიანთ ეროვნულ კომიტეტისა ან სომხეთის პატრიარქის მიერ მოცემული მოწმობა წარმოადგინონ, რომ მიმოსვლა არ დაუბრკოლდეთ.

**აგიტაცია საქართველოს წინააღმდეგ**

სომხეთის წარმომადგენლები სტამბოლში არიან თავმოყრილნი. ისინი ფრანგულ ენაზე ჰსცემენ გაზეთს და ცხარე აგიტაციას ეწევიან საქართველოსა და ადერბეიჯანის წინაღმდეგ.

**საქართველოს საზავო დელეგაცია**

საქართველოს საზავო დელეგაცია ამ ჟამად სტამბოლშია და სასტუმრო „პეროპალას"-ში დგას. დელეგაციას საერთოდ ცუდად ეპყრობიან და ჯერჯერობით მსოფლიო კონფერენციაზე არც უშვებენ. ამის მიზეზად ასახელებენ დელეგაციის სოციალისტურ შემადგენლობას. როგორც ხმებია გავრცელებული შეთანხმების სახელმწიფოში უკმაყოფილონი არიან დელეგაციაში ჩხეიძისა და წერეთლის მონაწილეობით.

**ადერბეიჯანის დელეგაცია**

ადერბეიჯანის დელეგაციაც ასეთ მდგომარეობაშია და სტამბოლიდან ჯერ არ გასულა.

**სომხეთის დელეგაცია**

სომხებს სტამბოლში კარგად ეპყრობიან, ხოლო სომხეთის საზავო დელეგაცია დიდი პატივით სტამბოლიდან ევროპაში კიდეც გაისტუმრეს...

## ქრონიკა

*წყარო: გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 15 თებერვალი, 1919 წ., № 37, გვ. 4.*

ინგლისის დელეგაციის წევრმა კემბლმა შეატყობინა სომხეთის საზავო დელეგაციას, რომ სტამბოლიდან სხვა და სხვა სურსათით სომხეთისათვის გემი გამოვიდა.

## მ. ადამაშვილი
## საქარ[თ]ველოს საზღვრები

*წყარო: გაზეთი „საქართველო", 18 თებერვალი, 1919 წ., № 37, გვ. 1-2; 19 თებერვალი, 1919 წ., № 38, გვ. 1-2.*

სანამ არსებობდნენ დამოუკიდებელი და ძლიერი სომხეთი, ბიზანტია და ტრაპეზუნდი (ძველი პონტი) საქართველოც დამოუკიდებელი ძლიერი იყო, რადგან მისი ს[ამხრ]ეთის კარები დაკეტილი იყო. სომხეთისა, ბიზანტიისა და ტრაპეზუნიის დაშლის შემდეგ ეს კარებებიც გაიღო, ზღუდენი მოიშალნენ და ოსმალთა ტალღებმა წალეკეს და ჩამოგვაცალეს ნახევარი საქართველოსი, ხოლო მეორე ნახევარი დანარჩენ საქართველოსი იმდენად გაივსო მრავალ საუკუნეთა განმავლობაში სამუსულმანო ქვეყნებიდან მომდინარე სომხებით, რომ მათ ფაქტიურად დაიმკვიდრეს დიდი ნაწილი აღმოსავლეთ საქართველოსი და მისი ერთი ნაწილი შეიერთეს კიდევაც.

ამ ახლო მომავალში, თუ მოულოდნელი არაფერი მოხდა, უნდა დამკვიდრდეს და შეიქნეს, მოკავშირეთა წყალობით, თითქმის ათასი წლის წინათ დაშლილი სომხეთი და თითქმის ხუთი საუკუნის წინათ დანგრეული ტრაპეზუნდი. ყოველი შეგნებული ქართველისთვის სომხეთისა და ბერძნულ ტრაპეზუნდის აღდგენა უდრის საქართველოს აღდგენას და მისი დამო[უ]კიდებლობის განმტკიცება-დამკვიდრებას, რადგან: 1) საქართველოს საზღვრებს ჩამოეცლება და მეტად დასუსტდება ის ძალა-ოსმალეთი, რომელმაც დააქვეითა, დაასუსტა საქართველო და იქამდის მიიყვანა, რომ მან თვითონვე ხელი აიღო თავის სუვერენობაზე და თვისი თავი და ბედი უცხო

სახელმწიფოს გადასცა; 2) იმ დრომდის, სანამ საქართველოს მოსაზღვრედ ოსმალეთი ეყოლება, ჩვენი სამშობლო ვერ მოისვენებს, მთელ თავის ძალა-ქონებას სამხრეთის საზღვრების დაცვას მოანდომებს და მალე იმდენად დასუსტდება ძალაუნებური მილიტარული პოლიტიკით, რომ ბოლოს ან ოსმალეთის ლუკმა გახდება, ან თავისი ფიზიკური არსებობის შენარჩუნებისთვის ისევ რუსეთს ჩაუვარდება ხელში.

3) სომხეთის და ტრაპეზუნდის აღდგენის შემდეგ წინა-აზიაში და კავკასიონის სამხრეთით დამყარდება ძალთა დაახლოვებითი სწორ-წონაობა და მშვიდობა.

ორასი წლის განმავლობაში ზემოაღნიშნული ტერიტორიაზე გაუთავებელი ომი სწარმოებდა ჩვენისთანა სუსტ ერების ზურგზე რუსეთსა და ოსმალეთ[ს] შორის, რომელნიც ერთმანეთს ეცილებოდნენ ევროპა-აზიის კარებსა და ხიდს: ამიერ-კავკასიას და სომხეთის ზეგანს. თუ მოკავშირეებმა ორივე სახელმწიფოს ხელი აალებინეს ამ კარებ-ხიდზე, ძლიერნი და გამარჯვებულნი ფრიად დაინტერესებულნი იქნებიან რომ წინა-აზიაში მშვიდობიანობის დასამყარებლად შექმნან, განამტკიცონ და დაამკვიდრონ დამოუკიდებელი ან ნახევრად დამოუკიდებელი საქართველო, სომხეთი, ტრაპეზუნდი, ადერბეიჯანი, სირია, პალესტინა, ოსმალეთი, სპარსეთი და მესოპოტამია ისეთ საზღვრებში და ისეთის ძალისა, რომ აზიის ამ ნაწილში დამყარდეს ძალათა დაახლოვებით სწორ-წონაობა.

ზემო აღნიშნულ და სხვა მიზეზთა გამო, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანა, საქართველომ ყოველი საშვალება უნდა იხმაროს და თავისი მცირე ძალა-ენერგია არ დაზოგოს, რათა ოსმალეთის ტერიტორიაზე შეიქნეს საქართველოს მოსაზღვრე ორი სახელმწიფო: სომხეთი და ტრაპეზუნდი.

თუ ახალი რღვევა არ მოხდა ქვეყნისა, ეს გეგმა ადვილად შეიძლება განხორციელდეს, რადგან ამას მოითხოვს სახელმწიფო ინტერესები ინგლის-საფრანგეთისა[,] იტალიისა და შავი ზღვის ირგვლივ მდებარე სახელმწიფოებისა. პირველ სამს სახელმწიფოს ჰყავს დიდძალი ქვეშევრდომი მუსულმანი, რომელთა დამორჩილება და მართვა-გამგებლობა მეტად გაადვილდება და უზრუნველი გახდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ქვეყნები მოსწყდებიან ტერიტორიულად ოსმალეთის, ე.ი. ამ ქვეყნებსა და ოსმალეთის შუა შეიქნება ახალი ერთი, ორი ან სამი საქრისტიანო სახელმწიფო – სომხეთი, ტრაპეზუნდი და სირია. მართალია, ეს სახელმწიფონი მხოლოდ ნომინალურად იქნებიან ქრისტიანული და დამოუკიდებელნი, მაგრამ არსებითად ამას მნიშვნელობა არ ექნება. ფაქტიურად სამივე სახელმწიფო იქნება რომელიმე ევროპიულ სახელმწიფოს კოლონია, დასახლებული ისეთი ერებით, რომელნიც ერთი მხრით წინააღმდეგნი იქნებიან ოსმალეთისა (სომხები, ბერძნები, ებრაელები, არაბები და სხ.), ხოლო მეორე მხრ[ი]თ – მუდმივი ქიშპობით ურთიერთ შორის ამ ტერიტორიაზე მესამე სახელმწიფოს გავლენა-ბატონობას გაა[ა]დვილებენ და დაამყარებენ. ეს მესამე სახელმწიფო სირია-სომხეთში, როგორცა სჩანს, საფრანგეთი იქნება.

საფრანგეთმა ორასი წლის მუშაობით დიდი საქმე გაიკეთა და ძლიერი გავლენის ძაფი გააბა სირიიდან მოყოლებული მოსული[ს] ვილაეტის გაყოლებაზე ურმიის ტბის ნაპირებამდის. ამ რაიონს იგი ხმამაღლა და აშკარად ედავებოდა ამ ომის დროსაც კი ინგლისსა და რუსეთსაც, ხოლო გამარჯვების შემდეგ აღნიშნული უფლება საფრანგეთისა უცილობელი შეიქნა.

გარდა ამისა, უკანასკნელ დროს ცხადად სჩანს სომხურ გაზეთებიდანაც კი, რომ სომხების იმედი უფრო საფრანგეთს ეყრდნობა, ვიდრე ინგლისს.

ეს მოსაზრებანი უფლებას გვაძლევენ ვიფიქროთ, რომ საფრანგეთს, რომელიც სირია-კილიკიიდან სომხეთის ზეგანზე ამოვა და აქედან ეცდება გავრცელდეს ამიერ-კავკასიასა და ჩრდილოეთ სპარსეთზე.

აქ, სომხეთის ზეგანზე, ერთმანეთს ხვდებიან და ეჯახებიან საფრანგეთის და ინგლისის ინტერესები. მომავლის ისტორია განმეორებაა წარსულისა და ხვალ სომხეთის ზეგანზე უცილობლად განმეორდება გუშინდელი ამბები: ნაცვლად რუსეთ-ოსმალეთისა და ოსმალეთ-გერმანიისა ერთმანეთს შეეყრებიან ინგლის-საფრანგეთისა და ინგლის-ოსმალეთის ინტერესები.

ინგლისისთვის ამიერ-კავკასიას ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც სუეცის არხს. ბათუმ-ბაქოს გზა ინგლისს ხელთ უგდებს მთელ ამიერ-კავკასიას, სპარსეთის და კასპის გაღმა უშველებელ ტერიტორიას. ეს ადგილები და გზები, უკვე დაჭერილი ინგლისის მიერ, თავის პირდაპირი ფასისა და მნიშვნელობის გარდა, იფარავენ და იცავენ ინგლისის მთავარ საკვებ აუზს – ინდოეთს, ავღანისტანს, სპარსეთს და ახლად შეძენილ მესოპოტამიას, რომელნიც მხოლოდ ვიწრო ყელით – სუეცის არხით არიან გადაბმულნი მეტროპოლიასთან. ეს გარემოება უდიდეს ხიფათს უქადის ინგლისს, რომელიც ვერას გზით ხელიდან ვერ გაუშვებს უმთავრეს ნაყოფს თავის გამარჯვებისას: ზემოაღნიშნულ ახალ ქვეყნებს და ახალს ბათუმ-ბაქოს მოკლე გზას, რომელნიც მრავალჯერ უადვილებს ინგლისს ზემოხსენებულ ქვეყნების მართვა-გამგებლობას და შენარჩუნებას. ამ ძირითად დებულებიდან ისტორიულის აუცილებლობით გამომდინარეობს ინგლისის მხრივ გაფართოვება და დაცვა სამხრეთის მხრით ბათუმ-ბაქოს გასავლელ კორიდორისა (ჩრდილოეთის ხიფათი, ჯერ-ჯერობით მაინც, სათვალავში არ ჩაითვლება), რომელსაც ჰკეტავს ერთად ერთი

კარები – უძლიერესი ციხე ყარსი.

ეს სიმაგრე მარტო კავკასიის კარები კი არ არის, არამედ მთელი მცირე აზიისაც. იგი სტრატეგიული ღერძია შავიზღვისა, კასპისა და ხმელთა შუა ზღვ[ებ]ს შორის მდებარე ქვეყნებისა. პირვანდელ ისტორიიდან მოყენებული ამ პატარა წერტილზე დაიწყო და დასრულდა ბედი მრავალ ხალხისა: სომხეთისა, საქართველოსი და ოსმალეთისაც. სამხედრო მეცნიერებას უცოდობელ ჭეშმარიტებად მიაჩნდა, რომ ყარსის მფლობელს ერთი ფეხი კავკა[ს]იაში უდგა, მეორე კი – ოსმალეთში და ბატონ-პატრონია ორივე ქვეყნისა. ინგლისმა, რა თქმა უნდა კარგად იცის ფასი და მნიშვნელობა ყარსისა, ამიტომ იგი არც ერთს დიდ სახელმწიფოს არ დაუთმობს მას. ამ მოსაზრებათა გამო ყარსის რაიონში უნდა დაეჯახნენ ერთმანეთს ინგლის-საფრანგეთის ინტერესები, და საქართველომ ამ გარემოებით უნდა ისარგებლოს, გამოიყენოს იგი თავის სასარგებლოდ და სცადოს დამკვიდრება დიდი საქართველოსი: მხოლოდ ამის შემდეგ მას შეერგება და გამოადგება სამუდამო ნეიტრალიტეტის ძებნა და მოპოვება. წინააღმდეგ შემთხვევაში დღევანდელ ფარგლებში მოქცეული საქართველო იძულებული იქნება უარი სთქვას თავის ნეიტრალიტეტზე, როგორც საბერძნეთი მოიქცა 1861 წელს.

სირიიდან ყარსისკენ მომავალ საფრანგეთს ინგლისი წინ აღუდგება ყარსის სამხრეთით და ჭოროხის ხეობის სათავეში. რადგან საფრანგეთი სამხრეთიდან სომხეთის დროშის ქვეშ მოდის, ამიტომ ინგლისიც ძალაუნებურად საქართველოს დროშას ამოეფარება და ყველანაირად ეცდება რაც შეიძლება სამხრეთისკენ წაიწიოს იგი და ფრანგულ სომხეთს წინ დაუხვედროს ინგლისური საქართველო. ეს მოსაზრება საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ინგლისი მხარს დაუჭერს საქართველოს საზღვრების გაფართოვებას სამხრეთით და ეცდება ამ საზღვრებში მოაქციოს ყარსი, ისპირ-თორთუმი და ლაზისტანი.

ყარსისა, ლაზისტანისა და ისპირ-თორთუმის შეძენა, დაცვა და შენარჩუნება შეგვიძლიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოსა და ოსმალეთ[ს] შორის აშენდ[ებ]ა ერთი ან ორი ზღუდე: სომხეთი და ტრაპეზუნდი. ამ სახელმწიფოების აღდგენა, ვიმეორებ, საქართველოს აღდგენას უდრის, მაგრამ საქართველოსთვის სულ ერთი არ არის ძალა და რაოდენობა იმ ახალ ერთეულებისა, რომელნიც ჩვენი სამშობლოს გარშემო იბადებიან და მოქმედებენ. ქვემო მოყვანილ ცხრილიდან სჩანს, რომ სამხრეთით შეიძლება შეიქმნას ისეთი ახალი და დიდი ძალა, რომელიც ხვალ ჩვენთვის სახიფათო გახდება.

მომავალი დიდი სომხეთი (დაახლოვებით).

| | ნაწილები: | | სივრცე (კი-ლომ) | მოსახლეობა | დასახლება მჭიდროობა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ერზერუმის | ვილაიეტი | 75 ათასი | 600 ათასი | 8 სული |
| 2 | ვანის | „ | 42 „ | 450 „ | 11 „ |
| 3 | ბითლისის | „ | 27,2 „ | 400 „ | 15 „ |
| 4 | ტრაპიზუნის | „ | 32,4 „ | 948 „ | 30 „ |
| 5 | დიარბექირის | „ | 37,6 „ | 371 „ | 10 „ |
| 6 | ხარპუთის | „ | 35 „ | 500 „ | 13 „ |
| 7 | კილიკია (ადანას) | „ | 40 „ | 422 „ | 10 „ |
| 8 | მარაშას რაიონი (ალეპოს ვილაიეტისა) | | 30 „ | 300 „ | 10 „ |
| 9 | ერევნის გუბერნია | | 24 „ | 1.070 „ | 46 „ |
| 10 | განჯა (ნახევარი) | | 19 „ | 600 „ | 29 „ |
| 11 | ყარსი და ყაღიზმანი | | 9 „ | 245 „ | 26 „ |
| | სულ სომხეთში | | 372 „ | 5.906 „ | 19 „ |

დიდი საქართველო

| | ნაწილები: | ს ი ვ რ ც ე (კილომ) | მოსახლეობა | დასახლება მჭიდროობა |
|---|---|---|---|---|
| | საქართველო დღევანდელ საზღვრებში | | | |
| 1 | თბილისის გუბ. (ბორჩ. მაზრით) | 35904 | 1338000 | 37,3 |
| 2 | ქუთაისის გუბერნია | 18535 | 989000 | 53,3 |
| 3 | სოხუმის ოლქი | 5791 | 168000 | 28,9 |
| | სულ | 59230 | 2495000 | 40 |
| | საშუალო საქართველო | | | |
| 1 | ბათუმის ოლქი | 6129 | 161000 | 26,3 |
| 2 | საინგილო | 3502 | 81000 | 23,2 |
| 3 | არტაანი და ოლთისი | 7540 | 127000 | 17 |
| | სულ | 76401 | 2864000 | 37,7 |
| | დიდი საქართველო | | | |
| 1 | ყაზახი | 5100 | 130000 | 25,5 |
| 2 | ყარსი და ყაღიზმანი | 8926 | 245000 | 27,3 |
| 3 | გუმბრი (შურაგელი) | 3400 | 218000 | 64 |
| 4 | ლაზისტანი, თორთუმი და ისპირი (დაახლოვებით) | 10000 | 250000 | 25 |
| | სულ | 103827 | 3707000 | 35,6 |

ამ ცხრილიდან სჩანს, რომ თუ განხორციელდა პარიზში შემუშავებული გეგმა ფრანგულ სომხეთის შექმნისა (რუსეთისა და ოსმალეთის სომხეთის გაერთიანება), იგი დიდ საქართველოზედაც კი მეტი იქნება სამნახევარჯერ (სომხეთი შეიცავს 372,000 კილომეტრს, ხოლო საქართველო 104,000 ვერსს, ანუ 110,000 კილ.), საშუალო საქართველოზე თითქმის ხუთჯერ მეტი, ხოლო დღევანდელ საქართველოზე ექვსჯერ მეტი, იგი არ დაუვარდება მთელ კავკასიას, თითქმის ორჯერ გადააჭარბებს ამიერკავკასიას და ერთნახევარჯერ – იტალიას. ასეთი დიდი სახელმწიფოს შექმნა დაარღვევს წინა აზიაში ძალთა სწორწონაობას და დაემუქრება საქართველოს. ამის საწინააღმდეგოდ საქართველომ უნდა ამოიღოს და მთელი თავისი ძალა-იმედი შეუერთოს დიდს ბრიტანეთს, რომლის ინტერესი სავსებით ეთანხმება საქართველოს ინტერესს, ესე იგი: წინააღმდეგ ფრანგული სომხეთ-ასურეთისა შეიქმნას ინგლისური დიდი საქართველო და ტრაპეზუნდი. ხოლო ამ მიზნის განხორციელებისათვის და ძალთა სწორწონაობის დასამყარებლად საჭიროა, რომ 1) გადაეცეს მომავალ პონტის სახელმწიფოს ტრაპეზუნდის ვილაეთი გარდა ლაზისტანისა, რომელიც საქართველოს უნდა შეუერთდეს; 2) ჩამოეჭრას სომხეთს და გადაეცეს საქართველოს ნაწილი არზრუმის ვილაეთისა (ისპირი და თორთუმი); 3) მთელი ყარსის ოლქიც უნდა შეუერთდეს საქართველოს; 4) რადგან ყარსის მართვა-გამგეობა და შენარჩუნება შეუძლებელია ბორჯომ-ახალციხე-არტაანის გზით, ამიტომ საქართველოსვე უნდა გადაეცეს თბილის-ყარსის გზა და ხიდი-გუმბრის მაზრა, – წინანდელი შურაგელი, – რომელიც მრავალ საუკუნის განმავლობაში საქართველოს ეკუთვნოდა; 5) საქართველოსვე უნდა დაუბრუნდეს მისი ისტორიული კუთვნილება – ყაზახი და საინგილო.

ასეთ საზღვრებში მოქცეული საქართველო მაინც სამჯერ ნაკლები იქნება სივრცით სომხეთზე და თითქმის გაუთანასწორდება მას მცხოვრებთა რაოდენობით. სომხეთმა რომ მოახერხოს და გაფანტულ სომეხთა უმრავლესობა მოაგროვოს თავის ტერიტორიაზე, სომხები შეადგენენ იქ არა უმეტეს 30-35 პროც-სა, ხოლო ქართველები დიდ საქართველოში მაინც შეადგენენ 60 პროც.-მდის, რაიც მალე ისეთს ძალას მისცემს საქართველოს რომ იგი არაფრით ჩამორჩება სომხეთს, თუმცა სამხრეთს ტერიტორია სამჯერ უფრო მეტი ექნება ვიდრე საქართველოს.

ამ ისტორიულსა და უდიდეს საქმეს, – დიდ საქართველოს შექმნას, – რა თქმა უნდა, დიდი ძალა

სჭირია. მოკლედ მოვჭრი: ამ გეგმას საქართველო თავის მცირე ძალებით ვერ განახორციელებს. არც სომხეთი, არც სირია და არც პონტი: თავისი საკუთარი ძალებით ვერც შეიქმნებიან და ვერც შეინარჩუნებენ დამოუკიდებლობას. თანახმად ბუნების კანონისა, სუსტნი ძლიერთ ებლაუჭებიან და მათი დახმარებით არსებობენ, იზრდებიან და ვითარდებიან.

საქართველო მსოფლიო ძალთა გზა და ხიდია, რომლის ხელში ჩასაგდებად კიდევ მრავალი სისხლი დაიღვრება და მის ზურგზე მრავალჯერ დაეჯახებიან ერთმანეთს დიდი სახელმწიფონი.

ჩვენი დამოუკიდებლობა ნაყოფია ამ ძალთა კომბინაციისა, რომელიც ჩვენ თვალწინ იცვლება. ჩვენი ვალია ამ კომბინაციის მიმდინარეობას გავყვეთ და არსებული პირობები გამოვიყენოთ ჩვენი ხალხისა და სამშობლოს სასარგებლოდ.

დამყარება, დაცვა და განმტკიცება დიდი საქართველოსი ზემოხსენებულ საზღვრებში ისეთი განუზომელი და ისტორიული საქმეა, რომ მისი გულისთვის ჩვენ ვერაფერს დავზოგავთ. თუ უზრუნველყოფილი იქნება მშვიდობა და ეროვნულ ძალთა განვითარება, მრავალჯერ იმატებს პროცესი საქართველოს სულიერ-კულტურულ გაერთიანებისა, ეკონომიურ განვითარებისა და საქართველო ნახევარი საუკუნის შემდეგ გადაიქცევა ცენტრად ევროპიულ კულტურისა წინა აზიაში.

საქართველოს თანამედროვე თაობას ბედმა დააკისრა უაღრესად დიდი ვალდებულება და პასუხისმგებლობა წინაშე მომავალ საქართველოსი. ამ თაობამ უნდა ისარგებლოს იშვიათი შემთხვევით, პირნათლად შეასრულოს თვისი ვალი და დაიმსახუროს სამარადო მადლობა მომავალ თაობათა.

## ახალ სომხეთის საზღვრები

*წყარო: გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 20 თებერვალი, 1919 წ., № 39, გვ. 4.*

ამ სათაურით სტამბოლის ფრანგულ გაზეთ „რენესანში“ 23 იანვრის თარიღით დაიბეჭდა წერილი. ეს წერილი ინგლისურ გაზეთ „ტაიმს“-ის სტამბოლელმა კორესპონდენტმა ლონდონში გადასცა და თავის მხრით ის დასძინა, რომ ამ წერილში გამოთქმული აზრები ეთანხმება სრულიად სომხეთის კათოლიკოზის რწმუნებულის პოღოს ფაშას აზრს, რომელიც ითვლება სომხეთის წარმომადგენელათ პარიზის საზავო კონფერენციაზე და რომელმაც პირადათ მე დამარწმუნა ამაში.

წერილი ეხება იმ საკითხს. თუ როგორ და რომელ საზღვრებში უნდა მოეწყოს ახალი სომხეთი. „ზაკავკაზსკოე სლოვო“-მ გადაბეჭდა ეს წერილი, მაგრამ გამოტოვა სწორედ ის ადგილი, რომელიც ეხება სომხეთ-საქართველოს საზღვრებს.

ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია ეს გამოტოვებული ადგილი ხსენებულ წერილისა აქვე მოვიყვანოთ. აი ის ადგილიც:

„რაც შეეხება საზღვრებს, უკეთუ დელეგაციის წინადადება იქნება მოწონებული, ახალი სომხეთი, რომელშიაც მოექცევა რუსული სომხეთი, ოსმალეთის 6 ვილაეტი და კილიკია, ე.ი. მცირე სომხეთი გაჭიმული იქნება შავი ზღვიდან ხმელთა შუა ზღვამდე. შავ ზღვაზე მდებარე სამსუნი თავის თავად ცხადია, დარჩება ოსმალეთს თავისი შინაგანი წესწყობილებით და აგრეთვე ანატოლიაც. ამ პუნქტიდან ზღვის ნაპირი ტრაპიზონის აღმოსავლეთით მდებარე პუნქტამდე შეადგენს სომხეთის სანაპიროს.

საქართველო-სომხეთს შორის საზღვარი დაწესდა ტრაპიზონის-ერზერუმის ნავსადგურის და ბათუმის შუა, რომელიც (ე.ი. ბათუმი) დარჩება საქართველოსთვის ზღვაზე გასასვლელ პუნქტად. ისტორიული თვალსაზრისით სომხებს არ აქვთ უფლება ტრაპიზონზე, მაგრამ ის ვიწრო ტერიტორია, რომელიც მდებარეობს ამ ქალაქის ჩრდილოეთით არის შემაერთებელი ჯაჭვი ზღვასთან, და ეს იქნება ეკონომიური საზღვარი, რომლის სომხეთისათვის მინიჭება-ზე უარს არ იტყვის არც ერთი მიუდგომელი კომისია. შავი ზღვის ნაპირიდან ჩრდილოეთის საზღვარი სომხეთისა წავა აღმოსავლეთით – შეიერთებს არტაანს, ყარსს, ალექსანდროპოლს-ერევნის გუბერნიის ახლანდელ საზღვრამდე, სადაც სჭარბობს სომხობა. სამხრეთით სომხეთის აღმოსავლეთის საზღვარი მიაღწევს სპარსეთის საზღვარს ქურთების მხარემდე, აღმოსავლეთით და დასავლეთით გაყვანილი იქნება სადემარკაციო ხაზი, რომელმაც უნდა გაჰყოს და დიდათ დააშოროს რაც შეიძლება ერთმანეთს ქურთებისა და სომხეთის ტერიტორია. ამ ხაზის გაყვანა

შეიძლებოდა ბითლისის და ვანის პროვინციებზე დიარბეკერამდე. სადაც უნდა დაწესდეს არაბეთის საზღვარი, დიარბეკერიდან კი სამხრეთ დასავლეთით ალექსანდრეტიდან ხმელთა შუა ზღვამდე. დასავლეთით საზღვარს შიგნით დარჩება მერსინა, ხმელთა შუა ზღვის ნაპირად მდებარე. იქიდან კი ხაზი გაივლის ჩრდილოეთით იმ პუნქტამდე, რომელიც იქნება სამსუნსა და ორთა შორის შავი ზღვის ნაპირად. ეს ხაზი კი შეადგენდა აბალი სომხეთის დასავლეთ საზღვარს".

აი ეს ადგილი გამოსტოვა "ზაკავკაზსკოე სლოვომ".

# ჭორები საქართველოს შესახებ

*წყარო: გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 22 თებერვალი, 1919 წ., № 42, გვ. 3-4.*

როგორც სარატოვის რაიონში, ისე ყუბანის ოლქში, მატარებელში თუ სხვაგან, სადაც კი 5-10 კაცი მოიყრის თავს, აუცილებლათ ჩამოვარდება ლაპარაკი საქართველოს შესახებ. საქართველო მოღალატეა. აბა, შეხედე სომხებს, როგორი ერთგულება გამოიჩინეს, ამბობს ერთი პოლკოვნიკი, საქართველოდან დაბრუნებული. სომხებმა ტფილისი აიღეს და ეხლა ჩვენთან შემოერთება უნდათ; ამ დღეებში სომხების მთელი დივიზია ჩვენს ჯარს შეუერთდებაო.

სომხის შოვინისტები ხომ ცეცხლზე ნავთს ასხამენ. ეწევიან აგიტაციას: საქართველოდან რუსებს ერეკებიან, ვინც არ დასტოვებს საქართველოს, ჯარში გაჰყავთ ან ციხეში ამწყვდევენ, აი, რას გაიგონებთ მათგან. ყველაფერი ეს ნდობას უკარგავს ქართველებს, ისედაც შევიწროვებულთ კიდევ უფრო ავიწროებენ.

ჩვენი სამხედრო ტყვეები აუტანელ გაჭირვებას განიცდიან, მშიერნი, შიშველ ტიტველნი დაბრუნებული ტყვეები ლამობენ ჩქარა სამშობლოში მისვლას, მაგრამ ნაცვლად ხელის შეწყობისა, მათ აჩერებენ გზებში, უმეტესად ყუბანში, ამუშავებენ სოფლებში, არის შემთხვევა, როცა როზგებითაც უმასპინძლდებიან. ამის შესახებ არა ერთხელ მიმართეს ყუბანის მთავრობის წევრს, რომელიც განაგებს ტყვეების საქმეს, რომლისგანაც პასუხად მიიღეს: „ყველა ქართველი ტყვეები მიღებისთანავე იგზავნებიან საქართველოში, ჩვენ მათ არ ვაჩერებთ, მაგრამ არის შემთხვევა, როცა დენიკინის მოხელენი აჩერებენ მათ, ამის გამო საჭიროა მიმართონ დენიკინსო. ასეც მოიქცა საქართველოს წამომადგენელი, მაგრამ ასეთ მოვლენას ბოლო არ ელება. დენიკინის მომხრენი კი ყოველივე საშუალებას ხმარობენ რითაც კი შეეძლებათ შეავიწროვონ საქართველოს მოქალაქენი.

(„ერ.")

# ბბ. ჩხეიძისა და წერეთლის კონსტანტინეპოლიდან წასვლა.

*წყარო: გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 25 თებერვალი, 1919 წ., № 44, გვ. 2.*

ტფილისი, 24 თებერვალი. ინგლისის მისიამ საქართველოს გარეშე საქმეთა მინისტრს შემდეგი აუწყა: თქვენს შეკითხვაზე, თუ სად იმყოფება პარიზის საზავო კონფერენციაზე მიმავალი საქართველოს დელეგაცია, მაქვს პატივი გაუწყოთ, რომ ჩხეიძე და წერეთელი კონსტანტინეპოლიდან მარსელს გაემგზავრნენ. დელეგაციის დანარჩენი წევრები ჯერ ისევ კონსტანტინეპოლში იმყოფებიან.

# ქრონიკა

*წყარო: სამხედრო ჟურნალი „რესპუბლიკის ჯარი", 1919 წ., № 13, გვ. 16.*

ჩვენი საზავო დელეგაციის წევრები კ. ჩხეიძე და ირ. წერეთელი სტამბოლიდან მარსელში მივიდნენ. დანარჩენი წევრები ჯერ კიდევ სტამბოლში არიან.

## ცნობა ბათომიდან
### მდგომარეობა ბათომში.

*წყარო: გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 28 თებერვალი, 1919 წ., № 47, გვ. 3;*
*1 მარტი, 1919 წ., № 47, გვ. 3.*

ადგილობრივ მცხოვრებლებთან ერთად ჩამოვიდენ მუშებიც. მუშებს და მცხოვრებლებს გამოღვიძება დაეტყო. ამოძრავდა მათი პროფესიონალური აპარატი. განაახლეს თავიანთი კავშირები. მოითხოვენ 8 საათის სამუშაო დღის დაკანონებას, აფთიაქში მომუშავეთა გაფიცვა მათ გამარჯვებით დამთავრდა. ქობულეთში ადგილობრივმა ადმინისტრაციამ აუკრძალა მუსულმანთა გამანთავისუფლებელ კომიტეტის განყოფილებას მოქმედება მაშინ, როცა მოწინააღმდეგენი თავისუფლათ თარეშობენ. ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ რომ ამ კომიტეტს ხალხის თვალში სახელი გაუტეხონ. მათ შეუმუშავებიათ ახალი მემორანდუმი ინგლისელებისთვის მისართმევათ, რომელშიაც ადგილობრივი ხალხი ითხოვს სამხრეთ-დასავლეთ რესპუბლიკასთან შეერთებას, ამათ უკვე მოუსწრიათ ზოგიერთ სოფლებისთვის ხელის მოწერინება. ეჭვი არაა ამ ხელმოწერილ მემორანდუმს გაგზავნიან სამშვიდობო კონფერენციაზე, ვითომდა ხალხის სურვილის გამომხატველს.

## სომხეთის დელეგაცია საზავო კონფერენციაზე

*წყარო: გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1 მარტი, 1919 წ., № 48, გვ. 2.*

სომხეთის დელეგატების მიერ საზავო კონფერენციაზე წარდგენილ მოთხოვნილების გამო სომხეთის დელეგაციის ერთმა წევრთაგანმა აგარონიანმა შემდეგი განუცხადა გაზეთ „ტან“-ის თანამშრომელს: „სომეხთა ეროვნულმა საბჭომ 1918 წლის მაისის 27 სომხეთის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. მოიწვიეს სომხეთის პარლამენტი და შესდგა მთავრობა, რომელსაც ეროვნულმა საბჭომ გადასცა თავისი უფლებები. ამჟამად სომხეთის რესპუბლიკას უჭირავს 60,000-ზე მეტი კვადრატულ კილომეტრის ტერიტორია, მცხოვრებთა რიცხვი 2 მილიონს უდრის. სომხები ჩადგენ მეომართა შორის მსოფლიო ომის პირველ დღიდანვე, უარყვეს ოსმალეთის წინადადება და მოკავშირეთა ჯარს შეუერთდენ. სომხეთის ერს იმედი გაუცრუა იმ გარემოებამ, რომ მისი წარმომადგენლები არ დაუშვეს საზავო კონფერენციაზე; ჩემმა მთავრობამ დაავალა დელეგაციას, რომლის მეთაური მე ვარ, რომ პირველ ყოვლისა მოითხოვოს 1) ბრძოლის ველზე მოპოებულ სომხეთის დამოუკიდებლობის აღიარება, 2) სომხეთის რესპუბლიკის წარმომადგენელნი დაუშვან საზავო კონფერენციაზე. რაც შეეხება ჩვენი ერის დანარჩენ მოთხოვნილებებს, – ჩვენ ოვითხოვთ: 1) სომხეთის სრულ დამოუკიდებლობას იმ პირობით, რომ სომხეთის რესპუბლიკას შეუერთდეს ოსმალეთის სომხური პროვინციები; ამგვარათ შემდგარი სახელმწიფო ხალხთა ლიგის მფარველობის ქვეშ იყოს და შეთანხმების ერთ-ერთმა სახელმწიფომ მფარველობა უნდა გაუწიოს. 2) საჭიროა სომხეთს მიეცეს გასავალი ზღვისკენ, ურომლისოდაც ჩვენ ხალხს არსებობა არ შეუძლია.

## ბათომი
### ქართველი ტყვეები

*წყარო: გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 8 მარტი, 1919 წ., №54, გვ. 2.*

„... ინგლისელები ბათუმიდან არავის უშვებენ სტამბოლისაკენ, მართალია განცხადება ამის შესახებ არსად არ არის გაკრული, მაგრამ ფაქტიურად მაინც არავის უშვებენ. ასეთივე მდგომარეობაა სტამბოლიდან მომავლებისათვისაც ჩვენსკენ. მიზეზი გამოურკვეველია...“

## სომხეთის მისიის შუამდგომლობა

*წყარო: გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 8 მარტი, 1919 წ., № 54, გვ. 2.*

სომხეთის დიპლომატიურმა მისიამ სთხოვა საქართველოს მთავრობას, რათა უკანასკნელმა გადასცეს მას ყველა საქმეები და სტატისტიკური ცნობები, რომელიც სომხეთის ტერიტორიას შეეხება.

### რ. ინგილო

## ტერიტორიის საკითხი და სომხეთთან მოლაპარაკება

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 9 მარტი, 1919 წ., № 54, გვ. 1.*

რამდენიც უნდა ითქვას ამიერ-კავკასიის დემოკრატიის საერთო ინტერესებზე, ბევრიც რომ სცადონ ამ ტერიტორიის ფარგლებში გამოცხადებულ სახელმწიფოთა მცხოვრებლების ამა თუ იმ სახით გაერთიანება და უკიდურესი ზომებიც რომ იქმნას მიღებული მათ შესაკავშირებლად და დასაახლოვებლად, – ის მაინც ფაქტად დარჩება, რომ ამ სახელმწიფოთა „დემოკრატიას“ ჯერ-ჯერობით გასაყოფი და განსაცალკევებელი უფრო მეტი აქვს, ვიდრე შესაერთებელი და საზიარო.

საერთო ინტერესებზე მითითება იმ დროს, როცა თვითეული სახელმწიფო და ერი განკერძოებულად უნდა მოქმედებდეს რთულ სახელმწიფოებრივ მექანიზმის ასამუშავებლად, ხშირი წერა და ლაპარაკი „დემოკრატიის გაერთიანებისათვის“, როცა ამ დემოკრატიას საკუთარი სახელმწიფოს საქმეების გაძღოლა აქვს დავალებული პირველ ყოვლისა ჩვენის აზრით შემცდარი პოლიტიკაა...

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ტერიტორია ჯერ კიდევ მოუხაზველია, მათ შორის მტკიცე და საბოლოო საზღვარი არ არის დადებული და ის დაუმთავრებელი უთანხმოება და კონფლიქტები, რომელნიც ახალ პოლიტიკურ ერთეულების შორის დამოუკიდებლობის აღიარების პირველ დღიდანვე წარმოიშვა და ასუსტებს მათ, უტყუარი საბუთია ჩვენ მიერ მოყვანილ მოსაზრებისა, რომ წინდაწინვე ძახილი მხოლოდ შეერთება-შეკავშირებაზე, როცა თვით ობიექტი შეერთებისა არარაობას წარმოადგენს, მიზანს ვერ მიაღწევს!

საზღვრების ამოხაზვისათვის საქართველოს მეზობელ სახელმწიფოებთან – სომხეთთან და სამხრეთ რუსეთთან სასტიკი ომის წარმოებაც დასჭირდა, ხოლო ერთ სახელმწიფოსთან ჯერაც ვერ განუმტკიცებია კეთილმეზობლური დამოკიდებულება.

მრავალჯერ აღგვინიშნავს პოლიტიკურ მესვეურთა ყურადსაღებად, რომ სახელმწიფოს სააღმშენებლო მოღვაწეობა კუთვნილ მიწა-წყლის შემოკრებით უნდა დაიწყოს, რომ უშედეგოა და უმიზნო პირველხარისხოვან სოციალურ, თუ პოლიტიკურ რეფორმათა განხორციელება, უკეთუ სახელმწიფოს სხეული დანგრეული და დაქსაქსულია.

პოლიტიკური გულუბ[რყვ]ილობა და ხალხთა ისტორიის უცოდინრობაა ჩვენი სახელმწიფოს მეთაურთა ოცნება, თითქოს საერთაშორისო კონგრესზე დიდი სახელმწიფოები საქართველოს საზღვრების დეტალების გამორკვევითა და საბოლოო ჩამოყალიბებით თავს აიტკივებენ და მზამზარეულად შექმნილ ყოველმხრივ დამაკმაყოფილებელ საზღვრებს მოგვთავაზებენ!

ამიერ-კავკასიის სახელმწიფოების კონფერენციებს ტერიტორიის საკითხი საერთაშორისო კონგრესამდე თვითონ უნდა გადაეჭრათ და ამის შემდგომ მხოლოდ უნდა წამდგარიყვნენ მსოფლიო სამსჯავროს წინაშე. ეს არ მოხდა თავის დროზე და ამაშია სწორედ გამოუსწორებელი სისუსტე ახალი რესპუბლიკებისა და უმეტესად ჩვენი ქვეყნისა, რადგანაც, ვინ არ იცის, რომ ტერიტორიის საკითხის გამოურკვევლობით საქართველო ყველაზე ძლიერ დაზარალებული და დაუძლურებულია, ჩვენს რესპუბლიკას მოწყვეტილი აქვს უმდიდრესი და სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი და უსაჭიროესი კუთხეები და მათ შემოსაერთებლად სათანადო ზომები არ მიუღია ჩვენს მთავრობას.

რა მიზეზია, რომ საქართველოსა და აზერბეიჯანის შორის მოლაპარაკებას საზღვრების გადასაჭრელად აქამდისაც არა ჰქონია ადგილი და დღესაც კანცელარიული მიწერ-მოწერით ორივე სახელმწიფოები მხოლოდ ართულებენ და აუარესებენ ურთიერთ განწყობილებას?!

სომხეთთან მოლაპარაკებამ თავის დროზე „ნაყოფიც“ გამოიღო და ჩვენი რესპუბლიკა

იძულებული შეიქმნა რკინის არგუმენტები მიეშველებინა დიპლომატიური ნოტებისათვის. ეს აღარ უნდა განმეორდეს, რადგანაც ამ „არგუმენტებს“ შესაძლოა რესპუბლიკათა თვით არსებობაც შეეწიროს.

დღეს ჩვენი მთავრობა მოლაპარაკებას აწარმოებს არარატის რესპუბლიკის წარმომადგენლებთან და ამ მოლაპარაკების ცენტრი, თავის თავად ცხადია, ტერიტორიის საკითხისაკენ გადაიხრება. გაზეთების ცნობით, სომხეთის საერთაშორისო პოლიტიკაში უკანასკნელ დროს შესამჩნევი ცვლილება მო[ხდ]ა და ეს იმაში გამოიხატება თავდაპირველად, რომ სომხეთს პირი სამხრეთისკენ უბრუნებია და ოსმალეთის ვილაჰეთების შემოერთებაზე ზრუნავს. ხმებია თითქოს ნუბარ-ფაშაც ამ გეზით მოქმედებდეს პარიზის კონგრესზე და საქართველოსთან შეთანხმების საშუალებას დაეძებდეს. სომხეთის ასეთი პოლიტიკა მოსაწონია ჩვენთვის, თუმცა, უნდა ითქვას, სამხრეთისკენ საზღვრების გაწევა და გაფართოება ჯერ კიდევ იმის მაჩვენებელი არ არის, რომ სომხეთმა გადაჭრით უარი სთქვას ჩრდილოეთის პრეტენზიებზე.

ტერიტორიის შემოხაზვა და სახელმწიფო საზღვრების მტკიცედ დადება წესიერ სახელმწიფოს აშენების პირველი ფუნქციაა და მისი ღირსეული დამთავრება პოლიტიკურ ცხოვრების ხელმძღვანელების საღვთო მოვალეობას შეადგენს.

საქართველოს მთავრობას მოლაპარაკება აქვს სომხეთის ნაციონალურ პოლიტიკის მატარებელ ადამიანებთან! ჩვენს მთავრობას სულაც არ უნდა აკმაყოფილებდეს ევროპაში მყოფ სომეხ პოლიტიკოსების დეკლარატიული განცხადებანი და ის უნდა ეყრდნობოდეს განსაკუთრებით საქართველოს რესპუბლიკის სასიცოცხლო ინტერესს.

სახელმწიფოებრივი და ნამდვილი ეროვნული პოლიტიკის შესრულება ჩვენს სამშობლოს წარსულ მრავალ შეცდომას გამოუკეთებს და ისტორიის მიერ ნაანდერძევ მიწა-წყალზე საქართველოს სახელმწიფო შეძლებს განაგრძოს დამოუკიდებელი ცხოვრება.

## „საქართველოს დელეგაცია სტამბოლში“

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 16 მარტი, 1919 წ., № 59, გვ. 4.*

სტამბოლიდან თბილისში ჩამოვიდა მთიელთა მთავრობის დელეგაციის მდივანი საზავო კონფერენციაზედ ბ-ნი ალბოგარი, რომელმაც „კ. სლ.“ თანამშრომელს გადასცა, რომ ამჟამად სტამბოლში იმყოფებიან დონის, ყუბანის, აზერბაიჯანის და მთიელთა რესპუბლიკები.

სტამბოლშივე იმყოფება საქართველოს დელეგაციის ნაწილი;

მოკავშირეთა სარდლობა აიმედებს მათ, რომ მოკლე ხანში გაუშვებენ პარიზში.

კ. ჩხეიძე და ი. წერეთელი ისე სასწრაფოდ წავიდნენ, რომ მთელი ბარგის წაღებაც კი ვერ მოასწრეს. წასვლის წინ, მხოლოდ ნახევარი საათით ადრე მიიღეს ცნობა, რომ შეუძლიანთ წასვლა.

ბ-ნი ალგობარი იუწყება აგრეთვე, რომ ყირიმის მთავრობის მიერ საზავო დელეგაციაზედ გაგზავნილი მაკლაკოვი, ფრანგულს გაზეთებში იწოდება, როგორც დენიკინის და კოლჩაკის მთავრობათა წარმომადგენლათ.

მაკლაკოვმა და საზონოვმა განაცხადეს პარიზში, რომ რუსეთი უნდა იქნეს აღდგენილი 1914 წლის საზღვრებში და არავითარი რესპუბლიკანი, მის ტერიტორიაზედ შექმნილნი არ უნდა არსებობდნენ; მათი განცხადებით მოკავშირეებთან ერთად, რუსეთმაც უნდა აიღოს კონტრიბუცია გერმანიისადმი.

## ქრონიკა

*წყარო: გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 18 მარტი, 1919 წ., № 61, გვ. 3.*

სომხეთის წარმომადგენელი პოლოს ნუბარ ფაშა ამბობს, რომ სომხეთი მოითხოვს ტერიტორიას მცირე აზიაში მერსინიდან საქართველოს საზღვრებამდე. ამ ტერიტორიაში შედის კილიკია ერზერუმის სომხური ვილაეთები, ბითლისი, ვანი, დიარბექირი, ხარპუთი და სივასი, ხალხთა ლიგის გარანტიით და ერთ-ერთ დიდი სახელმწიფოს მფარველობით ამ ოლქებისა ან უნდა შესდგეს სომხური ეროვნული სახელმწიფო. სომხები აგრეთვე მოითხოვენ ტრაპიზონს ნავთსადგურს და

ტრაპიზონის ვილაეთის ერთ ნაწილს. კავკასიაში არსებული სომხეთის რესპუბლიკა მომავალში რასაკვირველია შეადგენს ამ სახელმწიფოს ნ[ა]წილს.

## ქრონიკა

*წყარო: გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 18 მარტი, 1919 წ., № 61, გვ. 3.*

გუშინ ტფილისიდან ერევანში გაემგზავრენ სომხეთ-საქართველოს სამშვიდო კონფერენციის წევრნი ს. ხაჩატუროვი და ხონთქარიანი. მათთან ერთათ წავიდნენ ტფილისში მყოფი სომხეთის პარლამენტის წევრნი.

## უკანასკნელი ცნობები

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 22 მარტი, 1919 წ., № 64, გვ. 2.*

ჩხეიძე და წერეთელი პარიზს ჩასულან. „პტი პარიზენის“-ის წარ-ს საუბრისას განუცხადეს: „საქართველო ტერიტორიალ დათმობებს არ თხოულობს, მას შესწევს ძალა თვისი საქმეები თვითონ მოაწყოს. საქართველო ითხოვს, რომ იგი დამოუკიდებელ სუვერენ[უ]ლ სახელმწიფოდ აღიარონ.“

## საქართველოს დელეგაცია პარიზში. ინგლისური პრესის ცნობა.

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 22 მარტი, 1919 წ., № 64, გვ. 3.*

რუსეთის რევოლიუციის ლიდერები ჩხეიძე და წერეთელი ჩამოვიდენ პარიზში, სადაც საზავო კონფერენციას განუმარტავენ საქართველოს რესპუბლიკის მოთხოვნილებებს. გაზეთ „პტი პარიზენის“ წარმომადგენელთან საუბრის დროს მათ განაცხადეს: „საქართველო არ თხოულობს ტერიტორიალურ დათმობათ, მას შესწევს ძალა თავისი საქმეები თითონვე მოაწყოს. საქართველო თხოულობს მხოლოდ მას, რომ იცნონ ის დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოთ“.

## აზერბაიჯანის დელეგაცია

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 27 მარტი, 1919 წ., № 68, გვ. 3.*

მინისტრ-თავმჯდომარე ხან-ხოიელს აცნობეს „ნავრუზ ბაირამის“ დღესასწაულზე სტამბოლიდან აცნობეს, რომ აზერბაიჯანის დელეგაციას ნება დართეს საზავო კონფერენციაზე პარიზს გაემგზავროს.

## სომხეთის წარმომადგენელთა კონფერენცია პარიზში.

წყარო: *გაზეთი* „საქართველო“, 27 *მარტი*, 1919 წ., № 68, გვ. 3.

სომხეთის ნაციონალურ დელეგაციის გარდა დღეს პარიზში იმყოფებიან სომხეთის წარმომადგენელნი, რომელთაც კონფერენცია აქვთ მოწვეული. ამ კონფერენციაში მონაწილეობს 36 დელეგატი. მათ შორის არიან: სტამბოლელი დელეგატები: ეპიზკოპოზი დუროანი, ექიმები ბარსელიანი და ტერ-აკოფიანი, ეგვიპტიდან: წურიბი და ტექსიანი; ბულგარეთიდან საიანი და გინდულიანი;

სპარსეთიდან: ხან მასიანი და ვარადიანი, ინგლისიდან: პოლოს ნუბარი.

ამიერ-კავკასიის ოსმალეთოს სომხებისაგან ლ. ბანტო, ვ. პაპაზიანი და ტერზემიანი, შვეიცარიიდან: ნორტაუნიანი, იტალიიდან: ტერ-სტეპანიანი, პარიზიდან: ხან ბელაგიანი, ნერსეს ხანი და სხვანი.

## აზერბაიჯანი
### ანტი-სომხური პროპაგანდა

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 27 მარტი, 1919 წ., № 68, გვ. 3.*

სომხეთის ფრაქციის შეკითხვაზე, აზერბაიჯანის პარლამენტისადმი განჯის გუბერნიაში სომხეთის ანტი-პროპაგანდის გავრცელების შესახებ, შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ მის სამინისტროში ამგვარი ცნობები არ მოსულა. და ამ ცნობების შეკრების და დადასტურებისათვის შესაფერი ზომებია მიღებული.

## სომხეთში
### სომხეთის დამოუკიდებლობის საკითხი ინგლისის პარლამენტში.

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 27 მარტი, 1919 წ., № 68, გვ. 3.*

სტამბოლის გაზეთი „ჟღლოურდის არძაგაიკი“ გადმოგვცემს:

„სომხეთის დამოუკიდებლობა ოფიციალურად აღიარებულია ინგლისის მიერ. ინგლისის წარმომადგენელს სტამბოლში გენ. უილსონს დავალებული აქვს სომხეთის დამოუკიდებლობის შუამდგომლობა მოკავშირეთა შორის, რათა მათაც აღიარონ სომხეთის დამოუკიდებლობა.

სომხეთის დამოუკიდებლობის საკითხმა ინგლისიის პარლამენტში დიდი დემონსტრაცია გამოიწვია. პარლამენტის ბევრმა წევრმა სიტყვები წარმოსთქვეს სომხეთის სასარგებლოდ, რომელშიაც აუწყებდნენ რომ თანამედროვე ომში სომხეთის ერი მეტად დაზარალდა. ყოფილ პრემიერმა ასკვიტმა თავის სიტყვაში გადმოთვალა ის ფაქტები, რომლითაც დიდი სამსახური გაუწია მ[ო]კავშირეებმა სომხეთის ხალხს. მხურვალე აპლოდისმენტების შემდეგ ასკვიტმა წინადადება შეიტანა პარლამენტში რომ ამიერიდან სომხეთი ოფიციალურად იცნონ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, რომლის ფარგლებში შევა კილიკიაც და მალე გაერთიანდება სრულიად სომხეთი. ყველა დეპუტატებმა ასკვიტის სიტყვას თანაუგრძნეს.

დასასრულ მთავრობის თავმჯდომარემ ილაპარაკა ოსმალეთის იმ სომხების დარბევის და აწიოკების შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა ოსმალეთის რეჟიმში.

პარლამენტის სხდომაზე, რომელიც გაგრძელდა რამდენიმე საათს, პარლამენტის წევრებს ლაპარაკი ჰქონდათ მხოლოდ სომხეთის საკითხის შესახებ.

### დეკანოზი პ. კარბელაშვილი
## საქართველო-სომხეთის საზღვრებისათვის

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 27 მარტი, 1919 წ., № 68, გვ. 3.*

ქართველთა და სომეხთა შორის ბრძოლა ახალი ამბავი არ არის, ორი ათასის წლის წინათაც სომხეთი არ უსვენებდა საქართველოს. დასავლეთ აზიაში ჯერ ხომ მაკედონია განძლიერდა, მერე სირია და ბოლოს პართნი – არშავიდები. მათ შემდეგ ბურთი და მოედანი ბიზანტიასა და სპარსეთს დარჩა. ეს ორი ბუმბერაზი ხომ წამ და უწუმ იბრძოდნენ, შუაში სომხეთი იყო მუდამ მომწყვდეული და ბრძოლის დროს ხან იქით აწყვეტებდნენ, ხან აქეთ: ხან ერთს მიემხრობოდა, ხან მეორეს. კონსტანტინე დიდის დროს სომხეთმა პატარა სული მობრუნა დიდის თრდატ მეფის მხნეობით და თრდატის დამეგობრებას ბიზანტია და სპარსეთი ერთმანეთს ეცილებოდნენ, რათა გამარჯვებული ისა რჩებოდა, ვისი მოკავშირეც თრდატი იყო. წინა დროებში საქართველო

სპარსეთს ემხრობოდა ხოლმე ხშირათ და ამ ძველი ანგარიშის გასასწორებლათ თრდატმა დავიდარაბა აუტეხა საქართველოს მეფეს მირიანს. მირიანმა კონსტანტინე დიდს მიმართა გვიშუაკაცე და ბოლო მოუღე სომეხ-ქართველთა შორის ბრძოლასაო. კონსტანტინე დიდს იამა ესეთი კაცთმოყვარული შეგნება და ასე გაუთავა საქმე: „რომელთა ქვეყანათა მდინარენი დიან სამხრით და მიერთვიან რახსსა (არაქსი), ესე ქვეყანანი თრდატის კერძად დაჰყარნა, და რომელისა ქვეყანის მდინარენი ჩრდილოთ ჰდიან და მიერთვიან მტკვარსა-მირიანის კერძად დაჰყარნა“. მას აქეთ აგერ ათას ექვსასი წელი გავიდა და ბოლო არ მოეღო უსამართლო ბრძოლასა.

გოგჩის ტბის ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით აზიდულია მთა ბოდოლისა, ანუ ბამშავისა; ამ მთის გაგრძელება ჩრდილო-დასავლეთით არის მთა აბოცისა, სამხრეთ-აღმოსავლეთით ქედი ვიუმიურდიუ, მთები – მაიმეხი, მარადიჯა, სოუხ-ბულახი და ქედი შაადაღი გოგჩის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთით. აი ის მთა-ქედები, რომელნიც საზღვრათ უჩინა კონსტანტინემ თრდატ-მირიანს. მხოლოთ ბრმა თვალით და გონებით უარჰყოფს ამ ბუნებრივს განსაზღვრასა – ისტორიულათაც და გეოგრაფიულადაც. ამ მთა-ქედებიდგან გამომდინარებენ მაშავერი თავის ტოტებით (ბამშავი, ღრის წყალი და სხ.). განა არ იციან, თვალებს რათ ხუჭავენ, რომ სწორეთ ზემო აღნიშნულ სამზღვრამდე ვრცელდებოდა საქართველოს სამეფო და ერეკლე მეფეს ხელში ეჭირა და ამ სამზღვრამდე ჩააბარა რუსეთს თვისი სამეფო საყარაულო ორთნავამდე? განა XIV, XV, XVI, XVII საუკუნოებში და მეთვრამეტე საუკუნის დამდეგსაც საქართველოს ხელში არ იყო ლორე, ბამბაკი და აბოცი-ტაშირი?

გა[ნ]იხილეთ ბატონებო ვახუშტი ბატონიშვილის, ვიპერტის, ანდრეს ატლასები და ნახავთ, რომ საქართველოს სამეფოს სამზღვარი სწორეთ იმ მთა ქედებს მისდევს როგორც თრდატი და მირიანის მორიგდნენ.

საქმე იმაშია, რომ საქართველოს მეფეები ლორის და ბამბაკის (ბოლოს ბორჩალოს) მოურავებს ნიშნავდნენ თავის აღრჩევით და ამ მოურავებს სომხის მეისტორიე ბერები სომხეთის მეფეებს უწოდებდენ. ორბელიანებმა რომ საქართველოს მეფეებს უღალატეს არა ერთხელ, მათ მაგიერათ მხარგრძელნი დაადგინეს, მაგრამ რა გამოვიდა?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ უძველესი ბუნებრივი განსაზღვრა უცილობელად აღდგენილ იქნება მშვიდობიანობის ჩამოსაგდებათ.

მოვალენი არიან სომეხთა ერის გულშემატკივარნი ეს განიცადონ და დარწმუნდნენ, რომ ქართველს ერს ცოცხალის თავით არ ძალუძს დასთმოს თვისი სამეფოს ბუნებრივ, უძველესი განსაზღვრა.



ბურნაშევის მიერ შედგენილი რუკა, 1784 წელი

# საქართველოს დელეგაცია

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 3 აპრილი, 1919 წ., № 74, გვ. 2.*

გუშინ სტამბოლიდან თბილისში ჩამოვიდა საზავო კონფერენციაზე გაგზავნილი საქართველოს დელეგაციის ნაწილი: ნიკო ნიკოლაძე, გრიგოლ რობაქიძე, პრ. ჯავახიშვილი, ვ. ღამბაშიძე, ივ. ზურაბიშვილი, გენ. ოდიშელიძე და სხ. ნიკო ნიკოლაძე დარჩა თავის სამშობლო სოფელში. დაწვრილებით ხვალ.

# ახალი ამბები

*წყარო: გაზეთი „ერთობა“, 4 აპრილი, 1919 წ., № 76, გვ. 2.*

საქართველოს დელეგაციის ნაწილი, რომელიც პარიზში არ იქნა გაშვებული, სტამბოლიდან გუშინ თფილისში დაბრუნდა.

# საქართველოს დელეგაციის დაბრუნება.

*წყარო: გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 4 აპრილი, 1919 წ., № 76, გვ. 3.*

სტამბოლიდან ტფილისში ჩამოვიდა საზავო კონფერენციაზე გაგზავნილი საქართველოს დელეგაციის ნაწილი ბ. ბ. ნ. ნიკოლაძე, გ. რობაქიძე, პროფ. ჯავახიშვილი. ვ. ღამბაშიძე, ივ. ზურაბიშვილი, გენ. ოდიშელიძე და სხვ. ნ. ნიკოლაძე დარჩენილა თავის სოფელ ჯიხაიშში.

# სომხეთის მოთხოვნილებანი (ფრანგული გაზეთი „თემპს“ 27 თებ. 1919 წ.)

*წყარო: გაზეთი „ერთობა“, 9 აპრილი, 1919 წ., № 79, გვ. 2.*

„სომხების დელეგატები, რომლებიც დღეს მოსმენილ იქნენ დიდი სახელმწიფოების საბჭოს მიერ, არ კმაყოფილდებიან სომხეთის რესპუბლიკისთვის სომხეთის ტერიტორიის მოთხოვნით. მათი მოთხოვნილებანი გასწვდება სხვათა შორის მეზობელ მუსულმანურ ვილაიეტებს, სადაც გაფანტულია ცოტად თუ ბევრად მრავალ რიცხოვანი სომხების კოლონიები“.

გაზეთს მოჰყავს ბ. აგარონიანის განცხადება, საცა, სხვათა შორის ნათქვამია, რომ სომხეთი მოითხოვს: 1. დამოუკიდებლობას მთლიანად სომხეთისა, რომელიც ჰფარავს სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიას და ოსმალეთის სომხურ პროვინციებს; 3. ამ სახელმწიფოს გასავალი უნდა ჰქონდეს ზღვაში, რომ უზრუნველჰყოს თავისი უშიშროება და თავისი ეკონომიური და კულტურული განვითარება.

ამ საკითხს გაზეთი „თემპს“ 27 თებერვლის ნომერში უძღვნის მეთაურ წერილს: წერილს სათაურად აქვს „სომხეთის იმპერია“.

აღნიშნავს რა იმ უბედურებას, რომლებიც თავს დაატყდა სომხის ხალხს მსოფლიო ომის დაწყებისთანავე „თემპს“ იძლევა კითხვას:

„რამდენი სომეხი დარჩა ოსმალეთში? ბრაისის მოხსენების თანახმად ოტომანის იმპერიის სომხობა 1915 წლის ხოცვა ჟლეტამდე შეადგენდა საერთოდ 1,600,000-დან 2,000,000-მდე სულს. ამ რიცხვიდან 1,000,000 დან 1,200,000 სულამდე განდევნილ იქნა. დაახლოვებით ნახევარი ამ განდევნილებისა დაიღუპა. შედეგად ვიღებთ დაახლოვებით სამ ერთნაირ ნაწილს 600,000 სულამდე გადარჩა განდევნას, 600,000 სულამდე განდევნილებისა გადაურჩა სიკვდილს, დანარჩენები დახოცილ იქნა ანდა გასწყდენ შიმშილისაგან. ექიმი ლეპსიუსი ამ სტატისტიკის შესახებ იმავე დასკვნამდე მიდის, რასაც

ადგია ბრაისი თავის მოხსენებაში. ამერიკის კომიტეტი, რომელმაც მიზნად დაისახა სომხეთის დახმარება, აცხადებს, რომ დაღუპულთა რიცხვი უდრის 600,000 სულიდან 850,000 სულამდე. სომხეთის დელეგაცია, რომელიც გუშინ მოსმენილ იქნა ამტკიცებს თავის მემორანდუმის დამატებით შენიშვნებში, რომ ომამდე ოსმალეთში სომხების რიცხვი უდრიდა 2,000,000 სულზე ცოტა მეტს და რომ „ამ ომის დროს დაიღუპა 1,000,000 სულზე მეტი სომეხიო". მაშასადამე ნამდვილად გადარჩენილთა რიცხვი არ აღემატება იმ 1,200,000 სულს, რომელზედაც ლაპარაკობს ბრაისის მოხსენება. ამ რიცხვს სომხეთის დელეგაცია უმატებს იმ 1,800,000 სულს რომლებიც დასახლებული არიან წინანდელ რუსეთის ტერიტორიაზე კავკასიის სამხრეთში (ამათში 1,300,000 სული მოსახლეობს რუსეთის სომხეთში, ამ ს[ი]ტყვის ნამდვილი მნიშვნელობით) და 823,000 სულს, რომლებიც გაფანტულნი არიან მთელ მსოფლიოში.

[...]

ჩვენ იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ სომხები მთელ დედამიწის ზურგზე შეადგენენ 4,000,000 სულს, ამ რიცხვში 3,000,000 სული მოსახლეობენ ოსმალეთისა და რუსეთის „სომხურ" ოლქებში. ასეთია სომხეთის მდგომარეობა. მაგრამ სომხეთის დელეგაცია სამართლიანად შენიშნავს, რომ „გაგონილი უნდა იქნეს არა მარტო გადარჩენილ სომეხთა, არამედ მკვდრების ხმაცო". აგრეთვე მიღებულ უნდა იქნეს სახეში ისიც, რომ სომხები იბრძოდენ მოკავშირეთა საქმისათვის. რომელ ტერიტორიებს გულისხმობს სომხეთის დელეგაცია? ეს ტერიტორიებია რუსეთის და ოსმალეთისა. რუსულ ტერიტორიაში, რომელიც ეხლა გადაკეთებულია კავკასიის სომხეთის რესპუბლიკად", შედის მთელი ერევნის გუბერნია, თფილისის გუბერნიის სამხრეთი ნაწილი, სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი განჯის გუბერნიისა და ბოლოს ყარსის ოლქი, იმ ნაწილის გამოკლებით, რომელიც მოთავსებულია არტაანის ჩრდილოეთით. ამგვარად სომხეთის სახელმწიფო დაახლოვებით მივა 30 კილომეტრით ბათუმამდე და დაიჭერს დაახლოვებით 150 კილომეტრს კასპის ზღვიდან მტკვრის მთელ მიდამოებს, რომელიც მიდის თფილისიდან ბაქომდე. შიგ შეტანილი იქნება ძველი სპარსეთის ტერიტორიები, რომლებიც რუსეთის მიერ იქნენ დაპყრობილნი, კერძოდ ნახიჩევანი.

„სომხეთის დელეგაციის მოთხოვნილებანი ოსმალეთში შეეხება შვიდ ვილაიეტს: ვანი, ბითლისი, დიარბექირი, ხარფური, სივასი, ერზერუმი და ტრაპიზონი, ქურთების ოლქთა გამოკლებით, რომლებიც ტიგრის სამხრეთითაა მოთავსებული და ოსმალური ოლქების გარდა, რომლებიც მოთავსებულია ორუსივასის ხაზის დასავლეთით. ამას გარდა დელეგაცია მოითხოვს კილიკიას, რომელიც მიდის ხმელთა შუა ზღვამდე და სადაც შედის ორი ნავთსადგური: მერსინა და ალექსანდრეტტა. სომხეთის სახელმწიფო ამგვარად დაიკავებს მცირე აზიის მთელ აღმოსავლეთ ნაწილს, ტავრიდან და სივასის მიდამოებიდან დაწყებული. მას გასავალი ექნება შავ ზღვაში ისევე, როგორც ხმელთა შუა ზღვაში.

რაც შეეხება შავი ზღვის სანაპიროებს, სომხეთის დელეგაცია წინასწარ შეუთანხმდა საბერძნეთის მთავრობას და ეს უკანასკნელი უარს იტყვის ამ სანაპიროებზე. რაც შეეხება კილიკიასა და ალექსანდრეტტს, იმ ოლქებს, სადაც საფრანგეთმა უნდა ითამაშოს ისტორიული როლი და განახორციელოს თავისი უფლებანი, სომხეთის დელეგაციამ მოთხოვნილებანი წამოაყენა საფრანგეთის მთავრობასთან წინასწარ შეუთანხმებლად. ეს გაკვრით უნდა აღინიშნოს, მაგრამ ამან ხელი არ უნდა შეგვიშალოს მიუდგომლად გამოვიკვლიოთ ის მოთხოვნილებანი, რომლებთაც აყენებს სომხეთის დელეგაცია. საფრანგეთი თავის გულისათვის უნდა დარჩეს სამართლიანი და კეთილ მოსურნე. და სწორედ სამართლიანობის მეგობრობის მოთხოვნილებანი გვაიძულებენ ჩვენ მივაქცევინოთ სომხებს ყურადღება მათი პროგრამის სუსტ მხარეზე. ჩვენ ვხედავთ, რომ სომხები უმცირესობაში არიან ექვს ოტომანის ვილაიეტში: ერზერუმში, თფილისში ) ხარფურში, დიარბექირში და სივასისაში. მხოლოდ ვანის ვილაეტში მათ ჰყავთ უმნიშვნელო უმრავლესობა: 185,000 სომეხი მცხოვრებია 350,000 საერთო რიცხვში. საერთოდ კი 6 ვილაიეტში სულ ისინი შეადგენენ 38,9 პროც. მთელი მცხოვრებლებისა. მთელ კილიკიაში ისინი 407,000, იმ დროს როცა ერთი მხოლოდ ვილაიეტ ადანაში არის 420,000 მცხოვრები, რაც შეეხება ტრაპიზონის ვილაიეტს მათი მოთხოვნა განზრახული არ ჰქონდათ. კარტა შემდეგ ცნობებს გვაძლევს იქ მცხოვრებთა შესახებ: ცენტრალურ ნაწილებში ითვლება 20,000 სომეხი, აღმოსავლეთ ნაწილში კი ისინი სულ 5,000 არიან. სომხების ეს დაქსაქსულობა შედეგია წინანდელი დაპყრობებისა და დევნისა. ეხლა, როცა დგება თავისუფლების ხანა, უნდა მოისპოს ეს ბოროტება. უნდა შეერთდეს სომხობა მცირე ტერიტორიაზე, საცა ეს კომპაქტურ მასსას შეადგენს, თუ უნდა დავადასტუროთ ის დაქსაქსულობა, როდესაც სომხობა გაფანტული და მუდამ უმცირესობაში იქნება დიდ

ტერიტორიაზე? შეზღუდული სახელმწიფოს თუ დიდი იმპერიის არჩევის დროს, გუშინ სომხის დელეგატებმა აირჩიეს იმპერია. მაგრამ მათივე ინტერესებისათვის უპირატესობა უნდა მიეცეს სხვაგვარ გადაჭრას“.

## სომხეთი და ტრაპიზონის ბერძნები.

(გაზეთი „ტემპს“ 1 მარტი) „პონტის ნაციონალური ლიგის“ თავმჯდომარე ბ. ეკონომისი გვწერს სომხეთის მიერ ტრაპიზონის მოთხოვნის შესახებ, რომ შეიძლება ბერძენთა მთავრობამ აღუთქვა ჩვენს მეგობრებს სომხებს, რომ ის ტრაპიზონს არ შეიტანს თავის ტერიტორიაში, მაგრამ ეს სავალდებულოა მხოლოდ საბერძნეთის მთავრობისათვის. ჩვენ კი, პონტის ბერძენ მცხოვრებთა დელეგატები, პროტესტს ვაცხადებთ ასეთ დადგენილების შესახებ. ჩვენ არ გვგონია, რომ ჩვენი მეგობრები სომხები შეგნებულად დაიწყებენ დავას იმის შესახებ, რომ პონტის – ექსანას და განსაკუთრებით ტრაპიზონის ვილაეტს ბერძნული ხასიათი არ აქვს, მაშინ, როცა სომხები იქ წარმოადგენენ უმნიშვნელო უმცირესობას“.

## უკანასკნელი ცნობები

წყარო: გაზეთი „საქართველო“, 10 აპრილი, 1919 წ., № 79, გვ. 2.

ვილსონმა თავის თანამშრომლებს განუცხადა, რომ არ უნდა იქნას მიღებული ისეთი დადგენილებანი, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ყველას მიერ აღიარებულ პრინციპებს და რომ იგი ბოლომდის დაიცავს 14 მუხლის

სავსებით განხორციელებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ის კონფერენციას მიატოვებს. ოსმალეთი ყველა მოთხოვნილებებზე თანხმდება მოკავშირეებს, გარდა სტამბოლის დათმობისა.

## სომხეთის საზავო კონფერენციაზე. სომეხთა მოთხოვნილებანი. („თემპს“ი 1919 წ. თებერვლის 27).

წყარო: გაზეთი „საქართველო“, 10 აპრილი, 1919 წ., № 79, გვ. 3.

სომეხთა დელეგატები, რომელთა განცხადებაც უკვე მოისმინა მოკავშირეთა საბჭომ, თავის პრეტენზიებს არა ჰფარგლავენ მხოლოდ სომხურ ტერიტორიით, და პრეტენზიას აცხადებენ იმ მეზობელ მაჰმადიანურ ტერიტორიაზედაც კი სადაც ცოტად თუ ბევრად სომხური ახალშენებია.

აი აჰარონიანის მიერ წარმოდგენილი განცხადებანი:

სომხეთის ეროვნულ საბჭომ 1918 წელს, მაისის 27 გამოაცხადა სომხეთის დამოუკიდებლობა. მოვიწვიეთ პარლამენტი, შესდგა მთავრობა და ეროვნულ საბჭომ თავისი უფლებანი მათ გადასცა. დღეს რესპუბლიკის ტერიტორიას უჭირავს 60000 კვ. კილომეტრის სივრცე. ინახავს 2 მილიონ მცხოვრებს და 30-40 ათას ლაშქარს...

ფაქტიურად სომხები მსოფლიო ომის პირველ დღიდანვე ჩაებნენ ბრძოლაში, როცა უარჰყვეს თურქების წინადადება და მოკავშირეთა მხარეზე გადავიდნენ.

სომხის ხალხი დიდ სასოწარკვეთილებას მიეცა როცა დაინახა რომ საზავო კონფერენციაზე მისი წარმომადგენელი არ დაუშვეს.

ამისათვის ჩემი მთავრობა გვავალებს დელეგატებს რომ პირველად ყოვლისა მოვითხოვოთ:

1. ბრძოლით მოპოვებული სომხეთის დამოუკიდებლობის აღიარება.
2. რესპუბლიკის წარმომადგენლის კონფერენციაზე დასწრების უფლება.

რაც შეეხება სხვა მოთხოვნილებებს, ეროვნულ უფლებებით დამტკიცებულს მოვითხოვთ:

1) დამოუკიდებლობას გაერთიანებული სომხეთისას, რომელშიაც შევლენ სომხეთი და ოსმალეთის სომხური ნაწილები.

ზემოხსენებული სახელმწიფო იქნება ლიგის მფარველობის ქვეშ, ხოლო ამ გარდამავალ ხანაში ერთ რომელიმე დიდ სახელმწიფოს პროტექტორატში.

2) რომ სახელმწიფოს არსებობა შესაძლებელი იყოს, იგი საჭიროებს გასავალს ზღვისაკენ უამისოდ ჩვენ მდგომარეობაში მყოფი ერი, რომელიც გარშემორტყმულია დასავლეთის კულტურის მოძულე ელემენტებით, ვერ შეძლებს ეკონომიურ კულტურულ განვითარებას.

ამ საკითხს გაზეთი „ტემპს“ 27 თებერვლის ნომერში უძღვნის მეთაურ წერილს: წერილს სათაურად აქვს: „სომხეთის იმპერია“.

აღნიშნავს რა იმ უბედურებას, რომლებიც თავს დაატყდა სომხის ხალხს, მსოფლიო ომის დაწყებიდანვე „ტემპს“ იძლევა კითხვას:

### რ. ინგილო

## რა უნდა იყოს კავკასიის სახელმწიფოთა კონფერენციის საგნად?

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 10 აპრილი, 1919 წ., № 79, გვ. 2.*

ახლო მომავალში განზრახულია ჩვენს დედაქალაქში კავკასიის სახელმწიფოთა კონფერენციის მოწვევა.

ეს იდეა ახალი არ არის. საქართველოს მთავრობა იმ თავითვე ზრუნავდა მეზობელ რესპუბლიკების წარმომადგენელთა თათბირის მოწვევისათვის, მაგრამ ამ იდეამ მიზანს ვერ მიაღწია უმთავრესად სომხეთის შეურიგებლობისა და აგრესსიულ პოლიტიკის გამო.

შემდგომში კავკასიის ერთა კონფერენციის წინააღმდეგ ის მოსაზრება მოჰყავდათ, რომ პარიზის საერთაშორისო კონგრესსი პირველ ყოვლისა განიხილავს ახალ სახელმწიფოთა საკითხს და მათი ბედიც სავსებით იქ გადასწყდებაო.

ასეთი იმედი ჩვენ ილლიუზიად მიგვაჩნია ყოველთვის: ჩვენ მაშინაც ვამბობდით და დღესაც დარწმუნებული ვართ, რომ მსოფლიო კონგრესზე ახლად აღმოცენებულ მრავალ სახელმწიფო ერთეულების საკითხი განიხილება მხოლოდ პრინციპიულად! დეტალების გამორკვევისათვის პარიზში შეკრებილი დიპლომატები ვერ მოიცლიან.

კავკასიის სახელმწიფოთა კონფერენციის მოწვევა იმის მაჩვენებელია სწორედ, რომ ახალი სახელმწიფონი თვითონ უნდა ცდილობდნენ შინაურ საქმეების მოწესრიგებაზე და დიდ სახელმწიფოთა წინაშეც უნდა წარსდგნენ წინდაწინვე შეთანხმებულნი ყველა სადავო და წვრილმან საკითხებში.

უმთავრესი მნიშვნელობის საკითხი, რომელიც დაუყოვნებლივ მოითხოვს გადაჭრას და რომლის გამო ამიერკავკასიის სახელმწიფოთა შორის დაუსრულებელი დავა და უთანხმოებაა დღიდან მათი განცალკევებისა, – არის ტერიტორრიის საკითხი, მათ შორის სახელმწიფო საზღვრების გამიჯვნა. ამ საკითხის შეთანხმებაზე და მის საბოლოო გადაწყვეტაზე დამოკიდებულია ახალ სახელმწიფო ერთეულების შორის ფრიად სასურველი მეგობრული განწყობილება და საზოგადოდ წესიერი საერთაშორისო დამოკიდებულება, და ჩვენ დაიმედებული ვიყავით, რომ სწორედ ეს საგანი იქნებოდა კონფერენციის მუშაობის ღერძი.

მაგრამ ჩვენი წინამოსაზრება არ გამართლდა: ოფიციოზურ სოციალ-დემოკრატიული გაზეთების ცნობით, კავკასიის სახელმწიფოთა კონფერენცია განიხილავს განსაკუთრებით საფინანსო, სარკინისგზო და სატრანსპორტო საკითხებს და შეეცდება მეზობელ სახელმწიფოთა ეკონომიურ დაახლოვების საშუალების გამოძებნას ობიექტიურ პირობათა მიხედვით.

„ერთობა“ დიდად კმაყოფილია კონფერენციისათვის დასახულ გეგმით და კიდევაც აღნიშნავს, რომ ტერიტორიის საკითხის გადადება ჯერ-ჯერობით სასურველიაო; სოციალ-დემოკრატიული გაზეთი იმ გარემოებას კი სრულებით არ უწევს ანგარიშს, რომ უპირველესი მიზეზი ამიერკავკასიის რესპუბლიკების შორის დაუმთავრებელ კონფლიქტებისა და შეიარაღებულ შეტაკებისა ჩამოყალიბებულ საზღვრების დაუდებლობაშია. შეთანხმება და შეკავშირება ყველა სხვა საკითხებში შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ მნიშვნელოვანი სადაო საკითხი გადაწყვეტილია.

არ ვიცით, როგორ მოახერხებენ ჩვენი მმართველები მეზობელ სახელმწიფოებთან თუნდაც სარკინის-გზო საკითხში შეთანხმებას, როდესაც სარკინისგზო ადგილის ნაწილები ზოგი „ნეიტრალურ“ ზონად არის გამოცხადებული, ხოლო ზოგის შესახებ გარკვეული პრეტენზიებია წამოყენებული...

როგორცა სჩანს პოლიტიკური მესვეურნი ჯერ კიდევ ოცნებობენ, „ვინმე მესამის“ საშუალე-ბით დავის დასრულებაზე. მათ ავიწყდებათ მხოლოდ ის, რომ ესოდენი ხნით გადადება საზღვრების და საზოგადოთ სანაპირო კუთხეების გამოურკვეველ მდგომარეობისა მეტის-მეტად აბრკოლებს კავკასიის რესპუბლიკათა ნორმალურ სახელმწიფოებრივ განვითარებას და თითქმის შეუძლებლადა ჰყოფს მათ დაახლოვებას,

მაშასადამე, კავკასიის სახელმწიფოებმა თვითონ უნდა გამონახონ საფუძველი მათ შორის კეთილ-განწყობილების დასამყარებლად და, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ტერიტორიის საკითხის დროზე გადაჭრით ამ სახელმწიფოთა ურთიერთ მეგობრულ დამოკიდებულების შესაძლებლობას უმთავრესი დაბრკოლება ჩამოეცლება.

ამ საგნის გარეშე, კონფერენციის მომავალი მუშაობა ყოვლად უმწეოდ და უშედეგოდ გვესახე-ბა ჩვენ. ლაპარაკი სხვა საკითხების გარშემო საკმაო ბლომა[დ] ყოფილა უწინაც, მაგრამ საქმეს კი არა ეშველა-რა, რადგანაც შუღლისა და უთანხმოების ფაქტორი კვლავინდებურად უძლეველი რჩებოდა.

მწარე გამოცდილებას, ეტყობა, ვერ გამოუსწორებია ილლუზიებით შეპყრობილი ადამიანები! დღესაც ძველებური საზომით ხელმძღვანელობენ და დაგმობილსა და უვარგის მეთოდს ხელახლა ანაღდებენ.

ეს თათბირიც დასრულდება, ისევე როგორც არა ერთი წინა თვეებისა, მაგრამ ამიერ-კავკასიის სახელმწიფოთა შეთანხმება მაინც ფიქტიური იქნება.

ნურავინ იფიქრებს, თითქოს ფინანსიურ და სარკინიგზო-სატრანსპორტო შეთანხმებას ჩვენ უმნიშვნელო მოვლენად ვთვლიდეთ; ჩვენის აზრით, კავკასიის მეზობელ სახელმწიფოთა შორის კონვენციების დადება აუცილებელია სხვა მრავალ საგანზე კიდევ, მაგრამ ვიდრე კავკასიის რესპუბლიკები სახელმწიფო საზღვრების საკითხში არ შეთანხმებულან, რიგიანი მეზობლური დამოკიდებულება მათ შორის ყოვლად წარმოუდგენელია.

ამ გარემოებაზე გვსურს ერთხელ კიდევ შევაჩეროთ პოლიტიკის სათავეში მყოფ პარტიის ყურადღება და, სანამ დაგვიანებული არ არის, ვურჩიოთ, რომ მომავალ თათბირის მსჯელობის საგნად მიჩნეული იყოს თავდაპირველათ სადავო კუთხეებისა და საზღვრების საკითხი, რათა ამაოდ არ ჩაიაროს სახელმწიფოს რწმუნებულთა კონფერენციის მუშაობამ.

# ქრონიკა

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 11 აპრილი, 1919 წ., № 80, გვ. 2.*

საქართველოს საბაჟოები. 7 აპრილს ფინანსთა მინისტრის თავმჯდომარეობით, შინაგან საქმეთა სამინისტროს და საბაჟოს წარმომადგენელთა თანდასწრებით შესდგა კრება, რომელმაც განიხილა საბაჟოებისა და საბარგო სახალხო მატარებლების საზღვართან გადმოსვლა-გადასვლის საქმე. კრებამ დაადგინა: გადიდებულ იქმნას ნატანებ-სალადელო-სადახლოს საბაჟოთა მოხელეე-ბის რიცხვი. 2) აღნიშნულ ადგილებში დაარ[ს]დეს საბაჟო არტელი ბარგის შესაკრავად. 3) მოეწყოს თბილისში პუნქტი საბაჟო ოპერაციებისათვის. 4) საბაჟოებში იშინჯებოდეს მხოლოდ ის ბარგი, რომელნიც აღნიშნულ ადგილებში იგზავნებიან. დანარჩენი ბარგი უნდა იგზავნებოდეს თბილის ფოთის საბაჟოებში. კრებამ სასურველადა სცნო საზღვრების სანაპირო სადარაჯოები ფინანსთა სამინისტროს დაექვემდებაროს.

# ზაქათალის ოლქის ამბები

წყარო: გაზეთი „საქართველო", 12 აპრილი, 1919 წ., № 81. გვ. 4.

გაზეთ „გრუზია"-ში შემდეგი წერილია მოთავსებული პოლკოვნიკი ნადირაშვილისა ზაქათალის ოლქში „ქართული მისსიის" „აღმოჩენის" გამო:

„თბილისის გაზეთებში გადაბეჭდილი იყო შენიშვნა გაზეთ „აზერბეიჯან"-დან – „საქართველოს პრეტენზიები", რომელშიაც მოყვანილი იყო დეპეშა აზერბაიჯანის პარლამენტის თ[ა]ვმჯდომარის სახელზე სოფელ კახიდან. პარლამენტის წევრის ქუჩუკხანოვისაგან ხელმოწერილი. დეპეშა იტყობინება: „რაღაც საეჭვო ქართული მისსია ორი პოლკოვნიკისა, სამი ოფიცრისა და ექვსი შეიარაღებულ მილიციონერებისაგან შემდგარი ერთი კვირაა, რაც დაიარება გუბერნიაში, ეწევა პროპაგანდას და სხვ..."

აღნიშნული დეპეშა სრულებით არ შეეფერება სინამდვილეს, წარმოადგენს გაუგებრობას სავსებით და ამტკიცებს მხოლოდ იმას, თუ როგორ სასოწარკვეთილებაში ცვივიან აზერბეიჯანის ზოგიერთი წრეები ზაქათლის ოლქში, ქართველების უბრალო გამოჩენაც კი, მაშინ, როდესაც აზერბეიჯანელები ათასობით თავისუფლად ცხოვრობენ და მუდმივად იმყოფებიან საქართველოში და ქართველთა შორის არც განრისხებასა და არც მითუმეტეს შიშს არ იწვევენ.

საქმე ასე იყო: ქართულ სოფელ კახის მცხოვრებმა პოდპოლკოვნიკ ტარტარაშვილმა მე, პრაპორშჩიკი ფავლენიშვილი და ექიმი წივწივაძე მიგვიპატიჟა თავისთან. გზაში თავდაცვისათვის ჩვენ გავიყოლიეთ სამი შეიარაღებული ჯარის კაცი, ხოლო ზაქათალიდან გენერალ-გუბერნატორმა, ჩემის თხოვნით, გვაახლა კიდევ ორი მხედარი. ჩვენთანვე გაემგზავრა კახის მცხოვრები ბართლომე ხუციშვილი, რომელიც დარბევისა და აწიოკების გამო 1918 წელში იძულებულ იყო გამოქცეულიყო ოლქიდან და ეხლა მიდიოდა გადარჩენილ მამულ-დედულის დასათვალიერებლად.

ჯერ კიდევ გზაში პოლკოვნიკი ტარტარაშვილი მძიმედ დასნეულდა და ორი დღის მძიმე ავადმყოფობის და ტანჯვის შემდეგ სოფელ კახში გარდაიცვალა, სადაც ჩვენ ის დავასაფლავეთ.
არავითარი პროპაგანდა არავის, გაუწევია. ეს სრულებით არ შეადგენდა ჩვენი კერძო მოგზაურობის მიზანს და, გარდა ამისა, პროპაგანდა ხომ სრულიად ზედმეტია: ჩვენ საკმაოდ დარწმუნებული ვართ, რომ ზაქათალის ოლქის მცხოვრებთა დიდი უმეტესობა უღრმეს სიმპატიით ეპყრობა საქართველოს. როგორცა სჩანს, იმას აზერბეიჯანელებიც კარგად ჰგრძნობენ, რომ ისეთი უმნიშვნელო ფაქტის გამო, როგორიც იყო ჩვენი მოგზაურობა, ისინი საგანგებო დეპეშებს აფრენენ აქა-იქ და გაზეთებში კი აურ-ზაური აუტეხიათ".

# სომხეთის დეპეშა
## საზავო კონფერენცია

*წყარო: გაზეთი „საქართველო", 15 აპრილი, 1919 წ., № 83 გვ. 4.*

სომხეთის დელეგაციამ საზავო კონფერენციაზე პარიზში ამიერ-კავკასიიდან მიიღო შემდეგი შინაარსის დეპეშა: ამიერ-კავკასიის სომხობას საერიოზული საფრთხე მოელის. მაჰმადიანებმა თავი მოუყარეს საკმაოთ დიდ ჯარს, რომელიც ოსმალო ოფიცრების ხელმძღვანელობით შესდგა შარურსა, ნახიჩევანსა, სურმალუსა და ყარაბახში. ამ ჯარებმა იარაღი აჰყარეს ადგილობრივ სომხურ ძალებს და გამოაცხადეს, რომ ოლქი აზერბაიჯანის მთავრობას ემორჩილება. მოსალოდნელია მდგომარეობის გართულება. საჭიროა მოკავშირეთა მთავრობებმა სწრაფი ენერგიული ზომები მიიღონ, რომ თათრები შეაჩერონ, თავიდან სისხლის ღვრა და მოსალოდნელი მდგომარეობის გართულება... (გაუგებარია). საგარეო საქმეთა მინისტრი ტიგრანიანი მიუთითებს რა ამაზე სომხეთის დელეგაციას და აგრეთვე მოკავშირეთა მთავრობებს, სთხოვს მათ დაუყოვნებლივ მიიღონ აუცილებელი ზომები. ამიერ-კავკასიაში ოსმალო ოფიცრების ყოფნას შეუძლია მოყვეს სერიოზული შედეგები, საჭიროა მოხდეს სომხეთის ჯარის რეორგანიზაცია, რომელიც ერთად ერთი წესიერების დამცველი ელემენტია.

## მ. ადამაშვილი
# ისევ საქართველოს საზღვრებისათვის

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 16 აპრილი, 1919 წ., № 84, გვ. 1.*

საცაა წლის თავი უნდა გადავუხადოთ თავისუფალ საქართველოს. ამ ერთ წელიწადში მან თითქო დაიმკვიდრა დამოუკიდებლობა და შექმნა მრავალი პირობა ახლად დაბადებულ ევროპიულ სახელმწიფოსი, მაგრამ ერთ დაბრკოლებას მაინც ვერ სძლია: მან ვერ შემოიხაზა თავისი მიჯნა, ვერ გამოარკვია თვისი საზღვრები და დღესაც ცეცხლითა და მახვილით იკვლევს თავის ბუნებრივ კალაპოტს. ჩრდილოეთის საზღვარი კავკასიონის ქედი – თვითონ ბუნებამ აგვიშენა. ჩრდილო-დასავლეთით იგი, როგორც ეტყობა, ისევ მახვილით უნდა წავწიოთ სოჭისკენ. დასავლეთით, თუ ოსმალეთს ალლაჰხმა არ უღალატა და შეუნარჩუნა 1914 წლის საზღვრები, შეიძლება შევინარჩუნოთ წინანდელი მიჯნა. გაცილებით უფრო რთული და ძნელი გადასაჭრელია სამხრეთისა და აღმოსავლეთის საზღვრები, რომელთაც საბედისწერო მნიშვნელობა ეძლევათ ახლად აღდგენილ საქართველოსთვის.

სომხეთი გვედავება ბორჩალოს დიდს ნაწილს, ჯავახეთს, ახალციხის ნაწილს, არტაანსა და ოლთისს, თორთუმ-ისპირსა და ლაზისტანს. ოთხი თვის წინათ მან იარაღით მოინდომა ჯავახეთ-ბორჩალოს წაგლეჯა და ნაწილობრივ მიაღწია მიზანს: ლორი გამოგვგლიჯა და უცხო ძალას გადასცა. ამავე დროს იგი გამალებული მუშაობს უცხოეთში და იქ ცდილობს სომხეთის აღდგენას საქართველოს ზურგზე. მათში გამოქნილმა დიპლომატიამ აქ ადვილად მოიგო ჩვილი გული ჩვენის მთავრობისა, დააძინა მისი გულისყური და ხელთ იგდო დიდი ავანსი – 3 მარტის ხელშეკრულება, რომელიც ნამდვილი ხარკია გამარჯვებულისა დამარცხებულზე ან გაბრიყვებულზე დაკისრებული. ეს ლუკმა სომხეთმა მარტივი და ორპირული ხრიკით ჩაიგდო. სტამბოლის ერთ სომხურ გაზეთში დაიბეჭდა მოთხოვნილება სომეხთა დელეგატის ნუბას ფაშისა, წარდგენილი პარიზის კონფერენციაზე. იმ მოთხოვნილებაში გაკვრით იყო ნათქვამი, რომ სომხეთი თავის საზღვარს საქართველოსთან მორიგებით გამოარკვევსო. ისე ნართაულად იყო ეს აზრი გამოთქმული, რომ მკითხველს ეგონებოდა, თითქო სომხები აღარც ბორჩალოს გვედავებიან, აღარც ჯავახეთსაო. ჰაერში ასროლილმა ჭორმა შვა სამარცხვინო აქტი 3 მარტისა. ეხლა ირკვევა, რომ სომხებს არ ჰყოფნით საქართველოზე შვიდჯერ მეტი სომხეთი ხმელთა შუა ზღვიდან ბამბაკამდის და სპარსულ ქურთისტანიდან სინოპ-ტრაპეზუნამდის. ისინი პარიზში თხოულობენ „თბილისის გუბერნიის სამხრეთ ნაწილებს“, ე. ი. ჯავახეთ-ბორჩალოს, და აგრეთვე სამუსულმანო საქართველოს სამს მეოთხედს: არტაან-ოლთისს, თორთუმ-ისპირსა და ლაზისტანს.

იმ დროს, როცა იწერებოდა 3 მარტის აქტი ჩვენი მთავრობის მოდუნებულის ხელით, სომხები პარიზში ჩვენს ტანს ნაჭრებსა სჭრიდენ, სოჭაში იარაღით თავს გვესხმოდენ და მესხეთში ოსმალებს ჯავახეთს ევაჭრებოდნენ.

აი ასეთი მადისა და ასეთი შავი გულის ხალხთან გვექნება ლაპარაკი 23 აპრილს. წინაგრძნობა და მწარე გამოცდილება გვეუბნება, რომ ეს დღე კიდევ ერთს შავს თაბახს ჩაუწერს ისტორიაში ჩვენს დიპლომატიას, რომელმაც უკვე წააგო ნახევარი ბორჩალო.

რა საგნები ექნება განსახილველი მომავალ კონფერენციას? ამას ჩვენი საგარეო საქმეთა უწყება საიდუმლოთ ინახავს, თუმცა უნდა ითქვას გაკვრით, რომ ამ უწყებაში არავითარი საიდუმლოება არ ინახება და ყოველი ამბავი ქალაქს ელვასავით ედება.

თუ კონფერენციას საფოსტო, მიმოსვლისა და სხვა წვრილმანი საკითხები ექნება გადასაჭრელი, იგი სასურველი იქნება და ნაყოფსაც გამოიღებს. მაგრამ თუ მან საზღვრების გამორკვევა მოინდომა, იგი თავიდანვე [მკ]ვდარია და რაც უფრო ადრე დაიშლება, უფრო უკეთესი იქნება ყველასათვის. კონფერენციის ასეთ მიზანს თავიდანვე შლის და ხლართავს ის გარემოება, რომ ჩვენ ეხლავე შეგვიძლიან საზღვრების გამორკვევა აზერბაიჯანთან, რომელიც უკვე გამორკვეულ ერთეულს წარმოადგენს, ხოლო ყოვლად შეუძლებელია მიჯნების დადება სომხეთთან, რომელიც ჯერაც ჰაერში ჰკიდია. მისი ბედი და საზღვრები პარიზში სწყდება, ამიტომ მისი საზღვრების გამორკვევას საქართველოსთან წინ უნდა უძღოდეს მისი სამხრეთი საზღვრების დადება. აქაური სომხები ცდილობენ საქმის პირუკუღმა გადაჭრას. საქართველო დიდად წააგებს და თავს დაიმარხავს თუ აჰყვა სომეხთა გეგმას და ევროპა დააყენა წინაშე შესრულებულ ფაქტისა.

მთელი საქართველო ერთხმად ემხრობა სომხეთის აღდგენას და ამისათვის, თუ საჭირო იქნება, სისხლსაც დაღვრის. მაგრამ თუ სომხებმა ხელი არ აიღეს თავიანთ ახირებულ გეგმაზე და

უეჭველად მოინდომეს სომხეთის აღდგენა საქართველოს ზურგზე, ამ შემთხვევაშიაც შეიძლება ისევ დაიღვაროს სისხლი. დაე სომხებმა მოახერხონ და დაამკვიდრონ საქართველოზე თუნდ ხუთჯერ მეტი სომხეთი, მაგრამ ერთის პირობით: ორივემ სამხრეთისაკენ უნდა წავიწიოთ. თუ სომხებმა მიიღეს ეს დევიზი, ორივე ერთი ერი სამუდამოდ დამეგობრდება და უმჭიდროესი კავშირით შეიკვრება.

ეხლა რას ვხედავთ? სომხეთი ისევ ჩრდილოეთისაკენ მოიწევს და სამუსულმანო საქართველოს გარდა გვედავება ჯავახეთსაც და ნახევარ ბორჩალოსაც. ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ საქართველოს მთავრობა და მეფე-პარტია დღესაც რყევაშია და სომხებს იმედს უმაგრებს.

ჩვენმა მთავრობამ ვერ იქმნა და ვერ გაიგო სამკვდრო-სასიცოცხლო მნიშვნელობა ჯავახეთ-ბორჩალოსი თავისუფალ საქართველოსთვის. იგი მნიშვნელობა რომ ნათლად ყოფილიყო შეგნებული, აქამდის მთავრობა ათჯერ ეტყოდა მოდავეს მკაფიოდ, გადაჭრით და მტკიცედ: არასოდეს და არას გზით.

ამ საზღვრების მნიშვნელობის შესახებ მერე მოგახსენებთ.

# იასონ ჯავახიშვილი
# სომხების მემორანდუმი და ქართველები

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 17 აპრილი, 1919 წ., № 85, გვ. 1.*

სომხებმა უკვე წარუდგინეს საზავო კონფერენციას თავიანთი მემორანდუმი, რომელშიაც ისინი მოითხოვენ, რომ მომავალ სომხეთის სახელმწიფოს ფარგლებში შედიოდეს შვიდი ოსმალეთის ვილაეტი: ვანი, ბითლისი, დიარბექირი, ხარფუთი, სივასი, არზრუმი, ტრაპიზონი, და მასთან ერთად – კილიკია; ხოლო რუსეთის ტერიტორიიდან – ერევნის გუბერნია მთლად, თითქმის მთელი ყარსის ოლქი, განჯის გუბერნიის სამხრეთ-დასავლეთი და თბილისის გუბერნიის სამხრეთი ნაწილები.

სომხები თვითონ აღიარებენ, რომ ოსმალეთის სომხეთში ისინი უმცირესობას წარმოადგენენ, მაგრამ „ჩვენი უფლებაო, სწერია მათ მემორანდუმში, არ უნდა განიზომებოდეს სომეხ ერის ცოცხალთა ნაწილის რაოდენობით, მოსმენილი უნდა იყვეს ყოველი სომეხი, როგორც ცოცხალი, ხოლო, ისე მკვდარი“-ო.

ოსმალეთის სომხეთი ისტორიულად ეკუთვნოდა სომხებს და მიტომ იგი უნდა დაუბრუნდეს მათ. მართალია, დღეს სომხები ამ ტერიტორიაზე რაოდენობის მხრივ წარმოადგენენ მცხოვრებთა უმნიშვნელო ნაწილს, მაგრამ ეს ფაქტი ანგარიშ გასაწევი არ არის, ვინაიდგან იგი ხელოვნურად შექმნილია და აიხსნება იმ ექსპერიმენტებით, რომლებსაც მიმართავდნენ ხოლმე. ოსმალები: ბევრი სომეხი გაჟულიტეს, ბევრი სომეხი გადაასახლეს და დაცარიელებული ადგილები ოსმალებმა დაურიგეს თავი[სიანე]ბს, და მიტომ დაუშვებელია, რომ დანაშაულმა, სიკეთე მოუტანოს დამნაშავესა“-ო.

ასე მკაფიოდ იცავენ სომხები თავის სამშობლოს ისტორიულ საზღვრებს. ჩვენც ვიზიარებთ ამ აზრს და, დარწმუნებულნი ვართ, რომ სომხების ისევე, როგორც სხვა ერის, საკითხში უნდა იყვეს დაცული ისტორიულ საზღვრების პრინციპი.

ამ პრინციპის თანახმად, საქართველო უნდა იყვეს აღდგენილი, როგორც სომხეთი, მის ისტორიულ საზღვრებში. მაგრამ სომხები იცავენ თავიანთს და არ სცნობენ სხვის ისტორიულ უფლებებს. ვინაიდგან შემდეგში ისინი პრეტენზიებს აცხადებენ ტფილისის გუბერნიის სამხრეთ ნაწილზე, რომელსაც სომხები იჩემებენ, უეჭველია, რეალურ მოსახლეობის თვალსაზრისით.

მართალია, მაგალითად, ახალქალაქის მაზრაში დღეს ქართველობა წარმოადგენს უმცირესო-ბას, მაგრამ ესეც ხომ აიხსნება იმ დენაციონალიზაციის პოლიტიკით, რომელსაც აწარმოებდა რუსეთი საქართველოში ისევე, როგორც ოსმალეთი – სომხე[თში]ი: ბევრი ჩვენი თანამემამულე – ქართველი მაჰმადიანები ძალით გადაასახლეს ოსმალეთში და მათ ადგილას გადმოასახლეს არზრუმელი სომხები, რომელთაც რუსებმა უკანონოდ დაურიგეს ქართველთა მიწა-წყალი შეღავათიან პირობებში! თუ კი ოსმალეთის სომხეთში უნდა აღდგენილი იყვეს სომხების უფლე-ბა, რომელიც, მათივე სიტყვით, „არ უნდა განიზომებოდეს სომეხ ერის ცოცხალთა ნაწილის რაოდენობით“, განა აქ კი, საქართველოში, იგივე არ ით[ქმ]ის ქართველების შესახებ? მით

უმეტეს, რომ მთელ ისტორიულ საქართველოს ტერიტორიაზე, თუ ვიანგარიშებთ აგრეთვე თბილისის გუბერნიის სამხრეთ ნაწილსაც, რომელსაც ჩვენ „გვედავებიან“, მიუხედავად რუსეთის პოლიტიკისა, ქართველები დღესაც წარმოადგენენ აბსოლიუტურ უმრავლესობას, და ამ მხრივ მათი უფლება თავის ტერიტორიაზე უფრო საბუთიანია, ვიდრე სომხებისა ოსმალეთის სომხეთზე, სადაც სომხები ჯერ ომამდის შეადგენდნენ მცხოვრებთა ერთ მესამედს, და ეხლა კი მათი რიცხვი ერთი ორად და სამად შემცირდა.

გამოდის ასე: „თუ მე მომპარეს – ცუდია, და თუ მე მოვიპარე დიდი სანაქებო საქმეა“.

ორი, ერთი მეორის საწინააღმდეგო, პრინციპის გატარება მემორანდუმში შეადგენს უკანასკნელის სისუსტეს, რადგან სომხების პოზიციას აცლის ყოველგვარ ნიადაგს.

ორში ერთი უნდა იყოს: სომხები უნდა დადგნენ ან ისტორიულ საზღვრების პრინციპს – მაშინ მათ მთლად ხელი უნდა აიღონ იმ ტერიტორიაზე, რომელიც მათ ისტორიულად არ ეკუთვნოდათ, ამ შემთხვევაში თბილისის გუბერნიის სამხრეთ ნაწილზე; ან მათ მხარი უნდა დაუჭირონ რეალურ მოსახლეობის თვალსაზრისს, და სამუდამოდ გამოეთხოვონ, როგორც ოსმალეთის, ისევე რუსეთის სომხეთს, ვინაიდგან არსად არც იქ და არც აქ, გარდა პატარა გამონაკლისისა, მათ არა აქვთ მჭიდრო მოსახლეობა.

და ის აზრი კი, რომელიც სომხებს შეუთვისებიათ: „რაც ჩემია ჩემია, და რაც შენია, ისიც ჩემია“-ო, მართალია, მეტად სადევგმიროა, მაგრამ დღევანდელ ვითარებისთვის იგი მხოლოდ უაზრობაა.

უფრო „საბუთიანია“ მემორანდუმი ტრაპიზონის ვილაიეთის საკითხში. საბერძნეთის მინისტრს ვენიზელოსს და ნუბარ-ფაშას შორის მომხდარა შეთანხმება, რომლის ძალითაც საბერძნეთს თანხმობა განუცხადებია იმაზე რომ ტრაპიზონის ვილაიეთი, რომლის ერთ ნაწილში სცხოვრობენ ბერძნები, გადაეცეს სომხებს; და სომხებს ეს საკმარისად მიუჩნევიათ, რომ პრეტენზიები იქონიონ მთელ ტრაპიზონის ვილაეთზე.

სასაცილო აქ ის არის, რომ ეს ვილაეთი, რომლის შესახებაც მომხდარა „შეთანხმება“ სომხებს და ბერძნებს შორის, არც ერთს მათგანს არ ეკუთვნის და არც რაიმე უფლება აქვთ მასზე. მოსალოდნელი იყო, რომ დავა ამ ვილაიეტის შესახებ ასტყდებოდა საქართველოს, რომელსაც იგი ეკუთვნოდა ისტორიულად, და ოსმალეთს შორის.

რა შუაში არიან აქ ან ვენიზელოსი ან ნუბარ-ფაშა?

რას იტყოდნენ სომხები – ბოშებს და ჰოტენტოტებს რომ დაედოთ ურთიერთშორის ხელ-შეკრულება, რომლის ძალითაც ისინი გაინაწილებდნენ სომხეთს? და რა უნდა ვსთქვათ ამ შემთხვე-ვაში ჩვენც, ქართველებმა?

ტრაპიზონი ისე გაიყვეს, რომ ჩვენ არც კი დაგვეკითხნენ.

მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ ბერძნებს რეალურ მოსახლეობის და არა ისტორიულ უფლების თვალსაზრისით, აქვთ უფლება ვილაიეთის იმ ნაწილზე, სადაც ბერძნები წარმოადგენენ უმეტესო-ბას; ამ უფლებას ბერძნები უთმობენ სომხებს. რა დააშავა ლაზისტანმა, სადაც მხოლოდ ჭანები სცხოვრობენ?

თუ ოსმალეთის სომხეთში „მოსმენილი უნდა იყვეს ყოველი მკვდარი სომეხი“-ც კი აქ, ლაზისტანში, ცოცხლებსაც არ ალაპარაკებენ? იმიტომ რომ ეს სომხებისთვის ხელსაყრელი არ არის?

სადაა ლოღიკა, სამართლიანობა?

მოხდენილად კი უთქვამთ ჩვენ ძველებს: „სინიდისიც კაი საქონელია“-ო!

ამ გვარად სომხები სცდილობენ თვითონ მოიხსნან მონობის უღელი, და ამავე დროს მათ უნდათ ბორკილები დაადონ სხვა ერებს, ეპოტინებიან სხვათა ქვეყნებს; ისინი სპობენ ერთ უსამართლობას მხოლოდ იმიტომ, რომ მეორე უსამართლობა გაამეფონ.

მაგრამ როგორ მიაღწევენ ისინი ამ მიზანს?

სად შესწევს მათ ძალა, რომ თავს მოგვახვიონ ისეთი პირობა, რომლითაც ჩვენი საარსებო და სამართლიანი ინტერესები უნდა შეეწიროს სომხების დიდ-მადიანობას?

ან რომელი დემოკრატიზმი მოითხოვს ამ უსამართლობას?

მემორანდუმის ტერიტორიული გეგმა არის აუსრულებელი ფანტაზია, რომელსაც ახასიათებს, მრავალი უპრინციპობა, დიდი მილიტარისტული სულისკვეთება და დასაგმობი უსამართლობა.

ასე უნდათ მათ შეჰქმნან „დიდი სომხეთი“, ან, როგორც ფრანგული გაზეთი ამბობს, „სომხუ-რი იმპერია“. ამ რამდენიმე წლის წინად რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში ცნობილ მე-მარჯვენე პურიშკევიჩმა უკიჟინა სომხებს, რომ თქვენ „დიდ სომხეთის“ შექმნა გწადიათო. მას,

დაახლოვებით, შემდეგი უპასუხა როსტოვის მჭერმეტყველ დეპუტატმა აჯემოვმა: „მე არ ვიციო, სთქვა მან, რამდენად შეეფერება სინამდვილეს პურიშკევიჩის სიტყვებიო. არა მგონია, რომ ჩვენში, სომხებში, ტრიალებდეს „დიდ სომხეთის იდეა; მაგრამ, თუ ვინიცობაა, ჩვენ, მართლა დავაარსებთ ამისთანა სახელმწიფოს, პურიშკევიჩს ამისი არ უნდა ეშინოდესო, რადგან მას ამ აზრებისთვის სომხები სათანადო ადგილს მიუჩენენ ნოეს კიდობანში“-ო. აჯემოვი, საფიქრებელია, მიუხედავად თავის რაინდობისა, დანაპირებს ვერ შეასრულებს, ვინაიდან პურშკევიჩს ბევრი მოცილე სომეხი ეყოლება, და ყველას კი ნოეს კიდობანი ვერ დაიტევს!

# ქრონიკა

წყარო: გაზეთი „საქართველო“, 17 აპრილი, 1919 წ., № 85, გვ. 2.

ნეიტრალურ ზონაში 16 აპრილს შესდგა სასოფლო კომისიის სხდომა რომელზედაც მოხსენება წაიკითხა ბორჩალოს მაზრის ნეიტრალურ ზონაში მცხოვრებ ბერძენთა წარმომადგენელმა. მომხსენებელმა აღნიშნა რომ ნეიტრალურ ზონაში მცხოვრებნი უსურსათობის გამო დიდ გაჭივრებას განიცდიან. ნეიტრალურ ზონაში მცხოვრებ სომეხთა და თათართა შორის აგიტაცია სწარმოებს საქართველოს წინააღმდეგ. ყველაფერი ეს აიხსნება ადგილობრივ ადმინისტრაციის სისუსტითა და უმოქმედობით.

# სომეხთა მოთხოვნილება

წყარო: გაზეთი „საქართველო“, 18 აპრილი, 1919 წ., № 86, გვ. 2.

საქართველოს სომეხთა ეროვნულ საბჭომ დაადგინა დამფუძნებელ კრებაზე განსახილველად წარადგინოს საქართველოს სომეხთა კულტურული ავტონომიის პროექტი. პროექტის შემუშავება მიენდო ა. აბოვიანს და კ. ყაზარიანს.

# „სომეხთა საინფორმაციო ბიურო“

წყარო: გაზეთი „საქართველო“, 18 აპრილი, 1919 წ., № 86, გვ. 2-3.

ამას წინად თბილისში ხმა გავრცელდა ვითომც საზავო კონფერენციაზე ჩვენი დამოუკიდებლობა არ ეცნოთ.

ეს ცნობაც, როგორც ყველა ამ გვარი, „სომეხთა ინფორმაციული ბიუროს“ შემოქმედებითი ნიჭის ნაყოფია.

ბაქოს გაზეთ „Знамя труда“-ში (№ 80 244) მოთავსებულია ამის შესახებ შემდეგი ცნობა: „თბილისიდან ჩამოსულების სიტყვით მოკავშირეთა მთავარსარდალ[მა] ტომსონმა ინგლისელების შტაბში სამჯერ მიიწვია საქართველოს მინისტრ[ი,] თავმჯდომარე ნ. ჟორდანია[.] შვილის დაკარგვით დამწუხრებულ[მა] ნოე ჟორდანიამ უპასუხა რომ მძიმე სულიერის მდგომარეობის გამო მას სრულიად არ შეუძლია რაიმე საქმე, ლაპარაკი და სთხოვა გამოეძახნა მისი მოადგილე ევგ. გეგეჭკორი. ტომსონმა ამის შემდეგ კიდევ მოითხოვა, რომ სწორედ ნოე ჟორდანია მისულიყო მასთან. ნოე ჟორდანიამ გენ. ტომსონს სურვილი შეუსრულა და ინგლისელების შტაბში ეახლა.

გენ. ტომსონმა განუცხადა, რომ პარიზის კონფერენციამ თქვენი დამოუკიდებლობა არა ჰსცნოო.

საერთოდ შესაძლებლად არ ჩასთვალა ამიერ კავკასიაში რესპუბლიკების არსებობა. გადაწყვეტილია აღსდგეს რუსეთი 1914 წ. ფარგლებში, მხოლოდ ერევნის გუბერნიის ეჩმიაძინის მაზრა ჩამოშორდება მას და მიეკერება ოსმალეთის იმპერიის ექვსი ვილიეთიდან შემდგარ დამოუკიდებელ სომხეთსაო.

ამ ამბავმა ნ. ჟორდანიაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. დიდხანს იდგა ხმის ამოუღებლად. ხოლო დამშვიდებისას გენ. ტომსონს სთხოვა, რომ ეს ცნობა მაისამდე მაინც დაფარულად შეენახათ,

არ გამოეცხადებინათ, თორემ ეს დიდ ექცესებს გამოიწვევსო“.

მკითხველი დაინახავს, თუ როგორ მოხერხებულად არის შედგენილი ეს ჭორი.

ეს ცნობა ჩვენმა საგარეო საქმეთა სამინისტრომ უარჰყო.

## სომხეთში
## სომხეთის მადა

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 24 აპრილი, 1919 წ., № 87, გვ. 2.*

როგორც გაზ. „ჯოლოვორდ ძაინი“ იტყობინება, ინგლისის მისიის წარმომადგენელი ერევანში პოლკოვნიკი ტამპერლეიკი სომხეთის მთავრობას შეჰკითხებია, 1914 წლის რუსეთის ოლქებიდან, რომელს სთვლიან ისინი თავის განუყოფელ ნაწილებად.

ამ კითხვებზე სომხეთის მთავრობამ უპასუხა რომ ასეთი ოლქები არიან:

I. მთელი ერევნის გუბერნია;
II. მთელი ყარსის ოლქი;
III. თბილისის გუბერნიის შემდეგი ოლქები: 1) ახალქალაქის მაზრის შემდეგი ორი ნაწილი: ა) ტაფაწყურის ტბის ჩრდილოეთით ბორჯომის სასოფლო საზოგადოების ნაწილი გორის მაზრაში ულელტეხილამდე, რომელიც მას ცხრაწყაროს მიდამოდან ჰყოფს; ბ) ახალქალაქის მაზრის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ნაწილი ბორჩალოს მაზრისა, რომელსაც წალკა ჰქვიან (მის დასავლეთი ნაწილი), ამ სექტორის დასავლეთი ნაწილი, საზღვარია ხაზი, რომელიც გოლიდაგის მთის მწვერვალზე და არგევანის მთიდან აღმოსავლეთით 7 ვერსზე მოშორებით გაივლის. ბორჩალოს მაზრა რომელსაც განსაზღვრავს ჩრდილოეთით ხაზი გრიკარი! მთიდან დაწყებული ხრამის გაყოლებით ვიდრე რკინის ლიანდაგამდე, ასე რომ ბოლნის-ხაჩინი და შულავერი საზღვრის სამხრეთით რჩებიან.
IV. განჯის გუბერნიის ნაწილი:

1) ყაზახის მა[ზ]რის სამხრეთი ნაწილი ისე, რომ კულპ-უზუნტალა და ჯულანი საზღვრის სამხრეთით დარჩნენ.
2) განჯის გუბერნიის სამხრეთი ნაწილი ისე რომ სოფ. ჩარდახლუ და ჩაიკენდი (გეთასენი) საზღვრის სამხრეთით დარჩნენ.
3) ჯევანშირის მაზრის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი ისე რომ ტერ-ტერი სომხეთს გარეშე დარჩეს.
4) შუშის მაზრის დასავლეთი ნაწილი ისე რომ სოფ. აგდამი და კაჯარი სომხეთის გარეშე რჩებიან.
5) ყარაგიანის (ჯებრაილის) მაზრის ნაწილი სოფ. ვანქით, გადრუდით[,] ეგერლუთი და არაქელით.
6) ზანგეზურის მაზრა მისი სამხრეთ [და]სავლეთი ნაწილის გამონაკლისით, რომელშიაც შედიან მთა კირსეთი, სოფ. შაჰვერდილიარი და არეზზე მდებარე სადგური ადგილი.

ზემო ჩამოთვლილ ტერიტორიის შემდეგ ნაწილებზე რესპუბლიკის მმართველობა არა ვრცელდება:

I. მთელ ყარსის ოლქზე.
II. თბილისის გუბერნიაში ა) ახალქალაქის მაზრაზე, რომელიც ინგლისის კონტროლის ქვეშ იმყოფება. ბ) ბორჩალოს მაზრის სოფ. კამენკიდან ჩრდილოეთით მდებარე ნაწილი.

მაზრის ჩრდილო ნაწილი სად. სადახლომდე ნეიტრალ ზონას შეადგენს და მის ჩრდილოეთი ნაწილი კი ქართველ ჯარს ეჭირება.

III. განჯის მაზრის ნაწილზე.
IV. ერევნის გუბერნიის: ა) ნახიჩევანის მაზრაზე მის ჩრდილო-დასავლეთ სექტორის გამოკლებით სადაც რესპუბლიკის მმართველობაა. ბ) შარურის მაზრაზე.

# ჩხეიძისა და წერეთლის დეპეშა

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 24 აპრილი, 1919 წ., № 87, გვ. 2.*

საქ. რესპ. გარეშე საქმეთა მინისტრს.

თქვენი დეპეშა დამფუძნებელ კრების შესახებ მივიღეთ. კონსტანტინოპოლის ჩვენი დელეგაციიდან მხოლოდ ორი ჩამოვედით. ავიღეთ ნებართვა აგრეთვე ნიკოლაძისა და ექიმ ღამბაშიძისათვის. სხვების ნებართვების მიღებასაც ვცდილობთ. ვამზადებთ ნიადაგს და თითქმის ყოველ მხრით თანაგვიგრძობენ. ჩვენს საკითხს, ალბად, მტრებთან ზავის შეკვრის შემდეგ განიხილავენ.

ხელს აწერენ: ჩხეიძე, წერეთელი, გვარჯალაძე.

# ბ.ბ. ჩხეიძის, წერეთლის და გვარჯალაძის დეპეშა საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს.

*წყარო: გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 24 აპრილი, 1919 წ., № 88, გვ. 2.*

თქვენი დეპეშა დამფუძნებელ კრების შესახებ უკვე მივიღეთ. სტამბოლში ყოფილ ჩვენი დელეგაციისგან მხოლოდ ორი ჩამოვიდა. ნებართა მივიღეთ აგრეთვე დ-რ ღამბაშიძისა და ნიკოლაძისათვის. ვცდილობთ მივიღოთ ნებართვა სხვებისათვისაც. ვამზადებთ ნიადაგს და ყოველ მხრიდან თანაგრძნობით გ[ვ]ხვდებიან. ჩვენი საკითხი, როგორც სჩანს მტრებთან ზავის შეკვრის შემდეგ გაირჩევა.

ხელმოწერილია: ჩხეიძე, წერეთელი, გვარჯალაძე.

### მ. ადამაშვილი

# ისევ საქართველოს საზღვრებისათვის

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 25 აპრილი, 1919 წ., № 88, გვ. 2.*

ყოველი ერი და სახელმწიფო, როგორც ორგანიული ერთეული, როგორც ცოცხალი არსება, ემორჩილება ერთს გარდაუვალ და უძლეველ ბუნებრივ კანონს: იგი გამუდმებით, შეუჩერებლივ იბრძვის ყველანაირი ხერხითა და იარაღით თავის ბუნებრივ კალაპოტისათვის, საუკეთესო საზღვრებისათვის.

ჩვენი წინაპარნიც იბრძოდნენ საქართველოს ბუნებრივ ქერქისათვის. ვინ მოსთვლის, ვინ არწყავს იმ სისხლსა და ძვლებს, რომელიც დაღვრილა და დათესილა ამ ბრძოლაში ჭოროხისა და მტკვრის სათავეებში, ყარსის მიდამოებში, ბამბაკის კალთებზე, სევანის ტბის ნაპირებზე, ან წინანდელ განჯისა და შექის სახანოებში! უწინდელ საქართველოს რამდენჯერმე მიუღწევია თავის ბუნებრივ საზღვრებამდის, ხშირად ზღვის ტალღასავით წამოსულა უკან, მაგრამ ბრძოლა ერის საბედისწერო მიჯნებისათვის არ შეჩერებულა არც ერთი დღით, არც ერთის წუთით, რადგან ხან მოკლე ზავი და შესვენება მხოლოდ სამზად[ი]სი იყო ახალი ლტოლვისა და იერიშისათვის დაკარგულ მიჯნების დასაბრუნებლად.

და დღევანდელი ქართველიც, ნებსით ან უნებურად, შეგნებულად თუ იდუმალ ძალთა გავლენით, ყოველნაირი ხერხით და მთელი თავის ეროვნული ძალღონით ეძებს, იკვლევს და იმკვიდრებს თავის კალაპოტს; იგი ხორცს ასხავს იმ ანდერძს, რომელიც თავის სისხლით დაგვიწერა ჩვენთა წინაპართა მრავალმა თაობამ. ეს ანდერძი შედარებით უფრო ღრმად არის ამოჭრილი საქართველოს სამხრეთ და აღმოსავლეთ საზღვრებზე. გეოგრაფია და ტოპოგრაფია საქართველოსი განმარტავენ მის საზღვრებს და მათი ეკონომიურ სტრატეგიული მნიშვნელობა ისეთივეა, როგორიც იყო ათასი წლის წინათ. ამ საზღვრებისათვის ერეკლე მეფის დროინდელი საქართველო გაშმაგებული და გამალებული იბრძოდა. მან დაიმკვიდრა ბუნებრივი მიჯნა და ხან

მოკლედ შეისვენა. მაშინ ჩვენი საზღვარი მესხეთ-ჯავახეთიდან ჩადიოდა მდინარე არფაჩაიზე, უვლიდა შურაგელს, სევანგის ტბას, მდინარე ჯაგორის (ეხლანდელ ძეგამის) გაყოლებაზე ამოდიოდა მტკვარზე და აქედან ადიოდა კავკასიონის ქედზე სალავათის მთასთან. განჯა-ერევანს რომ თავი დავანებოთ, რომელნიც ჩვენი მოხარკე ვასსალები იყვნენ, საქართველოს სამეფოში ითვლებოდნენ მთელი საინგილო, ყაზახი და ეხლანდელი ალექსანდროპოლის მაზრა. როცა ჩვენმა მტრებმა მოშალეს ეს საზღვრები და დაარღვიეს ბუნებრივი ზღუდენი საქართველოსი, მისი დამოუკიდებელი არსებობაც გაუქმდა, ვინაიდგან ყოვლად შეუძლებელია არსებობა იმ ქვეყნისა, რომელსაც თითქმის ყოველ მხრივ ღია კარები აქვს.

ქართლსა და იმერეთს სამხრეთით რამდენიმე კარი ჰკეტავს: ბორჯომის ხეობა (წინანდელი ტაშის კარი) და ზეკარის ქედი, უფრო სამხრეთით – ხანიორის ქედი, შემდეგ – არტაანი, და უკანასკნელი – ოლთისი. შარშან რომ ოსმალეთმა აბასთუმანთან და აწყურთან გაგვივლო საზღვარი, ყველა გრძნობდა, რომ ეს იყო ჩვენ წელზე მობჯენილი მახვილი, რომელსაც ორ დღეში შეეძლო საქართველოს გადაჭრა შუაზე. ეს ხიფათი აგვცდა, მაგრამ სამაგიეროდ სომხეთმა და ადერბეიჯანმა მოაბჯინეს მახვილი ჩვენს ყელსა და გულს – თბილისს, რომელსაც 60 ვერსით დაუახლოვდნენ.

გერმანელები 65 ვერსის მანძილიდან უშენდნენ ზარბაზნებს პარიზს, ხოლო თბილისიდან ლელვარის ქედამდის, სადაც სომხებს გაჰყავთ საზღვარი და შეუძლიათ თუნდ ერთი ასეთი ზარბაზანი დასდგან, სწორი ხაზით 45 ვერსია. ჩვენ წინდაწინვე უნდა ვკითხოთ ჩვენს მთავრობას, როგორ მოიქცევა იგი იმ შემთხვევაში, თუ სომხეთმა თავის საზღვარზე – ლელვარზე ერთი ასეთი ზარბაზანი დასდგა? ან რატომ არ დასდგავს, რაკი ასე ადვილად შეიძლება საქართველოს დამონება და დამორჩილება მუდმივი მუქარით, რომ მას ერთ დღეში შეუძლიან ჩვენი დედაქალაქის, ჩვენი გულის დანგრევა ერთი ზარბაზნით და ერთი მუჭა ჯარით!

საზღვრის ასეთი დაახლოვება ჩვენს დედა ქალაქს წინდაწინვე სომხეთს აძლევს ხელში. ზოგი თავს ინუგეშებს: თბილისს გავამაგრებთო. ვინც ჩვენს საქმეებს იცნობს, იმას ასეთი ნუგეში სასაცილოდ არ ეყოფა. თბილისის გამაგრებას მილიარდები მოუნდება, ამიტომ ამ აზრს სამუდამოდ უნდა თავი დავანებოთ. ესეც რომ არ იყოს, პარიზი მსოფლიო ციხეა, მაგრამ ამ ციხემ და მოკავშირეთა ჯარებმა ვერც კი აღმოაჩინეს გერმანელთა ის ერთი ზარბაზანი, რომელიც გამუდმებით უშენდა ყუმბარებს მათი ჯარის ზურგსა და პარიზს.

სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს ერთი ხიფათიც საკმარისია ჩვენთვის. დაუჯერებელია, რომ ჩვენს მთავრობას არ ესმოდეს საბედისწერო მნიშვნელობა ლორისა, ამიტომ დაუჯერებელია ის ჭორიც, რომელიც ქალაქში დადის, ვითომ უკვე გადაწყვეტილი იყოს ლორის დათმობა. თუ გარემოება მოითხოვს, სამი ლორის ოდენა ტერიტორია შეიძლება დავთმოთ, მაგრამ ბამბაკის ქედის აქეთ ერთ ნაბიჯსაც ვერ დავთმობთ, თუნდ ამისთვის ახალი ომიც იყოს საჭირო; ვინაიდან ვისაც ლორი უჭირავს, მას საქართველოს გულიც ხელში აქვს ჩაბღუჭული. უნდა გააცოცხლებს, უნდა – არა!

საქართველოს აღმოსავლეთის ლორზე შემდეგ იყოს.

## კონფერენციისთვის

წყარო: გაზეთი „საქართველო“, 25 აპრილი, 1919 წ., № 88, გვ. 1-2.

დღეს უნდა გაიხსნას კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლების კონფერენცია. ამ კონფერენციის მიზნებისა და სამუშაო პროგრამის შესახებ ჩვენი მეზობლების პრესაში თითქმის არაფერი თქმულა. საზოგადოებრივი გულისყური ხანგრძლივად და სათანადო მოცალეობით ამ კონფერენციაზედ არ შეჩერებულა. უფრო მეტი იყო ინდიფერენტიზმი, ვიდრე ხალისი და ინტერესი. ეს გარემოება ცხად ჰყოფს რომ ჯეროვნად შეგნებული არ არის, თუ რა დიდი საქმე შეიძლება გაკეთდეს კონფერენციაზედ, თუ მისი წევრები შეთანხმების და ერთმანეთის გაგების პსიხოლოგიით მოვლენ. ამ სამწუხარო საზოგადოებრივმა გულცივობამ კონფერენციის წევრებს მეტი მონდომება და ა[ღ]ფრთოვანება უნდა შემატოს და მიღწევის ენერგია გაუძლიეროს.

ჩვენ გვინდა ვიფიქროთ, რომ კონფერენციის წევრები პერსონალურად შესძლებენ უხვად დაჰფარონ თავ-თავიანთი ქვეყნის საზოგადოებრივი ნაკლი და უყურადღებობა ამ კავკასიის ერთა

პირველ კონფერენციისადმი. თუ კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლებს აღმოაჩნდათ გონების თვალის გამჭრიახობა და სახელმწიფოებრივ-ეროვნული გრძნობის სიმაღლე, ეს პირველი კონფერენცია თამამად გადაიქცევა კავკასიის ერთა დამოუკიდებლობის პირველ დამფუძნებელ კონფერენციად.

ერთად-ერთი შეურიგებელი მტერი კავკასიის ხალხთა დამოუკიდებლობისა, რუსეთია. ლენინი დარჩება რუსეთის მბრძანებლად, თუ დენიკინი[,] კოლჩაკი, სულერთია; რუსეთის შემოკრეფა პირველი მორიგი საკითხი იქნება რუსეთში საბოლოოდ დამკვიდრებულის ხელმწიფებისა.

კავკასიის წინააღმდეგ იერიში-იერიშზე უკვე მოაქვთ. მთიულეთი და საქართველო თავდაცვის ომებს უკვე აწარმოებენ. ეს შემოტევა მხოლოდ შესავალია ყველა კავკასიის ხალხთა წინააღმდეგ საერთო შემოტევისა. მოხალისე და ბოლშევიკი, ორივენი ერთად იქნებიან კავკასიის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ასეთ პირობებში გამარჯვების იმედით ბრძოლის წარმოება, მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ რომ შეიქმნება საერთო კავკასიური ფრონტი თავდაცვა შეტევისა, თუ დამოუკიდებლობის შენარჩუნების იდეა ერთსულოვნების პათოსს ჩაუდგამს კავკასიის ერებს და ყველას გვერდ-გვერდითი საომრად შეჰყრის საერთო მტრის წინააღმდეგ. კავკასიის სულის და მისი ფიზიკ[ური] გაერთიანება შემუსრვულ ძლიერებად მტერს დაუდგება. ამგვარი მილიტარული კონვენცია კავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკათა შორის რკინის ლოღიკით გამომდინარეობს ჩვენი თვითარსებობის ფაკტი და მის შენარჩუნების იდეიდან. ეს უნდა იყოს უპირველესი, თავი და თავი საგანი ყოველგვარი ბჭობა-თათბირისა ყოველგან და ყოველთვის ყველა კავკასიის ხალხთა და მათ წარმომადგენელთა შორის.

ეს არის ცონდიტიო სინე პუა ნონ

ყველა დანარჩენ მოლაპარაკებათა, თუ შეთანხმებათა.

ამ საერთო მიზნისთვის აუცილებელ შეთანხმებას, როგორც წარსულის ფაქტებმა დაგვანახვეს და რის წინასწარმეტყველება აპრიორულადაც შეიძლებოდა, ხელს უშლიდა და დღესაც ხელს უშლის ტერიტორიისა და საზღვრის საკითხი. რამდენადაც კავკასიის რესპუბლიკათა სამხედრო ძლიერების გაერთიანება თავი და თავი პირობაა ამ რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად, იმდენადვე საზღვრების საკითხის მართებული გადაჭრა პირველსა და აუცილებელ პირობას წარმოადგენს თვით ამ რესპუბლიკათა სამხედრო ძალების ერთად შესაყრელად, ერთად დასარაზმავად. ვერ მივაღწევთ ამ საკითხის სამართლიან გადაჭრას, – ვერ მივაღწევთ კავკასიის ხალხთა შეთანხმებასაც, ვერც პატარა საქმეთა სფეროში და ვერც ძირითად კარდინალურ საკითხებშიც და შეიძლება ყველაფერიც დავკარგოთ.

სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ სომხობა არავითარ ზომიერებას არ იჩენს ამ საკითხში. მისი პრეტენზიები თითქოს იმიტომ იყოს შეთხზული რომ შეუძლებელი გახდეს თანხმობის ატმოსფერ[ო] საერთო მიზნით საერთო ფრონტის შექმნისა. შფოთისა და ნერვიულობის მეტს ვერაფერს შეიტანს საერთო კავკასიურს განწყობილებაში სომხეთის ის „უდავო ტერიტორია“, რომელიც სომხეთის მთავრობას ამ უკანასკნელად შემოუხაზავს ინგლისის მისიის შეკითხვაზედ. სომხეთი უნდა საბოლოოდ გამოეთხოვოს იმ აზრს, რომ საქართველოს ტერიტორია სომხეთად შეიძლება გადაიქცეს მარტო იმ ფაქტით რომ გუშინ წინ რუსთა ბატონობას რამოდენიმე ათი ათასი სომეხი, დევნილი და აყრილი, საქართველოს მიწა-წყალზე დაუსახლებია. საქართველოს ტერიტორიის კონფიგურაცია ათასი წლობით არის გავლებული და მისი შეკვეც-შემოკვეცა ასე ადვილად არ შეიძლება.

არასოდეს ბუნდოვანად არ გამოგვითქვამს ჩვენი აზრი ტერიტორიის შესახებ და დღეს კიდევ უფრო ნაკლები სურვილი გვაქვს ბუნდოვანობისა, ვინაიდან თუ ჩვენს საერთო საქმეს უშველის რამე, ეს მხოლოდ მკაფიობა და სიცხადე, მხოლოდ მართებულობა და სამართლიანობა, ამ ძირითადს – ტერიტორიის საკითხში.

კონფერენციამ ამ საკითხს ლაყუჩში უნდა ჩაავლოს ხელი; თუ მიზანს ვერ მიაღწია, ის მაინც გამოირკვევა, რომ საერთო ხიფათისა და კატასტროფის შეგნება-გათვალისწინებაც კი უღონოა ახირებულ ტერიტორიალურ პრეტენზიებზე ხელი აალებინოს ზოგიერთ მეზობელს ზოგიერთს მეზობელის მიმართ; მაშინ სხვა გზასა და საშუალებასა დაადგებიან ცალ-ცალკე და ყველა ერთად თუ პირიქით, წარსულის გაკვეთილები ნაყოფიერად გამოიყენეს და ტერიტორიის საკითხი მართებულად მოგვარდა, მაშინ კავკასიის ერთა პირველი კონფერენცია გადაიქცევა დიდ მორალურ, პოლიტიკურ და მილიტარულ ძალად, რომელიც კავკასიის რესპუბლიკათა დაფიცულ მტრებსაც გაუმკლავდება და დიდ საერთაშორისო ღირებულებასაც მოიხვეჭს.

ჩვენ ვუსურვებთ კავკასიის ერთა პირველ კონფერენციას კავკასიის ხალხთა მაღალ მო-

თხოვნილების შეგნებამდე ასულიყოს და მართლაც და გადაქცეულიყოს კავკასიის ერთა დამოუკიდებლობის პირველ დამფუძნებელ კონფერენციად.

## სომხეთის განმეორებული პრეტენზიები

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 26 აპრილი, 1919 წ., № 89, გვ. 1.*

ტერიტორიით იწყება ყოველი ეროვნულ სახელმწიფოებრივი არსებობა და ტერიტორიითვე თავდება. საკმაო გაშლილობა და გარშემო მტკიცე ზღუდენი, ამისთვის იბრძოდნენ და ამისთვისვე იბრძოლებენ ერნი და სახელმწიფონი. ზღუდე შემორღვეული, ან უტერიტორიოდ გაფანტული ხალხი, ჰკვდება ეროვნულად, ჰქრება სახელმწიფოებრივად. მიწა წყლის ნაკლებობა-სივიწროვე, ერის ფილტვებს ასნეულებს, ახშობს; მის სიმრავლეს ამცირებს და საემიგრაციოდ სხვაგან ამგზავრებს, სადაც გადაგვარება უცდის და დარაჯობს. საქართველომ ყველა ეს მდგომარეობა განვლო, როგორც ცოცხალმა და სხვა ხალხთა რკალში მომქმედმა ორგანიზმმა. ყოველი თაობის თანშობილი მისაღწევარი იყო და არის საუკუნეობით შექმნილი ოპტიმუმი პირობების აღდგენა და შენარჩუნება სახელმწიფოებრივად არსებობისათვის. მეცხრამეტე საუკუნემ ზღუდეები შემოგვირღვია, მამა-პაპეულ მიწა-წყალზე სხვა ხალხი და თესლი ჩაგვითესა, თვით ქართველთა ჩამომავლობას გასაქანი შეუვიწროვა და იძულებული გახდა საქართველოს საზღვრებ იქით თავშესაფარი ეძია სულთამხუთავი და გადამგვარებელი დიდი მაჯლაჯუნა თავიდან მოვიშორეთ და ჩვენი ქვეყნის ბატონ-პატრონობა ჩვენვე ჩავიბარეთ. მოვალეობა და დანიშნულება ჩვენი ის არის, რომ საქართველო აღვადგინოთ იმ საზღვრებში, რომელიც საუკუნეთა ბრძოლასა და შეხლა შემოხლას მუდამ და ყოველთვის საქართველოსთვის დაუნარჩუნებია, როგორც მისი ბუნებრივი ფარი და კედელი. საქართველოს კალაპოტი საუკუნეთა მანძილზე ღრმავდებოდა რომ ბოლოს მიეღწია იმ ოპტიმუმამდე, სადაც ერის ეკონომიურ-კულტურული ძალები თავისუფალი განვითარებას შესძლებდნენ სტრატეგიულ უშიშროების ერთგვარის უზრუნველყოფით. ერის შემოქმედებამ და ძლიერებამ მიაღწია მის შინაგან მოთხოვნილებას და გარემო ფარგლების სითანაბრეს, ეკილიბრს. ყოველთვის, როდესაც ამ გარემოს ფარგალი შეუვიწროვდებოდა და ზღუდეები აეყრებოდა, მეორდებოდა ერის შინაგან ძალთა მოქმედება და გარეთ გამოცხადება; თაობა-თაობაზე მოუსვენრად იბრძოდა, სანამ კვლავ არ იქნებოდა აღდგენილი დარღვეული ეკილიბრი. დღესაც უდიდესი ჩვენი დანიშნულებაა ამ დარღვეული სითანაბრის აღდგენა. ჩვენი პრეტენზიები ცოცხალსა და საქართველოს უდავო ტერიტორიას არ გასცილებია და არც გასცილდება. ხოლო ეს ცოცხალი ქართული ტერიტორია ყველასათვის ცხადია ადვილ დასანახი.

ძველის ადმინისტრაციის ტერმინოლოგიით, ეს გახლავთ: ბათომ-არტაანის მხარე, სოხუმისა, სოჭისა და ზაქათალის ოლქები და თბილისის და ქუთაისის გუბ. თბილისის პროვინციის იმ სტრატეგიულად აუცილებელის სანაპირო მხარეებით, რომელიც რუსთა მართველობამ ადმინისტრატიულ გადამიჯვნის დროს თბილისის პროვინციას ჩამოსჭრა. არავითარი დავა არ შეიძლება იმაზედ, რომ ეს საქართველოს ცოცხალი ტერიტორიაა, მისი ცოცხალი სხეულია, რომ ეს ყოველთვის იყო საქართველოს ხელმწიფების სარბიელი. არც ერთ მტკაველ მიწაზედ ამ ფარგლის შიგნით არასოდეს არ ყოფილა არც სომხეთი, არც აზერბაიჯანი, არც ვინმე სხვა. უხსოვარ დროიდან ამ ტერიტორიაზე აღზრდილა ქართველების სხეული; მისი ისტორიული სახე და კულტურა, მისი ხელმწიფობა აქ შექმნილა.

და წინააღმდეგ ამ ისტორიული სიცხადის, წინააღმდეგ ამ ცოცხალი სინამდვილისა, სომხეთის რესპუბლიკის მთავრობა კიდევ არ იშლის და სომხეთის უდავო ტერიტორიად აცხადებს ინგლისის მისიის საყურადღებოდ მცირეოდენის გამოკლებით ახალქალაქი-ბორჩალოს მაზრებს და მთელ ყარსის ოლქს!

საერთაშორისო პოლიტიკა დღეს წარსულ შეცდომათა და ძალმომრეობათა გამოსწორებას ცდილობს, რომ წართმეული ტერიტორია-მოსახლეობა მის კანონიერ პატრონს დაუბრუნდეს და საქართველოც სრულიად სამართლიანად მოელის რომ მასვე დაუბრუნდება მისი კულტურის ბუდე და ლაზეთი, რომელიც მებრძოლ ისლამის მიერ დამარტოხელავებულმა საქართველომ დაჰკარგა შავ-ბნელ საუკუნის უსწორო ბრძოლაში. და თქვენ გნებავთ, რომ დღეს საქართველომ თავგაუწირველად ხელი აიღოს მის ცოცხალ სხეულის ნაწილებზე და უომრათ და სიცოცხლის ამ უდიდესი მსხვერპლის შეუწირველად სომხეთის საბუთად ჩაითვალოს რუსეთის ძალმომრეობით

შექმნილი სინამდვილე – დასახელებულ მაზრებში სომხების მოსახლეობა და სომხეთს დაუთმოს ის მიწა-წყალი, რომელიც არასდროს მისი არ ყოფილა!

ეს ყოვლად შეუძლებელია!

განა ქართველი ხალხი იმიტომ იბრძვის და სისხლს იმიტომ ღვრის არტაანისა და სოჭის მიმართულებით, განა საქართველოს ამ ნაწილებს ქართველი დემოკრატია იმიტომ იბრუნებს უზენაესი მსხვერპლის გაღებით, რომ მეორეს ხელით სომხეთს დაუთმოს საქართველოს პირველი სამკვიდრებელი და მასთან დიდი სარეზერვო ფონდი: ბორჩალო, ახალქალაქი და არტაან-ოლთისი?!

ასეთი წინააღმდეგობა უცნობია ხალხის პირდაპირი უშუალო გრძნობისა და მის უფლებრივ შემეცნებისთვის.

დღეს, როდესაც თბილისში კავკასიის რესპუბლიკათა და მათ შორის სომხეთის რესპუბლიკის წარმომადგენლები სათათბიროთ არიან შეყრილი, გარდაუვალ საჭიროებად მივიჩნიეთ, საერთო ინტერესის იდეის გულისთვის, კატეგორიულად გაგვეხაზა ჩვენი აბსოლუტური აჯანყება სომხეთის ასეთი პრეტენზიების წინააღმდეგ და წინასწარ გვეთქვა ქართველი ხალხის ერთად-ერთი და ბუნებრივი პასუხი სომხეთის ამგვარ განცხადებაზე.

თუ სომხეთს გულწრფელად სწადია საქართველოსთან შეთანხმება მასთან ერთად სიარული საერთო ინტერესისათვის, მან ხელი უნდა აიღოს ამ ყოვლად უმზგავსო პრეტენზიებზე.

აღსანიშნავია, რომ სომხეთის მთავრობას საქართველოს მიმართ გულში ასეთი გამანადგურე-ბელი გეგმა უდევს და ამავე დროს კონფერენციაზე წარმომადგენელს გზავნის... ალბათ თუ „თეთრი კბილის“ გამოსაჩენად. ეჭვი ერთი წუთითაც არ ეპარება, რომ შეიძლება ასეთი პრეტენზიების ავტორს, მეორე მხარემ სიტყვაც არ გაუცვალოს მაგრამ მან გამოცდილებით იცის და წინასწარ ვარაუდობს საქართველოს მთავრობის გულუბრყვილობას.

ჩვენ ხმა მაღლა ვაცხადებთ ჩვენი მთავრობის გასაგონად, რომელიც სომხეთთან გამართულ ორივე კონფერენციიდან ორჯერვე დამარცხებული დაგვიბრუნდა: კაბინეთში საქართველოს გამოძებნის[?] უფლება მას არ აქვს. იგი ვალდებულია საქართველოს ტერიტორიის მთლიანობა დაიცვას და გაანაღდოს ყველა ის დეკლარაცია, რომელიც ქვეყნის გასაგონად პარლამენტის ტრი-ბუნიდან სხვადასხვა დროს წარმოუთქვამს. თორემ ქართველ ხალხისა და ტერიტორიის დამცველ-დამბრუნებელ ქართველ მეომართა რისხვა მას ჯეროვან პასუხს მოსთხოვს!

## ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენცია

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 26 აპრილი, 1919 წ., № 89, გვ. 2.*

გუშინ 25 აპრილს მთავრობის თავმჯდომარის კაბინეთში მოხდა პირველი შეხვედრა ამიერ-კავკასიის ერთა წარმომადგენელთა პირველი შეხვედრა.

მოხდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა ადმინისტრატიულ საკითხების შესახებ, რომლის შემდეგ გადასწყვიტეს კონფერენციის პირველი სხდომა მოხდეს კვირას 27 აპრილს დილის 11 საათზე საგარეო საქმეთა სამინისტროს ბინაზე.

კონფერენციაზე დელეგატებად არიან.

საქართველოდან – გარეშე საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი, შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი და ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრი კ. კანდელაკი.

სომხეთიდან – ს. მამიკონიანი, ს. ტიგრანიანი და ს.ს. არუთინიანი.

ადერბეიჯანიდან – მ. ჯაფაროვი, ფ. ხან-ხოელი და ხასმაბედოვი.

მთიელთაგან – კანტემიროვი, ფანზულაევი და ბუტაევი.

# ქრონიკა
## სადავო ადგილების შესახებ.

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 27 აპრილი, 1919 წ., № 90, გვ. 2.*

ადერბაიჯანის დიპლომატიურ წარმომადგენელმა საქართველოში მიმართა საგარეო საქმეთა მინისტრს, – ვინაიდან მომავალ კონფერენციაზე უნდა გადაწყდეს ბედი სადავო ადგილების შესახებ, მოახდინონ განკარგულება, შეაჩერონ სადაო ადგილების შესახებ საქმეების სომეხთა წარმომადგენელთათვის გადაცემა, რათა მომავალში ადგილი არ ექმნეს რაიმე გაუგებრობას.

# ბრძოლა სახელმწიფო საზღვრებისათვის და მენშევიკური პოლიტიკა

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 29 აპრილი, 1919 წ., № 91, გვ. 1.*

დამოუკიდებელი და თვითმყოფი საქართველო არის თავდაპირველი სახელმწიფოებრივ-ეროვნული მიზანი, რომელსაც ჩვენ ვემსახურებით ყოველივე თანდართულ მოსაზრებათა გარეშე. პოლიტიკურ თავისუფლების შენარჩუნებისა და განვითარებისათვის ჩვენი სახელმწიფოს ხელმძღვანელები უნდა მიჰმართავდნენ იმ ზომებს, რომელთა საშუალებით რესპუბლიკის ფარგლებში შესაძლებელი იქნება ნორმალურ სახელმწიფოებრივ ცხოვრების დამკვიდრება.

უუმნიშვნელესი პოლიტიკური აქტი სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღიარებისთანავე უნდა გამოსახულიყო საზღვრების კატეგორიული აღნიშვნით, ტერიტორიის მკაფიო ჩამოყალიბებით.

ამ გეზით უნდა მიმართულიყო რესპუბლიკის მართებლობის მოქმედება და მას ყოველივე საშუალებით უნდა განემტკიცებინა მთელს ტერიტორიაზე სახელმწიფო სუვერენიტეტი და მეზობელ სახელმწიფოებთან ამ საკითხის დაუყოვნებლივ მოწესრიგებისათვის უნდა ცდილიყო ენერგიის მაქსიმალური დახარჯვით.

მაგრამ, ყველას ეხსომება, რომ პოლიტიკის სათავეში მდგომი პარტია და მის წიაღიდან გამოსული მთავრობა ყველაზე ნაკლებად ტერიტორიის საკითხს აქცევდა ყურადღებას და მთელი ძალა და უნარი სოციალურ საკითხების რევოლიუციურად გადაჭრას შეალია.

ამ რესპუბლიკის მთლიანობისათვის საზიანო მოვლენას ჩვენ იმ თავითვე აღვნიშნავდით. დაქუცმაცებულსა და დასერილ სახელმწიფოში ასეთი მეთოდი ანარქიასა და არევ-დარევას იწვევდა და აძლიერებდა. ამით იმის თქმა კი არ გვინდა, რომ არსებულ პირობებში სრულიათ ხელი აგველო სოციალურ გარდაქმნის ზრუნვაზე, მაგრამ ეს უნდა მომხდარიყო სახელმწიფოს სხეულის გამაგრებისა და შენახვის ფარგლებში.

ის კი ვიცოდით მაინც, რომ სოციალ-დემოკრატებს მეტად გაუძნელდებოდათ ამ სფეროში სათანადო შემოქმედების გამოჩენა ამ პარტიის ადამიანები დღესაც არ მალავენ, რომ ისინი თავგამოდებით იცავდენ „ჯერ რუსეთის მთლიანობას, ხოლო შემდეგ ამიერ-კავკასიას“, მაგრამ ცხოვრების მსვლელობა მათ სურვილებზე ძლიერი აღმოჩნდა და სოციალ-დემოკრატებიც, როგორც „ერთობა“ გულახდილად შეჰნიშნავს, „იძულებული გახდნენ დამოუკიდებელ პოლიტიკურ ცხოვრების მოწყობას შესდგომოდნენ“.

დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო, მაშასადამე, სოციალ-დემოკრატების პოლიტიკური დამარცხების უკანასკნელი ეტაპი ყოფილა და ამ „ხავსს“ ქართველი მენშევიკები სასოწარკვეთილებით ებღაუჭებიან! ამიტომ გასაოცარი არ არის მათი აპატიური და უხალისო მოღვაწეობა საქართველოს ტერიტორიის საბოლოო შემოფარგვლისათვის და ის მიკიბ-მოკიბული პოლიტიკა, რომლის წყალობით სხვისი სამკვიდრებელი საუცხოვოდ იზოგებოდა საკუთარი საარსებო ინტერესის შეწირვით.

მიუხედავად ამისა „ცხოვრების მსვლელობა“ მაინც ძლიერი აღმოჩნდა“ და სოციალ-დემოკრატებს დიდი ენერგიის შელევა დასჭირდათ სწორედ იმ საკითხის გადაწყვეტაში, რასაც ისინი ასე გაურბოდენ ყოველუამს.

კონფლიქტი მეზობელ სახელმწიფოებთან საზღვრების გამიჯვნის გამო აუცილებელი გახდა თვით ჩვენი სოციალ-დემოკრატიული მთავრობისათვისაც. „ცხოვრების მსვლელობამ“ ნათელჰყო

ჩვენ მიერ არა ერთხელ ხაზგასმით აღნიშნული დებულება, რომ ტერიტორიის საკითხი[ს] გადაუჭ[რე]ლად საქართველოს სახელმწიფოებრივი მყუდროება ფიქცია იყო. ეს ჭეშმარიტება დაგვიანებით „ერთობა"-საც შეუთვისებია და ამას საუკეთესოდ ამტკიცებს გაზეთის მწარე დასკვნა: „უკანასკნელ ექვსი თვის განმავლობაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თითქმის განუწყვეტლივ ომს აწარმოებს მეზობლებთან".

მიზეზი? მხოლოდ მეზობელთა ავანტიურასა და მზაკვრობას ვერ მივაწერთ ამ გარემოებას!

„თითქმის განუწყვეტელი ომის" წარმოება ესოდენ ხნის განმავლობაში ჰგულისხმობს უფრო ღრმა და თვალსაჩინო მიზეზებს და *ვფიქრობთ*, რომ სწორედ საზღვრებისათვის ბრძოლას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა ახალ სახელმწიფო ერთეულების შეიარაღებულ შეტაკებაში.

ამაოა შეთანხმება შეკავშირებაზე ლაპარაკი, ვიდრე კარდინალური, შუღლის შექმნილი მომენტი გადუწყვეტელია.

დღეს თბილისში თავმოყრილნი არიან კავკასიის ყველა სახელმწიფოთა წარმომადგენელნი, რომელთაც მოსაგვარებელი აქვთ ამ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის განმამტკიცებელი საკითხები. მაგრამ, თუ ამ კონფერენციამ ვიწროთ შემოიხაზა სამუშაო გეგმა და საფინანსო საეკონომიო დარ[გ]ით განისაზღვრა თათბირი, – კავკასიის დამრღვევი და შემწუხებელი „გორდიის კვანძი", კვლავ გადაუჭრელი დარჩება და ომის აჩრდილი, რომელიც ყველას აწუხებს, განთავისუფლებულ ხალხებს არ ჩამოსცილდება...

# ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის კონფერენცია

*წყარო: გაზეთი „საქართველო", 29 აპრილი, 1919 წ., № 91, გვ. 2.*

აპრილის 27. საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობაში შესდგა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა კონფერენციის პირველი სხდომა, რომელსაც დაესწრენ საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის წარმომადგენლები ე.პ. გეგეჭკორის, ტიგრანიანის და ხან-ხოისკის მეთაურობით. მთიელთა რესპუბლიკის წარმომადგენელნი ჯერ არ ჩამოსულან. სხდომა 11 ს. 45 წ. გახსნა ე.პ. გეგეჭკორმა, რომელიც საქართველოს მთავრობის სახელით კონფერენციას მიესალმა და იმედი გამოთქვა, რომ უაღრესათ რთულ პასუხისაგებ დროში მოწვეული ამიერკავკასიის კონფერენცია შესძლებს იდგეს მხარის ძირითად საარსებო ინტერესების სიმართლეზე და ამიერ-კავკასიის ხალხთა მიზნების საერთო სახელს მოუპოვებს. ტიგრანიანი კონფერენციას მიესალმა სომხეთის მთავრობის სახელით და გამოსთქვა რწმენა, რომ ამიერ-კავკასიის ერები, რომელნიც დიდი ხანი არაა მას აქეთ, რაც მთლიან სახელმწიფოებრივობის ფარგლებში სცხოვრობენ და რუსების წასვლის შემდეგ დაიშალენ, ეხლა შინაურ გაერთიანების გზაზე დადგებიან, რაც გამოწვეულია არა გარედან ძალდატანებით, არამედ ამიერ-კავკასიის ხალხთა ინტერესების მთლიანობის შეგნებით. ხან-ხოისკი მიესალმა კონფერენციას და აღნიშნა, რომ აზერბაიჯანის მთავრობა ყოველთვის იდგა ამიერ-კავკასიის ხალხთა გაერთიანების საფუძველზე, რადგან ისინი არიან შეკავშირებულნი საერთო ინტერესებით და იმედი გამოსთქვა, რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა პირდაპირი ურთიერთობა შესაძლებელს გახდის ვიწრო ეგოისტურ მისწრაფებებზე ხელის აღებას და საერთო მიზნების სიმაღლეზე დადგომას.

ურთიერთ მისალმების შემდეგ განიხილეს და დაამტკიცეს ნაკაზის პროექტი. ნაკაზის ძალით ჯერჯერობით უნდა გასწიონ თავმჯდომარეობა თითო დელეგაციისაგან: გეგეჭკორმა, ტიგრანიანმა და ხან-ხოისკიმ. მუშაობის წესრიგის პროექტი კონფერენციის პრეზიდიუმს გადაეცა წინასწარ განსახილველათ და შემდეგ გადაეცემა მომავალ სხდომას.

# მ. ადამაშვილი
# ისევ საქართველოს საზღვრებისათვის

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 30 აპრილი, 1919 წ., № 92, გვ. 1-2.*

წინა წერილში მე განვმარტე ის ცხადი და უუდიდესი ხიფათი, რომელიც მოელის საქართველოს ლორის ჩამოჭრის გამო. სტრატეგიულ ხიფათს ზედ ერთვის მეორე ხიფათი – საქონლის მოვლა-მოშენების გაუქმებისა ბორჩალოში. საქონლის პატრონი საზაფხულოდ ბორჩალოში ვერ დარჩება დიდი სიცხეების გამო. მათთვის ერთად-ერთი იალაღი – საზაფხულო საძოვარი ლორის მთები იყო. და თუ ეს მთები სხვის ხელში გადავიდა, ქვემო ბორჩალო-უუმდიდრესი კუთხე საქართველოსი – უნდა გაჩანაგდეს და მოისპოს.

ბორჩალოს აღმოსავლეთით ზედ აკრავს ყაზახი, ორივე კუთხე ყოველთვის საქართველოს ეკუთვნოდა. ისტორიაში არ ყოფილა ხანა, რომ ერთი ან მეორე სხვას ჩაეგდო ხელში ისე, რომ ამავე დროს თბილისიც არ წაერთმიათ. ეს მაგალითი იმას ამტკიცებს, რომ ვისაც თბილისი ეკუთვნის მისი ბუნებრივი მიდამოებიც მისი იყო და შემდეგშიაც უნდა იყოს. ეს ისტორიული მაგალითი პირუკუღმა დებულებასაც ამტკიცებს: ვისაც ეკუთვნის თბილისის მიდამოები – ყაზახი და ბორჩალო – სტრატეგიულად იმასვე ეკუთვნის თბილისიც. ეს ორი კუთხე ისეთი ერთგული იყო საქართველოსი და ისე მჭიდროდ იყო მასთან დაკავშირებული, რომ ხშირად მათ უფრო მეტი ერთგულება გამოუჩენიათ საქართველოსადმი, ვიდრე თვითონ ქართველებს. გავიხსენოთ თუნდ აღა-მაჰმად-ხანის შემოსევა. იმ დროს, როცა მეფე ერეკლეს საშველად გადმოსული იმერეთის ჯარი თბილისსა და ქართლს მოედო საცარცვავად, ხოლო დანარჩენი ქართველებიც გაიფანტნენ, ბორჩალოელი და ყაზახელი თათრები ბოლომდის შერჩნენ მოხუც ერეკლეს და ანანურამდის მიაცილეს თავიანთი გმირი მეფე.

თბილისი და ყაზახ-ბორჩალო ყოველთვის საბედისწერო და ყოფნა-არყოფნის საკითხი იყო საქართველოსთვის, რომელიც ისტორიიდან ამოიშლებოდა ხოლმე ყოველთვის, როცა ეს ადგილები გადავიდოდა მტრის ხელში. ამიტომ საქართველოს საერთო ორგანიზმიდან ამოგლეჯა ყაზახ-ბორჩალოსი სანახევროდ წინდაწინვე ნიშნავს თბილისის ამოგლეჯასაც. ის ხიფათი, რომელიც თბილისს მოელის ლორის გადაცემით, თავზე ჰკიდია ჩვენს დედა ქალაქს ყაზახის მხრივაც. იგი ხიფათი უფრო დიდიც არის ვიდრე ხიფათი ლორის დაკარგვისა. თბილისისა და საქართველოს ბედი უფრო ხშირად ყაზახის რაიონში გადაწყვეტილა, ვიდრე ბორჩალოში, ამიტომ მტკვრის ხეობა უფრო მაგრად უნდა დაიკეტოს, ვიდრე დებედასი და ხრამის ხეობები. თუ ლორის დათმობით სომხეთის საზღვარი 70-80 ვერსით უახლოვდება თბილისს, ყაზახის დათმობა აზერბაიჯანს მხოლოდ 45-50 ვერსის მანძილზე დაა[ა]ხლოვებს ჩვენს გულსა და თავს. დაახლოვებით ამ მანძილზე გადის ყაზახ-ბორჩალო-ყარაიაზის საერთო საზღვარი ხრამისა და მტკვრის შესართავთან.

თუ ეს საზღვარი დაკანონდა, ადრე თუ გვიან, როცა თბილისს ყაზახიდან და ლორიდან ზარბაზნებს დაუმიზნებენ, საქართველოს წამოეჭრება საკითხი შესახებ თავის დედაქალაქის გადატანისა თბილისიდან ქუთაისში, ან გორში. არ შეიძლება სახელმწიფოს აშენება და არსებობა არსენალზე და უცხოელთა ზარბაზნების წინაშე, რომელნიც ყოველთვის შეიძლება აფეთქდნენ და ასეთი სახელმწიფო ერთი დაკვრით გაანადგურონ.

გადაავლეთ თვალი ყაზახ-ბორჩალოს საზღვარს და ბორჩალოზე მიმავალს ჩვენს რკინის გზას, რომელიც ყაზახ-ბორჩალოს საზღვარს ზოგან 5-10 ვერსზე უახლოვდება. ასეთი საზღვრების პატრონის საქართველო ვერასოდეს ვერ მოისვენებს და ვერ შეეგუება მშვიდობიან ცხოვრებას. იგი იძულებული იქნება რამდენიმე დივიზია მარტო თბილისის დასაცავად შეინახოს. ჩვენ ამის თავი არა გვაქვს, ამიტომ ასეთი საზღვრების გამო წინდაწინვე და სამუდამოდ ჩავუარდებით ხელში ჩვენს მეზობლებს, რომელნიც ფაქტიურად გახდებიან საქართველოს ბატონ-პატრონნი.

ჩვენ ნება-ყოფლობით ასეთ საშინელ უღელს ვერ დავადებთ ჩვენს სამშობლოს, რომელიც წყევლა-კრულვით ჩაქოლავს იმას, ვინც საეჭვო მშვიდობის დასაცავად საძირკველს ჩაუყრის აუცილებელ ომს ახლო მომავალში.

სადგურ პოილომდის ჩვენს ეხლანდელ საზღვარს მტკვარი იცავს, მაგრამ აქედან იგი მტკვრის მარცხენა ნაპირზე გადმოდის, ადის მდ. იორზე და ელდარის ველის ბოლოში გადადის ალაზანზე. ვიწრო ზოლი იორსა და მტკვრის შუა ერიკ-დარა და ჯეირან-ჩოლი, დასახლებული ათიოდე პატარა თათრულ სოფლით, მწირი და უდაბნო ადგილია. მას არავითარი ეკონომიკური ფასი არა აქვს, მაგრამ სტრატეგიული თანაბრობა აქ დარღვეულია ჩვენდა საზიანოდ, რადგან ამ რაიონში

აზერბაიჯანმა გადმოლახა ბუნებრივი საზღვარი მტკვარი და ფეხი მოიკიდა ჩვენს სახლში. ეს ბუნებრივი ეკონომიკურ სტრატეგიული საზღვარი გადმოლახული და დასახიჩრებულია ალაზნის ხეობაშიაც. ეხლანდელი საზღვარი ალაზანი – სრულიად გაშლილია და ორჯერ უფრო გრძელიც არის შედარებით წინანდელ საზღვართან, რომელიც მოშალა საქართველოს დამღუპველმა შაჰ-აბაზმა. მან ნახევარი კახეთი და საინგილოს ქართველობა გადაასახლა სპარსეთში, ხოლო მათი ადგილები დაურიგა გადმოსახლებულ თათარ-ლეკებს. მოშლილი ზღუდე მახვილით აღადგინა მეფე ერეკლემ, მაგრამ გუშინ დაბადებულმა აზერბაიჯანმა დრო იხელთა, ოსმალთა დახმარებით კვლავ გაგვიღო კარებები, კახეთის მთლიანი ბუნებრივი სხეული შუაზე გასჩეხა და ყარაიაზით ორი დღის სავალზე მოეჭრა თბილისს.

თუ საქართველოსი და აზერბაიჯანის მმართველებს სავსებით შეუგნიათ ასეთი, ყოვლად შეუწყნარებელი ჩვენთვის მდგომარეობა და ამავე დროს სურთ დამკვიდრება განმტკიცება ორ მეზობელთა შორის მუდმივი მშვიდობა – მეგობრობისა, მისი მისაღწევი გზა მხოლოდ ერთია: აზერბეიჯანმა უკან უნდა დაიწიოს ნუხისა და განჯის მაზრების საზღვრებამდის.

ტყუილი და ფუჭია ცდა ბუნებრივ საზღვრების მოშლისა და ნაცვლად მთლიან ორგანიზმისა შექმნა ხელოვნურისა. იგი სახიფათოც არის იმიტომ, რომ ადრე თუ გვიან მოშლილი და შეკვეცილი სხეული ისევ მოსძებნის თავის კალაპოტს და სისხლითა და ცეცხლით დაიმკვიდრებს მას. ვინც ჩაკეტილ კაბინეტში მაკრატელით სჭრის სახელმწიფო რუქას და ივიწყებს კანონს სახელმწიფო სხეულის მთლიანობისას, ის ამავე მაკრატელით სჭედავს და ლესავს მომავალ ომის მახვილს.

ეს უნდა შეიგნოს და დაიხსომოს ეხლანდელმა კონფერენციამ, რომელიც საძირკველს უყრის კავკასიელ ერთა დამოუკიდებლობას, მათს მჭიდრო კავშირს და ხანგრძლივს მშვიდობას.

მაგრამ ჩვენს გულში შიში ბუდობს. ვაი თუ ნაცვლად მშვიდობისა რომელიც ყველას ასე მოსწყურდა, ჩვენს საერთო თავისუფლების შენობას საძირკვლად ჩაეყაროს მომავალი ომის თოფის წამალი.

ჩვენ გვესმის გრძნობა იმ უუდიდესი და ისტორიული პასუხისმგებლობისა, რომელსაც განიცდის ჩვენი მთავრობა, ამიტომ სულითა და გულით გვსურს დავიჯეროთ, რომ იგი ბოლომდის დაიცავს საქართველოს მომავალს და სავსებით მოიხდის მის წინაშე უაღრესად მძიმე ვალდებულებას.

## სომხეთში
## ინგლისელთა შეკითხვა სომხეთის მთავრობისადმი.

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 30 აპრილი, 1919 წ., № 92, გვ. 3.*

როგორც ერევნის გაზ. „აშხატოვორი“ იუწყება, თითქოს ინგლისელთა სარდლობა სომხეთის მთავრობას შეჰკითხებოდეს, [ხ]ომ არ არის სომხეთი წინააღმდეგი საქართველოს მიერ ახალ ქალაქის მაზრაში ჯარების დაგროვებისა.

სომხებმა უპასუხეს რომ ისინი ამაზე დასთანხმდებოდნენ, რომ მათთვისაც ნება მიეცათ ხრამის ხიდამდე გადაეტანათ საზღვარი და იქ ჯარები დაეგროვებინათ.

## ბორჩალოს მაზრა 6 სოფლის შუამდგომლობა საქ. მთავრობასთან

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 1 მაისი, 1919 წ., № 93, გვ. 2.*

ბორჩალოს მაზრის 6 სოფლის მაჰმადიანები საქართველოს დამფუძნებელი კრების წინაშე შუამდგომლობენ, ხსენებული რაიონი საქართველოს სახელმწიფოს შეუერთონ. შუამდგომლობაში ნათქვამია.

უხსოვარ დროთა მართლმორწმუნეთა ტაძრები, ძეგლები და საფლავები, რომლებიც დღემდე ჩვენში დაცულია სამუდამოდ ამტკიცებენ იმას, რომ ლორის სამაჰმადიანო რაიონი მუდამ განუყოფელი ნაწილი იყო საქართველოს სახელმწიფოისა და ამ რაიონის მოსახლენი თავიანთი სისხლით იცავდნენ საქართველოს მთლიანობასა და თავისუფლებას. ჩვენ არასოდეს არ გავქცევივართ საქართველოს და მუდამ ჭირსა და ლხინში ერთად ვყოფილვართ.

ეს ერთგულება ჩვენ ბორჩალოს მაზრისა და განსაკუთრებით ლორის მაჰმადიანებმა დავამტკიცეთ, როგორც ძველად ისე ახლა ოსმალოს ჯარის შემოსევის დროს ისე სომხების ომის დროს.

ჩვენ ყველა ბორჩალოს მაზრის მაჰმადიანები და სხვა ყველა ეროვნებანი გარდა მცირე რიცხოვან მოპოლიტიკოსო სომხობისა. ჩვენი ერთგულობა საქართველოსადმი დავამტკიცეთ სხვა და სხვა დროს საქართველოს მთავრობისათვის მირთმეულ საზოგადო დადგენილებებით სადაც სრულიად გარკვეულად და კატეგორიულად მოთხოვნილი იყო ლორის რაიონის საქართველოსთან შეერთება, რათა ეს რაიონი არ შეერთებინათ გუმბრის სომეხთა ახლად შემდგარ ტერიტორიისათვის, რომელთანაც ჩვენ მხარეს არასოდეს არავითარი საერთო არა ჰქონია და არც ექნება. მიუხედავად ჩვენი ასეთი კატეგორიულად მოთხოვნილებისა; საქართველოს მთავრობა როგორღაც ხსენებულ მაზრას სადავო-ტერიტორიად სთვლის, რაც ძლიერ ცუდ მდგომარეობაში გვაყენებს. ჩვენ თბილისთან დაკავშირებული ვართ ეკონომიურად-პოლიტიკურად[,] სულიერად და ყოველმხრივ მისგან ჩამოშორება არ შეგვიძლია. ამიტომ უმორჩილესად ვსთხოვთ საქართველოს მთავრობას ყოველგვარი ზომები მიიღოს ჩვენი მაზრის საქართველოს ტერიტორიასთან შეერთებისათვის. ამ შუამდგომლობას ხელს აწერს ექვსი სოფლის მცხოვრებნი განურჩევლათ სარწმუნოებისა და ეროვნობისა.

## ძალად დაკარგული განაპირების ხმა

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 3 მაისი, 1919 წ., № 94, გვ. 1.*

ჩვენს მთავრობას დიდი დანაშაული მიუძღვის, რომ საქართველოს უდავო ნაწილები დღეს სადაოთ არის გადაქცეული. წინააღმდეგ ყოველ დროის გამოცდილებისა და ისტორიის გაკვეთილებისა, საქართველოს მთავრობა იმედოვნებდა, რომ სახელმწიფოს აღშენება და მისი საფუძვლის – ტერიტორიის დაცვა შეიძლებოდა რეალურ ძალის დაუხმარებლად, მარტოოდენ ერთა სოლიდარობის და დემოკრატიათა ინტერესის ერთნაირობის ცარიელის ქადაგით, მან ანგარიში ვერ გაუწია ვერც იმ მომენტის სპეციფიურობას, როდესაც კავკასიის ქვეყნების დამოუკიდებელ თვითმოწყობის პროცესი იწყებოდა და ვერც იმ განსაკუთრებულ ვითარებას, რომ კავკასიის სხვა და სხვა ხალხი ერთი მეორის ძირეულ ტერიტორიაში იყო შეჭრილი.

მას რომ ეს სინამდვილე არ გამოპარვოდა, შეიძლებოდა საქართველოს თავისებურ მდგომარეობას იგი იმ თავითვე აეძულებინა, ძველი ხერხი და იარაღი ეხმარა საქართველოს საზღვრების დასაჭერად. მაგრამ საქართველოს მთავრობა და მართველი სოციალ-დემოკრატიული პარტია უნუგეშოდ მთვრალი იყო უშინაარსო ლოზუნგებით და მისთვის გარემოებისა და ისტორიის ლოღიკა არ სჭრიდა. თავის ფანტაზიაში იგი ყოველგან თავის მეგობარს და კეთილად განწყობილ მეზობელს ხედავდა და საქართველოს საზღვრებიც უშიშროებაში წარმოედგინა. ნამდვილი და წესიერი ჯარის მოსაწყობად იგი მიზანს და ობიექტს ვერ ხედავდა და არც ზრუნავდა. ნამდვილ მტერს – „კონტრ-რევოლიუციონერებს“ – მხოლოდ საქართველოში ჰხედავდა და მათ ასალაგმავად ფიცხელი ღონისძიებაც მიიღო და სათანადო რეალური ძალაც შექმნა – წითელი გვარდია. ამ ცალ-მხრივობამ ჩვენი ნორჩი სახელმწიფო ხომალდი გადააყირავა.

და საზღვრების საკითხში ძალთა წონასწორობა საქართველოს საზიანოდ დაირღვა.

ასე მაგალითად, მთელი „ზაქათალის ოლქი თავის საზღვრებში მოიქცია აზერბაი[ჯ]ანმა, რომელსაც მთელ თავის არსებობის სიგრძეზედ ერთხელაც არ ჰქონია შემთხვევა ამ მხარეში ებატონა. ეს ოდითგანვე საქართველოს მიწა-წყალი და ამ მიწა-წყალზე მოსახლე არა ქართველი ელემენტი პოლიტიკურ და ეკონომიკურ-კულტურულ საქართველოსთან საუკუნეებით შედუღებული, ხელში ჩაუვარდა სრულიად უცხოს, რომელსაც არა გვგონია, სიზმრადაც მოლანდებოდა ასეთი საჩუქარი!

ეს მოხდა საქართველოს მთავრობის დამნაშაურის უთადარიგობით.

ბორჩალოს მაზრაც მსხვერპლი გახდა ჩვენი მთავრობის სიბეცისა და მისი სახელმწიფოებრივი გულუბრყვილობის.

ინგლისთან დადებულ ხელშეკრულების ძალით, ოსმალეთმა რომ ბრძოლის სამხრეთი ნაწილი დასტოვა, ახალციხე-ახალქალაქთან ერთად, ჩვენი მთავრობა არ შეეცადა ეს ნაწილი დაეჭირა. ჩვენს მაგიერად იქ თავისი ჯარი შემოგზავნა და დაიჭირა კიდეც. ამ პოზიციების დაჭერას, როგორც ვიცით, მალე მოჰყვა სომხეთის გამოლაშქრება საქართეველოს წინააღმდეგ, რომელიც გათავდა

ჩვენთვის სამარცხვინო ზავით და ხელშეკრულობით. საქართველოს მთავრობამ ხელი მოაწერა იმ აქტზე, რომელიც ბორჩალოს მაზრას სადაო ტერიტორიად აცხადებდა! ბორჩალო და ზაქათალა სტრატეგიულად სწყვეტენ საქართველოს სახელმწიფოებრივ არსებობას. ჩვენი წარსული ისტორია ამის გადაშლილი ილუსტრაციაა; და რამდენადაც ქართველი ხალხის ნებისყოფა და მისი მთავრობის რეალური პოლიტიკა საქართველოს სახელმწიფოებრივ თვითარსებობას დაიცავს და ემსახურება, იმდენათვე ორივესი შეერთებული ენერგია საქართველოს ამ ორივე ჭიშკრის უდავო დასაკუთრებას უნდა ცდილობდეს. უგუნურებით და სოციალისტური გულუბრყვილობით დაკარგული ნაწილები, მსხვერპლით შეგვექმნა დასაბრუნებელი.

და ამ სამწუხარო სინამდვილის წინაშე, გულს ის გარემოება გიფონებს, რომ ორივე ამ კუთხის მცხოვრებნი, ძველ მადლობის და ტრადიციის ძალით, ჩვენთან განუყრელობას რჩეობენ და მოითხოვენ თავიანთ თავის საქართველოს საზღვრებში მოქცევას. ბორჩალოს მაზრის მაჰმადიანობა, მას აქეთ რაც რევოლუციის ზედგავლენით თავისუფალ სუბიექტურ დეკლარაციას მნიშვნელობა მიეცა, მასიურ პროტესტს გამოსთქვამდენ საქართველოდან ბორჩალოს მაზრის გამოყოფის წინააღმდეგ.

მაჰმადიანთა პროტესტებს თვითონაც ხმა შეუერთეს ბორჩალოში მოსახლე სხვა ერებმაც. იმ სომხობის გარდა, რომელნიც დაშნაკელების მიერ პოლიტიკურად „გაბრძენებული" არიან.

ამ დღეებში კიდევ ბორჩალოს ექვსი სოფელი წერილობით შუამდგომლობით შემოვიდა დამფუძნებელი კრების წინაშე, რომელშიაც ამ სოფლების მცხოვრებნი აღნიშნავდნენ, რომ ისინი და მათი წინაპრები თავიანთის სისხლით იცავდნენ საქართველოს მთლიანობას და თავისუფლებას. მოახსენებენ დამფუძნებელ კრებას, რომ ბორჩალოს ძირეულმა მკვიდრებმა ამ უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში სხვადასხვა დროს მრავალი დადგენილება გამოიტანეს, სადაც გარკვეულად და კათეგორიულად მოთხოვნილი იყო ლორის რაიონის საქართველოს საზღვრებში დატოვება. ეს ექვსი სოფელი გაოცებას და მწუხარებას გამოსთქვამს, რომ საქართველოს მთავრობა ამისდამიუხედავად ხსენებულ მაზრას სადაო ტერიტორიად სთვლის, რაც მათ ძლიერ ცუდ მდგომარეობაში აყენებს!!!

ამავე დროს ზაქათალის ოლქიდან მოდის ბევრი კერძო და საგაზეთო წერილი, სადაც მცხოვრებნი იმედს გამოსთქვამენ, რომ ზაქათალა საქართველოს დაუბრუნდება და აღდგენილ იქნება საუკუნებრივი რთული ორგანიული კავშირი განაპირას თავის ბუნებრივ ცენტრთან.

დღეს ჩვენს გაზეთში იბეჭდება ბ-ნ კეჟნელის კორესპონდენცია, სადაც ამგვარივე აზრ-სურვილები და იმედებია გამოთქმული. იმავე კორესპონდენციაში მოთხრობილია ზაქათალის ოლქის მომიჯნავე ჩვენი კომისრების და მილიციონერების ყოვლად შემაძრწუნებელი მოქმედებანი ოლქის მცხოვრებთა შორისო. მთავრობა ვალდებულია განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს, რომ ჩვენმა მოხელეებმა არაფერი უწესობა არ ჩაიდინონ ამ განაპირების მიმართ და არ აგვიმხედრონ ის ხალხი, რომელიც საქართველოს საზღვრებში შემოსვლას ნატვრობს.

## ქრონიკა

*წყარო: გაზეთი „საქართველო", 3 მაისი, 1919 წ., № 94, გვ. 2.*

ლექცია. დღეს შაბათს, საღამოს, 7-ნახევარ საათზე, უნივერსიტეტის სადგომში (გოლოვინსკის ქ. 10), ილ. ნაკაშიძე, რომელიც ახლახანს დაბრუნდა სამზღვარედიდან, წაიკითხვას ლექციას: „ხალხების კავშირი". ლექციის შემდეგ მოხდება ბაასი.

ჯავახიშვილის მოხსენება. საქართველოს საზავო დელეგაციის წევრმა პროფესორ ჯავახიშვილმა სახელმწიფო უნივერსიტეტში თანამედროვე მომენტზე საყურადღებო მოხსენება წაიკითხა. მოხსენებას სტუდენტობის და პროფესორების გარდა გარეშე ხალხიც დაესწრო. უადგილობის გამო ბევრი უკან დაბრუნდა. მოხსენების ანგარიში ჩვენი გაზეთის სახვალიო ნომერში დაიბეჭდება.

# გადამიჯვნის გარშემო

*წყარო: გაზეთი „ერთობა“, 1919 წ, № 68.*

ამიერ-კავკასიის ერების მოწყობა – მეტათ ძნელი და რთული საკითხია, არა იმიტომ, რომ პრინციპი ასეთ მოწყობის ძნელი გამოსამუშავებელი იყოს, არამედ იმიტომ, რომ ამ პრინციპის ცხოვრებაში გატარება მეტის-მეტათ სჭირდება.

თეორიულად სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები და ჯგუფები აყენებენ ერთა ცხოვრების მოსაწესრიგებლად შემდეგ პრინციპებს: დამოუკიდებლობას თვითეულ ერისას, ფედერატიულ კავშირს, ან ავტონომიურ ურთიერთობას მთლიან ამიერ-კავკასიაში.

ჩვენ ამჟამად არ შევუდგებით ამ პრინციპების შედარებით განხილვას დაწვრილებით. ვიტყვით მხოლოდ, რომ დამოუკიდებლობა პოლიტიკურათ, წვრილ ერთეულების შექმნა მუდმივ ომების ასპარეზათ აქცევდა ამიერ-კავკასიას. ფედერაციაც ამ მხრივ ვერ მოიტანს ნამდვილ თანხმობას. ყველაზე უკეთეს ფორმათ ჩვენ მიგვაჩნია ავტონომიური ერთეულების (კანტონების) შექმნა და ერთი ცენტრალური მთავრობის ყოლა მთელ ამიერკავკასიისათვის. მაგრამ ამ მხრივ კითხვის პრაქტიკულათ დასმის დროს დავა იქნება მხოლოდ ეროვნულ ერთეულების კომპეტენციაზე, მის სიფართოვეზე, თუ სივიწროვეზე და ეს ყოველ შემთხვევაში ადვილად მოსაგვარებელია.

სულ სხვა ხასიათი ეძლევა კითხვას, როცა ჩვენ შევუდგებით კანტონების გამოჭრას. თვითეული ერის ნაციონალისტები ამ შემთხვევაში შეუდგებიან თავის საზღვრების გაფართოვებაზე ზრუნვას და ამ ნიადაგზე შეიქმნება ის გამწვავებული მდგომარეობა, რომელიც დამწვარზე ნავთის გადასხმას ედარება. სწორეთ ამ მხრივ, ტერიტორიალურ გამიჯვნის საკითხი უძნელესი და უმწვავესი საკითხია. ჩვენი ნაციონალისტები მეტათ ჩქარობენ ამ საკითხის გადაჭრას. მაგრამ ჩვენ არ შეგვილია ასეთი სიჩქარით საქმის გაფუჭება ვიკისროთ.

დღეს, ამ არეულობის ხანაში, ასეთ გადამიჯვნის დაწყება, ეს საყოველთაო ომის გაჩაღება იქნება. ჩვენ ვიცით, რომ რევოლუციის პირველ ხანებშიაც კი, როცა აღფრთოვანება საერთო იყო და ძმობა-ერთობა ყველას პირზე ეკერა, სხვადასხვა ერთა ნაციონალისტურ ტენდენციების მორიგება მაინც არ მოხერხდა. მთელი თვეობით გაჭიანურდა საკითხი გადამიჯვნის და იგი გადაუჭრელი დარჩა. დღეს, ამ არევ დარევის ხანაში, ასეთი გადამიჯვნა კიდევ უფრო გაძნელდება.

იტყვიან, ეს მით უფრო საჭიროა და აუცილებელი, რომ ამის გარშემო ბევრი უბედურების დატრიალებაა შესაძლებელიო. მაგრამ ეს საბუთი მოწმობა მხოლოდ საკითხის დაშურების საჭიროებას, მაგრამ არა მის შესაძლებლობას.

ჩვენ რომ შევუდგეთ დღესვე ამ კითხვების გადაჭრას და მისი გამხორციელება კი ვერ მოვახერხეთ, რას ენიშნება ეს? ეს იქნება დაკანონება ეროვნულ ბრძოლის აუცილებლობის, დადასტურება ერთა თანამშრომლობის შეუძლებლობის ამიერ-კავკასიაში, ეს იქნება საბოლოოთ დაკარგვა ამიერ-კავკასიის მთლიანობის და ამით დაღუპვა ყველა აქ მცხოვრებ ერების.

ასეთ მდგომარეობაში ხსნა მხოლოდ გარეშე ძალაში იქმნება და ვინც პირველი შემოვა ჩვენს მხარეში, ის გახდება ბატონ-პატრონი ამ ერთმანეთში აშლილი ერების და მათი მიწა-წყლის, გარეშე ძალა მიისაკუთრებს იმ ტერიტორიის მოხმარა[ზასა] და სარგებლობა[ს].

ასეთი შედეგი შეიძლება ზოგიერთებს კიდევ სასურველათ მიაჩნდეს. ან შეიძლება ვინმეს ეგონოს, რომ ამ მხრივ ცუდ მდგომარეობაშია მხოლოდ სომხეთი და მუსულმანები, ქართველები კი ერთ კომპაქტურ მცხოვრებთა მასსას წარმოადგენენო, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს საბუთი ცხოვრებაში სინამდვილეთ არ იქცევა.

აბა ჰკითხეთ აჭარას, ახალციხეს, შეხედეთ ცხინვალის ხეობას, ზაქათალის ოლქში მცხოვრებ ლეკობას, მრავალ სხვა მთიულებს და თქვენ ნახავთ, რომ თვითეულ ტომსა და ხალხს აქვს თავისი ისტორიული ტრადიციები, აქვს თავის პრეტენზიები და ეს პრეტენზიები იმ ტერიტორიის მოზრდილ ნაწილებზე ვრცელდება, რომელიც საქართველოს თავის მიწა-წყლათ მიაჩნია.

მუსულმანთა და სომეხთა შორის ერთი მხრით, ქართველთა და მის გარშემორტყმულ – ქართველ და არა ქართველ მუსულმანთა შორის – გამიჯვნის საკითხში მოსალოდნელია დამოუკიდებულობის გამწვავება. და დღეს, როცა ყოველ საკითხის გადასაჭრელად მთავარ საშუალებით თოფ-ოარაღია მიჩნეული, ეჭვი არაა, [რომ] საკითხი საშინელ სისხლის ღვრას გამოიწვევს, ათასჯერ უარესს და შეურიგებელს, ვინემ დღევანდელი ამბები. ოსმალეთის აგენტებს, ბალშევიკების თავზე ხელაღებულ დემაგოგებს ამით მხოლოდ ფართე და ნოყიერი ნიადაგი მიეცემა თავის ბნელ საქმეების მოსაწყობად და ანარქიის ერთი-ორათ გასაძლიერებლად.

გადამიჯვნისათვის საჭიროა უფრო დამშვიდებული დრო, როცა დალაგებულ მუშაობას, ურთიერთ შორის მოლაპარაკებას მეტი ნიდაგი ექნება, ვინემ დღეს. და ასეთ პირობებში არც ერთი პარტია არ იქნება წინააღმდეგი გადამიჯვნის და ყველა ერის მოწყობის. „აჩქარებითა ცხოვრება არავის მოუჭამია“. და სწორედ ამ საკითხში უდროოთ აჩქარებას შეუძლია საქმის საბოლოოთ გაფუჭება ისე, რომ შემდეგ მას ველარაფერი გამოასწორებს.

## ცნობები საქართველოს შესახებ ევროპაში

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 10 მაისი, 1919 წ., № 100, გვ. 3.*
*გაზეთი „საქართველო“, 11 მაისი, 1919 წ., № 101, გვ. 4.*

ყველასათვის ცხადია რომ ევროპიელნი სულ არ გვიცნობენ და თუ გვიცნობენ მეტად ცალმხრივად. ევროპის მასსა ჩვენ შესახებ იმ ცნობებით იკვებება, რასაც ყოველ-დღიური გამოცემები აწვდიან. მან არ იცის თუ რას წარმოადგენს ქართველი ხალხი დღეს და [რა] როლი უთამაშია მას წარსულში. ეს კი ეხლა ჩვენთვის მეტად საჭიროა, ამას, თუ არა ვსცდები, ქართველი ხალხი ყველაზე ნაკლებ მნიშვნელობას აძლევდა და იმ დროს როდესაც ჩვენი მეზობლები თავის დამოუკიდებლობისათვის სასარგებლო ცნობებს თავითვე მოჰფენდნენ ხოლმე ქვეყანას, ჩვენი ამბები ევროპამდე ან სულ არ მიაღწევდა და ან ათასჯერ გადამახინჯებული თუ მიუვიდოდა... ჩემის აზრით ჩვენის საზოგადოებისათვის საგულისხმიერო იქნება გამოვაქვეყნო ის ცნობები, რომელნიც საქართველოსა და ქართველებს ეხებოდა.

ეს ცნობები მე მომყავს ისევე უსისტემოდ, როგორც ევროპაში მიდიოდა ორი წლის (1917-18) განმავლობაში.

მკითხველი ადვილად წარმოადგენს იმ სამწუხარო შთაბეჭდილებას, რომელსაც ეს ცნობები უცხო მკითხველზე მოახდენდა.

ხელთა მაქვს ორი წლის ფრანგული და ბულგარული სხვა და სხვა მიმართულების გაზეთები, საიდანაც მომყავს ეს ცნობები. აი ეს ამონაწერებიც:

**ჩხეიძის გავლენა.**

ბერლინი, მარტის 26. „ლოკალან ცაიგერი“ ჟენევიდან იტყობინება: მოკავშირეთა დიპლომატები უკმაყოფილონი არიან იმ დიდი გავლენით, რომელიც ახალ მთავრობაზე სოციალისტთა მეთაურს, ჩხეიძესა აქვსო. პარიზის გაზეთების პეტროგრადის კორესპონდენტები იუწყებიან, რომ ჩხეიძის და მის მეგობართა პოლიტიკური გავლენა დღითი-დღე ყოველ მხრივ იზრდება.

**ანარქია საქართველოში.**

როტერდამი 3 აგვისტო. კავკასიიდან მოსული ცნობებით მდგომარეობა იქ გართულებულია. თბილისი და ბაქო ბოლშევიკთა ხელშია. რკინის გზის ორ მესამედ ნაწილზე მოძრაობა შეჩერებულია. სოფლები უარს ამბობენ სანოვაგის მოცემაზე. ანარქიამ სამხრეთ ნაწილში იქამდინ მიაღწია, რომ პატარა ქალაქებს და სოფლებს შეიარაღებული ბრბო უფლობს.

**არეულობა საქართველოში.**

ჰააგა, აგვისტოს 14. მოსულ ამბებიდანა სჩანს, რომ მდგომარეობა საქართველოში სერიოზულ ხასიათს იღებს. მთელი მხარე ანარქიითაა – მოცემული.

სიმაგრე ყარსის განადგურების შემდეგ, მცხოვრებთ ოსმალეთთან ომი აღარა სურთ.

„საქართველო“ იტყობინება, რომ მოსაზღვრე ერებმა პეტროგრადის დიქტატურის ყოველგვარ დადგენილებაზე უარი განაცხადეს. დაარსდა მრავალი რიცხვი პატარა რესპუბლიკებისა. თბილისში არეულობა გრძელდება. ამ დღეებში გამოაშკარავდა განზრახვა ნავთის შადრევანების აფეთქებისა.

**საქართველოს დამოუკიდებლობა.**

ბერლინი, იანვრის 23. („უტრო“-ს დეპეშა) „ნაშ ვეკ“-ი იტყობინება საქართველომ გადასწყვიტა დამოუკიდებელ რესპუბლიკის გამოცხადება.

ქართული ეროვნული საბჭო, რომელიც თბილისში იმყოფება კავკასიის ფრონტის ჯარს ეროვნულ რაზმთა შედგენისათვის მოუწოდებს.

**მოქალაქეობრივი ომი თბილისში.**

ბაზელი, იანვრის 30 („უტრო“-ს დეპეშა) ჰაკასის სააგენტოს ცნობით თბილისში მოხდა (избухнала) მოქალაქეობრივი ომი.

**კავკასიის სახელმწიფო და ოსმალეთი.**

ცარიგრადი (კონსტანტინოპოლი) თებერვლის 26. (კორ. ბიურო), კავკასიის მთავრობის შემადგენლობის შესახებ „ტანინი" სწერს: გუშინდელ კამერის სხდომაზედ დეპუტატ აღა-ოღლის მიერ გამოთქმული წუხილი სამართლიანი იყო, რადგან მაჰმადიანები კავკასიაში მეტ ნაწილს შეადგენენ და კავკასიის მთავრობა რომ ცხოველი იყოს და ოსმალეთთან კეთილად განწყობილ სახელმწიფოს დაარსება შესძლოს, მეტ წილად მაჰმადიანური უნდა იყოს. თუმცა ოსმალეთმა გადასწყვიტა ქართველთა კანონიერ უფლებებს ანგარიში გაუწიოს და დააკმაყოფილოს.

**საზავო მოლაპარაკება.**

ცარიგრადი, მარტის 10. (კორ. ბიურო) გაზეთების ცნობით მოხელეთა გარდა, რომელთა შესახებ იყო კიდეც ცნობა, „ერობა და პროგრესი" – ის პარტიის ცენტრალურ კომიტეტის წევრი ხილმი ბეი და რიზა ბეი, ტრაპეზუნდს გაემგზავრნენ კავკასიის რესპუბლიკასთან მოსალაპარაკებლად. გაემგზავრა აგრეთვე კავკასიის მუსულმანთა კომიტეტის დელეგატი, რომელიც ერთი კვირა იმყოფებოდა აქ.

**მდგომარეობა კავკასიაში.**

ცარიგრადი, მარტის 10. (კორ. ბიურო) განაგრძობს რა კავკასიის მდგომარეობაზე ცნობების გადმოცემას, გაზეთი დასძენს: კავკასიის მუსულმანთა კომიტეტის წევრთ განუცხადეს „ტადფირ და ეფკიარს" შემდეგი: ეხლანდელი კავკასიის მთავრობა, შემდგარია ჯერ კიდევ კერენსკის დროს, არ ცნობს რუს ბოლშევიკთა მთავრობას და გამოაცხადა, როგორც უკრაინამ და ფინლიანდიამ, დამოუკიდებლობა. მათ სწამთ, რომ კავკასიის ყველა ხალხი მომავალში შეადგენს ცალკე სახელმწიფოს. ეჭვს გარეშეა, რომ ქართველები შეჰქმნაინ ერთ კომპლექტურ მასას თბილისის, ქუთაისის გუბერნიებში და აშალდილიკ (?)-ის და ბორჩალოს მაზრებში მუსულმანთაგან დასახლებულ მიწებზე მუსულმანთა და ქართველთა შორის, არავითარ უთანხმოებას ადგილი არა ჰქონია. საჭიროა ანგარიში გაეწიოს სომხებსაც. მაგრამ იმედია შეთანხმდებიან. დაღესტნის რესპუბლიკის გარდა ფოთის ჩრდილოეთით ერთი რესპუბლიკაც დაარსდა.

ვენა, მარტის 16. „მანჩესტერ გუარდიანი"-ს ცნობით რუსები არ ჰფიქრობენ ბათუმის და ყარსის დაცლას მათ სურთ, რათა ამის შესახებ ოსმალეთმა კავკასიის რესპუბლიკასთან დაიწყო მოლაპარაკება. მოსალოდნელია ამ ცნობის განხორციელება. საზავო მოლაპარაკების ძალით, რუსებმა უნდა დასცალონ არტაან, ყარსი და ბათუმის კოლონიები (?); არ უნდა ჩაერიონ ამ მხარის ახალ წესდებების შემოღებაში, რომელიც ოსმალეთმა უნდა დაამტკიცოს. როგორც ცნობაა ოსმალეთსა და კავკასიის რესპუბლიკის შორის მოლაპარაკება დაწყებულა.

ჩხეიძე – კავკასიის ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე. („დნევნიკ"-ის დეპეშა), პეტროგრადის დეპეშის ცნობით კავკასიის ეროვნული საბჭო მოწვეულ იყო ტფილისში. წარმომადგენლად არის ყოფილი დუმის დეპუტატი ჩხეიძე. საბჭო იცნობება ერთა რადიოტელეგრამით, რომ არ სცნობს ოსმალეთთან შეკრულს ბრესტ-ლიტოვსკის ზავს.

„ტერდჟუმანო და ზაკიკატი" სწერს, კავკასიის მიერ ბრესტის ხელშეკრულების უარყოფას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს რადგან ჩხეიძეს და სხვებს არ შეუძლიათ ილაპარაკონ კავკასიის მოსახლეობის სახელით, ვინაიდან კავკასიის მოსახლეობას, რომელიც მეტი წილი მუსულმან ქართველთაგან შესდგება, ოსმალეთთან მეგობრული ცხოვრება სურს.

**ავსტრიის ცნობა.**

ვენა, მარტის 27 ოფიციალური კავკასიის ფრონტი. ჩვენმა ჯარმა ოლთისი აიღო.

„ვაქტ"-ი 27 მარტს სწერს ამ ბოლო დროს ისევ გაისმა ჩხეიძეს სახელი, მხოლოდ ეხლა კავკასიის მთების სიმაღლიდან, ჩხეიძე იყო თავმჯდომარე დიეტისა ტფილისში და დადგენილებათა გამოცემა კავკასიის რესპუბლიკის სახელით დაიწყო.

ამ დადგენილებათა შორის ჩვენთვის საგულისხმოა ის, რომლითაც არა სცნობს ოსმალეთსა და ბოლშევიკთა საზავო ხელშეკრულებას. ჩვენ არ შეგვიძლიან ვიცნოთ თბილისის დიეტა ისეთ რამედ, რომელსაც აქვს უფლება კავკასიის ხალხის წარმომადგენლობისა, საქმის ვითარება მალე დაადასტურებს ჩვენს გამოთქმულს. ჩხეიძის დადგენილებას არ შეუძლიან იქონიოს რაიმე გავლენა კავკასიის ბედ-იღბალზე.

**ომი ოსმალეთის წინააღმდეგ.**

„როტერდამი, აპრილის 3. რეიტერი იტყობინება პეტროგრადიდან: ბათუმის, ყარსის და არტაანის მიდამოებში ოსმალეთის წინააღმდეგ საშინელი შეჯახებები დაიწყო. სომხებმა და ქართველებმა შეადგინეს დიდი (гольма) (?) ლაშქარი ოსმალთა წინააღმდეგ, რომელთაც, ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ძალით, მხრის ოკუპაცია დაიწყეს. ქართველმა ჯარმა ხელთ იგდო

რუსის რამდენიმე სამხედრო გემი.

**კავკასიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა**

სომხეთის ავტონომია (?) ჰააგა, აპრილი. პეტროგრადიდან იტყობინებიან თბილისში შემდგარ კავკასიის საბჭომ გამოაცხადა კავკასიის რესპუბლიკა დამოუკიდებლად. საბჭომ მიიღო პრემინარული ზავი ოსმალეთთან 1914 წლის საზღვრების აღდგენის პრინციპზე. აგრეთვე მიღებულ იქმნა სომხეთის ავტონომიის წინადადება.

საქართველო-ოსმალეთის უკანასკნელ ომის დროს ოსმალეთი ასეთს ცნობებს აწვდიდა ევროპას.

**ოსმალთა წინსვლა კავკასიაში.**

ოსმალური ცნობა, აპრილის 6. ოფიციალური. კავკასიაში, ჩვენმა ჯარმა წინ წაწევისას მძაფრი ბრძოლის შემდეგ ბასტანი და არნისი აიღო. ასინაში ხელთ ვიგდეთ 4 მოტორიანი ნავი, პონტონი, ბევრი ზარბაზანი, ტყვიის მფრქვეველი და ამუნიცია. მოპირდაპირე ბრბოები აღმოსავლეთისაკენ გაიქცნენ და ბრძოლის ველზე ბლომად დახოცილნი დასტოვეს. ჩვენმა ძლევამოსილმა მხედრობამ სარიყამიშიც აიღო. ერთ ღამეს, იერიშის დროს მტერი განდევნილ იქმნა თავის ძლიერ პოზიციებიდან ქალაქის ჩრდილო-დასავლეთით. ყარსის მიმართულებით დასეულ მტერს ვდევნით. უახლოვდებით ბათომს.

ცარიგრადი, აპრილის 6. კავკასიის ფრონტი. ჩვენი ჯარი განაგრძობს წინ სვლას. ვრცელ ფრონტით, ძლიერ ბრძოლის შემდეგ ავიღეთ ერდშინი, რომელიც ვანის ტბის ჩრდილოეთ ნაპირზე მდებარეობს. იერიშით ავიღეთ წინა ძლიერი პოზიციები სარაყამიშის დასავლეთით, არტაანი. ჩვენმა ჯარმა აიღო 34 მორტირა და მტრის ამუნიცია ხელთ ვიგდეთ. შავი ზღვის ნაპირას ბათუმის მიმართულებით ძველი საზღვარი გადავლახეთ.

ცარიგრადი აპრილის 12, ოფფიციალ. კავკასიაში ავიღეთ ქალ. კაგიზმანი, ყარსის სამხრეთით მდებარე. ავიღეთ 3 პოზიცია ბათუმის სამხრეთით და გავაქციეთ მათი მცველნი ხელთ ვიგდეთ ბლომად ტყვიის მფრქვეველები, ზარბაზნები და ამუნიცია.

ცარიგრადი, აპრილის 15. ოფიციალური. ავიღეთ ბათუმი, მტერი, რომელიც ყოველ ბიჯს იცავდა, გავდევნეთ. ჩვენი იერიში დაიწყო აპრილის 13-ს, საღამოთი, სიმაგრის სამხრეთ ფრონტების წინაალმდეგ. ჩვენი წინ წაწევა მამაცურის სისწრაფით მოხდა და ჩვენი ჯარი შევიდა მრავალ ფორტიან სიმაგრეში. წინსვლის და იერიშის დროს ზოგიერთ ფორტის მცველნი დაგვნებდნენ და თეთრი დროშა ააფრიალეს („იზდიგნას“), ზოგიერთნი კი ძლიერ წინააღმდეგობას გვიწევდნენ. ქალაქის დელეგაცია ჩვენს ჯარს გულით დახვდა, როგორც ქალაქი, ისე ნავთსადგური ეხლაც ჩვენს ხელშია. ქალაქში სიმშვიდე სუფევდა. ტყვეთა რიცხვი და სამხედრო ნადავლი ჯერ გამოურკვეველია. მტრის ზარალი უზომოა... ვანის ტბის აღმოსავლეთით ავიღეთ სერაი.

ცარიგრადი, აპრილის 22. კავკასიის ფრონტი, ჩვენი ჯარი ბრძოლით ყარსს უახლოვდება. ოზურგეთი, რომელიც იმყოფება ბათუმის ჩრდილო-აღმოსავლეთით 30 კილომეტრზე, ჩვენმა სახელოვანმა ჯარმა აიღო.

**ოსმალთა ცნობა.**

ცარიგრადი, აპრილის 26. ოფიციალური. ცხარე ბრძოლის შემდეგ ავიღეთ ციხე ყარსი, 830 ზარბაზანი სხვა და სხვა სიდიდისა ხელთ ვიგდეთ.

აპრილის 27. (კორ. ბიურო). კავკასიის მთავრობის დელეგატებმა განუცხადეს გაზეთებს: მოვედით ოსმალეთს ვაცნობინოთ მხარის დამოუკიდებლობა და კავშირიც შევკრიბოთ. მათ სწამთ, რომ ეხლანდელ ტრანსკავკასიის მთავრობის თავი, რომელიც კავკასიის მისიის წევრად იყო და რომელიც აწარმოებს მოლაპარაკებას ტრაპეზუნდში, მართლა მომხრეა ოსმალეთთან ზავის შეკვრისა.

საქართველოსი და ოსმალეთის მოლაპარაკება დაწყობილი გერმანელთა მონაწილეობით.

ბერლინი. მაისის 16. (№) ოსმალეთის და საქართველოს შორის მოლაპარაკება გერმანიის წარმომადგენელთა მონაწილეობით სწარმოებს. მოლაპარაკების საგანია, კავკასიის ახლად დაარსებულ სახელმწიფოებთა დამოკიდებულება და ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკების დადგენილების გარჩევა.

**ქართველები სოჭისკენ.**

კიევი ივლისის 27. (კორ. ბიურო) ქართველი ჯარი შავი ზღვის პირად ჩრდილოეთისაკენ, წინ მიიწევს. გუდაუთი და გაგრა აღებულია.

**დამოუკიდებელი საქართველო.**

კიევი, აგვისტოს 16. (კორ. ბიურო) საქართველოს მთავრობის წარმომადგენელებმა თევზაიამ და მის თანაშემწემ გუშინ გადასცეს საგარეო მინისტრის თავიანთ აკრედიტიული წერილები.

**ოსმალეთი და მისი მოკავშირენი.**

დღეს თალაათ ფაშა გაემგზავრა ვენას და ბერლინს ოსმალეთის საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად. ოსმალეთი თავზარ დაცემული რუს-გერმანელთა შეთანხმებით როგორც ბაქოს აგრეთვე საქართველოს საზღვრების შესახებ. ეჭვი არ არის იგი ჰპოვებს დაკმაყოფილებას და როგორც ცარიგრადის გაზეთი „ზემანი" ამბობს, თალაათ ფაშას მგზავრობა იქნება ის ნაბიჯი, რომელიც გააუმჯობესებს განწყობილებას ოსმალეთსა და მის მოკავშირეთა შორის...

ამგვარი ცნობები ჩვენს შესახებ ევროპაში. მათი დაფასება და მოქმედების ნაყოფის გაგება თვით მკითხველისთვის მოგვინდვია. მხოლოდ მოგიყვანთ კიდევ ერთ საყურადღებო ცნობებს ჩვენი ეკლესიის და ჩვენი დამოუკიდებლობაზე, რომელიც მოთავსებული იყო ვინმე ბულგარელ პუბლიცისტისაგან სოფიის გაზეთ „ზარია"-ში აპრილის 24-ს. 1918 წ. № 1483-ში.

# ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენცია

*წყარო: გაზეთი „ერთობა", 15 მაისი, 1919 წ., № 105, გვ. 1.*

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენციას თავიდანვე წინ დაუდგა მთელი საკითხები, ამ რესპუბლიკათა ზოგიერთ კითხვებში გაერთიანებისა და მათ შორის სოლიდარობის ხაზის გამონახვისა, ამათში მთავარია დაცვა დამოუკიდებლობისა.

ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ ამ პატარა რესპუბლიკებს გაუწევენ ანგარიშს მხოლოდ ერთ შემთხვევაში – როცა იგინი თვით შესძლებენ შინაური საქმეების მოწყობას დამოუკიდებლივ და ერთმანეთში მორიგების გარეშე ძალის დაუხმარებლათ. სამწუხაროთ, დღემდე არ გვქონდა იმის იმედი, რომ ესა თუ ის რესპუბლიკა არ შეეცდებოდა გარეშე ძალის გამოყენებას თავის ინტერესების სასარგებლოთ და მათ ჩვენს შინაურ საქმეებში გადამჭრელ ძალათ არ გადააქცევდა.

უკანასკნელმა ამბებმა ერთხელ კიდევ უნდა აუხილოს თვალი იმათ, ვინც მუდამ გარეთ იცქირება და ხსნას მხოლოდ გარედმიდან მოელის.

ამიერ-კავკასიის ბედი ცვალებადი შეიქმნა, აქ იყო გერმანია, შემდეგ ინგლისი, ახლა ველით იტალიას. ხვალ კიდევ ვისი ჯერი დადგება, არ ვიცით. ევროპის სახელმწიფოთა კომბინაციებს შეუძლიათ დღევანდელი სურათი ხვალ ხელახლა შესცვალონ და ასე დაუსრულებლივ.

ამ რიგათ გარეშე ძალის იმედით ყოფნა, ნიშნავს მუდმივ რყევას. დღეს [ერ]თ კომბინაციას, ხვალ მეორეს, დღეს ერთი გახდება უფრო დაახლოვებული გარეშე ძალასთან, ხვალ მეორე. და ამით თვით რესპუბლიკათა ბედი ცვალებადობის საზღვრებს ვერ გასცილდება. ამით დაირღვევა საბოლოო ნდობა ურთიერთის, ნდობა თავის თავის და გამოეთხრება ძირი ყველგან ჩვენს დამოუკიდებელ არსებობას. გავხდებით მსხვერპლი იმ მესამე ძალის, რომელსაც თვითონვე თავის ხელით ჩავრევთ ჩვენს შინაურ საქმეებში.

კონფერენციამ, რომელიც ახლა მუშაობს თფილისში, უნდა ერთხელ და სამუდამოთ მოუღოს ბოლო ამ დამღუპველ პოლიტიკას. მან უნდა შეიმუშავოს საერთო ხაზი გარეშე სახელმწიფოებთან დამოკიდებლების და ყველამ ერთი პოლიტიკა აწარმოვოს ამ საკითხში და, რაც უმთავრესია, მან უნდა ურთიერთის დათმობით გადაჭრას ის საკითხები, რომელნიც დღემდე სადაო იყვნენ ამ პატარა ერთეულებს შორის. თუ ოდესმე იყო საჭირო დავის ლიკვიდაცია, ეს განსაკუთრებით საჭიროა დღეს.

და კონფერენციამ უნდა დაუყოვნებლივ დაჩქარებით, შექმნას ასეთი ნიადაგი შეთანხმებისა. შეიქმნას ისეთი პირობები, რომელიც ყველას, მტერსაც და მოყვარესაც, დაანახვებს, რომ ამიერ-კავკასიის ერები არ ემსგავსებიან იმ ურდოებს, რომელნიც ერთმანეთის მტრობით გატაცებულნი ივიწყებენ თავის საარსებო ინტერესებს, რომ ჩვენ გვაქვს უნარი და შეძლება ევროპიულ სახელმწიფოებრივ ერთეულის შექმნისა და მისი გაძლოლისა.

მხოლოდ ამით შევსძლებთ ამიერ-კავკასია გავხადოთ ნამდვილ სამშობლოთ ადგილობრივ ერთათვის და არა დედინაცვლათ, რომელიც სახელათ ჩვენი იქნება და სახრავათ სხვისი.

# ამიერ-კავკასიის კონფერენცია და საზღვრები

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 17 მაისი, 1919 წ., № 106, გვ. 1.*

ამიერ-კავკასიის კონფერენციას ბევრი წერილი უძღვნა ყველა დაინტერესებული ქვეყნის პრესსამ. საკვირველი ისაა, რომ არამც თუ ორი სხვა და სხვა ქვეყნის პრესსამ, არამედ ერთი და იგივე ქვეყნის პრესსამაც ვერ გამოიტანა ერთი აზრი იმის შესახებ, თუ რა და რა საკითხის მოგვარებას უნდა მიქცეოდა კონფერენციის უმთავრესი ყურადღება, რომ შესაძლებელი გამხდარიყო ყველა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების შეთანხმებული მოქმედება მათი დამოუკიდებლობის საერთო მტრის წინააღმდეგ. ეს მით უფრო გასაკვირია, რომ ყველასთვის ცხადია და ადვილი დასანახია ამიერ-კავკასიის სახელმწიფოთა შეხლა-შემოხლისა და ძირითადი ტერიტორიისა და საზღვრის საკითხი. ამ საკითხის მართებულის მოგვარებით წინ გადაიშლება ფართე შესაძლებლობა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა საერთო მოქმედებისა საერთო მიზნის დასაცავად. ამის და მიუხედავად მეზობელი რესპუბლიკების მთავრობებიცა და პრესსაც, ისე როგორც ზოგიერთი ქართული პოლიტიკური ორგანოც, ჩქმალავენ საზღვრების საკითხს და იმას სხვა დროსა და გარემოებისათვის სდებენ. გაზეთი „ერთობა“ რომ ავიღოთ, რომლის მიმდევრებიც საქართველოს რეალურ პოლიტიკას ქმნიან, და მისი მეთაური წერილები ერთი-ერთმანეთზე წავაწყოთ მერყეობისა და ბარბაცის იშვიათ ილუსტრაციას მივიღებთ. ერთ-ერთ ნომერში რედაქცია თამამად აცხადებდა რომ ამ კონფერენციაზედ ტერიტორიის საკითხის წამოყენებას ნაციონალისტები მოითხოვენ, ხოლო დემოკრატია კი დაინტერესებულია შეთანხმება მოხდეს ფოსტა-ტელეგრაფის, რკ. გზის, საბაჟოების და სხვა ამგვარ საკითხებშიო, ტერიტორია და საზღვარი გადასაწყვეტად არბიტრაჟს გადაეცესო. თავი რომ გავანებოთ იმ გარემოებას, რომ ყოვლად შეუძლებელია თავიანმა სახელმწიფომ საარბიტრაჟოთ ისეთი საკითხი გაიტანოს, რომელიც მისი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია და რომელსაც სადავოდ ვერას გზით ვერ გაიხდის, – ცხადია, რომ ყოველ გვარი შეთანხმება ფოსტა-ტელეგრაფის და სხვა ამგვარ საკითხებზე ვერ შექმნის საიმედო ნიადაგს ამიერ-კავკასიის სახელმწიფოთა დასაახლოვებლად და ერთიანი, მთლიანი ფრონტის შესაქმნელად.

მარტო ტერიტორიის და საზღვრის საკითხის სამართლიან მოგვარებას ძალუძს ლოიალური კავშირის ჩამოგდება ჩვენს რესპუბლიკათა შორის. ამიტომაც სასურველად უნდა ჩაითვალოს, რომ თვით კონფერენცია, წინასწარი კამათის შემდეგ, ამ გზას დაადგა და საზღვრების საკითხის გადაჭრაც, თავის საგნად მიიჩნია. საჭიროა, რომ კონფერენციაზე მონაწილე ხალხთა პრესსამაც ენერგიულად და ერთხმად მოითხოვოს ამ საკითხის მოგვარება და აღიჭურვოს კეთილის ზრახვებით, ობიექტივობისა და ყველა უფლების დაცვის მიხედვით ხელი შეუწყოს და გაუადვილოს ამიერ კავკასიის სახელმწიფოთა ოფიციალურ წარმომადგენლებს ამ რთული საკითხის ყველასთვის დამაკმაყოფილებელი გადაჭრა.

გაზეთმა „ერთობამ“ თითქოს იგრძნო ესაო და 105 ნომრის მეთაურში მორცხვად აღნიშნა: „მან (კონფერენციამ) უნდა ურთი-ერთის დათმობით გადაჭრას ის საკითხები, რომელნიც დღემდე სადაო იყვნენ ამ პატარა ერთეულებს შორისო“. საჭიროა უფრო გარკვევით და სახელ-დარქმევით ითქვას, თუ რა საკითხებია ეს საკითხები და რომელია მათ შორის ყველაზედ უმთავრესი. ქართულმა პრესსამ ერთსულოვანი კამპანია უნდა გასწიოს ამ საგანზედ; გამოვიღოთ სალარო და ყველა ჩვენი კეთილშობილი სურვილი და მიდრეკილებანი: შეგნებას მივსცეთ ნების-ყოფის ძალა, ვსცადოთ უზენაესად მეზობლების დაყოლიება უდავო საზღვრების სამართლიან გადაჭრისათვის. თუ დადებით შედეგებს მივაღწიეთ, მთელი კავკასიის საქმე მოგებულია. გვითქვამს და კვლავ ვიმეორებთ, საზღვრების საქმის ლოიალური გადაჭრა კავკასიისაგან შექმნის შეუმუსვრელს ბურჯს, დიდ მორალურს, პოლიტიკურს და მილიტარულ ძლიერებას. თუ ცდამ უნაყოფოთ ჩაიარა, ის მაინც გვეცოდინება რომ შეუძლებელია საკუთარის ძალით და შეთანხმებით ტერიტორიის საკითხის გარდაწყვეტა და მაშინ ყველა სათითაოდ შეუდგება თავის ფონის ძებნას. მაგრამ ვაი თუ ყველამ თავ-თავის ფონში თავისი სამარე ჰპოვოს!

# ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენცია

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 17 მაისი, 1919 წ., № 106, გვ. 2.*

1) ტერიტორიალურ კომისიაში შედიან საქართველოს რესპუბლიკიდან ბ. მინისტრი ნ.ვ. რამიშვილი და ს.გ. მდივანი, სომხეთიდან ბბ. ტიგრანიანი, არუთინიანი, აზერბაიჯანიდან ხან-ხოისკი, ხასმამედოვი, ექიმი ვექილოვი და ალიევი.

2) პოლიტიკურ კომისიაში შედიან: საქართველოს რესპუბლიკიდან ბ. ე.პ. გეგეჭკორი, ბბ. არსენიძე და გვაზავა. სომხეთიდან ბბ. ტიგრანიანი, არუთინიანი და მამიკონიანი, ადერბეიჯანიდან ბბ. ხან ხოისკი ხასმამედოვი და ჯაფაროვი, მთიელთაგან ბბ. კანტემირი, ბუტაევი და პენზულაევი.

3) საფინანსო ეკონომიურ კომისიაში საქართველოს რესპუბლიკიდაბ ბბ. აბხაზი და ელიგულა-შვილი. სომხეთიდან ბბ. ტერ-არუთინიანი და ბუტანიანი. აზერბაიჯანიდან ბბ. ვეზიროვი და პეკარსკი, მთიელთაგან ბბ. ბუტაევი და ვალაევი.

4) სამოსამართლო-საუფლებრივო კომისიაში შედიან საქართველოდან – ბბ. დემიდოვი და კვირკელია, სომხეთიდან – ბბ. ბარხუდაროვი და დოლუხანოვი აზერბეიჯანიდან – ბბ. ჯაფაროვი და ვოისევიჩი, მთიელთაგან – ბბ. ახუნდოვი და ბუტაევი.

5. რკინის გზისა და ფოსტა-ტელეგრაფის კომისიაში საქართველოდან – ბბ. ბოკერია, მგელაძე და მანდენოვი. სომხეთიდან – ბბ. ხატისოვი და მაკაროვი. აზერბაიჯანიდან – ბბ. ვექილოვი და სამოილოვი, მთიელთაგან – პენზულაევი და სობიევი.

6. ლტოლვილთა კომისიაში: საქართველოდან – ბბ. ჩიკვაიძე და ნანეიშვილი, სომხეთიდან – ბბ. დავითხანიანი, ივანიანი და სტეფანიანი. მთიელთაგან – ბბ. კანტემირი და ალგევი.

7. მომთაბარეთა კომისიაში საქართველოდან – ბბ. მაჩაბელი და კორინთელი, სომხეთიდან – ბბ. არუთინიანი და კამსარაკანი, აზერბაიჯანიდან – ბბ. ვექილოვი და ვეზიროვი, მთიელთაგან – ბბ. კანტემირი და აბდულა ყადიროვი.

# ნ.ს. ჩხეიძე პიშონთან

*წყარო: გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., 4 ივნისი, № 120, გვ. 2.*

გარეშე საქმეთა სამინისტრომ შემდეგი ცნობა მიიღო პარიზიდან საზავო [კონფერენციაზე] დასასწრებლად საქართველოს რესპუბლიკის დელეგაციისგან:

საქართველოს რესპუბლიკის დელეგაციის თავმჯდომარემ ნ.ს. ჩხეიძემ ინახულა პარიზის კონფერენციის წევრი, საფრანგეთის რესპუბლიკის გარეშე საქმეთა მინისტრი პიშონი და გააცნო მას იმ მოთხოვნილებათა შინაარსი, რომელსაც წარუდგენს საქართველოს დელეგაცია საზავო კონფერენციას.

ბ. პიშონმა განუცხადა ჩხეიძეს, რომ საქართველოს საკითხი სავსებით ცხადია და ის არავითარ სიძნელეს არ ხედავს ამ საკითხის კეთილათ გადაწყვეტა დაგვირგვინებაში.

# არტაანის ბედი

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 6 ივნისი, 1919 წ., № 115, გვ. 2.*

უკანასკნელ ცნობების მიხედვით სომხის ჯარმა ქ. არტაანი დაიჭირა და მთელ ოლქში სომხეთის მთავრობამ თავისი ადმინისტრაცია მოაწყო.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ ჩვენმა მთავრობამ თავისი ჯარი ამ რაიონიდან გამოიწვია და ამ რიგად ეს ძირეული საქართველოს პროვინცია, რომელიც ცოტა ხანის წინად ქართველი მეომრების სისხლით იქნა მორწყული, თავის ჰინტერლანდს მოსწყდა და იქ მცხოვრები ქართველი მაჰმადიანობა ისევ ბედის ანაბარად დარჩა მიტოვებული.

ეს მოულოდნელი ცნობა უსათუოდ გააოცებდა და თავზარს დასცემდა საქართველოს რესპუბლიკის ყოველ ერთგულ მოქალაქეს.

იკითხავთ, – რა მოხდა ისეთი, რომ ჩვენი მთავრობის ბრძანებით ეს პროვინცია ჩვენმა ჯარმა უომროდ დასტოვა. სამწუხაროდ, ჩვენ ხელთ მყოფი ცნობები ამ კითხვაზე დამაკმაყოფილებელ

პასუხს არ იძლევა. მთავრობაც საზოგადოების ნერვიულ მდგომარეობას უთუოდ ანგარიშს არ უწევს და მომხდარ ამბებზე საჭირო განმარტებას არ იძლევა.

ამ სამიოდე თვის წინად ეს პროვინცია კიდევ არ იყო ჩვენს ხელში[.] ის ოსმალეთის ემისარებმა და სომხის აგენტებმა ჩვენი რესპუბლიკის საწინააღმდეგო სამოქმედო ბაზა[დ] გაიჩინეს ჩვენთვის მაშინაც აშკარა იყო ეს, მაგრამ ხმალი მათ წინააღმდეგ არ აგვიღია, რადგან ვფიქრობდით, რომ მოკავშირეთა სარდლობა, რომელიც აქ მოვიდა მშვიდობიანობისა და წესიერების დასაცავად, მიიღებდა ზომებს, რომ ჩვენი რესპუბლიკის ფარული და აშკარა მტრებს პროვოკაციისთვის ბოლო დაედვა.

სამწუხაროდ, ჩვენი იმედები არ გამართლდა. მტერმა გადმოლახა ახალციხის საზღვრები და ჩვენს მშვიდობიანობას ემუქრებოდა.

მეტი ცდა აღარ შეგვეძლო და ჩვენმა ჯარმა იმავე მოკავშირეთა სარდლობასთან შეთანხმებით ხმლის ძალით გასწმინდა ეს ადგილები უპასუხისმგებლო ბანდებისაგან და მშვიდობიანობას და წესიერებას დარაჯად ჩაუდგა ფოცხოვისა და არტაანის მხარეში.

დღეს კი, როდესაც იდუმალი მოვლენის ძალით ეს ადგილები ჩვენგნით ბედის ანაბრად დატოვებულია.

რა თქმა უნდა, რა გარემოებაც არ უნდა უძღოდეს წინ ამ მოვლენას, ჩვენ დაჯერებული ვართ, რომ სომხებისაგან არტაანის ოლქის დაჭერას დროებითი ხასიათი ექნება ვინაიდან ქართველი ერი ვერ მოითმენს მისი კულტურის აკვანის ხანგრძლივად სხვის ხელში დარჩენას. ჩვენ დროებითაც შეუწყნარებლად მიგვაჩნია ბატონობდეს იმ ადგილებში ისეთი ძალა, რომელსაც ადგილობრივი მკვიდრი ვერ შეურიგდება მათ შორის არსებულ ანტაგონიზმის გამო. არტაანი, არდანუჯი და ართვინი ის ძაფია, რომელიც აერთებს სამუსლიმანო საქართველოს ქალაქ ბათუმთან და ყოვლად შეუძლებელია, რომელიმე ამ პუნქტზე თუ გინდ დროებით დამკვიდრდეს ძალა, რომელიც გული თავის არსებით მიმართულია სამაჰმადიანოს საქართველოს განთავისუფლებასა და აღორძინების წინააღმდეგ.

თუ თავის დროზე ჩვენს მოძმეს სათანადო მფარველობა ვერ გაუწიეთ და მათი მიწა წყალი ჩვენი სახელმწიფოებრივი ფორმულები ვერ შემოვხაზეთ, ამაში ბრალი უმთავრესად ჩვენი ერის მესვეურთ უძევთ, ჩვენ მთავრობას.

წარსულში იყო ისეთი პირობები, როდესაც ამ საკითხს სრულებით იოლად და უმტკივნეულოდ ჩვენდა სასარგებლოდ გადავჭრიდით, მაგრამ ჩვენი მთავრობა ყველასთან „კეთილს მეზობლობის" პრინციპზე იდგა და თაკილობდა ეროვნული სხეულის შემოკრებას, დღეს ყველა ვხედავთ რომ ჩვენმა „მეზობელმა" უდიერ სითამამით თავზე ფეხი დაგვადგა. და ლამის არის „ნათხოვარი კანაფი" ყელზე მოგვიჭიროს.

ვამბობთ, არტაანის საკითხი არ არის მისაფუჩეჩებელი და მეორე ხარისხის საკითხი და მოვითხოვთ მთავრობისაგან სრულ განმარ[ტე]ბას მომხდარ ამბებზე.

ამასთანავე სამაჰმადიანო საქართველომ ეროვნული შეგნებით უნდა შეხვდეს მომხდარ მოვლენას და თავის სამართლიან ინტერესების ერთგულ დამცველად უნდა დადგეს.

# ჩხეიძის და წერეთლის წერილი

*წყარო: გაზეთი „საქართველო", 11 ივნისი, 1919 წ., № 118, გვ. 2-3.*

პარიზიდან თბილისში მიღებულია ჩხეიძის და წერეთლის წერილი. ვრცელ წერილიდან მოგვყავს მხოლოდ მისი შინაარსი:

„ვისაც კი დახმარებისთვის მივმართეთ ყველა დიდის თანაგრძნობით შეგვეგება. ყველა დაჟინებით გვარწმუნებს რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღიარების საკითხი იმდენად ნათელია, რომ არავითარ დავას არ გამოიწვევს.

მაგრამ ჯერ კონფერენციას არ გადაუწყვეტია არც ერთი მთავარი საკითხი და ამისათვის ჯერ-ჯერობით პატარა ერების საკითხი არ გაურჩევიათ[".]

დელეგატები იწერებიან, – „იცოდეთ თქვენი შინაური მტკიცე მდგომარეობა არ შეირყეს. რაც შეეხება დამოუკიდებლობის აღიარებას ამაში პარიზის მხრით არავითარი დაბრკოლება არ გვეღობებაო".

# საქართველოს დელეგატების ჩამოსვლა

*წყარო: გაზეთი „საქართველო", 17 თიბათვე [ივნისი], 1919 წ., № 123, გვ. 2.*

თანახმად მიღებულ ცნობებისა, მოკლე ხანში პარიზიდან თბილისს ჩამოვლენ ირაკლი წერეთელი და ღამბაშიძე. დელეგატები რამდენიმე დღის შემდეგ უკანვე გაბრუნდებიან.

# თავისუფალ საქართველოსთვის.

*წყარო: გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 29 ივლისი, 1919 წ., № 166, გვ. 2.*

ფრანგული გაზეთი „ფიგარო" 3 ივლისის №-ში აღნიშნული სათაურით სწერს: არც გეოგრაფიულად, არც ეტნიურად საქართველოს რუსეთის ნაწილს არ წარმოადგენს.

„რომ თავიდან აეცილებია ოსმალეთის ტირანია, მან (საქართველომ) 1783 წელში თავი შეაფარა მეფეს (რუსეთისას), რომელმაც კეთილი ქართველები მოაუტყუა და ისინი პირდაპირ შეუერთა თავის იმპერიას. მაგრამ როგორც ელზასი და ლოტარინგია არ გარდიქმნენ ნემეცური ორმ[ო]ცდა ხუთი წლის განმავლობაში ნემეცთა ბატონობის დროს, ისე მთელი საუკუნის განმავლობაში რუსეთის მონობის უღელმა ვერ ჩაახჩო ქართველებში პატრიოტიზმის გრძნობა.

„საქართველოს აქვს თავისი ენა, თავისი ეკლესია და კულტურა. განა მოკავშირე სახელმწიფოებს შეუძლიათ დაივიწყონ ის, რომ $4_{1/2}$ მილიონ ქართველთა მიერ დასახლებულმა ქვეყანამ, რუსეთის არმიას მისცა 150,000 ჯარისკაცი, რომლის მესამედი პატიოსნებისათვის ბრძოლის ველზე დაეცა? განა ეს საქართველოს უფლებას არ აძლევს, რომ იყოს თავისუფალი, რომელიც მას ძვირად დაუჯდა?

„ამას გარდა ქართველებს ვერ დავივიწყებთ იმიტომ, რომ რუსეთის ჯარის წასვლის შემდეგ მათ იარაღი არ დაჰყარეს. ისინი მანამდე იბრძოდნენ, სანამ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებამ ოსმალეთს არ მისცა ხელში.

„შემდეგ ისინი იბრძოდნენ ბალშევიზმის წინააღმდეგ, მოაწყვეს მთავრობა, რომელიც მშვენიერ მაგალითს აძლევს მეზობლებს, რომელნიც ჯერ კიდევ შინაური რევოლუციით იტანჯებიან.

„ქართველები იმედოვნებენ, რომ საფრანგეთის მთავრობა ინგლისის მთავრობასავით, დაიჭერს ოფიციალურ დამოკიდებულებას მათი ქვეყნის დელეგაციასთან.

„როგორი მიმართულებაც არ უნდა მიიღოს რუსეთის საქმეებმა, ერთი შეუძლებელია, რომ მოკავშირეებმა ყურადღება არ მიაქციონ სამართლიან მოთხოვნილებას ამ ერისას, რომელიც ისწრაფვის განამტკიცოს თავისი დამოუკიდებლობა".

# განცხადება

*წყარო: გაზეთი „საქართველო", 1 მარიამობისთვე (აგვისტო), 1919 წ., № 162, გვ. 1.*
*გაზეთი „საქართველო", 2 მარიამობისთვე (აგვისტო), 1919 წ., № 163, გვ. 1.*
*გაზეთი „საქართველო", 3 მარიამობისთვე (აგვისტო), 1919 წ., № 164, გვ. 1.*

თბილისის სახელმწიფო თეატრი.
საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, უპარტიოთა კავშირი და რადიკალ-დემოკრატების პარტია
კვირას, მარიამობისთვის 3, იწვევენ
მოქალაქეთა კრებას,
რომელზედაც პროფესორი ივანე ჯავახიშვილი წაიკითხავს მოხსენებას:
„საქართველოს საზღვრები, ისტორიული და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული"
დასაწყისი დილის 12 საათზე. შესასვლელი ფასი 3 მ.
ბილეთები იყიდება სახელმწიფო თეატრის სალაროებში/კასაში. 4 – ფ – 2

# ქრონიკა

*წყაროები: გაზეთი „საქართველო“, 1 მარიამობისთვე (აგვისტო), 1919 წ., № 162, გვ. 2.*
*გაზეთი „საქართველო“, 2 მარიამობისთვე (აგვისტო), 1919 წ., № 163, გვ. 2.*
*გაზეთი „საქართველო“, 2 მარიამობისთვე (აგვისტო), 1919 წ., № 163, გვ. 2.*

მოქალაქეთა მიტინგი (პროფ. ჯავახიშვილის ლექცია). კვირას შუადღის 12 საათისათვის სახაზინო თეატრში ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, უპარტიოთა კავშირი და რადიკალ-დემოკრატიული პარტია იწვევს მოქალაქეთა მიტინგს, რომელზედაც ლექციას წაიკითხავს პატივცემული პროფესორი ივ. ჯავახიშვილი შემდეგ თემაზე: „საქართველოს საზღვრები განხილული ისტორიული და სტრატეგიული თვალსაზრისით.[“] ბილეთები იყიდება სახაზინო თეატრის კასაში.

# საჯარო კრება საზღვრების შესახებ.

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 5 მარიამობისთვე (აგვისტო), 1919 წ., № 165, გვ. 1.*

კვირას 3 აგვისტოს სახაზინო თეატრში გაიმართა მოქალაქეთა კრება ეროვნულ დემოკრატიულ, უპარტიოთა და რადიკალ დემოკრატების მთავარ კომიტეტის ინიციატივით. კრებას მიუხედავად სიცხისა აუარებელი ხალხი დაესწრო. განსაკუთრებით ბევრი იყვნენ სამხედრონი, კრებას თავმჯდომარეობდა და გახსნა სპირიდონ კედიამ, რომელმაც სიტყვით მიმართა საზოგადოებას, თუ რა მნიშვნელობა აქვს საზღვრების საკითხს საქართველოსათვის.

შემდეგ მოხსენებები წაიკითხეს პრ. ივ. ჯავახიშვილმა და გენერ. გიორგი[1] ოდიშელიძემ
.

საზოგადოებამ მომხსენებლები ძლიერი ტაშით დააჯილდოვეს.

ჩვენი გაზეთის მორიგ ნომერში დაბეჭდილი იქნება სრული ანგარიში ამ კრების.

# საზღვრების საკითხი

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 1919 წ., 5 მარიამობისთვე (აგვისტო), № 165, გვ. 1.*

კვირას სახელმწიფო თეატრში გაიმართა კრება მოქალაქეების, რომელზედაც პროფესორმა ივანე ჯავახიშვილმა და გენერალმა ოდიშელიძემ წაიკითხა მოხსენებები საქართველოს საზღვრების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში სასტიკი სიცხე იდგა, თეატრში დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. დაესწრო თითქმის მთელი ინტელიგენცია და სამხედრო თბილისი. ყველაფრიდან აშკარათ სჩანდა, რომ საზღვრების საკითხი ძლიერ აღელვებს ქართველ საზოგადოებას, მაგრამ ბევრ მიზეზების გამო კონკრეტიულათ საზღვრების საკითხი კიდევ არ არის შეგნებული. ეს იმის ბრალია, რომ მთელი მეცხრამეტე საუკუნე ქართული საზოგადოებრივი აზრი ამ საკითხზე არ გაჩერებულა.

ერთი მხრივ ცარიზმის რუსეთი – სულს ხდიდა ქართულ მწერლობას და ვინ გაბედავდა ოცნებას დამოუკიდებელ სახელმწიფოს შეჰქმნაზე და მის საზღვრების შემოხაზვაზე, მეორე მხრივ სოციალ დემოკრატიის ტერორი, ეროვნულ აზროვნების წინააღმდეგ, როცა პატრიოტიზმი გამოცხადებული იყო ბურჟუზიულ გაუგებრობათ და რეაქციონერობისა პირველ ნიშნათ ითვლებოდა.

ამიტომ მთელი ენერგია ეროვნულით მოაზროვნე ინტელიგენციის იმაზე მიდიოდა, რომ ახალ თაობაში შეეტანა ეროვნული შეგნება და გაესწორებინა ის პსიხიკა, რომელსაც სწამლავდა სოცილ-დემოკრატია.

ამ ბრძოლას მიტომ არ ჰქონდა ისეთი ხასიათი, რომ შესაძლებელი ყოფილიყო სახელმწიფოებრივთ აზროვნება.

როცა გარემოებამ მოიტანა და ყველაზე სასტიკი მტერები ეროვნების[,] მენშევიკებ[ი] აცხადებენ საქართველოს დამოუკიდებლობას და ჰქმნიან სახელმწიფოს უეჭველია ძველი პსიხოლოგია სავსებით ვერ იქნა ძლეული.

---

1 შეცდომითაა მითითებული სახელი. უნდა იყოს: ილია [რედ].

ჩვენი მენშევიკები უფრო გამომბრძმედილი იყვენ და არიან სხვა და სხვა პარტიულ კონგრესების რეზოლუციებში, ვინემ საქართველოს ისტორიაში და ამიტომ სრულიად გულწრფელი იყო ბ. ნოე ჟორდანიას განცხადება, რომ მისთვის და მისი პარტიისთვის საქართველო „ტაბულა რასა“ არის მხოლოდ, რომელზედაც მენშევიკები აგებენ ახალ საფუძველს. და ეწევიან ახალ ექსპერიმენტებს.

მაგრამ საკმაო შეიქნა საქართველოს თავისთავი ეგრძნო სახელმწიფოთ, რომ თავისთავათ წამოიჭრენ ის კითხვები, ურომლისოდაც წარმოუდგენელია სახელმწიფოს ცხოვრება[.] უკვე ისტორიულ მოგონებათ იქცა ის დრო, როცა მენშევიკი პაციფისტები ოცნებობდნენ ამიერკავკასიაში ახალი სამოთხე გაემართათ, სადაც არ იქნებოდა ომის საჭიროება, და მილიტარიზმი სამუდამოთ გათავდებოდა.

ყოველი დღე სასტიკი აუცილებლობით არწმუნებდა მართველ პარტიას, რომ პაციფიზმი მოგონილი ამბავია და სოციალიზმისა და საქართველოს მომავლი მხოლოდ ქართველი ჯარისკაცზეა დამოკიდებული.

ამავე აუცილებლობის კანონით წარმოსდ[გა] საზღვრების სკითხიც.

ჩვენ უკვე მივხვდით, რომ დოქტრინების დრო წავიდა და სახელმწიფო ტრადიციით ცხოვრობს. მართალია დღესაც, როცა იმართება კონფერენციები სადავო საზღვრების შესახებ სომხებთან, თუ აზერბაიჯანთან ის ხალხი, რომელიც სწყვეტს საქართველოს ბედს არ იცნობს მის გეოგრაფიულ ქარტას და მის ისტორიას და აბსტრაქციულ პოლიტიკური სქემებით ხელმძღვანელობს, მაგრამ ყოველი დღე ა[ხს]ენებს მათ იმ პასუხისმგებლობის სიმძიმეს, რომელსაც ჯერ არ გრძნობენ და რაც ყველაზე უფრო საინტერესოა თვითონ ქართველი ხალხი დაინტერესდა თავის ბედით.

ხალხი, რომელიც სისხლით იცავდა თავის უკანასკნელ საზღვრებს ატავიზმით და ისტორიული ტრადიციით და ინსტიქტით დღესაც სახელმწიფოებრივათ აზროვნებს. ყოველ დათმობას, თუ მოტყუებას, რომელსაც უწინ ჰქონდა ადგილი ამიერიდან გასავალი არ ექნება და ღირსეულ წინააღმდეგობას გმოიწვევს. მენშევიკებიც მიხვდებინ, რომ სახელმწიფოს შენება ავალებს ზედმეტი ყურადღება ექნეს მიქცეული ისტორიას, რომელიც წარსულით ანახებს მომავალს. და ჰქმნის გარდუვალ კანონებს. ყოველი ნაჭერი მიწა, რომელსაც ჩვენი მთავრობა დაუთმობს მტრებს ნაღმების სარდაფათ იქცევა და მისი აფეთქება მთავრობას გადაიტანს, ამაშია აზრი გამღვიძებელ ქართულ სახელმწიფოებრივობის, ყოველი დღე მხოლოდ ზრდის ამ შეგნებას და კონკრეტიულ სახეს იღებს საქართველოც.

საქართველოს „ტაბულა რასა“ თანდათან ჰკარგავს მენშევიკების დაწერილ დოქტრინებს და საცნაური ხდებინ ძველი გიეროგლიფები, რამდენსაც ამაგრებენ ახალ სახელმწიფოს შეგნებას.

# კიდევ საზღვრების შესახებ

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 8 მარიამობისთვე (აგვისტო), 1919 წ., № 168, გვ. 1.*

დამოუკიდებლობის შემდგომ საზღვრების საკითხი ყველაზედ უფრო არსებითია ჩვენი სახელმწიფოებრიობისთვის. ქართული საზოგადოებრივი აზრიც თანდათან უახლოვდება ამის შეგნებას. ქართული პრესის უკანასკნელი ერთი თვის კამათი ამ საგანზედ მოწმობს, რომ საქართველოს ყველა პოლიტიკური მიმართულება თითქმის თანაბარის სისწორით აფასებს საქართველოს ტერიტორიის საზღვრებს და ერთნაირი საერთო პრინციპის მიხედვით იცავს ამ საზღვრებს. ყველას მიერ გაზიარებულია თითქმის ერთნაირი დასაბუთება, უარყოფილია რეალური მოსახლეობის პრინციპი, რომელსაც აქამდის ჩვენი სოციალისტური პარტიების გარდამწყვეტ უფლებას ანიჭებდენ საზღვრების გადაჭრაში. „ერთობა“ და „სახალხო საქმე“ კატეგორიულად ამტკიცებენ, რომ ამ პრინციპით ვერ იხელმძღვანელებენ უკვე დამოუკიდებელ საქართველოს ტერიტორიის შემოსახაზავად. ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში ეს იქნებოდა დიდი უსამართლობაც, და სახელმწიფოს სასიკვდილოდ დაზიანებაც. ამ დებულებაში დღეს ყველანი შეთანხმებული ვართ; ხუთი წლის კამათი სასურველად დამთავრდა. მეორეს მხრით უარყოფილია მხოლოდ ისტორიული უფლება, ყაზახ-შამშადილი და ზოგი სხვა, რომელზედაც საქართველოს სრული ისტორიული უფლება აქვს, საქართველოს მხრივ ყოველგვარი პრეტენზიების გარეშე რჩება. ჩვენ, ნაციონ. დემოკრატები, სრულიად ლოიალურათ ვსთმობთ ამ კუთხეს. სოციალისტური პარტიები მით უმეტეს. ამგვარად, საქართველოს საზღვრების გასავლებ საერთო მასშტაბად რჩება შუახაზი ისტორიულის, სტრატეგიულის და ეკონომიკურ-გეოგრაფიულ მთლიანობისა.

აქ, ახალია მხოლოდ გამოთქმის ფორმა, თორემ თვით ჩვენს ცხოვრებასა და გარდასულ თაობათა სიცოცხლეს საქართველოს ტერიტორიული სხეული ამ პრინციპების მჭიდრო შეკუმშვის ხაზზე აქვს ჩამოყალიბებული. საქართველოს კლასიკური კედლები ამ პრინციპების განამდვილებაა. ყოველი ლოიალური აზროვნების კაცი ამაში დარწმუნდება, ამ პრინციპების აღიარებით და რეალური მოსახლეობის პრინციპის უარყოფით, მოდავე მხარეს ჩვენს თვალში ეკარგება ყოველი საბუთი საქართველოს იმ ნაწილებზე, რომელთა შესახებ დიდი ხანია დავა და კამათია ატეხილი. ამგვარად, ჩვენის შეგნებით და ლოღიკით, ჩვენი სახელმწიფო-უფლებრივი შემეცნებით „სადაო" ნაწილები საქართველოს უდავო ტერიტორიაა. მოდავე მხარის პრეტენზია კი, როგორც ტაციობა და წართმევა ისე მოსჩანს ჩვენს უფლებრივს და სახელმწიფოებრივ შეგნებაში. სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის და აგრეთვე უფლებრივის პრინციპით „სადაო" მაზრები თუ მაზრების ნაწილები ჩვენია. ყველა აქედან აშკარაა, რომ ჩვენი მოქმედება ამ ჩვენი უფლების, ამ ჩვენი საკუთრების დაცვა-შენარჩუნებას უნდა ემსახურებოდეს. საქმე შეგნებას უნდა განამტკიცებდეს. ტერიტორიის და საზღვრების შესახებ ჩვენ გვაქვს ერთი ეროვნული შეგნება – ეროვნული მატერიული ძალა ღონისძიებაც ამ შეგნებას უნდა განამტკიცებდეს. ჩვენი შეგნება უპირდაპირდება მოწინააღმდეგის შეგნებას; ჩვენი მატერიული ძლიერებაც მოწინააღმდეგისას უნდა დაუპირდაპირდეს. ჩვენ ჩვენისა დამცველი ვართ – ასეთია მთელი ჩვენი შეგნების შინაარსი. მოწინააღმდეგე ჩვენის წამრთმევი და მტაცებელია. ჩვენ კი არ უნდა დავსთმოთ რაც ჩვენია, არამედ მოწინააღმდეგემ ხელი უნდა აიღოს, ან უნდა ავაღებიოთ ჩვე[ნ]ის მითვისება-წართმევაზედ. ჩვენი სახელმწიფოებრივი უფლება და საკუთრება მოწინააღმდეგემ უკუ აგდო და საქმე ძალაზედ მიაგდო. სხვისის მითვისებისა და წართმევის ჟინს ვერ დაუხშობს საკუთარის დაცვის უფლებრივი შეგნება; ნებაყოფლობით და წინასწარ ფსიხოლოგიური დათმობა ეს იქნებოდა თავდაცვის იდეოლოგიისათვის ყოველი იარაღის აყრა და ყოველი არგუმენტის წართმევა. თვით შეკუმშვას და დათმობას ამ პირობებში საზღვარი არ დაედებოდა. ჩვენ ან ჩვენი შეგნება უნდა გამოვიცვალოთ სახელმწიფოებრივ ტერიტორიის შემოხაზვაზე და უკუ ვყაროთ დღეს სახელმძღვანელო და სამოქმედო დასახული პრინციპები, ან დათმობაზე ლაპარაკი უნდა მოვსპოთ. ამ ჩვენი ტერიტორიის წაღება ძალადობა იქნებოდა და მხოლოდ ძალადობის აქტით მოხდება. მხოლოდ ასეთი შეფასება იქნება მართალი იმ შეგნების მიხედვით, რომელიც ეროვნულ-კოლექტიურად დღეს გამოვიმუშავეთ ტერიტორიის საკითხში. და ეს დაფასება უნდა თაობებზე გადავიდეს. საკითხის სხვანაირად დაყენება და გადაჭრა უაზრობის ყველა ხიფათს თავზე დაგვატეხს. ჩვენი სოციალისტები კი საკითხის მეორე ნახევარში სწორედ ასე იქცევიან. ეს დიდი შეცდომაა და მარცხს გვიმზადებს. ლოიალურად უნდა შევეცადოთ შეცდომის დანახვას, საცა „ანი" სთქვეს, იქ „ბანიც" უნდა სთქვან ჩვენში სოციალისტებმა.

## საუბარი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან მიმდინარე მომენტზე.

*წყარო: გაზეთი „საქართველო", 7 მარიამობისთვე (აგვისტო), 1919 წ., № 167, გვ. 2.*

გაზ. „გრუზიის" გუშინდელ ნომერში დაბეჭდილია ჟურნალისტ ი. კამსკის საუბარი ევგენი გეგეჭკორთან. ინტერვიუ შეეხებოდა დღიურ საკითხებს[.] ამისთვის მოგვყავს მთლიანად.

გენ. ბარათოვის მოლაპარაკება.

– როგორია მთავრობის შეხედულება გენ. ბარათოვთან მოლაპარაკების შესახებ?

– გენ. ბარათოვთან მთავრობის წევრთა შეხვედრა – განაცხადა ევ. გეგეჭკორმა, – უკვე მოხდა. შედეგებზე ლაპარაკი ჯერ-ჯერობით მგონია ნაადრევია, რადგან კონკრეტიული წინადადებანი ჯერ არც ჩვენ[,] არც მას არ წარმოუდგენია.

ჩვენი საუბარი გენ. ბარათოვთან საერთო მსჯელობას არ გასცილებია.

საქართველოს მთავრობის პოზიცია ამ საკითხში ნათელია. ჩვენ წინადაც ვამტკიცებდით და ეხლაც ვამტკიცებთ, რომ აგრესიულ პოლიტიკას არავის წინააღმდეგ არ ვაწარმოებთ! თუ ჩვენს უფლებას პატივსა სცემენ. საომარ მდგომარეობის პატივისმცემელნი ჩვენ არას დროს არ ვიყავით და, ბუნებრივია, რომ სიამოვნებით შევეგებებით ყველა ისეთს წინადადებას, რომელნიც ჩვენ გარანტიას მოგვცემს ჩვენი ისტორიულ საზღვრების ხელშეუხებლობისა.

ასეთ ისტორიულ საზღვრად ჩვენ ვთვლით მდ. მეხადირის ხაზს, სადაც ჩვენ გავმაგრდით.

თუ ამ ძირითად საკითხში შევთანხმდით, მაშინ დანარჩენ საკითხებში შესათახმებელი საფუძველი უკვე მოპოვებული გვექნება. ჩვენ შეიძლება ამის შემდეგ გვქონდეს მოლაპარაკება ყუბანთან საქონლის გაცვლის საკითხის მოსაგვარებლადაც კი.

– გგონიათ თუ არა თქვენ, რომ მოლაპარაკება ბოლშევიკების წინააღმდეგ საერთო გამოსვლასაც შეეხება?

– არც ერთ შემთხვევაში ასეთი მომენტი ჩვენს მოლაპარაკებაში არ იქნება. ჩვენ საჭიროების გარეშე ომს არავისთან დავიწყებთ.

– არის თუ არა იმედები, რომ მოლაპარაკება კეთილად დასრულდება ან როგორა გაქვთ წარმოდგენილი შესაძლებელი შეთანხმების გარანტიები.

– გარანტიას, ვიმეორებ, საქართველოს მთავრობა იმაში დაინახავდა თუ მოხალისეთა მთავრობა იცნობდა საქართველოს საზღვრების ხელშეუხებლობას და მეხადირის მხრით შემოტევისაგან უზრუნველ გვყოფდა.

**ინგლისელების წასვლის გამო.**

– როგორია მთავრობის აზრი ინგლისელების წასვლის გამო? ზოგიერთ კერძო საკითხებში ჩვენ და ინგლისელებს მართალია მოგვდიოდა პატარა უთანხმოებანი, მაგრამ ეს სრულიად ბუნებრივი იყო, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ის ახალი მდგომარეობა, რომელიც ახალი ძალის შემოსვლამ კავკასიაში შეჰქმნა, აუცილებლად მხოლოდ ურთიერთ გაცნობის შემდეგ მოწესრიგდებოდა. აქედან არ შეიძლება კაცმა დაასკვნას, რომ საქართველო ინგლისის ჯარის აქ ყოფნის წინააღმდეგი იყოს. პირიქით მე უნდა აღვნიშნო, რომ ინგლისის ჯარის აქ ყოფნა ჩვენთვის სასურველიცაა. მე დარწმუნებული ვარ რომ როდესაც ინგლისელები ჩვენს ახალს სახელმწიფოებრიობას მეტის ყურადღებით შეისწავლიან უფრო მჭიდროდ დაგვიახლოვდებიან და ჩვენი უთანხმოებანიც გაჰქრება.

– გგონიათ, რომ ჩვენი დამოუკიდებლობის წინააღმდეგი ძალები ინგლისელების წასვლას აგრესიულ პოლიტიკისათვის გამოიყენებენ.

– არა მგონია. – უფრო ეს ამიერკავკასიის ერების ურთიერთობაზე მოახდენს გავლენას და წმინდა პოლიტიკურ მოტივებით აქ უცხო ძალის ყოფნა არავისათვის არა სასურველი არ იქნება.

**ბათომის საკითხი.**

– როგორაა ბათომის საკითხი?

– გამეორებაც არ ღირს იმ ჭეშმარიტებისა რომ უბათომოდ საქართველოს დამოუკდიებლობა მხოლოდ ავტონომიაა. ჩვენ ყოველთვის მოვითხოვდით, რომ ჩვენი უფლება აღედგინათ[.] ჩვენ არ შეგვიძლია იმ იმედით არ ვიცხოვროთ, რომ ბრიტანელები როდესაც ადგილობრივ ხალხის სულის კვეთებას გაეცნობიან ბათომს ჩვენ გადმოგვცემენ.

**კლემანსოს დეპეშა.**

– რამ გამოიწვია კლემანსოს დეპეშა და როგორია არსებითად.

– კლემანსოს დეპეშა, როგორც სჩანს ცრუ ინფორმაციის ნაყოფია. ჩვენ კლემანსოს ფაქტების აღნუსხვით უპასუხეთ, რომელთა საფუძველი ყველა სიტყვებზე უფრო მეტყველია.

აი მოკლე ანგარიში სომხეთში გაგზავნილ ვაგონების. ამ მცირე ხნის განმავლობაში საქართველოდან სომხეთში გაიგზავნა 3543 ვაგონი სურსათი. თუ ჩვენ როდისმე გადაზიდვა შევაჩერეთ ეს მხოლოდ იმის გამო მოხდა რომ გაგზავნილ ვაგონებს სომხები არ აბრუნებდნენ. სომხეთში დაჭერილ ვაგონების რიცხვი ზოგჯერ 1000-საც აღწევდა იმ დროს, როდესაც ჩვენ სულ გვაქვს 1500 ვაგონი. ბუნებრივია რომ ასეთ ტეხნიკურ შეფერხების დროს გადაზიდვა შეუძლებელი გახდებოდა. ეს არაფრით გამოწვეული არ იყო, აგრესიული პოლიტიკა აქ მოსატანი არ არის.

# საზღვრებთან დავის გამო
# (ქართული გაზეთების შემაჯამებელი მოსაზრებები)

წყარო: გაზეთი „ნოვი დენ“ („Новый День“), 11 აგვისტო, 1919 წ., № 16, გვ. 2.

**(თარგმანი)**

საკითხი საქართველოს საზღვრების შესახებ განიხილება როგორც საპარლამენტო და სამთავრობო, ისე ქართულ საზოგადოებაში. ქართული გაზეთები დიდ ყურადღებას უთმობენ ამ საკითხს. ამ საკითხმა განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო უკანასკნელი კვირების მანძილზე. ქართული საზოგადოება საგანგებო ყურადღებას იჩენს მის მიმართ. პროფ. ჯავახოვისა და გენ. ოდიშელიძის მოხსენებებმა საქართველოს საზღვრების შესახებ მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. საინტერესოა ამ საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა პოლიტიკური პარტიისა და ბეჭდვითი სიტყვის ორგანოების მოსაზრებანი. ქვემოთ ვათავსებთ ამონარიდებს ქართული გაზეთებიდან, რომლებიც განსხვავებულად აშუქებენ ქართული რეალობის ამ საგანგებო, დიდ საკითხს.

# ი. დიდიძე
# საზღვრებზე

წყარო: გაზეთი „საქართველო“, 17 მარიამობისთვე [აგვისტო], 1919 წ, № 176, გვ. 3-4.

1918 წ. მწარე სინამდვილემ სადგური ნატანები საქართველოს სახელმწიფოს საზღვრად აქცია...

ნატანების იქით ჩვენ მტრებს ვსჭვრეტთ.

სანამდე ბათომი ტყვეობაშია თამარის და ანარიის სიმაგრეებზე საქართველოს დროშა არ აღმართულა მანამადე ჩვენ ნატანებს უნდა გავუფრთხილდეთ...

მტერ-მოყვარე თუ დაზვერვის მწარმოებელი პირველად ჩვენ ნატანებში შეგვხვდება – აქედან იწყებს ყველა საქართველოს გაცნობას.

ხშირად მტერი – ან მოგზავნილი აგენტი ნატანების შთაბეჭდილებით კმაყოფილდება და უკან ბრუნდება.

ორი დღით მოსული თეთრი გულის სტუმარიც პირველად ნატანებში დაგვიკრავს თავს და აქ დაათვალიერებს საზღვრის მცველებს და გასინჯავს წესრიგს. ამიტომ ვიდრე ნატანები საქართველოს საზღვრად ითვლება, მას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

ჩვენს ჯარს აქ საუკეთესო ტანთსაცმელი უნდა ეცვას, რკინის დისციპლინა ჰქონდეს, დღეს კი აქაური მოსაზღვრე რაზმი სრულიად მოუვლელია[.] იგი რუსის ჯარისკაცის სახეებს აცოცხლებს...

საზღვრებზე რჩეული ხალხია საჭირო, ცოტა განათლების პატრონი, ზრდილობიანი და სამსახურის სასურველად შემსრულებელი.

საბაჟოსაც დიდი დიდი ნაკლი აქვს. აქაურ საბაჟოს წინ მუდამ ერთი ყვირილი და ჩხუბია. ვაჭრები თუ კერძო პირები საქონლის გაჩხრეკის დროს ყვირილს მორთავენ[.] ამას გულცივად შეცქერიან მოსაზღვრე რაზმის ოფიცრები და მოხელეობა რაც მეტად ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს უცხოელებზე. საჭიროა ამ გარემოებასაც მიექცეს სასტიკი ყურადღება, საზღვარზე მოისპოს ასეთი აზიური „ალიაქოთი“.

გარდა ამისა ამ მხარეზე საჭიროა გაცხოველებული კონტრ-დაზვერვის წარმოება. ნუ დაგვავიწყდება, რომ დენიკინის აგენტები აჭარა-გურიაში კარგა ხანია დაწრწიან.

მეტი ყურადღება საზღვრებს, სიფხიზლე ნატანებში.

## ვილსონის პასუხი აზერბაიჯ[ა]ნის და დაღესტნისადმი

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 1919 წ, 30 მარიამობისთვე [აგვისტო], № 186, გვ. 3-4.*

პრეზიდენტმა ვილსონმა დაღესტნის და აზერბაიჯნის დელეგატების სიტყვის საპასუხოდ განაცხადა, რომ კონფერენციას არ ჰსურს დედამიწის ბურთი წვრილ ნამსხვრევებად აქციოს. კარგი იქნებოდა ამიერ კავკასიის ხალხებისთვის, თუ ისინი შევიდოდნენ კავკასიურ ფედერაციაში, რომ[ე]ლიც ხალხთა ლიგის მინდობილობით რომელიმე სახელმწიფოს პროტექტორატის ქვეშ იქნებიან. აზერბაიჯ[ა]ნის საკითხი რუსეთის საკითხზე უწინარეს ვერ გადაწყდება.

## სომხეთის და ადერბეიჯანის შეთანხმება

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 1919 წ 26 ნოემბერი, № 268, გვ. 2.*

ამა შეთანხმებით, რომელიც მიღებულ იქმნა ქალაქ ტფილისში მიმდინარე 1919 წლის ნოემბრის 23 სომხეთის მთავრობის თავმჯდომარეს ხატისიანსა და ადერბეიჯანის მთავრობის თავმჯდომარის უსუბბეკოვის შორის, დადგენილია შემდეგი:

1) მთავრობები სომხეთისა და ადერბეიჯანისა პირობა სდებენ შესწყვიტონ ურთიერთ შორის დაწყებული სამხედრო შეტაკება და მომავალშიაც აღარ მიმართონ იარაღს;

2) ადერბეიჯანისა და სომხეთის მთავრობანი იღებენ საერთო ზომებს, რათა შესწორებული იქნეს ზანგეზურის გზები და აღდგენილი მასზე მშვიდობიანი მიმოსვლა.

3) სომხეთ ადერბეიჯანის მთავრობები პირობას სდებენ შეთანხმებით გადასწყვიტონ ყოველივე მათ შორის საზღვრების საკითხები, სადავო საკითხები ვიდრე ამის შესახებ საჭირო დადგენილებას არ მიირებს სამშვიდობო კონფერენცია. უკეთუ საკითხის გადაჭრა ურთიერთ შეთანხმებით მიღებულ ვერ იქმნება, ორივე სახელმწიფო ვალდებულია აირჩიოს ერთი გარეშე პირი, მედიატორე, რომლის გადაწყვეტილებაც სავალდებულო იქნება ორივე მხარისათვის. დღევანდელ შემთხვევაში ამგვარ გარეშე ნეიტრ[ა]ლურ პირათ ცნიბილი არის ამერიკის პოლკოვნიკი ჯემს ს. რეა.

4) სომხეთისა და ადერბეიჯ[ა]ნის მთავრობანი ირჩევენ თანასწორ რიცხვს დელეგატებისას ნოემბერის 26 ბაქოში განზრახულ კონფერენციაზე დასასწრებლათ. დეკემბრის 4 აღნიშნული კონფერენცია თავისს მოქმედებას გადმოიტანს ქ. ტფილისში, სადაც განაგრძობს მუშაობას, უკეთუ ორივე სახელმწიფო ურთიერთ შეთანხმებით საჭიროთ არ სცნობენ კონფერენციას სადმე სხვა ალაგას ტფილისიდან გადატანას. აღნიშნული კონფერენცია განიხილავს ყველა საკითხებს, რომელიც იწვევს უთანხმოებას სომხეთის და ადერბეიჯანის შორის და უფლება ექნება გადასჭრას საკითხები შეთანხმებითა და არბიტრაჟით.

5) აღნიშნული შეთანხება მიღებულდ ითვლება სომხეთ-ადერბეიჯანის მთავრობათა წარმომადგენლების მასზე ხელის მოწერით, ხოლო ძალაში შედის შეთანხმების რატიფიკაციის შემდეგ. სომხეთ-ადერბეიჯანის მთავრობის თავმჯდომარეები ავალებენ მთავრობებს პირნალთად შეასრულონ ყოველი მუხლი უკვე მიღწეულ შეთანხმებისა, მის დასამტკიცებლად ისინი ხელს აწერენ შეთანხმების აქტს მიღებულს ქალ. ტფილისში ამა 1919 წელს ნოემბრის 22, შედგენილს სამ ცალად: ინგლისურსა და რუსულ ენაზე, რომლის თითო ცალი ბარდება სომხეთისა და ადერბეიჯანის მთავრობათა თავმჯდომარეებს.

სომხეთის მთავრობის თავმჯდომარე
ალ. ხატისოვი,
ადერბეიჯანის მთავრობის თავმჯდომარე
უსუფ ბეკოვი,
მოწმეები: საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი
გეგეჭკორი.
ამერიკის ჯარის პოლკოვნიკი მოკავშირეთა უმაღლეს კომისარის მოადგილე
დ.ს. რეა.

## ქრონიკა

*წყარო: ჟურნალი „რესპუბლიკის ჯარი“*, 1919 *წელი*, № 13. *გვ.* 16.

- ჩვენი საზავო დელეგაციის წევრები კ. ჩხეიძე და ირ. წერეთელი სტამბოლიდან მარსელში მივიდნენ. დანარჩენი წევრები ჯერ კიდევ სტამბოლში არიან.

## 1920 წელი
## საქართველო-ადერბეიჯანის საზავო მოლაპარაკება

*წყარო: გაზეთი „ერთობა“, 16 ივნისი, 1920 წ., № 133, გვ. 2-3.*

თფილისის საინფორმაციო ბიუროს თანამშრომელს შემდეგ დაახლოვებითი ცნობებს აუწყებენ საქართველოსა და ადერბეიჯანს შორის ხელშეკრულობის დადების შესახებ. წინასწარი შეთანხმების თანახმად ორივე დელეგაციის შეხვედრა უნდა მომხდარიყო აქსტაფაში 31 მაისს. 30 მაისს გავიდნენ თფილისიდან და საღამოს 6 სთ. იყვნენ ფოილოს ხიდთან საქართველოს დელეგაციის თავმჯდომარე სამხედრო მინისტრი და დელეგაციის წევრები: დამფუძ. კრების თავმჯდომარის ამხანაგი ს. გ. მდივანი და გენერალი ანდრონიკაშვილი. მდივნები – დ. მდივანი და შ. ვადაჭკორია.

რადგან ადერბეიჯანის დელეგაცია დანიშნულ დროზე ვერ მოვიდა აქსტაფაში, უთუოდ განჯის ამბების გამო, საქართველოს დელეგაციამ ადერბეიჯანის დელეგაციის თავმჯდომარის სულთანოვისაგან ცნობა მიიღო, რომ აქსტაფაში მოსვლა მას შეუძლია მხოლოდ 3 ივნისს და ამიტომ ითხოვა დროებით ზავის გაგრძელება 5 დღით კიდევ, რაც უკვე მოხდა. 31 მაისს საქართველოს დელეგაცია თფილისში დაბრუნდა და 2 ივნისს ისევ უკან წავიდა. ფოილოს ხიდის მიახლოვებისას დელეგაცია გადავიდა მდ. მტკვარზე გაკეთებულ ბონდზე. მეორე მხარეზე დელეგაციას უცდიდა ადერბეიჯანის მატარებელი, რომლითაც დელეგაცია აქსტაფაში დილის 9 ს. მივიდა. აქ დელეგაციას შეხვდა საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლები ადერბეიჯანში გ. კ. ალშიბაია და ადერბეიჯანის საზავო დელეგაცია. დილის 11 საათზე გაიხსნა საზავო დელეგაციის პირველი სხდომა, მოხდა მანდატების გაცვლა-გამოცვლა და აღიარეს ხელშემკვრელ სახელმწიფოთა სუვერენობა და დამოუკიდებლობა. შემდეგ მიიღეს შემდეგი წესრიგი: 1. პოლიტიკური საკითხები; 2) ტერიტორიალური; 3) სამხედრო და 4) ეკონომიური.

პირველ სხდომას თავმჯდომარეობდა გრ. ლორთქიფანიძე. დანარჩენებზე თავმჯდომარეობდენ რიგ-რიგობით. ზემოაღნიშნული საკითხები განიხილეს 3, 4 და 5 ივნისს. შემდეგ, უთანხმოების გამო, მოლაპარაკება დროებით შესწყდა. 6 ივნისს ადერბეიჯანის დელეგაციამ განაცხადა, რომ უნდა მოველაპარაკოთ ჩვენ მთავრობასო და მოითხოვა დროებით ზავის გაგრძელება კიდევ ერთი კვირით, მაგრამ საქართველოს დელეგაციის წინააღმდეგობის გამო მხოლოდ 4 დღით გაგრძელდა, ე. ი. 9 ივნისს საღამოს 5 საათამდე. 8 ივნისს დილის 11 საათზე საქართველოს დელეგაცია ისევ გაემგზავრა აქსტაფაში და 9 ივნისს დილის 8 ს. მას შეხვდა ადერბეიჯანის დელეგაცია, რომლის მეთაურად იყო უკვე მეორე თავმჯდომარე, ადერბეიჯანის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი მირზა-დაუთ-ჰუსეინოვი. საზავო დელეგაციამ განაგრძო მატერიალურ და ეკონომიურ საკითხებზე თათბირი. დიდი კამათი გამოიწვია ტერიტორიალურ და საზღვრების საკითხებმა.

რადგან საზავო მოლაპარაკების დრო გადიდო 11 ივნისს, საღამოს 5 საათზე და მიზანს კი მიღწეული არ იყვნენ ტერიტორიულ და საზღვრის საკითხებში, დროებითი ზავის ვადა ადერბეიჯანის დელეგაციის თხოვნით გადადებულ იქნა კიდევ 12 ივნისს საღამოს 5 საათამდე. 11 ივნისს, 5 საათზე საქართველოს დელეგაციამ აქსტაფა დასტოვა, გადმოვიდა ფოილოს ხიდზე და ღამე გაათენა ვაგონებში საქართველოს ტერიტორიაზე. მუშაობა გადატანილ იქნა საქართველოს ტერიტორიაზე – ფოილოს ხიდთან. 12 ივნისს დიდი ხნის კამათის შემდეგ ყველა საკითხებში შეთანხმებას მიაღწიეს.

12 ივნისს, საღამოს 10 საათზე დელეგაციები დაშორდნენ ერთმანეთს. ადერბეიჯანის დელეგაციასთან ერთად ბაქოში გაემგზავრა საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი გ. ალშიბაია.

## საქართვ[ელო]-რუსეთის ხელშეკრულება და სომხეთის პრეტენზიები

*წყარო: გაზეთი „ერთობა“, 17 ივნისი, 1920 წ., № 134, გვ. 3.*

საქართველო-რუსეთს შორის დადებული საზავო ხელშეკრულობის გამო სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მოსკოვში სომხეთის დელეგაციის თავმჯდომარეს შანტს და საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა კომისარს ჩიჩერინს შემდეგი რადიო-ტელეგრამა გაუგზავნა: „გაეცნო რა ხელშეკრულებას, რომელიც დადგენილ იქნა 7 მაისს ამა წლისა რუსეთსა და საქართველოს შორის,

სომხეთის მთავრობამ ღრმა გაკვირვების გრძნობით გაიგო, რომ ხსენებულ ხელშეკრულების თანახმად რუსეთი ვალდებულია იცნოს თფილისის გუბერნია და ბათუმის ოლქი, ყველა მაზრებით და რაიონებით, საქართველოს სახელმწიფოს უდავო ნაწილებათ. წარსული წლის 9 იანვრის ხელშეკრულების თანახმად, რომელიც დადებული იქნა სომხეთსა და საქართველოს შორის, თფილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრის ნაწილი, საქართველოსა და სომხეთს შორის მდებარე, ცნობილია ორივე რესპუბლიკების მიერ ნეიტრალურათ ურთიერთ შორის საზღვრების შესახებ დავის საბოლოო გადაჭრამდე. იმავე ხელშეკრულების თანახმად, თფილისის გუბერნიის ახალქალაქის მაზრა[ც] აგრეთვე ცნობილია სადავოთ. ბათუმის ოლქში სომხეთი თხოულობს თავის დაკმაყოფილებას ჭოროხის რაიონით, რაც მისცემს მას საშუალებას მიიღოს ყარს-პორტ ბათუმის რკინისგზის აშენებით, მისთვის სასიცოცხლო აუცილებელი ეკონომიური გასავალი ზღვისაკენ. საქართველოსა და სომხეთს შორის ამა წლის 14 ნოემბერს დადებული ხელშეკრულების თანახმად, ორივე რესპუბლიკები ვალდებულნი არიან ყოველივე არსებული და აგრეთვე მომავალში შესაძლებელი დავაც ურთი-ერთს შორის გადასწყვიტონ შეთანხმების გზით, და თუ ასეთი მიხწეული ვერ იქნება, მაშინ სავალდებულო არბიტრაჟის საშუალებით.

ზემოთ თქმულის გამო გთხოვთ თქვენ სომხეთის მთავრობის სახელით შეატყობინოთ რუსეთის მთავრობას, რომ ზემოხსენებულ ხელშეკრულებას, რუსეთსა და საქართველოს შორის დადებულს, იმ ნაწილში, რომელიც ეხება თბილისის გუბერნი[ა]სა და ბათუმის ოლქს, სომხეთის მთვარობა სთვლის თავისთვის არასავალდებულოთ. ყარაბაღისა და აზერბეიჯანის საზღვრების საკითხში მთავრობა რჩება ძველ შეხედულებაზე, ემყარება რა 1917 წლის პირველ ნახევარში პეტერბურგში მოწვეულ ამიერკავკასიის საზღვრების გამომრკვევ სხვა და სხვა ეროვნების კომისიის აზრს. („სლ.“).

## სომხეთის პრეტენზიები

*წყარო*: გაზეთი „ერთობა“, 18 ივნისი, 1920 წ., № 135, გვ. 1.

იმ ხელშეკრულობაში, რომელიც საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის დაიდო, არის ისეთი მუხლები, რომლებიც სომხეთსაც შეეხება. ამ ხელშრულობის ძალით საქართველოს საზღვრებში უნდა შევიდეს მთელი უწინდელი თფილისის გუბერნია. როგორც ვიცით, თფილისის და ერევნის გუბერნიის საზღვარი გადიოდა ბამბაკზე, მაშასადამე ხელშეკრულობის ძალით საქართველოს მიეკუთვნება თფილისის გუბერნიის სამხრეთის ნაწილი, რომელიც დღეს სომხეთს უჭირავს, და ის ნეიტრალური ზონა, რომელიც დაარსებულია საქართველოსა და სომხეთს შუა,

რა თქმა უნდა, ხელშეკრულობის ეს მუხლი ისე არავინ უნდა გაიგოს, ვითომც საქართველოს სომხეთის ზურგს უკან ამიერ-კავკასიისთვის უცხო ძალასთან – რუსეთთან – შეეკრას პირობა, და ვითომც ამ პირობის ძალით უკვე გადაწყვეტილათ უნდა ჩაითვალოს საკითხები, რომლებიც სადავოთ ითვლება საქართველოსა და სომხეთს შორის. აზრი ხელშეკრულობის ამ მუხლისა გულისხმობს, რომ საბჭოთა რუსეთი სცნობს საქართველოს უფლებებს ლორზე და ბამბაკზე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს საკითხი დღესვე საბოლოოთ გადაწყვეტილად ითვლება სომხეთის დაუკითხავათ. პირ-იქით, სწორეთ დღეს ხდება საქართველოსთვის შესაძლებელი სომხეთთან მორიგებით გადასჭრას სადავო საკითხები. ჩვენ გვწამს საქართველოს უფლებები მთელ თფილისის გუბერნიაზე, ჩვენის აზრით თფილისის გუბერნიის რომელიმე ნაწილების მოწყვეტა საფრთხეში ჩააგდებს საქართველოს არსებობას. ჩვენ მთელის ჩვენის არგუმენტაციით დავიცავთ საქართველოს საარსებო უფლებებს. მიუხედავათ ამისა, ჩვენ გვინდა ყველაფერი ეს გავაკეთოთ არა სხვანაირად, თუ არ სომხეთთან მორიგებით, თუ არ იმ ზომებით, რაც მისაღებია დემოკრატიისათვის და კულტურულ ერისათვის.

საბჭოთა რუსეთისადმი გაგზავნილ ნოტაში სომხეთის მთავრობა „ღრმა გაკვირვებას“ გამოსთქვამს იმის გამო, რომ რუსეთი „ვალდებულებას ღებულობს იცნოს თფილისის გუბერნია და ბათომის ოლქი ყველა მაზრებით და რაიონებით საქართველოს უდავო ნაწილებათ.“ ამ „გაკვირვებას“ სრულებით ადგილი არ ექნებოდა, რომ სომხეთის მთავრობას სწორეთ გაეგო ხელშეკრულების ამ მუხლის აზრი.

დიახ, შეთანხმება სადავო საკითხების შესახებ უნდა მოხდეს. მაგრამ ვისაც გულწრფელათ უნდა შეთანმხებით საქმის გათავება, მან სადავოთ არ უნდა გამოცხადოს ისეთი საკითხები, რომლებიც

სრულიად უდავოა. ზემოთ ამოწერილ სტრიქონებში სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა საქართველოს და სომხეთს შორის სადავო საკითხთა რიცხვს მიაკუთვნა ბათომ – აჭარის საკითხიც. „ბათომის ოლქში, ნათქვამია ნოტაში, სომხეთი თხოულობს თავის დაკმაყოფილებას ჭოროხის რაიონით, რაც საშუალებას მისცემს მას ყარს-ბათომ-პორტის რკინის გზის აშენებით მიიღოს მის სიცოცხლისათვის აუცილებელი ეკონომიური გასავალი ზღვისაკენ“.

ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს და ახლაც ვიმეორებთ: სომხეთს უნდა საშუალება მიეცეს, რომ ზღვაში გასავალი იქონიოს. ამისთვის საჭიროა გამოინახოს ყოველნაირი ზომები, გარდა ერთისა: სრულიად მიუღებელია, რომ, რაკი სომხეთს ზღვაში გასავალი სჭიდრება, მის საზღვრებში შევიდეს ტერიტორია, რომელთანაც არაფერი საერთო არა აქვს სომხეთს და რომლის მცხოვრებნი მთელი თავისი ძალით წინ-აღუდგებიან ამ ზომას. ხომ არ შეიძლება სომხეთის ზღვაში გასვლას მსხვერპლად შევწიროთ ინტერესები მთელი დიდი მხარისა, სადაც ასი სომეხი ოჯახი არ მოიპოვება. სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ასეთი პრეტენზია მარტო იმპერიალისტურ მისწრაფებით არის ნაკარნახევი. სომხეთის მთავრობამ ერთხელ უკვე ხელი შეუშალა საქართველოს მის სასიცოცხლო უფლებების მოპოვებაში; აჭარის მუსულმან-ქართველებს მან ხელი შეუშალა მათ ბუნებრივ სურვილს განხორცილებაში – ქართველ ერთან შეერთებაში: ეს ხელის შეშლა მოხდა სან-რემოს კონფერენციაზე. დღეს სიმხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ამასვე იმეორებს, საბჭოთა რუსეთისადმი პროტესტს გზავნის და ჭოროხის რაიონზე აცხადებს იმისთანა პრეტენზიებს, რომლებსაც არავითარი სამართლიანი საფუძველი არ მოეპოვება, რომლებიც მოკლებულია ისტორიულ, ეთნოგრაფიულ, სტრატეგიულ, კულტურულ და ყველანაირ საბუთს, გარდა მადიანობისა და იმპერიალიზმისა.

საქართველოსა და სომხეთს შორის ბევრია სადავო საკითხები; მათზე მოლაპარაკება ჯერ კიდევ წინ არის. მაგრამ ამ სადავო საკითხების გადაწყვეტა მით უფრო გაძნელდება, რაც უფრო მეტი უდავო საკითხები სადავოთა რიცხვში იქნება შეტანილი.

## სომხეთის პრეტენზიები ბათომის ოლქზე

*წყარო: გაზეთი „ერთობა“, 19 ივნისი, 1920 წ., № 136, გვ. 3.*

საბერძნეთის მისიის ცნობით, ნუბარ-ფაშას განუცხადებია შემდეგი: „ინგლისის საქმეში ჩარევის შემდეგ მდ. ჭოროხის მარცხენა ნაპირი გადაეცემა სომხეთს. მდინარე ჭოროხი იქნება საზღვარი, რომელიც გაჰყოფს საქართველოს სომხეთისაგან. სომხეთის პორტი შავი ზღვის პირად ბათომის ახლოს გაკეთდება. სომხეთი ისევე, როგორც ადერბეიჯანი, ისარგებლებენ ბათუმში თავისუფალ ტრანზიტის უფლებით. ეხლა ჩვენი ზრუნვის საგანს შეადგენს ჭოროხის ხეობიდან ყარსამდე რკინის გზის გაყვანა“.

## საზავო ხელშრულება დადებული საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ადერბეიჯანის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის შორის

*წყარო: გაზეთი „ერთობა“, 27 ივნისი, 1920 წ., № 143, გვ. 2.*

ერთი მხრით ადერბეიჯანის სოციალისტურმა საბჭოთა რესპუბლიკამ მისი სარევოლიუციო კომიტეტის თავმჯდომარის მაგიერის, გარეშე საქმეთა სახალხო კომისარის მირზა-დაუთ ჰუსეინოვის სახით და მეორეს მხრით საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ სამხედრო მინისტრის გრიგოლ სპირიდონის ძის ლორთქიფანიძის, დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის ამხანაგის სიმონ გურგენისძის მდივანისა და ალექსანდრე სიმონის ძის ანდრონიკაშვილის სახით, გაიცნეს რწმუნებულებანი ურთიერთისა, სცნეს წესიერად შედგენილათ და დასდეს ქვემორე

ხელშეკრულება მშვიდობის ჩამოგდებისა და მეგობრობისათვის:

1. ადერბეიჯანის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკასა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის შორის ისპობა ყოველივე საომარი მოქმედება და ორივე მხარენი იწყებენ მტკიცე სამშვიდობო და სამეგობრო ურთი-ერთობას. ტყვედ წაყვანილებს ორნივე ერთ-მანეთს დაუყოვნებლივ უბრუნებენ.
2. ადერბეიჯანის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკასა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის საზღვრად დაიდო: ბორჩალოსა და ყაზახის მაზრებს შორის გავლებული საადმინისტრაციო ხაზი, რომელიც იწყება სომხეთის ზონიდან, გადადის პოვერჩაშის მთაზედ, შემდეგ გადაივლის ვარტიშის მთას საადმინისტრაციო საზღვრის ხაზით ჩრდილო-აღმოსავლეთით მიმართული წყაროებამდე; ეს წყაროები ორის ვერსის მანძილზეა ყიზილჩაის მთის სამხრეთ-აღმოსავლეთით; იქიდან საზღვარი მოდის პირობით ნაგულისხმევი ხაზით ტარსისა და ბაბა-კირის მთების ქედს გადაღმა მის აღმოსავლეთით ფერდობებზე, წითელ ხიდს შუა გაუვლის. მერმე გაჰყვება ძველს საზღვარს, რომელიც ხრამსა და მტკვარს მისდევს. შემდეგ ფოილოს ხიდს გაუვლის შუაზე, იქიდან წავა ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით ძველ საადმინისტრაციო საზღვრით იალაღჯისის ქედამდე. მერე სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ დაუხვევს ძველ საადმინისტრაციო საზღვრით პალან-ტუკენის მთის სამხრეთ კალთების ბოლომდის, მერე გაემართება ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ საადმინისტრაციო ხაზით და ასე მიდის ზაქათალის ოლქის მიჯნამდე (რუქა დიუმ 5 ვერსიანის).
3. წითელი ხიდისა და ფოილოს ხიდის წინა მარცხენა ზონები[,] აგრეთვე მტკვრის მარცხენა ნაპირი ადერბეიჯანის მიწა-წყალზედ ნეიტრალ ადგილებად ცნობილ იქმნა ერთის წლის განმავლობაში დღიდან ამ ხელშეკრულობის დადებისა შემდეგ საზღვართა შორის: 1) ყაზახის მაზრაში ის მიწა-წყალი, რომელიც შემოზღუდულია ინჯა-სუს მდინარითა და ბორჩალოსა და თფ[ილისის] მაზრის საადმინისტრაციო ს[ა]ზღვრითა, 2) ყაზახის მაზრაში ის რაიონი, რომელსაც საზღვრავს ხაზი სოფ. ყიზილ-ჰაჯალისა, ფეიქანლისა, სადგ. შაქარლი და... მტკვრისა იმ ჭალებთანა, რომელიც ჰასან-სუს შესართავის დასავლეთით იმყოფება, იქიდან პირდაპირი ხაზი წავა ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩობან-დაღის ქედის დასავლეთ კალთების ბოლომდის და შემდეგ ჩობან-დაღის ქედით სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით სიღნაღის მაზრის საადმინისტრაციო მიჯნამდე. ყველა ჩამოთვლილი სანაპირო დასახლებული ადგილია განსაკუთრებით. (იხ. რუქა დიუიმ 5 ვერსიანი).
4. მე-3 პუნქტში აღნიშნული ნეიტრალი ზონების ტერიტორიაზედ არ შეიძლება არავითარი სიმაგრის აგება და არც ჯარის შეყვანა; ადმინისტრაცია და მმართველობა კი ადერბეიჯანისა უნდა დარჩეს.

   შენიშვნა: ამ მუხლის მტკიცედ აღსრულებისთვის თვალყურის სადევნებლად არსდება განსაკუთრებული შერეული კომისია, რომელშიაც ოთხი კაცი უნდა იყოს, ორ ორი თითო მხრიდან
5. წითელ ხიდს საქართველოს მიწა-წყლიდან იცავს ქართველთა სადარაჯო; მხოლოდ ადერბეიჯანის მხრიდან – ადერბეიჯანის სადარაჯო; საქართველოს უფლება აქვს ხიდით თავისუფლად ისარგებლოს ტარხისა და ბაბა-კირის მთაში მიმოსვლისათვის.
6. საკითხი ზაქათალის ოლქის შესახებ უნდა გადაეცეს გადასაჭრელად საარბიტრო კომისიას; ეს კომისია გათვალისწინებულია დამატებითი შეთანხმებით, რომელიც დაიდო რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკასა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის 1920 წლის მაისის 12-ს თარიღით. ვიდრე ეს საქმე არ გადასწყდება საარბიტრო კომისიაში, არც ერთ მორიგებაში მონაწილე მხარეს ნება არ აქვს ახალი ჯარი შეიყვანოს ზაქათალის ოლქში, თანახმად მოსკოვის დამატებითი შეთანხმების მეორე პუნქტისა 1920 წ. მაისი 12 თარიღით.

შენიშვნა: ეს მუხლი ჩართული იქნა ამ ხელშეკრულებაში იმიტო[მ], რომ ზაქათალის საქმის გამო სხვადასხვა აზრს დაადგენ დელეგაციები ადერბეიჯანის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკისა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკისა, როცა შეუდგენ მოსკოვის 1920 წლის მაისის ხელშეკრულობის მეოთხე მუხლისა და მის დამატებათ 1920 წლის მაისის 12-ს თარიღით შეკრულ შეთანხმების პირველ მუხლის განმარტებას; აგრეთვე იმ მიზეზითაც, რომ არსებითად ამ სადაო საგნის გამო შეთანხმება ვერ მოხერხდა.

შენიშვნა 2: ამ მუხლის მტკიცედ აღსრულებისთვის თვალ-ყურის სადევნებლად, რათა ოლქში ახალი ჯარის შეყვანა არ იქნეს, არსდება განსაკუთრებული საკანტროლო კომისია; კომისიაში ოთხი კაცი უნდა იყოს, ორ-ორი თითო მხარიდან.

7. ადერბეიჯანის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ყოველ დავის გარეშე ერთიც და მეორეც აღიარებენ ხელშეკრულობის დამდებ რესპუბლიკათა დამოკიდებლობასა და სუვერენობას და ერთიც და მეორეც უარს ამბობენ ერთი მეორის შინაურ საქმეებში ჩარევაზე.
8. თითეული ხელშეკრულების დამდებთაგანი მოვალეობასა ტვირთულობს შეიწყნარებდეს და პატივსა სცემდეს ერთმანეთის დროშასა და ღერბს, ვითა სუვერენობით მოსილ სახელმწიფოს ნიშანს. დროშის და ღერბის სურათი აგრეთვე თუ შემდეგ შიგ ჩართული იქნება რაიმე ცვლილება, დიპლომატიური გზით უნდა აუწყონ ერთმანეთს.
9. სადიპლომატიო და საკონსულო ურთიერთობა ადერბეიჯანის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკასა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დაუყოვნებლივ მყარდება საზავო ხელშეკრულების ხელის მოწერისთანავე; ვიდრე ცალკე შეთანხმება მოხდებოდეს ურთიერთის მდომარეობის კონსულებისა და დიპლომატიურ წარმომადგენელთა უფლება-მოვალეობისათვის, მათ მოქმედებისა და საქმიანობას არსებული ნორმები და კანონდებულებანი უნდა აწესრიგებდენ.
10. ადერბეიჯანის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ერთი-მეორეს წინაშე ტვირთულობენ მოვალეობას რათა არ მისცენ ნება თავიანთ მიწა-წყალზე არსებობისა და მოღვაწეობისა ყოველგვარ ჯგუფებს, ორგანიზაციას, ანუ პიროვნებას, რომელნიც ჰლამობენ ადერბეიჯანისა, ანუ საქართველოს მთავრობის როლი მიითვისონ, აგრეთვე არ დაუშვან არავითარი ჯგუფის ორგანიზაციის, ანუ პიროვნების არსებობა, რომელთაც ხელშეკრულების დამდები რესპუბლიკების მთავრობათა დამხობა აქვთ მიზნათ დასახული.
11. ადერბეიჯანის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ტვირთულობენ ერთი მეორეს წინაშე მოვალეობას არავითარი შემწეობა არ აღმოუჩინონ იმ ჯგუფებს, რომელნიც ჰლამობენ მ[ი]ითვისონ როლი ხელშეკრულობის დამდებ სახელმწიფოთა მთავრობისა, ანუ ცდილობენ რათა დაამხონ მათი მთავრობანი.
12. ორივე ხელშრულების დამდები მხარე თავიანთ სავაჭროსა და ეკონომიურ ურთიერთობის საფუძვლად სდებს ერთმანეთს უაღრესად ხელის შეწყობის პრინციპს, და შეძლებისამებრ სავაჭრო საქონლის ერთმანეთში გაცვლა-გამოცვლის პრინციპს.
13. ვიდრე შემუშავებულ და ხელმოწერილ იქნებოდეს სავაჭრო-სატრანზიტო ხელშეკრულება, ხელშეკრულების დამდებთა შორის უნდა ძალა ჰქონდეს თავისუფალ ტრანზიტის პრინციპს.
14. ორსავე ხელშეკრულების დამდებ მხარეს პრინციპიალურად სავალდებულოდ მიაჩნიათ დაუბრუნონ ერთმანეთს ის ქონება, რომელიც ეკუთვნის ხელშეკრულების დამდებ ერთ-ერთს მხარეს და რომელიც ომის მიზეზით დარჩა მეორე სახელმწიფოს მიწა-წყალზე.
15. პრინციპიულადვე სავალდებულოდ მიაჩნიათ, რომ აუნაზღაურონ ერთი მეორეს ის ზარალი, რომელიც მოუვიდათ სახელმწიფოს სახელმწიფო-საზოგადოებრივ, საერობო, საქალაქო დაწესებულებათა და მათ კავშირთა. აგრეთვე საკოოპერაციო ორგანიზაციების ნაციონალიზაციით, ყადაღის დადებით, რეკვიზიციით, ანუ სახელმწიფოს ხელის-უფლების რომელისამე ორგანოს განკარგულებითა და მოქმედებით, თუ ამისთანა რამ მოხდა მეორე სახელმწიფოში: თვით წესი და ნორმები ასეთის ზარალის ანაზღაურებისა უნდა შემუშავებულ იქმნას მხარეთაგან შეთანხმებით არჩეულ კომისიის მიერ; ამავე კომისიამ უნდა შეიმუშავოს რა ნორმებით აუნაზღაურდეს ზარალი აგრეთვე სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებათაც; ანგარიშები და ვალი, რომელიც ომამდე არსებობდა აზერბაიჯანის და საქართველოს შორის, გასწორებულ და აღსრულებულ იქმნას ურთიერთს შორის ხელშეკრულების დამდებთა მიერ.
16. ის საქმენი საჯარო უფლებრივისა და კერძო უფლებრვი ხასიათისა, რომელიც იჩენს თავს ერთისა და მეორე სახელმწიფოს მოქალაქეთა შორის, აგრეთვე ერთის სახელმწიფოს მოქალაქეთა და მეორე სახელმწიფოს შორის, [ა]გრეთვე ცალკე საქმენი, რომელნიც იჩენენ თავს ხელშეკრულობის დამდებ რესპუბლიკათა შორის, განხილულ-გადაწყვეტილი უნდა იქნენ ადერბეიჯან-საქართველოს შერეული კომისიის მიერ; ეს კომისია უნდა შესდგეს ორივ მხრით წარმომადგენლებისაგან თანაბარის რაოდენობითა და ასრულებდეს თავის მოვალეობას, ვიდრე თვითვე შეიმუშავებდეს ზემოხსენებულ საქმეთათვის განსაკუთრებულ შეთანხმების დებულებას.
17. ვიდრე განსაკუთრებულ შეთანხმებაზედ დამყარებული დებულება იქნება შემუშავებული ადერბეიჯანის მომთაბარე ერთათვის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ნებას

აძლევს ამ ერთ თავისუფლად და დაუბრკოლებრივ სარგებლოდნენ იალალ საძოვრებსა იმავე პირობით, რა პირობითაც არსებობს საქართველოში ქვეშევრდომ მომთაბარეთათვის.

18. ორისავე ხელშეკრულობის დამდებ მხარის მოქალაქეებს, რა გვარიც უნდა იყოს მათი საზოგადოებრივი და სამსახურის მდგომარეობა, ნება აქვსთ დაუბრკოლებლივ წავიდენ თავიანთ სამშობლოში; ამასთანავე უფლება აქვთ წაიღონ თავიანთი საკუთარი ქონება იმ წესთა და ნორმათა მიხედვით, რომელიც შემოღებული იქნება ორისავე მხარის თანაბარ რაოდენობის წარმომადგენელთა შერეული კომისიის მიერ.

19. ხელშეკრულობა ესე ძალაში შედის იმ დროიდან, რა დროსაც ხელმოწერილი იქნება და რატიფიკაცია უნდა ექნეს; რატიფიკაციათა გაცვლა უნდა მოხდეს თფილისში ორის კვირის განმავლობაში დღიდან ამ საზავო ხელშეკრულობის ხელის მოწერისა. ივნისის 12, 1920 წელი, სად. აქსტაფა. –

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი: გრიგოლ სპირიდონის ძე ლორთქიფანიძე, საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი სიმონ გურგენის ძე მდივანი, ალექსანდრე სიმონის ძე ანდრონიკაშვილი

ა.ს.ს.რ სარევოლიუციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი მირზა-დაუთ ჰუსეინოვი.




*ტერიტორიული კუთვნილება ალსტაფის ხელშეკრულების მიხედვით* (5-ვერსიანი რუკა)

● ალსტაფის ხელშეკრულებაში დასახელებული გეოგრაფიული ობიექტები

# ზავი საქართველოსა და აზერბეიჯანს შორის[1]

*წყარო: გაზეთი „ერთობა“, 27 ივნისი, 1920 წ., № 143, გვ. 1-2.*

25 ივნისის სხდომაზე დამფუძნებელმა კრებამ მოახდინა რატიფიკაცია საქართველოსა და აზერბეიჯანის შორის დადებულ საზავო ხელშეკრულობისა.

ვინც გაეცნობა ხელშეკრულობის ტექსტს, არ შეიძლება ყურადღება არ მიაქციოს სამს მთავარ მხარეს.

ხელშეკრულობა ცხადათ მოწმობს, რომ შეთანხმებულ ორ მხარეს შორის საქართველო ომში გამარჯვებულია, აზერბეიჯანი კი – დამარცხებული. ამის საუკეთესო დამამტკიცებელია ის საზღვრები, რომლებიც გავლებულია მეზობელ სახელმწიფოთა შორის. იქამდის აზერბეიჯანის ჯარებს ეჭირათ ბორჩალოს მაზრის აღმოსავლეთი ნაწილი წითელ ხიდის აქეთ და თფილისის მაზრის ნაჭერი ფოილოს ხიდს აქეთ. ხელშეკრულობის ძალით კი ეს ორივე ხიდი ბუნებრივი საზღვარი გახდა საქართველოსა და აზერბეიჯანს შუა, საქართველომ, გარდა ამისა, მიიღო ყაზახის მაზრის დასავლეთის ნაწილი.

მეორე მხარე, რაც გამოსჭვივის ხელშეკრულობის ტექსტიდან, ეს არის ხაზგასმული მშვიდონიანობის მოყვარეობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა. ჩვენ ვიცით, რომ სამხედრო მოქმედების შეჩერების ჟამს საქართველოს ჯარები იდგნენ ტარსის და ბაბაქიარის მთების ბევრათ უფრო აღმოსავლეთით. მიუხედავათ ამისა, საქართველოს თანხმდება თავისი ჯარები ნებაყოფლობით უკან დასწიოს და ამ ორ მთაზე გააჩეროს. ტარსის და ბაბაქიარის მთები ამ რაიონში ყველაზე მნიშვნელოვანი პოზიციებია. ის ხაზი, რომელიც ხელშეკრულობის ძალით საქართველოს ჯარს დღეს უჭირავს, ნამდვილი ბუნებრივი საზღვარია და ამ ხაზზე თავის ჯარის გადმოყვანით საქართველო ქვეყანას ამცნობს, რომ მას ტერიტორიის შემოერთება და გაფართოება კი არ აინტერესებს, არამედ მხოლოდ და მარტო თავის დაცვა, რომ მას მხოლოდ ბუნებრივი საზღვრები უნდა, რომ მტერს არ შეეძლოს შემოჭრა საქართველოს საზღვრებში. ამაზევე ღაღადებს ფოილოს ხიდის საზღვრად დადება ადერბეიჯანსა და საქართველოს შუა.

ხელშეკრულობის კიდევ ერთი მხარე იპყრობს დიდს ყურადღებას. ზოგიერთი მისის მუხლები მოწმობენ, რომ თვით ადერბეიჯანი თავის თავს სთვლის ომის გამომწვევად და თავდამსხმელ მხარეთ. ამნაირია, მაგ., აზრი ხელშეკრულობის მესამე მუხლისა: ამ მუხლის ძალით ადერბეიჯანის ტერიტორიაზე არსდება დაახლოვებით 20 ვერსის მანძილზე წითელ ხიდს და ფოილოს ხიდს იქით ნეიტრალური ზონები, რომელშიაც ადერბეიჯანს ნება არ აქვს შეიარაღებული ძალები იყოლიოს. საქართველოს საზღვრებში ასეთ ნეიტრალური ზონის დაწესება საჭირო არ გამოდგა და ადერბეიჯანმა ამით აღიარა ქვეყნის წინაშე, რომ საქართველოს მხოლოდ თავდაცვისთვის ჰყავს ჯარი და მისთვის არავითარი თავდასხმა არ არის მოსალოდნელიო. ეს გარემოება ისეთი ზნეობრივი გამარჯვებაა ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკისა, რომელსაც არავითარი ფიზიკური გამარჯვება და ტერიტორიის გაფართოება არ შეედრება.

ხელშეკრულობის ეს ზნეობრივი მხარე სათანადოთ ვერ დააფასეს ოპოზიციის წარმომადგენლებმა. მათ მთავარი ყურადღება იმას მიაქციეს, რომ ჩვენ შეგვეძლო მეტი ტერიტორიის შეძენა ამ ომიდან, ჩვენ შეგვეძლო მეტი ნივთიერი სარგებლობის მიღება, ვიდრე ეს მივიღეთ ხელშეკრულობის ძალით. ეს სრული სიმართლეა, რომ შეგვეძლო. მაგრამ ამის მიღება ჩვენ შეგვეძლო ომის განგრძობის ფასით. ჩვენს წვრილფეხა იმპერიალისტებს ომისა არ ეშინიათ, ჩვენს დემოკრატიას კი მთელი თავისი არსებით სძულს ომი, იგი ომს აწარმოებს მხოლოდ თავდაცვის მიზნით და აჩერებს მას, როგორც კი შესაძლებლად დაინახავს მის შეჩერებას. და ჩვენ გვგონია, რომ ჩვენი რესპუბლიკის მიერ გამოჩენილია მშვიდობის მოყვარეობა და ძალადობისადმი სიძულვილი, რომლის დემონსტრაციასაც წარმოადგენს მიღებული ხელშეკრულობა და რომელიც მთელი ქვეყნის წინაშე შემოწმებულია თვით მოპირდაპირე მხარის მიერ, ბევრათ უფრო ხმამაღლა ღაღადებს საქართველოს დემოკრატიის გამარჯვებაზე, ვიდრე მთელი ყაზახის მაზრის დაპყრობა.

---

1 იგულისხმება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას შორის 1920 წლის 12 ივნისს დადებული ხელშეკრულება. იგი აღსტაფის ხელშეკრულების სახელითაცაა ცნობილი, ვინაიდან მას ხელი მოეწერა ქ. აღსტაფაში. [რედ].

# ზ. ჭ.[1]
# სომხების რიცხვი ბათომის გუბერნიაში

*წყარო: გაზეთი „ერთობა“, 27 ივნისი, 1920 წ., № 143, გვ. 3.*

გაზეთებმა ცნობები მოგვიტანეს, რომ სომხები თურმე ცდილობენ, რომ ბათომის გუბერნიაში, ჭოროხის მარცხენა მხარე შავი ზღვის პირამდე, სომხეთის საზღვრებს და სომხეთის ერის საკუთრებას მიაწერონ.

თუ რამდენათ ეწინააღმდეგება ეს გარემოება ისტორიულს ჭეშმარიტებას და სისწორეს, ამაზედ, ჩვენ არ ვილაპარაკებთ, რადგანაც ეს ერთობ შორს წავა, მოვიყვანთ ცნობებს მარტო იმის შესახებ, თუ იმ კუთხის ადგილებს, რომელსაც დღეს სომხები იჩემებენ და ეპატრონებიან, აქ ამ ხსენებულ კუთხეში სომხები სადა და რამდენი კომლი სცხოვრობს მათი.

აი ესეც ამის ისტორიული მაგალითები:

ბათომის იქით 21 ვერსის სიშორით, ჭოროხის ნაპირას არის დაბა მარადიდი, აქ ამ დაბაში ცხოვრობს ხუთი კომლი სომეხი კათოლიკეთა.

დაბა მარადიდიდამ 24 ვერსის იქით, არის დაბა ბორჩხა, ამ დაბაში სცხოვრობს სომეხთა რიცხვის 5 კომლი, ესენი სულ მეჩუსტე და მეწულეები არიან.

ბორჩხას იქით 40 ვერსზედ არის სოფ. კორძული, სადაც ცხოვრობს 40 კომლი კათოლიკეთა, ეს კათოლიკენი არიან შთამამავლობითი ქართველები, ჟამთა ვითარების წყალობთ იგინი სომხის კათოლიკებს გაუსომხებიათ, დღეს ესენი სომხურათ ლაპარაკობენ, თუმცა მათ ისიც იციან, რომ იგინი ქართველთ შთამომავალნი არიან.

აქვე ამ სოფელს კორხეთის ახლოს არის ქალაქი არ[თ]ვინი, სადაც კათოლიკეთა რიცხვი არის 4000 სული, ესენიც წინეთ ქართველი კათოლიკენი ყოფილან, მერე გაშორებულან და ქართული ენა დაუკარგავთ, დღეს სომხურათ ლაპარაკობენ.

ართვინის იქით, უნდა გაიაროთ 80 ვერსი და მის მერე ჩახვალთ შავშეთში, აქ ერთს სოფელში სცხოვრებენ სომეხი გრიგორიანები და ოთხს სოფელში სომეხი კათოლიკენი, ესენიც წინეთ ქართველები ყოფილან და მერე გასომხებულან, მთელს ბათუმის გუბერნიაში, აი ეს გახლავთ სომეხთა რიცხვი, რაც კი ჩვენ მოვთვალეთ აქ.

დანარჩენი სოფლები ამ დიდს მანძილზედ გახლავთ სულ ქართველი სოფლები სულ ქართველი ტომის ხალხი სცხოვრობს, რომელთა ნახევარი ქართულად ლაპარაკობს და ნახევარი ოსმალეთის ენაზედ ლაპარაკობს.

ასეთი მაგალითის შემდეგ, განა შეიძლება, ის უსამართლობა, რომ ეს ვრცელი კუთხე ქართველთა ექვსას-შვიდას სოფლის ხალხს გამოგლიჯონ ხელიდამ და იმ მცირე ნაწილ სომხის ხალხის რიცხვს მიაწერონ, რაც კი ჩვენ აქ მოვიყვანეთ?

# დამფუძნებელი კრება
# 25 ივნისის სხდომა

*წყარო: გაზეთი „ერთობა“, 27 ივნისი, 1920 წ., № 143, გვ. 2; 29 ივნისი, № 144, გვ. 3.*

*თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.*

[...]

**პროექტი რატიფიკაციისა საქართველოს და ადერბეიჯანის რესპუბლიკების მთავრობათა შორის დადებულ საზავო ხელშეკრულების**

საგარეო კომისიის სახელით ამ საკითხის შესახებ სიტყვას იღებს აკაკი ჩხენკელი.

აკაკი ჩხენკელი. მოქალაქენო! მაქვს პატივი საგარეო კომისიის დავალებით მოგახსენოთ ხელშეკრულება, რომელიც უნდა დამტკიცებულ იქმნას ჩვენ მიერ და გაცვლილი თფილისში 2 კვირის განმავლობაში ხელის მოწერის შემდეგ, ე.ი. ხვალ, 26 ივნისს. თქვენ მოგეხსენებათ,

1 “ზ. ჭ.” არის ზაქარია ჭიჭინაძის ფსევდონიმი [რედ.].

მოქალაქენო, რომ ომი ჩვენსა და ადერბეიჯანის შორის დაიწყო ჩვენს ტერიტორიაზე, რაც ამტკიცებს იმას, რომ ომი დაიწყო ჩვენმა მეზობელმა ადერბეიჯანმა. თქვენ მოგეხსენებათ ისიც, რომ ეს ომი გათავდა ადერბეიჯანის ტერიტორიაზე და ეს ამტკიცებს იმას, რომ ომი გათავდა ჩვენი გამარჯვებით და მეზობელის დამარცხებით. როცა ამას ვამბობ, მე თვალწინ მიდგას და ვფიქრობ, ყოველ თქვენთაგანს, ჩვენი სახელოვანი მხედრობა, თვალწინ უდგას, ჩვენი ჯარისკაცები, გვარდიელები, აფიცრები, საზოგადოდ სარდლობა, სარდლობა, რომლებმაც დაიცვეს თავისი ტერიტორია, თავისი დამოუკიდებლობა და თავისუფლება. და ამიტომ ამ ტრიბუნიდან უნდა განვაცხადო, რომ მათ დაიმსახურეს თავიანთ სამშობლოს წინაშე, იმ სამშლობლოს წინაშე, რომელიც არის პირმშო დიდი რევოლიუციისა, და მის მონაპოვართა მატარებელი. ამ ომმა უეჭვე-ლად გაფანტა ის ილუზიები, რომელიც ჰქონდათ ჩვენს მტრებს – თითქოს საქართველოს რესპუბ-ლიკა, მისი დემოკრატია, ხალხი და მისი სამხედრო ძალები ნაკლების ხალისით და ენერგიით დაიცავდნენ თავის თავს წინააღმდეგ ბალშევიკების თავდასხმისა, ვინემ ისინი იცავდენ თავის თავს წინააღმდეგ დენიკინელებისა. ჩვენმა ხალხმა იცის, რას იცავს. ის იცავს არსებობას, თავის თავისუფლებას, დამოუკიდებლობას, სამართლიან საქმეს და ამიტომ მისთვის სულ ერთი არის ვინც უნდა გაილაშქროს ამ ღირებულებათა წინააღმდეგ, მეზობელი იქნება ის თუ არა, არის ამ პოლიტიკურ მიმართულების, თუ იმ პოლიტიკურ მიმართულების, ის მთელის თავის არსებით შეუტევს მას.

მე გადავდივარ პირდაპირ ხელშეკრულებაზე. ხელშეკრულება ნაწილდება სამ კატეგორიად. აქ არის ნაწილი ტერიტორიალური, საზღვრების საკითხი, არის ნაწილი ეკონომიური და პოლიტიკური. რაც შეეხება ტერიტორიალურ საკითხს, ამის შესახებ უნდა ითქვას, რომ საზღვრები გადის ჩვენ და ადერბეიჯანის შორის ძველი საადმინისტრაციო ხაზით ან უფრო კონკრეტიულად რომ ვთქვათ, იმ ხაზით, რა ხაზითაც გადიოდა საზღვრები თფილისისა და განჯის გუბერნიის შუა. აქ არის ერთი საგულისხმიერო და მნიშვნელოვანი შესწორება ჩვენდა სასარგებლოთ. წითელ ხიდის გაღმა ორი ცნობილი მთა ტარსი და ბაბაქიარი, რომელიც გაბატონებულია წითელ ხიდზე, შემოვიდა ჩვენს ტერიტორიაში.

გარდა ამისა, არის ეგრედ წოდებული ნეიტრალური ზონები. მაგრამ ეს ზონები არის მარტო ადერბეიჯანის ტერიტორიაზე და აქვს მხოლოდ დროებითი ხასიათი. ერთი წლის ვადით ადერბეიჯანს არა აქვს უფლება იყოლიოს ჯარი წითელ ხიდის და ფოილოს ხიდის ირგვლივ, მდინარე მტკვრის გაღმა. აღნიშნული არის მთელი რიგი პუნქტებისა, სადაც უნდა გაიაროს ნეიტრალურმა ზონამ და რომელსაც არ უნდა გამოსცილდეს ადერბეიჯანის ჯარები. აქ მხოლოდ შეიძლება იყოს ადერბეიჯანის სამოქალაქო ადმინისტრაცია, ამას გარდა ყარაიაზის, რომლის შესახებ უსაფუძვლოთ გვედავებოდა ჩვენი მეზობელი, ან კიდევ მისი მოქალაქენი ფაქტიურად ისაკუთრებდენ მას, და აგრეთვე სიღნაღის მაზრაში ელსარის ველი, რომელსაც ფაქტიურათ ჩვენი მოპირდაპირე ფლობდა, ხელშეკრულების ძალით ორივე ჩვენი ტერიტორიის უდავო ნაწილად რჩება. სიტყვის გაგრძელება საჭირო არ იქნება იმისთვის რაც დაუმატო, რომ ამიერიდან მაინც უნდა მოისპოს ის არალოიალური დავა, რომელიც წამოყოფდა თავს დროგამოშვებით ადერბეიჯანის მთავრობის მხრივ, დავა ყოფილ თფილისის გუბერნიის ამა თუ იმ კუთხის შესახებ, - რასაკვირველია ამას, ერთხელ და სამუდამოდ ეღება ბოლო.

დარჩა ერთი საკითხი ღიად, გადაუჭრელად: ეს არის ზაქათალის, საინგილოს საკითხი. თქვენ მოგეხსენებათ, რომ ზაქათალის ოლქი საინგილო, შეადგენდა და შეადგენს საქართველოს განუყრელ ნაწილს, როგორც ისტორიულად, ისე ეკონომიურად. მას არსებობა არ შეუძლიან საქართველოს გარეთ. სწორედ ეს ზაქათალი იყო სადავოდ დარჩენილი. რუსეთთან ხელშეკრულების ძალით მოსკოვის მთავრობამ იცნო ჩვენი სრული უფლება ამ ოლქზე და იგი შემოდის საქართველოს ტერიტორიაში, შემდეგ, როგორც მოგეხსენებათ, იყო დადებული დამატებითი ხელშეკრულება რუსეთთან და ეხებოდა არა ზაქათალის ოლქს მთლიანათ, არამედ მხოლოდ ზოგიერთ ადგილს ოლქისას, რომლის შესახებ შეიძლებოდა ყოფილიყო დავა. როგორც ჩვენ მოგვახსენეს კომისიაში ჩვენმა დელეგატებმა, ზაქათალის შესახებ დავა ყოფილა ასეთი: ადერბეიჯანის დელეგატები ამტკიცებდენ თურმე, რომ რუსეთთან 12 მაისს დადებულ დამატებით ხელშეკრულობის ძალით სადავოდ გამხდარა თითქოს მთელი ზაქათალის ოლქი. 12 მაისის დამატებით ხელშეკრულებაში მუხლი პირევლი არის ნათქვამი, რომ დავა იმ ადგილებზე (мѣстности), რომელიც მდებარეობს საქ[ა]რთველოს და ადერბეიჯანის საზღავრზე და ზაქათალის ოლქში, გადაეცემა შერეულ კომისიას, შემდგარს საქართველო და ადერბეიჯანის რიცხვით თანასწორ წარმომადგენელთაგან; ამ კომისიას თავმჯდომარეობს მოსკოვის მთავრობის წარმომადგენელი. აი, სწორეთ, დელეგაცია

ადერბეიჯანისა მოითხოვდა, რომ თანახმამდ ამ დამატებითი ხელ-შეკრულებისა, ეს საკითხი ღიად დაგვეტოვებინა და გადაგვეცა გადასაჭრელათ შერეულ კომისიისათვის, ჩვენი დელეგაცია ამაში დაეთანხმა და ეს სჩანს ამ ხელშეკრულებიდან. იქ არის ნათქვამი, რომ დავა ეხებოდა ორ საკითხს: ერთი არის ფორმალური – განმარტება ძირითად და დამატებითი ხელშეკრულებისა რუსეთთან, და მეორე არსებითი. მე მივაქცევ თქვენს ყურადღებას პირველ საკითხს: დელეგატები ვერ შეთანხმდენ ხელშეკრულებათა განმარტების საკითხში, ვის შეუძლიან განმარტოს ისინი? რასაკვირევლია, იმათ, ვინც დადვა, ე.ი. მოსკოვის და საქართველოს მთავრობებს. ეს წინასწარი საკითხი არის ჩვენთვის უაღრესი საკითხი, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მოსკოვის მთავრობა არ გადაუხვევს მის მიერ 7 მაისს დადებულ ხელშეკრულებას, რომლის მე-4-ზე მუხლი ზაქათალის ოლქს კატეგორიულათ მიაკუთვნებს საქართველოს. რაც შეეხება დამატებით ხელშეკრულებას, ეს შეეხება მხოლოდ ზოგიერთ ადგილებს, პუნქტებს საქართველოს და ადერბეიჯანის საზღვრებზე.

დასასრულ უნდა მოგახსენოთ, რომ ადერბეიჯანიდან რუსის ბალშევიკებმა ზაქათალაში შეიყვანეს ჯარის ნაწილები, რაიც აღკრძალული იყო 12 ივნისს დადებულ ხელშეკრულებით. ჩვენ მხოლოდ დაგვრჩენია მტკიცე იმედი გამოვთქვათ, რომ ჩვენი მთავრობა რაც შეიძლება ჩქარა ბოლო მოუღებს ამ უწესოებას.

რაც შეეხება ხელშეკრულების ეკონომიურ პირობებს, უნდა მოგახსენოთ, რომ ეს პირობები უნდა დაიწეროს ახლო მომავალში, და მათ საფუძვლად უნდა დაედოს ერთმანეთის უაღრესად ხელის შეწყობის პრინციპი. ჩვენ გვქონდა ადერბეიჯანიდან სატრანზიტო ხელშეკრულება, რომელიც ძალაში არ რჩება და ამიტომ მის მაგიერ უნდა დაიდვას ახალი. მანამდისინ კი წესდება თავისუფალი ტრანზიტი. თავისუფალ ტრანზიტს გულისხმობდა გაუქმებული ხელშეკრულებაც. გარდა ამისა, ჩვენთვის ჰქონდა დიდი მნიშვნელობა იმ საკითხს, თუ რა ბედი ეწეოდა ჩვენს ქონებას ადერბეიჯანში. თქვენ მოგეხსენებათ, რომ ჩვენ სახელმწიფოს დიდი ღირებულების ქონება დარჩა იქ, და ჩვენი დელეგაციაც მის დაბრუნებას მოითხოვდა.

ხელშეკრულებაში არის მუხლი, სადაც ნათქვამია, რომ როგორც ადერბეიჯანი, ისე საქართველო ვალდებულია დაუბრუნოს მეორეს ის ქონება, რომელიც ეკ[უვ]თნოდა სახელწმიფოს, საზოგადო დაწესებულებას, თვითმართველობებს, კოოპერატივებს.

ჩვენ გვაინტერესებდა აგრეთვე საკითხი ჩვენი მოქალაქეთა პირადი სვე-ბედი და მათი ქონებისა. ხელშეკრულების ძალით ეს ქონებაც ანაზღაურებული უნდა იქნეს და ჩვენს მოქალაქეთ ეძლევათ უფლება სამშობლოში დაბრუნებისა.

პოლიტიკური მხარე ამ ხელშეკრულებისა მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ ვცნობთ ურთიერთ დამოუკიდებლობას, სუვერენობას, რასაც ჩვენთვის აქვს უეჭველად მნიშვნელობა.

რა თქმა უნდა, თქვენ დაგებადებათ კითხვა. ვისთან გვაქვს საქმე, ვის შეუკარით ეს პირობა? გვაქვს საქმე დამოუკიდებელ თუ დამოკიდებულ სახელმწიფოსთან? როგორც ხელშეკრულებიდან სჩანს, ჩვენი მოპირდაპირე თავის თავს დამოუკიდებელ სახელმწიფოს ეძახის და ჰკრავს ზავს, როგორც ასეთი. ჩვენ ჩვენის მხრივ შეგვიძლიან განვაცხადოთ მხოლოდ ის, რომ ადერბეიჯანის ხალხის დამოუკიდებლობას, მის თავისუფლებას, სუვერენობას, საქართველო როგორც წინად, ისე მომავალში დიდი სიმპატიით უცქერის. და როდესაც ჩვენ შორის დამყარდება მშვიდობიანობა, საქართველო, როგორც წინად, ისე მომავალშიც დაუმტკიცებს მას, რომ ის მართლაც, მხარს დაუჭერს მის დამოუკიდებლობას და თავისუფლებას.

ამ ხელშეკრულებაში ნათქვამია, რომ ჩვენ ერთი-მეორის საქმეებში არ უნდა ვერეოდეთ. რამდენადაც ჩვენ ჩაკეტილნი არ ვართ ამ დარბაზში და ვღებულობთ ცნობებს, ადერბეიჯანში მართლაც არ უნდა იყოს ამ მხრივ ყველაფერი რიგზე. რაც შეეხება საქართველოს, დღიდან მისი დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, მისი პოლიტიკის ღერძი სხვის საქმეებში ჩაურევლობა იყო და არც სხვას აძლევდა ის უფლებას მის საქმეებში გარევისა. ამ პოლიტიკას ჩვენ ვაწარმოებდით და ვაწარმოებთ, ამის თავდები არის ჩვენი ხალხი, ჩვენი დემოკრატია, რომლის წინაშე პასუხისმგებელნი ვართ.

აი, საერთოდ შინაარსი ხელშეკრულებისა, რომლის მიღებას და დამტკიცებას გთხოვთ საგარეო კომისიის სახელით.

რასაკვირველია, არ შეიძლება ითქვას, რომ ეს ხელშეკრულება მთლად დამაკმაყოფილებელია, განსაკუთრებით იმით, რაც მე ზაქათალის ოლქის შესახებ მოგახსენეთ, რომლის საზღვრების საკითხი ღიათ რჩება. მაგრამ ნუ ვივიწყებთ იმას, რომ ჩვენ, როგორც დემოკრატიული სახელმწი-ფო, ვერიდებით სისხლის დაქცევას იქ, სადაც ცოტაოდენი იმედი მაინც არის, რომ უსისხლოდ მოგვარდება საქმე, და ჩვენ კი იმედი გვაქვს, რომ უსისხლოდ მოგვარდება სწორეთ ზაქათალის

საკითხი ჩვენდა სასარგებლოთ. ამისათვის საჭიროა მთავრობის ენერგიული ნაბიჯები. მე ამავე დროს უნდა განვაცხადო, რომ კეთილმეზობლური განწყობილება ჩვენთვის დიდ ღირებულებას წარმოადგენს. ჩვენ ვიცით, თუ რა გავლენას აქვს ერთი რესპუბლიკის სვებედს მეორე რესპუბლიკაზე ამიერ-კავკასიაში, მთლათ კავკასიაში.

ჩვენ ანგარიშს უწევთ, როგორც აწმყოს, ისე ახლო მომავალს, გვაქვს პერსპექტივები და ამიტომ მოწადინებული ვართ მშვიდობიანის გზით დავიცვათ ჩვენი ხალხის საარსებო ინტერესები, თუმცა აქვე უნდა განვაცხადო ისიც, რომ ჩვენ არ გაურბივართ იარაღით ხელში თავდაცვას, როცა ამას აუცილებლობა მოითხოვს. იმედი გვაქვს, რომ ჩვენს ნაბიჯს, მოქმედებას ჩვენი მეზობელი დააფასებს, დააფასებს იმ გარემოებას, რომ ჩვენ ბოლომდის არ ვისარგებლეთ ამ ომის შედეგებით, არ ვისარგებლეთ მეზობლის, შეიძლება ითქვას, კრიტიკული მდგომარეობით; ჩვენ გავიხსენეთ ხვალინდელი დღეც, ის, რომ ჩვენ მეზობლები ვართ და თუ არ გვინდა ერთი მეორის გვერდით უნდა ვიცხოვროთ. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ადერბეიჯანის ხალხი ადრე თუ გვიან ამაღლდება ჩვენი ხალხის ამ შეგნების დონემდე. (ტაში).

შემდეგ ამისა ილაპარაკეს ფრაქციათა წარმომადგენლებმა, რომელთა სიტყვებსაც შემდეგ ნომერში დავბეჭდავთ.

ალ. ასათიანი. ბევრი ომი გადაუხდია ქართველ ხალხს ამ სამი წლის განმავლობაში, მაგრამ იშვიათად ყოფილა ისეთი ერთსულოვნება, როგორიც იყო ქართველ ერში ამ ომის განმავლობაში. როგორც კი მეზობელი ს[ა]ხელმწიფო თავს დაგვესხა, - მთელი ერი, როგორც ერთი კაცი, დადგა ფეხზე და დაიცვა თავისი დამოუკიდებლობა. თუ ქართველი ხალხი ერთსულოვანი იყო ამ ომის წარმოებაში, იგი არ იქნება ერთსულოვანი აქ წარმოდგენილ საზავო ხელშეკრულების დაფასებაში. განმეორდა ის, რაც არა ერთხელ განმეორებულა. მეორე მეზობელთან ომის დროს ქართველმა ხალხმა სასტიკათ დაამარცხა მტერი, შედეგი კი სულ არ შეეფერებოდა ამ ომს. არც ერთი დასახული მიზანი არ განხორციელდა ამ ომში. ჩვენი საზღვრები ვერ უზრუნველვყავით, ვერ აღვადგინეთ ის ისტორიული საზღვრები, რომელიც მრავალ საუკუნოების განმავლობაში იყო შექმნილი. ვნახეთ ზარალი, სამაგიეროთ ვერაფერი მივიღეთ. ზაქათალის საკითხი გაცილებით ცუდ მდგომარეობაშია. იგი ეკავა ადერბეიჯანს და არავის არ ჰქონდა ეჭვი, რომ ამ ტერიტორიას მალე დავიბრუნებდით. ის გზა, რომლითაც ჰსურთ გადასწყვიტონ ზაქათალის ბედი, უიმედოა. ადერბეიჯანი რუსეთის ნაწილია. ომი შესწყდა, მაგრამ მტკიცე ზავი მაინც არ გვაქვს. ჩვენი მთავარი მიზანი უნდა ყოფილიყო ის, რომ ისეთი დიდი ჯარები, როგორც ამ ჟამად იმყოფება ადერბეიჯანში, იქ არ დარჩენილიყო და აგრედვე უნდა დაგვენახვებია ყველასათვის, რომ ჩვენი და რუსეთის გზები გაიყო, ჩვენ მას სამუდამოთ ჩამოვშორდით.

ს. ფირცხალავა. წარმოდგენილი ხელშეკრულება დიდ მნიშვნელოვანია ჩვენ პოლიტიკურ ცხოვრებაში, თუმცა იგი ვერ სწყვეტს სადაო საკითხებს.

მართალია, ზოგიერთი საზღვრები გასწორდა, მაგრამ მთავარი საკითხი საინგილოსი გადაუწყვეტელი დარჩა. ომმა ეკონომიურად დიდი ზარალი მოგვაყენა. ადერბეიჯანში დაგვრჩა მრავალ მილიონათ ღირებული ქონება. მართალია, ფულით აგვინაზღაურდება, მაგრამ რაც უნდა დიდ-ძალი ფული გქონდეთ, ხშირად ბევრ საჭირო ნივთებს ბაზარზე ვერ იშოვნით. მილიარდ-ნახევარი და შეიძლება ორი მილიარდიც უმიზეზოდ თავზე დააწვა ჩვენს ერს და, სამწუხაროდ, მკვიდრი ზავი მაინც ვერ მივიღეთ. ნეიტრალური ზონები ამტკიცებენ იმას, რომ ჩვენში ჯერ კიდევ არ არის მეზობლური კავშირი. კავკასიის რესპუბლიკები მჭიდროთ არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან თუ ერთი საფრთხეში ჩავარდება, მეორე სახელმწიფოზედაც იქონიებს ეს გავლენას. ჩვენ არ ვცდილვართ, რადგანაც შესაძლებელი იყო, გამოგვერკვია ადერბეიჯანის მდგომარეობა. ჩვენ არ ვიცით, ადერბეიჯანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა თუ რუსეთის ნაწილია? ამ გარემოებისათვის უნდა მიგვექცია ყურადღება. როგორც მოსკოვის, ისე აღსტაფის ხელშეკრულება რუსეთის ორიენტაციის მაჩვენებელია და ეს დიდათ საზიანოა ჩვენთვის. არც ერთ სახელმწიფოს ის არ შეუძლია დაგვიმონავოს, როგორც რუსეთს – იქნება ის სოციალისტური, თუ რეაქციონური. დასასრულს უნდა აღვნიშნოთ, რომ მე-6 მუხლი ემყარება მოსკოვის იმ ხელშეკრულებას, რომელიც ჯერ არ განუხილავს დამფუძნებელ კრებ[ა]ს, ეს კი ნიშნავს დამფუძნებელ კრების უფლებათა შეზღუდვას. მაგრამ მიუხედავათ ამ ნაკლისა, არ შემიძლია არ აღვნიშნო ამ ხელშეკრულების დადებითი მხარეები. ხელშეკრულება მით არის კარგი, რომ მან მოსპო ომი და მოგცვა საშუალება მშვიდობიან გზით სადაო საკითხების გადაწყვეტისა. ჩვენი ფრაქცია მხარს უჭერს ამ ხელშეკრულებას და იმედს გამოვსთქვამთ, რომ ერთხელ და სამუდამოთ გადაწყდება სადაო საკითხები და დაუბრუნდება [სა]ქართველოს ძალით წაგლეჯილი ადგილები.

ლ. შენგელაია. ჩვენ არ გვინდა ომი, ვღებულობით ამ ხელშეკრულებას. ამ ზავით ჩვენ შევინარჩუნეთ ის, რაც გვქონდა და რაც არ გვქონდა, - შეიძლება დაგვიბრუნდეს. ჩვენ არა ვართ არბიტრაჟის წინააღმდეგ, და, არც იმედი დაგვიკარგავს, რომ რუსეთი შელახავს ჩვენი ქვეყნის საარსებო ინტერესებს; მაგრამ სუპერ არბიტრათ რუსეთი არ ივარგებს, იგი დაინტერესებული მხარეა. ჩვენი დამოუკიდებლობის მტრებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ და იმედია, ყოველთვის ასე მოუვა იმას, ვინც ჩვენს წინააღმდეგ გამოილაშქრებს. ჩვენ გვწამს, რომ ყოველთვის გავიმარჯვებთ, რადგანაც ძლიერია ჩვენში სიცოცხლის წყურვილი (ტაში).

გრ. ვეშაპელი. აღნიშნავს, რომ ადერბეიჯანში რუსეთი შემოვიდა მემარცხენეთა დახმარებით და ის გადატრიალება, რომელიც მოხდა ადერბეიჯანში სოციალისტური ფ[ო]რმით, იყო ნაძალადევი. ჩვენი ჯარის წინ იდგა რუსეთის ჯარი და საინტერესოა ის გარემოება, რომ ეს ხდებოდა ცენტრის დასტურით. რუსეთი, მართალია, ზავით შეგვეკრა, მაგრამ მან მაინც არ აიღო ხელი აგრესიულ მიზნებისაგან. გაგრის გზით არ იქნებოდა ადვილი შემოსვლა, დარიალით შეუძლებელი იყო და ბოლოს წამოვიდა იმ გზით რომლითაც ადვილი იყო ჩვენი გადალახვა. მიზანი ჩვენი ორგვარი უნდა ყოფილიყო: ერთი ისეთ სტრატეგიულ პუნქტების დაჭერა, რომელიც უზრუნველჰყოფდა თფილისს მოსალოდნელ საფრთხეთაგან; მეორე მიზანი იყო ადერბეიჯანიდან უცხო ძალების განდევნა. მაგრამ მმართველმა პარტიამ ეს ომი მენშევიკურათ აწარმოვა. ეს არის ომის შაბლონურათ წარმოება, თავში კრიზისი, მერე კრიზისის დაძლევა და შემდეგ გარეშე ძალის ხათრით არა ხელსაყრელი ზავი. ომის პირობები ისეთი იყო, რომ ჩვენ ადვილათ შეგვეძლო დასახულ მიზნების განხორციელება.

ამ ხელშეკრულებამ კი აღადგინა მხოლოდ შტატუს ქუო და რამდენიმე ვერსი მიემატა ჩვენს ტერიტორიას. თფილისი არ არის განჯის მხრიდან უზრუნველყოფილი, საინგილო ამ ზავმა ვერ მოგვცა, მისი დაკავება არ იყო ძნელი! მარტო ქიზიყის და კახეთის მოხალისეებს შეეძლოთ საინგილოს დაკავება. შემდეგ ორატორი ეხება მე-6 მუხლს და აღნიშნავს, რომ იგი ჩვენთვის მიუღებელიაო. დაყრდნობა რუსეთის ზავზე, რომლის რატიფიკაცია არ მომხდარა, შეუძლებელია. შეუძლებელია არბიტრაჟით გადაწყვეტა ამ სადაო საკითხის, რადგანაც არბიტრი იქნება რუსეთი და იგი ხომ დაინტერესებული მხარე არის. ორატორს არ მიაჩნია საიმედოთ რუსეთთან დადებული ხელშეკრულება. ზავის შედეგი იყო ოსეთის აჯანყება; ზავის შემდეგ ჩიჩერინმა ქემალ-ფაშას მიაკუთვნა რეფერენდუმი ბათომის ოლქში, არ გასულა რამდენიმე დღე, რომ აქაც დაგვანახვეს, თუ როგორ ასრულებენ ზავის პირობებს. ზავის შემდეგ მათ ჯარები შეიყვანეს იმ ადგილებში, სადაც ხელშეკრულების ძალით არ უნდა შეეყვანათ. ორატორს საჭიროდ მიაჩნია ევროპასთან მჭიდრო კავშირის დაჭერით რუსეთის საფრთხის თავიდან აცდენა.

ბ. თ[ე]ვზაია. ბატონებო! რამოდენიმე თვის წინად ადერბეიჯანში არსებობდა მთავრობა, რომელსაც ჰქონდა ჩვენთან დადებული ხელშეკრულება. ბოლო ხანებში ადერბეიჯანში გაძლიერდა ყველაზე კონსერვატიული „იტიხიდის" პარტია, რომელიც აშკარად აღიარებდა, როგორც თავის ორგანოში, ისე პარლამენტში რუსეთის კომუნისტებთან კავშირის საჭიროებას. საბჭოთა რუსეთის პოლიტიკა აღმოსავლეთში იხატებოდა სწორეთ ამ პარტიის ორგანოში. როგორც იცით, გადატრიალების შემდეგ დაიწყო ომი ჩვენსა და ადერბეიჯანს შორის. ორივე მხარე სულ სხვადასხვა მიზანს ისახავდა. ამ ომის დროს ადერბეიჯანის ის ზოგიერთი ძველი გენერალები, რომლებიც მინისტრის პოსტებზედაც იყვნენ და თავისი ქვეყანა გადასცეს საბჭოთა რუსეთს, მიზნათ ისახავდნენ, სხვათაშორის, საქართველოსათვის ჩამოეჭრათ ის ადგილები, სადაც მუსულმანობა მოსახლეობდა: ამას ისინი არ მალავდნენ (ვეშაპელი: ისინი დევნილნი [ა]რიან. გამოიქცნენ) ახლა გამოიქცნენ, რადგანაც პერსპექტივაში შეცდნენ ადერბეიჯანის ახალ მთავრობას კი მიზეზად ჰქონდა დასახული საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობა. მეორე მხარის, ე.ი საქართველოს მიზანი იყო დამოუკიდებლობის შერჩენა და ის არ ჰფიქრობდა არც სხვა ქვეუნების დაპყრობას და მათ შინაურ საქმეებში ჩარევას. აქ ამბობენ, საქართველოს მიზნათ უნდა ქონოდა ადერბეიჯანის ხალხი უცხო ძალებისაგან გაენთავისუფლებიაო. ასეთ მიზნებს ჩვენ ვერ გავიზიარებთ ასეთ მიზნებს მხოლოდ სხვადასხვა ჯურის იმპერიალისტები ისახავენ, რომელნიც ძლიერ ხალისიანად სხვის შინაურ საქმეებში ერევიან. ბ-ნ ვეშაპელს რომ დაუჯეროთ, ჩვენ ჯარი უნდა გავგზავნოთ არა მარტო ადერბეიჯანში, არამედ სპარსეთშიაც, რომ ის გავანთავისუფლოთ უცხო ძალებიდან. ამას ვერც იზამს და არც ჩვენი დემოკრატია.

უნდა იცოდენ ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა, რომ ერთი საფუძველთაგანი ჩვენი რესპუბლიკის – ეს ნეიტრალიტეტია. ვინც ამის დარღვევას მოითხოვს, ის მოითხოვს ჩვენი დამოუკიდებლობის აქტის ერთი ძირითადი მუხლის დარღვევას, ვინც ისეთ მიზანს ისახავდა, რომ ჩვენი დემოკრატია

შეჭრილიყო ადერბეიჯანში, ის რასაკვირველია, ვერ დაკმაყოფილდება ამ ხელშეკრულობით. მაგრამ ჩვენს დემოკრატიას სულ სხვა მიზანი ჰქონდა. ეს იყო თავისი დამოუკიდებლობის დაცვა. ეს ხელშეკრულობა ამას ემსახურება და ჩვენს მას ვიცავთ. რასაკვირველია, ეს ზავი კომპრომისულია. ჩვენი ჯარი, რომ შეჭრილიყო ადერბეიჯანის სატახტო ქალაქში, დაემხო მთავრობა, რასაკვირველია, მას შეეძლო ეკარნახა ისეთი ზავი, როგორიც მოესურვებოდა. მაგრამ ეს იქნებოდა მთელი ჩვენი ტრადიციის უარყოფა. აქ ბრძანებენ, ზაქათალა ჩვენი განუყოფელი ნაწილიაო. ეს მართალია, მაგრამ ზაქათალის მუსულმანის დეპუტატები ადერბეიჯანის პარლამენტში ისხდენ. ხოლო ყველა ადერბეიჯანის პოლიტიკური პარტიები მუსავატთან ერთად იძახდენ: ზაქათალა ადერბეიჯანის უდავო ნაწილიაო. ამ ნაირად, უწინ ეს ორი შეხედულება ერთი ერთმანეთს ეჯახებოდა. ამ ზავის დროს ერთი მოხდა, თვით ადერბეიჯანმა აღიარა სადაოთ ზაქათალის ოლქი. მერე მოხდა კიდევ ის, რომ ის ნაწილი სიღნაღის მაზრისა, რომელიც ფაქტიურად ადერბეიჯანს ეჭირა, ჩვენს ხელში გადმოვიდა: აქ ბევრს ლაპარაკობენ პერსპექტივებზე, იმაზე არას ვიტყვი. მხოლოდ, რომ საქართველოს დემოკრატია ამ ხელშეკრულებას პირნათლად შეასრულებს. არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ საქართველოს დემოკრატიას თავისი სიტყვა დაერღვია. ზავი საქართველოს დემოკრატიისთვის ეს ნორმალური მოვლენაა, მისი ბუნებრივი სტიქიაა, ის იარაღს მოხლოდ მაშინ მიმართავს ხოლმე, როდესაც მას თავს ესხმიან, როდესაც სხვა გზა არ არის სადავო კითხვების გადასაჭრელად. ჩვენ ავასრულებთ ამ ხელშეკრულებას, მაგრამ თუ ვინმე შეეცდება მის დარღვევას, ჩვენი ჯარი და გვარდია, რომელიც დარაჯათ უდგას ჩვენი რესპუბლიკის დამოუკიდებლობას, შესაფერ პასუხს გასცემს მომხდურთ და თავის დროშას არასოდეს ძირს არ დაუშვებს. ეს კარგად უნდა იცოდეს მტერმაც და მოყვარემაც. (ტაში)

ამის შემდეგ საპასუხო სიტყვას ამბობს ამხ. აკ. ჩხენკელი (მის სიტყვის სტენოგრაფიულ ანგარიშს შემდეგ დავბეჭდავთ).

საზოგადო მსჯელობის შემდეგ აკ. ჩხენკელი კითხულობს ხელშეკრულების ტექსტს, რომელიც მიღებულ იქნა.

## აკაკი ჩხენკელის საპასუხო სიტყვა[1]

*წყარო: გაზეთი „ერთობა“, 1 ივლისი, 1920 წ., № 146, გვ. 1-2.*

მოქალაქენო! მე თითქმის ჩემი მთელი პოლიტიკური მოღვაწეობა გამიტარებია ოპოზიციის რიგში, მაგრამ ოპოზიციის ვალდებულება არ მესმოდა ისე, რომ მას შეუძლიან უპასუხისმგებლო განცხადებების გაკეთება. აქ ჩვენ გვეუბნებიან მაგალითად, რომ ჩვენ მენშევიკური ზავი შევკარით, წინედაც მენშევიკურ ზავებს ვკრავდით და ამას უპირდაპირებებ პოლონურ ზავს. ამის მთქმელი ყოველ შემთხვევაში, მართალი იყო იმაში, რომ ჩვენი ზავი არ იქნებოდა ისეთი, როგორსაც ის თვითონ, ჩვენი მოკამათე შეკრავდა. და ეს იმიტომ, რომ ჩვენი ზავი, ყოველ შემთხვევაში, უნდა გამომდინარეობდეს დემოკრატიის ინტერესებიდან და ერთა შორის სოლიდარობის იდეიდან. ეს თვალსაზრისი მუდამ წინ გვიდგას ჩვენ, როგორც აქ, ისე სხვაგან, განსაკუთრებით აქ, ამიერკავკასიაში, სადაც საჭიროდ ვთვლით მეზობლურ და მეგობრულ განწყობილებას სხვა და სხვა ერთა და სახელმწიფოთა შორის.

მეც დავსვი ის საკითხი, რომელსაც სვამდენ აქ ზოგიერთი დეპუტატები – ვისთან გვაქვს საქმე: დამოუკიდებელ, თუ დამოკიდებულ სახელმწიფოსთან? და ვფიქრობთ მხოლოდ ასე: ჩვენი სურვილი იყო და არის, რომ ეს სახელმწიფო იყოს დამოუკიდებელი. ამ გვარ პოლიტიკას ვაწარმოებდით ჩვენ და მომავალშიაც ვაწარმოებთ. ამიტომ ჩვენ არ უქვემდებარებთ მთელ ჩვენ მუშაობას მარტო ერთ რომელიმე მოსაზრებას – ისტორიულს, თუ ტერიტორიალურს. ამას ჩვენ უქვემდებარებთ მოსაზრებათა მთელ რიგს და ასეთ შემთხვევაში ჩვენ უეჭველად გვიხდება არჩევა იმ გზისა, რომლითაც მშვიდობიანობას უსისხლოდ მივაღწევთ. რასაკვირველია, ამასთანავე დაცულ უნდა იყოს ჩვენი რესპუბლიკის საარსებო ინტერესები და ვფიქრობ, რომ ეს ხელშეკრულება, რომელიც ჩვენ წინ არის, არ არის ისეთი, რომელზედაც შეიძლება ითქვას, რომ ის ეწინააღმდეგება ამ საარსებო ინტერესებს. ერთმა ორატორმა აქ სთქვა, რომ ჩვენი მდგომარეობა საზღვრებზე ომის წინ უფრო უკეთესი იყო, ვიდრე ეხლა. ეს შემცდარი აზრი არის. ომის წინ ჩვენ თითქმის არავითარი

1 წარმოთქმული დამფუძნებელ კრების სხდომაზე 25 ივნისს საქართველო-ადერბეიჯანს შორის დადებულ საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციის დროს.

გარკვეული საზღვრები არ გვქონია. ყოველ შემთხვევაში, ადერბეიჯანის პრეტენზიები იმ ხაზის აქეთ იყო, რომელიც დღეს არის ჩვენსა და მათ შორის.

რაც შეეხება ზაქათალის ოლქს, ის, მოგეხსენებათ, რომ თფილისის გუბერნიაში არ შემოდიოდა. რასაკვირველია, ეს იყო უსამართლო მოვლენა, ამაში ყველანი თანახმანი ვართ, მხოლოდ ფაქტი ფაქტად რჩება და ამისთვის ანგარიში უნდა გაგვეწია. დღეს კი, ფორმალურად, იურიდიულად, რამდენად ნაწერების გაგება შეიძლება, იმედი გვაქვს, რომ ზაქათალის ოლქი შეიქმნა საქართველოს ტერიტორიად და თუ დავა არის, იგი ჩვენდა სასარგებლოდ გადაწყდება. მართალია, ბალშევიკებს თავისი პოლიტიკა, თავისი პროგრამა აქვთ. ჩვენ ჩვენი პოლიტიკა და ჩვენი პროგრამა გვაქვს. ეს ორი პოლიტიკა ერთმანეთს დაპირისპირებულია და მათი შერიგება ყოვლად შეუძლებელია. ჩვენი წინააღმდეგობა არის ძირითადი.

და საქართველოს რესპუბლიკა იარსებებს, როგორც არა ბალშევიკური, ან სულ არ იარსებებს. ან იარსებებს, როგორ დემოკრატიული, ან სულ არ იარსებებს.

მაგრამ ჩვენ მაინც უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ რაც დაპირებულია და ჩაწერილი ხელშეკრულობაში, ის შესრულებული იქნება. ჩვენ ვნახავთ სულ ახლო მომავალში შეასრულებს თუ არა მოსკოვის მთავრობა იმას, რასაც ხელი მოაწერა და მაშინ გამოვიტანთ შესაფერ დასკვნას. მანამდის კი დასკვნების გამოტანა ნაადრევია. და ასეთი დასკვნის გაკეთება დღესვე არ არის პასუხისმგებელი გამოსვლა.

ადერბეიჯანის რესპუბლიკაზე მოგახსენებთ, რომ ჩვენ გვაინტერესებს არა ის, რომ ადერბეიჯანი ჩვენ გვეხმარებოდეს, ეს არ გვეჭირვება, თავი და თავი ისაა, რომ ის ლოიალური იყოს და შეიგნოს თავისი საკუთარი ინტერესები. არ ვიცი რამდენად შეეგუება ადერბეიჯანის დღევანდელი მთავრობა თავის ხალხს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ადერბეიჯანის ხალხმა, თუ შეიგნო თავისი საარსებო ინტერესები, ჩვენ ეჭვი არა გვქვს, ის იმასაც შეიგნებს, რომ მისი და ჩვენი ინტერესები ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებიან. ეს კი მდგომარეობს იმაში, რომ ადერბეიჯანი იყოს დამოუკიდებელი არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც. მიუხედავად ყველა ჩემ მიერ თქმულისა, მე არ შემიძლიან არ დავეთანხმო ჩვენს მოპირდაპირე ორატორებს იმაში, რომ ჩვენი მდგომარეობა რთულია. ჩვენ ირგვლივ რკალშემორტყმულნი ვართ. სწორედ იმიტომ, რომ მდგომარეობა რთულია, ამიტომ ჩვენი მთავრობაც არ აწარმოებდა რისკის პოლიტიკას, და ყველა ის, რასაც აქ ბ-ნი ვეშაპელი ბრძანებდა, არის რისკის პოლიტიკა. ჩვენ რისკის პოლიტიკას ვერ ვაწარმოებთ, სანამ ვგრძნობთ პასუხისმგებლობას ჩვენი ერის, ჩვენი დემოკრატიის წინაშე.

ჩვენდა საბედნიეროდ, როდესაც ჩვენი დემოკრატია სისხლსა ღვრის, იცის რისთვის ღვრის. შეიძლება ეს პირველი მაგალითი იყოს არა მარტო აზიაში, არამედ მთელს ევროპაში. როცა ერს ესმის, რისთვის იბრძვის, არ შეიძლება მისი ომში ჩართვა მის დაუკითხავად, მის წინაშე უპასუხისმგებლოდ. ვიმეორებ, ჩვენ ვაწარმოებთ დემოკრატიულ ან, როგორც თქვენ უწოდებთ, მენშევიკურ პოლიტიკას და იგი დარჩება ძალაში.

დასასრულ მე მინდა შევჩერდე მხოლოდ ერთ კითხვაზე, რომელიც დასვა ბ-ნმა ვეშაპელმა, მე მაქვს სახეში ორიენტაციის საკითხი. დიდი შეცდომაა, თითქოს ჩვენ დავდექით რუსეთის ორიენტაციის ქვეშ. მე არ მესმის არც ერთი ორიენტაცია. თქვენ ალბად რომელიმე სხვა სახელმწიფოს ორიენტაცია გნებავთ. ორიენტაციას გულისხმობს ამა თუ იმ სახელმწიფოს იარაღად ქცევას. ჩვენ არ გვინდა, რომ ვისიმე იარაღად გადავიქცეთ, ჩვენ გახლავართ საქართველოს დამოუკიდებლობის და თავისი თავის ორიენტაციისა. და ამ ორიენტაციისთვის, თუ საჭიროება მოითხოვს, სისხლსაც დავღვრით.

მე მინდა შევეხო ზოგიერთ ვითომდა ფაქტებს, რომელიც აქ მოიყვანეს. აქ თქვეს თითქოს მთავარ სარდალს ჯარები უკან დაეხიოს დროებითი ზავის წინ, დაეტოვებინოს ის პოზიციები, რომელიც მას ქონდა საომარი მოქმედების ბოლოს. მერე, თითქოს მთავრობა თავისთვის მოქმედებდა, სარდლობა კი თავისთვის, ეს არ არის მართალი. (ვეშაპელი: ასე იყო!) არა, ეს სინამდვილე არ არის. სარდლობა მოქმედებდა ყოველთვის მთავრობის ხელმძღვანელობის ქვეშ. თუმცა დროებითი საზავო ზონას გაყოლება სარდლის საქმეა და კიდეც მან გააყოლა მოპირდაპირესთან შეთახმებით. არ შეეფერება სინამდვილეს განცხადება, თითქოს ჩვენმა ჯარმა დასტოვა პოზიციები და დადგა წითელი ხიდის აქეთ, თითქოს ზავი რომ არ ჩამოვარდნილიყო და საომარი მოქმედება ისევ განახლებულიყო, ჩვენი ჯარი საშინელ მდგომარეობაში იქნებოდა. ნამდვილათ კი ჩვენ გვეჭირა გაბატონებული პოზიციები არა მარტო წითელ ხიდზე, არამედ ყაზახის მიმართულებითაც.

როგორც მოგეხსენებათ, ჩვენ გვეჭირება ორი მთა ხრამის გაღმა, როგორც აქეთა, ისე იქითა მხარეთი. ასე რომ ჩვენს ჯარს გაბატონებული პოზიცია ეჭირა მაშინ, როდესაც ჩვენ საზავო

მოლაპარაკება დავიწყეთ.

რაც შეეხება გენერალ მაყაშვილის შესახებ განცხადებას, რომ ვითომ ის პასუხისგებაში არის მიცემული და შეიძლება დახვრეტილიც, ეს რასაკვირველია, ფაქტის საკითხია და ამას ყურადღებას მიაქცევს მთავრობა, განსაკუთრებით საგარეო სამინისტრო.

მაშასადამე, მოქალაქენო, თქვენ უნდა მიიღოთ და დაამტკიცოთ ხელშეკრულება, ვინაიდან ის უზრუნველყოფს, რამდენათაც ეს შეუძლიან ხელშეკრულებას, ჩვენს საზღვრებს და მეორე მხრივ ის მოასწავებს დემოკრატიულ ზავს, რომლითაც კი არ უნდა გაღრმავდეს მტრობა და შუღლი ჩვენსა და ადერბეიჯანს შორის, პირიქით, უნდა გაჰქრეს იგი. (ტაში).

## ახალი ამბები[1]
## ნეიტრალურ ზონის მცხოვრებთა შუამდგომლობა

*წყარო: გაზეთი „ერთობა“, 20 ივლისი, 1920 წ., № 161, გვ. 3.*

შინ[აგან] საქ[მეთა] სამინისტროში მიიღეს შუამდგომლობა ბორჩალოს მაზრის ნეიტრალური ზონის რუს, ბერძენ და თათარ მოსახლეობისაგან ნეიტრალურ ზონის საქართველოსთან შეერთების შესახებ. სხვათა შორის, შინ[აგან] საქმეთა სამინისტრომ მიიღო დადგენილება, რომელიც გამოუტანიათ ნეიტრალური ზონის მე-3 უბნის მცხოვრებთ. ამ დადგენილებაში ნათქვამია, რომ მათ არ შეუძლიათ თავისი არსებობა მომავალში წარმოიდგინონ უთფილისოთ, რომელთანაც შეკავშირებული არიან კულტურულად და ეკონომიურად. ისინი სთხოვენ საქართველოს რესპუბლიკის მთავარ კომისარს, რომ მან შუამდგომლობა აღძრას თავის მთავრობის წინაშე, რათა მან საქართველოს შეუერთოს ილმიზლინის საზოგადოების მუსულმანი მცხოვრებნი. ამ საზოგადოებაში შედის შემდეგი სოფლები: ილმიზლო, ჯუჯაგსიტი, ძველი და ახალი კარაკალო, კარაისი, სოუხბულაგი, მოლაი და კმიმკილისი. დადგენილებას ხელს აწერს 300 კაცი.

## საქართველო-რუსეთის კომისია

*წყარო: გაზეთი „ერთობა, 20 ივლისი, 1920 წ., № 161, გვ. 3.*

სამხედრო გარანტიების შესახებ არსებულ საქართველო-რუსეთის კომისიის საქართველოს დელეგაციის განცხადება:

რუსეთის დელეგაციის ა.წ. 13 ივლისის განცხადების საპასუხოთ საქართველოს დელეგაცია საჭიროდ სთვლის განაცხადოს შემდეგი:

1) ეთანხმება რა მას, რომ ხელშეკრულობის ნამდვილი აზრის განმარტების საუკეთესო მეთოდს წარმოადგენს მისი გაგება კეთილ სინდისიერათ და მხარეთა სურვილისა და მიზნის, ე.ი. „ბონა ფიდეს“ მიხედვით და რომ ხელშემკვრელ მხარეებს სახეში უნდა ჰქონდეთ ხელშეკრულობის კეთილსინდისიერი და არა სხვა გვარი განმარტება, საქართველოს დელეგაცია საჭიროდ სთვლის აღნიშნოს, რომ სწორედ ამ საერთო პრინციპებმა მიიყვანა იგი იმ უცილო დებულებებსა და დასკვნებამდის, რომელიც გამოთქმულია ა.წ. 30 ივნისს მის მიერ წარდგენილ განცხადებაში. გაეცნო რა რუსეთის დელეგაციის აზრს შვიდ მაისის ხელშეკრულობის მეხუთე მუხლის 1-ლსა და მე-3 პუნქტების შესახებ, საქართველოს დელეგაცია იძულებული იყო მიემართა ხელშეკრულობის ინტერპრეტაციისათვის, რომელიც მდგომარეობს სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობის გამორკვევაში, მათ გრამატიკულ კონსტრუქციაში, სიტყვებსა და წინადადებებს შორის ლოღიკურ კავშირის გამოკვლევაში და საერთოდ ესარგებლა ყველა იმ მეთოდით, რომელთაც მივყევართ შეთანხმების ჭეშმარიტი აზრის გაგებისაკენ. ამ თვალსაზრისით ხელშეკრულობის ჭეშმარიტი აზრის გამოსარკვევად, ე.ი. მეტად სერიოზული და არსებითი მნიშვნელობა აქვს, როგორც ხელშეკრულობის საერთო გამოთქმას, აგრეთვე მასში არსებულ სიტყვებსა და მთელ წინადადებებს. ამიტომ ამა თუ იმ გრამატიკულ ფორმებს ხელშეკრულობის განმარტების დროს აღძრულ დავაში შეუძლია იქონიოს არა შემთხვევითი, არამედ შესაძლებელია, გადამჭრელი მნიშვნელობაც. საქართველოს დელეგაცია ხელშეკრულობის შინაარსის გამორკვევისას არ ხელმძღვანელობდა

1 ფრაგმენტი [რედ.]

მარტო მისი გრამატიკული განმარტებით, არამედ ხელმძღვანელობდა როგორც მისი ისტორიული ჩამომავლობით, აგრეთვე მასში მიღებულ დებულებების საერთაშორისო უფლების საერთო ნორმებთან შეთანხმებით.

2) არსებითად რომელიმე ხელშეკრულების და მათ შორის საერთაშორისო ხელშეკრულობის უფლებრივ დასაბუთებად ითვლება მხარეთა კეთილი სურვილი და მათი შეთანხმება იმდენათ, რამდენათაც ეს, რა თქმა უნდა, უფლების საერთო ნორმებს არ ეწინააღმდეგება. საერთო ნორმა უფლებისა და მასთან საერთაშორისო უფლებებისა ღაღადებს, რომ არც ერთ კანონსა და არც ერთ ხელშეკრულობას არა აქვს პირიქითი მოქმედების ძალა და რომ მას ყოველთვის ძალა აქვს მომავალში. თუ კანონ-მდებელს ან ხელშემკვრელ მხარეებს სურთ კანონს, ან ხელშეკრულობას პირიქითი ძალა მისცენ — ეს პირდაპირ და აშკარად უნდა აღინიშნოს თვით კანონში, ან ხელშეკრულობაში.

7 მაისის ხელშეკრულობის მე-5 მუხლის უფლებრივ დასაბუთებას წარმოადგენს მხარეთა შეთანხმება იმის შესახებ, რომ „ამიერიდან საქართველოს ტერიტორიაზე არ დაუშვან არავითარი სამხედრო მოქმედება, სამხედრო ძალთა არსებობა და საერთოდ სხვა მოქმედებანი, რომელიც მიმართული იქნება რუსეთის სოციალისტური საბჭოთა ფედერატიულ რესპუბლიკის წინააღმდეგ.

ამ მოსაზრებით, მხარეთა შეთანხმების გამო საქართველომ ვალად იდო „დაუყონებლივ განეიარაღებია და დაეკავებია" მხოლოდ ის ჯგუფები და ნაწილები, რომლებიც ხელის მოწერის დროს იყვნენ, ან მომავალში გაჩნდებოდენ საქართველოს ტერიტორიაზე.

ხელშემკვრელ მხარეებს რომ მიზნათ ქონოდათ მე-5 მუხლის ძალის იმ ობიექტებზე გავრცელება, რომელნიც ხელშეკრულებაზე ხელის მოწერამდის არსებობდენ საქართველოში, ე.ი. მხარეებს რომ სდომოდათ მე-5 მუხლისათვის პირიქით მოქმედების ძალა მიენიჭებიათ, ეს პირდაპირ და აშკარად უნდა ყოფილიყო აღნიშნული თვით ხელშეკრულებაში, რაც ამ შემთხვევაში არ არის.

3) მიუხედავათ ზემო მოყვანილ საერთო დებულებებისა, რაც სავსებით სწურავს საკითხს, საქართველოს დელეგაცია ფიქრობს, რომ იმ საკითხის ბედის გამორკვევის დროს, რომელიც შეეხება სამხედრო და საზღვაო სამხედრო ქონებას და იმ ჯგუფებსა და ორგანიზაციებს, რომელთაც საქართველოს საზღვრები გადმოლახეს და ა/წ. 7 მაისამდე იყვნენ დაკავებულნი, საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ ის დამოკიდებულება, რომელიც მოხალისეთა ჯარსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკ[ა]ს შორის არსებობდა. რადგანაც საქართველოსა და მოხალისეებს შორის პერმანენტული ბრძოლა არსებობდა, ბედი მთელი სამხედრო ქონებისა, რომელიც საქართველომ ჩამოართვა მათ ა/წ 7 მაისის ხელშეკრულობაზე ხელის მოწერამდე, განისაზღვრება ომიანობის ნორმებით, ე.ი. ამა თუ იმ გზით მტრისათვის წართმეული სამხედრო და სხვა ყოველგვარი ქონება ცნობილი უნდა იქნეს საქართველოს საკუთრებათ, როგორც ნადავლი; მიუხედავად იმისა შემდეგში მხარეებმა მოხალისეები მეომარ მხარეთ, თუ მეამბოხეებათ იცვნეს.

ამგვარად 7 მაისის ხელშეკრულების განმარტების შედეგი შერეულ კომისიის ფარგლებში, ე.ი. კეთილსინდისიერ განმარტების შედეგი შერეულ კომისიის ფარგლებში, როგორც მისი შინაარსის, აგრეთვე მისი ნამდვილი და ლოღიკური აზრის მიხედვით არის შემდეგი: ამიერიდან, ე.ი. 7 მაისიდან საქართველოს ტერიტორიაზე არავითარი საწინააღმდეგო რამ არ უნდა მოხდეს რ.ს.ფ.ს. რესპუბლიკისა და ამიტომ საქართველო ვალდებულია გადასცეს რუსეთს მხოლოდ იმ ჯგუფთა და ორგანიზაციათა ქონება, რომ[ე]ლნიც სამხედრო გარანტიების შესახებ ქართველი დელეგაციის განცხადებით აღმოჩნდებიან საქართველოს ტერიტორიაზე განუიარაღებულნი და დაუკავებელნი ა.წ. 7 მაისის ხელშეკრულობის ხელის მოწერისა და მის შემდეგ დროში. ასეთია აშკარა აზრი ხელშეკრულობის მე-5 მუხლისა.

ამიტომ საქართველოს დელეგაცია ადასტურებს ა.წ. 30 ივნისს წარმოდგენილ განცხადებას.

## საქართველოს დეპეშათა სააგენტოსაგან

*წყარო: გაზეთი „ერთობა, 20 ივლისი, 1920 წ., № 161, გვ. 3.*

საქართველო-რუსეთის შერეული კომისიის რუსეთის დელეგაციის განცხადების გამო, რომელიც გამოქვეყნებული იყო საბჭოთა მთავრობის ბეჭ[დვ]ითი ბიუროს მიერ, საქართველოს დეპეშათა სააგენტო საჭიროთ სთვლის თავის მხრით განაცხადოს, რომ რუსეთის დელეგაციის მტკიცება, თითქოს საქართველოს დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს მიეღოს ცნობები არა

კომპეტენტურ წყაროებიდან, უსაფუძვლოა: ფოთის კონცენტრაციული ბანაკის დასათვალიერებლათ გაემგზავრა არა რუსული დელეგაცია, არამედ შერეული რუსულ-ქართული კომისიის ორი რწმუნებულისაგან შემდგარი დელეგაცია: ერთი რუსეთის დელეგაციისაგან ბ. ზარიანი და ერთი ქართული დელეგაციისაგან კაპიტანი კოსტანაიშვილი, ამ უკანასკნელმა აცნობა საქ. დეპ. სააგენტოს თანამშრომელს თავის დროზე გამოქვეყნებული ცნობები. საანკეტო ფურცლები შეავსო დაკავებულთაგან მხოლოდ ოცმა კაცმა. ამ რიცხვს არც რუსეთის დელეგაცია გვედავება, თუმცა მაინც აღნიშნავს, რომ დელეგაციას არ ქონდა საშუალება დამოკიდებულება დაეჭირა იმ დაკავებულებთან, რომლებიც ნავთსადგურში მუშაობდენო. რომ ასეთს ფაქტს ადგილი ქონებოდა, მაშინ ორივე რწმუნებულს თანაბრათ ეცნობოდა, ასეთი შემთხვევის გამო შესდგებოდა ოქმი, რომელიც შერეულ კომისიას მოეხსენებოდა. ამავე დროს კი კოსტანაშვილი[1] კატეგორიულად უარყოფს ყოველგვარ ფაქტს დაკავებულების დელეგაციასთან მიუშვებლობის შესახებ, გარდა ერთად-ერთი შემთხვევისა, როდესაც ერთს სამხედრო ტყვეს აეკრძალა ბანაკიდან გამოსვლა 6 საათის შემდეგ, რაც დამოკიდებული იყო საბანაკო წესებზე, თუმცა იმავე სამხედრო ტყვეს მეორე დღესვე მიეცა კომისიასთან დამოკიდებულების საშუალება. ბოლოს რუსეთის დელეგაციის მტკიცება იმის შესახებ, რომ, თითქოს მას დამოკიდებულება ქონდა მხოლოდ 100 დაკავებულთან, აგრეთვე კატეგორიულათ უარყოფილია კაპიტან კასტონაიშვილის მიერ, რომელიც ადასტურებს მის მიერ აღნიშნულ რიცხვის სინამდვილეს, ე.ი. დაახლოვებით 500 კაცის მათ მიერ ნახვას.

# (ახალი ამბები)

*წყარო: გაზეთი „ერთობა", 3 აგვისტო, 1920 წ., № 173 გვ. 3.*

***

აქსტაფის რაიონში, მიღებულ ცნობებით ამ უკანასკნელ დღეებში საბჭოთა ჯარების შეჯგუფება დაიწყო. ამ ჯარებიდან ნაწილი შემოიყვანეს ნეიტრალურ ზონაში, რის გამოც გაიზარდა საბჭოთა ჯარების შემადგენლობა აღნიშნულ ზონაში. ამის გამო საგარეო საქმეთა სამინისტრომ და ბაქოში მყოფმა ჩვენმა წარმომადგენელმა ალშიბაიამ პროტესტი განაცხადეს.

***

დუხობორების შუამდგომლობა. ახალქალაქის მაზრაში მცხოვრებმა დუხობორებმა შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიტანეს განცხადება, სადაც ნათქვამია: ამ უკანასკნელ ხანებში ახალქალაქის მაზრაში ეწევიან აგიტაციას და ავრცელებენ ხმებს იმის შესახებ, თითქოს მოხდა შეთანხმება ახალქალაქის მაზრის სომხეთისადმი გადაცემის შესახებო. დუხობორების წარმომადგენლები ამბობენ, რომ ამგვარი ხმები მცხოვრებთ ნერვებს უშლის და საჭიროა ზომების მიღება მომავალში ამგვარი ხმების გავრცელების მოსასპობად.

# ბორჩალოს საკითხი

*წყარო: გაზეთი „ნაციონალისტი", 12 ოქტომბერი, 1920 წ., № 11, გვ. 1.*

დღეს, როდესაც სომხური პრესა საქართველოსგან სამხედრო კავშირს მოითხოვს, ჩვენ გვინდა მოვაგონოთ საზოგადოებას, თუ რა მდგომარეობაშია ბორჩალოს გამიჯვნის საკითხი.

როგორც ვიცით, საქართველოს მთავრობა ამას წინ შესთანხმდა სომხეთის დელეგატებთან, რომ ბორჩალოს ნეიტრალური ზონა მოსპობილიყო: იგი უნდა გაეყოთ თითქმის შუაზე საქართველოს და სომხეთს, ხოლო ისე რომ ალავერდი, თუ არა ვცდებით საქართველოსკენ რჩებოდა.

საქართველოს მთავრობა უწოდებდა ამ გამიჯვნას დროებითს ადმინისტრატიულს და არა პოლიტიკურ ტერიტორიალურს, მაგრამ ჩვენთვის, ნაციონალისტებისათვის, ცხადი იყო, რომ ამ ადმინისტრატიულ გამიჯვნას სომხები საბოლოოდ საზღვრების გამიჯვნის დროს გამოიყენებდა, რასაც ეხლა ადმინისტრაციულად ხელში ჩაიგდებდა იმას მერე აღარ დაგვითმობდა ნებით და ამგვარად სოციალ-დემოკრატიული ზავით მიღებულ ბორჩალოს სამხრეთ ნაწილთან ერთად შუა ბორჩალოსაც დაეპატრონებოდა, თითქმის ალავერდამდის.

1 ეს გვარი სტატიაში სხვადასხვანაირადაა მოცემული [რედ.].

მიუხედავათ ასეთ დიდ დათმობისა ქართველ სოციალ-დემოკრატების მხრივ: სომხეთის მთავრობამ არ მოაწერია ხელი თავის დელეგატებს შეთანხმების აქტზე და საქართველოს მთავრობა დღემდის კ[ლ]დემამოსილი ელის ერევანის პასუხს.

ამ დროს ნეიტრალური ზონა კი ყოველგვარ ყაჩაღების ბუდეთ არის გადაქცეული და მთელს ქართულ ბორჩალოს იქიდან გადმოსულები აწიოკებენ.

ოსმალთა შემოტევის შემდეგ ჩვენი მთავრობა ვალდებულია ბოლო მოუღოს ამ მეტისმეტ „ნეიტრალურ" ზონას, გადასჭრას საბოლოოდ ბორჩალოს საკითხი, და ამით გაამაგროს ყოველ-მხრივ მთავარი სტრატეგიული გზა, მომავალი თბილისისკენ.

საქართველოს უზრუნველსაყოფად როგორც ოსმალურ ისე რუსულ საფრთხისაგან, ჩვენ მიგვაჩნია საჭიროდ არა საეჭვო ღირებულების სამხედრო კავშირები, არამედ ჩვენი სტრატეგიული და ბუნებრივ-ისტორიული კარების დაკეტვა ყოველი მიმართულებით, და კერძოდ კი ბორჩალოს, ბეზობდა[ლ]ის ჩვენი კარების გასაღების დაბრუნება.

# საქართველოს წინააღმდეგ მიმართული კამპანია ევროპის პრესაში

*წყარო: გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 23 დეკემბერი, 1920 წ., № 292 გვ. 2.*

შუა ნოემბერში ევროპის მთელ პრესაში გავრცელდა ერთ-მეორეზე უფრო სენსაციური ცნობები საქართველოს მდგომარეობის შესახებ: ჯერ ცნობა საქართველოს მთავრობის მიერ ბალშევიკებისაგან ულტიმატუმის მიღების შესახებ, შემდეგ ცნობა ბათომში ქემალ ფაშის ჯარების შესვლის შესახებ, შემდეგ – ცნობა ქემალის ულტიმატუმის შესახებ, ცნობა საქართველოში ოსმალებისა და ბალშევიკების ერთ და იმავე დროს შეჭრის შესახებ და დასასრულ, როგორც შედეგი ყველა ამისა – ცნობა, რომ საქართველოს რესპუბლიკა აღარ არსებობსო. ამ ცნობების უმეტესობა მოდიოდა კონსტანტინეპოლიდან. რეაქციონერი პრესა, რომელიც ვრანგელს უჭერს მხარს, ცდილობდა გაევრცელებინა ეს ხმები და ამასთანავე ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ „საქართველოს დაღუპვა" არის შედეგი მისი ყირიმის გენერალთან მტრულ დამოკიდულებისაო. და რომ „საფრანგეთის პოლიტიკის ყირიმში: დამარცხებასთან ერთად დამარცხდა ინგლისის პოლიტიკა ამიერ-კავკასიაში. ამ კომპანიას ისე მოხერხებულად აწარმოებენ, რომ ევროპაში მყოფმა საქართველოს რესპუბლიკის მეგობრებმაც კი დაუჯერეს ამ ხმებს, და ჩვენთან მეგობრულათ განწყობილ პრესაში დაიბეჭდა შენიშვნები და წერილები იმის შესახებ, თუ როგორი დანაშაულები ჩაიდინეს სახელმწიფოებმა, რომლებსაც საქართველოს მოსპობა დაუშვესო.

საქართველოს რესპუბლიკის საზღვარგარეთ მყოფ წარმომადგენლების ენერგიულმა გამო-სვლებმა მოუღეს ბოლო ასეთი ხმების გავრცელებას და დაანახვეს საზოგადოებას იმ პოლიტიკურ წრეების ტაქტიკა, რომლებიც ასეთი გამოსვლებით ცდილობენ ჩაეფუშათ საქართველოს საკითხი ჟენევაში შემდგარ ერთა ლიგის ყრილობაზე.

# საქართველოს დელეგაცია ერთა ლიგის ყრილობაზე

*წყარო: გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 23 დეკემბერი, 1920 წ., № 292 გვ. 2.*

ე. გეგეჭკორი ერთა ლიგის ყრილობაზე საქართველოს რესპუბლიკის ინტერესების დასაცავად ჟენევაში გაემგზავრა. საქართველოს დელეგაცია ერთა ლიგის ყრილობას წარუდგენს ვრცელ მემორანდუმს, რომელიც გამოარკვევს საქართველოს უდავო უფლებას ერთა ლიგის შემადგენლობაში მიღების შესახებ.

# ე. გეგეჭკორი ლეონ ბურჟუასთან

*წყარო: გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 23 დეკემბერი, 1920 წ., № 292 გვ. 2.*

ნოემბრის 8 ე. გეგეჭკორმა ინახულა ერთა ლიგის აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე ლეონ ბურჟუა. საუბრის დროს რომელიც საათ-ნახევარი გაგრძელდა, ე. გეგეჭკორმა გააცნო ლეონ ბურჟუას საქართველოს მდგომარეობა და ის მოტივები, რომლითაც ქართველი ხალხი ასაბუთებს თავის უდავო უფლებას დამოუკიდებლობაზე და ერთა ლიგაში მონაწილეობის მიღებაზე.

ლეონ ბურჟუა დაპირდა გეგეჭკორს თავის დახმარებას, რომ საქართველოს საკითხი დაისვას ერთა ლიგის მომავალ ყრილობაზე და რომ ეს საკითხი საქართველოსათვის სასურველად გადაწყდეს. ამ შეხვედრას დაესწრო რენოდელი, რომელიც განსაკუთრებულ ენერგიით იცავდა საქართველოს სურვილს ერთა ლიგაში მიღების შესახებ.

# ახალი ამბები1
# [ნ.] ჩხეიძისა[,] კ. კანდელაკისა და ფ. გოგიჩაიშვილის ჩამოსვლა

*წყარო: გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 24 დეკემბერი, 1920 წ., № 293, გვ. 2-3.*

დეკემბრის 22 ღამის 12 საათზე დაბრუნდა ტფილისში ევროპიდან საქართველოს დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე კ. ჩხეიძე, ფინანსთა მინისტრი კ. კანდელაკი და სახელმწიფო კონტროლიორი გოგიჩაიშვილი. დელეგაციის შესახვედრად სადგურზე შეიკრიბენ: დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი ს. მდივანი, მომარაგების მინისტრი გ. ერაძე, ფინანსთა მინისტრის ამხან. ს. ავალიანი, საგარეო საქმეთა მინისტრის ამხ. საბახტარაშვილი, ფინანსთა სამინისტროსა, გზათა მიმოსვლისა და სხვათა წარმომადგენლები.

# საუბარი კარლო ჩხეიძესთან

*წყარო: გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 25 დეკემბერი, 1920 წ., № 294, გვ. 2-3. 26 დეკემბერი, 1920 წ., № 295 გვ. 2-3; 28 დეკემბერი, 1920 წ., № 296, გვ. 2.*[2]

საქართველოს დელეგაციის თავმჯდომარე კარლო ჩხეიძე, რომელიც ევროპიდან ტფილისს დაბრუნდა 22 დეკემბერს.

## საქართველოს საკითხი

როდესაც ჩვენ პარიზში ჩავედით, ჩვენს შესახებ იქ არავითარი წარმოდგენა არ ქონდათ და საზავო კონფერენციას სრულებით არ აინტერესებდა საქართველოს საკითხი. ეს საკითხი მის წინაშე არ იდგა.

თეორიულად ზავი უნდა აშენებულიყო ხალხთა თვითგამორკვევის საფუძველზე, მაგრამ ამ პრინციპს არ ჰქონდა კონკრეტული, აქტუალური ხასიათი, როგორც ეს ჩვენთვის საჭირო იყო.

ეს ის დრო იყო, როდესაც გამარჯვებული ანტანტა საკითხს აყენებდა იმდენად, რამდენადაც ზავს პასუხი უნდა გაეცა ომის მიერ გამოწვეულ საკითხებისათვის. ამიტომ იმ დროს არ იყო ხელსაყრელი ატმოსფერო ჩვენი საკითხის პრაქტიკულად დაყენებისათვის.

---

1 ფრაგმენტი [რედ.]

2 იგივე სტატია დაიბეჭდა გაზეთ „საქართველოშიც" (26 ქრისტეშობისთვე [დეკემბერი], 1920 წ., № 176, გვ. 3-4). ამ ორ პუბლიკაციას შორის მცირე, არაარსებითი განსხვავებაა, ამიტომ არ ჩავრთეთ წინამდებარე ალმანახში [რედ.].

## რუსეთის პრობლემა

თავის თავად ცხადია, რომ იმ საკითხებში, რომელიც ზავის საგანს შეადგენდა, ყოფილს რუსეთის პრობლემას მაშინაც უდიდესი და უმნიშვნელოვანესი ადგილი ეჭირა. მაგრამ იმ დროს ეს პრობლემა არ იდგა წესრიგის პირველ რიგში. კონკრეტულად საკითხი იდგა იმის შესახებ, თუ რანაირი სახე, შინაარსი მიეღო ზავს გერმანიასთან. ამას კი მეტად ხანგრძლივი დრო მოუნდა. ამიტომ იყო, რომ ყოფილი რუსეთის საკითხის დღის წესრიგში დასმა მეტად დაგვიანდა, სხვა მრავალ მიზეზთა შორის ამის მიზეზი ისიც იყო, რომ კონფერენცია ძლიერ კარგად ხედავდა, თუ რამდენად რთული და ძნელი გადასაჭრელი იყო ყოფილი რუსეთის საკითხი. საზავო კონფერენციამ კარგად იცოდა, რომ შეეხებოდა თუ არა ის ამ საკითხს პრაქტიკულად გადაჭრას, მაშინვე თავს იჩენდა ინტერესთა მრავალფეროვნება, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელა რუსეთის საკითხში კონფერენციაში მონაწილე სახელმწიფოებს. თავის თავად ცხადია, იმ სახელმწიფოების საკითხი, რომელნიც აღმოცენდნენ ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე. კონფერენციის შეხედულებით დაკავშირებული იყო რუსეთის საკითხთან. ამრიგად, კონფერენცია დღითი დღე სდებდა რუსეთის საკითხს და მასთან ერთად ჩვენი დამოუკიდებლობის საკი[თ]ხსაც.

უნდა მივიღოთ აქ მხედველობაში შემდეგი საერთო მოსაზრება: მაშინ იმედი ჰქონდათ ახლო მომავალში რუსეთში სამოქალაქო ომის დასრულების და ისეთი ძალების გამარჯვებისა, რომელთანაც უფრო ადვილი იქნებოდა რუსეთის საკითხის მოწესრიგება.

## ევროპაში არ გვიცნობდნენ

გარდა ამისა, მიზეზი იმისა, რომ ჩვენმა საკითხმა აქტუალური ხასიათი ვერ მიიღო სასურველი სიჩქარით, იყო შემდეგი: ის ინტერესთა სხვა და სხვაობა რუსეთის შესახებ, რომელზედაც ჩვენ ზევით მი[ვ]უთითეთ, მეტად დიდ მნიშვნელოვანი ფაქტორი შეიქნა. თავიდანვე კონფერენციის ერთ მონაწილეს – საფრანგეთს ვერ წარმოედგინა იმ დროს რუსეთის დაყოფა და დანაწილება. ეს იდეა იმდენათ შესისხლხორცებული იყო მმართველი წრეების და საზოგადოების მიერ, რომ ყოველივე ცდა ამ იდეის დარღვევისაკენ მიმართული იმ დროს უნაყოფო იყო. კონფერენციის მეორე მონაწილე ინგლისი, რომელსაც უდიდესი გავლენა ჰქონდა, მართალია რუსეთის შესახებ წინააღმდეგი აზრის იყო, მაგრამ არც ის სთვლიდა საჭიროდ იმ დროს აქტუალური პოლიტიკა ეწარმოებინა ამ საკითხში და უფრო ხელსაყრელ დროს უცდიდა. გარდა ამისა, ჩვენი წარსულით და აწყმოთი, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ევროპაში სრულიად არ გვიცნობდენ. ასეთი იყო საზოგადოთ საერთაშორისო ატმოსფერო, რომელშიც მოუხდა ჩვენს დელეგაციას პირველი ნაბიჯების გადადგმა. დელეგაციის ტაქტიკა ისეთი იყო, რომ სადაც კი საშვალება ჰქონდა თავისი ხმის მიწვდენისა, განურჩევლად წრეებისა, ეს ხმა უნდა მიეწვდინა.

## ჩვენი დამოკიდებულება და სოციალისტური წრეები

თავის თავად ცხადია, რომ დელეგაციისათვის მეტად საინტერესო იყო, თუ ასეთ ძნელ პირობებში როგორ შეხედავდენ საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს სოციალისტური წრეები. ეს ის დრო იყო, როდესაც სოციალისტური წრეები საფრანგეთში რუსეთის დიდი რევოლუციის ზეგავლენის ქვეშ იყვნენ. ყველამ კარგათ იცის, თუ რა ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა მთელს კაცობრიობაზე რუსეთის რევოლუციამ. როდესაც ჩვენი დელეგაცია ჩავიდა პარიზში, როგორც ვიცით, მაშინ რუსეთის რევოლუციის მემკვიდრენი უკვე ბალშევიკები იყვნენ. ბალშევიზმი იმ დროს სოციალისტების თვალში მოცული იყო რუსეთის დიდი რევოლუციის ორეულით.

სოციალისტურ წრეებს ჩვენ გადაჭრილი პასუხი მივეცით ორი საკითხის შესახებ: ინტერვენციის და ბალშევიზმის შესახებ. ჩვენთვის მაშინაც ცხადი იყო, რომ გარეშე სამხედრო ძალების ჩარევით რუსეთის საქმის მოწესრიგება შეუძლებელი იყო, რომ რუსეთის ბალშევიზმი, მიუხედავად იმისა, რომ ის მიზნათ ისახავს ამ ხანათ რუსეთში სოციალიზმის დამყარებას და რუსეთის საშვალებით კი მთელ ქვეყანაზე, ის ცხოვრების პროცესში უნდა იქცეს უსაშინელეს რეაქციონურ მოძრაობათ; და ჩვენ ხაზი გაუსვით, რომ თუ საქართველოს სურს რამენაირად აიცდინოს ამ უსაშინელესი მომავალი რეაქციის ქარიშხალი, რომ შეინარჩუნოს თვისი ფიზიკური არსებობა და დიდი რევოლუციით მონაპოვარი, ის (საქართველო) მტკიცედ უნდა დაადგეს დამოუკიდებლობის გზას. საკმაო იყო ასეთი ცხადი და გადაჭრილი დეკლარაცია რუსეთის შესახებ, რომ ჩვენს საკითხს იმ ხანათ სოციალისტების თვალში სათანადო ინტერესი ვეღარ მოეპოვები[ნ]ა.

## არა სოციალისტური წრეები და საქართველო

რაც შეეხება კონფერენციას და არა სოციალისტურ წრეებს მათ მივმართეთ ჩვენი საკითხების შესახებ დაწვრილებითი განმარტებით, რითაც ვამტკიცებდით, რომ ერთად ერთი სწორი და ბუნებრივი გზა, რომ რუსეთის საკითხი, რომელიც ასე დიდად აინტერესებდა კონფერენციას, სასურველად გადაწყვეტილიყო, როგორც რუსეთის ხალხისათვის, ისე საერთაშორისო დემოკრატიისათვის, ეს იყო გზა ყოფილ რუსეთის ერთა თავისუფალ თვითგამორკვევის; რომ მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა შექმნილიყო საღი ატმოსფერა, როგორც ეკონომიური ისე პოლიტიკური ურთიერთობისა რუსის ხალხსა და იმ ერებს შორის, რომელნიც შებორკილნი და დამონავებულნი იყვნენ რუსეთის თვითმპრობელობის დროს. ვინც რუსეთის წარსულს საკმაოდ კარგად იცნობს, მისთვის ეს დებულება სრულიად ადვილად გასაგებია.

## რუსეთს ვერ იცნობდნენ

სამწუხაროდ ევროპაში ამ ორი წლის ცხოვრებამ, სხვათა შორის, ერთი რამ დამანახვა: მიუხედავად იმ მნიშვნელობისა, რომელიც რუსეთს ჰქონდა ისტორიაში, დასავლეთი ევროპა, მეტი რომ არა ვსთქვათ, საკმაოდ მაინც ვერ იცნობს მას. ამიტომ საჭირო შეიქნა, რომ დასავლეთ ევროპ[ა]ს თავის თვალით დაენახა და განეცადა ის გაკვეთილები, რომელსაც რუსეთის ცხოვრება იძლეოდა. საჭირო შეიქნა მოვლენა კოლჩაკის, დენიკინის, ვრანგელის და სხვათა, რომ დასავლეთ ევროპაში მიმხდარიყვნენ, რომ რუსეთის ძველ ფარგლებში გაერთიანება სრულიად მიუღებელი უტოპია არის. და მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს გაკვეთილები განიცადეს, როდესაც შეითვისეს აზრი, რომ რუსეთის ძველ ფარგლებში გაერთიანებისაკენ მიმართული ცდა დაინტერესებულ სახელმწიფოს არსებით ინტერესებს დიდ ზიანს აყენებს, მხოლოდ მაშინ შეიქნა შესაძლებელი, რომ ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისათვის მეტი ყურადღებას მიექციათ.

## საქართველოს დე-იურე

ჩვენი საკითხის პრაქტიკულად დაყენებას ხელს უშლიდა აგრეთვე ერთი გარემოება: სახელდობრ ის, რომ ჩვენ — ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენელნი — ერთსულოვნად ვერ წარვსდექით ვის წინაც ეს ჯერ იყო. ყოველ შემთხვევაში, დადგა მომენტი, როდესაც კონფერენცია ცხოვრების მიერ იძულებული შეიქნა მიეღო ჩვენი ფაქტიური ცნობა. ამის შემდეგ ჩვენს საკითხში კონფერენცია კვლავ შეჩერდა; ასეთ მდგომარეობაში იყოს ჩვენი საკითხი მანამ, სანამ ობიექტურმა პირობებმა კვლავ არ მიაქცია კონფერენციას თავისი ყურადღება ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისათვის. იმის ნიშნებმა, რომ პოლონეთსა და საბჭოთა რუსეთს შორის მოსალოდნელია ზავი, ვრანგელის მომავალსაც ხიფათი მოელის, ჩვენი იურიდიულად ცნობის საკითხს, იმ ხანად საკმაოდ აქტუალური ხასიათი მიაღებინა. და შეიძლება ითქვას, რომ ეს საკითხი დღის წესრიგში იქნა შეტანილი. რასაკვირველია, დღევანდელ პირობებში არავის არ შეუძლია სთქვას, რომ ამ საკითხზე ჩვენ დღეს თუ ხვალ დასტურს მივიღებთ, მაგრამ ეჭვს გარეშეა; იდეია ჩვენი დამოუკიდებლობისა (დიდი ხანია არ არის მას შემდეგ, რაც ის სრულიად მიუღებელად მიაჩნდათ), დღეს საკმაოდ შეთვისებულია და ვიტყვით, რომ კიდევაც პოპულიარულია. პოპულიარულია იმდენათ, რამდენადაც ჩვენ ამ ხნის განმავლობაში დავამტკიცეთ და დავანახვეთ ვისაც ჯერ იყო, რომ ჩვენი იურიდიულად ცნობა სასარგებლოა არა მარტო ჩვენთვის, არამედ იმათთვისაც ვისგანაც დამოკიდებულია ამ საკითხის გადაჭრა. შეიძლება იფიქროთ, რომ ამ საკითხმა კვლავ დაჰკარგა ის აქტუალური ხასიათი, რომელიც მას ამ ბოლოდროს ქონდა, როცა მიიღებთ მხედველობაში იმას, თუ რა ბედი ეწია ხალხთა ლიგაში საქართველოს მიღების საკითხს, მაგრამ ჩემის აზრით, ასეთი დასკვნა სწორი არ არის. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ჩვენს იურიდიულად ცნობას საკმაოდ არსებით მნიშვნელობას აძლევენ და დღეს, როგორც ყოველ მნიშვნელოვან საკითხში, ამ საკითხშიაც დიდი რყევა არის. ყოველ შემთხვევაში ამ საკითხში საერთაშორისო მასშტაბით ხაზი უკვე აღებულია და არავითარი საფუძველი არ გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს საკითხი ჩვენს სასარგებლოთ არ გადაწყდება.

## დელეგაციის ეკონომიური საქმიანობა

– გაკეთდა თუ არა რამე ევროპასთან ეკონომიური კავშირის დასაჭერად?

– მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი დელეგაციის პირდაპირი დანიშნულება პოლიტიკური საკითხის მოწესრიგება იყო, მან დიდი ყურადღება მიაქცია ეკონომიურ [და] ფინანსიურ საკითხებსაც. დელეგაციამ თავიდანვე განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმას, რომ როგორმე გაბმულიყო ეკონომიური კავშირი საქართველოს და ევროპას შორის. დელეგაციას შემთხვევა ჰქონდა მიეთითებინა საფრანგეთის და ინგლისის მრეწველობისათვის და ფინანსისტებისათვის იმაზე, თუ როგორ უფრო მოსახერხებელია საქართველოსა და ევროპასთან რაციონალური ეკონომიური კავშირის გაბმა.

მას შემდეგ, რაც ევროპაში ჩამოვიდა განსაკუთრებული ეკონომიური მისია კ. კანდელაკის მეთაურობით, – ამ მხრივ, მუშაობა უფრო გაცხოველდა. თუ რა გაკეთდა ამ მხრივ ევროპაში, – ამის შესახებ ფინანსთა მინისტრი წარადგენს სათანადო მოხსენებას, სადაც ჯერ არს. მე მხოლოდ შემიძლია ვსთქვა, რომ მუშაობას ამ მხრივ იქ უნაყოფოდ არ ჩაუვლია.

## ანტანტა და საბჭოთა რუსეთი

როგორია ანტანტის და საბჭოთა რუსეთის ურთიერთობა და როგორ უყურებს ანტანტა ბალშევიკურ მოძრაობას?

როცა ამ საკითხზე ვლაპარაკობთ, – ყოველთვის სახეში უნდა ვიქონიოთ ის გარემოება, რომ რუსეთის საკითხში სხვა და სხვა სახელმწიფოთა შორის არ არსებობს ერთგვარობა შეხედულების და ტაქტიკისა, თუმცა უნდა ვსთქვათ, რომ ცხოვრების მსვლელობამ და რუსეთის უკანასკნელმა ამბებმა საგრძნობლათ შეანელა ამ შეხედულებათა სხვა და სხვაობა. ყველას ახსოვს საფრანგეთის პარლამენტში პირველ მინისტრ ლეგის უკანასკნელი განცხადება იმის შესახებ, რომ მთავრობა არ არის წინააღმდეგი, რათა კერძო პირებმა სავაჭრო ურთიერთობა დაიჭირონ საბჭოთა რუსეთთან. ვინც იცის ამ საკითხზე საფრანგეთის წინანდელი პოზიცია, – მან უნდა აღიაროს, რომ ასეთი განცხადება მეტად სიმპტომატიურია. ყოველ შემთხვევაში ჩვენ ვიცით, რომ ინგლისის მთავრობა ძალიან ცდილობს რუსეთთან ვაჭრობის აღდგენას. აქ საყურადღებო ის არის, რომ ამ საკითხში ინგლისის მთავრობას თანაუგრძნობს არა მარტო ინგლისის ფინანსიური წრეები, არამედ მთელი ხალხი.

ამის მიზეზი ისაა, რომ რუსეთი, როგორც ნედლი მასალით მდიდარი ქვეყანა, აუცილებლათ საჭიროა ინგლისის ინდუსტრიისათვის ისე, როგორც საბჭოთა რუსეთს ესაჭიროება ინგლისის ინდუსტრიალური ნაწარმოები. ინგლისელები პრაქტიკულად უყურებენ ამ საკითხს და საჭიროდ არ მიაჩნიათ მოცდა იმ დრომდე, სანამ ასე თუ ისე გადაწყდებოდეს რუსეთის საკითხი: (გაერთიანება იქნება ეს თუ დაყოფის დადასტურება).

მე მგონია, ყველასათვის ცხადია ის გარემოება, რომ რუსეთის ბალშევიკები ამ საკითხს სერიოზულად უყურებენ და ცდილობენ, რაც შეიძლება საჩქაროდ გაიბას ეკონომიურ ურთიერთობის ძაფი რუსეთსა და ინგლისს შორის. თუ რამდენათ მიზანს მიაღწევს ასეთი ცდა, ამის თქმა გადაჭრით ამ ჟამად ძნელია, მხოლოდ ერთი შეგვიძლია ვსთქვათ: ეს არის ერთადერთი გზა რუსეთის პრობლემების ისე გადასაჭრელად, როგორც ამას მოითხოვს საერთაშორისო ურთიერთობა. რომ ეს გეგმა განხორციელდეს, რასაკავირველია, საჭიროა რუსეთის ბალშევიკებმა განიცადონ სათანადო გარდაქმნა, ვინაიდან უცხოელი კაპიტალი დღევანდელ რუსეთში ვერც შევა და კიდევაც რომ შევიდეს, ნაყოფს მაინც ვერ გამოიღებს. ამ რიგად ბალშევიკების წინაშე სდგას დილემა: ან დაპყრობითი პოლიტიკის წარმოების გაგრძელება, ან ევროპასთან მორიგება და შემოქმედებითი მუშაობის დაწყება. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ბალშევიკები მზად არიან ხელი მოჰკიდონ ასეთ მუშაობას, მაგრამ თუ რამდენათ შესძლებენ ისინი ამ ნიადაგზე ნაყოფის მოტანას, – ამის თქმა ძნელია.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ინგლისის მთავრობა არ დაანებეს თავს იმის ცდას, რომ რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობა აღადგინოს, ვინაიდან მას სურს დაანახოს თავის ხალხს, რომ მან (მთავრობამ) ყოველივე ზომები მიიღო საბჭოთა რუსეთთან ნორმალურ ურთიერთობის დასამყარებლად და თუ ამან ამ მიზანს ვერ მიაღწია, ამაში ყოველ შემთხვევაში მას დანაშაული არ მიუძღვის. შეიძლება ითქვას, რომ ინგლისის ხალხს აქვს იმედი, რომ მთავრობის ცდა რუსეთთან კეთილ-მეზობლურ განწყობილების აღდგენისკენ მიმართული სრულიად ამაოთ არ ჩაივლის. მაგრამ

ინგლისის ხალხმა ისიც კარგათ იცის, თუ რამდენათ სახიფათოა ბალშევიკების იმპერიალისტური მოძრაობა. და უეჭველია, რომ თუ მთავრობის ზემოთ აღნიშნულმა ცდამ მიზანს ვერ მიაღწია და ბალშევიკებმა იმპერიალისტურ პოლიტიკას თავი არ დაანებეს, მაშინ ინგლისის ხალხი თავის მთავრობისაგან მოითხოვს უფრო აქტუალური პოლიტიკის წარმოებას და ენერგიული ნაბიჯების გადადგმას.

თავის თავად ცხადია, რომ ჩვენთვის დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება რუსეთსა და ინგლისს შორის ეკონომიურ-ფინანსიური ურთიერთობის აღდგენას, რადგან შესაძლებელია, რომ ამ შემთხვევაში სახეში იქნეს მიღებული საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, ინტერესები.

## წარმოება და მუშათა კლასი

ეკონომიურად და ფინანსიურად აღორძინების საკითხი მეტად მწვავედ სდგას ევროპაში. წარმოება და მრეწველობა ომის მიერ მიყენებულ ჭრილობებისაგან ჯერ კიდევ დაავადმყოფებულია, დეპრესიას განიცდის.

დასავლეთი ევროპა ცდილობს, რაც შეიძლება, საჩქაროდ აღორძინდეს მრეწველობა, წარმოება. თუ რამდენათ ძლიერია დღეს ამის სურვილი, ეს იქიდანაც ცხადად სჩანს, რომ დასავლეთ ევროპის კაპიტალისტები დღესაც აუარებელ თანხას ხარჯავენ და ყიდულობენ რუსეთში მადნეულობას და ნავთის წყარეობს მათი ძველი პატრონებისაგან, თუმცა კარგად იციან, რომ ყველაფერი ეს ძველი პატრონების ხელში აღარ არის და ეკუთვნის საბჭოთა მთავრობას.

წარმოების დეპრესია მეტად ხელს უშლის მუშათა კლასის ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებას. მუშათა კლასის დღევანდელი ეკონომიური მდგომარეობა შედარებით იმასთან, რაც ომამდე იყო, უარესია და აი სწორედ ამ გარემოებამ უკვე დაბადა საკითხი, — თუ რა გზას უნდა დაადგეს ერთის მხრით ბურჟუაზია და მეორეს მხრით — მუშა ხალხი, რომ ასეთი ეკონომიური მდგომარეობიდან გამოვიდენ. ბურჟუაზია რასაკვირველია გაცილებით უფრო ნათლად ხედავს, რომ ის ასეთი მდგომარეობიდან მხოლოდ ძველი მეთოდებით და ძველი გზით გამოსვლას ვერ შესძლებს. მაგრამ ამასთანავე ის საკმაო ხალისსა და უნარს ვერ იჩენს, რომ უფრო დროის შესაფერ გზას დაადგეს. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ინგლისის ბურჟუაზია.

ინგლისში, სადაც პირობები უფრი მომწიფებულია, ბურჟუაზია თავის პრაქტიკულ ეკონომიურ საქმიანობას ვერ აშენებს ახალ ნიადაგზე. დღითი-დღე ნათელი ხდება მუშებისათვის, რომ საჭიროა ცხოვრებაში დიდი ცვლილებების შეტანა. ამის მაგალითს ისევ ინგლისის მუშები გვაძლევენ, რომლებიც მოითხოვენ უდიდეს საწარმოო დარგების ნაციონალიზაციას. და აქ იბადება საკითხი: შეეცდება ათუ არა ინგლისის მუშათა კლასი ახლო მომავალში ძალა უფლება ხელში აიღოს? მე ვამბობ, რომ ეს შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ ეს სახელმწიფოს კატასტროფულ მდგომარეობაში არ ჩააგდებს; საჭიროა ძალიან ახლოს და ღრმად ჩაუკვირდეს კაცი ინგლისის მუშათა მოძრაობას, რომ მიხვდეს, თუ რა დიდი სიფრთხილით და წინდახედულობით ეპყრობა მუშათა კლასი ძალა-უფლების აღების საკითხს. ყოველ შემთხვევაში ერთი ცხადზე უცხადესია: თუ ეს მოხდა ისეთ ქვეყანაში, როგორიც ინგლისია, ეს არ იქნება რუსეთის ბალშევიზმის განხორციელება, პირიქით, ეს იმის მომასწავებელი იქნება, რომ ეს იყო უმრავლესობის სურვილი და ეს უმრავსელობა აღარ ეწინააღმდეგება მუშათა კლასის მიერ ძალა-უფლების ხელში აღებას. ეს იქნება იმის მომასწავებელი, რომ ცხოვრებას მოევლინა ახალი, სრულუფლებიანი და ძლევა მოსილი გამგე.

## სოციალისტური მოძრაობა ევროპაში და ბალშევიზმი

რა ხასიათს იღებს ევროპაში სოციალისტური მოძრაობა და როგორი გავლენა აქვს ბალშევიზმს სოციალისტურ წრეებზე?

დღეს ყველასათვის აშკარაა, რომ ბალშევიზმი განსაკუთრებული რუსული მოვლენაა და რუსეთის ნიადაგზეა აღმოცენებული ისე, როგორც რუსეთისავე ნიადაგზე აღმოცენდა ნიღილიზმი. და როგორც ნიღილიზმი არ გავრცელებულა ევროპაში, ისე ბალშევიზმი ვერ იკიდებს იქ ფეხს. თუმცა, რასაკვირევლია, პირველ ხანებში, როცა ბალშევიკები გახდენ მემკვიდრე რუსეთის დიდი რევოლუციისა, ევროპის ზოგიერთ სოციალისტურ წრეებში ისინი მოცული იყვნენ რუსეთის დიდი რევოლუციის ორეოლით. ეს იყო, ასე ვსთქვათ, არა კრიტიკულ ხანაში, მაშინ, როცა ჯერ კიდევ

ბალშევიზმი არ იყო საკმაოდ განხორციელებული ცხოვრებაში. რამდენად გატაცებულნი იყვნენ ბალშევიზმით ზოგიერთი სოც[იალისტური] წრეები, მაგალ[ითად], საფრანგეთის სოციალლისტები, იქიდან სჩანს, თუ როგორ ჩაატარეს მათ უკანასკნელი საპარლამენტო არჩევენები. მოსალოდნელი იყო, ამ ომის შემდეგ პირველ არჩევნებში საფრანგეთის სოციალისტური პარტია ფართოდ წამოაყენებდა მთელ თავის პლატფორმას, უპირველეს ყოვლისა კი თავის შინაური საქმეების შესახებ. ნამდვილად კი მომეტებულად პროპაგანდა სწარმოებდა პოლკოვნიკ სადულისა, (რომელსაც მთავრობამ დასჯა გადაუწყვიტა და რომელიც იმ დროს რუსეთში იმყოფებოდა) და ბალშევიზმის გარშემო. მე დავესწარი ერთ დიდ კრებას ინგლისში. კრებაზე მოხსენება გააკეთა ლანსბერმა ბალშევიზმის შესახებ. მისი მოხსენება შეიცავდა მხოლოდ ბალშევიზმის ქებათა-ქებას. ის სრულებით არ ცდილა გაეშუქებია, თუ როგორია ბალშევიზმის ნამდვილი სახე. ვიმეორებ, ეს ის ხანა იყო, როდესაც დასავლეთ ევროპის ზოგიერთი სოციალისტური წრეები ბალშევიზმს იცნობდენ მხოლოდ იდეურის მხრით და არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდათ იმაზე, თუ რას წარმოადგენს ბალშევიზმი სინამდვილეში, ცხოვრებაში. და მხოლოდ მას შემდეგ დადგა ხანა, როცა კრიტიკულად დაუწყეს ყურება ბალშევიკურ მოძრაობას. გადამეტებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ეს კრიტიკა თანდათან იღებს ბალშევიზმის უარყოფით ხასიათს. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ბალშევიზმმა ნიადაგი მოიპოვა დასავლეთ ევროპაში იმით, რომ გათიშვა შეიტანა სოციალისტურ წრეებში. ჩემის დაკვირვებით ეს გარემოება სიპტომია იმისა, რომ სოციალისტურმა წრეებმა კრიტიკულად დაუწყეს ყურება ამ მოვლენას. ერთ გარემოებას აქვე უნდა გაუსვა ხაზი: მე, ევროპაში ყოფნის დროს არა ერთხელ შევკითხვივარ ჩემს თავს: რა არის მიზეზი იმისა, რომ იქ ბალშევიზმმა პირველ ხანებში ერთგვარი თანაგრძნობა მოიპოვა? ჩემის აზრით, ეს სხვათა შორის იმის შედეგიც არის, რომ სოციალისტური მოძრაობა თვით ევროპაში ომმა მეტად შელახა და შეასუსტა. და ამ სისუსტის ნიადაგზე ბალშევიზმს სოციალისტების თვალში ერთნაირი მესაიანური ხასიათი მიეცა. ვიმეორებ, რომ ის თანაგრძნობა, რომელიც ბალშევიზმს პირველ ხანებში ჰქონდა ევროპაში, შედეგი იყო სოციალისტური წრეების სისუსტისა. ეს იქიდანაც სჩანს, რომ მტკიცედ იყო მუშათა კლასი ორგანიზაციულად შეკავშირებული – მაგ., ინგლისში – აქ ბალშევიზმს თავიდანვე ნაკლები გასავალი ჰქონდა. რამდენადაც მე შემიძლია დავადასტურო, დღეს ევროპაში ბალშევიზმის შესახებ შემდეგის აზრისანი არიან: მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ბალშევიკები გამარჯვებულად სთვლიან თავს, მათი მდგომარეობა ამჟამად კრიტიკულია, აი რატომ ბალშევიკებმა შინაური მტრები უკვე დაამარცხეს; გარეშე მტრები მათ არ ემუქრებიან, მაგრამ თუ ბალშევიზმი მაინც განაგრძობს თავის დაპყრობით პოლიტიკას, დასავლეთ ევროპის დემოკრატია იძულებული იქნება აქედან შესაფერი დასკვნა გააკეთოს და მის წინააღმდეგ სათანადო ზომები მიიღოს.

## ანტანტა და ქემალისტები

– როგორ უყურებს ანტანტა და კერძოთ ინგლისი ოსმალეთის ნაციონალისტების მოძრაობას, არის თუ არა ცდა ქემალ-ფაშასთან შეთანხმებისა და თუ არის, რამდენათ შესაძლებელია რეალურათ მათ შორის შეთანხმება?

– როდესაც ჩვენ ტფილისიდან პარიზში მიმავალნი სტამბოლში ჩავედით, – შთაბეჭდილება ისეთი მივიღეთ, რომ ოსმალეთი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, აღარ არსებობს. ჩვენ ყველამ ვიცით, თუ რა აზრი ჰქონდა პირველად ანტანტას ოსმალეთის შესახებ: უარყოფითი დამოკიდებულება ოსმალეთისადმი იქამდი მიდიოდა, რომ ფიქრობდნენ ოსმალეთის სავსებით გაძევებას ევროპიდან როგორც სხვა ბევრ საკითხებში, – ამ საკითშიაც ანტანტა გამოდიოდა გამარჯვების შედეგების შემცდარათ გათვალისწინებიდან. თავიდანვე ცხადი იყო, რომ საერთა-შორისო პოლიტიკაში უმთავრესი საკითხებათ რუსეთის და ოსმალეთის საკითხი იყო დღეს, მე მგონია, არის ყველა ნიშნები იმისა, რომ ოსმალეთის საკითხი სულ სხვანაირად შეტრიალდა. და თუ სევრის ხელშეკრულობის გადასინჯვის საკითხი ფორმალურად ჯერ არ დამდგარა, ფაქტიურად განხორციელება ამ ხელშწეკრულების არ მომხადარა და ის დარღვეულად უნდა ჩაითვალოს. უეჭველია, ამ ნიადაგზე უკვე არსებობს მოლაპარაკება ერთის მხრივ ქემალის მთავრეობის წარმომადგენლებსა და მეორეს მხრივ, ქემალის მთავრობას შორის.

– მოსალოდნელია თუ არა კონფლიქტი ბალშევიკებსა და ქემალ-ფაშას შორის?

– თვით ის გარემოება, ამბობს კ. ჩხეიძე, – რომ ოსმალეთის საკითხი უკანასკნელ ხანებში სულ სხვა სახეს იღებს და სევრის ხელშეკრულობის გადასაინჯვის გარშემო ლაპარაკი უკვე დაწყებულია,

ჩვენ საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მათ შორის შეიძლება თავი იჩინოს უთანხმოებამ, თუ კი ზემოთ აღნიშნული მოლაპარაკება შეთანხმებით გათავდა.

## რა გვიხსნის ეკონომიური კრიზისიდან?

– რა გამოიყვანს ჩვენს ქვეყანას იმ მძიმე ეკონომიური მდგომარეობიდან, რომელსაც ის ამ ჟამად განიციდს?

– ჩვენ ვიცით, რომ მთელს მსოფლიოში თანდათან იზრდება ეკონომიური კრიზისი წარმოებაში. საქონლის წარმოება თვით ინდუსტრიალურ ქვეყნებში კლებულობს. და ეს ხდება სწორედ იმ დროს, როდესაც საქონლის მოთხოვნილება ბაზარზე უსაზღვროა.

რა არის ასეთი პარადოქსული მდგომარეობის მიზეზი? უმთავრესი მიზეზი ამისა ის არის, რომ ომის შემდეგ მსოფლიოს უდიდეს ნაწილში წარმოება და ვალიუტა (ანუ ფულის კურსი) სრულიად დაეცა და ამ ნაწილს არ აქვს საშუალება საჭირო საქონელი შეიძინოს იმ ქვეყნებიდან, რომლებიც მდიდარი არიან ინდუსტრიალური ნაწარმოებით (ინგლისი და ამერიკა), ამერიკა, მაგ., იძულებულია შეამციროს საქონლის წარმოება მიუხედავათ იმისა, რომ მას არც ნედლი მასალა და არც მუშა ხელი აკლია და ტრანსპორტიც მოწესრიგებული აქვს. ეს იმიტომ, რომ დოლარის კურსი მეტად მაღლა სდგას და საქონლის შეძენა დოლარის საშვალებით ხელმისაწვდომი არ არის ისეთი ქვეყნისათვის, სადაც ვალიუტის კურსი დაცემულია. აქედან თავის თავად ცხადია თუ რა არის მიზეზი იმ საშინელი ეკონომიური კრიზისისა, რომელსაც განიცდის მსოფლიოს უდიდესი ნაწილი და კერძოთ ჩვენი ქვეყანა. და სწორედ ეს საერთო მოვლენა, საერთო მიზეზი უნდა ვიქონიოთ ჩვენ სახეში, როდესაც ვლაპარაკობთ ჩვენი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. მსოფლიო წარმოება, თუ მას არ მოელის სრული განადგურება, უნდა გამოვიდეს ამ მოჯადოებული წრიდან.

რანაირად უნდა მოახერხოს ეს წარმოებამ?

ამისთვის საჭიროა, რომ შეძლებულმა ქვეყნებმა, როგორიც არის, მაგ., ინგლისი, კრედიტის თუ წარმოების მოწყობის სახით თავის კაპიტალი დააბანდოს ჩამორჩენილ ქვეყნებში. ამ დებულების რეალობა ადვილათ გასაგები იქნება თუ მხედველობაში მივიღებთ, მაგალითად, იმ გარემოებას, რომ დღეს ინგლისში მისთვის უფრო ხელსაყრელია ამ ჩამორჩენილ ქვეყნებში მოკიდოს წარმოებას ხელი. ამის დამადასტურებელი ფაქტები ჩვენ გვაქვს.

ჩვენს ამ გარემოებით უნდა ვისარგებლოთ და ხელი შევუწყოთ ჩვენში უცხო კაპიტალის შემოსვლას. მართალია, დღეს კაპიტალის ამ სწრაფვას ჩამორჩენილ ქვეყნებისაკენ წინ ეღობება მრავალი დაბრკოლებები, პოლიტიკური თუ სხვა ხასიათის, მაგრამ ობიექტიურ მდგომარეობის გამო ის იძულებულია ეცადოს შევიდეს ჩამორჩენილ ქვეყნებში.

აქედან ცხადათა სჩანს, რომ ჩვენი ეკონომიური მდგომარეობის არსებითად გაუმჯობესება შესაძლებელია მხოლოდ ჩვენი ვალიუტის მოწესრიგებით, გაუმჯობესებით. ვალიუტის გაუმჯობესება კი შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ჩვენ გვექნება შესაფერი პირობები წარმოების ასაყვავებლათ. ყოველივე სხვა გზა ამ შემთხვევაში უტოპია იქნება.

## საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ბიუროსაგან
## საგარეო საქმ[ეთა] მინისტრის ნოტა ბ-ნ შეინმანს

*წყარო: გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 28 დეკემბერი, 1920 წ., № 296, გვ. 1-2.*

(საგარეო საქმეთა სამინისტრომ დეკემბრის 24-ს შემდეგის ნოტით მიმართა რუსეთის ს.ფ.ს.რ. სრულუფლებიან წარმომადგენელს ტფილისში ბ-ნ შეინმანს. პირი ამ ნოტისა დეპეშით გაეგზავნა საქართველოს სრულუფლებიან წარმომადგენელს მოსკოვში).

მოსკოვის 7 მაისის ხელშეკრულობის მეოთხე მუხლის პირველი პუნქტის ძალით რუსეთმა იკისრა ვალდებულება ეცნო საქართველოს სახელმწიფო ფარგლებში სხვა ადგილთა შორის

აგრეთვე ზაქათალის ოლქიც.

ამავე ხელშეკრულობის 12 მაისის დამატებითი შეთანხმების 1 და 2 მუხლისა და 12 ივნისის აქსტაფის ხელშეკრულობის მე-6 მუხლის თანახმად საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვრებზე, აგრეთვე ზაქათალის ოლქშიაც, სადაო ადგილთა საკითხი, უნდა გადაიჭრას ცალკე შერეული კომისიის მიერ, ხოლო ვიდრე ეს კომისია ამ საკითხს გადასწყვეტდეს ორივე მხარემ მიიღო საურთიერთო მოვალეობა არ გააძლიეროს ამ ოლქში თავისი სამხედრო ნაწილები ახალ რაზმების შეყვანით.

მიუხედავად ამისა ჩვენის ცნობებით ზაქათალის ოლქის საზღვრებში, ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებათა აშკარა დარღვევით, გრძელდება გაძლიერებული დაგროვება და კონცენტრაცია საბჭოთა ჯარების და ამავე დროს იმავე ოლქის სოფ. ბელაკანის რაიონში სწარმოებს ტოპოგრაფიული ზომვა.

კიდევ მეტი, ოლქის მცხოვრებთ წამოუყენეს მოთხოვნილება პირველ იანვრისათვის წარმოადგინონ დიდძალი სანოვაგე, საქონელი და საქონლის საკვები მასალა.

ყველა ეს ცნობა ძირითადად განსხვავდება თქვენ მიერ რ.ს.ფ.ს.რ. მთავრობის სახელით მრავალჯერ განცხადებულ რწმუნებისაგან, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილი მთავრობა მოისწრაფის საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან კეთილმეზობლურ ურთიერთობის განმტკიცებისაკენ და რომ საქართველოს საზღვრებთან სამხედრო ძალის თავმოყრისა და კონცენტრაციის შესახებ ყველა ცნობა საფუძველს მოკლებულია.

ამის გამო, ვაცხადებ რა გადაჭრილ პროტესტს ზემო აღნიშნულ ხელშეკრულებათა ასეთი დარღვევისა და იმ ზომების წინააღმდეგ, რომელნიც ძირს უთხრიან ადგილობრივ მცხოვრებთა ქონებრივ მდგომარეობას, ვინაიდან მათი არსებობის ერთად ერთ წყაროს წარმოადგენს საქონელი და ჭირნახული, ჩემის მთავრობის დავალებით მოვითხოვთ აღნიშნულ ღონისძიებათა დაუყონებლივ გაუქმებას და გთხოვთ სასწრაფოდ მაცნობოთ შედეგი ამ მომართვისა ჩემის მთავრობისათვის მოსახსენებლად. № 11232.

საგარეო საქმეთა მინისტრის მაგიერ კ. საბახტარიშვილი.[1]

# ერთა ლიგაში

*წყარო: გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 29 დეკემბერი, 1920 წ., № 297 გვ. 2.*

შვეიცარიაში დაარსებულმა „ყოფილს რუსეთის იმპერიის ტერიტორიის საზღვრებში აღმოცენებულ ახალ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის დამცველმა საზოგადოებამ,“ ერთა ლიგის მიმართა განსაკუთრებული მემორანდუმით, სადაც ეს საზოგადოება მხარს უჭერს ერთა ლიგის მუშაობაში ახალ სახელმწიფოთა მონაწილეობის მიღების უფლებას. მემორანდუმს თან დართული აქვს განსაკუთრებული მოხსენება საქართველოს შესახებ, რომელსაც ხელს აწერს ჟენევის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი პოკ მორიო.

# პიერ რენოდელი საქართველოს შესახებ

*წყარო: გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 29 დეკემბერი, 1920 წ., № 297 გვ. 2.*

ლიონის გაზეთი „პროგრესში“ იბეჭდება პიერ რენოდელის წერილების მთელი რიგი. ჯერჯერობით გამოქვეყნდა 4 წერილი „სოციალისტური რესპუბლიკა“, „როგორ წარმოიშვა სოციალლისტური რესპუბლიკა“, „სოციალისტურ საქართველოში აგრარული რეფორმა“, „სოციალისტურ საქართველოში მრეწველობის სოციალიზაცია და საერთაშორისო კაპიტალი“. გამოქვეყნდება კიდევ სამი წერილი. რენოდელის წერილები იძლევიან სერიოზულ და საფუძვლიან სურათს საქართველოს რესპუბლიკის ცხოვრებიდან. გაზეთში მოთავსებილია საქართველოს ნაწილებისა და საქ[ართველოს] მოღვაწეთა სურათებით. ამასთანავე რენოდელმა ორი წერილი საქართველოს შესახებ გაზ. „პოპიულერში“ მოათავსა.

1 აღნიშნული პიროვნება სხვადასხვა გაზეთში მოცემულია საბახტარაშვილისა და საბახტარიშვილის გვარით [რედ.].

# ზაქათ[ა]ლის ოლქის საკითხი

*წყარო: გაზეთი „საქართველო“, 30 ქრისტეშობისთვე (დეკემბერი), 1920 წ., № 179, გვ. 2.*

როგორც მოსალოდნელი იყო, ქართულ გაზეთებმა წერილები უძღვნეს საგარეო საქმეთა მინისტრის ნოტას რუსეთისა და აზერბაიჯანის მიმართ ზაქათალის ოლქის მდგომარეობის შესახებ.

[გაზეთები] აღნიშნავენ ზაქათალის ოლქის [მნიშვნელობას] საქართველოსათვის, „აზერბაიჯანის გაუგებელ პრეტენზიებს ამ ოლქზე, ოლქის მცხოვრებლების კატეგორიულ სურვილს საქართველოს ფარგლებში შემოსვლისათვის და რუსეთის გადაწყვეტილებას ზაქათალის ოლქის საქართველოსათვის გადაცემის შესახებ. ყოველივე ეს იმის მაჩვენებელია, რომ ზაქათალის ოლქი დღემდის უნდა შემოგვეერთებინა, მაგრამ, როგორც ვიცით, ამ ოლქში ეხლაც რუს. აზერბაიჯანის ჯარის ნაწილები თარეშობენ. ვინ არის ამაში დამნაშავე და რატომ არ ისპობა აშკარა უსამართლობა?

ამაზე „სახალხო საქმის“ მეთაურში შემდეგს ვკითხულობთ:

„ზ[ა]ქათალის ოლქი ერთის მხრივ საქართველოს ტერიტორიად ითვლება, ხოლო მეორე მხრით სადაოდაა გამოცხადებული. აქ შეიძლებოდა საკითხის იმ მეთოდით გადაწყვეტა, რომელიც ყველა სოციალისტისათვის მისაღებია – რეფერენდუმით. მაგრამ როგორც მკითხველებს ეხსომებათ, კომუნისტებმა ამ რეფერენდუმის წინააღმდეგ გაილაშქრა და ამით თავიდანვე აღიარეს, რომ მათ ეშინიათ თვით ოლქის მცხოვრებთა მსჯავრისა. ეს კუთხე ეკონომიურად, გეოგრაფიულად და ისტორიულად ყოველთვის საქართველოსი იყო და არის დღესაც. ზაქათალას უსაქართველოდ ცხოვრება არ შეუძლია და მიუხედავადა ამისა, იგი ხელოვნურად დაუშორებიათ თავის დედა ქვეყნისათვის და სხვა და სხვა პერტურბაციას[1] განაცდევინებენ. საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს და ზაქათალის ოლქის ბედი მალე გამოირკვეს.

გარეშე საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ აზერბაიჯანის და რუსეთის მთავრობა არღვევენ შეთანხმებას და მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებით აკრძალულია, აძლიერებენ თავიანთ ჯარს ამ კუთხეში, განაგებენ როგორც თავის უდაო ტერიტორიას და ხალხს. აწუხებენ, როგორც ვსთქვით, აქ საკვირველი არა არის რა. რუსეთი განაგრძობს თავის ძველ პოლიტიკას და ასევე იქნება ყოველთვის, ვიდრე ზაქათალის ოლქი თავის ბუნებრივ პატრონს, საქართველოს არ დაუბრუნდება.

როგორ უნდა მოხდეს ეს? როგორც ვიცით, ზაქათალის ოლქის საკითხი ერთნაირი არბიტრაჟით უნდა გადასწყდეს. ამ არბიტრაჟის თავმჯდომარე იქნება რუსეთი. ცხადია ყველასათვის, რომ აზერბაიჯანი რუსეთის ნაწილია და ეს უკანასკნელი თავის თავს არ აწყეინებს. „მე და ჩემმა ქმარმა ვიანგარიშეთ და ჩემს მაზლს არაფერი ერგოვო“ – ეს ხალხური ანდაზა უეჭველია ამ შემთხვევაში გამართლდება და არბიტრი მიუდგომლობას ვერ გამოიჩენს. და როდესაც ასეთი მდგომარეობაა, როდესაც ჩვენ ხელშეკრულებას შევყურებთ და კონტრაგენტი კი მის ასრულებისათვის თავს არ იტკიებს, პირიქით, ყოველ ნაბიჯზე არღვევს მას – ნება უნდა გვქონდეს ვიკითხოთ, რაშია საქმე? რად უნდა შევყურებდეთ გულგრილად ბრძოლით მოპოვებულ ჩვენს უფლებათა დარღვევას? საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ დაისვას ეს საკითხი და ზაქათ[ა]ლის ოლქის ბედი საბოლოვოდ გადასწყდეს თანახმად რუსეთთან დადებულ ხელშეკრულების პირვანდელი ტექსტისა, ზაქათ[ა]ლის ოლქის მცხოვრებთა და საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებისა – იგი უნდა შევიდეს, როგორც უდაო ნაწილი, საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში.

– –

ამავე საკითხის შესახებ „ერთობის“ მეთაურში დაბეჭდილია:

„გადაიკითხეთ გუშინდელ გაზეთებში დაბეჭდილი ორი ნოტა საქართველოს რესპუბლიკის გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგისა და დარწმუნდებით, რამდენად მიუღებელი, რამდენად არა მეზობლური და ეჭვის აღმძვრელია საბჭოთა აზერბაიჯანის მოქმედება საქართველოს მიმართ. საბჭოთა აზერბაიჯანის მთავრობა თითქოს სერიოზულად არ უყურებს საქართველოსთან დადებულს შეთანხმებას, თითქოს საჭიროთ არ მიაჩნია მისი პირნათლად შ[ე]სრულება. ხსენებულ ნოტებში აღნიშნულია კიდევ ერთი ამისი თვალსაჩინო ნიმუში: რა ხანია საქართველოს რესპუბლიკასა და საბჭოთა აზერბაიჯანს შორის შეიკრა ზავი, რომლის ერთი მუხლის ძალითაც ზაქათალაში არც

1 პერტურბაცია – წესრიგის მოშლა, მოვლენათა ჩვეულებრივი მიმდინარეობის დარღვევა [რედ.].

ერთმა მხარემ არ უნდა გააძლიეროს სამხედრო ნაწილები. საქართველო პირნათლათ ასრულებს ამ პირობას. მაგრამ სამწუხაროდ აზერბაიჯანის მთავრობის მხრით სრულიად არ ვხედავთ ამ პირნათლობას. პირიქით იგი არავითარს ყურადღებას არ აქცევს დადებულს ხელშეკრულებას. იგი ზაქათალაში აძლიერებს ჯარებს, ახდენს კონფისკაციას, რეკვიზიციას, მცხოვრებთ ადებს კონტრიბუციებს და ქონებრივად აჩანაგებს მათ, არავისთვის საიდუმოებას არ შეადგენს, რომ საბჭოთა რუსეთთან დადებულ 7 მაისის ხელშეკრულების თანახმად ზაქათალა საქართველოს საზღვრებში უნდა შედიოდეს, ამიტომ არავის არ უნდა გაუკვირდეს, თუ აზერბაიჯანის ჯარების მიერ ზაქათ[ა]ლის მოსახლეობას აკლება საქართველოს მხრით იწვევს ენერგიულს პროტესტებს.

საერთო დასკვნა: აზერბაიჯანი არ იქცევა საქართველოს მიმართ ისე, როგორც ამას მოითხოვს კეთილმეზობლობა და მშვიდობის მოყვარეობა. იგი არ იქცევა ისე, როგორც ამას მოითხოვს კულტურული საერთაშორისო ურთიერთობა. ჩვენი რესპუბლიკის მთავრობამ საპროტესტო ნოტა აღნიშნულ გარემოების გამო მოსკოვის მთავრობასაც გაუგზავნა და ჩვენ სრული საბუთი გვაქვს იმედი ვიქონიოთ, რომ მოსკოვის მთავრობა სწორ გზას უჩვენებს თავის უმცროსს მოკავშირე რესპუბლიკას – აზერბაიჯანს“.

# 1921 წელი

## ერთა ლიგა საქართველოს შესახებ

*წყარო: გაზეთი „სამუსულმანო საქართველო“, 1 იანვარი, 1921 წ., № 494, გვ. 1.*

ერთა ლიგაში ინგლისის წარმომადგენელმა ლორდ რობერტ სესილმა განაცხადა: საქართველოს მდგომარეობა ძლიერ წააგავს ბალტიის სახელმწიფოების მდგომარეობას. ამ სახელმწიფოების ბედი ერთად უნდა გადაწყდეს. ეს სახელმწიფოები უნდა დაშვებულ იქნენ ერთა ლიგის შემადგენლობაში, მაგრამ არ მივცეთ ერთა ლიგის დებულების მე-10 მუხლზე დამყარების უფლება. ერთა ლიგამ რობერტ სესილის აზრი გაიზიარა და საქართველო ერთა ლიგაში მიიღო, იმ განსაზღვრულ პირ[ო]ბით რომ საქართველოს და მის მაგვარ ბალტიის სახელმწიფოების მიმართ იგი თავისუფალია ერთა ლიგის მეათე მუხლით დაკისრებულ ვალდებულებისაგან.[1]

## საქართველო და ერთა ლიგა

*წყარო: გაზეთი „სამუსულმანო საქართველო“, 7 იანვარი, 1921 წ., № 498, გვ. 2.*

პარიზი. „ტანი“ იუწყება: დეკემბრის 17 სხდომაზე ვივიანმა მოკლე სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს ერთა ლიგ[ი]ს შემადგენლობაში მიღების შესახებ შუამდგომლობის უარყოფის გამო. ვივიანმა საფრანგეთის დელეგაციის სახელით შემდეგი განაცხადა: საქართველოს ერთა ლიგაში მიღების საკითხი მეტად სერიოზულია. ერთა ლიგაში ახალ სახელმწიფოთა მიმღებ კომისიას არ შეუძლიან მისცეს ერთა ლიგას წინადადება საქართველოს უეჭველად მიღების შესახებ. ვინაიდან შეუძლებელია ამ ჟამად ეგრედ წოდებულ რუსეთის საკითხის გადაწყვეტა. ერთა ლიგა ვალდებულია გაუწიოს ანგარიში თავის წესდების მე-10 მუხლს, რომლის თანახმად ერთა ლიგის შემადგენლობაში შემავალი სახელმწიფოები, ვალდებულნი არიან დაიცვან ყოველი თავის თანაწევრნი თუ უკანასკნელს რაიმე საფრთხე მოელის.

აშკარაა, ის სახელმწიფოები, რომლებიც მისცემდნენ ხმას საქართველოს ერთა ლიგის შემადგენლობაში მიღების საკითხს, ამით აიღებდნენ თავის თავზე ვალდებულებას საქართველოსთვის დახმარება აღმოეჩინათ, თუ უკანასკნელს რაიმე გარეშე საფრთხე დაემუქრებოდეს. ასეთი ვალდებულების სისრულეში მოყვანა კი ამ ჟამად მეტად ძნელია. ამ თვალსაზრისს არ მიემხრნენ რობერტ სესილი და ნანსენი, რომლებიც მტკიცედ მოითხოვდნენ საქართველოს ერთა ლიგაში მიღებას. ფიშერი მოითხოვდა ამ საკითხისათვის მეტად სერიოზული ყურადღება მიექციათ. ამასთანავე ფიშერმა იკითხა: ვინ აიღებდა თავის თავ[ზ[ე პასუხისმგებლობას, რომ საქართველოსათვის დამხმარე ექსპედიცია გაეგზავნა თუ იგი დახმარებას მოითხოვდა.

საკითხის ხანგრძლივი განხილვის შემდეგ საქართველოს შუამდგომლობა უარყვეს, ამასთანავე საქართველოს წარმომადგენლებს მიეცა უფლება, თუ ისინი მოისურვებენ მიიღონ მონაწილეობა საორგანიზაციო ტეხნიკურ საკითხებში.

## საქართველო და აზერბაიჯანი

*წყარო: გაზეთი „სამუსულმანო საქართველო“, 16 იანვარი, 1921 წ., № 503, გვ. 1-2.*

საგარეო საქმეთა მინისტრის ნოტა ზაქათალის ოლქის შესახებ.

იანვრის 12-ს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ შემდეგი ნოტა გაუგზავნა აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა კომისარს:

ბაქო. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს ჰუსეინოვს, პირი საქართველოს სრულუფლებიან წარმომადგენელს ხუნდაძეს.

პასუხად № 1094 თქვენის ნოტისა, რომელითაც თქვენ უარყოფთ ზაქათალის ოლქში საბჭოთა ჯარის კონცენტრაციის ფაქტს, მე საჭიროდ მიმაჩნია, თანახმად შემოწმებულ ცნობებისა, ერთხელ

1 სინამდვილეში საქართველო არ მიუღიათ ერთა ლიგაში. ამავე გაზეთის სხვა ნომერში (გაზეთი „სამუსულმანო საქართველო“, 7 იანვარი, 1921 წ., № 498, გვ. 2) ეს ცნობა მართებულადაა გადმოცემული [რედ.].

კიდევ დავადასტურო, რომ ზაქათალის ოლქის ფარგლებში აქსტაფის ხელშეკრულობის მეექვსე მუხლის აშკარა დარღვევით უკანასკნელ დროს ჩრდილოეთ კავკასიიდან ბაქო-ლიაქის გზით შეყვანილ იქნა ჯარის ახალი ნაწილები, გარდა იქ უკვე მყოფ მე-11 ლაშქრის მე-20 დივიზიის ნაწილებისა.

რაც შეეხება თქვენს განცხადებას, თითქოს სინამდვილეს არ ეთანხმებოდეს ცნობები ამ ოლქის მცხოვრებთადმი მათი კეთილდღეობის დამრღვევ მოთხოვნილებათა წამოყენების შესახებ, საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ ხელმეორეთ შემოწმებული ფაქტები ადასტურებს ჩემს მიერ № 11258 ნოტაში მოყვანილ ცნობებს.

თქვენს განცხადებას იმის შესახებ, რომ ჩემი მთავრობის მიერ ზაქათალის ოლქის მცხოვრებთა მიმართ გამოჩენილი მზრუნველობა წარმოადგენს ა.ს.ს.რ. შინაურ საქმეებში დაუშვებელ ჩარევას, ჩემი მთავრობა სთვლის ისეთ განცხადებად, რომელიც ეწინააღმდეგება აქსტაფისა და მოსკოვის ხელშეკრულებათა აზრს.

აქსტაფის ხელშეკრულების მე-6-ე მუხლი ითვალისწინებს ზაქათალის კითხვის გადასაჭრელად საარბიტრაჟო კომისიის დაარსებას თანახმად მოსკოვის ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმე-ბის პირველი მუხლისა. ამავე დროს თანახმად მოსკოვის 7 მაისის ხელშეკრულების მე 4 მუხლის პირდაპირ აზრისა კითხვა ზაქათალის ოლქის კუთვნილების შესახებ არავითარ ეჭვებს არ იწვევს და მხოლოდ ამ ოლქის ფარგლებში სადაო ადგილთა კითხვა უნდა გადაეცეს გადასაწყვეტათ შერეულ კომისიას თანახმად მოსკოვის ხელშე[კ]რულების დამატებითი შეთანხმების პირველი მუხლისა, რომელსაც ჰგულისხმობს აქსტაფის ხელშეკრულების მეექვსე მუხლი, ხოლო ამ კითხვის გადაწყვეტამდე ზაქათალის ოლქის საზღვრებში დატოვებულ იქნა, როგორც ადერბაიჯანის, აგრეთვე საქართველოს ჯარის ნაწილები.

ამიტომ ზაქათალის ოლქის მცხოვრებთა მიმართ მზრუნველობის გამოჩენით საქართველოს მთავრობა ასრულებს თავის მოვალეობას, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვა-ლოს სხვის საქმეში ჩარევად და არ უნდა იწვევდეს არავისი მხრით გაუგებრობას.

დასასრულ ჩემს მთავრობას საჭიროდ მიაჩნია ერთხელ კიდევ აღნიშნოს, რომ ა.ს.ს.რ. მთავრობის ყველა ზემოაღნიშნული ღონისძიება წარმოადგენს ა.ს.ს.რ. და საქართველოს შორის დადებულ აქსტაფის ხელშეკრულების თვალსაჩინო დარღვევას და ძირიანად ეწინააღმდეგება კეთილ მეზო-ბლობისა და მეგობრობის პრინციპებს, რომელიც საფუძვლად დაედო ამ ხელშეკრულობას.

1921 წელი, იანვრის 12 № 266.

საგარეო საქმეთა მინისტრის მაგიერ კ. საბახტარიშვილი.

თ. ღლონტი

## რა უნდათ სომხებს?

(ფრაგმენტები)

*წყარო: გაზეთი „სოციალისტ-ფედერალისტი“, 1 აპრილი, 1921 წ., № 27, გვ. 2.*

1830 წლის შემდეგაც რუსეთის მთავრობა ძალიან ცდილობდა ამიერ-კავკასიაში სომხობის გამრავლებას. გა[ნ]საკუთრებით დიდი ტალღა მოაწვა სომხობისა ჩვენს მხარეს 1877-8 წლის ომის შემდეგ, როდესაც ჩვენში გადმოასახლეს 250 ათასი სომეხი. სომხების გამრავლების საქმე ოდნავადაც არ შეწყვეტილა მეოთხმოცე წლებში, ხოლო ერთგვარი სისტემატიური ხასიათი სომხობის გამრავლებისა ჩვენში მიიღო ისევ ვარანცოვ-დაშკოვის და კრივოშკინის ხანაში. ამ ხანაში სომხების შემოსვლა ამიერ-კავკასიაში აღემატება 500 ათასს სულს.

მთავრობის სომხებისადმი ასეთი დამოკიდებულებით თანდათან შეიცვალა ერევნის გუბერნიის სახეც. 1916 წლის იანვრისათვის სომხობა ირიცხებოდა მკვიდრი 588 ათასი სული, თათრობა – 394 ათასი. თვით ქალაქ ერევანში სომეხი მკვიდრი იყო 12 ათასი, თათარი – 9 ნახევარი ათასი. სულ იყო ქალაქ ერევანში:

| | სომეხი | თათარი |
|---|---|---|
| 1830 წელს – | 4.132 | 7.331 |
| 1916 „ – | 37.223 | 12.566 |

ეს განსაცვიფრებელი ცნობა, რომლის პირველი წყარო თვით ერევნის მწერლები და მოღვაწეები არიან სავსებით გვიაშკარავებს იმ ხელოვნურ ზომების ძალას, რომლითაც მომხდარა ხელოვნურად სომხების გამრავლება ერევანში და ასევე ხელოვნურად შემცირება თათრების.

მაშინ, როცა თათრობას არაფერი მომატებია, სომხები გამრავლებულან ცხრაჯერ. მეცხრამეტე საუკუნეში მოახდინეს ერევნის ხელოვნურად გასომხება, თუმცა 1916 წლისათვის ერევანში მკვიდრი სომეხი ირიცხებოდა მხოლოდ 12 303, ხოლო არა მკვიდრი კი 24.920 სული.[1] ესე იგი დღესაც ერევანი გამოქცეულ და დროებით მცხოვრებ სომხების ქალაქია და არა მკვიდრი სომხის მოქალაქეებისა.

– ჩვენ აქვე ერთი რამ უნდა განვაცხადოთ. ეროვნულად, ფიზიკო-გეოგრაფიულად და ეკონომიურად თანამედროვე სომხეთი ძალიან ნაკლებად წარმოადგენს პირობათა იმ ქსელს, რომელიც სუვერენულ სამშობლოს შესაქმნელად აუცილებელი პირობაა. ჩვენ ვიცით, რომ საზოგადოებრივ ცხოვრების სარბიელზე სომხეთის ცოცხალი ძალა სრულიად არ ამჟღავნებდა გაკვეთილ, აშკარა, მტკიცე ეროვნულ ნებისყოფას, ჩვენ არ ვხედავდით და არც ამ ჟამად ვხედავთ სომხეთის ხალხის შეგნებულ ბრძოლას სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის.

[...]

სამშობლოს სიყვარული და ეროვნული ტერიტორიისათვის თავდადების გრძნობა ადამიანის სისხლში გროვდება მრავალი საუკუნის განმავლობაში, პაპათა და მამათა ძვლები, მათი გადახდილი ომები, ძვლების ფანტვა, სისხლის რთხევა და თავდადების სილუეტები ქმნიან იმ უხილავ გრძნობებს, რომელსაც სამშობლო საყვარელი ეწოდება. ისტორიული ბინადრობა, ნოყიერი მამული, სურნელოვანი და სა[ს]მო ჰავა, ზურმუხტიანი მთა-ველი, ქვეყნის გაშლილი იერი და ბუნებრივი კა[რ]ები, კიდევ უფრო დიდი მიზნებისა და ქვეყნებისაკენ ქმნიან პირობათა იმ კომპლექსებს, რომელი[ც] სჭედს ადამიანში ეროვნების სახეს, რაიცა ამეფებს ხალხში სამშობლოს სიყვარულს.

ეხლავე ვამბობთ, რომ თანამედროვე სომხეთის ძალებს ეს პირობები მეტად სუსტად აქვთ. მცირე ცნობები, რომელიც ჩვენ მოვიყვანეთ ზემოთ და პირველ წერილში გვეუბნება ერთ რასმეს.

ამიერ-კავკასიაში მკვიდრი სომხეთი არ არსებობს, არ არის მკვიდრ სომეხთა ისტორიული ცხოვრება, ისტორიული ტრადიცია, ისტორიული კულტურა, არ არის შემუშავებული ისტორიული კონფიგურაცია ტერიტორიის, ხელოვნების, ბრძოლის, ესე იგი არ არის შემადგენელი ფაქტორები სამშობლოს მცნებისა, ეროვნული სიყვარულისა, მამულიშვილური გრძნობისა.

[...]

გავითვალისწინოთ ტერიტორიალური მდგომარეობა. დღევანდელ ამიერ-კავკასიის რესპუბ-ლიკებში – საქართველოში, ადერბეიჯანსა და სომხეთში უნდა ჩაითვალოს: საქართველოში – ტფილისის გუბერნია, ქუთაისის გუბერნია და სოხუმის ოლქი,[2] აზერბაიჯანში – ბაქოს და განჯის გუბერნიებში, სომხეთში – რევნის გუბერნია და ყარსის ოლქი. ამ მიდამოებს უჭირავსთ,

აზერბეიჯანს – 73 ათასი ოთხკ[უთხი] ვერს[ი].
საქართველოს – 60 „
სომხეთს – 39 „

აქედან ვხედავთ, რომ ამიერ-კავკასიაში სომხეთი ტერიტორიალურად ყველა რესპ[უ]ბლიკაზე უმცირესი რესპუბლიკაა. უღატაკესი მხარეა. ასეთსავე უმწეო მდგომარეობაშია სომხობა თავის სახელმწიფოში ხალხის საერთო რაოდენობის მხრივ, რასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს კულტურისათვის. სულ ირიცხება:

აზერბ[ეიჯანის] რესპუბლ[იკა] – 2.556 ათასი სული
საქართველოს „ – 2.717 „
არარატის „ – 1.434 „

ამიერ-კავკასიის არც ერთ რესპუბლიკაში არსად ისე მცირე ხალხი არ არის, როგორც სომხეთში. ამგვარად ტერიტორიალურად და ეთნოგრაფიულად სომხობა გაცილებით ნაკლებ მასალას იძლევა სახელმწიფოს აღმშენებლობისათვის, ვიდრე აზერბეიჯანი და საქართველო.

თვით მოსახლეობის თვალსაზრისით ამიერ-კავაკასიაში საქართველო ყველაზე კომპაქტური, დასახლებული ერთეულია. ოთხკუთედ ვერსტზე მოდიოდა:

---

1 ზოგიერთ დიდ მაზრაში დღესაც თათრობა საგრძნობლად სჭარბობს სომხობას. ირიცხებოდა მაგალითად:

| | თათარი | სომეხი |
|---|---|---|
| სურმალინის საზ. – | 60.632 | 32.686 |
| შარგრო. დალაგეზ. – | 60.352 | 29.165 |

2 ჩვენ გ[ა]ნზრახ შევამცირეთ აქ საქართველოს ტერიტორია. ტექსტში აღნიშნულ ტერიტორიას ჩვეულებრივად უნდა მიემატოს მთელი ბათომის მხარე და ზაქათალა, რომელნიც ისტორიულად, ეთნოგრაფიულად და კულტურულ ეკონომი-ურად საქართველოს განუყრელი ნაწილებია. მიუხედაავდ იმისა ამ მხარეთა ძალას ეხლა მაინც ვტოვებთ უყურადღებოთ.

ადერბეიჯანშ[ი] – 80 სულ[ი][1]
სომხეთში – 35 „
საქართველოში – 43 „

სომხის ხალხის ეს ტერიტორია არც ერთი იმ თვისებით არ არის აღჭურვილი, რომ ხალხის მთელი სიცოცხლე, ხალხის სიყვარული მიიზიდოს, მოაჯადოოს საზოგა[დ]ოება.

[...]

# ქრონიკა[2]
# საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში

*წყარო: გაზეთი „კომუნისტი", 17 აპრილი, 1921 წ., № 38, გვ. 3.*

დღეს, დილის 10 ნახ. საათზე, მასწავლებელთა სახლში, (ყოფილი ქართული კლუბი) მოხდება საქართვ[ელოს] საისტ[ორიო] და საეთნ[ოგრაფიო] საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივი კრება. პროფესორი ჯავახიშვილი წაიკითხვას მოხსენებას: „ბრძოლა საქართველოს მთლიანობისა და დანაწილების გამო მე-15-16-ე სს-ში. კრებას გარეშეთაც შეუძლიანთ დაესწრონ.

შ. ნ.[3]

# საზღვრების წაშლა

*წყარო: გაზეთი „სოციალ-ფედერალისტი", 4 მაისი, 1921 წ., № 52, გვ. 2.*

გრუკავროსტის[4] გადმოცემით ამხ. ნარიმანოვს განუცხადებია ერთ-ერთ კრებაზე, რომ კომუნიზმის წყალობით წაიშალა საზღვრები ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების შორისო. უნდა ვიფიქროთ რომ ეს მართლაც თქმულა, რადგან ამას აქვეყნებს ოფიციალი წყარო.

ეს განცხადება პირდაპირ გაუგებარია. რას ნიშნავს საზღვრების წაშლა ამიერ კავკასიის რესპუბლიკების შორის? სად სწერია, ან ვინ დაამტკიცა, რომ კომუნიზმი და სახელმწიფოების საზღვრების წაშლა ერთი და იგივეა. საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა და როგორც ასეთს მას აქვს და მომავალშიაც უნდა ჰქონდეს ყოველივე ნიშანი დამოუკიდებელ სახელმწიფოისა. ენა, ტერიტორია, საზღვრები და სხვ. რას ნიშნავს სახელმწიფო, რომელსაც საზღვარი არ აქვს. კომუნისტური მოძრაობა რუსეთში უფრო მძლავრია და განა აქედან გამომდინარეობს, რომ რუსეთის სახელმწიფოებრივი საზღვრები უნდა წაიშალოს?

საზღვარი ორმაგი ცნებაა, ამას ორი მხარე აქვს: ერთი, რომელიც შენ გ[სა]ზღვრავს სხვისაგან და მეორე, რომელიც სხვას საზღვრავს შენგან. როდესაც საზღვრების მოშლაზეა ლაპარაკი გაურკვეველია რომელ საზღვრების გაუქმებას უკავშირებს კომუნიზმს ამხ. ნარიმანოვი. რუსეთმა დიდი ძალა შეალია თავის საზღვრების დაცვას და ეს ბრძოლა კომუნიზმის დროშის ქვეშ ხდებოდა. წარმოვიდგინოთ კომუნისტურმა წყობილებამ გაიმარჯვა გერმანიაში, განა ეს გამოიწვევს რუსეთის მიერ საზღვრების მოშლას? რა კავშირია კომუნიზმსა და საზღვრების წაშლის შუა. სახელმწიფო ჰაერში გამოკიდებული ხომ არაა, ის გარკვეულ ტერიტორიაზე არსებობს და სხვა გვარად არც შეიძლება არსებობდეს.

კერძოდ ჩვენში – ამიერ-კავკასიაში საზღვრების წაშლას დიდი ხანია დამცველები ჰყავს, მაგრამ ისინი რეაქციონურ და კონტრ-რევოლუციურ წრეებიდან გამოდიოდნენ. ერთის მხრივ რუსიფიკატორი მოხელეები იბრძოდნენ ამიერკავკასიის რესპუბლიკების საზღვრების წას

1 მხედველობაში არ არის მიღებული ბაქოს სამრეწველო რაიონი, რომელიც ქვეყნის დასახლების სურათისათვის არ არის დამახასიათებელი.

2 ფრაგმენტი [რედ.]

3 შალვა ნუცუბიძე წერდა „შ. ნ."-ს ფსევდონიმით [რედ.].

4 გრუკავროსტი სატელეფონო სააგენტოს აბრევიატურაა. 1918 წელს რუსეთში შეიქმნა რუსეთის სატელეგრაფო სააგენტო (Российское телеграфное агентство - РОСТА), რომელიც იყო ცენტრალური საინფორმაციო-სატელეგრაფო სააგენტო. წინდართული სიტყვები კი ნიშნავს: საქართველოსა („Гру") და კავკასიას („кав") [რედ.].

ასლელად, მეორეს მხრივ სომხის ბურჟუაზია ოცნებობდა მთლიან ამიერ-კავკასიის აღდგენაზე, რომ ტფილისი ამიერ-კავკასიის დედა-ქალაქად გამოეცხადებინად და იქ კვლავ შოვინისტურ პოლიტიკის შტაბი გაემართათ.

სამწუხაროა, რომ ეს ძველი ლოზუნგი დღეს კომუნისტურ წრეებშიაც გასავალს ჰპოულობს. ჩვენ ვფიქრობთ რომ ეს საბედისწერო შეცდომაა თუ აქ გრუკავროსტას ჩვეულებრივ ინფორმაციასთან გვაქვს საქმე. გულწრფელ კომუნისტს შეუძლია შესცდეს ამ საკითხში. მაგრამ ის ვინც ამ შეცდომას თავის საქმის გამოსარკვევად სთვლის საჯაროდ არ მალავს თავის სიხარულს. რა თქმა უ[ნ]და, კომუნიზმთან არაფრით არაა და[კ]ავშირებული და მხოლოდ მდგომარეობით სარგებლობს თავისი ბნელი საქმის გასაკეთებლად.

ამას ყურადღება უნდა მიექცეს. ამიერ კავკასიის რესპუბლიკების საზღვრების არსებობა ეროვნულ თვით გამორკვევის სიმბოლოა, საზღვრების წაშლა თვით გამორკვევის წაშლაცაა. ხვალ ზეგ აღსრულდება ერთი წელი, რაც რუსეთმა სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა გარკვეულ საზღვრებით; დღეს საზღვრების წაშლაზეა ლაპარაკი რაშია საქმე?

## პირველი მაისის დღესასწაული თფილისში[1]
## ამხ. ნარიმანოვის სიტყვა[2]

*წყარო: გაზეთი „კომუნისტი“, 6 მაისი, 1921 წ., № 52, გვ. 1.*

შემდეგ სიტყვით გამოდის ამხ. ნარიმანოვი, რომელიც ამბობს, რომ თვითმპყობელობის დამხობის შემდეგ მოხდა გადატრიალება. თვითმპყრობელობა დაეცა, დაიწყო რევოლიუცია, მაგრამ გლეხებმა მიწა ვერ მიიღეს. მუშები დარჩნენ ძველებურ მდგომარეობაში. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო მუშათა და მიწის საკითხის გადაჭრა, დარჩა კიდევ ერთი კითხვა, – ეროვნული.

დემოკრატიულ[მა] რესპუბლიკებმა წამოაყენეს პრინციპი: ხალხთა თვითგამორკვევისა, მაგრამ ამ პრინციპს ვერ მისცეს სულიერი ფორმა, კავკასიაში თვითგამორკვევის პრინციპი გაიგეს ძალიან თავისებურათ: თვითეული რესპუბლიკა უწინარეს ყოვლისა ცდილობდა თავის საზღვრების შემოფარგვლას. მაგრამ, როდესაც გამოქვეყნდა საბჭოთა ხელისუფლება – საზღვრები გაქრა. აზერბეიჯანმა განაცხადა, რომ უარს ამბობს სომხეთის სასარგებლოდ იმ ადგილებზე, რომელთა გამო სისხლი იღვრებოდა აზერბეიჯანსა და სომხეთს შორის. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს შორის გაჰქრა საზღვრები [ხაზგასმა – რედ.]: ეს რესპუბლიკები თანხმობით იცხოვრებენ საბჭოთა ხელისუფლების მფარველობის ქვეშ. შეიძლება, ყველამ არც კი იცოდეს, განაცხადა დასასრულ ამხ. ნარიმანოვმა, რომ ამჟამად სწარმოებს ძლიერი მუშაობა სამივე რესპუბლიკათა შორის მჭიდრო ეკონომიურ კავშირი[ს] შესაქმნელად: არ გავა 2-3 კვირა, რომ ეს კავშირის ფაქტი გახდება (ძლიერი ტაში). აი ვის შეუძლიან ეროვნული საკითხის გადაჭრა – მე 3 ინტერნაციონალს. მე ვათავებ ჩემს სიტყვას ძახილით: გაუმარჯოს მე-3 ინტერნაციონალს. ამხ. ნარიმანოვის სიტყვა დაჰფარა ტაშმა.

[...]

## პრესის მაგიერ

*წყარო: გაზეთი „კომუნისტი“, 7 მაისი, 1921 წ., № 53, გვ. 1.*

ბურჟუაზიული კერძო საკუთრება, ბურჟუაზიული სახელმწიფო ყველა თავის ჩვეულებრივი ატრიბუტებით ჰკვებავს ომს. თვით თავისი სოციალური ბუნებით ასეთი რეჟიმი და ამ რეჟიმის მატარებელი კლასი ართულებენ მიზეზებს ეროვნულ ან სახელმწიფოებრივ განცალკევებისას, სოციალურ და ნაციონალურ წინააღმდეგობათა შეურიგებლობისა, ამას ვერ ასცდა რასაკვირველია

1 ფრაგმენტი [რედ.]

2 როგორც პრესის წინა ნომრებიდან [გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი“, 1921 წ., 4 მაისი, № 52. გვ. 2] ირკვევა, აზერბაიჯანის რევკომის თავმჯდომარეს ნარიმანოვს ერთ-ერთ კრებაზე განუცხადებია, რომ კომუნიზმის წყალობით წაიშალა საზღვრები ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს შორისო. ამ სიტყვას დიდი პოლემიკა მოჰყვა, რომელიც წარიმართა კომუნისტებსა და სოციალ-ფედერალისტებს შორის. ეს პაექრობა აისახა იმდროინდელ გაზეთებში – „კომუნისტსა“ და „სოციალისტ-ფედერალისტში“ [რედ.].

კავკასიაც. აქ იყო ბურჟუაზიული სახელმწიფოები, კავკასიავე იყო წარსულში ასპარეზი ეროვნული შუღლისა და მტრობის. საბჭოთა სისტემის შემოღებით, როდესაც ძალა უფლება გადადის მშრომელი მასების ხელში და ბურჟუზიულ საკუთრებაზე აშენებული ეკონომიკა ირღვევა, ბუნებრივია, რომ იშლება ის ხელოვნურათ აღმართული ზღუდეები ხალხთა შორის, რომელიც ამწვავებდა მათ შორის დამოკიდებულებას და გამოდიოდა მუდმივი კონფლიქტების მიზეზათ. ეს აზრი გამოსთქვა თავის სიტყვაში პირველ მაისს ამხ. ნარიმანოვმა. მუშათა ხელისუფლების განმტკიცების შემდეგო, სთქვა მან, „ყველა ხელოვნური ზღუდეები – ეროვნული, სოციალური, ეკონომიური და პოლიტიკური, რომელიც აღმართული იყო კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების მუშათა შორის ინგრევა და კავკასიის ერები იცხოვრებენ მშვიდობიანად და სოლიდარულათ"-ო. ეს ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს და მომავალშიც გვექნება შემთხვევა გავიმეოროთ იგივე. ხოლო დამფრთხალ გონებას და წარსული ისტორიული სინამდვილის სიდუხჭირით შექმნილ სულიერ აფორიაქებას და წონასწორობის დაკარგვას შეუძლია დაინახოს ყოველივე ამაში კერძოთ საქართველოს მიწა-წყლის, მისი ტერიტორიის, მისი ენის, კულტურის, მთელი მისი დამოუკიდებლობის შებღალვა, როგორც ეს მოსჩვენებია გაზ. „სოციალ-ფედერალისტ"-ის თანამშრომელს, მოქ. შ.ნ.-ს. ჩვენი დამოუკიდებლობის დაცვის სურვილით ამოძრავებული, ავტორი მსჯელობს საქართველოს ტერიტორიალური საზღვრების შესახებ და წარმოსთქვამს აზრებს საზოგადოთ საზღვრების ცნების განსამარტავად. საზღვარიო – აცხადებს ავტორი დინჯათ – ორმაგი ცნებააო, მას ორი მხარე აქვს. ერთ მხარეზე სცხოვრობ შენ, მეორეზე – შენი მეზობელიო. მოკლეთ და მარტივათ. მთელი ეს სიბრძნე საჭირო შეიქნა წარმოეთქვა ბ. შ. ნ.-ს, რომ დაეცვა საქართველოს დამოუკიდებლობა... ამხ. ნარიმანოვისაგან. ამას ჰქვია მიიყვანო კითხვა ად აბსურდუმ[1].

## ქრონიკა[2]

ამხ. ნარიმანოვის წასვლა.

*წყარო: გაზეთი „კომუნისტი", 8 მაისი, 1921 წ., № 54, გვ. 3.*

2 მაისს თფილისიდან ბაქოს გაემგზავრა აზერბაიჯანის რევკომის თავმჯდომარე ამხ. ნარიმანოვი.

# პრესის მაგიერ

*წყარო: გაზეთი „კომუნისტი", 10 მაისი, 1921 წ., № 55, გვ. 1.*

ისევ გაზ. „სოციალისტ ფედერალისტ"-ის თანამშრომლის მოქ. შ. ნ.-ს და საზღვრების შესახებ.

მოქ. შ. ნ-მა მოიყვანა თავის წერილში „გრუკავროსტას" მიერ გადმოცემული ამხ. ნარიმანოვის აზრი კავკასიის რესპუბლიკათა შორის „საზღვრების წაშლის" შესახებ და, როგორც ეს შეფერის „ჯიშიან" ნაციონალისტს, შეეცადა პატარა სკანდალი მოეწყო იმის გამო, რომ, მისი აზრით, კომუნისტები უბედურებას უმზადებენ ასეთი გეგმებით ჩვენს ეროვნულ დამოუკიდებლობას. ავტორის მიერ ხსენებულ ცნობის დამატებით ჩვენ მოვიყვანეთ სიტყვა სიტყვით ოფიციალური ცნობა „გრუკავროსტასი" იმ მასალებიდან, რომლებიც მან მიაწოდა პრესას – და ვიგულისხმოთ უნდა, კერძოთ სოციალისტ-ფედერალისტსაც – პირველი მაისის დღესასწაულის შესახებ. როგორც ეტყობა, ოფიციალური ცნობებიდან ჩვენ მიერ მოყვანილ ადგილს საგრძნობი კორექტივი შეუტანია მოქ. შ. ნ.-ს ფანტაზიის „ნამუშევარში", რადგან ის ნებას აძლევს თავს „შეპაჩინკებულათ" გამოაცხადოს ეს ცნობა. ყოველ შემთხვევაში ეჭვი შეიტანოს მის სინამდვილეში. ავტორის აზრითაც ლაპარაკი ხელოვნურ საზღვრების მოშლის შესახებ გასაგებია. ხოლო მისი აზრით იგივე არ ითქმის „ბუნებრივ საზღვრებზე". რამდენათაც ჩვენ ვიცით, ამხ. ნარიმანოვს არ დაუყენებია კითხვა საზოგადოთ საზღვრების გაუქმების შესახებ. მისი აზრი იყო ის, რომ ბურჟუაზიულ დემოკრატიულმა რესპუბლიკებმა ეს კითხვა ვერ გადასჭრეს, მისი მშვიდობიანათ მოგვარება

1 ად აბსურდუმ – ლათ. აბსურდი.

2 ფრაგმენტი [რედ.]

მოახერხა მხოლოდ მუშათა სახელმწიფომ, რადგან საზღვარი და მისი ბუნებრივი მდგომარეობის გამოყენება არ შეიძლება შეიქმნეს პროლეტარიატის და საზოგადოთ მშრომელთა ხელში შუღლი-მტრობის იარაღათ, მაგალითისთვის მან მოიყვანა ფაქტი, რომ კერძოთ ახალმა აზერბაიჯანმა გადასცა სომხეთს ის ადგილები, რომლისთვისაც ორ ბურჟუაზიულ ნაციონალისტურ მთავრობათა შორის მუდმივი ალიაქოთი იყო და სისხლი იღვრებოდა. ასეთი შეთანხმება საზღვრებზე სახელმწი-ფოთა შორის, რომელთა ძალა უფლება დაყრდნობილია ერთი და იმავე სოციალური ბუნების მატარებელ საზოგადოებრივ კლასებზე, სახელდობრ პროლეტარიატზე, ადვილი გასაგებია, ის შესაძლებელია მხოლოდ საბჭოთა ძალა უფლების ნაიდაგზე. ამავე ძალა უფლების ნიადაგზე ეროვნულ დამოუკიდებლობისთვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ სად თავდება ეს თუ ის საზღვარი, მაგალითად, ერთ ერთ, ჩვენს შემთხვევაში, ეგრედ წოდებულ ზონასთან, თვით ზონის რომელიმე შუა ხაზზე, თუ ამავე ზონის გადაღმა სიმაღლეებზე. როგორიც არ უნდა იყოს ჩვენი შეხედულება ორ დამოუკიდებელ რესპუბლიკათა სამზღვარზე – რომელმაც ჩვენ ხანაში მეზობელ სახელმწიფოთა შორის, ბუნებრივია, უნდა გაიაროს ამა თუ იმ ხაზზე – ერთი ცხადია, რომ მას ჩვენ ვერ დავუმორჩილებთ საკითხ სტრატეგიული მიზან-შეწონილობის ან ეგრედ წოდებული „ბუნებრივ" საზღვრების შესახებ. ასეთი კითხვის დაყენება ჰკვებავს ომს და ის პრინციპიალურათ ეწინააღმდეგება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში დღეს არსებულ რეჟიმის შინაარს. ესა თუ ის საზღვარი ჩვენთვის არ შეიძლება იყოს ფეტიში როგორც ისტორიული პერსპექტივის, ისე დღევანდელი დღის პრაქტიკული მოსაზრების თვალსაზრისით, კითხვა საზღვრების შესახებ სხვა და სხვა დროს სხვა და სხვა ნაირათ შეიძლება გადაიჭრას რეალური მოსახლეობის ან არსებულ ეკონომიური ხასიათის გარემოებათა მიხედვით და სხ. ჩვენ შორსა ვართ საზოგადოთ როგორც დამოუკიდებლობის გაღმერთებისაგან მაინცა და მაინც, ისე მის უარყოფისაგან იმ მხრითაც კი, რამხრითაც ეს შეიძლება გამოიხატოს საზოგადო საზღვრების უარყოფით. ჩვენ მოსურნე ვიქნებოდით გაგვეგო მოქ. შ. ნ-გან, როდის და სად დადგა კითხვა ეროვნული დამოუკიდებლობის მოსპობის და საზღვრების გაუქმების შესახებ ჩვენს დროში. შეიძლება ასე ესმის მას ზოგიერთი ზომები, მიღებული და მისაღები რესპუბლიკათა შორის საჭირო მჭიდრო ეკონომიური კ[ა]ვშირის შესაქმნელათ?

ბატონებო, თუ სურვილი გაქვთ მოიყვანოთ სხვისი აზრები, კეთილ ინებეთ მიაწოდოთ ის მკითხველებს მართლა „დაუპაჩინკებლათ" და ნაციონალისტური დემაგოგიის გაუწევლათ. ეს უეჭველია არ ეჭაშნიკება, სხვადასხვა გასაგები მიზნებით, ჩვენში აურზაურის ამტეხთ, მაგიერათ ეს გაუადვილებს მთავრობას თავის მძიმე მოვალეობის შესრულებას. ჩვენ შემთხვევა მოგვეცემა გავიგოთ რა გზას დაადგებიან ამ მხრივ გაზ. „სოციალ-ფედერალისტ"-ის ზოგი თანამშრომლები.

## პრესის მაგიერ

*წყარო: გაზეთი „კომუნისტი", 12 მაისი, 1921 წ., № 57, გვ. 1.*

ამხ. ნარიმანოვის მიერ გამოთქმულ აზრის გამო ხელოვნურ საზღვრების წაშლის შესახებ გაზ. „სოციალისტ ფედერალისტმა" წამოაყენა კითხვა საქართველოს დამოუკიდებლობაზე და ეჭვი შეიტანა ამ დამოუკიდებლობის შენარჩუნებაში, რამდენადაც, მისი აზრით, ვიღაცას გან[ზ]რახვა საზღვრების წაშლის შესახებ მოყვანილი იქნებოდა სისრულეში.

ამაზე გამოვსთქვით საპასუხოთ ჩვენი შეხედულება საზღვრების შესახებ, რომელთა მოსპობაზე კითხვა, ჩვენის ცნობით, არც რუსეთის ფედერაციის პრაქტიკაში და მით უმეტეს არც ჩვენში არ დამდგარა, რომ ამით გაუქმებულიყო ამა თუ იმ საბჭოთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობა. ჩვენ ვთხოვეთ მოქ. შ.ნ-ს დაესახელებია, თუ მას ჰქონდა სახეში რომელიმე შემთხვევა ასეთი ცდის. და ჩვენ სრულიადაც არ გვდომებია გამოვსულიყავით კამათის საზღვრებიდან, და რაღაც სხვა ნიადაგზე გადაგვეტანა კითხვა, როგორც ეს მას მოსჩვენებია. თუ ჩვენ ვლაპარაკობდით მჭიდრო ეკონომიური კავშირისათვის საჭირო ზოგ ზომების შესახებ, ეს იმიტომ, რომ სწორეთ ეს ზომები მიაჩნია მოქ. შ.ნ.-ს ზოგ ამხანაგებს სახიფათოთ ჩვენი დამოუკიდებლობისთვის. „გამოძიებაზე" ლაპარაკის დაწყება ამ შემთხვევაში, რბილათ რომ ვსთქვათ, ზედმეტია.

ჩვენ ვსწერდით: „საბჭოთა ძალაუფლების ნიადაგზე ეროვნულ დამოუკიდებლობისთვის მნიშვნელობა არა აქვს, თუ სად თავდება ესა თუ ის საზღვარი, მაგ., ერთ-ერთ, ჩვენს შემთხვევაში, ეგრედ წოდებულ ზონასთან, თვით ზონის რომელიმე შუა ხაზზე, თუ ამავე ზონის გადაღმა

სიმაღლეებზე“. ცხადია, რომ ლაპარაკია საზღვარზე, ე.ი. ქვეყნის განაპირა ხაზზე. მარა მოქ. შ.ნ.-მ ჩემი წინადადება მარდათ შუაზე გასწყვიტა, მოიყვანა მისი პირველი ნახევარი და გვეკითხება: „შეიძლება თუ არა, რომ საბჭოთა ძალა-უფლების ნიადაგზე საქართველოს საზღვარი გაევლოს გორთან ან თბილისთანო. ამ „ლოღიკით“ ჩვენ მოწინააღმდეგეს შეეძლო გორის მაგიერ ქუთაისი დაესახელებია მაგალითად. მაგრამ რა საერთო აქვს ასეთ ოთურმას[1] ჩვენს კამათთან?

საკითხი საზღვრების კონკრეტიული ხაზის შესახებ გარკვეული იქნება დაინტერესებულ მხარეების მიერ და არსებული მუშურ-გლეხური რეჟიმის გამო, უმტკივნეულოდ გადაწყვეტილი. ამ მხრივ დამოუკიდებლობას არავითარი საფრთხე არ მოელის მეზობლებისაგან. საერთო მტერი ყავს ყველა ჩვენს რესპუბლიკებს და ამ უმთავრესისკენ უნდა იყოს მიქცეული მთელი ხალხის ყურადღება. ეს უნდა შევაგნებინოთ როგორმე იმ ხალხს, რომელსაც ჩვენი დამოუკიდებლობის საეჭვო მეგობრებათ გამოყავს მეზობელი საბჭოთა რესპუბლიკები, რასაკვირველია განსჭვრეტილი და გადიდებული ნაციონალისტური სათვალეების საშუალებით.

1 ოთურმა ერთგვარი საბავშვო თამაშია [რედ].

# ნაწილი III
## უცხოენოვანი საგაზეთო პუბლიკაციები
### ორიგინალები და თარგმანები
### (1919 წელი)

## ДЕЙСТВІЯ ПРАВИТЕЛЬСТВА.
## Делегація правительства Грузинской республики.

*Источник: газета «Борьба», 10-го января, 1919 г., # 6 (262). стр. 3.*

Вчера ночью выѣхала въ Парижъ делегація Грузинскаго правительства въ слѣдующимъ состав; Предсъдатель делегаціи Н.С. Чхеидзе; делегаты: И.Г. Церетели, Н.Я. Николадзе, Іос. Гобечія, Р. Рцхиладзе.

Советники делегаціи: проф. И.А. Джаваховъ, ген. Одишелидзе, д-ръ В. Бамбашидзе и В. Геаоэ. Управляющий дълами делегаціи И.И. Зурабевъ, помощник его – Е.Г. Демолонъ-Церетели, І.А. Гогелашвили.

## მთავრობის ქმედებები.
## საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია

*წყარო: გაზეთი „ბორბა“ (Борьба), 10 იანვარი, 1919 წ., № 6 (262), გვ. 3.*

თარგმანი

გუშინ ღამით პარიზისაკენ გაემგზავრნენ საქართველოს რესპუბლიკის დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: დელეგაციის თავმჯდომარე ნ.ს. ჩხეიძე, დელეგატები: ი.გ. წერეთელი, ნ.ი. ნიკოლაძე, იოს. გობეჩია, გ. რცხილაძე.

დელეგაციის მრჩეველნი: პროფ. ი.ა. ჯავახოვი, გენ. ოდიშელიძე, დოქტ. ვ. ბამბაშიძე[1] და ვ. გეაბე[2], დელეგაციის საქმეთა მმართველი ი.ი. ზურაბოვი, მისი თანაშემწე – ე.გ. დემოლონ-წერეთელი[3], ი.ა. გოგელაშვილი.

## Le martyre de l'Arménie
### (DE NOTRE ENVOT* SPÉCIAL)
**Constantinople, janvier.**

*Source: Journal "Le Petit Parisien", 1919, 11 janvier, pp. 3.*

Je vous ai parlé, dans ma précédente dépêohe, des affreux massacres arméniens, mais j'ai dû, pour rester dans les limites d'un télégramme, rapporter seulemeut quelques-uns des épisodes de ce carnage effroyable. Je ne vous ai pas parlé de la boucherie de Bakou où, dans certaines ruelles, le sang coulait comme un ruisseau; il y

1 უნდა იყოს: ვ. ღამბაშიძე [რედ.].

2 უნდა იყოს: ვ. ბაბე [რედ.].

3 ე.გ. დემოლონ-წერეთელი – ელენე გიორგის ასული წერეთელი იყო ირაკლი წერეთლის და, ალბერ დემოლონის მეუღლე [რედ.].

eut là quinze mille victimes. Je ne vous ai pas parlé non plus du malheureux sort de milliers et de milliers d'enfants arméniens arrachés par les Turcs à leurs familles pour être convertis à la religion de Mahomet. Le gouvernement a bien donné des ordres pour que ces enfants fussent recherchés et restitués à leurs parents. Mais leurs parente ne sont plus; ils ont tous péri sous les coups des assassins. Certains fanatiques se refusent du reste à libérer leurs petits prisonniers qu'ils gardent jalousement et qu'ils maltraitent. Au cours de perquisitions on a trouvé des petites filles enfermées dans des caisses, d'autres murées, pour ainsi dire, dans des placards. Je puis affirmer qu'à l'heure actuelle, malgré les instructions gouvernementales, plus de cinquante mille enfants sont encore aéqueatrés.

## სომხეთის მარტვილობა
## (ჩვენი საგანგებო წარგზავნილისგან)

**თარგმანი**

**კონსტანტინოპოლი, იანვარი**

*წყარო: გაზეთი: "Le Petit Parisien" (ლე პეტიტ პარიზიან), 1919 წ., 11 იანვარი, გვ. 3.*

წინა დეპეშაში, მე უკვე გიამბეთ სომხების საშინელ ხოცვა-ჟლეტის შესახებ, მაგრამ იმისათვის, რომ ტელეგრამის ფორმატს არ გავცდენოდი, იძულებულ ვიყავი ამ სასტიკი სისხლისღვრის მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდის შესახებ მომეთხრო თქვენთვის; მაგრამ არაფერი მითქვამს ბაქოში მოწყობილ სასაკლაოზე, რომლის დროსაც ქუჩებში სისხლის მდინარეები მოედინებოდა. ამ ამბავს მაშინ 15000 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. არც იმ ათასობით სომეხი ბავშვის უბედურებაზე მილაპარაკია, რომლებიც თურქებმა საკუთარ ოჯახებს მოგლიჯეს და მუჰამედის რჯულზე მოაქციეს. მთავრობამ ბრძანება გასცა სასწრაფოდ მოეძებნათ ეს ბავშვები და მშობლებისთვის დაებრუნებინათ. მაგრამ სადღა იყვნენ მათი მშობლები — ისინი მკვლელების ხელით იყვნენ განგმირულნი. ზოგიერთმა ფანატიკოსმა, სხვათა შორის, უარი განაცხადა პატარა ტყვეების გათავისუფლებაზე, ვერაგულად დაიტოვეს ისინი და საშინლად ეპყრობოდნენ. ჩხრეკის დროს იპოვეს ყუთებში და კარადებში გამოკეტილი პატარა გოგონები. შემიძლია დანამდვილებით მოგახსენოთ, რომ ამჟამად, მიუხედავად მთავრობის მითითებებისა, ორმოცდაათი ათასზე მეტი ბავშვი კვლავ ტყვეობაში რჩება.

## La République du Caucase

*Source: Journal "Le Petit Parisien", 1919, 11 janvier, pp. 3.*

Je viens de m'entretenir ici longuement avec le représentant de la petite République arménienne du Caucase. Je ne pense pas qu'il puisse être un plus malheureux petit pays. C'est aussi un fier pays et qui a droit au respect, car il s'est vaillamment battu et s'ost fait décimer avant do se rendre à un ennemi cent fois supérieur en nombre. C'est un de nos petits alliés auquel l'Ententè doit rendre justice.

On sait qu'après le traité de Brest-Litowsk, l'Arménie, la Géorgie et l'Azerbeidjan formèrent une éphémère république transcaucasienne. L'Anménie, avec pour capitale Erivan, comprenait à cette époque une population d'à peine un million d'habitants dont beaucoup de réfugiés et un oertain nombre de soldats d'origine arménienne qui avaient quitté l'armée turque. Le Géorgie, s'étant liée par un accord secret avec l'Allemagne, la République transcaucasienno cessa d'exister et l'Arménie se trouva bientôt isolée. Sa faible milice de volontaires, sous les ordres d'un chef valeureux, le général Antranik, dut lutter contre une armée turque de quarante mille hommes auquels étaient venus se joindre les Tartares de l'Azerbeidjen qui, de religion musulmane, avaient été facilement catéchisés par les émissaires d'Enver pacha.

Les Arméniens, disent les Turcs, sont les alliée de l'Entente, donc doivent être ennerois de tous bons musulmans. Bloqués sur le territoire, toutes leurs communication par chemins de fer coupées, ayant perdu trente

mille hommes, les Arméniens durent demander la paix aux Turcs. Ceux-ci, dans un congrés réuni à Trébizonde, voulurent leur imposer le traité de Brest-Litowsk. L'Arménie refila flerement de reconnaître ce honteux traité et, à moitié anéantie déjà, sans hommes, sans munitions, sans argent, sans rien que sa ferme volonté, reprit une lutte désespérée. L'armée arménienne a lutté, agonisante et farouche, jusqu'au mois de février de cette année. Errante et dépouillée, obligée chaque jour de battre en retraite après avoir soutenu des combats acharnés, après avoir défendu Erzeroum avec une énergie sauvage, elle dut enfin se résigner à déposer les armes.

Le dérisoire traité de paix sitmé à Batoum en février 1918 a concédé aux survivants de la petite épopée arménienne un territoire de neuf mille kilomètres carrés, dans le Caucase, autour du lac de Sevan.

## კავკასიის რესპუბლიკა

თარგმანი

*წყარო: გაზეთი „Le Petit Parisien“ (ლე პეტიტ პარიზიან), 1919, 11 იანვარი გვ. 3.*

ცოტა ხნის წინ ხანგრძლივი საუბარი მქონდა კავკასიის პატარა სომხური რესპუბლიკის წარმომადგენელთან. არა მგონია, რომ კიდევ სადმე არსებობდეს ასეთი მრავალტანჯული პატარა ქვეყანა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სომხეთი სიამაყით აღვსილი მხარეა, რომელიც პატივისცემას იმსახურებს, ვინაიდან ყოველთვის მამაცურად ხვდებოდა მომხდურს და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ეწირებოდა მტერს. მტერი კი რიცხობრივად ყოველთვის ბევრად სჭარბობდა. ეს ქვეყანა ჩვენი პატარა მოკავშირეა, რაც ანტანტამ ჯეროვნად უნდა დააფასოს.

ცნობილია, რომ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების დადების შემდეგ, სომხეთმა, საქართველომ და აზერბაიჯანმა შექმნეს ამიერკავკასიის რესპუბლიკა, რომელმაც ძალიან ცოტა ხანს იარსება. სომხეთის (დედაქალაქი ერევანი) მოსახლეობა ამ დროს შეადგენს დაახლოებით ერთ მილიონ მცხოვრებს, რომელთაგან მნიშვნელოვანი ნაწილი ლტოლვილია და ასევე სომხური წარმოშობის ჯარისკაცები, რომლებმაც თურქული არმია დატოვეს. ვინაიდან საქართველო ფარული შეთანხმებით გერმანიას გაურიგდა, ამიერკავკასიის რესპუბლიკამ არსებობა შეწყვიტა და სომხეთი იზოლირებული აღმოჩნდა. მოხალისეებისაგან შემდგარი მისი ახალგაზრდა, გამოუცდელი მილიცია, მამაცი გენერლის, ანდრანიკის მეთაურობით, იძულებული იყო შებრძოლებოდა თურქების ორმოც ათასიან ჯარს, რომელთა რიგებს შეუერთდნენ აზერბაიჯანელი თათრები. ეს უკანასკნელნი, თავიანთი მუსულმანური რჯულის გამო, ენვერ ფაშას ემისრებმა ადვილად გადაიბირეს.

როგორც თურქები ამბობენ, სომხები ანტანტის მოკავშირეები არიან და აქედან გამომდინარე, ისინი ყოველი კეთილმორწმუნე მუსულმანისთვის მტრებს წარმოადგენენ. საკუთარ ტერიტორიაზე ბლოკირებული, ურკინიგზოდ დარჩენილი სომხები, რომლებმაც ბრძოლებში ოცდაათი ათასზე მეტი ადამიანი დაკარგეს, იძულებულნი გახდნენ თურქებისთვის ზავი ეთხოვათ. თურქებმა კი გადაწყვიტეს მათთვის თავს მოეხვიათ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება; სომხეთმა მტკიცე უარი განაცხადა ამ სამარცხვინო ხელშეკრულების აღიარებაზე და, სანახევროდ განადგურებული, მცირერიცხოვანი ჯარით, შეიარაღების გარეშე დარჩენილი, უფულო, მხოლოდ საკუთარი ურყევი ნებისყოფის იმედად, უშეღავათო ბრძოლაში ჩაება. დასუსტებულმა და მედგარმა სომხურმა ჯარმა თებერვლის თვემდე იბრძოლა. დაქსაქსული და განძარცვული, მრავალ ბრძოლაგადატანილი ჯარი, რომელიც გააფთრებით იბრძოდა ერზრუმისათვის, ბოლოს იძულებული გახდა მარცხს შეგუებოდა და იარაღი დაეყარა.

1918 წლის თებერვალში ბათუმში ხელმოწერილი ხელშეკრულების მიხედვით, ამ ტრაგედიას გადარჩენილ სომხებს გადაეცათ 9000 კვადრატული კილომეტრი ფართობის ტერიტორია სევანის ტბის გარშემო.

## Un peuple agonise

*Source: Journal "Le Petit Parisien", 1919, 11 janvier, pp. 3.*

C'pst là que depuis onze mois, onze longs mois, un peuple agonise, sans pain, sans foyer, sans vêtements, sans secours, sans communication avec le reste du monde. Des six vilayets arméniens d'Anatolie, fuyant devant les hordes des assassins, et pour échapper aux bourreaux, cinq cent mille réfugiés sont venus aussi chercher refuge sur cette misérable terre, trop pauvre pour nourrir cent mille hommes. C'est la détresse, c'est la famine, c'est. l'abandon. Des malheureux à moitié nus, sans abri et sans rien, errent désolément à travers les forêts immenses de cette région perdue et rongent Les racines ou bien paissent l'herbe... La mort délivre les plus heureux. Les champs stériles sont jonchés de cadavres.

Et voilà ce qu'a vu, de ses yeux vu, un Arménien qui a pu s'évader de cette terre Maudite: une femme morte au milieu d'un chemin désert… Un nouveau-né, frappé de mort quand il cherchait à boire la vie, était figé sur son sein gauche, les lèvres encore collées à la chair maternelle…

C'est cela qui se passe, à l'aube de l'année 1919, sur notre pauvre terre. Ah comme on conçoit que les alliés soient partout acouewiœ en libérateurs, en sauveurs et en justiciers.

Maurice PRAX.

## ხალხი სიკვდილის პირზეა

თარგმანი

*წყარო: გაზეთი „Le Petit Parisien“ (ლე პეტიტ პარიზიან), 1919, 11 იანვარი გვ. 3.*

მოხდა ისე, რომ თერთმეტი თვის განმავლობაში მოსახლეობა სიკვდილის პირასაა მისული, მშიერი, უსახლკაროდ დარჩენილი, ჩაუცმელი, დანარჩენი სამყაროსგან მოწყვეტილი, ყოველგვარი დახმარების გარეშე დარჩენილი. ანატოლიის ექვსი სომხური ვილაიეთიდან მკვლელებს და ჯალათებს გამოქცეული ხუთასი ათასი ლტოლვილიც ცდილობს თავი შეაფაროს ამ უბედურ ქვეყანას, რომლის მიწა-წყალიც ძალზედ მწირია იმისათვის, რომ ასეულ ათასობით ადამიანი გამოკვებოს. გაჭირვება, შიმშილი და უიმედობა გამეფებულა სომხეთში. ნახევრად შიშველი, უსახლკარო და უქონელი უბედური ადამიანები ამ გადაკარგული რეგიონის ტყეებს მოსდებიან და ხის ფესვებს ღრღნიან ან ბალახს ძოვენ. უმართლებს იმათ, ვისაც სიკვდილი იხსნის ამ სასოწარკვეთილი ყოფისაგან. უნაყოფო მინდვრები ცხედრებითაა მოფენილი.

ამ დაწყევლილ მიწას თავდაღწეულმა ერთმა სომეხმა საკუთარი თვალით იხილა უკაცრიელ გზაზე მკვდარი ქალის ცხედარი. ქალს ახალშობილი ბავშვი ეწვინა მკერდზე, რომელიც ძუძუს წოვდა.

აი, ასეთი ამბები ხდება ჩვენს საწყალ მიწაზე, 1919 წლის გარიჟრაჟზე. არადა, როგორ ვიმედოვნებდით, რომ მოკავშირეები მოგვევლინებოდნენ, როგორც მხსნელები და როგორც სამართლის აღმდგენნი!

მორის პრაქსი

## The Re-making of Nations
## IX. – Armenia.

(By a Special Correspondent.]

*Source: Journal "Sheffield Daily Telegraph", 1919, 21 January, pp. 4..*

Most unhapphy of all peoples who look to the Allied victory to afford them a renewal of nationhood has been the Armenian people: for while the others have been denied the right to liberty, the Armenians under the rule of Turkey have been denied the right to life itself. It has been supposed that the granting of independence to Armenia would be an empty boon because there are no Armenians left to accept it. But Armenia extends into both Russian and Persian Aremnians, who number over a million, have not been massacred; even in Turkish Armenia there

are survivors, although the work was done with terrific thoroughness; and there are about a quarter of a million Armenians scattered over other parts of the globe.

The King, the Lady, and the Hawk.

The misfortunes of Armenia are not simply a matter of recent times, and Sir John Mandeville, fourteenth-century traveler of renown and liar of genius, gave a queer supernatural explanation of Armenia's persistent ill-luck. There was, he said, a certain castle on a rock where a mystical sparrow-hawk sat upon a perch, and was tended by a "fair lady of faerie". If anyone looked upon this bird steadily for seven days and nights, without sleep and without company, the gratification of any early wish would be granted to him. A King of Armenia came to the castle and succeeded in performing the vigil. At the end of it the lady, who was of surpassing beauty, appeared before him and asked him to tell his wish. The dazzled monarch replied that he could wish for nothing other than the lady herself. She told him that he was foolish, for she was a spiritual and not an earthy being, and could not bestow herself upon him. Nevertheless he repeated his wish: whereupon she laid a curse upon him and his people, and ever since then – Sir John did not name any date for the episode - Armenia has been in travail.

We have to find a more commonplace explanation than this for Armenia's sorrows, and we may discover it in the country's topography. The lofty plateau inhabited by the Armenian people lies athwart one of the greatest highways between Europe and Asia. These great inter-continental highways are the conquerors, who have been accustomed to subdue the peoples along their route so as to secure, as we say nowadays, their kines of communication. This particular track was used by Persians, Greeks, Romans, Arabs, Mongols, Turks, and Russians, to say nothing of other and more obscure invaders; hence the real wonder is not that the Armenian kingdoms were constantly in difficulties, but that there should ever have been any Armenian kingdoms at all.

The two Armenian Races.

The first Armenian kingdom of which we know anything existed seven or eight hundred years before the Christian era; the Armenian people of that time belonged to a mysterious non-Aryan race, diluted with Assyrian and Hebrew elements. To these, in the seventh century B.C., came invaders belonging to our own great Aryan family, who occupied the towns and the rich lands and drove the other race up into the hills. To this day the Armenian hill-folk are of a racial type quite different from that of the town-dwelling, cosmopolitan Armenians whom many of us have come across at one time or another. This composite Armenia became in time Persian property; afterwards it was under the suzerainty of Alexander the Great and his successors; later still it was divided into two independent kingdoms with Roman approaval, which was afterwards withdrawn, for Aremnia was conqured by Pompey.

The ownership of the country was long in dispute between Romans and Persian; eventually, in A.D. 387, they portioned it between them. In the seventh century the Arab Caliphs came up from Mesopotamia and seized the country, and their authority was fiercely disputed by the Greek Emperors at Constantinople.

Under the auspices of the Caliphs Armenia again became a separate kingdom, and this split up into several kingdoms, one of which, Georgia, remained under an Armenian dynasty until Russians absorbed it in 1801 [xazgasma – red.]. The other Armenian kingdoms were swamped by Mongol invaders, and in 1314 fell into the hands of the Ottoman Turks. During the nineteenth century the Russians acquired a good deal of Armenia, and would have acquired more, and protected what they did not acquire, if they had not been warned off by the terms of the Treaty of Berlin in 1878.

### The Massacres.

About 25 years ago the violent activities of revolutionary secret societies in Turkish Armenia led the Turkish authorities to take measures of suppression. The designs of the revolutionaries had little support among the bulk of the population; but the Turks, with their customary cruel fatuousness, confused the innocent with the guilty, and indulged in wholesale massacres. This policy of slaughter was revived intermittently until 1908, when the Young Turks overthrew Abdul Hamid. We thought then that the days of massacre were over, but they were not; the worst was yet to come. In 1915 the Turks, with German approval, deliberately set about extirpating the whole Armenian population. In the black story of how the Kaiser and his friends made war, there is no fouler page than this one.

In 1916 the armies of the Czar forced the gateway of Turkish Armenia, and most of the country was liberated. The Armenians would probably have been content with autonomy under the Czar' sovereignty; but the Romanoffs were overthrown, and Lenin and Trotsky, those illustrious, upholders of freedom, not only handed Turkish Armenia back to its persecutors, but conceded to the Turks portions of Armenia that before the war had been under Russian rule.

### The New Armenia.

Armenia now asks for independence. The Armenians claim that they are entitled to it topographically and racially, for although they are of dual origin they are one people by long tradition. They have a Christian Church of their own, the Armenian or Gregorian Church, distinct from either the Roman or the Greek Orthodox faith.

The boundaries of a new Armenian State do not involve any great difficulty except with regard to access to the sea. Trebizond is not an Armenian city; but it is the natural port of Armenia and an arrangement which did not concede Trebizond and the neighbouring coast to Armenia would be anomalous and unnatural.

A free Armenia would require support both politically and financially, and the Armenians are prepared to place themselves at first under the tutelage of either France, or Britain, or United States. They distrust international control, and after their experiences of the last 25 years they have every reason to do so. The Turk will certainly rule Armenia no more; the opportunity has come for which these people have waited so long and under such terrible durance, and we may regard Armenia as about to become definitely a member of the family of nations.

## ერების წარმოშობა
## IX ს. - სომხეთი
### [სპეციალური კორესპონდეტი]
#### თარგმანი

*ჟურნალი: „Sheffield Daily Telegrap“, 1919 წლის 21 იანვარი, სამშაბათი, გვ. 4.*

ყველაზე უბედური ერი მსოფლიოში, რომელიც იმედის თვალით შეჰყურებდა მოკავშირეთა გამარჯვებას, როგორც მათი სახელმწიფოებრიობის აღდგენის ერთ-ერთ საშუალებას, სომეხი ხალხი აღმოჩნდა: მაშინ, როდესაც სხვებს თავისუფლებაზე ეუბნებოდნენ უარს, თურქეთის ბატონობის ქვეშ მყოფ სომხებს თავად სიცოცხლის უფლება მოუსპეს. ისეთი აზრიც კი არსებობდა, რომ სომხეთისთვის თავისუფლების მიცემა სრულიად ფუჭი იქნებოდა, რადგან ამ თავისუფლების მიმღები სომხებიც კი აღარ არსებობდნენ დედამიწის ზურგზე. თუმცა ფაქტია, რომ სომხობა საკუთარ რიგებში ითვლის როგორც რუსეთის, ისე სპარსეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ თანამემამულეებს, რომელთა რიცხვიც მილიონს აჭარბებდა და რომლებიც ამოწყვეტას გადაურჩნენ; თურქეთის სომხეთშიც არიან ცოცხლად გადარჩენილი სომხები მიუხედავად იმისა, რომ მათი წმენდის „სამუშაო“ დიდი გულმოდგინებით სრულდებოდა. გარდა ამისა, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მეოთხედი მილიონი სომეხი სახლობს.

#### მეფე, ქალბატონი და შევარდენი

სომხეთის ბედუკუღმართობას მხოლოდ უკანასკნელი პერიოდის მოვლენებს ვერ მივაწერთ. მეთოთხმეტე საუკუნის მოგზაური სერ ჯონ მანდევილი იძლევა სომხეთის დაუსრულებელი უბედურების უცნაურ ზებუნებრივ ახსნას - კლდეზე აღმართული კოშკის ქანდარაზე, - ამბობს იგი, - ჯადოსნური მიმინო შემომჯდარიყო, რომელიც მოშინაურებული ჰყავდა ქალბატონს, „მშვენიერ ფერიას“. თუკი ვინმე შვიდი დღე-ღამის მანძილზე თვალმოუშორებლად შესძლებდა ფრინველის ცქერას, უძილოდ და მარტო, თანმხლები პირების გარეშე, მას ფერია ნებისმიერ პირველ სურვილს აუსრულებდა. ერთ დღესაც კოშკს სომხეთის მეფე მოადგა. მან შესძლო ფხიზლობა და ფრინველის ცქერა შვიდი დღე-ღამის მანძილზე. შვიდი დღის შემდეგ მას გამოეცხადა თვალისმომჭრელი სილამაზის ფერია და სთხოვა განეცხადებინა მისი სურვილი. ქალის სილამაზით დაბრმავებულმა მეფემ პასუხად მიუგო, რომ მისი ერთადერთი სურვილი იყო ის, რომ ფერია მისი გამხდარიყო. ფერიამ მიუგო, რომ მისი სურვილი განუხორციელებელი იყო, რადგან იგი სულიერი არსება იყო და არა მიწიერი და ამიტომ საკუთარ თავს მეფეს ვერ მიუძღვნიდა. მიუხედავად უარისა, მეფე დაუსრულებლად იმეორებდა საკუთარ სურვილს. გაბრაზებულმა ფერიამ დასწყევლა იგი და მისი ხალხი და მას შემდეგ (სერ ჯონი არ ასახელებს ამ მოვლენის თარიღს) სომხეთი მძიმე ბედქვეშ მოექცა.

ცხადია, ჩვენ სომხეთის ბედუკუღმართობის უფრო რეალური მიზეზები უნდა ვეძებოთ და ამ მიზნით პირველ რიგში, ამ ქვეყნის ტოპოგრაფია უნდა განვიხილოთ. მაღალი ზეგანი, სადაც სომეხი ხალხი ცხოვრობს, ევროპასა და აზიას შორის გამავალი ერთ-ერთი უმაღლესი მწვერვალის გარდიგარდმო მდებარეობს. ეს უდიდესი კონტინენტთშორისი მაღალმთიანეთი დასახლებულია დამპყრობლებით, რომლებიც ტრადიციულად იმორჩილებდნენ მათ გზაზე მცხოვრებ ხალხებს, რათა შეენარჩუნებინათ, თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, არსებული კავშირები. ამ კონკრეტული მარშრუტის მოსარგებლეები კი იყვნენ სპარსელები, ბერძნები, რომაელები, არაბები, მონღოლები, თურქები და რუსები, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა და კიდევ უფრო გაურკვეველი წარმოშობის დამპყრობლებზე. სინამდვილეში, გაოცებას იწვევს არა ის ფაქტი, რომ სომეხთა სახელმწიფოები დაუსრულებელი განსაცდელების წინაშე იდგნენ, არამედ ის, რომ ისინი საერთოდ არსებობდნენ.

## ორი სომხური რასა

პირველი სომხური სახელმწიფო, რომლის შესახებაც ცნობები მოგვეპოვება, ქრისტეს წელთაღრიცხვამდე 700-800 წლით ადრე არსებობდა; იმ პერიოდის სომეხი ხალხი მიეკუთვნებოდა იდუმალებით მოცულ არა-არიანულ რასას, რომელშიც აღრეული იყო ასირიული და ებრაული ელემენტები. ქრ. წ.აღ.-მდე მე-7 საუკუნეში მათ თავს დაესხნენ დამპყრობლები, რომლებიც მიეკუთვნებოდნენ ჩვენს დიდ არიანულ ოჯახს. მათ დაიკავეს ქალაქები და ნაყოფიერი მიწები და უცხო რასის წარმომადგენლები მაღალ მთებში განდევნეს. მაღალმთიანეთის სომხობა დღემდე დიდად განსხვავდება ქალაქში მცხოვრები სომხებისგან - კოსმოპოლიტენური სომხებისგან, რომელთაც ბევრი ჩვენგანი ცხოვრების მანძილზე შევხვედრივართ. ასეთი მრავალფეროვანი სომხობა გარკვეული დროით სპარსელების საკუთრებას წარმოადგენდა, შემდეგ ალექსანდრე დიდისა და მისი შთამომავლების სუზერენიტეტის ქვეშ მოექცა, მოგვიანებით კი რომის თანხმობით დაიყო ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, რაც მოგვიანებით გაუქმდა, რადგან სომხეთი პომპეუსმა დაიპყრო.

თუ ვისი საკუთრება უნდა ყოფილიყო სომხეთი, ამ საკითხზე დიდი ხნის მანძილზე დავობდნენ რომაელები და სპარსელები. საბოლოოდ, ჩვ.წ.აღ.-ით 387 წელს მათ სომხეთი გადაინაწილეს. მეშვიდე საუკუნეში ქვეყანა დაიპყრეს მესოპოტამიიდან მოსულმა არაბმა ხალიფებმა. მათ ძალაუფლებას კატეგორიულად აპროტესტებდნენ ბერძენი იმპერატორები კონსტანტინოპოლში.

ხალიფების მფარველობით, სომხეთი კვლავ ცალკე სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა, რომელიც რამდენიმე სახელმწიფოდ დაიყო, რომელთაგან ერთ-ერთი - საქართველო - სომხეთის დინასტიის გავლენის ქვეშ რჩებოდა მის დაპყრობამდე რუსების მიერ, 1801 წელს [ხაზგასმა რედაქტორისა]. სხვა სომხურ სახელმწიფოებს მონღოლი დამპყრობლები შეესივნენ და 1314 წელს ისინი თურქ-ოსმალთა ხელში გადავიდნენ. მეცხრამეტე საუკუნეში რუსებმა სომხეთის დიდი ნაწილი დაიპყრეს და უფრო მეტსაც დაიპყრობდნენ და ქვეყნის დაუპყრობელ რეგიონებსაც საკუთარი გავლენის ქვეშ მოაქცევდნენ, 1878 წლის ბერლინის ხელშეკრულების პირობების დარღვევის რომ არ შეშინებოდათ.

## სისხლისმღვრელი ომები

დაახლოებით 25 წლის წინ თურქეთის სომხეთში საიდუმლო რევოლუციური ფორმირებების აქტიურმა მოქმედებებმა თურქეთის ხელისუფლება აიძულა, მათი მოქმედებების ჩახშობის ზომები მიეღო. მართალია, რევოლუციონერთა გეგმებმა ხალხის მასობრივი მხარდაჭერა ვერ მოიპოვეს, მაგრამ თურქები, მათთვის დამახასიათებელი სიჯიუტისა და ჭკუასუსტობის გამო, ვერ არჩევდნენ რა უდანაშაულო ადამიანებს დამნაშავეებისგან, მასობრივ სისხლისღვრებს აწყობდნენ. თურქეთი ასეთ სისხლისმღვრელ პოლიტიკას პერიოდულად მიმართავდა 1908 წლამდე, „ახალგაზრდა თურ-ქების" მიერ აბდულ ჰამიდის გადაგდებამდე. ყველა ჩვენგანი ვარაუდობდა, რომ სისხლის ღვრა ამით დასრულდებოდა, მაგრამ შევცდით. თურმე, უარესი წინ გველოდა. 1915 წელს თურქებ-მა, გერმანელების მხარდაჭერით, წინასწარგანზრახულად დაიწყეს სომეხი მოსახლეობის მასო-ბრივი განადგურება. ფაქტობრივად, ეს არის ყველაზე ბინძური ფურცელი კაიზერისა და მისი მეგობრების მიერ გაჩაღებული ომის სამარცხვინო ისტორიაში.

1916 წელს რუსეთის მეფის ჯარები თურქეთის სომხეთში შეიჭრნენ და ქვეყნის უდიდესი ნაწილი გაათავისუფლეს. სავარაუდოდ, სომხები კმაყოფილი უნდა ყოფილიყვნენ მეფის სუვერენიტეტით მიღებული ავტონომიით, მაგრამ რომანოვები ტახტიდან ჩამოაგდეს და ლენინმა და ტროცკიმ - თავისუფლების ცნობილმა მხარდამჭერებმა, თურქეთის სომხეთი არა მხოლოდ უკანვე გადასცეს მდევნელებს, არამედ თურქებს დაუთმეს სომხეთის ის რეგიონებიც, რომლებიც ომამდე რომის მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა.

## ახალი სომხეთი

დღეს სომხეთი დამოუკიდებლობას ითხოვს. სომხები ამტკიცებენ, რომ მათ გააჩნიათ დამოუკი-დებლობის უფლება, როგორც ტოპოგრაფიული, ისე რასობრივი თვალსაზრისით, რადგან ორმაგი წარმოშობის მიუხედავად, ისინი ტრადიციულად ერთი ხალხია. მათ აქვთ საკუთარი ქრისტიანული ეკლესია - სომხური გრიგორიანული ეკლესია - რომელიც განსხვავდება როგორც რომაული, ისე

ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესიისგან.

ახალი სომხეთის სახელმწიფოს საზღვრები რაიმე სერიოზულ პრობლემას არ ბადებს, თუ არ ჩავთვლით ზღვაზე გასასვლელს. ტრაპიზონი არ არის სომხური ქალაქი, მაგრამ წარმოადგენს სომხეთის ბუნებრივ პორტს და ანომალიური და არაბუნებრივი იქნებოდა ისეთი შეთანხმების გაფორმება, რომლის ძალითაც ტრაპიზონი და მისი მიმდებარე სანაპირო სომხეთს არ გადაეცემა.

მოსალოდნელია, რომ თავისუფალ სომხეთს დასჭირდება პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერა. სომხებიც მზად არიან, მიიღონ ნებისმიერი ქვეყნის მეურვეობა - იქნება ეს საფრანგეთი, ბრიტანეთი თუ შეერთებული შტატები. ისინი უნდობლობას უცხადებენ საერთაშორისო კონტროლს - მათი ისტორიის უკანასკნელი 25 წლის გათვალისწინებით, მათ აქვთ საამისო მიზეზი. ცხადია, თურქებსაც წაერთმევათ სომხეთის მმართველობა; სომხებს მიეცათ ხელსაყრელი შემთხვევა, რომელსაც დიდი ხნის მანძილზე და აუტანელი ტყვეობის პირობებში ელოდნენ. შეგვიძლია, ჩავთვალოთ, რომ სომხეთი დღე-დღეზე გახდება ერების დიდი ოჯახის წევრი.

## L’avis du gouvernement géorgien

*Source: Journal “Le Temps”, 1919, 25 Janvier, pp. 4.*

M. Z. Avalichvili, représentant du’ gouvernement géorgien, que nous avons pu voir ce matin, nous déclare que le gouvernement, géorgien exerça son pouvoir d’une manière régulière dès le 26 mai 1918, date delà proclamation de l’indépendance de la République géorgienne. Un Parlement siégeant à Tiflis, capitale de la nouvelle République, collabore avec le gouvernement. Une représentation de la Géorgie se trouve’ déjà à Paris et qu’elle va s’adjoindre dans quelques jours M. Tseretelli; ancien ministre russe, et M. Tcheidze, anciea président du conseil des ouvriers et soldats à Petrograd.

Un arrêté du commissariat populaire des affaires étrangères russes, publié à Petrograd le 26 décembre 1918, déclare, il est vrai, que «le gouvernement des Soviets a cessé de reconnaître la Géorgie comme un Etat indépendant», et ajoute que «toutes les personnes qui se considèrent comme citoyens de la Géorgie seront dorénavant traitées à l’égal des citoyens russes et devront se soumettre comme tels à tous les décrets et ordonnances du gouvernement des Soviets».

M. Avalichvili nous a dit que le gouvernement géorgien ne tient aucun compte de l’arrêté du, gouvernement des Soviets russes. il ignore, s’il est compris parmi les gouvernements russes invités à la conférence de Prinkipo. D’après le texte du communiqué officiel de la Conférence de la paix, seuls les gouvernements russes et les partis du peuple russe dans le sens national du mot peuvent participer à la conférence de Prinkipo.

D’autre part, s’il s’agit de soumettre la conférence toutes les questions concernant des territoires de l’ancien empire russe, y compris les nouvelles républiques, il semblerait que la Géorgie dût également être convoquée, bien que jusqu à présent ses représentants n’aient pas cu l’occasion de prendre position vis-à-vis de la dernière proposition des grandes puissances.

## ქართული მთავრობის განცხადება
### თარგმანი

*წყარო: გაზეთი „Le Temps” („ლე ტემსი“), 1919, 25 იანვარი, გვ 4.*

ქართული მთავრობის წარმომადგენელმა, ბატონმა ავალიშვილმა, რომელთანაც ამ დილით მოვახერხეთ შეხვედრა, განგვიცხადა, რომ ქართული მთავრობა უკვე წესისა და რიგისამებრ შეუდგა თავისი ხელისუფლების აღსრულებას, 1918 წლის 26 მაისიდან ანუ იმ დღიდან, როდესაც გამოცხადდა ქართული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა. პარლამენტი, რომლის ადგილსამყოფელია ტიფლისი, ახალი რესპუბლიკის დედაქალაქი, აქტიურად თანამშრომლობს მთავრობასთან. საქართველოს წარმომადგენლობა უკვე გახსნილია პარიზში და მალე წარმომადგენლის თანაშემწეებად დაინიშნებიან რუსეთის ყოფილი მინისტრი, ბატონი წერეთელი და პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე, ბატონი ჩხეიძე. პეტროგრადში, 1918 წლის 26 დეკემბერს გამოქვეყნებული, რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის დადგენილება აცხადებს, რომ „საბჭოების მთავრობა აღარ აღიარებს საქართველოს, როგორც

დამოუკიდებელ სახელმწიფოს“, და იქვე დასძენს, რომ „ყველა პირის მიმართ, რომლებიც თავს საქართველოს მოქალაქეებად მიიჩნევენ, ამიერიდან იქნება ზუსტად ისეთივე დამოკიდებულება, როგორიც რუსი მოქალაქეებისადმი და ისინი ვალდებულნი იქნებიან დაემორჩილონ საბჭოების მთავრობის ყველა დეკრეტსა და განრიგებას“.

ბატონმა ავალიშვილმა მოგვახსენა, რომ საქართველოს მთავრობა ამ დადგენილებას ანგარიშს არ უწევს. მისთვის არც ისაა ცნობილი, მიწვეულია თუ არა იგი, ისევე როგორც სხვა რუსი მმართველები, პრინკიპოს კონფერენციაზე. მშვიდობის კონფერენციის ოფიციალური კომუნიკეს ტექსტის მიხედვით, მხოლოდ რუსული მთავრობები და რუსი ხალხის პარტიები - სიტყვა „რუსის“ ეროვნული გაგებით - შეძლებენ მონაწილეობა მიიღონ პრინკიპოს კონფერენციაში. მეორე მხრივ, თუ ლაპარაკია იმის თაობაზე, რომ კონფერენციის განხილვის საგანი უნდა გახდეს რუსეთის ძველი იმპერიის კუთვნილი ტერიტორიების საკითხი, და მათ შორის, ახალი რესპუბლიკების თემაც, ცხადია, საქართველოც უნდა ყოფილიყო მიწვეული, გამომდინარე იქიდან, რომ ამ დრომდე მის წარმომადგენლებს არ მისცემიათ საშუალება გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრება და განემარტათ არსებული ვითარება ძლიერი ხელისუფლების წინადადების საპასუხოდ.

## A REPRÉSENTATION ARMÉNIENNE

*Source: "L'Humanité", 1919, 28 Janvier. p. 1.*

Nous avons reçu des Arméniens de Paris une protestation contre la non-représentation de l'Arménie à la Conférence de la Paix.

Cette protestation, nous l'avons déjà dit, est tout à fait justifiée. Nous la faisons nôtre.

Ceux qui ont admis le roi du Hedjaz n'avaient aucune raison pour ne pas admettre l'Arménie qui a fourni des combattants - et tant de martyrs! - à la cause des Alliés.

Ajoutons que le vapeur roumain Tassia, venant de Constantinople, a amené hier MM le docteur Sayan et St. M. Hindlian, avocet, délégués des Armeéniend de Bulgarie à la Conférece.

Ces délégues sont partis hier soir, à 23 h. 30, pour Paris.

## სომხური წარმომადგენლობა

*წყარო: „L'Humanité" ("ჰუმანიტე"), 1919, 28 იანვარი, გვ. 1.*

პარიზელი სომხებისაგან მივიღეთ საპროტესტო წერილი, რომელიც ეხება იმ ფაქტს, რომ მშვიდობის კონფერენციაზე სომხეთი წარმოდგენილი არ არის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს პროტესტი სრულიად საფუძვლიანია და ჩვენ ვეთანხმებით მას. არანაირი გამართლება არ აქვთ იმათ, ვინც კონფერენციაზე დაუშვა ჰეჯაზის მეფე და იმ სომხებს, რომლებმაც ამდენი მებრძოლი მიაშველეს და შესწირეს მოკავშირეების მიზნების აღსრულებას, უარი უთხრეს.

ვთქვათ ისიც, რომ რუმინეთის თბომავლით გუშინ კონსტანტინეპოლიდან კონფერენციაზე ჩამოვიდნენ დოქტორი საიანი და ადვოკატი მ. ჰინდლიანი, ბულგარეთის შეაიარაღებული ძალების დელეგატები.

ეს დელეგატები გუშინ წავიდნენ საღამოს 23:00 საათზე პარიზში.

## LA CONFÉRENCE DE PRINKIP

*Source: "L'Humanité", 1919, 29 Janvier, pp. 2.*

Signalons une difficulté. Lorsque la Conférence de la paix invite tous les gouvernements constitués ou en voie de seconstituer dans l'intérieur des frontières de l'ancienne Russie (Pologne et Finlande exceptées), elle pense évidemment, d'une part, aux gouvernements établis sur la base d'une revendication d'autonomie comme ceux du Caucase, de la Géorgie, de l'Ukraine, et d'autre part aux gouvernements de pure opposition politique, comme ceux de Koltchak à Omsk, ou de Tchaïkowski à Arkhangel. Mais si ce système est adopté, il ne serait que de stricte justice

d›appeler aussi les groupements soviétistes des régions plus ou moine détachées de la Russie comme celles que nous venons de nommer et auxquelles on peut ajouter l›Esthonie, les pays lettons. En vertu de quel principe, en effet, refuserait-on, par exemple, aux héroïques Soviets ukraniens, qui luttèrent contre l›Allemagne, un droit qu›on accorderait à l›officier de coup d›E-tat Koltchak?

## პრინკიპოს კონფერენცია

*წყარო: "L'Humanité" ("ჰუმანიტე"). 1919, 29 იანვარი, გვ. 2.*

ყურადღება მივაქციოთ ერთ რთულ გარემოებას. როდესაც მშვიდობის კონფერენცია იწვევს ყოფილი რუსეთის საზღვრებში ჩამოყალიბებულ ან ჩამოყალიბების გზაზე მდგომ ყველა მთავრობას (პოლონეთისა და ფინეთის გამოკლებით), იგი გულისხმობს, ერთი მხრივ, ავტონომიის მოთხოვნის საფუძველზე შექმნილ მთავრობებს, როგორიცაა კავკასიის, საქართველოს, უკრაინის მთავრობები და მეორე მხრივ, იმ მთავრობებს, რომლებიც შექმნილია როგორც წმინდა პოლიტიკური ოპოზიცია, როგორიცაა ომსკში კოლჩაკის ან არხანგელსკში ჩაიკოვსკის მთავრობა. მაგრამ თუ ამგვარი სისტემაა შემუშავებული, განუხრელი სამართლიანობის დასაცავად საჭირო იქნებოდა მიეწვიათ აგრეთვე ხელმძღვანელი საბჭოთა დაჯგუფებანი რუსეთიდან მეტ-ნაკლებად დაშორებული რეგიონებიდან, როგორიცაა ჩვენ მიერ ზემოთხსენებული რაიონები და ასევე ესტონეთი, ბალტიის ქვეყნები. გვაინტერესებს რომელი პრინციპიდან გამომდინარე ეუბნებიან უარს მონაწილეობის უფლებაზე გმირ საბჭოთა უკრაინელებს, რომლებიც გერმანიის წინააღმდეგ იბრძოდნენ და ამავე დროს მონაწილეობის უფლებას ანიჭებენ სახელმწიფო გადატრიალების შემოქმედ ოფიცერს კოლჩაკს?

[...]

## POUR L'INDEPENDANCE DE LA GEORGIE

*Source: "L'Humanité", 1919, 2 Febriev, p. 3.*

Située entre la chaîne du Caucase, l'Arménie et la mer Noire, la Géorgie, avec son territoire de 80,000 kilomètres carrés, ses 3,100,000 habitants, ses ressources agricoles et les richesses de son sous-sol, constitue, d'ores et déjà, un Etat indépendant et qui paraît attendre un avenir prospère.

Soumise pendant plus d'un siècle à la domination russe et maltraités - comme toutes les populations allogènes - par le gouvernement des tsars, les Géorgiens, des la révolution de février 1917, ont organisé leurs institutions politiques et administratives-propres, mais sans rompre tout lien avec la Russie.

Cette rupture s'est accomplie au lendemain de la révolution maximaliste. Depuis lors, la Géorgie a la direction totale de ses propres affaires. Elle a protesté contre le traité de Brest-Litovsk qui attribuait à la Turquie une partie de son territoire et qui assurait, aux Allemands la haute main sur ses richesses minières (naphte, cuivrem houille fer, etc.).

Elle a tenté de constituer, avec l'Etat tatare des bords de la Caspienne et avec l'Arménie, une Confédération de Transcaucasie. Cet organisme n'a duré que quelques mois, mais les Géorgiens ont l'intention d'essayer de le recréer et ils espèrent y parvenir, maintenant que la Turquie ne jouit plus d'aucun prestige au Caucase et ne put plus ni agiter les Tatares, ni ravager l'Arménie dite russe.

La Géorgie a envoyé des représentants. à la Conférence de la Paix. Ils viennent demander "aux Puissances belligérant, et neutres la reconnaissance de ce qui existe de fait: l'Etat indépendant de Géorgie».

Les représentants de la Géorgie sont tous des socialistes. C'est, que ces derniers ont au Parlement géorgien une écrasante majorité. Sur 120 membres que compte cette Assemblée, le parti national démocrate (bourgeois) en a 20; les socialistes fédéralistes (qui s'appartiennent aux socialistes révolutionnaires russes) en ont 20 aussi; enfin les socialdémocrates (tous mencheviks) en ont 80.

Le gouvernement géorgien est exclusivement composé de socialdémocrates. Il est présidé par le citoyen Jordania. Le Parlement est présidé par le citoyen Tcheidze, qui joua un granad rôle dans la révolution russe en qualité de président du soviet de Petrograd. La fraction socialdemocrate à sa tête le citoyen Tserètelli, un des plus

remarquables hommes d'action de la révolution russe, et qui fut un moment ministre dans le cabinet Kerensky.

Notre camarade Gvarjaladze, membre du - Parlement de Géorgie, nous a fait connaître que le parti socialdémocrate géorgien: a envoyé une délégation à Berne avec la mission demander pour ce parti une. représentation indépendante et de travailler à la reconstitution de l'Internationale ouvrière, an sein de laquelle les socialistes géorgiens constitueraient une section nationale.

## საქართველოს დამოუკიდებლობისათვის

*წყარო: "L'Humanité" ("ჰუმანიტე"), 1919, 2 თებერვალი, გვ. 3.*

კავკასიის ქედს, სომხეთსა და შავ ზღვას შორის მდებარე საქართველო რომლის ტერიტორია შეადგენს 80.000 კვ. კმ-ს, 3.100.000 მოსახლეობით, სასოფლო-სამეურნეო რესურსებითა და წიაღისეული სიმდიდრეებით, ამიერიდან დამოუკიდებელი სახელმწიფოა და აყვავებულ მომავალს იმედის თვალით უყურებს.

საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, ისევე როგორც სხვა არარუსი ხალხები, რუსეთის ბატონობისა და რუსი მეფეების სასტიკი მმართველობის მორჩილებაში იყვნენ. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ქართველებმა შექმნეს საკუთარი პოლიტიკური და ადმინისტრაციული ინსტიტუციები, მაგრამ რუსეთთან ყველა კავშირი არ გაუწყვეტიათ.

რუსეთთან საბოლოო დაშორება მოხდა დიდი რევოლუციის მეორე დღესვე. მას შემდეგ საქართველოს თავისი საკუთარი გზა აქვს. მან პროტესტი გამოთქვა ბრესტ-ლიტოვსკის ზავის წინააღმდეგ, რომელიც მისი ტერიტორიის ერთ ნაწილს თურქეთს მიაკუთვნებდა და საქართველოს წიაღისეული სიმდიდრეების (ნავთობი, სპილენძი, ქვანახშირი, რკინა და ა.შ) განკარგვის უფლებას გერმანელებს პირდებოდა.

საქართველო შეეცადა კასპიისპირელ თათართა სახელმწიფოსა და სომხებთან ერთად შეექმნა ამიერ კავკასიის კონფედერაცია. ამ გაერთიანებამ მხოლოდ რამდენიმე თვე იარსება, მაგრამ ქართველებს განზრახული აქვთ კვლავ შეეცადონ მისი აღდგენა და იმედოვნებენ, რომ ამას მიაღწევენ კიდეც. ამ იმედის საფუძველს მათ აძლევთ ის, რომ თურქეთს უკვე დაკარგული აქვს გავლენა კავკასიაში, აღარ შეუძლია მღელვარება შეიტანოს თათრებში ან კიდევ ააოხროს სომხეთი. საქართველომ თავისი წარმომადგენლები წარგზავნა მშვიდობის კონფერენციაზე. ისინი ჩამოვიდნენ იმისათვის, რომ ეთხოვათ მეომარი და ნეიტრალური ქვეყნების ხელისუფალთათვის აღიარება იმისა, რაც ფაქტიურად უკვე არსებობს: საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცნობა.

საქართველოს ყველა წარმომადგენელი სოციალისტია. ეს ნიშნავს იმას, რომ ქართულ პარლამენტში ისინი დიდ უმრავლესობას წარმოადგენენ. ასამბლეა ითვლის 120 წევრს. აქედან, ნაციონალურ-დემოკრატიულ (ბურჟუაზიულ) პარტიას ოცი წარმომადგენელი ჰყავს, სოციალისტ-ფედერალისტებს (რომლებიც ენათესავებიან რუს რევოლუციონერ სოციალისტებს) ასევე ოცი წარმომადგენელი ჰყავთ; და ბოლოს სოციალ-დემოკრატები ოთხმოცი დელეგატით არიან წარმოდგენილი.

ქართული მთავრობა მთლიანად სოციალ-დემოკრატებისაგან შედგება. მას სათავეში უდგას მოქალაქე ჟორდანია. პარლამენტის თავმჯდომარეა მოქალაქე ჩხეიძე, რომელმაც დიდი როლი შეასრულა რუსეთის რევოლუციაში როგორც პეტროგრადის საბჭოს თავმჯდომარემ. სოციალ-დემოკრატების ფრაქციას სათავეში უდგას მოქალაქე წერეთელი, რუსეთის რევოლუციის ერთ-ერთი თვალსაჩინო შემოქმედი, რომელიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში კერენსკის კაბინეტში მინისტრის პორთფელის მფლობელი იყო.

ამხანაგმა გვარჯალაძემ, საქართველოს პარლამენტის წევრმა, განგვიცხადა, რომ მისი პარტიის – საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბერნში წარგზავნილ დელეგაციას დავალებული აქვს მოითხოვოს ამ პარტიისათვის დამოუკიდებელი წარმომადგენლობა და იმუშაოს მუშათა ინტერნაციონალის აღდგენაზე, რომლის შემადგენლობაში ქართველი სოციალისტები ჩამოაყალიბებენ ეროვნულ სექციას.

## Les massacreurs d‘Arméniens en conseil de guerre

*Source: Journal "Le Temps", 1919, 11 Febriev, pp. 2*

Le procès de la première partie des prisonniers accusés d'avoir organisé des massacres d'Arméniens a commencé hier devant le conseil de guerre, à Constantinople.

Le principal accusé est Kemal bey, ancien gouverneur de Boghazlay, district du Yozghad, qui remplaça le gouverneur du Yozghad parce que ce-lui-ci n'était pas suffisamment expéditif dans l'exécution des ordres de Constantinople contre les Arméniens.

Deux autres accusés sont Kevftk, ancien commandant de la gendarmerie du Yozghad, et Fenaz Ali, fonctionnaire de l'administration des vakoufs pour le même district.

Le procureur général insiste dans son réquisitoire sur la nécessité de châtier les auteurs des faits, qui, dit-îl, ont rempli d'horreur l'humanité entire.

## სომეხთა ხოცვა-ჟლეტის მომწყობნი სასამართლოზე

თარგმანი

*წყარო: გაზეთი „Le Temps" („ლე ტემპსი"), 1919, 11 თებერვალი, გვ 2.*

გუშინ, კონსტანტინოპოლში, სამხედრო სასამართლოში დაიწყო სომეხთა მასობრივი მკვლელობის მოწყობაში ბრალდებული ტყვეების პირველი ნაწილის პროცესი.

ამ საქმეში მთავარი ბრალდებულია იოზგადის რაიონის ბოღაზლის ყოფილი მმართველი ქემალ ბეი, რომელიც თანამდებობაზე მხოლოდ იმის გამო დაინიშნა, რომ მისი წინამორბედი საკმარისად მარდად და ეფექტურად ვერ ასრულებდა კონსტანტინოპოლის ბრძანებებს სომხების წინააღმდეგ.

ასევე ბრალდებულნი არიან იოზგადის ჟანდარმერიის ყოფილი კომენდანტი კევტიკი და ამავე რაიონის ვაკუფების ადმინისტრაციის მოხელე ფენაზ ალი.

საბრალდებო სიტყვაში გენერალურმა პროკურორმა დაბეჯითებით მოითხოვა, რომ მკაცრად დასჯილიყვნენ ამ მოვლენების შემოქმედნი, ადამიანები, რომელთა ჩადენილმა გაუგონარმა დანაშაულებებმა თავზარი დასცა კაცობრიობას.

## Les crimes turcs

*Source: Journal "Le Temps", 1919, 19 Febriev, pp. 2.*

On mande de Constantinople à l'agence Reuter çuo le conseil de guerre continue à entendre la déposition des témoins dans l'affaire des trois hauts fonctionnaires prévenus d'avoir organisé et dirigé les déportations et massacres d'Arméniens dans le district de Yozghad.

Les prévenus persistent dans leurs dénégations, mais les récits des témoins dépassent en horreur tout. ce qui a été révélé jusqu'ici.

Les journaux annoncent l'arrestation, à Zunguîdak, port de la mer Noire, près d'Héraclée, du fameux Kuri pacha, frère d'Enver pacha et ancien commandant des troupes turques au Caucase.

## თურქული დანაშაულებები

თარგმანი

*წყარო: გაზეთი „Le Temps" („ლე ტემპსი"), 1919, 19 თებერვალი, გვ. 2.*

როგორც როიტერის სააგენტოს კონსტანტინოპოლიდან ატყობინებენ, სამხედრო სასამართლო კვლავ აგრძელებს მოწმეთა ჩვენებების მოსმენას სამი მაღალი თანამდებობის მოხელის საქმის შესახებ, რომლებსაც ბრალი ედებათ იოზგადის რაიონში სომეხთა მასობრივი ხოცვა-ჟლეტისა და

დეპორტაციის მოწყობაში.

ბრალდებულები დაჟინებით უარყოფენ წაყენებულ ბრალდებებს, მაგრამ მოწმეთა მონათხრობი ფარდას ხდის ადამიანების მიმართ სასტიკი მოპყრობის აქამდე გაუგონარ უამრავ მაგალითს. გაზეთების ინფორმაციით, ჰერაკლიონთან ახლოს, შავი ზღვის პორტ ზუნ-გიდაგში დააკავეს თავისი სისასტიკით სახელგავარდნილი ყური ფაშა, ენვერ ფაშას ძმა, კავკასიის თურქული საჯარისო შენაერთების ყოფილი კომენდანტი.

## Le revendications arméniennes

*Source: Journal "Le Temps", 1919, 27 Fevrier, pp. 4.*

Les délégués arméniens, entendus cet après-midi par le conseil des grandes puissances, ne se bornent pas à réclamer pour la République arménienne les territoires de l'Arménie proprement dite. Leurs prétentions visent en outre les vilayets musulmans voisins, où sont disséminées des colonies arméniennes plus ou moins nombreuses.

Voici, à titre de documents, les déclarations que nous a faites M. Ahrounian:

Le Conseil national arménien a déclaré l'indépendance de l'Arménie, le 27 mai 1918. Le Parlement arménien fut convoqué, le gouvernement constitué, et le Conseil national lui passa tous les pouvoirs.

Cette république embrasse, à l'heure actuelle, un territoire de plus de 60.000 kilomètres carrés, avec une population d'environ 2.000.000 d'âmes, et une armée de 30.000 à 40.000 hommes.

Les Arméniens, de fait, ont été des lelligérents dès les premiers jours de la guerre mondiale, lorsque, repoussant les offres des Turcs, ils se sont rangés du côté des alliés. Ce fut une cruelle déception pour la nation arménienne de se voir exclue de la Conférence de la paix.

En conséquence, mon gouvernement a chargé la délégation que je préside de revendiquer tout d'abord:

$1^0$ La reconnaissance de l'indépendance de la République arménienne, gagnée sur les champs de bataille;

$2^0$ L'admission du représentant de la République à la Conférence;

Pour ce qui concerne nos autres revendications nationales en général, il va sans dire que nous basant sur les principes de la nationalité, nous réclamons:

$1^0$ L'indépendance de l'Arménie intégrale comprenant les territoires de la République arménienne et les provinces arméniennes de la Turquie.

Le nouvel Etat arménien, ainsi constitué, serait placé sous la garantie de la Ligue des nations, et assisté pour une période transitoire par une puissance mandataire de cette ligue.

$2^0$ Pour être viable, le futur Etat aura besoin de la grande mer, sans quoi un peuple comme le nôtre, entouré de tous les côtés par des éléments hostiles et réfractoires à la culture occidentale, ne saurait assurer ni sa défense, ni son développement économique et culturel.

## სომეხთა მოთხოვნები

თარგმანი

*წყარო: გაზეთი „Le Temps" („ლე ტემპსი"), 1919, 27 თებერვალი, გვ 4.*

სომეხი დელეგატები, რომლებსაც დღეს დიდი სახელმწიფოების საბჭოს წარმომადგენლებმა მოუსმინეს, სომხეთის რესპუბლიკისათვის მხოლოდ სომხური ტერიტორიების მოთხოვნით არ კმაყოფილდებიან. ისინი პრეტენზიას აცხადებენ აგრეთვე მეზობელ მუსლიმურ ვილაიეთებზე, სადაც მიმოფანტულია მეტ-ნაკლებად მრავალრიცხოვანი სომხური დასახლებები.

აი, დოკუმენტი იმ დეკლარაციისა, რომელიც გააკეთა ბატონმა აჰრონიანმა:

1918 წლის 27 მაისს სომხეთის ეროვნულმა საბჭომ გამოაცხადა სომხეთის დამოუკიდებლობა. სომხეთის პარლამენტი მოწვეულია, მთავრობა დაფუძნებულია და ეროვნული საბჭო ამ უკანასკნელს მთელ ხელისუფლებას გადასცემს.

სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორია შეადგენს 60.000 კვ.კმ-ს, მოსახლეობის რაოდენობა დაახლოებით 2.000.000 მცხოვრებია. არმიაში ირიცხება 30.000-დან 40.000 ჯარისკაცამდე.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე სომხები ჩაერთვნენ საომარ მოქმედებებში იმ

დღიდანვე, როდესაც უარი განაცხადეს თურქების შემოთავაზებაზე და მოკავშირეების მხარეზე დადგნენ. სწორედ ამიტომაც სომეხი ერი მწარედ იმედგაცრუებული აღმოჩნდა, როდესაც მშვიდობის კონფერენციაზე მონაწილეობის საშუალება არ მიეცა.

აქედან გამომდინარე, ჩემმა მთავრობამ დაავალა დელეგაციას, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, უპირველეს ყოვლისა მოითხოვოს:

1. სომხეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარება, რომელიც სომეხმა ერმა ბრძოლის ველზე მოიპოვა;

2. კონფერენციაზე რესპუბლიკის წარმომადგენლის დაშვება.

რაც შეეხება ჩვენს სხვა, ძირითადად ეროვნული ხასიათის მოთხოვნებს, რა თქმა უნდა, ვეყრდნობით რა ეროვნულობის პრინციპს, მოვითხოვთ:

1. ერთიანი სომხეთის დამოუკიდებლობას, რომლის შემადგენლობაში მოიაზრება სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიები და თურქეთის სომხური პროვინციები.

ამგვარად შემდგარი ახალი სომხური სახელმწიფო ერთა ლიგის მფარველობის ქვეშ იქნებოდა და გარდამავალი პერიოდის განმავლობაში მას დახმარებას გაუწევდა ამავე ლიგის მძლავრი რწმუნებულება.

2. იმისათვის, რომ მომავალი სახელმწიფო სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდეს, მას დასჭირდება დიდ ზღვაზე გასასვლელი, რის გარეშეც ჩვენი ხალხი, ყოველი მხრიდან დასავლური კულტურისადმი მტრულად განწყობილი ელემენტებით გარშემორტყმული, ვერასოდეს მოიპოვებს ვერც უსაფრთხოებას, ვერც ეკონომიკურ განვითარებას.

# La question de Trébizonde

*Source: Journal "Le Temps", 1919, 1 Mars, pp. 4.*

M. Conomos, président de la Ligue nationale du Pont, nous écrit à propos des revendications arméniennes sur la région de Trébizonde:

Il est possible que le gouvernement hellénique, pour des raisons que nous n'avons pas à connaitre, ait promis à nos amis Arméniens de ne pas comprendre Trébizonde dans le programme de ses revendications. Ce la n'engagerait que le gouvernement hellénique seul. Mais nous, délégués des populations grecques du Pont-Euxin, immédiatement intéressées, au nom desquelles nous parlons, protestons de toute notre force contre une solution qui irait à l'encontre des principes énoncés et admis par les Etats démocratiques de l'Entente, reconnaissant à chaque peuple le droit de disposer de son sort.

Nous ne croyons pas que nos amis Arméniens veuillent, à bon escient, contester le caractère hellénique du Pont-Euxin, et notamment du vilayet de Trébizonde, où ils ne forment qu'une infime minorité.

Pour préciser la question, il convient de rappeler en quels termes 'la délégation arménienne, entendue avant-hier par le conseil des grandes puissances, présente ses revendications sur Tréibizonde. Voici le passage textuel de son mémorandum:

Le nombre des Grecs, dans le vilayet de Trébizonde qui a été le siège de l'ancien royaume du Pont, est supérieur à celui des Arméniens; mais le port de Trébizonde est le seul débouché important de toute la Haute-Arménie sur la mer Noire. La Grèce n'a pas de vues sur ce, vilayet, trop éloigné des centres principaux qu'elle revendique en vertu du droit des peuples; et c'est en parfait accord avec le gouvernement hellénique, qui a envisagé cette question avec un large esprit d'équité auquel nous nous plaisons à rendre homage, que nous demandons l'adjonction d'une partie dé la province de Trébizonde à l'Etat arménien. Sa population grecque peut être certaine que l'administration arménienne lui assurera le respect de sa religion et de sa langue, sous un régime de fraternité et d'égale justice.

# ტრაპიზონის საკითხი

*წყარო: გაზეთი "Le Temps" („ლე ტემპსი"), 1919, 1 მარტი, გვ. 4.*

ეროვნული ლიგის პრეზიდენტი ბ-ნი კონომისი გვაცნობს სომხების მოთხოვნებს ტრაპიონის რეგიონზე.

შესაძლოა, საბერძნეთის მთავრობა, ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, შეპირდა ჩვენს სომეხ მეგობრებს, რომ ტრაპიზონის საკითხსაც შეიტანდნენ მათი მოთხოვნების პროგრამაში. ამაზე პასუხისმგებელი მხოლოდ საბერძნეთის მთავრობაა. მაგრამ, ჩვენ, პონტო - ევქსინის ბერძნული მოსახლეობის დელეგატები, რომლებიც მაშინვე დავინტერესდით ამ საკითხით და ახლა ზემოაღნიშნული ბერძენი მოსახლეობის სახელით გამოვდივართ, მტკიცე პროტესტს გამოვთქვამთ იმ გადაწყვეტილების გამო, რომელიც უგულებელყოფს ანტანტის დემოკრატიული სახელმწიფოების მიერ მიღებულ დებულებებს, რომელთა მიხედვით ყოველ ხალხს აქვს უფლება თვითონ განკარგოს საკუთარი ბედი და განსაზღვროს მომავალი.

ჩვენ არ შეგვიძლია დავიჯეროთ, რომ ჩვენი სომეხი მეგობრები წინასწარი განზრახვით სადავოს ხდიდნენ პონტო-ევქსინის, უფრო კონკრეტულად კი, ტრაპიონის ვილაიეთის ბერძნულობას, სადაც ისინი უმნიშვნელო უმცირესობას წარმოადგენენ.

საკითხის დასაზუსტებლად საჭიროა გავიხსენოთ გუშინწინ, დიდი სახელმწიფოების საბჭოს წინაშე სომხური დელეგაციის გამოსვლა. მათ წარმოადგინეს თავიანთი მოთხოვნები ტრაპიზონთან დაკავშირებით. გთავაზობთ ამონარიდს ამ შეხვედრის მემორანდუმიდან: ტრაპიზონის ვილაიეთში, რომელიც პონტოს ძველი სამეფოს ცენტრია, ბერძნების რაოდენობა აღემატება სომეხთა რაოდენობას, მაგრამ ტრაპიზონის პორტი არის მთელი ზემო სომხეთის ერთადერთი მნიშვნელოვანი გასასვლელი შავ ზღვაზე. საბერძნეთს არ აქვს გარკვეული მიზნები ამ ვილაიეთთან დაკავშირებით, რომელიც ძალიან დაშორებულია მისი ცენტრალური რაიონებიდან. და მიუხედავად ამ მდგომარეობისა, იგი მაინც პრეტენზიას აცხადებს ტრაპიზონზე. ეს ყველაფერი საბერძნეთის მთავრობასთან სრული შეთანხმებით ხდება. საბერძნეთის მთავრობამ ეს საკითხი დიდი სამართლიანობით უნდა განსაჯოს. მოვითხოვთ ტრაპიპონის პროვინციის ერთი ნაწილის სომხურ სახელმწიფოსთან მიერთებას. მისი მოსახლეობა დარწმუნებული უნდა იყოს, რომ სომხური ადმინისტრაცია უზრუნველყოფს მისი რელიგიისა და ენის პატივისცემას თანაბარი სამართლიანობისა და ძმური ურთიერთობების პირობებში.

**Léon FARAUT**

# Deux leaders de la révolution russe MM. Tctieidzé et Isérételli arrives - à Paris[1]

*Source: Journal „Le Petit Parisien" , 1919, 8 Mars, pp. 1.*




Depuis peu, la cause du Caucase à la Conférence compte deux nouveaux champions MM. Tcheidzé et Tsérételli, qui viennent d'arriver à Paris.

Les noms de ces deux leaders démocratiques et antibolchevistes sont, sans doute, demeurés au souvenir de nos lecteurs, en raison du rôle qu'ils ont joué pendant les événements révolutionnaires de Russie.

Nicolaï Tcheidzé a cinquante-quatre ans chef de la fraction minimaliste du parti social-démocrate, il représenta la Géorgie à la troisième et à la quatrième Douma. Placé à la tête du soviet de Petrograd, aussitôt après la révolution de 1917, il devient bientôt le président du Conseil de tous les soviets quand le système soviétique est étendu à toute la Russie. L'avènement des bolcheviks l'ayant obligé à quitter la Russie, il est nommé président du Parlement de la jeune république de Transcaucasie.

1 სტატიას თან ერთვის ნიკოლოზ ჩხეიძისა და ირაკლი წერეთლის ფოტოები [რედ.].

Heracly Tsérételli n'a que trente-sept ans. Il appartenait à la seconde Douma quand, en 1907, par un coup de force, Sto- lypipe envoya en Sibérie tous les députés de l'extrême gauche. En février 1917, lui arrivaient à Irkoutsk, où il se trouvait encore, la nouvelle de la révolution et celle de l'amnistie. Un mois plus tard il était à Petrograd. Il devient ministre des Postes et Télégraphes dans le cabinet Lvoff et ministre de l'Intérieur dans le gouvernement de Kerenski. Après le coup de force maximaliste, Tsérételli passe deux mois à Petrograd. Il lutte contre les usurpateurs. Le 5 janvier, il prononce à la Constituante un courageux et véhément réquisitoire contre les bolcheviks, qu'il accuse de consommer la ruffre de la Russie. Le lendemain, la Constituante n'existe plus. Tsérételli s'empresse de regagner te Caucase pour échapper à la vengeance des léninistes.

**La Géorgie ne demande rien…**
**que la reconnaissance de son indépendance**

- Le but de notre mission, nous disent MM. Tcheidzé et Tsérételli, c'est de justifier devant le monde les revendications de notre pays. La Géorgie ne demande rien au point de vue intérieur. Elle est même de diriger ses affaires. Mais elle veut être reconnue comme un Etat indépendant et souverain. Ses désirs et ses intérêts actuels ne dépassent pas ce cadre et c'est pour cette raison qu'elle demande à être entendue. Nous sommes une démocratie, une démocratie de modération et de progrès. Notre gouvernement comprend cinq social-démocrates de notre nuance, deux socialistes fédéralistes, un socialiste révolutionnaire et un indépendant. Il est responsable devant un Parlement unique qui compte des représentants de toutes les 1 fractions. Une Constituante, élue il y a quelques jours, est chargée d'élaborer notre nouvelle loi dont l'inspiration sera occidentale. Le souffle occidental n'a d'ailleurs pas cessé d'influencer toutes les traditions littéraires et artistiques de la Géorgie. Notre pays n'a été uni à la Russie que pour assurer la défense commune contre la Turquie. Dans le traité qui nous liait, il était dit expressément que la Géorgie pourrait reprendre sa liberté le jour où notre sécurité ne serait plus garantie.

Le cas s'est. présenté. Nous avons donc repris notre liberté et nous continuerons notre œuvre dans cette voie'. Au point de vue ethnique, nous formons un bloc séparé, car nous ne sommes pas des Slaves. Au point de vue géographique, nous avons des frontières naturelles qu'un seul mot résume le Caucase. Au point de vue économique, nous avons toujours été un milieu de production spéciale et intensive. Nos trois millions et demi d'habitants sont, pour la plupart, des agriculteurs de religion grecque orthodoxe. Ils produisent de la laine et du coton, de la soie et du vin. Nous avons aussi de's forêts étendues et notre sol contient, vous ne l'ignorez pas, du manganèse. Nos ports importants Batoum, Poti et Soutoum, conduisent aux réseaux intérieurs, et quand nous vous aurons dit que la superficie du Caucase dépasse trois fois ceMe de la Belgique, vous comprendrez qu'un pays moderne comme Je nôtre, attaché à son enseignement et à sa culture universitaire de Tiflis, parlant sa langue à lui et constituant un tout, ait la passion d'une autonomie et d'une indépendance qu'il a su maintenir et conserver, malgré les orages, contre les ennemis de sa race et les adversaires de sa conception démocratique.

La Géorgie entrerait-elle dans une fédération républicaine russe? Une question s'imposait quelle serait l'attitude de la Géorgie indépendante à l'égard de la Russie quand celleci, débarrassée du bolchevisme, aura fait retour à un régime normal?

C'est M. Tsérételli qui énonce la réponse:

- En ce moment, ditil, deux forces seulement existent en Russie la force bolcheviste et la force réactionnaire. Si cette dernière réussissait à triompher, ce serait la restauration, et notre attitude à l'endroit d'une. Russie monarchique serait celle que nous avons adoptée à l'égard du gouvernement de Lénine. S'il advenait plus tard, continut-t-il, approuvé par M. Toheidzé, que la Russie se donnât un véritable régime républicain et démocratique, sans doute l'attitude de la Géorgie envers elle se modifierait. Toutefois, nous ne pouvons préjuger de l'avenir. C'est au peuple géorgien qu'il appartiendrait alors de décider de son adhésion à une fédération de tous les gouvernements républicains et démocratiques de Russie. liais, encore une fois, nous n'en pas encore'là…

# ლეონ ფარო
# რუსული რევოლუციის ორი ლიდერი, ბატონები ჩხეიძე და წერეთელი პარიზში ჩამოდიან

**თარგმანი**

*წყარო: „Le Petit Parisien“ (ლე პეტიტ პარიზიან), 1919, 8 მარტი, გვ. 1.*

დიდი დრო არ არის მას შემდეგ, რაც კავკასიის საქმის განხილვას კონფერენციაზე ორი ახალი ქომაგი ჰყავს: ბატონი ჩხეიძე და ბატონი წერეთელი, რომლებიც ეს-ესაა ეწვივნენ პარიზს.

ამ ორი დემოკრატი და ანტიბოლშევიკი ლიდერის სახელი უთუოდ კარგად შემონახულა ჩვენი მკითხველების მეხსიერებაში იმ როლის გამო, რაც მათ შეასრულეს რუსეთის რევოლუციურ მოვლენებში. სოციალ-დემოკრატიული პარტიის მენშევიკური ფრაქციის 54 წლის ხელმძღვანელი ნიკოლოზ ჩხეიძე მესამე და მეოთხე სათათბიროში („დუმა“) იყო საქართველოს წარმომადგენელი. 1917 წლის რევოლუციის შემდეგ პეტროგრადის საბჭოს ხელმძღვანელად დანიშნული, იგი მალევე გახდა ყველა არსებული საბჭოს უმაღლესი ორგანოს პრეზიდენტი, მაშინ, როდესაც საბჭოთა სისტემა მთელი რუსეთის ტერიტორიაზე ბატონობდა. ბოლშევიკების მიერ ხელისუფლების ერთპიროვნულად ხელში ჩაგდებამ ბატონი ჩხეიძე აიძულა რუსეთი დაეტოვებინა. იგი დაინიშნა ამიერკავკასიის ახალგაზრდა რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარედ.

ირაკლი წერეთელი მხოლოდ 35 წლისაა. იგი მეორე სათათბიროს შემადგენლობაში იყო, როდესაც, 1907 წელს, სტოლიპინმა, იძულების წესით, უკიდურესი მემარცხენე დეპუტატები ციმბირში გაგზავნა. 1917 წლის თებერვალში ირკუტსკში ჩასულ წერეთელს რევოლუციისა და ამნისტიის ახალი ამბავი დახვდა. ერთი თვის მერე უკვე პეტროგრადში იყო. იგი გახდა ფოსტისა და ტელეგრაფის მინისტრი ლვოვის კაბინეტის შემადგენლობაში და შინაგან საქმეთა მინისტრი კერენსკის მთავრობაში. ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ, წერეთელი ორ თვეს პეტროგრადში ატარებს. იგი იბრძვის უზურპატორების წინააღმდეგ. ხუთ იანვარს, დამფუძნებელ კრებაზე ბატონი წერეთელი წარმოთქვამს მეტად გაბედულ და მგზნებარე ბრალდებას ბოლშევიკების წინააღმდეგ, რომლებსაც იგი რუსეთის მიმართ დანაშაულებრივ ქმედებებში ამხელს. მეორე დღეს დამფუძნებელი კრება აღარ არსებობს. წერეთელი ჩქარობს კავკასიაში დაბრუნებას, რათა გაექცეს ლენინისტების შურის ძიებას.

## საქართველო მხოლოდ თავისი დამოუკიდებლობის აღიარებას ითხოვს

- ჩვენი მისიის მიზანი, გვეუბნებიან ბატონები ჩხეიძე და წერეთელი, არის მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ქვეყნის მოთხოვნების დადასტურება მსოფლიოს წინაშე. შიდა მდგომარეობის თვალსაზრისით, საქართველო არაფერს ითხოვს. მას ხელეწიფება საკუთარი საქმეების მართვა. მაგრამ საქართველოს სურს, რომ იგი აღიარონ როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო. მისი დღევანდელი სურვილები და ინტერესები ამაზე შორს არ მიდის და ამიტომაც ითხოვს ყურადღებით მოუსმინონ. ჩვენ ვართ დემოკრატია, ზომიერებისა და პროგრესის დემოკრატია. ჩვენი მთავრობის შემადგენლობაში არიან ჩვენს პლატფორმაზე მყოფი ხუთი სოციალ-დემოკრატი, ორი სოციალისტ-ფედერალისტი, ერთი სოციალისტ-რევოლუციონერი და ერთი დამოუკიდებელი წევრი. ჩვენი მთავრობა პასუხისმგებელია მხოლოდ პარლამენტის წინაშე, რომლის შემადგენლობაში შედიან ყველა ფრაქციის წარმომადგენლები. დამფუძნებელ კრებას, რომელიც არჩეულ იქნა რამდენიმე დღის წინ, დაევალა შეიმუშაოს ახალი კანონი, რომელიც დასავლური სამყაროს კანონმდებლობით იქნება შთაგონებული. სხვათა შორის, დასავლური სულისკვეთება ყოველთვის იგრძნობოდა ქართულ სახელოვნებო და ლიტერატურულ ტრადიციებში და ეს გავლენა არასოდეს განელებულა. ჩვენი ქვეყნის რუსეთთან შეერთების ერთადერთი მიზანი თურქეთის წინააღმდეგ უსაფრთხოების საყოველთაო ზომების უზრუნველყოფა იყო. ხელშეკრულებაში, რომელიც რუსეთთან გვაკავშირებდა, მკაფიოდ იყო მითითებული, რომ როგორც კი ჩვენი უსაფრთხოება გარანტირებული იქნებოდა, კვლავ შევძლებდით თავისუფლების დაბრუნებას.

და აი, დადგა ეს დროც. ჩვენ დავიბრუნეთ თავისუფლება და ჩვენი შემდგომი მოღვაწეობაც კვლავ ამ გზით გაგრძელდება. ეთნიკური თვალსაზრისით, ჩვენ წარმოვადგენთ ცალკე ჯგუფს - სლავებს არ მივეკუთვნებით. ჩვენი გეოგრაფიული ბუნებრივი საზღვრები ერთი სიტყვით შეგვიძლია გამოვხატოთ – კავკასია. რაც შეეხება ეკონომიკას, ჩვენი წარმოება ყოველთვის ხასიათდებოდა სპეციფიკური და ინტენსიური პროდუქციით. სამ მილიონნახევარი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ორთოდოქსული ბერძნული რელიგიის მიმდევარი მიწათმოქმედია. ქართველები აწარმოებენ შალსა და ბამბას, აბრეშუმსა და ღვინოს. ჩვენ გვაქვს ვრცელი ტყიანი საფარველი და როგორც თქვენთვისაც ცნობილია, მანგანუმის საბადოები. ჩვენი მნიშვნელოვანი საზღვაო პორტებია: ბათუმი, ფოთი და სოხუმი. და ამის შემდეგ, თუ იმასაც დავძენთ, რომ ჩვენი ტერიტორია ბელგიის ტერიტორიას სამჯერ აღემატება, თქვენთვის გასაგები გახდება, რომ ისეთი თანამედროვე ქვეყანა, რომლის კულტურისა და განათლების განვითარებისათვის იღწვის ტიფლისის უნივერსიტეტი, ლაპარაკობს თავის საკუთარ ენაზე და ერთ მთლიანობას შეადგენს, ნამდვილად უნდა ისწრაფოდეს დამოუკიდებლობისაკენ, მიუხედავად მრავალი ქარტეხილისა, მან ეს მაინც მოახერხა -შენარჩუნებინა და დაეცვა იგი თავისივე მოდგმის მტრებისა და დემოკრატიული კონცეფციის მიმდევრების მოწინააღმდეგეებისაგან.

ისმის კითხვა: შევიდოდა თუ არა საქართველო რუსეთის რესპუბლიკურ ფედერაციაში? თუ რუსეთი ბოლშევიზმისგან განთავისუფლების შემდეგ ნორმალურ რეჟიმს დაუბრუნდებოდა, როგორი იქნებოდა დამოუკიდებელი საქართველოს პოზიცია რუსეთის მიმართ?

ამ კითხვას ბატონი წერეთელი ასეთ პასუხობს:

- ამჟამად რუსეთში მხოლოდ ორი ძალა არსებობს – ბოლშევიკური და რეაქციული. ამ უკანასკნელს რომ გაემარჯვა, რესტავრაციის პერიოდი დადგებოდა და ჩვენი პოზიცია მონარქიული რუსეთისადმი იქნებოდა იგივე, რაც ლენინის მთავრობისადმი გვქონდა. მაგრამ შემდგომ, განაგრძო ბატონმა წერეთელმა და მას დაეთანხმა ბატონი ჩხეიძეც, თუ რუსეთში დამყარდებოდა ჭეშმარიტად დემოკრატიული და რესპუბლიკური წყობა, საქართველოს დამოკიდებულებაც შესაბამისად შეიცვლებოდა. მაგრამ, ჩვენ არ ძალგვიძს მომავლის განჭვრეტა. ქართველმა ხალხმა უნდა გააკეთოს არჩევანი, შევიდეს თუ არა რუსეთის ყველა რესპუბლიკურ და დემოკრატიულ მთავრობების ფედერაციაში. ჯერ კი ამის დრო არ დამდგარა.

## Les délégués de Géorgie au groupe socialiste

*Source: Journal "Le Petit Parisien", 1919, 13 Mars, pp. 2.*

Le Petit Pari.sien a annoncé l'arrivée il Paris de MM. 1'cheidzé et Tsérételli, délégués socialistes en Europe de la nouvelle République de Géorgie, et dont on connaît le rôle important au début de la révolution russe.

Tous deux ont été reçus, hier, au groupe socialiste de la Chambre, auquel ils ont donné sur la situation de la Géorgie les explications que l'on connaît déjà par l'interview que nous avons publiée.

## საქართველოს დელეგატები სოციალისტურ ჯგუფში

თარგმანი

*წყარო: გაზეთი „Le Petit Parisien" (ლე პეტიტ პარიზიან), 1919, 13 მარტი, გვ 2.*

Le Petit Parisien-მა გვამცნო საქართვლოს ახალი რესპუბლიკის სოციალისტი დელეგატების, ბატონი ჩხეიძისა და ბატონი წერეთლის ჩამოსვლა.

ორივე მათგანი, გუშინ, მიღებულ იქნა პალატის სოციალისტურ ჯგუფში, სადაც მათ გააკეთეს განმარტებები საქართველოში არსებული ვითარების შესახებ, რაც მკითხველისათვის უკვე ცნობილი იყო ჩვენ მიერ გამოქვეყნებული ინტერვიუს საშუალებით.

## МИРНАЯ КОНФЕРЕНЦІЯ.

**(Тел. Груз. Т.А.)**

*Источник: газета «Борьба», 13 –го января, 1919 г., # 83 (339). стр. 3.*

Армянская делегація на мирной конференціи въ Парижъ получила изъ Закавказья телеграмму слѣдущаго содержанія: «Армянскому населенію въ Закавказье грозить серьезная опасность. Мусульмане собрали значительныя войска, организованныя подъ наблюденіемъ турецкихъ офицеровъ въ Шаруръ, Нахичевани, Сурмалу и Карабахъ и разоружили мѣстныя армянскія силы, объявили, что область подчиняется власти азербайджанскаго правительства. Могуть произойти серьезныя осложненія. Необходимо, чтобы правительства союзниковъ приняли быстрыя энергичныя мѣры чтобы остановить татарь и избѣжать кровопролитія и устранить могущія возникнуть осложненыя... (искажено). Тигранянъ, министръ иностранныхъ дѣл, указывая все это армянской делегаціи, а слѣдовательно, и правительствамъ союзниковъ, просить ихъ немедленно принять необходимыя мѣры. Присутствіе турецкихъ офицеровъ и аскеровъ въ Закавказъѣ можетъ понести къ серезнымъ послѣдствямъ. Необходимо реорганизовать армію армянской республики, единственнаго элемента порядка.

## სამშვიდობო კონფერნცია

**(საქართველოს სატელეგრაფო სააგენტო)**

*წყარო: გაზეთი „ბორბა“ (Борьба), 13 აპრილი, 1919 წ., № 83 (339), გვ. 3.*

თარგმანი

სომხეთის დელეგაციამ სამშვიდობო კონფერენციაზე პარიზში ამიერკავკასიიდან მიიღო შემდეგი შინაარსის დეპეშა: „ამიერკავკასიის სომხურ მოსახლეობას ემუქრება დიდი საშიშროება. მუსულმანებმა თავი მოუყარეს მნიშვნელოვან ჯარებს, რომლებიც შარუნის, ნახიჩევანის, სურმალისა და ყარაბაღის თურქი ოფიცრების განკარგულებაში არიან, განაიარაღეს ადგილობრივი სომხური ძალები და განაცხადეს, რომ ოლქი ემორჩილება აზერბაიჯანის მთავრობის ძალებს. შეიძლება მოხდეს სერიოზული გართულებები. აუცილებელია, რომ მოკავშირეთა მთავრობებმა მიიღონ ენერგიული ზომები შეაჩერონ თათრები და თავიდან იქნეს აცილებული სისხლისღვრა და აღმოიფხვრას წარმოქმნილი გართულებები... (დამახინჯებულია)[“]. საგარეო საქმეთა მინისტრი ტიგრანიანი მიუთითებს რა ყველაფერს ამაზე სომხეთის დელეგაციას, შესაბამისად მოკავშირეთა მთავრობებს, თხოვს მათ დაუყონებლივ მიიღონ აუცილებელი ზომები. თურქი ოფიცრებისა და ასკერების[1] ყოფნამ ამიერკავკასიაში შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული შედეგები. აუცილებელია სომხეთის რესპუბლიკის არმიის რეორგანიზაცია – წესრიგის ერთადერთი ელემენტის“.

## La République de Géorgie

*Source: Journal “Le Temps”, 1919, 17 May, pp. 1-2.*

